თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

კავკასიურ ენათა კათედრა

არნ. ჩიქობავა

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ
დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1979

81.2Гр+81.2
494.6+499.962.1
ჩ 695

წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს საგანში — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი". პროგრამის შესაბამისად მასში განხილულია ხსენებულ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ზოგადი საკითხები.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიის კვლევა აქ ემყარება ამ ენათა სისტემის ანალიზს და წარმოებს შინაგანი რეკონსტრუქციის გზით.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტთა, მასწავლებელთა და იბერიულ-კავკასიური ენებით დაინტერესებულ სხვა მკითხველთათვის.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1979

წინასიტყვა

თანამედროვე თეორიულ ენათმეცნიერებას არსებითი საკითხების გაგებაში დიდი სიჭირველე ახასიათებს. ყველა თავისი სამრეკლოდან რეკავს. მასთან ისე, რომ მეტწილად ცხადი არ არის, რასაც რეკავს და რისთვის რეკავს. გაურკვეველობას ამ საკითხებში არამცირედი ზიანი მოუყენებია წარსულში იბერიულ-კავკასიური ენების მეცნიერული შესწავლის საქმისთვის.

საჭიროა ამ ზოგად საკითხებზე ორიოდე სიტყვა ითქვას აქ[1].

1. **თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ურთიერთობისათვის.** უკანასკნელი 30 წლის მანძილზე (ვინერის კიბერნეტიკა, 1948 წ.) ენის შესწავლას დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა ენიჭება: იქმნება საინჟინრო ენათმეცნიერება, რომელსაც „კიბერნეტიკულ ენათმეცნიერებასაც" უწოდებენ და რომელსაც ფ ო რ მ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ენასთან (და არა რეალურ ენასთან!) აქვს საქმე; მას არც ენის ისტორია ესაჭიროება და არც აზროვნებასთან ენის მიმართების საკითხი უდგას.

---

[1] დაწვრილებით ამ საკითხებს ეხება ჩვენი წერილები: «Язык и теория языка в философии и в языкознании» (Изв. Отделения литературы и языка Акад. Наук СССР, 1973, № 6) და «О философских вопросах языкознания» (იქვე, 1974, № 4). უკანასკნელის ქართული ტექსტი იხ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", ტ. 20, გვ. 5—21, აგრეთვე, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, მისი მიზანი და ზოგადენგვისტური საფუძვლები", — „წელიწდეული", I (1974), გვ. 9—22.

„საინჟინრო ენათმეცნიერება“ (ისევე. როგორც „საინჟინრო ფსიქოლოგია“) მიუხედავად მისი დიდი გამოყენებითი მნიშვნელობისა, თეორიული ენათმეცნიერების მაგივრობას ვერ გასწევს (შდრ. „თერაპია“ და „ფიზიოლოგია“).

2. **ენის სისტემა-სტრუქტურის აღწერა** („სინქრონიული ანალიზი“)და **ენის სისტემა-სტრუქტურის ისტორია** („დიაქრონიული ანალიზი“). ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული წინა რიგში მოექცა ენის სისტემა-სტრუქტურის აღწერა და სათანადო კანონზომიერებათა გამოვლენა („სინქრონიული ანალიზი“).

ენის სისტემა-სტრუქტურის აღწერითი ანალიზი მეცნიერულად აქტუალურია (ამის საგანგებო დასაბუთება მოცემული გვაქვს მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, I, 1928 წ.; მეორე გამოცემა 1968 წ.).

ჩვენში იმხანად და შემდეგში ათეული წლების მანძილზე გრამატიკული სტრუქტურის კვლევა ითვლებოდა ფორმალიზმად და უკუგდებული იყო, როგორც იდეოლოგიურად მიუღებელი, ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მიმდევართა მიერ.

ამჟამად კი სინქრონიული ანალიზი არა მხოლოდ უცხოეთში დგას ყურადღების ცენტრში, და სტრუქტურალისტიკის უნივერსალიზაციას აქვს ადგილი (ყოფილი მარისტების მეტი წილი ახლა სიტყვას არ მოაბრუნებს ისე, თუ „სტრუქტურა“ და „სტრუქტურალური“ არ ჩაურთო).

„სტრუქტურა“, „სინქრონიული ჭრილი“, „ტიპოლოგიური შედარება“... ესაა ყველაფერიო, ამბობენ ჩვეულებრივ. ენის ისტორია კი უგულებელყოფილია.

3. **ენათმეცნიერება და ენის ისტორია.** ენის მეცნიერული შესწავლა საჭიროებს როგორც ენის სისტემა-სტრუქტურის აღწერითს ანალიზს, ისე ამ სისტემა-სტრუქტურის ისტორიის კვლევას.

ორსავე შემთხვევაში ენის შესწავლა გულისხმობს მიმართებას კულტურასთან და აზროვნებას-

თან, ენის ისტორიის შემართებას — კულტურის ისტორიასთან და აზროვნების ისტორიასთან.

კულტურის ისტორიისათვის ენის ისტორიის ჩვენებათა მნიშვნელობა ცნობილია; აზროვნებისა და აზროვნების ისტორიისათვის მის მნიშვნელობას ცხადყოფს აზროვნების ფსიქოლოგია (კერძოდ, ვუნდტის, კასირერის, კაინცის შრომები).

4. ენათმეცნიერების ყველაზე არსებითი მიღწევები ენის ისტორიას უკავშირდება.

ენათმეცნიერება შეიქმნა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ენის ისტორიის საფუძველზე, ისტორიულ-შედარებითმა გრამატიკამ დაიკავა რაციონალური (შემდეგ — ფილოსოფიური) გრამატიკის ადგილი.

ენა ცვალებადი ფენომენია. ცვალებადი ობიექტი ისტორიზმის საჭიროების პრინციპული დასაბუთებაა.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში გავრცელებული ანტიისტორიზმი არ გამოუწვევია შინაგან სიძნელეებს. ანტიისტორიზმს ფილოსოფია ასაზრდოებს (კერძოდ, ლოგიკური პოზიტივიზმი).

კონკრეტული მეცნიერების თეორია უნდა იყოს დაფუძნებული სათანადო ობიექტის შესწავლის მიღწევებზე და უნდა წარმოადგენდეს ამ მიღწევათა გააზრებას. მაშინ წაადგება ეს თეორია სათანადო ობიექტის შემდგომი კვლევა-ძიების გაუმჯობესებას.

5. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ შინაგანად უკავშირდება „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიას“ (გამოვიდა 1965 წ.): ეს უკანასკნელი („შესწავლის ისტორია“) შეამზადებს „შესავლის“ პრობლემატიკის ანალიზს.

„შესწავლის ისტორია“ იკითხება ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსზე, „შესავალი“ — მეოთხეზე. ორივე კურსი ჩვენს უნივერსიტეტში დამუშავდა (ისევე, როგორც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან შვიდი ენა

სახელმწიფო უნივერსიტეტო სწავლების საგანი პირველად თბილისის უნივერსიტეტში გახდა).

6. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი" მიზნად ისახავს იბერიულ-კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემის, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურის საკვანძო საკითხების ანალიზი მოგვცეს და სათანადო ჩვენებათა ისტორიული ინტერპრეტაცია წარმოგვიდგინოს (ეს უკანასკნელია მთავარი).

ცხადია, „შესავალი" მხოლოდ დადგენილის გაცხოცებით ვერ ეგზოიფარგლებოდა; ავტორი სადაო საკითხებს თავს არ არიდებდა; პირიქით, ცდილობდა ნათლად ჩამოეყალიბებინა ეს სადაო, გაერკვია მისი სათავე და დაესახა მისი გაუაწყვეტის გზები.

ამას მოითხოვს იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის ინტერესები.

ამის გარეშე სტუდენტი თავის სპეციალობაში აზროვნებას ვერ ისწავლის; უმაღლესი სკოლის მთავარი ამოცანა კი ის არის, რომ სტუდენტს აზროვნება ასწავლოს; ინფორმაციის სისრულეს ვერავითარი სასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს (შესასწავლს რა გამოლევს). ცოდნის შეძენას კი ახალგაზრდა შემდეგშიც შეიძლებს, თუ მთავარი იცის და აზროვნება თავის დარგში შეუძლია.

ამ წიგნის მთელი ტექსტი კრიტიკულად წაიკითხეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. ბიძინა ფოჩხუამ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა დოც. გენადი ბურჭულაძემ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა უფრ. მეცნ. თანამშრომელმა ვაჟა შენგელიამ.

მოწოდებული შენიშვნებისათვის ავტორი მათ მადლობას მოახსენებს.

არნ. ჩიქობავა.

24 ივლისი, 1978 წ.

I. წინასწარი ცნობები

§ 1. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიზანი და ამოცანები

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება არის მოძღვრება იბერიულ-კავკასიურ ენათა[1] სტრუქტურა[2]-სისტემისა და ისტორიის შესახებ.

სისტემის შესწავლა ენის (—მისი ფონეტიკის, მორფოლოგია-სინტაქსისა და ლექსიკის—) აღწერითს ანალიზს (და აღწერით კანონზომიერებათა დადგენას) გულისხმობს. ასეთი ანალიზი დამხმარე საშუალებაა.

ძირითადია ისტორია — წარმოშობა-განვითარების ანალიზი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით: შესასწავლი ობიექტის გარკვეული გაგებიდან შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს მეთოდიც, რომლითაც ეს ობიექტი უნდა შეისწავლებო-

---

[1] იბერიულ-კავკასიური ენები ქმნიან ოთხ ჯგუფს; ეს ჯგუფებია:

1. ქართველური (ქართული, ზანური, სვანური);
2. აფხაზურ-ადიღური (აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული, უბიხური);
3. ნახური (ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური);
4. დაღესტნური (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფი, ლაკურ-დარგული ქვეჯგუფი, ლეზგიური ქვეჯგუფი). სულ ოთხსაე ჯგუფში 32 ენაა (აქედან 20 ენა დაღესტნის ჯგუფისაა).

მწერლობიანია 12: ქართული — ძველი სამწერლო (მწერლობა V საუკუნიდან); ახალი სამწერლო ენებია: აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული, ჩაჩნური, ინგუშური, ხუნძური, ლაკური, დარგული, ლეზგიური, თაბასარანული.

[2] ყველაფერი სტრუქტურული სისტემურიცაა; სისტემური კი ყოველთვის სტრუქტურული არაა. ამიტომ ქვემოთ ნახმარი გვაქვს სისტემა, როგორც უფრო ზოგადი ცნება.

დეს: ისტორიულ-გენეზისურია ცნება (იბერიულ-კავკასიური ენები) — მას შეესაბამება მეთოდი (ისტორიულ-შედარებითი): საგანი განსაზღვრავს მეთოდს.

ისტორიულ-შედარებით კვლევა-ძიებაში შედარება საშუალებაა ისტორიისათვის (და არა თვითმიზანი).

ამით განსხვავდება შედარება — ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა შედარებისაგან წინარემეცნიერულ პერიოდში (ძველად, საშუალო საუკუნეებში), აგრეთვე შედარებისაგან ტიპოლოგიურ ძიებებში (ამაზე — ქვემოთ).

ისტორიულ-გენეზისური საკითხების კვლევისას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება, როგორც ითქვა, აუცილებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი საკმარისი იყოს: ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ეფექტურ საშუალებად გვეელინება ენათა დივერგენციაციის (დივერგენციის) პროცესთა შესწავლისათვის მონათესავე ენათა განვითარებაში, მაგრამ დივერგენციის პროცესით არ ამოიწურება ენათა განვითარება; იმავდროულად მოქმედებს ენათა ინტეგრაციის (კონვერგენციის) პროცესი; იგი საწინააღმდეგო მიმართულებისაა: ენის განვითარება ამ ორი — ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულების, პროცესის შედეგია.

რაც უფრო ძლიერია ენათა კონტაქტი და შესაბამისად დიდია კონვერგენციის პროცესის ხვედრი წონა (ასეა, მაგალითად, ჩვენს ენებში), მით უფრო შეზღუდულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ეფექტიანობა.

და მაინც მასზე უკეთესი საშუალება ჯერჯერობით არ ჩანს (თუმცა ცდები არ გვაკლია: დიალექტთა გეოგრაფია, არეალური ლინგვისტიკა...).

ენის შესწავლა იწყება აღწერითი ანალიზით. აღწერითი ანალიზი არ უპირისპირდება ისტორიულ-შედარებითს ანალიზს: შეიძლება სხვადასხვაგვარად გვესმოდეს, რა მნიშვნელობაც აქვს ენას მეცნიერული შესწავლისათვის ისტორიულ-შედარებითსა და აღწერითს ანალიზს, მაგრამ ის კი უდავოა, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს.

ისტორიულ-შედარებითი ანალიზის გარდა ენათა ჯგუფი შეიძლება შეისწავლონ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც. აქაც შედარებას მიმართავენ. ოღონდ ეს შედარება მიზნად ენათა ისტორიის შესწავლას არ ისახავს: სტრუქტურულ-ტი-

პოლოგიური ანალიზისათვის სულ ერთია, მონათესავე ენებს შეეუდარებთ ერთმანეთს თუ სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ენებს: აფხაზური ენის ესა თუ ის ფაქტები შეიძლება შეუდარონ ამერიკელ ინდიელთა ენების ფაქტებს (მილევსკი) ანდა ჩაჩნურისა — ბანტუ-ენებისას აფრიკაში (ნემიროვსკი).

სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შედარება შესადარებელ ენათა სისტემის აღწერითს ანალიზს ემყარება და მიზნად ისახავს ზოგადი კანონზომიერებანი — უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ ი ე ბ ი — დაადგინოს (მაგალითად: „თუ ენის ფონეტიკურ სისტემაში გვაქვს აფრიკატები, გვექნება სპირანტებიც“ — რ. იაკობსონი).

სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ენათმეცნიერება არსებითად იმავე თვალსაზრისზე დგას, რაც ზოგადს ანუ რაციონალურ გრამატიკას (XVII ს.) და მის გაგრძელებას — ფილოსოფიურ გრამატიკას (XVIII ს.) ახასიათებდა: ყველა ენაში გამოყოს ს ა ე რ თ ო, ზ ო გ ა დ ი, რამდენადაც ყველა ენა ერთისა და იმავე ლოგიკურ კატეგორიათა გამოსახვის საშუალებას წარმოგვიდგენსო. ენებში მთავარი სწორედ ეს ზოგადი, საერთოაო (და არა ის, რაც თავისებურია, განსხვავებულიო).

ზოგადი ანუ რაციონალური (ფილოსოფიური) გრამატიკა ენის ისტორიას ისევე არ საჭიროებდა, როგორც თანამედროვე სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ენათმეცნიერება არ საჭიროებს მას.

თუ მეცხრამეტე საუკუნეში ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა (ენათმეცნიერება) დაუპირისპირდა არაისტორიულ (ფილოსოფიურ) გრამატიკას, მეოცე საუკუნეში არაისტორიული, ზედროული (აქრონიული) სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ენათმეცნიერება უპირისპირდება ისტორიულ ენათმეცნიერებას.

ენობრივი ფაქტის მეცნიერული შესწავლა მისი ისტორიის შესწავლას გვერდს ვერ აუვლის: ენის ი ს ტ ო რ ი ი ს შესწავლა — კ უ ლ ტ უ რ ი ს ი ს ტ ო რ ი ა ს ა და ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა ს თ ა ნ კ ა ვ შ ი რ ში (ასევე: ენის შესწავლა კულტურასთან და აზროვნებასთან კავშირში) — ესაა ენის ენათმეცნიერულ შესწავლაში ყველაზე არსებითი. უფრო მნიშვნელოვანი მიზანი ენის მეცნიერულ შესწავლას არ მოეპოვება.

ეს არ გამორიცხავს ენის შესწავლას ისტორიის გარეშე: ენობრივი სისტემის აღწერითი შესწავლა — როგორც ზევით უკვე ითქვა — საჭიროა ენის ისტორიის თვალსაზრისითაც (და თავისთავადაც, რამდენა-

დაც ენის სისტემის კანონზომიერებათა გამოვლენას შევიძლებთ), ე. ი. ენობრივი სისტემის აღწერა ფაქტების კლასიფიკაციით ანუ სისტემატიკის ამოცანებით არ ამოიწურება. სისტემატიკა — ე. ი. ენობრივი ფაქტების (ბგერების, სიტყვების, შესიტყვებათა თუ წინადადებათა) კლასიფიკაცია სათანადო მოვლენათა მიმოხილვისათვის აუცილებელია და გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

აღწერისა და ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიების ურთიერთობას — უკეთ, მათს შემეცნებითს ღირებულებას — განსაზღვრავს არსებითი გარემოება: ენა დინამიკურ (ცვალებად) სისტემას წარმოადგენს, ენობრივი სისტემის ყოველი რგოლი იცვლება, მაგრამ სხვადასხვა რგოლი — ბგერათა შედგენილობა და სისტემა, სიტყვის ფორმები, სინტაგმის აგებულება, ლექსიკის შემადგენლობა, სიტყვათა მნიშვნელობა — იცვლება არათანაბრად; ამის გამოა, რომ ენობრივ სისტემაში ერთდროულად წარმოდგენილია სხვადასხვა ისტორიული ფორმაციის ფაქტები. ამიტომაც ენობრივი სისტემა თავის არსებობის არც ერთ მომენტში არ შეიძლება იყოს „თავისუფალი ისტორიისაგან“ — ენობრივი ფაქტის გასაგებად, ისტორიის მოშველიება გვჭირდება: ენობრივი სისტემა ენის ისტორიაზე დამოკიდებული.

ენის სისტემურობა თუ მოქმედებს ისტორიაზე? ასეთი შესაძლებლობა არ არის გამორიცხული: ენის სისტემურობა შეიძლება თავისებურად აისახოს ისტორიაში (მაგალითად: სვანურში აფრიკატებს — ჯ ჩ ჳ — სპირანტები შეენაცვლნენ; აფრიკატები ქმნიან სამეულებს, სპირანტები — წყვილეულებს; შესაბამისად: ჯ—ჟ, ჩ—შ, ჳ—ნული: ჳ-ს შესატყვისი არ აღმოაჩნდა — ვ. თოფურია[1].

მაგრამ ასეთი რამ არის შესაძლებლობა; სისტემა რომ ისტორიით არის შეპირობებული (სისტემის დამოკიდებულება ისტორიაზე!), ეს კი არის აუცილებლობა, რომელსაც პრინციპული საფუძველი მოეპოვება.

ამისდა კვალად: ენობრივი სისტემის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლა ვერ გასწევს ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიების მაგივრობას, ვერ ჩაენაცვლება მას.

---

[1] „ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი“, იქვე, XII, 1960.

სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ შედარებას ისევე, როგორც აღწერითი ხასიათის კანონზომიერებებს შეუძლია დახმარება გაუწიოს ისტორიულ-შედარებითს კვლევა-ძიებას.

იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული ისტორია სრულად რომ დამუშავდეს, საჭიროა: ჯერ ერთი, ყველა იბერიულ-კავკასიური ენა — საწერლო იქნება ის თუ უწერლო — მეცნიერულად აიწეროს; შემდეგ — ოთხივე ჯგუფის (ქართველურისა, აფხაზურ-ადიღურისა, ნახურ-ქისტურისა და დაღესტნურის) ისტორიულ-შედარებითი გრამატიკები და ლექსიკონები დამუშავდეს; დაბოლოს: ერთობლივ იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა და საერთო ძირთა ისტორიული ლექსიკონი შეიქმნეს.

პირველი ამოცანა ამჟამად არსებითად გადაჭრილია: თითქმის ყველა ენის აღწერითი ანალიზი, ზოგი უფრო სრული, ზოგიც მოკლე, უკვე მოგვეპოვება. მეორე რიგის ამოცანა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი (რაც ამ მხრივ არის გაკეთებული, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). ძირითადია მესამე ამოცანა. მის გადასაწყვეტად საჭირო პირობები ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება. ამ ამოცანის გადაწყვეტა მომავლის საქმეა[1].

---

[1] ცალკეულ ენათა და ენათ-ჯგუფების მ თ ლ ი ა ნ ი შესწავლა არ ნიშნავს, თითქოს, ს ა ნ ა მ ეს სამუშაო არ დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ა, უადგილო და გაუმართლებელი იყოს ც ა ლ კ ე უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი ს შესწავლა ორი, სამი (თუ ყველა ოთხი) ჯგუფის მასალის გათვალისწინებით. ერთი არ გამორიცხავს მეორეს: ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი ს გამოკვლევები მოწმობს, რომ ცალკეული საკითხების კვლევამ რამდენიმე ჯგუფის ენათა მასალაზე ფასეული შედეგი შეიძლება მოგვცეს. იგულისხმება: მისი—„კონსონანტების სისტემა აღმოსავლურ-კავკასიურ ენებში", 1931, „ლატერალური თანხმოვნები ჩრდილო-კავკასიურ ენებში", 1922; „ლექსიკური ფარდობანი ჩრდილო-კავკასიურ ენებში", 1930; „შენიშვნები ზმნების დაბოლოებათა შესახებ აღმოსავლურ კავკასიურ (ჩაჩნურ-დაღესტნურ) ენებში", 1929... იხ. აგრეთვე: ჟ. დ ი უ მ ე ზ ი ლ ი ს „ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკის შესავალი", 1933. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", 1937.

რა თქმა უნდა, ასეთ გამოკვლევებში ბევრი კონკრეტული საკითხი სადაო იქნება, მაგრამ სადაოს ყველა წინასწარი სამუშაოს შესრულებაც არ გამორიცხავს.

ამის გათვალისწინებით „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ ამჟამად მიზნად ისახავს:

— გაშოყოს საკვანძო საკითხები, რაც იბერიულ-კავკასიურ ენათა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ი ს ტ ო რ ი ი ს კ ვ ლ ე ვ ი ს ა ს ჩნდება და

— ჩამოაყალიბოს ძირითადი დასკვნები, რაც ამჟამად შეიძლება გაკეთდეს ამ საკვანძო საკითხების შესახებ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად.

§ 3. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ახლანდელი ვითარება

უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესასწავლად. თითქმის ყველა უმწერლო ენის მთლიანი მიმოხილვა მოგვეპოვება. ყველაზე უკმარი ცნობა მოგვეპოვებოდა უბიხური ენის შესახებ (აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენათაგან). ახ-დიური და დიდოური წყების ენათა და შაჰ-დაღის წრის ენებზე (ბუდუხურისა, ხინალუღურისა და კრიწულის შესახებ). უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე აქაც მდგომარეობა გამოსწორდა. თუმცა ჯერ არაა გამოქვეყნებული ზოგი ენის მონოგრაფიული შესწავლის შედეგი.

გამოქვეყნებულია არა ერთი ნაშრომი, სადაც იბერიულ-კავკასიურ ენათა ესა თუ ის ჯგუფია განხილვის საგანი, თუ მთლიანად არა, ამ ენათა ესა თუ ის მხარე მაინც.

მოგვეპოვება რამდენიმე მთლიანი მოკლე მიმოხილვაც ამა თუ იმ ჯგუფისა. მთლიანად იბერიულ-კავკასიური ენებია კვლევის საგანი შრომებში:

1. რიხ. ე რ კ ე რ ტ ი ს „კავკასიური ძირის ენები“ (1895 წ.)[1].

რიხარდ ერკერტის შრომა ორი ნაწილისაგან შედგება; პირველი ნაწილი (204 გვ.) ლექსიკურ მასალას შეიცავს: 545 სიტყვა (არსებითი სახელი — მეტწილად, ნაცვალსახელები, ზმნისართები, რიცხვითი სახელები, ზედსართავი სახელები, ორიოდე ათეული ზმნა) თარგმნილია 30 ენა-კილოზე... მეორე ნაწილში (391 გვ.) მოცემულია გამოთქმები (169 ფრაზა, გერმანული, თარგმნილია იმავე ენა-კილოებზე, რისი ლექსიკაც პირველ ნაწილში გვქონდა) და ბოლოს მოცემულია გრამატიკული შენიშვნები. ამას ერთვის კავკასიურ ენათა კლასიფიკაცია და მათი წარმოშობითი ურთიერთობის შესახებ მსჯელობა.

[1] Richard Erckert, Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895. VI+204 გვ.; XII+391 გვ.

2. ად. დირის „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში" 1928 წელს გამოვიდა [1]. წიგნში დახასიათებულია ყველა კავკასიური ენის გრამატიკის საკვანძო საკითხები ცალ-ცალკე (ზოგისა ძალიან მოკლედ — მაგ., ჰამალალურს ერთი გვერდი უპირავს, კვანადურს — ორნახევარი: ყველაზე ვრცელია ქართულის მიმოხილვა — 33 გვ.); ცალკეულ ენათა შესახებ გრამატიკულ ცნობებს მოსდევს ენათა ცალკეული ჯგუფის ზოგადი დახასიათება (მათში ყველაზე ვრცელია ჩაჩნურ-დაღესტნური ენების დახასიათება — 12 გვ. მოცულობისა).

ად. დირის წიგნში ცალკეულ ენათა მიმოხილვას წინ უძღვის: „კავკასიურ ენათა ზოგადი მიმოხილვა" (გვ. 1—12); „მართლა განმარტოებით დგანან კავკასიური ენები?" (გვ. 24—29) და „კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემა" (გვ. 29—37).

ად. დირის „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში". ამრიგად, ძირითადი საკითხების სისტემატურ ანალიზს ყველა ჯგუფის ენებში არ იძლევა (ერთგვარ გამონაკლისს ბგერითი სისტემა წარმოადგენს).

3. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური მონოგრაფია „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა" (1937) [2].

იგი წარმოადგენს „ქართველი ერის ისტორიის შესავლის" მეორე წიგნს. ეს შესავალი მიზნად ისახავს ენის მონაცემთა სისტემატური ანალიზი ხალხის ისტორიის ძველი ეტაპების გასათვალისწინებლად გამოიყენოს. ავტორი იყენებს მთის კავკასიურ ენათა შესახებ არსებულ ნაირგვარ ლიტერატურას (სათანადო წინასწარი კრიტიკული ანალიზის შემდეგ), თავს უყრის სხვადასხვა შრომებში არსებულ სატრანსკრიფციო სისტემებს და მათი შეპირისპირებით ცდილობს სათანადო შრომებში ნავარაუდევი ფონემატური სისტემები აღადგინოს და გაათანაბრებელიანოს... შესავალ ნაწილში მოცემულია ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა შესწავლის მიმოხილვა (გვ. 1—91), სადაც სათანადო ყურადღება ეთმობა ნ. მარის იაფეტურ თეორიას (ამ თეორიის ევოლუციის სხვადასხვა საფეხურზე), დახასიათებულია ნ. მარის

---

[1] Ad. Dirr. Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928. 380 გვ.

[2] სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის გამოცემა, 625 გვ. + საძიებლები (პირთა სახელები, გეოგრაფიული სახელები, ტომობრივი სახელები, ენების სახელწოდებანი, ტერმინების საძიებელი), სულ — 754 გვ.

ღვაწლი სომხურ-ქართული ფილოლოგიის შექმნაში და ქართველურ ენათა კვლევის საქმეში. აღნუსხულია ის სირთულეებიც, რაც ნ. მარის თეორიის ბოლო ეტაპებზე შეიქმნა ქართულ და მთის კავკასიურ ენათა შეცნიერული კვლევისათვის.

ენობრივი ფაქტების სისტემატური ანალიზი იწყება „გრამატიკული სქეს-კატეგორიების საკითხით მთის კავკასიურ ენებსა და ქართულში“ (გვ. 125—257). ავტორი სახელთა ფუძეების ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად გამოავლენს გრამატიკულ სქეს-კატეგორიათა გაქვავებულ ფორმანტებს მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესისას ქართულში, აგრეთვე მთის იმ ენებში, რომელთაც ამჟამად ეს კატეგორია არ მოეპოვებათ („სინდურ..., ლეგურ ენებში, ე. ი. ადიღურსა და დაღესტნურ ზოგ ენაში, როგორიცაა, ლეზგიური, აღულური, უდიური“).

გრამატიკული სქეს-კატეგორიის (ე. ი. გრამატიკული კლას-კატეგორიის) საკითხს მოსდევს რიცხვითი სახელების ანალიზი („წინანდელი და თავდაპირველი სახე, აგებულება და სხვადასხვა სისტემაში — გვ. 259—424) ქართველურსა და მთის კავკასიურ ენათა სამსავე ჯგუფში.

ასევე დაწვრილებით არის განხილული ნაცვალსახელები (პირადი, ჩვენებითი, უკუქცევითი, კუთვნილებითი) ოთხივე ჯგუფის ენათა მასალაზე (გვ. 425—591).

შედარებით მცირე ადგილი ეთმობა ზმნას (გვ. 583—611) და საერთო ძირის ლექსიკურ ერთეულთა გამოვლენას (გვ. 611—621).

სახელის ბრუნებასა და სიტყვაწარმოებას ავტორი, როგორც თვითონ აღნიშნავს, არ შეხებია.

უკანასკნელ ოთხ გვერდზე (გვ. 621—625) ზოგადი დასკვნა აქვს ავტორს მოცემული: ქართულ-ქართველურ ენათა განვითარებაში ორი ხანა გამოიყოფა; უძველესი, როცა „გრამატიკული სქეს-კატეგორიები ამ ენათა ძირითადს დაწახასიათებელ თვისებას შეადგენდა“ და მეორე, რომელსაც „გრამატიკული სქეს-კატეგორიები გაქრა“ და „...ქართულ-ქართველურის ახალი სახე ჩამოინაქვთა“ (გვ. 623). ქართულ-ქართველური ენები აფხაზურ-ადიღურ („სინდურ“), ნახურ („ღილღურ“) და დაღესტნურ („ლეგურ-ალბანურ“) ენათა მონათესავე ენებია. ამ მონათესავე ენათა შესწავლა ქმნის „ქართულ-შარომატულ ენათმეცნიერებას“ (გვ. 625).

4. მოკლე „შესავალი კავკასიურ ენათმეცნიერებაში“ ეკუთვნის კარლ ბოუდას (1960 წ.)[1].

5. 1963 წელს გამოიცა გერჰარდ დეეტერსის „კავკასიური ენები“ (89 გვ.)[2]. აქ შეკუმშულად არის განხილული კავკასიურ ენათა ოთხივე ჯგუფი და წარმოდგენილია სათანადო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია (გვ. 1—19); ამას მოჰყვება: ფონოლოგია (გვ. 19—23), ლექსიკა (გვ. 33—46), გრამატიკა (გვ. 46—76); აქ მოცემულია: სახელთა კლასები; პირები: ზმნის პასიური კონსტრუქცია; ტრანზიტივი და ინტრანზიტივი; ტრანზიტივი და პასივი: შეგრძნების ზმნები; ფინიტობა და ინფინიტობა ზმნის ფორმებში; ერთეული და სიმრავლე; ადგილი და მიმართება; ატრიბუტივობა და პრედიკატიულობა; წინადადების აგებულება.

ტექსტის უკანასკნელი სამი გვერდი (გვ. 76—79) ეთმობა საკითხს „კავკასიურ ენათა ადგილი დედამიწის ენათა შორის“. გ. დეეტერსი აქ ეხება კავკასიური ენების ხმელთაშუა ზღვის (ერრუსკულთან, პელაზგიურთან...), წინა აზიის აწ მკვდარ ენებთან (შუმერულთან, ელამურთან, ხურიტულთან და ურარტულთან) ურთიერთობის საკითხს, აგრეთვე ბასკურის კავკასიურთან ურთიერთობის საკითხს (ახლანდელი ცდები სარწმუნო არ არის, ოღონდ ეს არ ნიშნავს, თითქოს „ბასკურის კავკასიურ ენებთან ნათესაობა შეუძლებელი იყოსო“, გვ. 78—79).

6. 1967 წ. გამოვიდა „იბერიულ-კავკასიური ენები“[3]. კრებულში შეტანილია ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური ჯგუფების ყველა ენის დახასიათება (ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის ძირითადი საკითხები, დიალექტთა შესახებ ცნობები). გრამატიკულ დახასიათებას ერთვის სათანადო ენის ნიმუში (ტრანსკრიფციითურთ) და მისი თარგმანი.

ენათა ყოველი ჯგუფის ზოგადი დახასიათება („შესავალი“) წამძღვარებული აქვს სათანადო ნაკეთს; ქართველურ ენათა, აფხაზურ-

---

[1] K. Bouda, Introducción a la lingüística Caucásica, Salamanka, 1960, ესპ. ენაზე. 90 გვ.

[2] G. Deeters. Die kaukasischen Sprachen. 1963, 89 გვ. (შრომაში „Handbuch der Orientalistik, Ed. VII, Armenische und kaukasische Sprachen“, Leiden-Köln, 1963).

[3] «Иберийско-кавказские языки» — სერიაში: «Языки народов СССР», т. IV, Москва, 712 გვ.

ადიღეურ და ნახურ ენათა ზოგადი დახასიათება ცალ-ცალკე გვაქვს; დაღესტნურ ენათა საერთო „შესავალის“ გარდა თავ-თავისი შესავალი აქვს: ანდიურ ენებს, დიდოურ ენებს, ლეზგიურ ენებს.

გარდა ამისა, მთელ წიგნს საერთო შესავალი წერილი აქვს წამძღვარებული „იბერიულ-კავკასიური ენები“ (გვ. 7—15). კრებულის მონაწილეა 24 ავტორი, მოსკოველი სპეციალისტები თუ კავკასიის რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკები.

კრებული „იბერიულ-კავკასიური ენები“ ცალკეულ ენათა მიმოხილვას შეიცავს, ე. ი. ისევეა აგებული, როგორც ად. დირის შრომა, ოღონდ უფრო სანდოა მასალის მხრივ და ინფორმაციასაც გაცილებით მეტს იძლევა.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ზოგადი მოკლე მიმოხილვა-დახასიათება მოცემულია რიგ წერილში; ასეთებია:

ნ. ტრუბეცკოის „ჩრდილო-კავკასიური ენები“, 1924 წ.[1]

ნ. მარის „იაფეტური თეორიის ძირითადი მიღწევები“, 1925 წ.[2]

ნ. მარის „იაფეტური ენები“, 1931 წ.[3]

რ. ბლაიხშტაინერის „კავკასიურ ენათა ჯგუფი“, 1937 წ.[4]

ჭ. ლომთათიძისა და არნ. ჩიქობავას „იბერიულ-კავკასიური ენები“, 1952 წ.[5]

ჟ. დიუმეზილის „კავკასიური ენები“, 1952 წ.[6]

არნ. ჩიქობავას „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ორი ძირითადი საკითხის შესახებ“, 1955 წ.[7]

არნ. ჩიქობავას „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, მისი ზო-

---

[1] N. Troubetzkoy. Langues caucasiques septentrionales—კრებულში Les langues du monde, Paris, 1924.

[2] Н. Марр, Основные достижения яфетической теории, М.—Л., 1923.

[3] Н. Марр, Яфетические языки, БСЭ (I გამოც.), ტ. 65.

[4] R. Bleichsteiner, Die kaukasische Sprachgruppe, ჟურნ. Anthropos, Wien, 1937.

[5] К. В. Ломтатидзе и А. С. Чикобава, Иберийско-кавказские языки, БСЭ (II გამოც.), ტ. 17 (1952).

[6] G. Dumézil. Langues caucasiennes — კრებულში „Les langues du monde“ (II გამოც.), Paris, 1952.

[7] А. С. Чикобава, О двух основных вопросах изучения иберийско-кавказских языков — ჟურნ. «Вопросы языкознания», 1955, № 6, გვ. 66—92.

გად-ენათმეცნიერული განწყობანი და ძირითადი მიღწევები", 1958 [1].

არნ. ჩიქობავას „მთის იბერიულ-კავკასიური ენები და მათი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში", 1959 წ [2].

ბ. გაიგერის, ტ. ჰ. კუნის, ა. კუიპერსისა და კ. მენგეს „კავკასიის ხალხები და ენები", 1959 წ.[3]

გ. კლიმოვის „კავკასიური ენები", 1965 წ. [4]

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიის საკითხების შედარებით შესწავლას იძლევა ჟ. დიუმეზილის მონოგრაფია „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითს გრამატიკაში", 1933 წ. [5]

განხილვა ხუთ თავს შეიცავს და ძირითად საკითხებს იკვლევს:

თ ა ვ ი I. კლასების საკითხი (გვ. 1—44): შესავალი (კლასები ჩრდილო-დასავლურ, ჩრდილო-აღმოსავლურ და ჩრდილო-ცენტრალურ კავკასიურ ენებში): კლასის ფორმები ჩრდილო-აღმოსავლურ და ჩრდილო ცენტრალურ კავკასიურ ენებში: გონიერ-არაგონიერის გარჩევა; დ-, რ- ნიშნები: ჰიპოთეზები; კლასები აფხაზურში; პირისა და კლასის ნიშნები ჩრდილო-დასავლურ, ჩრდილო-ცენტრალურსა და ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ ენებში.

თ ა ვ ი II. ნაცვალსახელური ფუძეები (44—63): პირის ნაცვალსახელები: ჩვენებითი ნაცვალსახელები: ნაცვალსახელები და კითხვითი ელემენტები.

თ ა ვ ი III. სახელთა ბრუნება (64—91): სახელთა დაბოლოებანი ჩრდილო-დასავლურსა და ჩრდილო-ცენტრალურ, ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ ენებში; მრავლობითის სუფიქსები.

თ ა ვ ი IV. ზმნათა დროები (92—122): დროები ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენათა ზმნაში; დროები ჩრდილო-ცენტრალურ კავკასი-

---

[1] А. С. Чикобава, Иберийско-кавказское языкознание, его общелингвистические установки и основные достижения, Изв. АН СССР, Отд. лит. и яз., т. XVII (1958), вып. 2, გვ. 113—129.

[2] Arn. Tschikobava, Die ibero-kaukasischen Gebirgssprachen und der heutige Stand ihrer Erforschung in Georgien, ჟურნ. Acta Orientalia Hungarica, t. IX (1959), fasc. 2, გვ. 109—161.

[3] B. Geiger, T. Halási-Kuhn, A. Kuipers, K. Menge, Peoples and Languages of Caucase, 'S.-Gravenhago, ჯოლგია, 1959, 76 გვ.

[4] Г. А. Климов, Кавказские языки, Москва, 1965, 110 გვ.

[5] G. Dumézil, Introduction a la Grammaire comparée des langues caucasiennes du Nord, Paris, 1933, 149 გვ.

ურ ენათა ზმნაში: დროები ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ (ა და ბ) ენათა ზმნაში.

თ ა ვ ი V. ჩრდილო-კავკასიური და ბასკური (123—149): სახელთა ბრუნება: განსაზღვრულობის გამოხატვა და ჩვენებითი ნაცვალსახელები: სახელთა მრავლობითი; პირთა ნაცვალსახელები და პირის ნიშნები ზმნაში: კითხვით-მიმართებითი ნაცვალსახელები; შენიშვნები ზმნის შესახებ.

სხვა ასეთი შედარებითი ნარკვევი, სადაც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიას შედარებით განიხილავდეს, სპეციალურ ლიტერატურაში არ მოგვეპოვება. ბასკური ენის სახელისა და ნაწილობრივ ზმნის მორფოლოგიის შეპირისპირებითი ანალიზი საინტერესოა, პირველ ყოვლისა, საკითხის დასმით.

ვრცელ, სისტემატურ, მასთან ღრმა კვლევა-ძიების ნიმუშს წარმოადგენს ქეთ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ი ს მონოგრაფია „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. 1. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები“, თბ., 1976, 343 გვ.

შრომა შედგება რვა თავისაგან:

I. აფხაზურისა და აბაზურის ურთიერთობა და დიალექტური შეგენილობა:

II. აფხაზური და აბაზური სამწერლობო ენები;

III. ვოკალური სისტემა:

IV. ფონეტიკური პროცესები ხმოვნებსა და დიფთონგებში:

V. მახვილი:

VI. კონსონანტური სისტემა (სონანტები, სპირანტები, ხშულები):

VII. ფონეტიკური პროცესები (სპონტანური, პოზიციური):

VIII. კომპლექსები;

IX. აფხაზურ-აბაზურ ძირთა და ფორმანტთა ამოსავალი ტიპი.

ამრიგად, გამოკვლევა აგვიწერს აფხაზურ-აბაზურ ენათა ახლანდელ სისტემას და განიხილავს ამ სისტემის ისტორიის არსებით საკითხებს მდიდარი ენობრივი მასალის მოხმობით, როგორც ორივე სალიტერატურო ენის, ისე ოთხივე დიალექტისა და კილოკავ-თქმათა ჩვენების გათვალისწინებით.

დართული დიალექტური ტექსტები, მეტადრე აშხარულ-ტაპანთური. ფასეულ დოკუმენტაციადაა მისაჩნევი.

ადიღურ ენათა ფონეტიკის საკითხებს მონოგრაფია მიუძღვნა ბორ. ბალყაროვმა. ნარკვევში „ადიღურ ენათა ფონეტიკა“[1] ავტორი ცდილობს დააჯგუფოს და შეძლებისდაგვარად დაახასიათოს ხმოვნები და თანხმოვანთა ჯგუფები ადიღურ ენებში, ბგერათა პოზიციური ცვლილებები, ბგერისა და მარცვლის აგებულება, უაბარდოულისა (უაბარდოულ-ჩერქეზულისა) და ადიღეურის (ადიღეურ-ჩერქეზულის) ფონოლოგიური (უკეთ, ფონემათა) სისტემა; გარკვეული ადგილი ეთმობა ფონეტიკურ შესატყვისობის საკითხს ადიღურ ენათა მასალაში და ფონეტიკურ პროცესებს, როგორიცაა: სპირანტიზაცია, აფრიკატიზაცია, დელაბიალიზაცია, დეზაბრუპტივიზაცია... დასასრულ, წარმოდგენილია მსჯელობა „წინარეადიღური ენის“ ბგერათა და ფონემათა სისტემაზე, აგრეთვე იმის თაობაზე, თუ რა მიმართებაშია ადიღურის ფონეტიკური სისტემა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ბგერით სისტემასთან.

ნახურ ენათა ფონეტიკა-მორფოლოგიის შედარებით-ისტორიული ერცელი დახასიათება მოცემული აქვს იუნუს დ ე შ ე რ ი ე ვ ს[2], მასთან ვაინახ-ქისტების ისტორიულ ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებით.

შრომის პირველი ორი თავი წარმოადგენს ზოგად ისტორიულ შესავალს საკუთრივ ისტორიულ-შედარებითი გრამატიკისთვის.

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი — „მთის კავკასიური ხალხებისა და მათი ენების წარმოშობისა და ისტორიული განვითარების პრობლემები“ (გვ. 7—79) — განიხილავს ისეთ საინტერესო საკითხებს, როგორიცაა: ძველი ბერძენი ავტორები კავკასიის ენებისა და ხალხების შესახებ; არაბული წყაროები კავკასიის ხალხებისა და ენების შესახებ; ძველი სომხური წყაროები ნახური ხალხების შესახებ; ქართველურ-ნახური ისტორიული კავშირები და ძველი ქართული წყაროები; იბერიულ-კავკასიურ ხალხთა წინარე სამშობლოს საკითხისათვის; ჩრდილო-კავკასიისა და დაღესტნის ძველი ისტორიის ისტორიულ-ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული პრობლემები; კავკასიის ალბანეთისა და მთის კავკასიელ ხალხთა და მათი ენების პრობლემები; ურარტულისა და ნახურ ენათა გენეზისური ურთიერთობის საკითხისათვის; ნახური ეთნონი-

---

[1] Б. Х. Балкаров. Фонетика адыгских языков. Нальчик. 1970. 334 გვ.

[2] Ю. Д. Дешериев. Сравнительно-историческая грамматика нахских языков. Грозный. 1963. 533 გვ.

მიკა ტოპონიმიკა. ონომასტიკონი; თანამედროვე ნახური ხალხები: ნახჩუო „ჩაჩანი". ჯალჯაჲ „ღლიღვი", „ინგუში"; ბაცაე „წოვა"... ჩაჩნეთ-ინგუშეთის ისტორია ძველსა და შუა საუკუნეებში; ახალი ისტორია და რუსეთის პროგრესული როლი; თანამედროვე ენათმეცნიერება ჩაჩან-ინგუში ხალხისა და მისი ენის შესახებ.

ზოგად საკითხებს ეხება მ ე ო რ ე თ ა ვ ი ც: „ნახურ ენათა ისტორიული განვითარების გზები და მათ შესწავლაში შედარებით-ისტორიული მეთოდის გამოყენების საკითხები" (გვ. 83—171); აქ მსჯელობის საგანია ისეთი საკითხები, როგორიცაა: თანამედროვე ნახური (ვაინახური) ენები და დიალექტები, ჩაჩნური და ინგუშური სასაუბრო და სალიტერატურო ენები; ბაცბური ენის თავისებურებანი და ადგილი ნახურ ენათა წრეში; ნახურ ენათა ფონეტიკის, გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შედგენილობის ძირითადი თავისებურებანი; ნახურ ენათა და კილოთა ურთიერთმოქმედება, კავკასიის სხვა ენებთან ურთიერთობა და ამისი შედეგი... ენათა და ხალხთა წარმოშობითი ნათესაობის დადგენის ძირითადი კრიტერიუმები; იბერიულ-კავკასიურ ენათა წარმოშობითი ნათესაობა; ამ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია; ენათა ნათესაობა და ხალხთა ნათესაობა... შედარებით-ისტორიული მეთოდი, მისი არსი, პრინციპები და მეთოდური ხერხები; ამ მეთოდის ნაკლოვანებანი... შედარებით-ისტორიული მეთოდის დაზუსტება-სრულყოფისათვის... ძირისა და დეტერმინანტების საკითხი... რეკონსტრუქცია: ტრადიციული, შინაგანი, გარეგანი, საფეხურებრივი — პირდაპირი და რეტროსპექტული... საფეხურებრივი რეკონსტრუქციის ნაირსახეობანი... რეალური და ჰიპოთეტური რეკონსტრუქციის გამიჯვნის საჭიროების დასაბუთება... ენის სტრუქტურის სტატიკური (სინქრონული) ანალიზის გამოყენება შედარებით-ისტორიულ გამოკვლევებში. ამას მოსდევს გამოკვლევის ძირითადი ნაწილი: „ნახურ ენათა შედარებით-ისტორიული გრამატიკა". იგი ეხება ფონეტიკას (გვ. 175—370). მორფოლოგიას (გვ. 371—490), სინტაქსს (გვ. 491—513).

ფ ო ნ ე ტ ი კ ა შ ი გაანალიზებულია ნახურ ენათა ფონოლოგიური სისტემა: ვოკალიზმი — სადა ხმოვნები, დიფთონგები, ტრიფთონგები, ნაზალიზებული ხმოვნები... კონსონანტიზმი — აფრიკატები, გემინატები, სონანტები, ხშულები და ნაპრალოვნები — მკერდი და ყრუ, აფრიკატები, ყელხშულები (აბრუპტივები)... ხმოვანთა შეხამება,

თანხმოვანთა შეხამება... ფონეტიკური პროცესები — ჩაჩნურში, ინგუშურში, ბაცბურში... ბგერათშესატყვისობანი ნახურ ენათა შორის..

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა იწყება გრამატიკული კლასების საკითხით. შემდეგ განხილულია მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, სახელის ფუძის აგებულება... ბრუნვები... ზედსართავი სახელი... ნაცვალსახელი... რიცხვითი სახელი... ზმნა... ზმნისართი... დამხმარე სიტყვები (თანდებულები, კავშირები, ნაწილაკები)...

ს ი ნ ტ ა ქ ს ი იწყება შესიტყვებათა ტიპების განხილვით... მერე დახასიათებულია მარტივი წინადადება და მისი ტიპები... ჰიპოტაქსისა და პარატაქსის საკითხი ნახურ ენებში... დაბოლოს, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ნახურ ენებში...

ბოლო თავი (გვ. 517—533) ეძღვნება „ზოგად-ნახური ენის" დახასიათებას: ვოკალიზმი, კონსონანტიზმი... გრამატიკული კლასები.. ბრუნვათა სისტემა... ზმნა და უღლილების სისტემა... ნატვრითი კილო... სხვა ფორმები... ნახურ ენათა და ხალხთა ადგილი მთის კავკასიურ ენათა და ხალხთა გენეალოგიურ კლასიფიკაციაში...

უკვე წიგნის შინაარსის ამ ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, რომ ნახური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზის არც ერთი არსებითი საკითხი არ არის უყურადღებოდ დატოვებული.

ჩაჩნურ-ინგუშურისა და ბაცბურის ვოკალიზმისა და კონსონანტიზმის ვრცელი ისტორიულ-შედარებითი განხილვა მოცემულია დავ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოკვლევაში „ნახური ჯგუფის ენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი" [1].

დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკის ჩამოყალიბება არავის უცდია: წინასწარ არა ერთი საკითხი მოითხოვს გარკვევას. ევგ. ბ ო კ ა რ ე ვ ს ეკუთვნის „შესავალი დაღესტნის ენათა შედარებითს ფონეტიკაში", 1960 წ [2].

ერთობლივ დაღესტნურ ენათა კონსონანტიზმს ეხება ბაქ. გ ი გ ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს „დაღესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკა" [3].

---

1 Д. И м н а й ш в и л и. Историко-сравнительный анализ фонетики нахских языков, Тбилиси, 1977. 289 გვ.

2 Е. А. Б о к а р е в, Введение в сравнительную фонетику дагестанских языков, Махачкала, 1960.

3 Б. Г и г и н е й ш в и л и. Сравнительная фонетика дагестанских языков. Тбилиси, 1977, 165 გვ.

ტ. გუდავას „ანდიურ ენათა კონსონანტიზმი“ (1964 წ.)[1] შემოიხილავს ანდიურ ენა-კილოთა კონსონანტიზმის ახლანდელ შეცვლილობასა და ფონეტიკურ პროცესებს, როგორც პოზიციურს, ისე სპონტანური ხასიათისას (როგორიცაა: დელაბიალიზაცია, აფრიკატთა სპირანტიზაცია, დეზაბრუპტივიზაცია...).

აღსანიშნავია დაღესტნურ ენათა ლექსიკის შედარებითი კვლევის ცდები[2]

ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა ჯერაც არ მოგვეპოვება. 1872 წელს ლითოგრაფიულად გამოიცა ალ. ცაგარელის წიგნაკი „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“[3]; სტამბური წესით ეგეც შრომა 1957 წელს გამოსცა ა. შანიძემ.

1930 წელს გამოვიდა გ. დეეტერსის ცნობილი გამოკვლევა „ქართველურ ენათა ზმნა“[4].

არნ. ჩიქობავას „ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938 წ.) ძირითად ამოცანად ფუძეთა ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ანალიზს ისახავს.

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ გ. ა. კლიმოვისა (1964)[5]. ავტორი ცდილობს „ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ დაუპირისპიროს ისტორიულ-შედარებით ლექსიკონს...

ქართველურ ენათა ფონეტიკის შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავია: კ. ჰ. შმიდტის „ნარკვევები სამხრულ-კავკასიური ფუძეების ბგერითი შედგენილობის რეკონსტრუქციისათვის“[6];

თამ. გამყრელიძის „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქარ-

---

[1] Т. Е. Гудава. Консонантизм андийских языков, Тбилиси, 1964, 215 გვ.

[2] Сравнительно-историческая лексика дагестанских языков, М., 1971. 295 გვ. С. Хайдаков. Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков. М., 1973. 179 გვ.

[3] А. Цагарели, Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, С.-Петербург, 1872.

[4] G. Deeters. Das kharthwolische Verbum. Leipzig, 1930, 258 გვ.

[5] Г. А. Климов. Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964. 305 გვ.

[6] K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962, 160 გვ.

თეელურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი", თბ., 1959, 86 გვ.

ს. ჟ ღ ე ნ ტ ი ს „ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა", I, 1960 წ., 261 გვ.

გ. რ ო გ ა ვ ა ს „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები", I, 1962 წ., 149 გვ.

გ. შ ა ნ ი ძ ე ს „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა", 1965 წ., 134 გვ.

§ 7. იბერიულ-კავკასიურ ენათა აღსანიშნავად ხმარებული ტერმინები

იბერიულ-კავკასიური ენები სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინით აღინიშნებოდა და აღინიშნება:

1. „კავკასიური ენები", 2. „იაფეტური ენები", 3. „პალეო-კავკასიური ენები", 4. „ალაროდიული ენები".

„კავკასიური ენები" ყველაზე გავრცელებული ტერმინი იყო და ახლაც ხშირად ხმარობენ. სათანადო ენები ამჟამად თითქმის მხოლოდ კავკასიაში იხმარება; ეს საკმაო საფუძველს შექმნიდა იმისათვის, რომ ტერმინი „კავკასიური ენები" მიგვეჩნია შესაფერის ტერმინად, — ერთი გარემოება რომ არა: კავკასიაში სხვა ენებიც არის გავრცელებული (ი ნ დ ო-ე ვ რ ო პ უ ლ ი: სომხური, ოსური, თალიშური, ქურთული... თ უ რ ქ უ ლ ი: აზერბაიჯანული, ყუმიკური, ბალყარულ-ყარაჩაული...). „კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი" ენების გამიჯვნა „კ ა ვ კ ა ს ი ი ს" ენებისაგან ძნელდება, გარჩევა კი საჭირო არის.

ტერმინი „იბერიულ-კავკასიური" საშუალებას იძლევა ეს ენები გაირჩეს „კავკასიის ენებისაგან": იბერიულ-კავკასიური ენები ესაა იბერიული (ქართველური) და მონათესავე ენები. ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები" შემოღებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 1946 წელს.

ნ. მარი ამ ენებს ი ა ფ ე ტ უ რ ს უწოდებდა. „იაფეტური ენები" მეთვრამეტე საუკუნეში ინდო-ევროპულ ენათა აღსანიშნავად იყო გამოყენებული; იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ეს ტერმინი ნ. მარმა შემოიღო. ღონდ ტერმინის შინაარსი ნ. მარის მოღვაწეობაში იცვლებოდა: 1908—1915 წწ. „იაფეტური ენები" ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენათაგან მხოლოდ „ქართველურ ენებს" გულისხმობდა.

შემდეგში (1915—1923 წწ.) „იაფეტურ ენებს" ნ. მარი უწოდებდა

ქართველურსა და მათ მონათესავე მთის კავკასიურ ენებს, სახელდობრ. აფხაზურ-ადიღურ, ნახურსა და დაღესტნურ ენებს: იმხანად „იაფეტური ენები" მოიცავდა ოთხივე ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენებს.

მომდევნო წლებში „იაფეტური ენები" მონათესავე ენათა ერთეულს (ოჯახს) აღარ აღნიშნავს, გენეალოგიური კლასიფიკაციის ცნებას აღარ წარმოადგენს: იაფეტური ენები ქმნიან „სისტემას" („იაფეტურ ენათა სისტემას") ანდა კიდევ „სტადიას" („იაფეტურ ენათა სტადიას"). ეს ცნება ზოგჯერ „მორფოლოგიურ ტიპსაც" გულისხმობს, ხან კიდევ „განვითარების საფეხურს"[1].

ამრიგად, ცნებას „იაფეტური ენები" განსხვავებული, ზოგჯერ კი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ეს გარემოება აძნელებს ხსენებული ტერმინის გამოყენებას.

ბოლო ხანებში „იბერიულ-კავკასიური ენების" სინონიმად ტერმინი „პალეო-კავკასიური"-ც გვხვდება[2]. ტერმინი „პალეო-კავკასიური" („ძველისძველი კავკასიური") ჰოლანდიელ ენათმეცნიერს კ. ულენბეკს ეკუთვნის.

ტერმინი „პალეო-კავკასიური" გულისხმობს, რომ სათანადო ენები კავკასიის სხვა ენებთან (ინდო-ევროპულ და თურქულ ენებთან) შედარებით უფრო ძველია კავკასიის მიწაწყალზე; თუ ასე გავიგებთ, „პალეო-კავკასიური" მართებული ტერმინია. მაგრამ თუ მას გავიგებთ, როგორც კავკასიის ენდოგენური მოსახლეობის ენებს, ზუსტი არ იქნებოდა: „ძველი კავკასიური" კიდევ არ ნიშნავს „კავკასიაში წარმოქმნილს".

იბერიულ-კავკასიური ენები ფრიც ჰომელმა მოაქცია ალაროდიულ ენათა წრეში, ე. ი. იმ ენათა წრეში, რომელსაც წინააზიის ძველი, აწ მკვდარი ენები (ურარტული, ჰურიტული, პროტოხეთური, შუმერული...) განეკუთვნება. ბუნებრივია, უპირატესობა მიეცეს ტერმინს, რომელიც ახლანდელ ვითარებას ემყარება და მასთან გეოგრაფიულ ტერმინში („კავკასიის ენები") არ აირევა.

---

[1] „იაფეტური ენები წარმოადგენენ თავისებურ სისტემას, რომელიც გამოიყო (განიცადა) ყველა სხვა სისტემის ენებმა" — ნ. მარი.

[2] „კავკასიის ხალხები და ენები"—„Peoples and Languages of the Caucasus" by B. Geiger, T. Halási-Kun, A. Kuipers, K. Menges, 1959, 'S.-Gravenhage. 77 გვ. ცნობები კავკასიურ ენათა შესახებ ამ შრომაში ეკუთვნის ა. კუიპერსს.

ასეთი ჩანს ტერმინი „ი ბ ე რ ი უ ლ-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ე ნ ე ბ ი".

ზოგი ავტორი (მაგალითად, ი. კარსტი) ხმარობს ტერმინს „იბერიულ-კავკასიური ენები" სხვა გაგებით: „კავკასიური" გულისხმობს, როგორც ჩრდილო კავკასიურს (მთის კავკასიურს), ისე სამხრულ-კავკასიურ (ქართველურ) ენებს, „იბერიული" — პირენეს ნახევარკუნძულის ბეული იბერებისა და ახლანდელი ბასკების ენას [1].

ამ შემთხვევაში იბერიულ-კავკასიური ძველისძველი ჰ ი პ ო თ ე ზ უ რ ი ენობრივი წრის „მაკროსამყაროს" გულისხმობს.

„იბერიულ-კავკასიური" ენები, როგორც რ ე ა ლ უ რ ი „მიკროწრე" ამჟამად არსებული ენებისა იმ ჰიპოთეზური ენების „მაკროსამყაროს" არსებობას არ გამორიცხავს.

§ 4. იბერიულ-კავკასიურ ენათა დაჯგუფება და საამისო საფუძვლები

იბერიულ-კავკასიურ ენათა დაჯგუფება უცდიათ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა თვალსაზრისით; ეს თვალსაზრისებია: ა) გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი — გავრცელების ადგილის მიხედვით; ბ) ი ს ტ ო რ ი უ ლ-ე თ ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი; გ) ი ს ტ ო რ ი უ ლ-ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი; დ) ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ-ტ ი პ ო ლ ო გ ი უ რ ი.

გავრცელების ადგილის მიხედვით განასხვავებენ სამხრულ-კავკასიურსა და ჩრდილო-კავკასიურ (ანუ მთის კავკასიურ) ენებს; ამ უკანასკნელთ ხან ორ ჯგუფად ყოფენ (დასავლურ ანუ აფხაზურ-ადიღურ ჯგუფად და აღმოსავლურ ანუ ნახურ-დაღესტნურ ჯგუფად), ხან კიდევ — სამ ჯგუფად; ეს ჯგუფებია: 1. აფხაზურ-ადიღური, 2. ნახური და 3. დაღესტნური. ზოგჯერ დაღესტნურ ენებშიც ჯგუფებს გამოყოფენ, უფრო ხშირად — ქვეჯგუფებს.

ზოგჯერ გეოგრაფიულ ტერმინებს (აღმოსავლური, დასავლური, სამხრული) ენაცვლება უფრო დეტალიზებული ჩ რ დ ი ლ ო-დ ა ს ა ვ ლ უ რ ი, ჩ რ დ ი ლ ო-ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი, ს ა მ ხ რ ე თ-ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი, ს ა მ ხ რ ე თ-დ ა ს ა ვ ლ უ რ ი.

ზემოხსენებულ დაჯგუფებათა ნიმუშებია წარმოდგენილი ქვემოთ.

ფრიდრიხ მიულერი განასხვავებს: ჩ რ დ ი ლ ო-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ს ა და ს ა მ ხ რ უ ლ-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ე ნ ე ბ ს. ჩრდილო-კავკასიური

[1] Jos. **K a r s t**, Grundzüge der vergleichenden Grammatik des Ibero-Kaukasischen, Lpz, 1934.

ენებია: აფხაზური, ხუნძური, ლაკური, არჩიბული, ჰიურკანული (ე. ი. დარგუული), კიურული (ე. ი. ლეზგიური), ჩაჩნური, ქისტურ-თუშური (ე. ი. პაცბური), უდიური: სამხრულ-კავკასიურ ოჯახს ქმნის: ქართულ-, მეგრული, ლაზური და სვანური [1].

რიხარდ ერკერტი აგრეთვე ორ ჯგუფს გამოყოფს: სამხრულ-კავკასიურს ანუ იბერიულს და ჩრდილო-კავკასიურს ანუ მთის ენებს; ამ უკანასკნელთაგან: დასავლურია აფხაზურ-ჩერქეზული, ხოლო აღმოსავლურში გაირჩევა: ჩრდილო-დასავლური (ჩაჩნური, დიდიური, ანდიური, ხუნძური, დარგუული, ლაკური) და სამხრულ-აღმოსავლური (კიურული) ჯგუფი (არჩიბული, რუთულური, წახური; თაბასარანული, ალულური, კიურული: ბუდუხური, ჯეკური, ხინალუღური; უდიური)[2].

რ. ერკერტის დაჯგუფებას ემყარება ფ. ფინკი შრომაში „დედამიწის ენები"[3].

ად. დირის შრომაში „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში" (1928 წ.) გარჩეულია: I. ჩრდილო-დასავლური ენები (აფხაზურ-ადიღური ენები); II. სამხრულ-დასავლური ენები (ქართველური ენები) და III. ჩრდილო-აღმოსავლური ენები; ეს უკანასკნელი იყოფა ორ ჯგუფად: A. ჩაჩნური ჯგუფი, B. დაღესტნური ჯგუფი [4].

ად. დირი ჩაჩნურსა და დაღესტნურს აერთიანებს III ჯგუფში, დაღესტნურში ქვეჯგუფები არ გამოიყოფა.

1967 წ. გამოსულ კრებულში „იბერიულ-კავკასიური ენები"[5] ჩაჩნური (ნახური) ენები ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი დაღესტნურ ენათა გვერდით.

ალფ. ტრომბეტი, რომელიც დედამიწის ყველა ენას ორ დიდ შტოდ ყოფს (აფრიკისა და ოკეანიის ენები და ევრაზიისა და ამერიკის ენე-

---

[1] Fr. Müller, Grundriß der Sprachwissenschaft, III Bd., II Abth. I Hälfte, 1885, გვ. 49.

[2] R. Erckert, Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895.

[3] F. Fink, Die Sprachen des Erdkreises, II გამოცემა, 1915.

[4] Ad. Dirr, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, 1928, გვ. 18.., 57..., 131.

[5] Языки народов СССР, IV, Иберийско-кавказские языки, М., 1967.

ბი) კავკასიურ ენებს (წინააზიისა და მცირე აზიის რიგ ენებთან ერთად) ევრაზიის ენათა წრეში განიხილავს და 7 ჯგუფად ყოფს:

I. ქართველური (ქართული, მეგრული და ჭანური, სვანური);

II. აფხაზურ-ადიღური (აფხაზურ-ჩერქეზული, უბიხური);

III. ჩაჩნური (ჩაჩნური, ინგუშური, თუშური);

IV. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური: ამ ჯგუფში შეტანილია არჩიბული;

V. ლაკური და დარგუული;

VI. უდიური;

VII. ლეზგიური (ციურიულ-აღულურ-თაბასარანული; რუთულური, წახური; ჯეკური და ბუდუხური, ხინალუღური).

ყურადღებას იქცევს ლეზგიური ჯგუფიდან უ დ ი უ რ ი ს ც ა ლ კ ე ერთეულად გამოყოფა და არჩიბულის შეტანა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ჯგუფში[1].

ჩ რ დ ი ლ ო-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ენებს ორ ჯგუფად ყოფს ნიკ. ტრუბეცკოი; ერთია — ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ანუ ჩ ა ჩ ნ უ რ-ლ ე ზ გ ი უ რ ი და მეორე — დ ა ს ა ვ ლ უ რ-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ანუ ა ბ ა ზ გ უ რ-კ ე რ კ ე ტ უ ლ ი (ე. ი. აფხაზურ-ადიღური)[2].

ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ-კ ა ვ კ ა ს ი უ რ შ ი გამოიყოფა 8 ჯგუფი: 1. ჩაჩნური, 2. ხუნძურ-ანდიური, 3. ლაკური, 4. დარგუული, 5. სამურისა (ციურული, აღულური, თაბასარანული, ბუდუხური, ჯეკური: რუთულური, წახური). 6. არჩიბული, 7. უდიური, 8. ხინალუღური[3].

დ ა ს ა ვ ლ უ რ-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ენები ანუ აბაზგურ-კერკეტული (აფხაზურ-ადიღური) ოჯახი სამი ჯგუფისაგან შემდგარად მიაჩნია ნ. ტრუბეცკოის; ესენია: ადიღური, უბიხური და აფხაზური[4].

ნ. ტრუბეცკოის სქემისათვის დამახასიათებელია ლეზგიური ქვეჯგუფიდან გამოიყოფა არჩიბულისა, უდიურისა და ხინალუღურისა და მათი მოქცევა ისეთ ერთეულთა რიგში, როგორიცაა: ჩაჩნური, ხუნძურ-ანდიური, ლაკური, დარგუული.

საბრულ-კავკასიურ ენებს ნ. ტრუბეცკოი არ ეხება. ქართველური ენები ჩრდილო-კავკასიურის მონათესავედ ნ. ტრუბეცკოის არ მიაჩნია.

---

[1] Alf. Trombetti, Elementi di glottologiu, Bologna, 1923, გვ. 128.

[2] Les langues du monde, I გამოც., 1924, გვ. 327.

[3] იქვე. გვ. 330—333

[4] იქვე. გვ. 337—338.

„მსოფლიო ენათა“ ახალ გამოცემაში (1952 წ.) კავკასიურ ენათა ასეთი დაჯგუფება აქვს მოცემული ჟ. დიუმეზილს:

I. ჩრდილო-კავკასიური ენები[1] და II. სამხრულ-კავკასიური ენები[2] ე. ი. ქართველური ენები (გვ. 246—251).

ჩ რ დ ი ლ ო-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ენებში გამოიყოფა:

A. ჩ რ დ ი ლ ო-ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი[3] და ჩ რ დ ი ლ ო-ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი[4].

ჩ რ დ ი ლ ო-ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი მოიცავს:

I. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ჯგუფს;

II. ლაკურს;

III. დარგუულს;

IV. არჩიბულს;

V. ლეზგიურ-თაბასარანულს; ამაში შემოდის: ლეზგიური, თაბასარანული, აღულური; ბუდუხური, ჯეკური (ჰაპუთლი და კრიწული დიალექტებით) და ხინალუღური; რუთულურ-წახური;

VI. უდიური.

ჩ რ დ ი ლ ო-ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ენებია: ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური (გვ. 233—235).

B. ჩ რ დ ი ლ ო-დ ა ს ა ვ ლ უ რ ი ენებია: ჩერქეზული (ე. ი. ადიღური), უბიხური და აფხაზური (იქვე, გვ. 240—244).

ჟ. დიუმეზილის კლასიფიკაცია ყველაზე ახლოს დგას ნ. ტრუბეცკოისეულთან: არჩიბული და უდიური ცალკე ერთეულებად არის წარმოდგენილი; ჩაჩნური (ჩრდილო-ცენტრალური) გაერთიანებულია ჩრდილო-აღმოსავლურ (დაღესტნურ) ენებთან. ნ. ტრუბეცკოისა და ჟ. დიუმეზილის სქემები თავის მხრივ ალფ. ტრომბეტისას მოგვაგონებს.

არც ქართველურს, არც აფხაზურ-ადიღურსა და არც ნახური ჯგუფის ენებში ქვეჯგუფებს არ გამოყოფენ; დაღესტნურ ენათა ქვეჯგუფების გამოყოფას საფუძვლად უდევს მეტ-ნაკლები სხვაობა, რაც მათ შორის არსებობს ამჟამად: ეს სხვაობა, პირველ ყოვლისა, მორფოლოგიას ეხება.

---

[1] Langues du Nord. „Les langues du monde“, 1952, გვ. 230.

[2] Langues du Sud, გვ. 245.

[3] Langues du Nord-Est.

[4] Langues du Nord-Centre.

ყველაზე მეტად უდიური და არჩიბული იქცევს ყურადღებას.

არჩიბული ენა ჩვეულებრივად ლეზგიური ჯგუფისად მიაჩნიათ. ნ. ტრუბეცკოი და ჟ. დიუმეზილი არჩიბულს (ისევე, როგორც უდიურს) ცალკე ერთეულად თელიან ლეზგიურ (სამურის) ენათა, ლაკურისა და დარგუულის გვერდით.

ალფ. ტრომბეტიმ არჩიბული მოაქცია ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ჯგუფში. ად. დირი არჩიბულს ნარეკ ენად თვლის; მასზე ძლიერი გავლენა მოუხდენია როგორც ხუნძურს, ისე — ლაკურსაო [1]. რუთულურის, წახურისა და ხინალუღურის შესწავლის შემდეგღა შევძლებ არჩიბული ენის ადგილი გავარკვიოო, წერდა ა. დირი (რუთულურისა და წახური ენების შესახებ მონოგრაფიები ად. დირმა გამოაქვეყნა 1911 და 1913 წწ., მაგრამ არჩიბულის საკითხი წინანდებურად გაურკვეველი დარჩა). ლეზგიურ ენათა ახალი კლასიფიკაცია შემეძლო წარმომედგინა, მაგრამ ამას სხვა დროისათვის ვდებო [2]. ხინალუღურის, ჯეკურისა და ბუდუხურის შესწავლის შემდეგ ა. დირი ვარაუდობდა ლეზგიურ ენათა ერკერტისეული კლასიფიკაცია გაესწორებინა (იქვე, გვ. VI).

ფრ. მიულერი უდიურ ენას თვლიდა გარდამავალ საფეხურად ნახური (ჩაჩნური) ჯგუფიდან ქართველურ ენათა ჯგუფისაკენ: საფუძველს ამისთვის იძლეოდა უდიურის მორფოლოგია (ზმნის უღვლილება—პიროვან-სუბიექტური, ერგატივის ადგილი ბრუნვათა სისტემაში...).

ტრომბეტის, ტრუბეცკოის, დიუმეზილის სქემებში უდიური ლეზგიურ ჯგუფში არაა შეტანილი, ცალკე ერთეულად აქვთ მიჩნეული.

ლეზგიური (ყიურული, სამურის) ჯგუფის ენებს ნაირ-ნაირი ცვლილება განუცდიათ; მეტადრე ეს ითქმის მორფოლოგიაზე. ამიტომ ჭირს თანამედროვე ვითარების მიხედვით მათი დაჯგუფება: სინქრონიული კლასიფიკაცია დიაქრონიის შედეგთა გაველენას თავს ვერ აღწევს.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფები ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნიშნის მიხედვითაა სახელდებული ივ. ჯავახიშვილის

---

[1] А. Дирр, Арчинский язык, 1908, გვ. I; იხ. აგრეთვე: Е. А. Бокарев, Краткие сведения о языках Дагестана, 1949, გვ. 22.

[2] А. Дирр, Рутульский язык, 1911, გვ. 4; მისივე: Цахурский язык, 1913, გვ. 6.

მიერ[1]. „ქართულ-ქართველურის“ გარდა ივ. ჯავახიშვილი ხმარობს ტერმინებს: „სინდური ენები“ — აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებისათვის; „ღილღური ენები“ — ნახური ჯგუფისათვის; „ლეგურ-ალბანური ენები“ — დაღესტნური ენებისათვის („ალბანური“ აწინდელი ლეზგიური ქვეჯგუფის აღმნიშვნელია, „ლეგური“ კიდევ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურისა, ლაკურისა და დარგუულისა).

სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ერთიანდება ტერმინით შარომატული (ანუ საურმატების, სარმატების) ენები; ხოლო ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას მოიცავს ტერმინი „ქართულ-შარომატული ენები“ და შესაბამისად „ქართულ-შარომატული ენათმეცნიერება“[2].

ტერმინები „სინდური“, „ღილღური“, „ლეგური“, „ალბანური“ ბერძნულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ ტომთა სახელებს ემყარება: სინდები ერთ-ერთი ადიღური ტომია, „ღილღ“-, „ღალღა“ ძვ. ბერძ. géloi-ს უკავშირდება, „ლეგ“ — légoi-ს, ალბანური — კავკასიის ალბანელ ტომებს, კავკასიის ალბანელებს. ტომთა ხსენებული ძველი ტერმინები ავტორს გამოყენებული აქვს თანამედროვე ენა-ჯგუფებისათვის.

სემიტურ ენებთან ქართულის ნათესაობა იყო ამოსავალი ნიკო მარისათვის. ქართულ-ქართველურ ენებს ამიტომ უწოდა ნ. მარმა იაფეტური ენები. ცნება „იაფეტური ენები“ „სემიტური ენების“ კორელატია: ამ კორელაციას ისტორიულ-გენეზისური საფუძველი აქვს ნ. მარისათვის.

ამდენად ქართველურ ენათა ნ. მარისეული კვალიფიკაცია ისტორიულ-გენეზისურია.

როცა შემდეგში ქართველური ენები ნ. მარმა აფხაზურის, ადიღურის, ნახურ-ქისტურისა და დაღესტნურ ენათა მონათესავედ მიიჩნია, ტერმინმა „იაფეტური“ მოიცვა ყველა იბერიულ-კავკასიური ენა; ჩამოყალიბდა ცნება: „იაფეტურ ენათა ოჯახი“.

საინტერესოა, რომ ნ. მარისთვის იაფეტურ-ქართველური ენები

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937

[2] იქვე. გვ. 624—625.

(ე. ი. ქართული, მეგრული, ჭანური, სვანური) თავდაპირველად (1910 წ.) ე რ თ ი ჯ გ უ ფ ი როდი იყო, არამედ ოთხი ჯგუფის ნარჩენი: იაფეტური ენები წარმოადგენდნენ სემიტურ ენათა მონათესავე შტოს; ამ შტოში შედიოდნენ ჯგუფები: 1. ქაშდ-მოსოხური, 2. თუბალ-კაინური, 3. სონ-სომეხური, 4. გამოუცნობ ენათა ჯგუფი.

პირველი ჯგუფისაგან ქართული დაგვრჩა, მეორისაგან — მეგრული (ანუ „ივერული"), მესამისაგან — სვანური (იაფეტურის დანალექებს ნ. მარი ჰაიკურსა და არმენულ სომხურშიც ვარაუდობდა) [1].

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, იაფეტურ-ქართველური ენებში ნ. მარი ჯერ კიდევ 1910 წელს კონვერგენციის (შეჯვარების) შედეგს გახაზავდა.

ნ. მარმა სცადა იაფეტურ-ქართველური ენები ფონეტიკური ნიშნის მიხედვით დაეხასიათებინა: ქართული სიტყვის ფუძე თუ ს ი ს ი ნ ა თანხმოვანს შეიცავს (მაგ., სული), ჭანურსა და მეგრულს შ ი შ ი ნ ა თანხმოვანი მოუდის (შური „სული"), სვანურს კიდევ „სპირანტი" (უკეთ: ფშვინვიერი უკანაენისმიერი) თანხმოვანი (ქვინ „სული").

„სისინა", „შიშინა", „სპირანტული" და მათი შეჯვარება („შიშინა-სპირანტული", „სისინა სპირანტული") ნ. მარის ვარაუდით ნიშანდობლივი იყო ისეთი იაფეტური ენებისათვის, როგორიცაა ქართული, ჭანური, მეგრული, სვანური და აფხაზური.

ამათ დაემატა „ს ო ნ ო რ უ ლ ი" ტიპი, როდესაც იაფეტურ ენებად გამოცხადდა ნახური და დაღესტნური ენები.

ნ. მარის ეს თვალსაზრისი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ რეალური მნიშვნელობა მას ქართულისა და მეგრულ-ჭანურისათვის თუ აქვს; სვანურში, აფხაზურში სპირანტული ფენის საილუსტრაციო მასალაც კი მცირეა, ხოლო ნახურ და დაღესტნურ ენათა სონორულობაზე მსჯელობა ხელშესახებს არაფერს იძლევა.

ცნება „კავკასიური ენები" თავდაპირველად ნეგატიური ნიშნის მიხედვით იყო გამოყოფილი ფრიდრიხ მიულერის მიერ 1864 წ. ეს ენები მხოლოდ კავკასიის მიწა-წყალზე გვხვდება ამჟამად; ისინი არც ინდოევროპულ, არც ურალურ-ალთაურ და არც სემიტურ ოჯახს არ ეკუთ-

[1] Н. Я. Марр. Грамматика чан. языка, 1910, გვ. 15.

ვნიან (მსგავსად ბასკურისა დასავლეთში — ისინი განმხოლოებულ რელიქტურ ენათა წრეს ქმნიან)[1].

რა აქვს საერთო ამ არაინდოევროპულ, არათურქულ... ენებს? გარკვეული საერთო სტრუქტურული ნიშნები; ეს ნიშნები 1885 წელს იმავე ფრ. მიულერმა ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

1. ხმოვანთა სიმცირე და თანხმოვანთა (მეტადრე ყელისმიერ და სისინა თანხმოვნების) სიმრავლე;

2. თანხმოვანთა თავყრას იგუებს;

3. აგლუტინაციის პრინციპი გაბატონებულია, მაგრამ ფლექსიისაკენ იხრება;

4. სუფიქსაციის გარდა — პრეფიქსაცია;

5. სახელიც და ზმნაც ფორმებით მდიდარია, მასთან მკაცრად გარჩეული;

6. სქესის გარჩევა: ცოცხალისა და არაცოცხალის, გონიერისა და არაგონიერის, მამრობითისა და მდედრობითის გარჩევა;

7. ობიექტის აღნიშვნა ზმნაში (მსგავსად ბასკურისა);

8. თვლის ოცობითი სისტემა (გარდა ლაკურის, დარგუულისა და არჩიბულისა)[2].

თუ 1885 წ. ფრ. მიულერი მხოლოდ საერთო სტრუქტურული ნიშნების მიხედვით აერთიანებდა ჩრდილო-კავკასიურსა და ქართველურ ენებს, ათი წლის შემდეგ, 1895 წ. მას შესაძლებლად მიაჩნია ეს ენები მონათესავე ენებად დასახოს: რიხ. ერკერტის წიგნის წინასიტყვაობაში ფრ. მიულერი წერს: ამ წიგნში მრავალი ისეთი ენაა განხილული, რაც დამაკავშირებელ რგოლსა ქმნის და ჩემთვის უცნობი იყოო (1885 წ.), ...ცხადი ხდება, რომ ეს ენები ერთი საერთო წინარე ენიდან მომდინარეობენ და ერთ დამოუკიდებელ ენათა ოჯახს ქმნიანო („ოჯახს, რომელიც არც ერთი ცნობილი ენათ-ოჯახის ნათესავი არაა")[3].

---

[1] Fr. Müller, Über die sprachwissenschaftliche Stellung der kaukasischen Sprachen — „Orient und Occident"..., Göttingen, 1864. ტ. II, გვ. 526.

[2] Fr. Müller, Grundriß der Sprachwissenschaft. Bd. III, Abth. II (1885), გვ. 48.

[3] Rich. Erckert, Die Sprachen des kaukasischen Stammes, 1895, Vorrede, VI.

იბერიულ-კავკასიურ ენათა (იაფეტურ ენათა) ნათესაობა ნ. მარმაც ივარაუდა (1915 წ.): ქართული აფხაზურ-ჩერქეზულთან, ჩაჩნურთან და დაღესტნურ ენებთან ერთ ოჯახს ქმნის, იაფეტურ ენათა ოჯახსაო' („კავკასიურ ენათა შესწავლამ დაადგინა, რომ არსებობს კიდევ ერთი ოჯახი, სამუალება მოგვეცა გამოგვეყო ცალკე მეოთხე ოჯახი, იაფეტურ ენათა ოჯახი, რომელიც არ ენათესავება არც არიულ-ევროპულ ოჯახს, არც თურქულ ოჯახს, მაგრამ ღვიძლი ნათესავია სემიტურ ენათა ოჯახისაო") [2].

დებულება იგივეა, რაც ოცი წლის წინ ფრ. მიულერმა წამოაყენა— ცალკე ოჯახიაო, ოღონდ ეს ცალკე ოჯახი, ფრ. მიულერის თქმით, არც ერთ სხვა ოჯახს არ ენათესავება, ხოლო ნ. მარს სემიტურ ენათა ოჯახის ახლო მონათესავედ ჰქონდა წარმოდგენილი.

აღ. დირს გარკვეული პასუხი არ მოუცია კითხვაზე, რას გულისხმობს ცნება „კავკასიური ენები", მონათესავე ენებს თუ ტიპოლოგიურ ერთიანობას. ანდა დაახლოების შედეგს (ახლა რომ „ენათა კავშირი" ეწოდება): „ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვითხრია საკმაოდ ღრმად, რომ შეგვეძლოს თქმა, ყველა სამი ძირი (იგულისხმება: ქართველური, აფხაზურ-უბიხურ-ჩერქეზული და ჩაჩნურ-დაღესტნური ენები) საერთო ღეროდან მოდის, თუ ეს სამი ღერო ერთმანეთს შეზრდია იმდენად, რომ გამოცნობა ჭირს" [3].

---

[1] Н. Марр. Кавказоведение и абхазский язык. 1915; Избр. раб., I, გვ. 66.

[2] უფრო გვიან ნ. მარმა ენათა წარმოშობითი ნათესაობა უარყო: „ენათა ოჯახს" „ენათა სისტემა" და „ენათა სტადია" დაუპირისპირა. სტადია ენას ახასიათებდა იმის მიხედვით, თუ საერთოდ ენათა განვითარების რა საფეხურს წარმოგვიდგენს იგი, ნიშნები კი, რის მიხედვითაც სტადია უნდა გამოიყოს, არც ნ. მარს, არც მის მიმდევრებს, არ დაუდგენიათ. ამიტომ „იაფეტური სტადიის ენები" დარჩა გაურკვეველ ცნებად.

[3] აღ. დირი, შესავალი, Einführung, 1928, გვ. 1.

იმავე დროს აღ. დირი სარწმუნოდაც კი თვლის, რომ კავკასიურ ენებს უკავშირდება წინა აზიისა და მცირე აზიის ძველი ენები (ურარტული, ჰურიტული ანუ მიტანი, ელამური, ხეთური), ხმელთაშუა ზღვის ენებიდან — კრეტული, ეტრუსკული, იბერიული და ბასკური (—„შესავალი", Einführung, გვ. 21).

თუ ცნება „კავკასიური ენები" მოიშალა (სამი განსხვავებული ძირის ენები გვაქვს), როგორღა შეიძლება „კავკასიურის" კორელატები ეძიოთ წინა აზიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ენებში?

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: 1904 წ. დირი წერდა: „კავკასიური ენები შე-

ად. დირის შეხედულებამ. უნდა ვიფიქროთ, განიცადა ნიკ. ტრუბეცკოის დებულების გავლენა.

ამ გავლენას თავი ვერ დააღწიეს შემდგომი დროის მკვლევრებმაც, მეტადრე იმათ, ვისაც საშუალება არა ჰქონია სხვადასხვა ჯგუფის ენები უშუალოდ გაეცნო და არსებული სხვაობის ისტორია ეკვლია.

1924 წელს ნიკ. ტრუბეცკოიმ უარყო იბერიულ-კავკასიურ ენათა წარმოშობითი ერთიანობა: ჩრდილო-კავკასიის ენები (აფხაზურ-ადღური, ნახურ-ქისტური და დაღესტნური ენები) ერთმანეთის მონათესავე ჩანან; რაც შეეხება ჩრდილო-კავკასიურ ენათა ნათესაობას სამხრულ-კავკასიურ ენებთან, ეს ნათესაობა არც თავისთავად არის ცხადი და არც მეცნიერულად არის დამტკიცებულიო[1]. ამიტომ უმჯობესია „კავკასიური ენები" ვიხმაროთ, როგორც გეოგრაფიული ცნებაო.

თუ „კავკასიური ენები" გეოგრაფიული ცნებაა, მას ვერ ვიხმართ ისეთ ცნებათა გვერდით, როგორიცაა „ინდო-ევროპული ენები", „სემიტური ენები", „უნგრულ-ფინური ენები", რამდენადაც არც ერთი ეს ცნება არ არის გეოგრაფიული (არამედ ისტორიულ-გენეზისურია).

„კავკასიურ ენებს" უნდა ჰქონდეს ენათმეცნიერული (და არა გეოგრაფიული) შინაარსი. თუ მას გეოგრაფიულ ცნებად მივიჩნევთ, ამით კავკასიური ენები, როგორც ლინგვისტური ცნება, უარყოფილი იქნება: მაშინ უნდა ვიხმაროთ „ჩრდილო-კავკასიური ენები", „სამხრულ-კავკასიური (ქართველური) ენები...", ცნება „კავკასიური ენები" — გამოირიცხება.

ნ. ტრუბეცკოი გახაზავდა, ჩრდილო-კავკასიურ ენათა ნათესაობა სამხრულ-კავკასიურ ენებთან დამტკიცებული არ არისო, ე. ი. შედარებითი გრამატიკა და შედარებითი ლექსიკონი არ გვაქვს დამუშავებულიო. მაგრამ ასეთი გრამატიკა და ლექსიკონი არც ჩრდილო-კავკასიურ ენათა შესახებ მოგვეპოვება. მერეა-და, ლეზგიური ენა — ყველაზე აღმოსავლური წევრი, და აფხაზური ენა — ჩრდილო-დასავლეთი ჯგუფის ენებიდან. დიდად განსხვავდებიან — გრამატიკული მოვლენე-

---

მ-ერთებელი რგოლი ჩანს ინდო-ევროპულსა და ქამიტურ-სემიტურ ენებთან, ერთი მხრით, ინდო-ევროპულ და ურალურ-ალთაურ ენებთან, მეორე მხრითაო" «Кавказское языковедение, его история и будущие задачи», — Изв. КОИРГ Общества. т. XVII. вып. 5 (1904). 368—380.

[1] „მსოფლიოს ენები", Les langues du monde, 1924, გვ. 327.

ბითაც და ლექსიკითაც: ასე რომ, ვერ ვიტყვით, ამ ენათა ნათესაობა ცხადია თავისთავადაო.

ყოველ შემთხვევაში, აფხაზური ქართულთან უფრო ახლოსაა, ვიდრე იგივე აფხაზური — ლეზგიურთან.

სამწუხაროდ, ნ. ტრუბეცკოის ხელი არ მოუწვდებოდა ქართულ (და სხვა ქართველურ ენათა) მასალაზე, რომ ჩრდილო-კავკასიურ და ქართველურ ენათა ურთიერთობის შესახებ დამოუკიდებლივ ემსჯელა.

საერთოდ ენათა ნათესაობის შესახებ ნ. ტრუბეცკოიმ შემდეგში აზრი გამოიცვალა: ინდო-ევროპული ენები სტრუქტურულ ნიშანთა კომპლექსით განისაზღვრებაო (და, მაშასადამე, არა ამ ენათა წარმოშობითა და შესაბამისად, ლექსიკურ და მორფოლოგიურ ნიშანთა ერთობით); ეს სტრუქტურული ნიშნები შეიძლება არ მოეპოვებოდეს ენას, მაგრამ დროთა ვითარებაში შეიძინოსო. ამგვარად, არაინდოევროპული ენა იქცევა ინდო-ევროპულად და — პირუკუ.

ასეთი გაგება აუქმებს ნ. ტრუბეცკოის წინანდელ აზრს ჩრდილო-კავკასიურ ენათა ურთიერთობის შესახებაც და ჩრდილო-კავკასიურ ენათა სამხრულ-კავკასიურთან (ქართველურ ენებთან) ნათესაობითი ურთიერთობის შესახებ: ნათესაობის, როგორც ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის საკითხი, მოიხსნა მაშინაც, როცა ენები (ჩრდილო-კავკასიური) მონათესავედ მიაჩნდა ავტორს, და მაშინაც, როცა ისტორიულ-გენეზისური ნათესაობა ნ. ტრუბეცკოის საერთოდ სარწმუნოდ არ ეჩვენა.

ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობის თავისებური გაგება (1936 წ.) აზრს უკარგავს იმას, რაც ჩრდილო-კავკასიურ და ქართველურ ენათა ურთიერთობის თაობაზე ადრე (1924 წ.) თქვა ნ. ტრუბეცკოიმ[1].

ამისდა მიუხედავად, ნ. ტრუბეცკოის ნეგატიურ დებულებას დიდი გასაქანი დაურჩა: ჩრდილო-კავკასიურ ენათა ნათესაობა სამხრულ-კავკასიურ ენებთან დამტკიცებული არ არის, „კავკასიური ენები" გეოგრაფიულ ცნებას წარმოადგენსო, ამას დღესაც ბევრი იმეორებს.

1954—1955 წწ. ზოგი სპეციალისტი იმასაც კი ამბობდა: არა თუ ყველა კავკასიური ენის, არამედ დაღესტნის ენათა ნათესაობაც კი დამ-

---

[1] იხ. ჩვენი „იბერ.-კავკ. ენათა შესწ. ისტორია", 1965, გვ. 393—395.

ტკიცებულად ვერ მიიჩნევა, რაკი არ მოგვეპოვება სათანადო შედარებითი გრამატიკა და შედარებითი ლექსიკონიო[1].

ამის მიხედვით თანმიმდევრული იქნებოდა აღნიშნულ ავტორს ქართველური ენებიც არ მიეჩნია მონათესავედ: შედარებითი გრამატიკა არც ამ ენებისთვის არის დამუშავებული.

1967 წელს მოსკოვში გამოვიდა კრებული „იბერიულ-კავკასიური ენები“[2] (ესაა მეოთხე ტომი სერიისა „საბჭოთა კავშირის ხალხთა ენები“). შესავალ წერილში „იბერიულ-კავკასიური ენები“ ნათქვამია: კავკასიოლოგთა მეტი წილი ვარაუდობს კავკასიურ ენათა ყველა შტოს (ჯგუფის) თავდაპირველ გენეზისურ ნათესაობას. თუმცა ამ ნათესაობის დასაბუთებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია, და კავკასიურ ენათა შედარებით-ისტორიული გრამატიკის შექმნა კავკასიური ენათმეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ ამოცანას წარმოადგენსო[3].

ამრიგად, 1967 წელს კავკასიური ენები ა ღ ა რ მ ი ი ჩ ნ ე ვ ა უკვე გ ე ო გ რ ა ფ ი ულ ც ნ ე ბ ა დ (წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ენათა „შედარებით-ისტორიული გრამატიკის“ დამუშავებაზე ლაპარაკი უადგილო იქნებოდა).

მეტი კიდევ: იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობაც ამ ენათა სპეციალისტების მ ე ტ ი წ ი ლ ი ს აზრად არის გამოცხადებული.

ზემოთქმულის გათვალისწინებით იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიზანია შეისწავლოს იბერიულ-კავკასიური ენები ი ს ტ ო რ ი ულ-შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი (ი ს ტ ო რ ი ულ-გ ე ნ ე ზ ი ს ურ ი) თვალსაზრისით.

სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შედარება, როგორც თავში ითქვა, დამხმარე საშუალებას ქმნის ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის.

ამრიგად, ამ ენათა მეცნიერული ი ს ტ ო რ ი ა არის ძირითადი მიზანი; შედარება, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლა ამ ძირითად მიზანს ემსახურება. ეგეც ითქმის ენათა სისტემატური აღწერითი ანალიზის შესახებ.

---

[1] Е. А. Б о к а р е в, «Задачи сравн.-истор. изучения кавк. яз.» ჟურნ.: «Вопросы языкознания», 1954, № 3.

[2] «Иберийско-кавказские языки», М., 1967.

[3] „იბერიულ-კავკასიური ენები“, შესავალი (Е. А. Б о к а р е в и Г. А. К л и м о в. Иберийско-кавказские языки. Введение), გვ. 7.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორია, თავის მხრივ, სათანადო ხალხთა მეცნიერული ისტორიის შექმნისათვის არის საჭირო.

ენის შესწავლა ხალხის ისტორიასთან კავშირში და, კერძოდ, კულტურისა და აზროვნების ისტორიასთან კავშირში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, როგორც ისტორიული დისციპლინის, საბოლოო მიზნად რჩება.

უფრო არსებითი თ ე ო რ ი უ ლ ი მიზანი, ვინემ ენის შესწავლა კულტურასა და მის ისტორიასთან, აზროვნებასა და მის ისტორიასთან კავშირში, ენის მეცნიერულ შესწავლას არ მოეპოვება.

§ 6. იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის ზოგადი ტიპოლოგიური დახასიათება

იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის დამახასიათებელი საერთო ტიპობრივი ნიშნები გამოყვეს ფრ. მიულერმა და ივ. მეშჩანინოვმა.

საერთო ნიშნები კი გვაქვს, მაგრამ შეუმჩნეველი როდი რჩება არა ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა სტრუქტურაში.

ეს სხვაობა დასტურდება არა მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფებს შორის, ზოგ თვალსაჩინო სხვაობას ვპოვებთ ერთი და იმავე ჯგუფის ენათა შორისაც.

სახელისა და ზმნის მორფოლოგია ქმნის ენის სტრუქტურის ქვაკუთხედს. ამ მხრივ ჯგუფებს განასხვავებს შემდეგი ზოგადი (მასთან მთავარი) ტიპობრივი მოვლენა: აფხაზურ-ადიღურ ენათა მორფოლოგიაში სახელის ბრუნება სუსტად არის განვითარებული (კერძოდ, აფხაზურ სახელში ძირითადი ბრუნვები — ნათესაობითი, მიცემითი, ერგატივი — საერთოდ არ გაირჩევა); ზმნის უღვლილება კი მრავალფეროვანია: ზმნა მდიდარია როგორც მორფოლოგიური, ისე მოდალური კატეგორიებით. ერთი სიტყვით, მორფოლოგიურ სისტემაში ზ მ ნ ი ს ხ ვ ე დ რ ი წ ო ნ ა შ ე უ დ არ ე ბ ლ ი ვ დ ი დ ი ა ს ა ხ ე ლ ი ს ა ზ ე.

ნახურსა და დაღესტნურ ენებში — პირუკუ, ბ რ უ ნ ე ბ ა მდიდარია (ძირითადი ბრუნვები, თანდებულიან ბრუნვათა სერიები...); რაც შეეხება ზმნას, მისი უღვლილება (ბრუნებასთან შედარებით) სადაა; ძირითადი მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი კატეგორიებით ზმნა ღარიბია (მოდალური კატეგორიები კი ნახურსა და დაღესტნურ ენებში ღარიბად როდია წარმოდგენილი, თუმცა არც ისე, როგორც ეს აფხაზურ-ადიღურ ენებში შეიმჩნევა).

ქართველურ ენებში ბრუნებაც (ძირითადი ბრუნვები, თანდებულიანი ბრუნვები) განვითარებულია, თუმცა თანდებულიან ბრუნვათა ისეთი სერიები, რაც დაღესტნურ ენებს ახასიათებს, არც ერთ ქართველურ ენაში არ დასტურდება. უღვლილებაც მდიდარია მორფოლოგიური კატეგორიებით (პირის კატეგორია — კერძოდ, სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება — ქცევა, გვარი, კაუზატივი...). მაინც ზმნის ხვედრი წონა დიდად სჭარბობს სახელისას — ყველა ქართველურ ენაში.

სახელისა და ზმნის მორფოლოგიის ხვედრ წონას თუ გავითვალისწინებდით, ქართველური ენები გარდამავალ საფეხურად და შემაერთებელ რგოლად წარმოგვიდგება, ერთის მხრით, აფხაზურ-ადიღურსა და მეორე მხრით, ნახურსა და დაღესტნურ ენებს შორის.

სრული სტრუქტურული ერთგვაროვნება ცალკეული ჯგუფის წევრებს შორისაც არ დასტურდება. ასე მაგალითად, აფხაზური სახელი, როგორც ვთქვით, ძირითად ბრუნვებს არ განარჩევს; ადიღურ ენებში. სახელობითისა და ერგატივის, ორი დეტერმინირებული ბრუნვის გარჩევა ფაქტია. მეორე მხრივ, ადიღურ ენებსა და უბიხურს გრამატიკული კლას-კატეგორია აღარ შემორჩენიათ; აფხაზური ენა კი გრამატიკულ კლასებს განასხვავებს — ზმნის უღვლილებაში, ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებში, არსებით სახელთა მრავლობითში. აფხაზურის ჩვენება ამ შემთხვევაში არქაულ ვითარებას ამჟღავნებს (ადიღურ-უბიხურთან შედარებით).

ქართველურ ენათაგან მხოლოდ სვანურში (მის ზოგ დიალექტში) დასტურდება ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმები (ზმნის I პირის მრავლობითში, კუთვნილებითს ნაცვალსახელებში — „ჩვენი"... თვით ნაცვალსახელი „ჩვენ" კი სხვაობას არ უჩვენებს)... ქართულსა და ზანურში მრავლობითმა ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევა არ იცის.

ზანურ ზმნას პოტენციალისის კატეგორია მოეპოვება, ქართულსა და სვანურ ზმნაში ეს კატეგორია არ დასტურდება (ქართული და სვანური უარყოფითი ნაწილაკების მეშვეობით გადმოსცემენ შეუძლებლობას: ქართ. არ — ვერ, სვან. დემ — დეშ...).

დაღესტნის ენათა ჯგუფში სტრუქტურული სხვაობა ყველაზე მკვეთრად არის გამოხატული: ზოგ ენაში (ხუნძურში...) კლასოვანი უღვლილება გვაქვს, ზოგში (ლაკურში, დარგუულში, თაბასარანულში...) — კლასოვან-პიროვანი, ზოგში (უდიური...) — პიროვანი, ზოგში კიდევ

(ლეზგიურში, აღულურში) — არც კლასოვანი და არც პიროვანი... თაბასარანული ენის ზმნას სუბიექტის პირის გარდა ობიექტის პირიც შეუძლია აღნიშნოს, უდიური ენის ზმნა ან მხოლოდ სუბიექტის პირებზე მიუთითებს, ან ობიექტისაზე...

სტრუქტურის სხვაობა, რასაც იბერიულ-კავკასიურ ენებში ვპოულობთ, სათანადო მოვლენათა ე ვ ო ლ უ ც ი ი ს პ რ ო ც ე ს ს უკავშირდება: სხვაობა ა მ პ რ ო ც ე ს ი ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ფ ე ხ უ რ ს წ ა რ მ ო გ ვ ი დ გ ე ნ ს; ზოგი უფრო ძველია, ზოგიც — უფრო ახალი; სულ ახალიც შეინიშნება (უდიური ზმნის ცვლა მხოლოდ პირთა მიხედვით).

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ი ს ტ ი პ ო ბ რ ი ვ მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა შ ე პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ი თ ი ა ნ ა ლ ი ზ ი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი ს დადგენის საშუალებაა, ე. ი. ენათა ი ს ტ ო რ ი ი ს კვლევას ემსახურება.

§ ი. იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემა ამჟამად და ძველად

ენის ისტორია შეიძლება იყოს დოკუმენტური, როცა საამისო ძეგლები მოგვეპოვება; ისტორიის აღსადგენად მიმართავენ შედარებას, როცა სამწერლო ძეგლები არა გვაქვს, ანდა გვაკლია. იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ძველი სამწერლო ენაა მხოლოდ ქართული (ძეგლები V საუკუნიდან გვაქვს). სხვა იბერიულ-კავკასიური ენების წერილობითი ტრადიცია XVIII საუკუნის იქით არ მიდის; ენათა დიდი წილი ამჟამადაც უმწერლოა (უმწერლოა 18 ენა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან). ამის გამო შედარება აქ ისტორიული წარსულის აღდგენის მთავარ წყაროდ რჩება: შედარება მონათესავე ენებისა, შედარება ერთი ენის დიალექტებისა, დიალექტთა მონაცემების შედარება შინაგანი რეკონსტრუქციის საშუალებაა.

ცალკეა გასათვალისწინებელი ის შესაძლებლობანი, რასაც ენის ცვლის არასისტემური ხასიათი გვიქმნის.

ენა, როგორც ცნობილია, სისტემას წარმოადგენს. სისტემის მონაწილე ერთეულები ერთმანეთთან კავშირს ამჟღავნებენ და ეს კავშირი კანონზომიერ ურთიერთობას გულისხმობს: უამისოდ სისტემა არ გვექნებოდა. სისტემურობა ბგერითს მასალასაც ეხება (ფონემათა სისტემა), სიტყვის ფორმებსა და სინტაგმათა სტრუქტურაშიც ვლინდება. თუმც

უფრო მკრთალად, მაგრამ გარკვევით, სისტემურობა ლექსიკურ ჯგუფებშიც ხელშესახებია.

ენის სისტემა ცვალებადია (უცვლელობა მკვდარ ენას ახასიათებს). ენის ცვლა არაა თანაბარი არც დროის სხვადასხვა მონაკვეთში და არც ენობრივი სისტემის სხვადასხვა რგოლში: ასე, მაგ., მორფოლოგიური ინვენტარი უფრო ნელა იცვლება, ლექსიკა — ყველაზე სწრაფად.

ამრიგად, ენობრივი სისტემა დინამიკურია. ენის დინამიკური სისტემა — სხვადასხვა რგოლის სხვადასხვაგვარი ტემპით ცვლის გამო, რიგ მოვლენებში განვითარების „გუშინდელ დღეს" ასახავს, მაშინ როდესაც ზოგი სხვა მოვლენა-პროცესი ხვალინდელი ვითარების მანიშნებელია: განვითარების სხვადასხვა საფეხური ენის სისტემაში ერთდროულად არის ხოლმე მოცემული: ენის სისტემაში არჭიაზმები და ინოვაციებია შერწყმული.

ენის სისტემაში ამდენად ენის ისტორია დაჩნდება. ამიტომვეა, რომ ენის სისტემის აღწერისას ენის ისტორიას გვერდს ვერ ავუქცევთ: ენის სისტემა ენის ისტორიისაგან დამოუკიდებელი განვითარების ვერც ერთ ეტაპზე ვერ იქნება; ამიტომვე ენის სისტემა ენის ისტორიის ერთ-ერთ წყაროდ შეიძლება გამოვიყენოთ.

მონათესავე ენათა ისტორიას რომ იკვლევენ, ჩვეულებრივ ცდილობენ, ფუძე-ენა აღადგინონ: ერთი მხრით, ფუძე-ენა მონათესავე ენათა ანალიზს ემყარება; მეორე მხრივ, მონათესავე ენათა ისტორიის ფაქტები ამ ფუძე-ენიდან გამოჰყავთ.

ფუძე-ენა რომ უნდა არსებულიყო, ამას მონათესავე ენათა არსებობიდან ასკვნიან, მაგრამ ივარაუდო ფუძე-ენის არსებობა, არ ნიშნავს, კვლევის საბოლოო მიზნად დავსახოთ ფუძე-ენის აღდგენა.

ფუძე-ენის აღდგენა შეუძლებელია: შეიძლება ფუძე-ენის სისტემის ზოგადი ნიშნები გავითვალისწინოთ, ცალკეული ფაქტებიც აღვადგინოთ, მაგრამ არა ფუძე-ენის კონკრეტული სახე. ავგ. შლაიხერს შესაძლებლად მიაჩნდა ინდო-ევროპულ პრა-ენაზე მოთხრობაც კი დაეწერა, რამდენიმე სტრიქონიანი გაბმული ტექსტით („ცხენი და ცხვარი").

ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ ანატოლიაში ძველი მკვდარი ინდო-

ევროპული ენები აღმოაჩინეს (თიხის ფირფიტებზე). ყველაზე მეტი მასალა ინდო-ევროპული ენის ნ ე ს ი ტ ურ-ხ ე თ ურ ი ს ა იყო. ანატოლიის ინდო-ევროპულ ენათა ჩვენებამ თვალსაჩინოდ შეცვალა წინათ გავრცელებული შეხედულება ინდო-ევროპული წინარე-ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხებზე.

„ცხენი და ცხვარი" ახლა რომ დაეწერათ, მოთხრობა სხვაგვარი გამოვიდოდა; მაგრამ ახლა ინდო-გერმანულ ენათა სპეციალისტები ასეთი მოთხრობის დაწერას მიზნად აღარ ისახავენ, თუმცა წინარე ენის ვარსკვლავიან ამოსავალ ფაქტებს ჯერ კიდევ ფართო ასპარეზი ურჩება.

შედარებითი გზით აღდგენილი ენობრივი ფაქტების რეალურობა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შ ე მ ო გ ვ რ ჩ ა ყ ვ ე ლ ა ის ე ნ ო ბ რ ი ვ ი ე რ თ ე უ ლ ი, რაც ფუძე-ენის დიეერგენციით იყო მიღებული და რამდენად შევიძლებთ დ ი ვ ე რ გ ე ნ ც ი ი ს შ ე მ დ ე გ მ ო მ ხ დ ა რ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი გაეითვალისწინოთ.

ფუძე-ენის კონკრეტული სახის აღდგენა არც შესაძლებელია და არც საჭირო: ფ უ ძ ე-ე ნ ა რ ე გ უ ლ ა ტ ი უ რ ი ცნებაა.

მონათესავე ენათა ახლანდელს ვითარებაში ხელთა გვაქვს სხვადასხვა ხნოვანების ფაქტები: ა რ ქ ა ი ზ მ ე ბ ი და ი ნ ო ვ ა ც ი ე ბ ი ისიც ზოგი რა სიძველისაა და ზოგიც — რისა.

ამ ფაქტების შედარებითმა ანალიზმა წ ი ნ ა თ ა რ ს ე ბ უ ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა უნდა გაგვათვალისწინებინოს: შედარება საშუალებაა, ისტორია — მიზანია.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ისეთი დონისათვის, რომ მეცნიერული ისტორია კონკრეტული ფაქტებისა — ფონეტიკა იქნება თუ მორფოლოგია ანდა ლექსიკა — მ თ ლ ი ა ნ ი ს ა ხ ი თ წ ა რ მ ო გ ვ ი დ გ ე ს. ეს შემდგომი საქმეა.

ამჟამად მიზნად ის გვექნება, რომ განვითარების ძირითადი საკითხები გავარკვიოთ: ბ გ ე რ ა თ ა ს ი ს ტ ე მ ა, ძ ი რ ი თ ა დ ი მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი, ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი წ ყ ო ბ ა რ ა სახითა გვაქვს, განვითარების რა გზა გაუვლია და რა ტენდენციებს ამჟღავნებს; იბერიულ-კავკასიური ენების ს ი ს ტ ე მ ი ს ა და ი ს ტ ო რ ი ი ს ამ ძირითადი საკითხების რკვევა არის ი ბ ე რ ი უ ლ-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს შ ე ს ა ვ ლ ი ს ამოცანა.

II. იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონემატური სისტემისა და ისტორიის ზოგადი საკითხები

§ 7. ხმოვანთა სისტემა იბერიულ-კავკასიურ ენებში

ხმოვანთა სისტემა ამ ენებს მარტივი აქვს, თანხმოვანთა სისტემა კი რთულია — ასე ახასიათებდა იბერიულ-კავკასიურ ენებს ჯერ კიდევ ფრიდრიხ მიულერი 1885 წ. ზოგადად თანხმოვანთა და ხმოვანთა ფარდობა მართლაც ასეთია. მაგრამ ხმოვანთა შედგენილობის სიმარტივე უველგან ერთნაირი როდია, თანხმოვანთა სისტემის სირთულეც დიდად განსხვავებულია.

აფხაზურში ორ ხმოვანს გამოყოფენ: ესაა ა, ჷ; სხვა ხმოვნები (ე, ო, უ, ი) პოზიციურად წარმოიქმნება — ამ ორ ფონემასთან შერწყმით [1].

უბიხურშიც ორი ხმოვანია ძირითადი: ა (ღია), ჷ (დახშული); ა გარკვეული თანხმოვნების შემდეგ აჲ-ს იძლევა, უ-ს წინ—ო-დ გვევლინება: ჷ—უ-ს გვაძლევს (უ-სთან), შიშინ-სისინა თანხმოვნებთან უ-ს [2].

ადიღეურ-ჩერქეზულში ხმოვანთა სამწევრიანი სისტემა გვაქვს: ა ჳ ჷ [3]; ე. ო — კი ფონემათა ჯგუფს ეტოლება [4].

სამ ხმოვანს ა ჳ ჷ მიიჩნევენ ამოსაველად უაბარდოულ-ჩერქეზული-სათვის [5].

ქართულში ხუთი ხმოვანი გვაქვს: ა, ე, ი, ო, უ; ასეა ძველ სამწერლო ქართულში, ასეა ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში. ზოგ პერიფერიულ დიალექტში (ინგილოურში...) ამ ხუთ სადა ხმოვანს ერთვის პალატალიზებული (უმლაუტიანი) ჶ უ.

ხუთ ხმოვანს განარჩევს ხუნძური სალიტერატურო ენაც, თუმცა აქაც ო და ე ხმოვანთა თავისებური ქცევა (დიალექტებში) აღინიშნება.

---

[1] К. Ломтатидзе, Абхаз. яз., ИКЯ-кп, გვ. 103.

[2] М. Кумахов, Убых. яз., ИКЯ-кп, გვ. 690.

[3] М. Кумахов, Адыг. яз., ИКЯ-кп, გვ. 145.

[4] იქვე.

[5] А. Шагиров, Кабард. яз., ИКЯ-кп, გვ. 166.

დარგუულ სალიტერატურო ენაში ხუთ ხმოვანს გამოყოფენ: ა, ე, ი, გ, უ; ო — არა ჩანს [1].

ლაკურ სალიტერატურო ენაში არსებითად ისეთივე ვითარება დასტურდება, როგორც დარგუულში: ა, ე, ი, უ; ოღონდ ამას ერთვის პალატალიზებული ӡ რ და გრძელი ӡ უ [2].

ამოსავლად სამი მარტივი ხმოვანია (ა, ი, უ) მიჩნეული (გარდა ამისა რუსული ენიდან ნასესხებ სიტყვებს ზოგი ხმოვანი შემოჰყვაო) [3].

ლეზგიურ სალიტერატურო ენისათვის ოთხი სადა ხმოვანი ფონემა გვაქვს (ა ე ი უ; ო არც აქ ჩანს) და პალატალიზებულია ӡ უ [4]. ნაზალიზაცია მოუდის ყველა ხმოვანს [5].

თაბასარანული სალიტერატურო ენა ხმოვნების ლეზგიურ სისტემას მიჰყვება: ა ე ი უ (ო არა გვაქვს) და ӡ უ [6].

ӡ და ӱ ხმოვნები სადა ა, უ-ს ფარინგალიზებულ ვარიანტად არის მიჩნეული [7].

აღულურში: ა ი ე უ-ს ემატება ӱ (ო არ დასტურდება)[8].

ხუნძურ ენასთან — გრამატიკული სტრუქტურითაც და ლექსიკითაც — ახლოსაა ანდიურ ენა-კილოთა ჯგუფი (ანდიური, ბოთლიხური, ღოდობერიული, ჰამალალური, ახვახური, ტინდიურ-ბაგვალალური, კარატაული).

ანდიური ენა-კილოები ხმოვანთა უფრო რთულ შედგენილობას წარმოაჩენს; სირთულის წყაროა სადა (ძირითადი) ხმოვნების გარდა წყება გრძელი ანდა ნაზალიზებული (ცხვირისმიერი) ხმოვნებისა (ანდა კიდეე ორივესი ერთად):

ბოთლიხურს მოეპოვება სადა ა ე ი ო უ და მათი ნაზალიზებული ვარიანტები[9]; ნაზალიზებული ო იშვიათია[10].

---

[1] З. Абдуллаев. Дарг. яз., ИКЯ-кп, გვ. 508—509.

[2] Г. Муркелинский, Лак. яз., ИКЯ-кп, გვ. 489.

[3] იქვე.

[4] У. Мейланова. Лезг. яз., ИКЯ-кп, გვ. 529.

[5] იქვე. გვ. 530.

[6] А. Магометов. Табасар. яз., § 10, გვ. 27; Б. Хашмагомедов, Табассар. яз., ИКЯ-кп, გვ. 546.

[7] იქვე.

[8] А. Магометов. Агульский яз., ИКЯ-кп, გვ. 562.

[9] Т. Гудава. Ботлих. яз., ИКЯ-кп, გვ. 293.

[10] იქვე.

ღოდობერიულში გვაქვს: ა ე ი ო უ და ნაზალიზებული ა^{ნ} ი^{ნ} უ^{ნ} (ნაზალიზებული რიგის ე^{ნ} ო^{ნ}, როგორც ფონემა, დადასტურებული არაა[1]).

კარატაულში: ა ე ი ო უ და ნაზალიზებული: ა (ე) ი (ო) უ[2]; ნაზალიზებული ხმოვნები იშვიათად გვხვდებაო[3].

ჰამალალურში სადა ხმოვნებს (ა ე ი ⌈ო⌉ უ) ემატება ოთხი გრძელი ხმოვანი აე ი უ და ნაზალიზებული ა^{ნ} ე^{ნ} ი^{ნ} უ^{ნ}[4].

ახვახურში: ა ე ი ო უ; ხუთივე შეიძლება იყოს გრძელიც, ნაზალიზებულიც (გრძელი ნაზალიზებული ხმოვნები იშვიათიაო)[5].

ანდიურ ენაში სადა ხმოვნების (ა ე ი ო უ) გარდა დასტურდება მათი გრძელი და ნაზალიზებული ვარიანტები. ნაზალიზებული ხმოვნები თქმებში არათანაბრად არის გავრცელებული[6].

ბაგვალალურსა და ტინდიურში სადა, გრძელ და ნაზალიზებულ ხმოვანთა წყებებს ემატება გრძელი ნაზალიზებული ხმოვნები:

ბაგვალალური:	ა	ე	ი	⌈ო⌉	უ	(ო — იშვიათია!)
	ā	ē	ī	⌈ō⌉	ū	
	ა^{ნ}		ი^{ნ}		უ^{ნ}	(ე^{ნ}, ო^{ნ} ძალზე იშვიათია!)
	ā^{ნ}		ī^{ნ}		ū^{ნ}[7]	
ტინდიური:	ა	ე	ი	ო	უ	
	ā	ē	ī	ō	ū	
	ა^{ნ}	ე^{ნ}	ი^{ნ}	ო^{ნ}	უ^{ნ}	
	ā^{ნ}	ē^{ნ}	ī^{ნ}	⌈ō^{ნ}⌉	ū^{ნ}	(ē^{ნ} და ō^{ნ} იშვიათად გვხვდებაო)[8].

---

[1] Т. Гудава, Годобер. яз., ИКЯ-кн, გვ. 307.
[2] З. Магомедбекова, Карат. яз., ИКЯ-кн, გვ. 322.
[3] იქვე.
[4] З. Магомедбекова, Чамал. яз. ИКЯ-кн, გვ. 384.
[5] З. Магомедбекова, Ахвах. яз., ИКЯ-кн, გვ. 276—336.
[6] И. Церцвадзе, Анд. яз., ИКЯ-кн, იქ. ცერცვაძე, ანდიური ენა, §§ 9—11, გვ. 10—15.
[7] Т. Гудава, Багвал. яз., ИКЯ-кн, გვ. 351.
[8] Т. Гудава, Тинд. яз., ИКЯ-кн, გვ. 368.

ბ ე ჟ ი ტ უ რ-კ ა პ უ ჭ უ რ ს მოპოვება სადა, გრძელი, ნაზალიზებული ხმოვნების გარდა პალატალიზებული ა̈ რ̈ უ̈[1].

ხ ვ ა რ შ ი უ ლ შ ი სადა და ცხვირისმიერ ხმოვნებს ემატება ფარინგალიზებული ა̰ ე̰ ი̰ ო̰ უ̰[2].

ფარინგალიზებულ ხმოვნებს ე. ბოკარევი გამოყოფს დიდოურშიც; გრძელი მხოლოდ ე̰ ა̰ გვაქვს, ფარინგალიზებული — ხუთივე სადა ხმოვანი; დ. იმნაიშვილი ფარინგალიზაციას მეზობელ თანხმოვანთა ნიშნად თვლისო[3].

დავ. იმნაიშვილი დიდოურში გამოყოფს წმინდა ა ე ი ო უ-ს გვერდით გრძელ ხმოვნებს — ხუთს: ა̈ ე̈ ი̈ რ̈ უ̈: ნაზალიზებული ხმოვნებით კი დიდოური ღარიბიაო[4].

ლეზგიური ჭვეჯგუფის ენებიდან:

წ ა ხ უ რ ს აქვს: სადა: ა ე ი ო უ გ
გლოტიზებული: ა̰ რ̰ უ̰ ი̰[5]

ასევე კ რ ი წ უ ლ ს: ა ე ი ო უ გ
ა̰ რ̰ უ̰[6]

ბ უ დ უ ხ უ რ ს: ა ე ი ო უ გ
ა̰ რ̰ უ̰[7]

ა რ ჩ ი ბ უ ლ ს: ა ე ი ო უ
ა̰ რ̰ უ̰ (ფარინგალიზებული)[8]

რ უ თ უ ლ უ რ ს: ა ე ი ო უ გ
ა̰ რ̰ უ̰
ა̰̣ ე̰̣ ი̰̣ ო̰̣ უ̰ (ფარინგალიზებული)[9]

უ დ ი უ რ ს: ა ე ი ო უ
ა̰ რ̰ უ̰
ა̰̣ ე̰̣ ი̰̣ ო̰̣ უ̰ (ფარინგალიზებული)[10]

---

[1] Е. Бокарев, Г. Мадиева, Бежит. яз., ИКЯ-ки, გვ. 455.
[2] Е. Бокарев, Хварш. яз., ИКЯ-кн, გვ. 422.
[3] Е. Бокарев. Цез. яз., ИКЯ-кн, გვ. 404.
[4] Д. Имнайшвили, Дидойский яз., Тб., 1963, § 4.
[5] Б. Талибов, Цах. яз., ИКЯ-ки, გვ, 592.
[6] Ш. Саадиев, Крыз. яз., ИКЯ-кн, გვ. 627.
[7] Ю. Дешериев, Будух. яз., ИКЯ-кн, გვ. 613.
[8] С. Хайдаков, Арч. яз., ИКЯ-кн, გვ. 608.
[9] Е. Джейранишвили, Рут. яз., ИКЯ-кн, გვ. 580.
[10] В. Панчвидзе, Е. Джейранишвили, Уд. яз., ИКЯ-кн, გვ. 676.

ხინალუღურს: ა ე ი ო უ ჷ
ჳ ჶ ჺ
ა̃ ე̃ ი̃ ო̃ უ̃[1]

ნაზალიზებული ხმოვნები ლეზგიური ქვეჯგუფის სხვა არც ერთ ენაში არ მოგვეპოვება.

ჩაჩნური ენის ხმოვანთა სისტემისათვის დამახასიათებლად მიაჩნიათ გრძელისა და მოკლე ხმოვნების დაპირისპირება, ერთის მხრივ, ღია (ფართო) და დახშული (ვიწრო) ხმოვნებისა, მეორე მხრით[2].

თ. დეშერიევა ჩაჩნურში გამოყოფს 15 ხმოვანს, მონოფთონგს (და 15 დიფთონგს); მონოფთონგებია: ə ъ ӑ ӗ ӣ и ӯ е ӧ ӧ̆ ӱ у ӱ̆ ӱ̆[3].

ინგუშურში 8 სადა ხმოვანი გვაქვს: ə а ъ е и о у ჷ. „ინგუშური ხმოვნები საერთოდ გამოითქმის მოკლედ და მოწყვეტით; გამონაკლისს წარმოადგენს ə(á) და ъ (аь)“[4].

ბაცბურში გარჩეულია: სადა ხმოვნები ა ე ი ო უ; ნაზალიზებული: ა̃ ე̃ ი̃ ო̃ უ̃; გრძელი ə ӧ ӣ[5].

ამრიგად, ხუთ სადა ხმოვანს ხუთი ნაზალიზებული ეფარდება; გრძელი კი მხოლოდ სამი ხმოვანი გვაქვს; ხმოვანთა სისტემაში გვაკლია გრძელი ე და უ.

ბაცბური ვოკალიზმი უფრო რთულია, ვინემ ინგუშური და — შედარებით ჩაჩნურთან — უფრო მარტივი; ნაზალიზაცია ბაცბურში ყველა ხმოვანს მოუდის.

ქართველურ ენათაგან ზანურს (მეგრულსა და ჭანურს) ხუთი სადა ხმოვანი აქვს: ა ე ი ო უ; სწორედ ისეევე, როგორც ქართულს. ირაციონალური ჷ ბგერა მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავის კუთვნილებად წარმოგვიდგება: არც ძველსა და არც ახალ ქართულში ჷ ხმოვანი არა გვაქვს; არ ჩანს იგი არც ჭანურში და არც მეგრული კილოს სენაკურ კილოკავში. სამაგიეროდ სვანურის ყველა კილოს ხმოვანთა სისტემაში დასტურდება; მოგვეპოვება აფხაზურშიც. ამრიგად

[1] Ю. Дешериев. Хиналуг. яз., ИКЯ-кп, გვ. 659.

[2] Ю. Дешериев. Чечен. яз., ИКЯ-кп. გვ. 191; მისივე, Соврем. чечен. лит. яз.. Фонетика. 1960. გვ. 43.

[3] Т. Дешериева, Сравн. типолог. фонетика чеч. и рус. литер. языков, 1965. გვ. 10.

[4] Р. Долакова. Ингуш. яз.. ИКЯ-кп. გვ. 210.

[5] Ю. Дешериев. Бацб. яз., ИКЯ-кп. გვ. 228.

გ-ს გავრცელების არეალი მოიცავს აფხაზურს, სვანურს და მათთან უშუალო კონტაქტში მყოფ ზუგდიდურ-სამურზაყანულს. ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაეწიოს ამ ირაციონალური ხმოვნის ისტორიის კვლევისას ზუგდიდურ-სამურზაყანულში: გ ხმოვანი აქ სუბსტრატის ნამემკვიდრევი შეიძლება იყოს[1]. ყოველ შემთხვევაში, ძველი ქართულის ჩვენება არ ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ ეს ირაციონალური ხმოვანი მივიჩნიოთ ქართულისა და ზანური ვოკალიზმის ისტორიულ კუთვნილებად.

თავისებურია სვანური ვოკალიზმი: თანხმოვნები სვანურს იგივე აქვს, რაც ძველ ქართულს (აგრეთვე ახალ სალიტერატურო ქართულს: აქ ჴ გვაკლია). ხმოვნები კი განსხვავებულ სურათს იძლევა: ვოკალიზმი აქ რთულია. სირთულე სხვადასხვა სვანურ კილოში მეტ-ნაკლებია. სირთულეს ქმნის ხმოვანთა ახალი რიგი; ყველა სვანურ კილოს საერთო აქვს ექვსი სადა ხმოვანი (ა ე ი ო უ გ).

ბალსქვემოურში, აგრეთვე ლენტეხურში მათ ერთვის პალატალიზებული (უმლაუტიანი) წყება: ჳ რ უ.

ლ ა შ ხ უ რ შ ი — გრძელი ხმოვნები: ჳ ე ი რ უ გ.

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ შ ი ხმოვნებს გრძელი ვარიანტებიც აქვს და უმლაუტიც მოუდის:

ჳ ე ი რ უ გ: ჲ რ უ; ჳ რ უ.

ამრიგად: ბალსზემოური სვანური 18 ხმოვანს წარმოაჩენს; ესენია:

ექვსი სადა: ა ე ი ო უ გ

ექვსი გრძელი: ჳ ე ი რ უ გ

სამი სადა პალატალიზებული (უმლაუტიანი): ჲ რ უ

სამი გრძელი პალატალიზებული: ჳ რ უ.

სვანური ვოკალიზმი უფრო რთულია, ვინემ ჩაჩნური და ტინდიურ-ბაგვალალურს არ ჩამოუვარდებოდა, ნაზალიზებული ხმოვნები რომ ჰქონდეს.

§ 8. იბერიულ-კავკასიურ ენათა ვოკალიზმის ისტორიისათვის

ხმოვანთა შედგენილობა მერყეობს: სულ მცირე — ორ ფონემას უდრის (აფხაზურში); ზოგ ენაში კი ხმოვანთა რიცხვი ორ ათეულამდე ადის (ასეა ტინდიურში, ბაგვალალურში...).

[1] გ ბგერის შესახებ: გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, 1962. ანტონ კათალიკოსს გ თანხმოვანთგასაყარად ჰქონდა გამოყენებული — სომხურის მსგავსად.

ჩვენ ჩრდილო-კავკასიურ ენათა ვითარება ცალკე გვინდა განვიხილოთ: აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ერთიანობა სპეციალისტებს სარწმუნოდ მიაჩნიათ. და სწორედ ამ ენებში დასტურდება დიდი სხვაობა: ყველაზე მარტივი ვოკალიზმი აფხაზურში და ყველაზე რთული — ზოგ ანდიურ-დიდოურ ენაში; ისიც აღსანიშნავია, რომ ხუნძურში — ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ძირითად ენაში — სულ ხუთი ხმოვანი გვაქვს, ტინდიურსა და კაპუჭურ-ჰუნზიბურში თითქმის ოთხჯერ მეტი.

ხუნძურის ხუთი ხმოვანი და აფხაზურის ორი ხმოვანი გაცილებით ნაკლებ განსხვავებას გვიჩვენებს, ვინემ ხუნძური მისი წრის ენებთან შეპირისპირებით.

რით აიხსნება ხმოვანთა სიმდიდრე ზოგ ანდიურსა და დიდოურ ენებში? ძველი მოვლენაა ვოკალიზმის რთული სისტემა თუ ახალი? რთული სისტემაა ამოსავალი და მისგან მივიღეთ მარტივი თუ — პირიქით? ხუნძურის ვითარებაა ძველი თუ ტინდიურისა, ანდა კიდევ კაპუჭურ-ჰუნზიბურისა?

ხმოვანთა სისტემა შეიძლება გართულდეს ან იმის გამო, რომ პალატალიზებული ხმოვნები ჩნდება, ანდა ნაზალიზაციის შედეგად, ანდა კიდევ სადა ხმოვანთა გრძელი ვარიანტების მეოხებით.

ნ ა ზ ა ლ ი ზ ა ც ი ა ხმოვანს მოუდის იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო ნაზალური თანხმოვნები (ნ, მ) სუსტდება ანდა იკარგება: ნაზალიზაცია ხმოვანთა პ ო ზ ი ც ი ურ ც ვ ლ ას წარმოადგენს.

ეგევე ითქმის პ ა ლ ა ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ (უმლაუტიზებულ) ხმოვანთა შესახებ. ნაზალიზაციისა და პალატალიზაციის მეორეულობა ეჭვს არ იწვევს: ხმოვანთა ნაზალიზებული და პალატალიზებული წყება თავდაპირველი ვერ იქნება.

გრძელ ხმოვნების საკითხიც რიგ შემთხვევაში ნათელია: გრძელი ხმოვნები ხმოვანთა შერწყმის შედეგად არის მიღებული [1].

გრძელი ხმოვნებისა და ნაზალიზაციის მეორეულობას აღნიშნავენ ტ. გუდავა — ბაგვალალურის მიმოხილვისას [2] და ზ. მაჰომედბეკოვა — ახვახურისა [3] და ჭამალალურის [4] შესახებ ნარკვევებში.

---

[1] Ш. Церцвадзе, Анд. яз., ИКЯ-кш, გვ. 276.

[2] Т. Гудава, Багвал. яз., ИКЯ-кш, გვ. 352.

[3] З. Магомедбекова, Ахвах. яз., ИКЯ-кш, გვ. 336.

[4] З. Магомедбекова, Чамал. яз., ИКЯ-кш, გვ. 385.

ანდიურ-დიდოურ ენებში ნაზალიზებული და გრძელი ხმოვნები ახალი ფორმაციის ფონემებს წარმოადგენენ. შეიძლება ყველა ამ გრძელსა თუ ნაზალიზებულ ხმოვანს ფონემათა ღირებულება არც ჰქონდეს.

ჩაჩნურში (და, საერთოდ, ნახურ ენებში) გრძელი და მოკლე ხმოვნების ფონემატური დაპირისპირება ი. დეშერიევს მიაჩნია ძველისძველ მოვლენად; ოღონდ ნახურ ენათა დიფერენციაციის შემდეგ ბაცბურში ამ პროცესს გასავალი არ მისცემიაო, ინგუშურშიც ფართოდ არ ყოფილა გამოყენებულიო[1].

ლაბიალიზებული ხმოვნების შესახებ იგივე ავტორი უფრო ფრთხილად მსჯელობს: შეიძლება ფუძე ენაში არც გექონოდაო[2].

გრძელი ხმოვნების დაკარგვა ბაცბურსა და ნაწილობრივ ინგუშურში უფრო ძნელი ასახსნელი იქნებოდა, ვინემ ჩაჩნურში გრძელ ხმოვანთა გაჩენა.

ყოველ შემთხვევაში ანდიურ-დიდოურ ენათა ვოკალიზმის სირთულე მეორეულია; ხუნძური ხუთი სადა ხმოვანი უწინარესი ჩანს. მეტის თქმაც შეიძლება: ხუნძური ე-სა და ო-ს ფონემურობა შეიძლება სადაოდ იქცეს: მათ სამხრულ კილოკავებში რაღაცა ახასიათებს.

დაღესტნურ ენათა ვოკალიზმი ამგვარად შემონახული უნდა იყოს უფრო ძველი სახით ხუნძურში (ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათაგან), დარგუულსა და ლეზგიურში (ლეზგიური ქვეჯგუფის ენათაგან); მაგრამ ხუთწევრიან ვოკალიზმსაც — ა ე ი ო უ — ვერ მივიჩნევთ ძველისძველად: ე და ო მეორეული უნდა იყოს. გვრჩება ა ი უ: ასეთი ვოკალიზმი აფხაზურ-ადიღეურ ენათა სადა ვოკალიზმს ეტოლება.

ნახურ ენათა ვოკალიზმი უფრო ძველი სახით ბაცბურსა და ინგუშურში ჩანს შემორჩენილი, ვიდრე ჩაჩნურში: ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს დაღესტნურ ენათა ვითარება და დაღესტნურ ენათა სიახლოვე ნახურ ენებთან.

ქართველურ ენებშიც, როგორც ვნახეთ, სვანურის პოზიცია მოითხოვს განმარტებას. შეიძლებოდა გვეფიქრა სვანურში არქაიზმი გვაქვსო, რომ ძველი ქართული ხუთ სადა ხმოვანს არ ხმარობდეს: პალატალიზაცია (უმლაუტი) და გრძელი ხმოვნები უცხოა ძველი ქართულისა-

---

[1] Ю. Д е ш е р и е в, Соврем. чечен. лит. яз., Фонетика, გვ. 43.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 45.

თვის. მართალია, ჶ და ჳ ინგილოურსა და ფერეიდნულს მოეპოვება, მაგრამ კახურ დიალექტს, რომლის გამონაყოფს ინგილოური და ფერეიდნული წარმოადგენს, პალატალიზებული ჶ ჳ ხმოვნები არა აქვს. პალატალიზაცია ინგილოურსა და ფერეიდნულში მეორეულია: იგი უცხო ენობრივი გარემოს (აზერბაიჯანულისა თუ სპარსულის) ზემოქმედებას უნდა მიეწეროს.

გრძელი ხმოვნებიც მოისმის ზოგ დიალექტში (მაგ., მთიულურში), მაგრამ საწინადადებო ინტონაციის (ტონური მახვილის) გამოვლენა უნდა იყოს [1].

ამრიგად, ძველი ქართულის ჩვენებას დიალექტთა ვოკალიზმი ძალას არ უკარგავს.

მეგრულშიც დასტურდება გრძელი ხმოვნები (დუჭარუ „დაუწერია"). მაგრამ ეს სიგრძე ხმოვანთა შერწყმით არის გამოწვეული (დაუწერია: შდრ. გურ. დუუწერია, მეგრ. დუჭარუ = დუუჭარუ).

ჰანურის ზოგ კილოკავში (ათინურში) გრძელი ხმოვნებიც გვაქვს: ეს გრძელი ხმოვნები იმავე ბუნებისაა, რაც მთიულურის „გრძელ ხმოვნებს" ახასიათებს.

სვანური პალატალიზებული ხმოვნები, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაში არის ნაჩვენები[2], გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში ჩნდება: უმლაუტიანი ხმოვნების მეორეულობა ეჭვს არ ბადებს.

გრძელი ხმოვნები ბალსზემოურსა და ლაშხურში დასტურდება. ეს სიგრძე მთიულურისა და ჰანურის (ათინურის), აგრეთვე მეგრულის სათანადო მოვლენისაგან განსხვავებული ჩანს. სვანური გრძელი ხმოვნები მაინც ძველი არ შეიძლება იყოს: სვანურ ლექსებში სადა და გრძელი ხმოვნები გარჩეული არაა; სვანურ სიმღერებს ბევრი არქაიზმი დაუცავს; გრძელი ხმოვნები სვანურმა ხალხურმა პოეზიამ არ იცის (ძველ ბერძნულსა და ლათინურში გრძელი ხმოვნები რომა გვაქვს, ისინი ლექსებში არ იკარგება, პირიქით, ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე ლექსის „აგების" საფუძველს ქმნის, ძველი ბერძნული და ლათინური ლექსის „მეტრიკულ წყობას" განსაზღვრავს).

---

[1] არნ. ჩიქობავა. გრძელი ხმოვნები მთიულურში, ტფილ. უნივ. მოამბე, ტ. IV (1924), გვ. 333—348.

[2] აკ. შანიძე. უმლაუტი სვანურში. „არილი", 1925 წ.

მაშასადამე, სვანურის ეოკალიზმის სირთულეს ძველ მოვლენად ვერ მივიჩნევთ.

სვანური გრძელი ხმოვნები ლექსებში ისევე არა გვაქვს, როგორც არ ისმის გრძელი ხმოვნები მთიულურ ლექსში.

არაფერი გვითქვამს ფარინგალიზებული ხმოვნების შესახებ. ასეთ ხმოვნებს გამოყოფენ დაღესტნურ ენებში. უდიურში ხუთი სადა ხმოვნის (ა ე ი ო უ) გარდა—სამ პალატალიზებულს (ჲ რ ჳ) და ხუთ ფარინგალიზებულს მიუთითებენ[1]. „ფარინგალიზებული“ აქ ნახმარია „ველარიზებულის“ სინონიმად; ეს ხმოვნები დამოუკიდებელ ფონემებს წარმოადგენენ[2] (ხჲ „ძაღლი“ — ხა „მატყლი“... მუჷ „მხიარული“ — მუჯ „ფრჩხილი“...). ხუთი ფარინგალიზებული ხმოვანი ნაჩვენები აქვს ხვარშიულისათვის ე. ბოკარევს[3].

რუთულურში ისევე, როგორც უდიურში ე. ჯეირანიშვილი სამი პალატალიზებულის გარდა ხუთი ფარინგალიზებული ხმოვნის არსებობას აღნიშნავს (ტერმინად მხოლოდ „ფარინგალიზებულია“ გამოყენებული)[4].

არჩიბულში ს. ხაიდაკოვი სამ ფარინგალიზებულ ხმოვანზე მიუთითებს და პალატალიზაციის ნიშნით გადმოგვცემს ახ, оь (е კი უნიშნოა!)[5].

წახურში ბ. თალიბოვს ოთხი ხმოვანი ахь, иь, уь, оь აქვს პალატალიზებულ ხმოვანთა ნიშნით აღჭურვილი და მათ გლოტიზებულს (ე. ი. ფარინგალიზებულს) უწოდებს[6].

თაბასარანულში ბ. ხანმაჰომედოვი ორ ხმოვანს уь (ю), ах (я) მიიჩნევს „უ-სა და ა-ს ფარინგალიზებულ ვარიანტებად“.

ფარინგალიზაციის საკითხი გარკვევას მოითხოვს: ხმოვნის თვისებაა ეს თუ თანხმოვნისა? თუ ხმოვნის თავისებურებაა, მაშინ ყველა თანხმოვანთან უნდა გვხვდებოდეს ფარინგალიზებული ხმოვანი. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად აქცევენ ყურადღებას იმ

---

[1] В. Н. Панчвидзе, Е. Ф. Джейранишвили, Удин. яз., ИКЯ-кн, გვ. 676.

[2] იქვე.

[3] Е. Бокарев, Хварш. яз., ИКЯ-кн, გვ. 122.

[4] Е. Джейранишвили, Рут. яз., ИКЯ-кн, გვ. 580.

[5] С. Хайдаков, Арч. яз., ИКЯ-кн, გვ. 608.

[6] Б. Талибов, Цах. яз., ИКЯ-кн, გვ. 592.

ფაქტს. რომ სისინა თანხმოვნების შემდეგ ფარინგალიზებული ხმოვნები არ გვხვდებაო[1].

ფარინგალიზებული ხმოვნის საკითხს დავუბრუნდებით ქვემოთ ფარინგალიზებული თანხმოვნების საკითხთან დაკავშირებით.

ვოკალიზმის შედგენილობაზე რომ ვლაპარაკობთ, ერთი ზოგადი გარემოება უნდა მივიღოთ მხედველობაში: ყველა ხმოვანს ფონემად ვერ მიეიჩნევთ: აფხაზურში ნასესხებ სიტყვებში ე-ც გვექნება და ო-ც.

ხმოვანთა შერწყმის შედეგად რომ ო წარმოიქმნება, უკვე იყო ნათქვამი. უცხო ენებიდან შეთვისებული მასალაც ხელს უწყობს ო და ე ხმოვნების დამკვიდრებას („ე და ო ხმოვნები შემოაღწევდნენ ხოლმე აფხაზურ სალიტერატურო ენაში იმისდა კვალად, რაც ის მდიდრდებოდა ისეთი უცხოური ტერმინებით—მეტადრე რუსული ენიდან — , რომლებიც შეიცავდნენ თაეის ბგერითს შედგენილობაში ამ ხმოვნებს: აკინო, არადიო, აპოემა, აკომპარ „კომკავშირი", აკომმუნისტ, აპიონერ, ასტოლ, ალიმონ, არემონტ, აეროპლან[2].

ფონემა აღწერითი ანალიზის ცნებაა, მაგრამ აღსაწერ სისტემაში შეიძლება გვქონდეს არა მხოლოდ უკვე წარმოქმნილი ფონემები, არამედ ისეთებიც, რომლებიც წარმოქმნის პროცესში იმყოფება. ახალი ფონემის წარმოქმნა გარკვეულ პროცესს გულისხმობს; ზოგჯერ, სალიტერატურო ენაში უცხო ენის ზეგავლენაც არ არის აქ გამორიცხული (თუმცა ნასესხები სიტყვებისათვის ახალი ფონემის შემოღებას ჩვეულებრივ ადგილი არ ურჩება. უცხო ენიდან შეთვისებულ მასალას მსესხებელი ენა საკუთარი ფონემებით გადმოსცემს **Чавчавадзе, Цуладзе, Кипиани** — ჯ, წ, ყ რუსულ ენას არა აქვს; მათ ნაცვლად საკუთარი ფონდის მიახლოებით მსგავს ფონემებს ხმარობს).

§ 9. თანხმოვანთა სისტემა იბერიულ-კავკასიურ ენებში

ზევით უკვე ითქვა, რომ ვოკალიზმი თანაბრად მარტივი არ არის ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში. ასევე კონსონანტიზმიც თანაბრად რთული როდია.

ხმოვნებში სულ მცირე ორი ხმოვანი ფონემა გვქონდა (აფხაზურში), სულ დიდი — ორ ათეულამდე აღწევდა. ყველაზე ცოტა თანხმოვანი

---

[1] G. Deeters, Die kaukasischen Sprachen, გვ. 32.

[2] Грамматика абхазского языка, Сухуми, 1968, გვ. 15.

ქართულში გვაქვს— 29 თანხმოვანი ძველ ქართულში, 28 — ახალ ქართულში; უველაზე მეტი — უბიხურსა და აფხაზური ენის ტაპანთურ დიალექტში (აბაზური ენის სალიტერატურო საყრდენ დიალექტში): თანხმოვანთა რიცხვი აქ ოთხმოცს აჭარბებს.

ზანური ახალი ქართულის კონსონანტიზმს მიჰყვება, სვანურში — ძველი ქართულისებური ვითარება გვაქვს (ჯ თანხმოვანი უველა სვანურ დიალექტს დაუცავს).

ქართული ენის კონსონანტიზმს უველაზე მეტად უახლოვდება ნახურ ენათა კონსონანტიზმი (35 თანხმოვანი).

სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში თანხმოვანთა რიცხვი მერყეობს სამსა და ექვს ათეულს შორის. რყევა ერთი ენის ფარგლებშიც შეიმჩნევა — ვგულისხმობთ სხვაობას დიალექტებს შორის.

საერთოა უველა კავკასიური ენისათვის ის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოთხსავე ჯგუფს მოეპოვება სპეციფიკური თანხმოვნები: სუპრაგლოტალური (ე. ი. ხორხსზედა) ანუ მკვეთრი (აბრუპტიული) თანხმოვნები: პ ტ წ ჭ კ ყ... ამ თანხმოვანთა გამოთქმა ქმნის ე. წ. „კავკასიურ წარმოთქმას“ (როგორც იტყვიან „კავკასიურ აქცენტს“).

მკვეთრების ფონეტიკური რეალიზაცია უველა იბერიულ-კავკასიურ ენაში იდენტური არაა, მაგრამ სხვა ენებთან (მაგალ., ინდო-ევროპულ ანდა უნგრულ-ფინურ ენებთან) შედარებით მეტნაკლებად თავისებურ აკუსტიკურ შთაბეჭდილებას მაინც ტოვებს.

ბაგისმიერი მკვეთრი პ-ფონემა გვაკლია ხუნძურში (და ანდიურ ენებში: ანდიურში, ბოთლიხურში, ღოდობერიულში, ახვახურში, ჭამალალურსა და ტინდიურ-ბაგვალალურში; პ გვაქვს კარატაულში და დიდოურ-ხვარშიულ-კაპუჭურში).

ხუნძურსა და ანდიურ ენებში ბაგისმიერი მკვეთრი პ-ს უქონლობა მეორეული მოვლენა უნდა იყოს; იგი ბაგისმიერი არტიკულაციის დასუსტებას უნდა გამოეწვია. ჩრდილო ხუნძურ დიალექტში, ხუნძახურში, გარკვეულ პოზიციაში (მაგ., ხმოვნებს შორის) იკარგება მკლერი ბაგისმიერი ბ-ფონემაც (ჰაბიზე „კეთება“—ჰაიზე), ხოლო ფშვინვიერი ფ (ხოვნის წინ) იცვლება ჰ-დ (ფერ „ხახვი“—ჰერ): ბაგისმიერობა მოშლილია, ფშვინვა — ლარინგალურ ჰ-დ წარმოგვიდგება.

ქეთ. ლომთათიძეს ბაგისმიერი მკვეთრი პ მეორეულ ფონემად მიაჩნია: შესაძლებელია ბაგისმიერი მკვეთრი პ უველაზე გვიან იყოს ჩამოყალიბებული, როგორც ფონემა (ვთქვათ, აფხაზურში). მაშინ ეს იქ-

ნებოდა არსებითად სხვა პროცესი, ვინემ ის, რაც ხუნძურში ამჟამად გვაქვს.

ბაგისმიერთა ასეთი ვითარება ხუნძურსა და ანდიურ ენებში შესაძლოა სხვა წრის ენათა ზემოქმედებით იყოს გამოწვეული, რაკი ლაკურ-დარგუულსა და ლეზგიურ ენებში პ მკვეთრი გვაქვს (ქერძოდ, თურქული წრის ენები გვაქვს მხედველობაში) [1].

სამეულთა სისტემა იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიაში. სამეულთა სისტემა ოთხივე ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენებს ახასიათებს. სამეულები გვაქვს ქართული ენის უძველეს ძეგლებში: ბოლნისის წარწერაში, რომელიც მეხუთე საუკუნის დამლევს ეკუთვნის, გეხვდება მკვეთრები: პ კ ტ წ ყ [2]. წარწერაში არა გვაქვს ისეთი სიტყვა, რომ ჭ-ს შეიცავდეს, მაგრამ წ რაკი დასტურდება, ჭ-ც, ცხადია, ექნებოდა ენას.

რაკი პ ტ წ ჭ კ ყ ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში მოგვეპოვება. მკვეთრთა შემცველი სამეულები იბერიულ-კავკასიური ენების ძველი საერთო კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

ეს მკვეთრები (ყ-ს გარდა) ძველ სომხურშიც გვაქვს: აქ ეს სუბსტრატისეული მასალა ჩანს, ესე იგი, მეხუთე საუკუნეზე უფრო ადრინდელი.

ხუთივე მკვეთრი ფონემა ოსურ ენაშიც წარმოდგენილია: ჩრდილოკავკასიურ ენებთან (ადიღეური წრისა) ალან-ოსთა ინდო-ევროპული მეტყველების კონტაქტიც ძველის-ძველი ჩანს და მკვეთრებიც ოსურში ამ კონტაქტის შედეგს წარმოადგენს.

§ 10. თანხმოვანთა სხვა სპეციფიკურ სერიათა საკითხისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში

მკვეთრების არსებობა ქმნის სამეულებს და ართულებს იბერიულ-კავკასიურ ენათა კონსონანტთა სისტემას. მკვეთრები საერთოა იბერიულ-კავკასიურ ენათათვის.

---

[1] Языки народов СССР. II, Тюркские языки, 1966, შესაბამისი წერილი ა. ბაზიაროვისა, გვ. 24.

[2] [შენ]ევნითა ღმიდ[ისა სამებისაჲთა ო(ფ)ლისა პერო[ჩ] [მ][ე][ფი][სა][ზე] [ხიქმნა დ[ე]ებაჲ] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლის[ა] [შემდგომად განხვსრულა ეი]ნ აქა შინა თავყანის ხცეს ღ[ნ შეიწყალენ და ეინ [ამის ეკლესიაჲსა დ[თ ე[პისკოპოზსა ხელოსს იგიცა ღ[ნ შეიწყალ[ენ ა[ნ] (ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, თბილისი, 1949, ტაბ. 1).

გარდა ამისა მოგვეპოვება თანხმოვანთა სხვა სერიები, რაც კონსონანტიზმის მეტ-ნაკლები სირთულის წყაროდ გვევლინება სხვადასხვა ენაში.

ეს სერიებია:

1. პალატალურ (ე. ი. რბილ) თანხმოვანთა სერია;

2. ინტენსიურ (ე. წ. გემინირებულ ანუ მაგარ) თანხმოვანთა სერია;

3. პრერუპტივთა (ნახევარ-მკვეთრ) თანხმოვანთა სერია;

4. ლაბიალურ (ე. ი. ბაგისმიერ) თანხმოვანთა სერია;

5. ლატერალურ (ე. ი. გვერდითი წარმოების) თანხმოვანთა სერია;

6. ფარინგალიზებულ (ე. ი. ხახისმიერ) თანხმოვანთა სერია.

არც ერთი ამ სერიათაგან ქართველურ ენებში არ დასტურდება. ეს სერიები მთის იბერიულ-კავკასიური ენების კონსონანტიზმს ახასიათებს. მასთან ყველა ეს სერია ერთობლივ არც ერთ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში არ არის მოცემული: ზოგში ესა თუ ის სერია გვაქვს, ზოგში — კიდევ სხვა.

ასე. მაგალითად, აფხაზური ენის კონსონანტიზმში ვპოულობთ: პალატალიზებული (ანუ რბილი) თანხმოვნების სერიას: გ˝ ქ˝ კ˝ ღ˝ ხ˝ ჯ˝ ჩ˝ ჭ˝ ყ˝... ინტენსიური (ანუ მაგარი) თანხმოვნების სერიას: ჯი ჩი ჭი ყი ში... ლაბიალიზებული (ბაგისმიერი) თანხმოვნების სერიას: დ° თ° ტ° ძ° ც° წ° გ° ქ° კ° ჟ° შ° ღ° ხ°...

მაგრამ არა გვაქვს არც ლატერალები და არც პრერუპტივები...

უბიხურში, სადაც თანხმოვანთა რიცხვი 80-ს აღწევს, პალატალიზებული სერიაც გვაქვს (გ˝ ქ˝ კ˝ ღ˝ ხ˝...), ლაბიალიზებული (დ° თ° ტ° ძ° ც° წ° ჟ° შ° ჯ° ჩ° ჭ°...), ფარინგალიზებული (ბ^{ʕ} ფ^{ʕ} პ^{ʕ}...)[1]; პრერუპტივების სერია არა ჩანს.

ადიღეურს მოეპოვება:

პრერუპტივები (ბჟედუღურსა და შაფსუღურ დიალექტებში); შესაბამისი თანხმოვნები ამის გამო ოთხეულს ქმნიან (ბ ფ პ^{ʔ}... დ თ ტ თ^{ʔ}...);

ლატერალები (ლ˝ ლ˝ ლ°);

ლაბიალიზებული (პ° ტ° კ° ჴ° ძ° ც° ღ°...);

[1] М. А. Кумахов. Убых. яз., ИКЯ-кн, вд. 691, 693.

ყაბარდოულის კონსონანტიზმს ახასიათებს მკვეთრი (აბრუპტიული) სპირანტები; სპირანტები აქ სამეულს ქმნიან (ზ′ ს′ ს′...).

ხუნძური კონსონანტიზმი შეიცავს ლატერალთა სერიას — ყველაზე სრულად (ლ′ ლ′ჲ ლ′ ტჲ ტ′...), ინტენსიურ თანხმოვნებს კჲ ჭჲ ჩჲ წჲ ჯჲ სჲ შჲ ლ′ჲ ხჲ...), ლატერალებიცა და ინტენსიური თანხმოვნებიც ყველა ყრუ ფშვინვიერია ანდა მკვეთრი, მეღერი ამ სერიებში არ გვხვდება (დაღესტნის ენებში).

პალატალიზებული თანხმოვნების სერია ხუნძურს არ მოეპოვება, არც ლაბიალიზებული ფონემები აქვს.

ლაკურში ინტენსიურ თანხმოვნებს აქვს ფონემის ღირებულება: ფჲ თჲ ჭჲ ცჲ ჩჲ ხჲ[1]...; არა ჩანს წჲ ჯჲ..

ლაბიალიზაცია ყველა დიალექტს (ცილოკავს) არ ახასიათებს; მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში აქვს ფონემის ფუნქცია (მნიშვნელობის გარჩევის საშუალებაა)[2].

ლაბიალურ თანხმოვან ფონემათა სერია მოეპოვება ლეზგიურს[3]. გვაქვს აგრეთვე პრერუპტივები (ფ′ თ′ ჭ′); მათ უ. მეილანოვა ახასიათებს როგორც „ფშვინვიერს".

აღულურში გემინატები ქმნიან ხშულ ოთხეულთა სისტემას[4]. მაგრამ ოთხეულები ყველა თქმაში არა გვაქვს.

თუ ადიღეურში პრერუპტივები ქმნიდა ოთხეულებს (დ თ ტ თჲ...), ხუნძურ-ანდიურ ენებში, დარგუულში... ინტენსიური თანხმოვნების (გემინატების) მონაწილეობით ხუთეულებს ვიღებთ: გ ქ ჯჲ კ კჲ — მეღერს, ფშვინვიერსა და მკვეთრს ემატება ფშვინვიერისა და მკვეთრის ინტენსიური ვარიანტები.

ინტენსიურ თანხმოვანთა სერიას სხვადასხვა ენაში თავისებურება ახასიათებს: ბაგვალალურში, მაგალ., „ძლიერისა და სუსტის (ე. ი. ინტენსიურისა და რიგითი თანხმოვნების — ა. ჩ.) დაპირისპირება მხოლოდ სპირანტებში გვაქვს"[5]; წჲ ჯჲ თლისი-თლიბიშის თქმაში აბრუპტიულ სპირანტებს წარმოადგენს[6].

---

[1] Г. Муркелинский, Лак. яз., ИКЯ-кн, გვ. 490.

[2] Г. Б. Муркелинский, Лак. яз., ИКЯ-кн, გვ. 490.

[3] У. Мейланова, Лезг. яз., ИКЯ-кн, გვ. 529.

[4] А. Магометов, Агульский яз., ИКЯ-кн, გვ. 562.

[5] Т. Гудава, Багвал. яз., ИКЯ-кн, გვ. 352.

ჰამალალურშიც კორელაცია „ძლიერი — სუსტი“ მხოლოდ ფშვინვიერ სპირანტებში დასტურდება. ძლიერი აბრუპტიული წ ჰ წარმოთქმაში სპირანტებია[1].

ამრიგად, ბაგვალალურსა და ჰამალალურში ინტენსიური მკვეთრი აფრიკატებისაგან მკვეთრი სპირანტები ჩნდება; ფონემები ეს არაა, მაგრამ რეალიზაცია აბრუპტიული სპირანტებისა აქვს: აქ ის პროცესი გვაქვს, რისი შედეგიც უაბარდოულში აბრუპტიულ სპირანტ ფონემათა სახით არის მოცემული.

ადიღეური ენის შაფსუღური და მეტადრე ბჟედუღური კილოები უფრო მეტ თანხმოვანს ითვლიან, ვინემ ჰემგუური კილო. სალიტერატურო ადიღეურის საყრდენ დიალექტში, ჰემგუურში, არა გვაქვს პრერუპტივები.

აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტს ზოგი ისეთი თანხმოვანი მოეპოვება, რაც არა აქვს აბჟუურს, რომელიც საფუძვლად უდევს აფხაზურ სალიტერატურო ენას; ბზიფურის თქმებს შორისაც სხვაობა დასტურდება:

ოთჰარას თქმაში სპეციფიკური ბზიფური 9 თანხმოვანი გვაქვს:
სისინ-შიშინა სიბილანტები: ზ′ ს′ ძ′ ც′ წ′
„ “ ლაბიალიზებული სპირანტები: ზ′° ს′°
ფარინგალური სპირანტები: ḫ ḫ°
ლიხნის თქმაში — 7 თანხმოვანი:
სისინა-შიშინა სიბილანტები: ზ′ ს′ ძ′ ც′ წ′
ფარინგალური სპირანტები: ḫ ḫ°
ააცის თქმაში:
სისინ-შიშინა ლაბიალიზებული 2 სპირანტი: ზ′° ს′°
ფარინგალური სპირანტები: ḫ ḫ°[2]
ჩრდილო აფხაზური დიალექტებიდან აშხარული („მთიულური“) კი-

---

[1] З. М. Магомедбекова, Чамал. яз., ИКЯ-кII, გვ. 385.

[2] ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, 1976. გვ. 9. ოთჰარას თქმა სამივე სერიის თანხმოვნებს წარმოგვიდგენს. ლიხნისა და ააცის, თქმებში სულ ორ-ორი სერია დასტურდება: ოთჰარასეული სამი სერიიდან ხან ერთი გვაკლია, ხან — მეორე.

ლოს კონსონანტიზმი უფრო მარტივია, ვინემ ტაპანთურისა („ბარულისა“), რომელსაც აბაზური სალიტერატურო ენა ემყარება.

ფონემა სისტემის წევრია; სხვადასხვა სისტემაში ერთი და იგივე ფონემა იდენტური ვერ იქნება, ამ მხრივ ბევრი რამ არის გასარკვევი იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიასა და ფონეტიკაში, კერძოდ, ამ ენათა ფონემატური შედგენილობის დადგენისა და ფონემათა იდენტიფიკაციის მხრივ.

სანამ კონსონანტიზმის ისტორიის საკითხს განვიხილავთ, ორიოდე სიტყვით შევეხებით ფონემათა ისეთ თავისებურ სერიებს, როგორიცაა:

პრერუპტივები ანუ ნახევრად აბრუპტიული ფონემები.

ლაბიალიზებული ფონემები.

ფარინგალიზებული ფონემები.

მაგარი (ინტენსიური) თანხმოვნები.

ლატერალები.

პრერუპტივთა (ნახევარ-აბრუპტივების) საკითხი. აბრუპტიევების გარდა პრერუპტივები დასტურდება ადიღეური ენის ორ დიალექტში (შაფსუღურსა და ბჟედუღურში): ფ' თ' ქ' ც'...[1] პრერუპტივს ახასიათებს „მინიმალური ფშვინვა“ [2].

ლეზგიურ ენაში სათანადო თანხმოვნებს ახასიათებენ როგორც „არაფშვინვიერებს“ [3] (п, т, к, ц, ч...).

პრერუპტივები ქმნიან ოთხეულებს; მასში შედის: მკლერი (ხ ბ), ყრუ ფშვინვიერი (р ფ), ყრუ უფშვინვო (მინიმალური ფშვინვით), ყრუ მკვეთრი (ҏ პ).

პრერუპტივი რუსული ენის ყრუს (п) ეტოლება ფონეტიკურად[4], მაგრამ რუსულში ყრუ (п) კორელაციაში იმყოფება მკლერთან (б), ე. ი. წყვილეულის წევრია.

რაც შეეხება პრერუპტივს, იგი ოთხეულის წევრია, ე. ი. უფრო რთულ კორელაციაშია მოქცეული.

გ. როგავა ვარაუდობს, რომ პრერუპტივები უნდა გვქონოდა არა

---

[1] Г. Рогава и З. Керашева, Грам. адыг. яз., გვ. 28.

[2] გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 350 (სქოლიო).

[3] У. Мейланова, Лезг. яз., ИКЯ-кII, გვ. 530.

მხოლოდ ადიღეურში (და აფხაზურ-ადიღური წრის სხვა ენებში), არამედ ქართველურ ენებშიც: ფარინგალური ხშულები ოთხეულს ქმნიდაო; საამისო საბუთად მოხმობილია ისეთ ფუძეთა შედარება, სადაც ერთმანეთს ეფარდება ყ ჴ კ გ ღ[1]...

თუ პერერუპტივები ფარინგალურ წყებაში გექონდა, ცხადია, სხვა სერიებშიც (ბაგისმიერთა, წინაენისმიერთა...) უნდა გექონოდა, როგორც ეს გაქვს ადიღეურში, ლეზგიურში (ფ' თ' ჭ' ც' ჩ') და სათანადო ფუძეთა შედარებით ეს უნდა შემოწმდეს.

მანამდე კი შეუძლებელი არ არის ვივარაუდოთ, რომ ხშულთა ასეთი გრადაცია მეორეულია: პრერუპტივი წარმოადგენს ფშვინვიერისა და მკვეთრის ფონეტიკურ ჰიბრიდს, რომლის ფონემად ჩამოყალიბებაში სხვა ენებთან კონტაქტს გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ისიც საფიქრებელია, რომ ანალოგიური გზით ჩამოყალიბდა მ კ ვ ე თ რ ი ფონემები (პ ტ კ ყ წ ჭ), აბრუპტივები, ოღონდ აბრუპტივების ხნოვანება ათასწლეულებს გულისხმობს; პრერუპტივები კი ახალი ფორმაციის ფონემები ჩანს.

ლაბიალიზებული ფონემები. ლაბიალიზებული თანხმოვნები ყველა ენაში შეიძლება ისმოდეს. მაგალითად, ქართული: თვალი, ძვალი, კვალი, ცვარი, ჭვალი... ცვილი, ტვინი, წვერი, ყვითელი, ჯვარი და სხვ. მისთანა მაგალითებში ბაგისმიერი ვ- დაერთვის თანხმოვნებს (თ, ძ, კ, ც, ჭ, ტ, წ, ყ, ხ, ჯ...), ლაბიალურობა (ბაგისმიერობა) ამ ვ-ს უკავშირდება, რომელიც უფრო წყვილბაგისმიერია, ვინემ კბილბაგისმიერი.

ზოგი ავტორი ფიქრობდა კიდეც, ლაბიალიზებული თანხმოვნები ქართულშიც გვაქვსო (ს. ჟღენტი).

მაგრამ გასარკვევი ის არის, ზემოთ ჩამოთვლილსა და მსგავს მაგალითებში ლაბიალიზებული თ, ძ, კ, ც, ჭ, წ, ყ, ხ, ჯ... გვაქვს, თუ თანხმოვანთა ბიფონემური კომპლექსები: თვ, ძვ, კვ, ცვ, ჭვ... და ა. შ.

თუ თანხმოვანთა კომპლექსი გვაქვს, ლაბიალიზებულ ფონემათა საკითხი აღარა დგას: აფხაზურს რომ აქვს ძ°, ც°, წ°..., ასეთი ფონემები არც ქართულში დასტურდება და არც სხვა ქართველურ ენებში.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ლაბიალიზებული ბგერები შეიძლება გექონდეს, მაგრამ ფონემებს არ წარმოადგენდნენ (ასეა, მაგალ.,

---

[1] გ. რ ო გ ა ვ ა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღეურს ენებში, იკე, I (1946).

ხუნძურში). სადაც ეს ბგერები ფონემებად არ მიიჩნევიან, თანხმოვანთა კომპლექსს წარმოადგენენ.

აფხაზურში, უბიხურში, ადიღეურსა და ყაბარდოულში ლაბიალიზებული თანხმოვნები ფონემებს წარმოადგენს.

ხუნძურსა და მის ახლო მონათესავე ანდიურ ენა-კილოებში ლაბიალიზაცია ფონემებს არ ქმნის: ღვ, ჭვ, ყვ, კვ... ორფონემიანი („ბიფონემური") კომპლექსებია...

ლაკურს მოეპოვება ლაბიალიზებული ფონემები, დარგუულის ზოგ კილოს (მაგ., ურახულს) ახასიათებს ლაბიალიზაცია, ზოგს (მაგალითად. აკუშურს) — არა: ურახ. ნიჭუა „ფრჩხილი" — აკუშ. ნიჭა, ურახ. ყუვალ „ძროხა" — აკუშ. ყალ [1]...

თაბასარანულში ბილაბიალიზაცია უკეთ არის წარმოდგენილი სამხრულ დიალექტში, ვინემ — ჩრდილოურში[2].

რაც შეეხება აღულურს, ბილაბიალიზაცია ყველა თქმაში დასტურდება[3]. დენტოლაბიალიზაცია კი თაბასარანულის ორივე დიალექტში გვაქვს, აღულურში იგი მხოლოდ კოშანის თქმის ორი აულის (ბურშაგ-ი. არბულ-ი) მეტყველებას ახასიათებს[4].

ლაბიალიზებული ფონემების სერია წარმოდგენილია ლეზგიურ ენაშიც[5].

ფარინგალიზებულ ფონემათა წარმომავლობა. ფარინგალური თანხმოვნები ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში გვაქვს (ზანურის გარდა). იბერიულ-კავკასიურ ენათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ფარინგალური თანხმოვნები სერიას ქმნის.

სპეციალურ ლიტერატურაში ფარინგალიზებულ ხმოვნებზეც მიუთითებენ (იხ. ზემოთ, § 8).

უდიურში, წახურულსა და რუთულურში ევგ. კვირანიშვილმა ფარინგალიზებული ხმოვნების საკითხს სპეციალური წერილი უძღვნა და რენტგენოგრაფიული მონაცემების საფუძველზე დაასკვნა, რომ „ამ ხმოვანთა თავისებურებას ქმნის რეზონატორი — ხახა (ფარინქსი), ხო-

---

[1] ალ. მაჯომეტოვი, ლაბიალიზებული ბგერები დარგუულში, იკე, V, 1953.

[2] А. Магометов. Табасар. яз., § 30.

[3] А. Магометов. Агульский яз., gg. 24.

[4] იქვე.

[5] У. Мейланова. Лезг. яз., ИКЯ-ки. gg. 529.

ლო წარმოქმნა-წარმოთქმაში თვალსაჩინო როლს თამაშობს ენის უკან გადაწევა და უკანა ენის რბილი სასის მიმართულებით აწევაო"[1].

ვლ. ფანჩვიძეც უდიურში ველარიზებულ-ფარინგალიზებულ (აი ეი იი ოი უი) ხმოვნებს გამოყოფს[2].

ჰინუხურში, რომელიც დიდოურის დიალექტს ეტოლება, ევგ. ბოკარევი გამოყოფს ფარინგალიზებულ ხმოვნებს. ესენი იწარმოებიან ხახის კედლების და ხორხსარქველის თავისებური დაძაბვით, რაც ხმოვანს ანიჭებს თავისებურ „ხორხისმიერ ელფერსაო" და დასძენს: „ფარინგალიზებული ხმოვნები კარგად არის წარმოდგენილი დიდოურსა და ხვარშიულის ზოგ კილოკავშიო"[3].

დავ. იმნაიშვილი ფარინგალიზებულ თანხმოვნებს (ღ' ხ' პ' ყ') ადასტურებს დიდოურში, აგრეთვე ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში (გ' კ' ქ' პ'); თან შენიშნავს: „ევგ. ბოკარიოვის აზრით, დიდოურსა და ჰინუხურში, აგრეთვე ინხოყვარულ დიალექტში მოიპოვება ფარინგალიზებული ხმოვნები და არა თანხმოვნებიო"[4].

ელ. ლომთაძეც არ ეთანხმება აზრს, თითქოს ფარინგალიზებული იყოს ხმოვნები და ამტკიცებს, აინიზირებული თანხმოვნები (ღ^{ʕ} პ^{ʕ} ყ^{ʕ}) გვაქვსო.

ამრიგად, გასარკვეია ფარინგალიზებული ხ მ ო ვ ნ ე ბ ი გვაქვს თუ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი ა ფარინგალიზებული და ესაა ხმოვანთა ფარინგალიზაციის წყარო?

ნიკ. ტრუბეცკოი ხმოვანთა ფარინგალიზაციის მიზეზს ხედავს თანხმოვნებში, ე. წ. „ემფატიკურ დარბილებულ თანხმოვნებში"[5].

ამავე აზრისაა ალ. მაჰომეტოვი, რომელსაც კუბაჩურ დიალექტში დადასტურებული აქვს ფარინგალიზებული თანხმოვნები ჯ ჯ^{ʕ} უ ხ ხ^{ʕ} ღ[6].

მონოგრაფიაში „თაბასარანული ენა" იგივე ავტორი აღნიშნავს:

---

[1] ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ფარინგ. ხმოვნები ჭახ.-რეთ. და უდიურ ენებში, ენე, XI, 1959, გვ. 345.

[2] ვ. ფ ა ნ ჩ ვ ი ძ ე, უდური ენის გრამ. ანალიზი, 1975, § 7.

[3] Е. Бокарев, Цезские (дидойские) языки Дагестана, 1959, გვ. 112.

[4] Д. И м н а й ш в и л и, Дидойский яз. в. сравн. с гин. и хварш. языками, 1963, § 11.

[5] N. T r u b e t z k o y, Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen, Caucasica, 8. 1931.

[6] А. М а г о м е т о в, Кубачинский яз., 1963, § 23.

„ფარინგალიზაცია თაბასარანულ ენაში მკვეთრად არის გამოხატული. ჩვეულებრივ ფარინგალიზაცია მოუდის უკანა რიგის თანხმოვნებს (ფარინგალურ თანხმოვნებს), ხმოვანთაგან აგრეთვე უკანა წარმოების ხმოვნებს ა, უ. ფარინგალიზაციამ შეიძლება სიტყვათა მნიშვნელობა განასხვავოსო"[1]...

ალ. მაჰმეტოვი — ნიკ. ტრუბეცკოის დამოწმებით — ფარინგალიზაციისათვის ნიშანდობლივად თელის რეზონატორის დამოკლებას, რაც ხახის აწევა იწვევს[2].

ამრიგად, ფარინგალიზაციისათვის დამახასიათებელი არტიკულაციის თავისებურება ერთნაირად წარმოუდგენია იმათაც, ვინც ფარინგალიზებულ ხმოვნებს დამოუკიდებელ ფონემებად მიიჩნევს (და ამბობს, თანხმოვნები აქ არაფერ შუაშიაო) და იმათაც, ვინც ხმოვანთა ფარინგალიზაციას სპეციფიკურ (აინიზირებულ) თანხმოვნებს მიაწერს (ე. ი. თანხმოვანთა ფარინგალიზაცია მიაჩნია ამოსავლად).

სამართლიანი ჩანს გ. დეეტერსის მოსაზრება: ფარინგალიზაცია „არ არის ისეთი თვისება, რომელიც ახასიათებს ცალკეულ ფონემას (თანხმოვანს გინა ხმოვანს), არამედ იგი ი ნ ტ ო ნ ა ც ი ი ს მ ს გ ა ვ ს ა დ ახასიათებს მ ა რ ც ვ ა ლ ს ანდა მ თ ე ლ ს ი ტ ყ ვ ა ს"[3]. წახურში — განაგრძობს დეეტერსი — გვაქვს სადა ხმოვნების გარდა ფარინგალიზებული ხმოვნებიც: ა ე ჲ ო უ (ი კი — არა)... ამ ხმოვანთა მეზობლად ფარინგალური (Postvelare) და ლარინგალური თანხმოვნები ფარინგალიზებული ხდებაო. უბიხურში მიუთითებენ ბ, მ, უ, ჯ ფარინგალიზებულ ფონემებზე: ამას ზედმიწევნითი ფონეტიკური კვლევა ესაჭიროებაო[4]. იგულისხმება, ალბათ, ბაგისმიერთა ფარინგალიზაცია.

რაკი ფარინგალიზაცია მთელი მარცვლის (სიტყვის) წარმოთქმას ახასიათებს (ინტონაციის მსგავსად), ფარინგალიზებული შეიძლება გვქონდეს როგორც ხ მ ო ვ ნ ე ბ ი, ისე თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი.

თავდაპირველად ფარინგალიზებული ბგერები, ალბათ, ა ლ ო ფ ო ნ ე ბ ს წარმოადგენდნენ, შემდეგ კი ფონემებად იქცნენ.

მაშასადამე. ფარინგალიზებული ფონემების (ხმოვნების, თანხმოვ-

---

[1] А. Магометов. Табасар. яз., 1965, § 29.

[2] იქვე.

[3] G. Deeters, Die kaukasischen Sprachen, 1963, გვ. 33.

[4] იქვე.

ნების) მეორეულობა სათანადო ენათა ფონემატურ სისტემაში ეჰვს არ უნდა იწვევდეს.

მაგარ (ინტენსიურ) თანხმოვანთა შესახებ. ანდიურში ინტენსიურ თანხმოვანთა ფონემურობა პოზიციურადაა შეპირობებული: ხმოვნის წინ ინტენსიური თანხმოვანი რომა გვაქვს (მუხხალ „რკინისა"). თანხმოვნის წინ მას რიგითი თანხმოვანი ენაცვლება (მახრულ — „რკინები"). ასევე სიტყვის ბოლოს (მახ). „...მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ მაგარი („გემინირებული") თანხმოვნის იმ თავისებურებაში, რაც თანხმოვნის დაგრძელებაში მდგომარეობს (§ 23); თანხმოვნის დაგრძელებისათვის ხმოვნის წინ, ცხადია, მეტი შესაძლებლობაა, ვიდრე თანხმოვნის წინ ან სიტყვის ბოლოს" [1].

მაგრამ იმავე ანდიურის ერთ კილოკავში (რიქვანის კილოკავში!) ინტენსიური თანხმოვანი გვხვდება თანხმოვნის წინ და აბსოლუტურ ბოლოში, თუ ბოლოკიდური ი ხმოვანი დაკარგულია, ხმოვნის წინ კი — მისი ადგილი რიგითს ხმოვანს უჭირავს [2].

დარგუულ ენაში ინტენსიურ თანხმოვნებს მეღერი თანხმოვნები ენაცვლება. ამიტომაც ჩნდება საკითხი, არის ინტენსიური ბგერა ფონემა, თუ — არა.

„მეღერი ხშულ-მსკდომები თავკიდურ პოზიციაში, ხმოვნებს შორის, სონანტსა და ხმოვნებს შორის გადადის ჰომორგანულ გემინატაში (ინტენსიურ ბგერაში — ა. ჩ.). სხვა პოზიციაში გემინატები უცვლელად რჩება. მაშასადამე, გემინატა და ამოსავალი ხშულ-მსკდომი თანხმოვნები ერთმანეთის ვარიანტებს წარმოადგენენ. ამიტომაც ხშულ-მსკდომთა ოთხეული სისტემა ფონოლოგიური თვალსაზრისით იგივეა, რაც ხშულ-მსკდომ ფონემათა სამეულის სისტემა" [3].

ამას მოსდევს სქემა:

⁻ბ, ფა¹—⁻ფ¹—⁻ვ¹	⁻ჯ, ჩა¹—⁻ჩ¹—⁻ვ¹
⁻დ, თა¹—⁻თ¹—⁻ტ¹	⁻გ. ქა¹—⁻ქ¹—⁻კ¹
⁻ძ, ცა¹—⁻ც¹—⁻წ¹	⁻ღ, ხა¹ ⁻ხ¹ ⁻ყ¹

„წუდახარულში არაგემინირებული ყრუ სპირანტები გვხვდება

---

[1] ილ. ცერცვაძე, ანდიური ენა, 1965, § 24.

[2] И. Церцвадзе, Анд. яз., ИКЯ-кп, გვ. 279.

[3] Ш. Гаприндашвили, Фонетика дарг. яз., 1966, გვ. 167.

სიტყვის თავსა და ბოლოში (შანქ... ნეშ, სიმი — გარას...), ხმოვნებს შორის კი, როგორც წესი, მათ ნაცვლად გვაქვს ჰომორგანული ყრუ გემინირებული სპირანტები (ნუშაა, ხიხაა)...“ ამრიგად, ყრუ არაგემინირებული და გემინირებული სპირანტები დარგუულ ენაში აგრეთვე წარმოადგენენ ერთმანეთის პოზიციურ ვარიანტებს[1].

შეიძლება დავასკვნათ, რომ დარგუული ენის დიალექტებში გემინირებული თანხმოვნები ამოსავალ მჟღერ ხშულებთან (გემინირებულ ხშულ-მსკდომებთან) და ყრუ (გემინირებულ სპირანტებთან) ერთად შედიან ალოფონთა საარტიკულაციო ზონების მიხედვით ლოკალიზებულ ბუდეებში“[2].

შეიძლება თუ არა ინტენსიური თანხმოვნები მივიჩნიოთ ფონემებად, და თუ — კი, რა ენებში. ასეთი საკითხის დასმა მოწმობს, რომ ინტენსიური (გემინირებული) თანხმოვნები ქმნადობის პროცესში იმყოფება, ეს თანხმოვნები მეორეულია მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში. ფონემატური სისტემა აქ რთულდება.

ნიკ. ტრუბეცკოი, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი გამოკვლევები მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკის რიგი საკითხების შესახებ, ფონემისთვის არსებითად მიიჩნევს იმას, რომ იგი „მნიშვნელობის განსასხვავებლად შეიძლება გამოიყენონო (ამა თუ იმ ენის ფონოლოგიური სისტემა — ესაა სისტემა ბგერათსხვაობისა, რომლებიც იხმარება ამ ენაში მნიშვნელობის განსხვავებისათვის)“[3]...

ინტენსიური თანხმოვნები, როგორც ცნობილია (შ. გაფრინდაშვილი, ალ. მაჰომეტოვი) არ მოეპოვება დარგუული ენის ზოგ დიალექტს (აკუშურს, ურახულს...), წუდახარულს, კუბაჩურს, ხაიდაყურს... კი აქვს. ინტენსიები ხ შ უ ლ ე ბ შ ი ოთხეულებს ქმნის:

ოთხეულები:	ბ	ფ	ფჰ	პ	შდრ. სამეულები:	ბ	ფ	პ
	დ	თ	თჰ	ტ		დ	თ	ტ
	გ	ქ	ქჰ	კ		გ	ქ	კ

[1] Ш. Гаприндашвили, Фонетика дарг. яз., 1966, გვ. 167.

[2] იქვე.

[3] „... zur Bedeutungsdifferenzierung verwendet werden können... Das phonologische System einer Sprache ist das System der in dieser Sprache für die Bedeutungsdifferenzierung verwendeten Lautunterschiede“ (N. Trubetzkoy, Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen, — „Caucasica“, 8, 1931, გვ. 3—4).

სპირანტების შედგენილობა შესაბამისად გვაძლევს სამეულებსა და წყვილეულებს:

სამეულები:			წყვილეულები:	
ზ	ს	სᵒ	ზ	ს
ჟ	შ	შᵒ	ჟ	შ...

აქ სხვაობა მხოლოდ რაოდენობას ეხება.

აფრიკატები ორივე ტიპის დიალექტში სამეულს წარმოგვიდგენს, ოღონდ შედგენილობა განსხვავებულია: სადაც ინტენსიური აფრიკატი გვაქვს, მჟღერი არ გვექნება.

წუდახარ., კუბაჩ., ხაიდაკ.:			აკუშ., ურახ.:		
ც	ცᵒ	წ	ძ	ც	წ
ჩ	ჩᵒ	ჭ	ჯ	ჩ	ჭ
ჴ	ჴᵒ	ყ	ჴ'	ჴ	ყ[1]

ასეთ სხვაობას თანხმოვანთა შედგენილობაში ენობრივი სისტემა ვერ იგუებდა. ფონემის დანიშნულებას რომ მნიშვნელობათა განსხვავების გადმოცემა ეკისრებოდეს[2] ენაში („ინტენსიური თანხმოვნები" — „გემინატები" — ნ. ტრუბეცკოისათვის წარმოადგენს ფონემებს, და არა — ალოფონებს).

ლატერალურ ფონემათა საკითხისათვის. ადიღეურს სამი ლატერალი აქვს: მჟღერი, ყრუ ფშვინვიერი და აბრუპტიული[3].

მჟღერი ლატერალი არც ერთს დაღესტნურ ენაში არა გვაქვს, გვაქვს

---

[1] ალ. მაისმეტოვი, კონსონანტთა სისტემის კორელაცია დარგ. ენის დიალექტებში. იკვ. III, გვ. 279.

[2] მნიშვნელობათა განსხვავება ფონემის ფუნქციად რომ დაესახოთ, გაუგებარი იქნებოდა ენაში ომონიმების არსებობა, ადრეთვე სიტყვათა პოლისემია, როცა ფრაზის (კონტექსტის) გარეშე ვერ გაირჩევა, რა მნიშვნელობაც აქვს სიტყვას (мир „მშვიდობიანობა" мир „სამყარო" „война и мир" და „миру мир". брак „ქორწინება" — брак „წუნი"... род: женский род და племя и род...).

ტელეოლოგიური პრინციპი ფონემათა რაობის რეგვეისას არსებითად უმართებულოა.

„სამეტყველო ორგანოთა განწყობაა" ნიშანდობლივი სხვადასხვა ფონემებისათვის ერთსა და იმავე ენაში, და „ერთი და იმავე ბგერისათვის" სხვადასხვა ენაში... ფონემათა სხვადასხვა სისტემაში მოქცეული „ერთი და იგივე ფონემა" (მაგალითად, ა) იდენტური ვერ იქნება.

ფონემის რაობის შესახებ — ცალკე — სხვაგან.

[3] გ. როგავა და ზ. კერაშევა, ადიღეური ენის გრამატიკა. 1966, § 26.

სპირანტი ლატერალი, მისი ინტენსიური ვარიანტი, ყრუ ფშვინვიერი აფრიკატი და მკვეთრი აფრიკატი, მაგრამ არა გვაქვს მჟღერი.

მეხუთე ლატერალური თანხმოვანი (ტ') პირველად ანდიურში დაადასტურა ილ. ცერცვაძემ[1]. იგი მაგარი აბრუპტიული აფრიკატის თავისებური მოდიფიკაცია ჩანს (ამ ლატერალის, მისი რეფლექსებისა, აგრეთვე მჟღერებთან მკვეთრი აბრუპტიული აფრიკატის ისტორიული მიმართების შესახებ იხ. ილ. ცერცვაძის ნაშრომში)[2]

ლატერალურ ფონემათა წარმოშობა უკანაენისმიერთაგან, რისი ვარაუდიც სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ნ. ტრუბეცკოის ჰქონდა გამოთქმული, ერთგვარად დასტურდება იმ თავისებურებებით, რაც არჩიბულ ლატერალებში გამოვლენილი აქვს ოტ. კახაძეს [3].

რაგვარიც არ უნდა იყოს ლატერალებისათვის ამოსავალი თანხმოვნები, ლატერალების მ ე ო რ ე უ ლ ო ბ ა სადაო არ უნდა იყოს.

ვან-გინეკენი ვარაუდობდა, რომ ლატერალური თანხმოვნები გვჭონდა ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში (მათ შორის ქართველურში), მეტი კიდევ: ლატერალები ამ ენებში იყო ამოსავალი საერთოდ კონსონანტთა სისტემისა — მათი რიცხვი 40-ს აღწევდაო (§ 12). ასეთი ვარაუდი უფრო თეორიულ ზოგად ენათმეცნიერულ მოსაზრებებს ემყარება, ვინემ იბერიულ-კავკასიურ ენათა ფაქტობრივ მონაცემებს. ამაზე უფრო დაწვრილებით — ქვემოთ.

§ 11. კონსონანტიზმის განვითარების ზოგადი ტენდენციები იბერიულ-კავკასიურ ენებში

თანხმოვანთა საერთო რაოდენობა, როგორც ითქვა, საკმაოდ განსხვავებულია: სულ მცირე — 28 თანხმოვანია (ახალ სალიტერატურო ქართულში), ყველაზე მეტი — 80 თანხმოვანია (უბიხურში). ამ ორ რიცხვს შორის თავსდება სხვა იბერიულ-კავკასიური ენების თანხმოვანთა მეტ-ნაკლები რაოდენობა.

თუ მხოლოდ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს შევუდარებდით ამ მხრივ ერთმანეთს, ყველაზე მარტივი აღმოჩნდებოდა ნახურ ენათა

---

[1] ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, 1965, § 27.

[2] ი ქ ვ ე, § 28.

[3] ოტ. კ ა ხ ა ძ ე, ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში, იქვე. IX—X, 1958, გვ. 343; მ ი ს ი ვ ე. ზოგიერთი შენიშვნა ლატერალური თანხმოვნების შესახებ, იქვე, [illegible]

კონსონანტიზმი (35 თანხმოვანი ჩაჩნური ენისა!) — უბიხურის ყველაზე რთული კონსონანტიზმის (80 თანხმოვანი!) საპირისპიროდ.

ამრიგად, ქართულ-ქართველური ვითარება რომ განზე დავტოვოთ და მხოლოდ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ფარგლებში დავრჩეთ, მაინც ასახსნელი იქნებოდა სხვაობა, რაიც თანხმოვანთა რაოდენობის მიხედვით თვით მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის თვალში გვეცემა.

გარკვევას მოითხოვს ძირითადი საკითხი: რ თ უ ლ ი შედგენილობის კონსონანტიზმია პირველადი თუ მ ა რ ტ ი ვ ი ს ა? ქართველურსა და ნახურ ენებში შემოგვრჩა ძველი ვითარება თუ უბიხურში? ოცდარვა-ოცდათხუთმეტი თანხმოვანი გვქონდა და მერე მივიღეთ ოთხმოცი, თუ პირუკუ, ოთხმოცი თანხმოვანი (ანდა — მეტი!) გვქონდა და შემდეგ შემცირდა თანხმოვანთა რიცხვი ოცდათხუთმეტამდე?

ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: ერთი და იმავე ჯგუფის ენებში, ხშირად ერთსა და იმავე დიალექტებში თანხმოვანთა რაოდენობა განსხვავებულია, ამასთან მნიშვნელოვნად. მაგალითად, აფხაზური ენის ბზიფური დიალექტი (ოთჰარას თქმა) შვიდი ფონემით მეტობს აბჟუურ დიალექტს. ხუნძური ენის ჩრდილო დიალექტში უფრო რთული კონსონანტური სისტემა გვაქვს, ვიდრე სამხრულ დიალექტებში, ანწუხურში და მეტადრე — ჰარულში: ჩრდილო ხუნძური (ხუნძახური, ყაზბეკური) ოთხ ლატერალს განასხვავებს. ჰარულს კი ლატერალების სერია საერთოდ არა აქვს.

დარგუული ენის წუდახარულ კილოში მეტი თანხმოვანი გვაქვს, ვიდრე აკუშურ კილოში: ხშულთა ოთხეულები წუდახარულისა და სამეულები აკუშურ-ურახულისა... სპირანტთა სამეულები და წყვილეულები:

წუდახარ.	გ	ჭ	ჭ◦	კ		აკუშ.	გ	ჭ	კ
	ზ	ს	ს◦				ზ	ს	(იხ. ზემოთ).

სხვა სერიები იხ. ქვემოთ.

ჰარულ კილოში რომ ლატერალები არ ჩანს, ეს მეორეულია: ჰარულს ჰქონდა ლატერალები და დაეკარგა (ქართულისა და აზერბაიჯანულის გავლენით).

ტაპანთური კონსონანტიზმი რომ უფრო რთულია, ვიდრე აშხარული, ეს მეორეულია, ადიღურ ენათა გავლენას მიეწერება (ჭ. ლომთათიძე).

ამრიგად. კონსონანტიზმის გამარტივებაც არ არის გამორიცხული და გართულებაც ფაქტია, კ ო ნ ს ო ნ ა ნ ტ ი ზ მ ი ს ე ვ ო ლ უ ც ი ა ა რ ც გ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს დ ა ა რ ც გ ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ ა ს.

გასარკვევია. რა როლი ეკუთვნის ერთსა თუ მეორე პროცესს.

პალატალიზებული თანხმოვნების სერია რომ მეორეულია, ეს სადაო არ უნდა იყოს: პალატალიზაცია („დარბილება") გარკვეულ ფონეტიკურ გარემოს გულისხმობს, პალატალიზაცია პოზიციურად არის შეპირობებული, ხმოვანს ეხება საქმე თუ თანხმოვანს.

ჰანურში გვესმის დარბილებული გ კ ქ: გჲარი „საჭმელი", მკჲაფუ „ტურა", ქჲოი „სოფელი" (თურქ.). ართაშენულ თქმაში დარბილებული თანხმოვნების ადგილს აფრიკატები იკავებენ: ჯჲარი „საჭმელი", მჭჲაფუ „ტურა", ჩჲოი „სოფელი". ეს აფრიკატი ფონემები ახალი ფორმაციისაა (ფონეტიკურად ისინი არ გაირჩევიან ძველი ფორმაციის აფრიკატებისაგან: ჯუმა „ძმა", ოჭარუ „წერა", ქჩე „თეთრი"... ანალოგიური პროცესები ცნობილია ადიღეურიდან).

ადიღეურში უკანაენისმიერმა ხშულებმა (გ ქ კ) ჯერ პალატალიზაცია განიცადეს, შემდეგ კი გააფრიკატდნენ: გ კ ქ—გ̆ კ̆ ქ̆—ჯ ჭ ჩ[1]. გარდამავალი — პალატალიზებული — ვარიანტები დაუცავს შაფსუღურსა და ბასლენურ დიალექტებს.

ამგვარად პირველადი ძველი ფორმაციის ჯ ჭ ჩ-ს გარდა ახალი, მეორეული ჯ ჭ ჩ გაჩნდა.

ასევეა ჰანურში, ოღონდ იქ იცვალა გ კ ქ წინაენისმიერ ხმოვანთა წინ (სხვა პოზიციაში კი დარჩა). ადიღეურში გ ქ კ ყველგან იცვალა, მხოლოდ სპირანტებთან შემოგვრჩა[2]. ჰანურშიც და ადიღეურშიც ორი ფორმაციის ჯ ჭ ჩ გვაქვს: ესაა საერთო ჰანურსა და ადიღეურს შორის.

ხშულთა აფრიკატიზაცია და აფრიკატთა სპირანტიზაცია დადასტურებულია სვანურში (შდრ. კაც და ჰაშ—კაჩ: კ—ჰ, ჩ—შ—ვარ. თოფურია).

საგულისხმოა, რომ აფრიკატიზაცია ჰანურის იმ თქმაში დასტურდება, რომელიც სხვა ენის ძლიერ გაელენას განიცდის. მეგრულისთვის ეს პროცესი უცხოა.

---

[1] გ. როგავა, თანხმოვანთა ძირითადი ფონეტიკური პროცესები ადიღეურში, იენ., 1974, გვ. 73.

[2] იქვე.

ადიღეურში პირველადი შიშინა აფრიკატების (ჯ ჳ ჩ) სპირანტიზაცია შეიმჩნევა (აბძახურ კილოში — თავისებურ შიშინა სპირანტებში...), ზოგ დიალექტში (შიმგუურში) სპირანტიზაცია განიცადა მხოლოდ შიშინა აფრიკატებმა (ჩ ჩ₀[1]).

ლატერალებისათვის უკანა წარმოების თანხმოვნებია ამოსავალი. (ნ. ტრუბეცკოი). უკანაენისმიერთა ადგილი დაიკავა წინა წარმოების თანხმოვნებმა. ლატერალები გვქონდა ხუნძურ ენაში, მის ჩრდილო დიალექტებში ახლაც კარგად არის დაცული ეს სერია; ჰარულმა დიალექტმა ლატერალები დაკარგა.

ასევე შეეძლო რომელიმე ენას ჰქონოდა ლატერალების სერია და დაჰკარგოდა იგი: ლატერალების არქონა ამოსავალ ვითარებაში და ლატერალების უქონლობა (ამ სერიის მოშლის შედეგად) აღწერითი თვალსაზრისით ერთნაირია. მაგრამ ისტორიის თვალსაზრისით ერთი და იგივე არაა, მათ იდენტურად ვერ მივიჩნევთ (ერთნაირის იდენტურობის საკითხი!).

ამჟამად რომ ლატერალები არ მოეპოვება ენას (მაგ., ქართულს, აფხაზურს...) ეს არ ნიშნავს, რომ ჰქონდა და დაეკარგა. და, პირუკუ, ახლა რომ ლატერალთა სერია დასტურდება ამა თუ იმ ენაში (მაგ., ადიღეურში, ხუნძურში...), კიდევ არ ნიშნავს, რომ ლატერალები იმ თავითვე გვქონდა აფხაზურ-ადიღური ანდა დაღესტნური ჯგუფის ენებში.

ამრიგად, ფონემათა შედგენილობა დროთა ვითარებაში იცვლება: ზოგი ფონემა (ფონემათა სერია) შეიძლება დაიკარგოს, ანდა შეიცვალოს სხვა ფონემით (ფონემათა სერიით), ანდა პირუკუ—გაჩნდეს, შეემატოს ფონემათა შედგენილობას; ერთს შემთხვევაში ფონემათა შედგენილობა მარტივდება, მეორეში — რთულდება. ფონემათა შედგენილობის ცვლა ერთსაც გულისხმობს და მეორესაც.

ცვლის პროცესი ზოგჯერ (თუ ზოგ ენაში) შეიძლება იყოს ნელი — ცვლა შეინიშნება დროის დიდ მონაკვეთზე, ზოგჯერ (ზოგ ენაში) შესაძლოა იყოს უფრო სწრაფი (ინტენსიური): ცვლის ტემპი დამოკიდებულია ზოგად პირობებზე, რომლებშიც სათანადო ენობრივ კოლექტივს უწევს ცხოვრება.

---

[1] გ. როგავა, თანხმოვანთა ძირითადი ფონეტიკური პროცესები ადიღეურში, იკვწ., I, 1974, გვ. 72.

ამ პირობებზე როცა ელაპარაკობთ, ორი გარემოება იქცევს ყურადღებას: ერთი ასეთია: სამწერლო ენა თუ გვაქვს, ც ვ ლ ა თანაბარ პირობებში უფრო ნ ე ლ ი ა; მეორე: ც ვ ლ ა მით უფრო ს წ რ ა ფ ი ა, რაც უფრო ძლიერია სხვა ენის გავლენა.

ასე, მაგალითად, ქართულმა სალიტერატურო ენამ თხუთმეტი საუკუნის მანძილზე დაკარგა ერთი თანხმოვანი (ფარინგალური ჴ) და ნახევარ-ხმოვანი ჲ. ფონემურ შედგენილობას არ შემატებია არც ერთი ახალი ფონემა (XVIII ს-ში იყო ცდა შემოეტანათ ჶ თანხმოვანი უცხო ენათაგან შეთვისებული სიტყვების გადმოსაცემად: ჶილოსოჶია, ჶიზიკა..., მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა (ქართულმა სალიტერატურო ენამ, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა, ნასესხები სიტყვების გადმოსაცემად ახალი ფონემა — და შესაბამისი ასო — უკუაგდო).

ახალი სამწერლო ენა ასეთ შემთხვევაში შესაძლოა უცხო ფონემებს უფრო ადვილად შეითვისებდა. აბაზური სალიტერატურო ენა 1933 წლიდან არსებობს: მას საფუძვლად უდევს ტაპანთის დიალექტი, — ბარის აბაზური კილო, რომელმაც ყაბარდოულის ძლიერი გავლენა განიცადა. ამის შედეგად აბაზურში გზა გაიკაფა ყაბარდოული ენიდან შეთვისებულმა ფონემებმა: ასეთებია: სამი ლატერალი თანხმოვანი, ორი შუაპალატალური სპირანტი (შ', შ°), მკვეთრი კბილბაგისმიერი ჶ '.

ქართული ენის ინგილოურმა კილომ დაკარგა აფრიკატები ძ ჯ ხუნძური ენის ჰარული კილოს ზეგავლენით. მას შემდეგ, ცხადია, რაც ინგილოური მოსწყდა კახურსა და ქიზიყურს.

ბ. თალიბოვის დაკვირვებით მკვეთრი თანხმოვნების პოზიცია უდიურ ენაში შერყეულია: ვართაშნულ დიალექტში მკვეთრები უკვე აღარა გვაქვს, ნიჯურ დიალექტში — გაჭრობის გზაზეა[2]. ბ. თალიბოვის დაკვირვების საგანი იყო ვართაშნული და ნიჯური (რომელთაც ის ადგილობრივ სწავლობდა 1957, 1962 და 1963 წწ.): ვართაშნული და ნიჯური აზერბაიჯანული ენის გარემოცვაში იმყოფება და აზერბაიჯანულის ძლიერ გავლენას განიცდის: მკვეთრების მოშლა ამ გავლენას მიე-

---

[1] А. Г е н к о, Абазинский язык, 1955, გვ. 23; К. Л о м т а т и д з е, Абазинский язык, ИКЯ-ки, გვ. 127; მ ი ს ი ვ ე: აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, 1944; მ ი ს ი ვ ე: აშხარული დიალექტი, 1954.

[2] ბ. თ ა ლ ი ბ ო ვ ი, მკვეთრი თანხმოვნების საკითხისათვის უდიურში, იკვწ, I, 1974.

წერება (კახეთში — სოფ. ოქტომბრიანში დასახლებული უდების მეტყველებას მკვეთრები დაუცავს. ქართული მეტყველება ამას ხელს უწყობდა).

საყურადღებოა ბ. თალიბოვის დაკვირვება: მკვეთრებს უდიურში პრერუპტივები ცვლისო. პრერუპტივებს ნებისმიერ პოზიციაში ეიპოვითო (იქვე, I, გვ. 211).

ზოგადად შეიძლებოდა გვეთქვა: თანხმოვანთა სისტემის ცვლას იბერიულ-კავკასიურ ენებში ახასიათებს ძირითადი ტენდენცია: უკანა წარმოების თანხმოვანთა სერია მარტივდება. წინასი — რთულდება, ე. ი. ლარინგალურ და ფარინგალურ თანხმოვანთა წყება მცირდება, წინა და შუაენისმიერთა, აგრეთვე ლატერალთა წყება მრავლდება, ფონემათა სისტემა რთულდება.

ასე, მაგალითად, ქართულში ლარინგალური ჰ-ს პოზიცია თანდათანობით სუსტდება: ძირეულ მასალაში. ეს ფონემა ალარა გვხვდება (მორისდებულ ჰე, ჰო-ს თუ არ მივიღებთ მხედველობაში!).

ფარინგალური სერიის სამეულიდან (მკღერი, ფშვინვიერი, მკვეთრი) ძველ ქართულში მხოლოდ ორი უკანასკნელია წარმოდგენილი: ჴ და ყ; ახალ ქართულში შემოგვრჩა მხოლოდ მკვეთრი ყ; ჰანურში, მის ათინურ კილოკავში ეს მკვეთრიც ცვლილია (ჲ): ფარინგალური სამეული აქ მთლიანად მოშლილია[1]. მართალია, ჰანურში ჯერ ბერძნულის, შემდეგ კი თურქულის ძლიერი გავლენა ხელს უწყობდა ყ-ს დასუსტება-დაკარგვას; სალიტერატურო ქართულში, სადაც ასეთი მიზეზი არა ჩანს, ფარინგალური მკვეთრი ყ დაცულია, მაგრამ ჴ, ფარინგალური ფშვინვიერი. დაიკარგა და ეს შინაგანი განვითარების კანონზომიერებას ეფარდება და გამოგვივლენს.

ანალოგიურ პროცესს ვარაუდობენ ადიღეურსა და აფხაზურში.

„ველარულ თანხმოვანთა სისტემა ისევე. როგორც ლარინგალურ თანხმოვანთა, [ადიღეურში] ძლიერ არის დარღვეული. ველარულ ზონაში „მკღერისა და „მკღერობის უქონლობის" მიხედვით დაპირისპირებულია მხოლოდ მარტივი და ლაბიალიზებული სპირანტები [ɣ—xʷ ღ—ხ]. [ɣʲ—xʷʲ ღ—ხ°]. ველარული [kʷ ჴ], [kʷʲ ჴ°] წარმოადგე-

---

[1] გ. როგავა. ფარინგალურ ხშულთა რეგისათვის ქართველურსა და ადიღეურ ენებში. იქვე. I (1946). გ. ახვლედიანი. ქართულის ხშულთა მეექვსე სამეული, ზოგადი... ფონეტიკის საფუძვლები. 1949, გვ. 308—323.

ნენ ყრე ნახევარაბრუპტივებს, რომლებიც შემოგვრჩა, როგორც რელიქტური მოვლენა, გადმონაშთი“ [1].

სპონტანურ ფონეტიკურ ცვლილებათაგან აფხაზურში შეიმჩნევა ცვლილებები, რომლებიც საერთოა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან: ირღვევა და მარტივდება ლარინგალურ და ფარინგალურ თანხმოვანთა სისტემა, რთულდება უფრო წინა წარმოების თანხმოვანთა სისტემა [2].

ფარინგალურ ხშულთა სისტემის გამარტივებას ადიღურ ენებში ვარაუდობს გ. როგავა [3].

უკანა წარმოების (ლარინგალური, ფარინგალური) თანხმოვნები ნახურსა და დაღესტნურ ენებში უკეთ არის დაცული. წინა წარმოების თანხმოვნები დაღესტნურ ენებში მდიდრად არის წარმოდგენილი. ქართული ენის კონსონანტიზმს არ ეტყობა გართულება: თხუთმეტი საუკუნის მანძილზე თანხმოვანთა სისტემას არ შემატებია არც ერთი თანხმოვანი: ფარინგალების სერია გამარტივდა, წინა წარმოების ახალი თანხმოვნები არ წარმოქმნილა.

„ძირითადი ტენდენცია“ არ გამორიცხავს ისეთ პროცესებს, რაც ამ ძირითადს არ ეგუება, საწინააღმდეგო მიმართულებისაა (ძირითადი ვერ იქნება ერთადერთი). ვთქვათ, ლატერალები წარმოიქმნა უკანა წარმოების თანხმოვნებისაგან: „წინა წარმოების“ თანხმოვანთა წყება გაიზარდა; ეს ეგუება ძირითად ტენდენციას; მაგრამ, როცა ლატერალები მოიშალა (მაგ., ხუნძური ენის ჰარულ კილოში), წინა წარმოების თანხმოვანთა წყება შემცირდა — წინააღმდეგ ძირითადი ტენდენციისა.

და მაინც ზოგადი შედეგის მიხედვით მაგისტრალური ხაზი წინა წარმოების თანხმოვანთა რიცხვის ზრდას იძლევა და არა შემცირებას (იგულისხმება ამოსავალ ვითარებასთან შედარებით, ე. ი. იბერიულ-კავკასიურ საერთო მასალას თუ ავიღებთ შესადარებლად).

ძველი ქართულის ჩვენება ამ მხრივ საგულისხმოა: აქ თანხმოვანთა არც პალატალიზებული სერია გვაქვს, არც ლაბიალიზებული, არც ნახევარ-აბრუპტივები, არც ინტენსიურები, არც ლატერალები..., საერ-

---

[1] М. Кумахов. Адыг. яз., ИКЯ-кп, გვ. 146.

[2] К. Ломтатидзе, Абхаз. яз., ИКЯ-ки, გვ. 105.

[3] Г. Рогава, Основ. фонет. процессы согласных в адыг. языках, ЕИКЯ, I. 1974.

თოდ არც ერთი იმ სერიათაგან, რაც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კონსონანტიზმის სირთულეს იწვევს.

ყველაფერი ეს ჰქონდა ქართულს და დაეკარგა ჯერ კიდევ ათას ხუთასი წლის წინათ? არა. უფრო სარწმუნოა, რომ ეს სერიები გაუჩნდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს. და ამაში არამცირედი წილი უდევს ენათა კ ო ნ ტ ა ქ ტ ს, იქნება ეს ამავე წრის სხვადასხვა ჯგუფის ენა, თუ სხვა წარმომავლობისა თუ სტრუქტურის ენა.

შეიძლება გვითხრან: მთის იბერიულ-კავკასიური ენები სხვა წარმოშობისაა და ქართველური ენები კიდევ სხვისაო, მაგრამ მკვეთრ (აბრუპტიულ) თანხმოვანთა სერია (ხშულთა სამეულები!) ქართველურ ენებს ისევე ახასიათებს, როგორც მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს: ესაა ძველი ერთიანობის გადმონაშთი.

მერეა და, თვით იბერიულ-კავკასიურ ენათა ნახური ჯგუფის კონსონანტიზმი ქართულის კონსონანტიზმს მიჰყვება არსებითად.

საკმარისია საწინააღმდეგო ვითარება ვივარაუდოთ: ყველა სერია (პალატალიზებული, ლაბიალიზებული, ინტენსივები, ლატერალები, პრერუპტივები) მივიჩნიოთ ძველისძველი კონსონანტიზმის კუთვნილებად, რომ შეუძლებელი აღმოჩნდება არა თუ ქართველურ ენათა ისტორიული კავშირის დადგენა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან, არამედ თვით აფხაზურ-ადიღურის, ნახურისა და დაღესტნური ენების ისტორიული ერთიანობის დასაბუთება (resp. მათი ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის დამუშავება) — ისე რთული იქნებოდა დასაბამში საგულისხმო კონსონანტიზმი.

§ 12. კონსონანტიზმის ამოსავალი რთული სისტემის ვარაუდი

ამოსავალში კონსონანტიზმის რთულ შედგენილობას ვარაუდობს არა ერთი ავტორი. ქართველური ენებისათვის პრერუპტივების არსებობას გულისხმობდა გ. როგავა (იხ. § 10): სისინ-შიშინა სპირანტთა და აფრიკატთა ორმაგი წყვილეულები „საერთო ქართველურში“ ამოსავალია ვაცლავ პოლაკისათვის:

ს—ს ზ—ზ ც—ც ძ—ძ

შ—შ ჟ—ჟ ჩ—ჩ ჯ—ჯ (ხაზგასმულები მას მთავრული ასოებით აქვს აღნიშნული: s, S.š, Ś—z, Z ž, Ž—c, C č, Č—j, J, ǰ, J̌)[1].

[1] V. Polak, Contributions à la grammaire historique des langues kartvelienmes, Archiv Orient., XXIII, 1—2, (1955), 77—69.

სისინათა და შიშინათა საგანგებო სერიების ვარაუდი საერთო ქართველურში ძალიან აადვილებს თანხმოვანთა შესატყვისობათა ახსნასო, წერს ვ. პოლაკი[1].

შესატყვისობათა ახსნა ამის გარეშეც არ გაძნელდებოდა, თუ შესადარებელი ფაქტების ისტორიას მოვიკითხავდით (ცხელ — ზან. ჩხე ც:ჩ, მაგრამ: ცხენ — ზან. ცხენ. აქ ერთი და იგივე ფუძე გვაქვს, ზანურში შეთვისებული — კონტაქტის პროცესში! — ქართულია სიტყვა და არა განსხვავებული ც „საერთო ქართულისა").

ვ. პოლაკის აზრი სხვა ზოგადი საკითხის გაგებაშიც თავისებურია: „საერთო ქართველური" უფრო დაცულია ზანურში, ვიდრე ქართულშიო.

ზანურის მეტ სიძველეს ფაქტობრივი ვითარება — არც ფონეტიკაში, არც მორფოლოგიაში — მხარს არ უჭერს.

სისინათა და შიშინათა უფრო რთულ სისტემას ქართულში ძველად (საერთო ქართველურში) ვარაუდობენ აგრეთვე კ. ჰ. შმიდტი[2] და გ. მაჭავარიანი[3].

საფუძველი იგივეა: შესადარებელ ოდენობათა ისტორიის გაუთვალისწინებლობა (მაგალითი — აქვე ზემოთ), ე. ი. იმ ცვლილებათა გაუთვალისწინებლობა, რაც მოხდა დიფერენციაციის შემდეგ მონათესავე ენებში, კერძოდ, მათი კონტაქტისა და ერთურთზე გავლენის შედეგად.

უკიდურესი მაინც ვან-გინეკენის შეხედულება ჩანს. ზოგადი ენათმეცნიერების ცნობილ ბელგიელ სპეციალისტს ვან-გინეკენს კავკასიური ენები, მათი ბგერითი სისტემა აინტერესებს ენათა (და კულტურათა) გენეზისის თვალსაზრისით. ვან-გინეკენის გამოკვლევა „ნარკვევი კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკისა"[4] ფონეტიკის საკითხებს განიხილავს. ავტორის აზრით, არქაულ ენებში მეტი მნიშვნელობა ენიჭება თანხმოვნებს, ახალ ენებში — ხმოვნებს. კავკასიურ ენებში ლატერალური თანხმოვნების ჩვენებას შეუძლია გაგვირკვიოს აფრიკის, ამერიკის, სემიტურ და ინდო-ევროპულ ენათა არა ერთი საკითხიო.

---

[1] V. Polak. Contributions à la grammaire historique des langues kartveliennes, Archiv Orient., XXIII, 1—2, (1955), გვ. 77—89.

[2] K. Schmidt, Studien .., 1962.

[3] გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, 1965.

[4] J. van Ginneken. Contribution..., 1938.

ლატერალები არქაული ფორმაციის თანხმოვნებია: კავკასიურ ენებში ორმოცი ლატერალი უნდა გქონოდაო. ტრუბეცკოი ლატერალებს მეორეულად თელისო.

ლატერალები ქართულშიც მოგვეპოვებოდაო. გაუმართლებელია, რომ ტრუბეცკოიმ გვერდი აუარა სამხრულ კავკასიურ ენებსაო.

ლატერალების კვალს ქართულში ვან-გინეკენი ხედავს თანხმოვანთა კომპლექსებში, როგორიცაა ადგილი. დგრიალი. მატყლი, წყალი, რწყილი... (ზოგი ცალკეული თანხმოვანიც. მაგ.. ღ — სიტყვაში „უღელი“ — თურმე მეღერ ლატერალურ სპირანტს უდრის!).

ლატერალები რომ თანხმოვანთა ძველისძველ სერიას წარმოადგენს კავკასიურ ენებში, სარწმუნო არ ჩანს.

ორმოცი ლატერალი რომ იყარაუდა ვან-გინეკენმა კავკასიურ ენებში, ეს გამომდინარეობს მისი ზოგადი ვარაუდიდან: კაცობრიობის მეტყველებაში ამ რიგის თანხმოვნები ძველისძველიაო.

იბერიულ-კავკასიურ ენათა კონსონანტიზმის ისტორია ასეთ ვარაუდს არ ამართლებს.

ვან-გინეკენის შეხედულება საინტერესოა იმით, რომ საკითხი თავისებურად არის დასმული და ავტორი უველა შესაძლო დასკვნებს აყეთებს [1].

§ 13. ბგერათა ცვლის კანონზომიერებათა ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში

კანონზომიერი ცვლა გულისხმობს ბგერათშესატყვისობას. შესატყვისობა შეიძლება გქონდეს ან ორ (თუ მეტ) ენობრივ ერთეულს შორის ანდა კიდევ ერთი ენის ფარგლებში ამ ენის ცვლის ორ მომდევნო საფეხურს შორის.

საკითხი ეხება კანონზომიერ ცვლას, ე. ი. ისეთ ცვლას, რომელიც

---

[1] გზა-გზა საგულისხმო შეხედულებებსაც ვხვდებით: ასეთია, კერძოდ, ქართული სიტყვის ფონეტიკური სტრუქტურის დახასიათება:

ხშულთა და სპირანტთა კომბინაციის კანონი (ნ. მარს აქონდა ადრე შენიშნული, მერე დააზუსტა პ. ფოკტმა): თუ პირველი თანხმოვანი მეღერია, მომდევნოც მეღერია; თუ პირველი ფშვინვიერია, შემდგომიც ფშვინვიერი იქნება...

უკანა მიმდევრობის კანონი — თანხმოვანთა კომპლექსში ბაგისმიერსა და კბილისმიერს მოსდევს უკანაენისმიერი: ფთ, პტ, თქ, ტყ. ტყ... (ახლა ამ კომპლექსებს დეტესიურს უწოდებენ — გ. ახვლედიანი).

დასტურდება არა ერთსა და ორ მაგალითში, არამედ ყველგან იჩენს თავს. სადაც კი სათანადო ბგერა ერთსა და იმავე ფონეტიკურ პირობებშია მოცემული. ასე, მაგალითად, ქართულის ძ-აფრიკატს ზანურში (მეგრულსა და ჭანურში) კანონზომიერად შეესატყვისება ჯ-აფრიკატი: ქართ. ძმა — ზან. ჯუმა (—ჯიმა), ქართ. ძელ-ი — ზან. ჯა[ლ]-ი („ხე"), ქართ. ძაღლ-ი — ზან. ჯოღორ-ი, ქართ. ძველ-ი — ზან. ჯვეშ-ი, ქართ. ძაგ-ს — მეგრ. ჯოგ-უ-[ნ], ქართ. უ-ძღვ-ს — მეგრ. უ-ჯღონ-ს—უ-ჯღვ-ან...

ჭანურს სხვაგვარი შესატყვისები რომ ჰქონდეს და მეგრულს კიდევ სხვაგვარი. ჭანურისა და მეგრულის ერთ ენად (ერთი ენის ორ დიალექტად) მიჩნევა გაჭირდებოდა, მაგრამ ჭანური და მეგრული ერთი და იმავე შესატყვისით გამოდის ქართული ბგერის ფარდად [1].

მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ბგერათა კანონზომიერ ფარდობას ადგილი აქვს ერთი და იმავე ენის დიალექტებს შორის, ე. ი. ისეთ ერთეულებს შორის, რომელთაც ცალკე ენებად არავინ თვლის. მეტი კიდევ: ბგერათშესატყვისობას შეიძლება ადგილი დაურჩეს ერთი დიალექტის ორ კილოკავს (resp. თქმას) შორის.

დიალექტებს შორის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის მაგალითებს ვიპოვით დარგუულ ენაში (ურახული ტიპის დიალექტებსა და წუდახარული ტიპის დიალექტებში: ურახულში თანხმოვანთა სერიებში მეღერი გვაქვს, მაგარი ყრუ ხშული არა, წუდახარული ტიპის დიალექტებში მაგარი ყრუ ხშულები გვაქვს, სათანადო მეღერი კი გვაკლია. მაგარი ყრუ მეღერისაგან არის მიღებული — ნ. ტრუბეცკოი).

დიალექტის ფარგლებში კილოკავთა (თუ თქმათა) ბგერათშესატყვისობის ნიმუშად შეიძლებოდა დაგვესახელებინა ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ორი თქმის ფაქტები, გამოვლენილი ილია ცერცვაძის მიერ[2]. ერთია ტოხური, მეორე — ჭადაქოლოური.

---

[1] იგულისხმება საერთო ფუძე ქართულსა და ზანურში, მასთან ისეთი შემთხვევები, როცა დიფერენციაციის შემდეგ ფონეტიკური ცვლა არ განუცდია შესატყვის ფუძეებს (ამის თაობაზე: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938 წ.).

[2] ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, §§ 18—27... იქვე, II, 1948.

ტოხური: ჰადაქოლოური:

ს→შ: ვას' „ვაჟიშვილი" — ვაშ
ჟას' „ქალიშვილი" — ჟაშ
ნუს' „დანა" — ნუშ
ს'ონ „წელიწადი" — შონ
ს'ურათ „სურათი" (არაბ.) — შურათ

} სისინა სპირანტს ცვლის შიშინა სპირანტი

ასევე:

ძ→ჯ: ქვენძი „ჭამა" — ქვენჯი
სენძი „ჩაქრობა" — სენჯი
ჩოძიბე („ხერ ტჲე") „ცხენს (თივა მიეცი)" — ჩოჯიბე (ხერ ტჲე)

} სისინა მჟღერ აფრიკატს ენაცვლება შიშინა მჟღერი აფრიკატი

ძ-სათვის ამოსავალია დ: დ→ძ→ჯ.

წ←ჰ:

ჩა „ცეცხლი" — ჰა
წულ „ზეშა" — ჰულ
წაყ „ძალიან" — ჰაყ
წინდაკ „წინდა" — ჰინდაკ
ანწგო „ათი" — ანჰგო
კიწინ კიგუ „ორჯერ ორი" — კიჰინ კიგუ

} სისინა სადა აფრიკატი გადადის შიშინაში

ჩჲ→ც: ჩჲუშა „თევზი" — ცუშა
ჩჲამა „თიკანი (ერთი წლისა)" — ცამა
რუჩჲაბი „ცოლი" —რუცაბი
ჩჲუთ „ხვლიკი" — ცუთ
ჩჲითირ „მწკრივი" — ცითირ

} შიშინა მაგარ აფრიკატს ენაცვლება სისინა აფრიკატი

ჰჲ→წ: მიჰჲ „ჰინჰარი"—მიწ
ჰჲელძი „დგომა"—წელჯი
ჰჲინჰჲ „ჩიტი"—ჰჲიწ
ჰჲეკჲი „ლოკვა"—წეკქი

} მაგარ შიშინა მკვეთრ აფრიკატს ენაცვლება სადა სისინა აფრიკატი

მეორე მხრივ სადა წ-ს ჰ ეფარდება:

ანწუხური დიალექტი ხუნძური ენის სამხრეთული დიალექტია. ამ დიალექტის ორ თქმას შორის ბგერათა ისეთივე ფარდობა დასტურდება, ოგორიც ქართულსა და ზანურს შორის გვაქვს: ტოხურის სისინა ანხმოვნებს ჰადაქოლოურში შიშინა თანხმოვნები შეესატყვისება.

ტოხური: ს ძ წ — ჰადაქოლოური: შ ჯ ჭ...

სისინათა შეცვლა შიშინა თანხმოვნებით ცვლის ერთ ტენდენციას ვლენს. მაგრამ ეს ტენდენცია როდია აქ ერთადერთი.

მაგარი (ინტენსიური) ჩ ჯ ი ცვლება სხვაგვარად: ჩ—ც, ჯ—წ; ავარ აფრიკატებს ცვლის სადა თანხმოვანი: მასთან ფშვინვიერს — რაფშვინვიერი.

ანალოგიური ცვლა ხუნძურის სხვა კილოკავ-თქმებშიც შეინიშნება. აფრიკატის სპირანტიზაცია გვაქვს ერთ შემთხვევაში:

ჩრდ. ხუნძ.		ვაცი „ძმა“	ჰიდური:	ვასი
-	-	ჯაცი „და“	„	ჯასი
-	„	ცოებე „წინ“	„	სოებე
„	„	ჩიუჭა „თევზი“	„	შიუჭა
„	„	ჭურჩოინაბ „მწვანე“	„	ჭორშოინაბ

აულ შულანიბში მაგარი ყრუ შიშინა აფრიკატი აბრუპტივით ცვლება, ხოლო მეზობელ აულ უნთიბში მაგარი მკვეთრი აფრიკატი — მაგარი ფშვინვიერი (ყრუ) აფრიკატით: შულან. ვაწი ← ვაცი „ძმა“, წოებე—ცოებე „წინ“, წოინ—ცოინ „ნალველი“... უნთიბ: ცაარ← ←წაარ „სახელი“, ცად←წად „წვიმა“... ჰოინჩი←ჰოინჯი „ჩიტი“...[1]

ორი გარემოება იქცევს განხილულ მაგალითებში ყურადღებას:

ა) კანონზომიერი ცვლილება მიკრო-ერთეულებში (კილოკავი, თქმა, ცალკეული აული);

ბ) ბგერათცვლილების ნაირგვარი, ხშირად ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულება: ანწუხურის თქმებში სისინა სპირანტი (ს), აფრიკატები (ძ, წ) გადადის შიშინა სპირანტსა (შ) და აფრიკატებში (ჯ, ჭ), მაგრამ იქვე შიშინა მაგარი აფრიკატები (ჩი, ჯი) იცვლება სისინა სადა აფრიკატებით (ც, წ). ამრიგად: სისინა—შიშინა და მეორე მხრით: შიშინა — სისინა.

---

[1] არნ. ჩიქობავა. იკვე, I. (1974). გვ. 53.

ჰიდურში მაგარი აფრიკატები (სისინაცა და შიშინაც) იცვლება მაგარი სპირანტებით (ცჲ, ჩჲ→სჲ, შჲ...).

შულანიბში მაგარი შიშინა აფრიკატის აბრუპტივიზაცია იჩენს თავს, უნთიბში მკვეთრი აფრიკატები კარგავენ აბრუპტიულ ხასიათს და მაგარი მფშვინავი აფრიკატების სახით გვევლინებიან.

ყველა ამ შემთხვევაში შესატყვისობის საკითხი ერთი ენის ფარგლებში წინანდელისა და მერმინდელის ურთიერთობას გულისხმობს.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ადიღეური ენის ჰემგუურსა და აბძახურ დიალექტებში აფრიკატი ჩ შეიცვალა სპირანტ შ-თი (აფრიკატების სპირანტიზაცია[1]): ჰემგ., აბძ. შჳ „რძე", შჳნ „წაყვანა" (მიჰყავს), შგნჳნ „შიში" (ეშინია), შგდგ „ვირი" მიღებულია: ჩჳ, ჩჳნ, ჩგნჳნ, ჩგდგ-საგან... ეს ჩ-ს მქონე ვარიანტი შემოუნახავს შაფსუღური დიალექტის ხაკუჩურ თქმას[1]: ადიღეური ენის ბეედუღურ კილოს აფრიკატ ჩ-ს ნაცვლად ლარინგალიზებული სპირანტი შˁ მოეპოვება: შˁჳ, შˁჳნ, შˁგნჳნ, შˁგნდგ[2]... ადიღეურ ენაში აფრიკატიზაციისა, პალატალიზაციისა თუ სპირანტიზაციის პროცესებიც არის დადასტურებული[3].

თანამედროვე ვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მივიღებდით შესატყვისობას: ჰემგუური. აბძახური შ — ხაკუჩური ჩ — ბეედუღური შˁ. ამ ფარდობის ისტორიული ახრი კი შემდეგში მდგომარეობს:

ადიღეური ჩ—შ (ჰემგ., აბძახ.)//—შˁ (ბეედუღურში).

ერთი სიტყვით. დიალექტთა ტერიტორიულ განფენილობაში პროცესის სხვადასხვა საფეხურია წარმოდგენილი, სივრცეში დრო ჩანს — არქაიზმისა და ინოვაციათა სახით.

ასეთი შესატყვისობა უნდა განვასხვაოთ იმ შესატყვისობისაგან, როცა ფარდი ბგერებიდან ერთი მეორისაგან კი არ არის მიღებული, არამედ ორივე ბგერას მესამე, უწინარესი აქვს ამოსავლად:

---

[1] Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Майкоп. 1966, გვ. 31.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 30—55.

ამოსავალმა ლაბიალიზებულმა თანხმოვანმა ძ° (აფხაზ. ენისა): აბ-ჯუურსა. ბზ-ფურსა და აშხარულში მოგეცა ვ, ტაპანთურში ძ[1].

§ 14. შესატყვისობის ერთი მაგალითი დაღესტნურ ენებში

ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენად რთული ვითარება აღმოგვაჩნდება, თუ ხუნძურ კილოკავ-თქმათა მონაცემებს შევუდარებთ დაღესტნის სხვა ენათა ჩვენებას და შევეცდებით ამ ნაირგვარობაში მივაკვლიოთ ა მ ო ს ა ვ ა ლ ვარიანტს და ვცადოთ მისი ფარდი ვარიანტების ურთიერთობის ახსნა.

ავიღოთ „ძმა" ფუძის ვარიანტები დაღესტნურ ენებში.

1. ხუნძ. ჰამალ. } ვა-ც°
2. ახვახ. კარატ. ტინდ. ბოთლ. ღოდობ. } ვა-ცი°
უდიური: ვი-ჩი
თაბას. ჩ-ვი//ჩ-ვე
აღულ. ჩ-უ//ჩ-უ-ჲ//ჩუ-ჩუ
წახ. ჩ-ო-ჯ[2]
3. ბაგვალ. ვა-სი
4. დიდოური: ე-სი-ვ//ე-სი-ჲუ
5. ჰინუხ. ე-ს-უ
6. კაპუჭ. ი-ს
ხვარშ. ე-ს
7. ჰუნზიბ. გ-ს
8. ლაკ. უ-სი°უ
9. დარგ. უ-ცი°-ი//უ-ძ-ი//უ-ზ-ი
10. არჩიბ. უ-შ-თი°-უ//უ-შ-დ-უ
11. კრიწ. შ-ი-დ
ბუდუხ. შ-ი-დ
რუთულ. შ-უ

ავტორები სამაროლიანად ვარაუდობენ, რომ ამ სიტყვებს საერთო ძირი აქვსო (ვა- გრამ. კლასის ნიშანია, ზოგგან ის მოცილებული აქვს ძირს, ზოგჯერ მისგან ხმოვანიღა რჩებაო).

ეს საერთო ძირი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურში არის ცი° და მისი რეფლექსებია ც და ს, სხვა ენებში კი რეფლექსებად გვაქვს: ძ, ზ, სი°, შ, ჩ[3].

---

[1] К. В. Ломтатидзе. Об одной фонетич. закономерности в абх.-абазин. диалектах, САНГССР, т. III, № 8 (1942).

[2] ყველა ამ ვარიანტს აღნიშნავს „დაღესტნურ ენათა შედარებით-ისტორიული ლექსიკა", 1971, გვ. 128 (ავტორები: ს. ჯასანოვა, ჯ. იბრაგიმოვი, ფ. მაკომედოვა, ე. შეილანოვა, ბ. თალიბოვი — პროფ. ჯ. მურყელინსკის რედაქციით).


[3] იქვე, გვ. 128.

საკითხავია: ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში ცჲ-ს რეფლექსებად გვაქვს თუ არა ც და ს ყველა სხვა საერთო ძირებში, ასევე ლაკურ-დარგუულსა და ლეზგიურ ენებში — ძ, ზ, სჲ, შ, ჩ? ესე იგი: აქ წარმოდგენილი ფარდობა ზოგადი ხასიათისაა. თუ მხოლოდ ამ კონკრეტული ფუძის ვარიანტებს ეხება? სამწუხაროდ. ამ საკითხს წიგნის ავტორები არ სვამენ.

მეორე: ეს რეფლექსები ისტორიულად რა მიმართებაშია ერთმანეთთან, შეიძლება თუ არა ისინი ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე მოვაქციოთ?

ერთი ქრონოლოგიური დონისა აქ ჩანს ძირეული -ძი და ცჲი, დარგუულში რომა გვაქვს და ანდიურ ენათა წყებაში (ახ̌ახ., კარატ.. ტინდ., ბოთლ.. ღოდობ.) რომ მეორდება (ხუნძ. ცჲ←ცჲი).

ყველა სხვა ვარიანტს ეს ორი ძირითადი უდევს საფუძვლად:



ამრიგად, ყველაზე ძველი ვარიანტებია (ვა)-ცჲი და (ვუ)-ძი... რა არის უფრო ძველი ცჲი თუ ძი? როგორ მივიღეთ ერთი მეორისაგან (ანდა ორივე რაღაც მესამისაგან)? აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მჟღერის (ძ) ფარდობა მაგარ მფშვინავ აფრიკატთან (ცჲ) დასტურდება დარგუულ დიალექტებში: მ ჟ ღ ე რ ი (ძ) უ რ ა ხ უ ლ ი ტიპის დიალექტისაა, მაგარი მფშვინავი აფრიკატი მას შეესაბამება წუდახარული ტიპის დიალექტთა ოთხეულ რიგში: ურახ. ც—ძ—წ—წუდახ. ც—ცჲ—წ[2].

მაგარი ფშვინვიერი (ცჲ) მჟღერისაგან მიღებულად ითვლება (ნ. ტრუბეცკოი). საერთოდაც, მაგარი თანხმოვნები მეორეული ჩანს (იხ. ზემოთ).

ამრიგად, „ემის“ აღმნიშვნელ ფუძეში დაღესტნურ ენებს ძირეულ

---

[1] ხუნძ. აულ შულანიბში გვაქვს (იხ. ზემოთ)... „შედარ.-ისტორიულ ლექსიკაში“ ეს ვარიანტი (ვა-წჲ) არ არის დასახელებული: ხუნძური სალიტერატურო ენის ვარიანტია დამოწმებული.

[2] ა ლ. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, იკვწ, III, გვ. 223.

თანხმოვნად ძ- (მკლერი აფრიკატი) ჰქონია, ცხ ძირეულ მასალად იმ ენებში გვაქვს. სადაც მ ა გ ა რ ი თანხმოვნები მოგვეპოვება (ასეთია, მაგ., ხუნძური (ც—ცხ—წ—წხ) და ანდიური ენები (ჭამ., ახვ., კარ., ტინდ., ბოთლ., ღოდობერიული). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ დიდოური ქვეჯგუფის ენებში. აგრეთვე ბაგვალალურში ცხ ამ ძირში არ დასტურდება: ს გვაქვს. სპირანტული ვარიანტი (ცხ—სხ//→ს).

ფონეტიკურ კანონზომიერებათა დადგენის საკითხისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში. კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილებები ამ ენებს ისევე ახასიათებს, როგორც სხვა ენებს, ოღონდ მათი მიკვლევა ბევრად უფრო ძნელია, ვიდემ სხვა მონათესავე ენებში.

ამის მიზეზია:

1. დ ი დ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ა. რაც იბერიულ-კავკასიურ ენებსა და მათ დიალექტებსა და კილოკავებს განუცდიათ დიფერენციაციის შემდეგ, რის შედეგადაც წარმოქმნილა თუ დაშლილა თანხმოვანთა სერიები; ადგილი ჰქონია ნაირგვარ პროცესებს. როგორიცაა: აფრიკატიზაცია და დეზაფრიკატიზაცია. აბრუპტივიზაცია სპირანტებისა, მოშლა აბრუპტივებისა...

2. ფონეტიკური ც ვ ლ ი ს ნ ა ი რ გ ვ ა რ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ერთისა და იმავე ენის დიალექტებსა და კილოკავ-თქმებში (იხ. ზემოთ ხუნძური ენის ანწუხური კილოს ტოხურისა და ჰადაქოლორის ვითარება: ს—შ. წ—ჭ... მაგარი შიშინა აფრიკატები გადადის სისინა აფრიკატებში: ჩხ— ც, ჭხ —წ... პირველ შემთხვევაში სისინას ცვლის შიშინა: მეორეში, პირუკუ: შიშინას — სისინა... ხუნძურის ჰიდურ კილოკავში აფრიკატს ცვლის სპირანტი (ვაცხ→ვასხ), ხოლო შულანიბის თქმაში იგივე აფრიკატი აბრუპტივიზაციას განიცდის (ვაცხ→ვაწხ): ერთგან—სპირანტიზაცია, მეორეგან — აბრუპტივიზაცია და ა. შ.

3. ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინათ ცნობილი იყო, რომ შედარებას მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის, თუ შესადარებელი ენობრივი ფაქტების ისტორია გარკვეულია, ე. ი. როცა ვიცით, საკუთარია თუ არა ესა თუ ის ფუძე (ნასესხები ხომ არ არის), და რა ცვლილება განუცდია მის ბგერით მხარეს, ფუძის შედგენილობას (ხომ არ შეხორცებია აფიქსი. ხომ არ მომხდარა ფუძის შედგენილობის რეინტერპრეტაცია), რა იყო ფუძის ამოსავალი მნიშვნელობა და რა ცვლილებები გამოიარა

მან... ამის გარეშე სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ფაქტები, სხვადასხვაგვარი ცვლის შედეგები აღმოჩნდება ერთ სიბრტყეზე...

იმ ცვლილებათა გათვალისწინება, რაც მონათესავე ენათა დიფერენციაციის შემდეგ ამ ენებმა განიცადეს. იქნებოდა ერთ ქრონოლოგიურ დონეზე დაყვანა შესადარებელი ენობრივი ფაქტებისა; ისტორიულ-შედარებითს ენათმეცნიერებაში ეს ისევე საჭიროა, როგორც არითმეტიკაში წილადების მიმატება-გამოკლებისას წინასწარ საჭიროა ერთ მნიშვნელამდე მიყვანა.

შესადარებელი ენობრივი ფაქტების „ისტორიული გაერთმნიშვნელიანება" მით უფრო რთულია, რაც უფრო მეტი ცვლილებაა მომხდარი მონათესავე ენებში.

4. ცვლილებებს ენის შინაგანი განვითარება იწვევს: ანგარიშგასაწევია სხვა ენებთან კონტაქტიც (ამ კონტაქტის ხვედრი წონის შესაბამისად).

იბერიულ-კავკასიურ ენებს არა მხოლოდ ერთმანეთთან ჰქონდათ კონტაქტი, რასაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა წარმოშობისა და სტრუქტურის ენებთან კონტაქტს: არაბებთან, სპარსელებთან და თურქულ-ენოვან ხალხებთან, აგრეთვე ბერძნებთან კონტაქტს (ქართველური ენებისათვის). ჩრდილო კავკასიის ველებზე სხვადასხვა დროს მიმოიქცეოდნენ სკვითები, ჰუნები, ხაზარები, ყივჩაღები, პაჭანიკები, ალანები (ოსების წინაპრები), ჰუნგრელები, მონღოლები... ჩრდილო-კავკასიის ენებისათვის ამ ხალხებთან კონტაქტს უშედეგოდ არ ჩაუვლია.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებისას შესადარებელი ფაქტების ისტორიული გაერთმნიშვნელიანება ისევე ძნელია, როგორც აუცილებელი.

5. ნიკ. ტრუბეცკოიმ, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა ეკუთვნის ჩრდილო-კავკასიურ ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიაში, ერთმანეთს შეუდარა ამ ენათა ასიოდე საერთო ფუძე (იმ სახით, რა სახითაც ახლაა ეს ცნობილი... ქართველურ ენათა საკითხი მისთვის არ იდგა, ჩრდილო კავკასიის ენათა მონათესავე არ არისო): აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა ნათესაობას ნ. ტრუბეცკოი ცნობდა.

მოგვცა თუ არა შედარებამ ფონეტიკური კანონზომიერი შესატყვისობანი?

„ნიკ. ტრუბეცკოიმ წარმოადგინა ასზე მეტი ფარდობა აღმოსავლურ-კავკასიურსა და დასავლურ-კავკასიურ ენებს შორის. შედარება მოიცავს რიცხვით სახელებს, პირისა და ჩვენებითს ნაცვალსახელებსაც, მაგრამ ბგერათშესატყვისობა მეტ წილ შემთხვევაში არ არის ცხადი“— წერდა გ. დეეტერსი [1].

გ. დეეტერსი აღნიშნავს: სამი ფუძე-ენის (ე. ი. აფხ.-ადიღ., ნახ.-დაღესტნ. ენათა) ლექსიკის ერთი ნაწილისა და გრამატიკულ კატეგორიათა რეკონსტრუქცია ბუნებრივი განზრახვაა, მაგრამ ეს ეფრო ძნელი ამოცანაა, ვინემ ინდო-გერმანული ფუძე-ენის აღდგენა: ათასი წლების მანძილზე სესხების პროცესმა ხშირად დააბნელა ბგერათშესატყვისობანი [2]. ეს სიძნელე უდავოა.

ენათა კონტაქტი მხოლოდ სესხებით არ იფარგლება. ის ზოგჯერ აჩქარებს იმ ენის ცვლას, რომელიც განიცდის გავლენას (გავლენა „კატალიზატორის“ მსგავსად მოქმედებს)... ზოგი ენა ითქვიფება სხვა ენაში (ალბათ, არა ერთი ძველი იბერიულ-კავკასიური ენა გვაკლია ახლა, დაკარგულია სათანადო ენის ჩვენება)...

ეს ყველაფერი შედის, იგულისხმება შ ე ს ა დ ა რ ე ბ ე ლ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა შ ი, რომლის გარეშე შ ე დ ა რ ე ბ ა მართალი ისტორიის საიმედო იარაღი ვერ იქნება [3].

ეს არა მხოლოდ ფონეტიკას ეხება. არამედ მორფოლოგიასაც და ლექსიკასაც. სტილს (სამწერლო ენაში, პირველ ყოვლისა).

სრულყოფილ შედარებითს გრამატიკას მივიღებდით, მონათესავე ენათა განვითარება მხოლოდ დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ც ი ი ს (დ ი ვ ე რ გ ე ნ ც ი ი ს) პროცესებით რომ ავოიწერებოდეს. მაგრამ ენათა განვი-

---

[1] „N. Trubetzkoy hat über 100 Gleichungen zwischen Ost-und Westkaukasisch aufgestellt, die auch Zahlwörter, Personal und determinativpronomina einschliessen. Aber die Lautentsprechungen sind meist unklar“ (G. Deeters, Die kaukasischen Sprachen, 1963, გვ. 41).

გ. დეეტერსს მხედველობაში აქვს ნიკ. ტრუბეცკოის შრომა „ჩრდილო კავკასიური სიტყვათფარდობანი“, „Nordkaukasische Wortgleichungen“, 1930.

[2] გ. დ ე ე ტ ე რ ს ი. კავკასიური ენები, 1963, გვ. 41.

[3] ცნობილია არა ერთი შემთხვევა, როდესაც შედარებისას არ ითვალისწინებდნენ შესადარებელი ფაქტების ისტორიას და ნებისმიერ ისტორიას იღებდნენ რეალური ისტორიის ნაცვლად (თუმცა დეკლარაციულად აცხადებდნენ, „მკაცრი კანონზომიერებაა“ საჭიროო).

თარებაში (მათ შორის მონათესავე ენათა განვითარებაში) ყოველთვის ადგილი აქვს ინტეგრაციის (კონვერგენციის) პროცესებსაც. ესაა აუცილებელი შედეგი ენათა კონტაქტისა (იქნება ეს მონათესავე თუ არამონათესავე ენების კონტაქტი).

რაც უფრო მეტია ინტეგრაციის (კონვერგენციის) ხვედრი წონა ენათა ევოლუციაში, მით უფრო ძნელია შესადარებელი ფაქტების ისტორიის დადგენა, მით უფრო რთულდება შედარების გზით ენობრივი ფაქტის ნამდვილი ისტორიის დადგენა, მით უფრო მრავლდება ისეთი „რეკონსტრუქციების" რიცხვი, რომელთაც ენათა რეალურ ისტორიაში არაფერი შეესაბამება.

ამგვარ რეკონსტრუქციებს ისეთივე შემეცნებითი ღირებულება აქვს, როგორიც მოეპოვება ჭაღალდის ფულს (ანდა კიდევ — ბონებს), როცა მათ არავითარი ვალუტა ზურგს არ უმაგრებს. მართალია, ბონებიც შეიძლება აღებ-მიცემობის საშუალებად გამოიყენონ მოკლე ხნით, მაგრამ ბონების გამოყენებაზე დამყარებული აღებ-მიცემობა (და, საერთოდ, სამეურნეო ცხოვრება) ქვეყნის ეკონომიკის მტკიცე საფუძველი არასოდეს ყოფილა.

ასევეა შედარებითს ენათმეცნიერებაში: თანხმოვანთა გადაწევის კანონი, ვერნერის კანონი, პირველადი ხმოვნების დებულება (სოსიურისა) ...ისტორიულ ცვლათა რეალურ კანონზომიერებებს ასახავდა და ინდო-ევროპულ ენათა ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა.

მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ბევრი იმ ვარსკვლავიანი (ე. ი. აღდგენილი) „ფაქტების" შესახებ, რომელთაც დიდი ადგილი უკავია ინდო-ევროპულ ენათა შედარებითს გრამატიკებში. ასეთი შედარებითი გრამატიკა სათანადო ისტორიას არაფერში არგია. შემთხვევითი, ალბათ, არ არის, რომ ტერმინ „ისტორიულ-შედარებითი" გრამატიკის ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი „შედარებითი გრამატიკა".

PS. ერთიანი აღნიშვნის უქონლობა სპეციალურ ლიტერატურაში, მეტადრე პრერუპტივებისა და ფარინგალიზაციის აღსანიშნავად, სირთულეს ქმნის.

ბუნძურში დამატებით საკვლევია ინტენსიურცხ თანხმოვანთა ფარდობის საკითხი (რიგით თანხმოვნებთან — თუ: რიგითისა — რბილ. სუსტ, ვარიანტებთან).

III. იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიის სისტემისა და ისტორიის ზოგადი საკითხები

§ 15. მორფოლოგიის ძირითადი პრინციპი იბერიულ-კავკასიურ ენებში

ამა თუ იმ ენის მორფოლოგიას ქმნიან სახელისა და ზმნის მორფოლოგიური კატეგორიები (სახელი გულისხმობს: არსებითს, ზედსართავს, რიცხვით სახელსა და ნაცვალსახელს). ამ მხრივ იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფის სხვაობაზე ლაპარაკია § 5-ში.

აქ საჭიროა ამ მორფოლოგიის ზოგადი პრინციპი აღვნიშნოთ.

ა) ფორმაცვალებადი სიტყვა იბერიულ-კავკასიურ ენებში აგებულია აგლუტინაციის პრინციპის თანახმად: ყოველ გრამატიკულ მნიშვნელობას, მორფოლოგიურ კატეგორიას ცალკე ფორმანტი გადმოგვცემს: სახლ-ებ-ს: -ებ სუფიქსი მრავლობითის ნიშანია, -ს მიცემითისა... ვ-ს-თ-ხოვ-ე-თ... ვ- პრეფიქსი სუბიექტის პირველ პირზე მიუთითებს, ს- პრეფიქსი ობიექტის მესამე პირზე; -ე სუფიქსი ნამყო ძირითადს აწარმოებს, -თ სუფიქსი მრავლობითის ნიშანია (I და II პ.)...

აქედან გამომდინარეობს: რამდენი ფორმანტიც გვაქვს სიტყვაში, იმდენი გრამატიკული მნიშვნელობაც უნდა გვქონდეს, და — პირუკუ.

თუ სიტყვაში ერთ ფორმანტს ერთზე მეტი ფუნქცია აქვს, უნდა გაირკვეს, რა ფუნქცია იყო ამოსავალი და რა ფუნქცია შეეძინა შემდეგ: წერ-ენ — -ენ-სუფიქსი ამჟამად მრავლობითის მესამე პირს აღნიშნავს. ამ ორი ფუნქციიდან ამოსავალია მრავლობითის აღნიშვნა, პირის გაგება შემდეგ არის შეძენილი

თუ სიტყვაში ფორმანტები მეტია, ვინემ გრამატიკული მნიშვნელობა, ე. ი. ამჟამად უფუნქციო ფორმანტი მოიპოვება, ცხადია, რომ ეს მეორეული ვითარებაა, გაუჩინარებულა ფუნქცია, გრამატიკული მნიშვ-

ნელობა დაკარგულია და საძებარია: მე-ბაღ-ე. მე-ნავ-ე. ძე-თევზ-ე — პრეფიქსი მე- ადამიანზე მიუთითებდა. ამჟამად მის დანიშნულებად -ე სუფიქსთან ერთად „პროფესიის აღნიშვნა“ ითვლება.

ბ) ფორმანტებად იბერიულ-კავკასიურ ენებში სუფიქსებიც დასტურდება და პრეფიქსებიც. პრეფიქსიანი წარმოება უფრო ძველია, სუფიქსიანი — უფრო ახალი.

ფარდობითი (რელატიური) ქრონოლოგიის თვალსაზრისით ამ დებულებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ვთქვათ, ქართულ ზმნაში სამივე პირის ობიექტი და სუბიექტის პირველი და მეორე პირი აღინიშნება პრეფიქსებით, ხოლო სუბიექტის მესამე პირზე სუფიქსი მიუთითებს: ვ-არ, ხ-არ, არი-ს... მ-კითხავ-ს. გ-კითხავ-ს. ჰ-კითხავ-ს. ეს ნიშნავს: მესამე პირის სუბიექტი ზმნაში აღინიშნა უფრო გვიან, ვინემ — პირველისა და მეორე პირისა.

ასევე: დაღესტნის ენებში, სადაც გრამატიკული კლასის გარდა, პირის კატეგორიაც არის გამოხატული. გრამატიკული კლასის ნიშანი პრეფიქსია, პირს კი სუფიქსი გადმოგვცემს: პირის კატეგორია ამ ენათა ზმნაში ახალია, გრამატიკული კლასისა კი — ძველი.

§ 18. გრამატიკული კლას-კატეგორია: გრამატიკული სქესი და სახელთა სხვაგვარი დაჯგუფებანი

გრამატიკული კლას-კატეგორია იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის კატეგორია იყო და ახლაც არის ამ ენათა წყებაში: ეს კატეგორია შეიძლება მოეპოვებოდეს სახელსაც (სუბსტანტივებს, ატრიბუტივებს, კვანტიტატივებს, ნაცვალსახელებს), ზმნასაც და ნაზმნარ სახელებსაც (ძრმღეობას, მასდარს), ზოგჯერ — ზმნისართსაც: არ მოიპოვება სხვა მორფოლოგიური კატეგორია, რომლის გავრცელების არე ასე დიდი იყოს: გრამატიკული კლას-კატეგორია, როგორც ჩანს, ძველად იბერიულ-კავკასიურ ენათა მთელს მორფოლოგიას გამსჭვალავდა. ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში ეს ძველი ვითარება ახლაც ხელშესახებია.

რა არის გრამატიკული კლას-კატეგორია? ეს არის იმავე რიგის კატეგორია, როგორსაც სხვა ენებში, ვთქვათ, გრამატიკული სქესი წარმოადგენს: სახელების, სუბსტანტივების, დაჯგუფება წარმოებს გარკვეული თვალსაზრისით, ე. ი. გარკვეული ნიშნის მიხედვით. სახელთა დაჯგუფება სათანადო საგანთა დაჯგუფებას

ძლიერ ახლოს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ეს ნიშანი სხვადასხვა ენაში ერთნაირი არაა.

არის ენები, სადაც ყველა საგანი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ერთია „ცოცხალი", მეორე — „არაცოცხალი". კაცი იტყოდა: ბიოლოგიური თვალსაზრისია გამოყენებულიო, მაგრამ — არა: არის ენა, სადაც „თამბაქო" — ცოცხლებს განეკუთვნება, „ჭია-ღუა" — არაცოცხალთა ჯგუფში შეიძლება აღმოჩნდეს, ალბათ. იმიტომ. რომ თამბაქო უფრო ფასეულია, ვინემ ჭია-ღუა (თამბაქოს ეწევიან. ჭია-ღუა კი არაფერშია გამოსადეგი).

ბევრ ენაში განასხვავებენ „გრამატიკულ სქესებს": ფრანგულში, არაბულში ორი სქესი გაირჩევა, მამრობითი და მდედრობითი. ძველბერძნულში, ლათინურში, რუსულში, გერმანულში — სამი (მამრობითი. მდედრობითი და საშუალო). მხოლოდ ცოცხალს რომ ეხებოდეს საქმე. კიდეც გასაგები იქნებოდა სქესზე ლაპარაკი, მაგრამ მამრობითსა და მდედრობით სქესს განუკუთვნებენ ისეთ სახელებსაც, როგორიცაა: стол, стул, пол, потолок, огонь, карандаш, воздух... стена, дверь, книга, тетрадь, земля, вода, скала...

ცხადია, ბიოლოგიური სქესი აქ არაფერ შუაშია: საკლასიფიკაციო ნიშნად აქ სქესი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მამაკაცი რომ მამრობითის წყებაშია მოქცეული, ქალი კი — მდედრობითისაში, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ აქ სქესების გარჩევა იყოს ამოსავალი. ბერძ. génos და მისი შესაბამისი ლათ. genus, რუს. род „სქესს" კი არ ხიშნავს, არამედ „გვარეობას", „გვარს": რა და რა გვარეობის (თუ სახეობის) საგანია, ამას ეხებოდა კითხვა. საქმე იმან გაართულა, რომ მსაზღვრელად ისეთი ტერმინები აღმოჩნდა ნახმარი, როგორიცაა, masculinum „მამრობითი", femininum „მდედრობითი". და მაინც „გვარეობა" რომ გვეხმარა „სქესის" (пол) ნაცვლად ჯობდა: ბერძ. génos, ლათ. genus, რუს. род ტერმინს „გვარეობა" უფრო შეესაბამება, ვინემ „სქესი" („გვარეობა" შდრ. „სახეობა").

ინდო-ევროპულ ენათა სპეციალისტები (მაგალითად. ანტუან მეიე) ფიქრობენ, რომ სამ სქესს ინდო-ევროპულ ენებში ორი ჯგუფი უდევს საფუძვლად: ერთია — „ცოცხალი", მეორე — „არაცოცხალი". „ცოცხალის" რეინტერპრეტაციამ მოგვცა „მამრობითი" და „მდედრობითი"; „არაცოცხალი" წარმოდგენილია „საშუალო სქესში" (genus neutrum).

„ცოცხალისა" და „არაცოცხალის" გარჩევა, როგორც ზემოთ ითქვა,

ბიოლოგიური ნიშნით იწყება, მაგრამ ბიოლოგიურ დაჯგუფებად არ მიიჩნევა, „უფრო ფასეულსა“ („ღირებულს“) და „ნაკლებ ფასეულს“ („ღირებულს“) უდრის თავისი არსით ასეა ამ ენაზე მოლაპარაკეთა თვალსაზრისით.

ზემოთქმული რომ სინამდვილეს შეეფერება, ამას გვაფიქრებინებს იმ ენათა ჩვენება, სადაც ერთი და იგივე საგანი, მაგალითად, „წყალი“ ერთ კლასში შეაქვთ. თუ „სასმელ წყალზეა“ ლაპარაკი და — სხვა კლასში, თუ „სარეცხად ხმარებულ წყალს“ გულისხმობენ.

იბერიულ-კავკასიურ ენათა კლასებისათვის ნიშანდობლივია ერთი რამ: ცხოველის სახელი არ შეიძლება განეკუთვნოს იმ კლასს, რომელშიაც ადამიანი (კერძოდ, მამაკაცი) შედის, ყველა ცხოველი, მიუხედავად სქესისა, ნივთთა კლასშია (თუ კლასებშია) მოქცეული.

ნივთთა გრამატიკულ კლასს უპირისპირდება ადამიანის გრამატიკული კლასი, ოღონდ ადამიანთა წრეში „ბავშვი“ არ შედის (ძველად არც ქალი შედიოდა): „ბავშვი“ ნივთთა სამყაროს განეკუთვნება (ისევე, როგორც რუს. дитя. გერმ. das Kind საშუალო სქესის სახელია).

საფიქრებელია, ეს იმიტომ ხდება, რომ „ბავშვი“ ასაკსრულ პიროვნებად არ მიიჩნევა: „ადამიანის“ გრამატიკული კატეგორია პიროვნებას გულისხმობს, რომელსაც ასაკსრულის უფლება აქვს და მოვალეობაც აწევს.

ამისდა კვალად. შეიძლებოდა გვეთქვა: იბერიულ-კავკასიური ენების მორფოლოგიურ სისტემაში გარჩეულია ორი ძირითადი კლას-კატეგორია, ერთს განეკუთვნება „ადამიანი“ („პიროვნება“), მეორეს — „ნივთი“ (ე. ი. ცხოველები, ფრინველები, კონკრეტული თუ განყენებული საგნები); ადამიანის კატეგორიას შეეფერება კითხვა „ვინ?“, ნივთისას კითხვა „რა?“, — გაირჩევა „ვინ“- კატეგორია და „რა“-კატეგორია. „ვინ“-კატეგორიაში ამჟამად შესაძლოა გარჩეული იყოს „მამაკაცი“ და „ქალი“ (ქვემოთ ვნახავთ, რომ „მამაკაცი“ და „ქალი“ ბიოლოგიურ ნიშანს — სქესის გარჩევას — არ გულისხმობდა თავდაპირველად).

„რა“- კატეგორიაში მოქცეული სახელებიც შეიძლება იყოფოდეს ორ ჯგუფად: მესამე და მეოთხე კლასად, ანდა შეიძლება ერთ კლასს ქმნიდეს. რის მიხედვით განუკუთვნებენ ცხოველისა თუ ნივთის სახელს

ესამესა და მეოთხე კლასს, ზედმიწევნით გარკვეული არ არის (ცხოველები უპირატესად მესამე კლასშია, ხოლო ყველაფერი სხვა მეოთხეში შედის, არ ითქმის).

§ 17. სახელთა გრამატიკული კლასების გარჩევის საშუალება

რა გრამატიკულ კლასს განეკუთვნება ესა თუ ის სახელი, ამას ახლა სინტაქსური საშუალებით არკვევენ: სახელთან შეთანხმებული სიტყვა (ზმნა, ზედსართავი, მიმღეობა, მასდარი, ჩვენებითი ნაცვალსახელი) რა კლასის ნიშანსაც ხმარობს, იმ კლასისა იქნება სახელი.

არსებითად ასეევა რუსულში: красивый олень, მაგრამ красивая лошадь — არსებითი სახელი ორსავე შემთხვევაში რბილი თანხმოვნით თავდება (нь, дь), მაგრამ ერთი მამრობითი სქესისა уოფილა (олень), მეორე კი (лошадь) — მდედრობითისა. და ეს გამოჩნდა ზედსართავის ნეოხებით, იმის მიხედვით, თუ რა ვარიანტი შეუწყო ზედსართავმა (მამრობითის, მდედრობითისა თუ საშუალოს ფორმა) არსებით სახელს (თვითონ არსებითი სახელის დაბოლოების მიხედვით გრამატიკული სქესის გარჩევა ემყარება ემპირიულ დაკვირვებას, რა სქესის ფორმას ირგუებს არსებითი სახელი)... საკმარისია ზედსართავ სახელში, მიმღეობაში თუ ნაცვალსახელებში მოიშალოს სქესის ფორმების სხვაობა, რომ არსებით სახელებში სქესის გარჩევა მოიშლება.

მსგავსივე ვითარება — შეთანხმების პროცესი — გვაქვს იმ ენებში, სადაც არსებითი სახელის სქესს ნაწევარი არკვევს: გერმ. der Stuhl „სკამი“, die Diele „იატაკი“, das Fenster „სარკმელი“... ფრ. le livre „წიგნი“, la table „მაგიდა“... ძვ. ბერძ. ὁ οἶνος „ღვინო“, ἡ νίκη „გამარჯვება“, τὸ γένος „გვარი“. „გვარეობა“... სამსავე ენაში სქესებს განარჩევს ნაწევარი, არსებითი სახელის სქესის საკითხს ნაწევარი, მისი სქესი არკვევს..

იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებითი სახელის კლასს, როგორც ითქვა, გაგვარკვევინებს მასთან შეთანხმებული სიტყვის (ზედსართავის, მიმღეობის, ზმნის, ნაცვალსახელის...) გრამატიკული კლასი.

ხუნძ. ემენ ვ-უგო „მამა არის“, „მამაა“, ებელ ჲ-იგო „დედა არის“, „დედაა“: ბეტერ ბ-უგო „თაგი არის“, „თაგია“: ბაყ ბ-უგო „მზე არის“, „მზეა“... ჩაჩნ.: დᲔ ვ-უ „მამა არის“, „მამაა“; ნანა ჲ-უ „დედა არის“, „დედაა“: ქუორთა ბ-უ „თაგი არის“, „თაგია“; მალხ. ბ-უ „მზე არის“, „მზეა“.

§ 18. გრამატიკული კლასების მჟონე და არმჟონე იბერიულ-კავკასიური ენები

გრამატიკული კლას-კატეგორიის თვალსაზრისით იბერიულ-კავკასიურ ენებში ერთნაირობა არა გვაქვს: ენათა ზოგ ჯგუფს ეს კატეგორია მოეპოვება, ზოგს — არა. ზოგჯერ ერთი და იმავე ჯგუფის ენებშიც სხვაობა შეინიშნება: ზოგ ენაში გრამატიკული კლასები გარჩეულია, ზოგში — არა; ისეთი შემთხვევაც გვხვდება, რომ ერთი და იმავე ენის ერთი კილო განასხვაებს გრამატიკულ კლასებს, მეორე კილოში სხვაობა მოშლაზეა.

ერთგვაროვნობას ვამჩნევთ ქართველურსა და ნახურ ჯგუფის წევრებს შორის: არც ერთ ქართველურ ენას გრამატიკული კლასები, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, არ დაუცავს. არც ახალ ქართულში და არც სვანურში თუ ზანურში გრამატიკული კლასები არ გაირჩევა ამჟამად. არც ძველი ქართულის მორფოლოგიამ იცის გრამატიკული კლასები.

უველა ნახურ ენაში — ჩაჩნურ-ინგუშურში, ბაცბურში — გრამატიკული კლასები დაცულია და მორფოლოგიაში სრულად არის წარმოდგენილი.

დაღესტნურ ენათა უმეტესობას გრამატიკული კლასების სხვაობა დაუცავს, აფხაზურ-ადიღურ ენათა მეტ წილს დაუკარგავს. სახელდობრ, დაღესტნურ ენათაგან ლეზგიური ქვეჯგუფის ენებს: ლეზგიურს, აღულურსა და უდიურს გრამატიკული კლას-კატეგორია ამჟამად არ მოეპოვება; იმავე ლეზგიური ქვეჯგუფის ენებში წახურს, რუთულურს, ბუდუხურს, ხინალუღურსა და კრიწულს. აგრეთვე არჩიბულს — დაუცავს.

გრამატიკული კლას-კატეგორია კარგად არის წარმოდგენილი ლაკურსა და დარგუულში, ასევე ხუნძურსა და ანდიურ-დიდოურ ენაკილოებში.

ლეზგიური ქვეჯგუფის თაბასარანულ ენაში ერთი კილო, ჩრდილოური, ჯერ კიდევ განასხვაებს ამ კატეგორიას. სამხრულ კილოში ეს გრამატიკული კატეგორია თითქმის მოშლილია.

აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენათაგან აფხაზურსა და აბაზურში გრამატიკული კლას-კატეგორია პროდუქტიულია. რაც შეეხება სამ სხვა ერთეულს — ადიღეურ-ჩერქეზულს, ყაბარდოულ-ჩერქეზულსა და უბიხურს, — გრამატიკული კლას-კატეგორია მათ არა აქვს.

რამდენი გრამატიკული კლასი შეიძლება გვქონდეს? კითხვას უპასუხებენ სხვადასხვაგვარად იმისდა მიხედვით, მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ი რიცხვის ჩვენებას ემყარებიან, თუ მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ შ ი არსებულ ვითარებასაც იღებენ მხედველობაში.

მხოლოობითს რიცხვში შეიძლება იყოს გარჩეული სულ დიდი ოთხი გრამატიკული კლასი: პირველი მოიცავს მამაკაცის აღმნიშვნელ სახელებს (მამა, პაპა. ძმა, ბიძა, ვაჟი, მეომარი, მასწავლებელი-კაცი...), მეორეში — მეტწილად ქალი ივარაუდება (დედა, ბებია, ბიცოლა, და...), მესამესა და მეოთხეში ცხოველთა, მცენარეთა, სხვა კონკრეტულ თუ განყენებულ საგანთა სახელები შედის: ამრიგად, პირველი ორი კლასი ა მ ე ა მ ა დ ა დ ა მ ი ა ნ ს (პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს) გულისხმობს, მესამე და მეოთხე — ნ ი ვ თ ი ს კატეგორიას განეკუთვნება. ასეთია ო თ ხ კ ლ ა ს ო ვ ა ნ ი სისტემა: შესაძლებელია გვქონდეს ს ა მ კ ლ ა ს ო ვ ა ნ ი სისტემა: ორი — ადამიანისა და ერთიც — ნივთისა. იშვიათად ოთხისა და სამი კლასის ნაცვლად ორი კლასიღა შეიძლება შემოგვრჩეს: ერთი ადამიანისა (გაერთიანებული) და ერთი — ნივთისა.

პირველი გრამატიკული კლასის ნიშანია (ძირითადი ბგერა) ვ-პრეფიქსი,

მეორე	„	„	„	ჲ///—რ/...
მესამე	„	„	„	ბ/—მ.../
მეოთხე	„	„	„	დ/—რ/

სამკლასოვან სისტემაში ეგევე ფორმანტებია: ვ, ჲ, ბ.

ნიმუშები ჩ ა ჩ ნ უ რ ი ენიდან, სადაც ოთხი გრამატიკული კლასია გარჩეული:

მეშველი ზმნის კლასნიშნიანი ვარიანტებია: I—ვ-უ, II—ჲ-უ, III — ბ-უ, IV—დ-უ.

I. დ ვუ „მამა არის“, „მამაა“, ვაშა ვუ „ძმა არის“,... ვუოშ ვუ „ვაჟიშვილი არის“... ლ ვმარუო ვუ „მთიული არის“... მ ვრ ვუ „ქმარი არის“... დ ვლე ვუ „ღმერთია“...

II. ნ ჲნა ჲუ „დედა არის“, „დედაა“. ჲიშა ჲუ „და არის“... ჲუოშ ჲუ „ქალიშვილი არის“... სტიუ ჲუ „ცოლი არის“...

ჩაჩნური ამავე კლასში ნივთის რიგ სახელებსაც მოაქცევს: ქურთამ

ᲐᲣ „ქათამია“, ᲑᲔᲓ ᲐᲣ „იხვია“, ჩა ᲐᲣ „დათვია“, ᲑᲔᲓᲘᲠ ᲐᲣ „ტანისამოსია“, ღᲐᲔ ᲐᲣ „ჯოხია“, წიᲔᲜ ᲧᲐ ᲐᲣ „იატაკია“... (ამაზე ქვემოთ).

III. სთუ ბუ „ხარია“, ᲓᲐᲗ ᲑᲣ „ძროხაა“, ქა ბუ „ვერძია“, ჭარა ბუ „თევზია“, მალხ ბუ „მზეა“, ხᲔᲜ ბუ „ხეა“, ტულაგ ბუ „ქვაა“... ქუოგ ბუ „ფეხია“... ფხᲐᲠᲡ ბუ „ხელი (მკლავი) არის“...

IV. ციციგ დუ „კატაა“, ჯᲐᲚᲘ დუ „ძაღლია“, ხრზუ დუ „ბეღურაა“, თურ დუ „ხმალია“, თᲐᲓ დუ „ხიდია“, წᲐ დუ „სახლია“, დუოგ ღუ „გულია“, ქუიგ დუ „ხელი (მარჯვენა) არის“[1]...

ოთხ გრამატიკულ კლასად ყოფს სახელებს სამიევე ნახური ენა მხოლოობითში: ჩაჩნური, ინგუშური და ბაცბური. სათანადო ფორმანტებია I—ვ, II—ᲐᲐ, III—ბ, IV—დ.

ოთხ გრამატიკულ კლასს განასხვაევებენ აგრეთვე (მხოლოობითში).

ანდიური: I—ვ, II—ᲐᲐ, III—ბ, IV—რ.

ᲓᲐმალალური: I—ვ, II—ᲐᲐ, III—ბ///—მ/, IV—დ///—ნ/, ᲐᲐ, ლ.

დიდოური: I—Ø, II—ᲐᲐ, III—ბ, IV—რ.

ხვარშიული: I—Ø, II—ᲐᲐ, III—ბ///—მ/, IV—ლ://—ნ'.

ჰინუსური: I—Ø, II—ᲐᲐ, III—ბ, IV—რ.

კაპეჭური: I—Ø, II—ᲐᲐ, III—ბ, IV—ᲐᲐ.

ლაკური: I—ვ///—ჳ—ბ/, II—დ'—//რ'//ლ//ნ/, III—ბ/—მ://ვ/, IV—დ/—;/რ//ნ/ (ИКЯ-ки, 491).

დარგუული: I—ვ, II—რ, III—ბ, IV—დ//რ.

არჩიბული: I—ვ/—//ჳ/, II—დ'//რ, III—ბ/—ვ//ფ:/, IV—თ, ტ.

წახური: I—რ/—//ᲐᲐ/, II—რ'—:/ᲐᲐ', III—ბ///—მ//ვ/, IV—დ, /—თ, ტ/ //ლ, //რ///ᲐᲐ.

რუთულური: I—რ/—//ᲐᲐ/ ბ. ვ, II—რ'—//ᲐᲐ', III—ბ/—//ვ/, IV—დ, რ/—ᲐᲐ/, ბ.

ბუდუხური: I—რ, ლ; II—ბ, ფ; III—ბ, ფ, ლ; IV—ბ, ფ, ლ[2].

ხინალუღურსა და კრიწულშიც 4 კლასზე მიუთითებენ[3].

სამი გრამატიკული კლასი აქეს გარჩეული (მხოლოობითში):

---

[1] П. Услар, Чеченский язык. § 9—12.

[2] Ю. Дешериев, Будух. яз., ИКЯ. გვ. 648.

[3] Ю Дешериев, Хиналуг. яз., ИКЯ. გვ. 629, 662.

ხუნძურს: I—ვ (—უ), II—ჲ, III—ბ.

I. ემენ ვუგო „მამაა“, ვაც ვუგო „ძმაა“, ვას ვუგო „ვაჟიშვილია“, მაჭარულაუ ვუგო „ხუნძია“ (პირველადი აზრით: „მთიელია“). ბეჩედ ვუგო „ღმერთია“.

II. ებელ დიგო „დედაა“, დაც დიგო „დაა“. დას დიგო „ქალიშვილია“. ჰქეუ დიგო „ცოლია“...

III. ოც' ბუგო „ხარია“. აქა ბუგო „ძროხაა“. ტილ ბუგო „კოხია“, ბაყ ბუგო „მზეა“. რაკ ბუგო „გულია“, რეტელ ბუგო „ტანისამოსია“, რუყ ბუგო „სახლია“...

ბოთლიხურს: I—ვ, II—ჲ, III—ბ (თუ ნაზალური ხმოვანი გვაქვს ბ—მ—ტ. გუდავა).

ღოდობერიულს: I—ვ, II—ჲ, III—ბ.

ტინდიურს: I—ვ, II—ჲ, III—ბ.

ბაგვალალურს: I—ვ, II—ჲ, III—ბ (ნაზალ. ხმოვანთან ბ—მ).

ახვახურს: I—ვ, II—ჲ, III—ბ.

ორი გრამატიკული კლასი გამოიყოფა თაბასარანულში: ერთი — ადამიანისა, მეორე — ნივთისა.

I — ადამიანისა: დ/—//რ//ჲ/, II — ნივთისა: ბ/—//უ//ფ/.

ორი გრამატიკული კლასი მოეპოვება აფხაზურს; ზმნა, ნაცვალსახელი. რაოდენობითი რიცხვითი სახელები, არსებითი სახელების მრავლობითი ამის მაგალითს იძლევა; ნაცვალსახელსა და ზმნაში, გარდა ამისა. მამაკაცი და ქალი გაირჩევა მორფოლოგიური საშუალებით.

გრამატიკული კლასების შეპირისპირება აფხაზურში ნაცვალსახელოვან ნაწილაკსა და ზმნის ფორმანტებშია მოცემული: ადამიანის (პიროვნების) დ-პრეფიქსი ეპირისპირდება ნივთის ი-პრეფიქსს: გარდაუვალ ზმნებში: დჳ-ყოუპ „არის“ (ვილაც ადამიანი — სქესთა გაურჩევლად) — ი-ყოუპ „არის“ რაღაც... გარდამავალი: დჳ-ლ-ბოჲტ „ხედავს ვილაცას ქალი“, ი-ლ-ბოჲტ „ხედავს რაღაცას ქალი“... დჳ- და ი- პრეფიქსები სახელობითს ეფარდებიან: ეს სახელობითი გარდაუვალ ზმნაში სუბიექტს წარმოგვიდგენს, გარდამავალში — უახლოეს ობიექტს.

რაც შეეხება ვინ-კატეგორიაში მამაკაცისა და ქალის გარჩევას, აქ მესამე პირი ლ-ს რიგის ნიშნებს გამოიყენებს: ჲ — მამაკაცისათვის, ლ — ქალისათვის. ნა-//ა- ნივთისათვის: ი-ყა-ჲ-წოჲტ „რაღაცას ის

(მამაკაცი) აკეთებს", ი-ყა-ლ-წოდტ „რაღაცას ის (ქალი) აკეთებს" ი-ყა-ნა-წოდტ „რაღაცას ის (რაღაცა) აკეთებს" /ი-/, /ლ-/, ნა- — გარდამავალი ზმნის სუბიექტის ნიშნებია.

იგივე ფორმანტები გვექნება ი რ ი ბ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს ა თ ვ ი ს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში: გარდაუვალ ზმნასთან: დ-ი-შთალოდტ „მისდევს ის (ვიღაცა) მას (ვიღაცას, მამაკაცს), დ-ლგ-შთალოდტ „მისდევს ის (ვიღაცა) მას (ქალს)", დ-ა-შ'თალოდტ „მისდევს ის (ვიღაცა) მას (რაღაცას)"... გარდამავალ ზმნასთან: დგ-ი-ლ-თოდტ „აძლევს მას (ვიღაცას) მას (მამაკაცს) ქალი". დგ-ლგ-ლ-თოდტ „აძლევს მას (ვიღაცას) მას (ქალს) ქალი"; დ-ა-ლ-თოდტ „აძლევს მას (ვიღაცას) მას (რაღაცას) ქალი...".

პირის ფორმანტთა ეს რიგი (ე. წ. ლ-ს რიგი) ნაცვალსახელთა შემადგენელი ნაწილია: ი-ნაკ „მისი (მამაკაცის) ხელი", ლგ-ნაკ „მისი (ქალის) ხელი", ა-ნაკ „მისი (რაღაცის) ხელი (საერთოდ, ხელი)" [1].

უნდა ვიფიქროთ, რომ დ-ს რიგის პირის ნიშნები (დ — ვიღაცა, ო — რაღაცა) უფრო ძველია, ლ-ს რიგის პირის ნიშნები — უფრო ახალი: დ-ს რიგი შეესაბამება აფხაზური ზმნის უღლილების იმ ფორმაციას, როცა ვ ი ნ და რ ა კლასები იყო შეპირისპირებული. მაგრამ ვ ი ნ კატეგორიაში მამაკაცი და ქალი გარჩეული არ იყო... ლ-ს რიგის ნიშნები შემდგომი ფორმაციისაა, როცა ქალი და მამაკაცი ენაში მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ა დ განსხვავდა — ნაცვალსახელებშიცა და შესაბამისად — ზმნებში: სარა „მე", უა-რა „შენ" (მამ.), ბა-რა „შენ" (ქალი), და-რა „ის" (მამ.), ლა-რა „ის" (ქალი), და-რა „ის" (რაღაცა).

გრამატიკული კლას-კატეგორიის ვითარებისათვის აფხაზურში შეეთხვევითი არაა, რომ რიცხვით სახელებში ვ ი ნ და რ ა — კლასების გასარჩევად სხვა საშუალებაა გამოყენებული. ვინმე ნაცვალსახელებში: აკგ „ერთი (რ ა ღ ა ც)", აძ°გ „ერთი (ვ ი ღ ა ც)", კგ-ბა „ორი (რაღაც)", კგ-ჯა „ორი (ვიღაც)"...

არსებით სახელთა მრავლობითიც განასხვავებს ვ ი ნ და რ ა-კატეგორიებს და აქაც — სხვა გზით, ვინემ — ზმნა: -ც°ა—სუფიქსი ვ ი ნ-კატეგორიის სახელებს დაერთვის (აჭკგნ-ც°ა — „ბიჭები") ჭ°ა-სუფიქსი — რ ა-კატეგორიისას (მეტწილად): აწლა-ჭ°ა „ხეები"...

---

[1] К. В. Ломтатидзе. «Относительные местоимения в глагольных формах абхазского языка» — ᲡᲛᲐ, ტ. III (1942), № 4.

გრამატიკული კლას-კატეგორია აფხაზურში ჯერ კიდევ პროდუქტიულია, მაგრამ ერთგვარად შერყეული ჩანს: სხვადასხვა ფორმანტების ამარება ერთი და იმავე გრამატიკული კლასის ნიშნად ზმნაში, რიცხვით სახელებში, არსებითი სახელის მრავლობითში ამას გვანიშნებს.

ნახურ ენებში, დაღესტნურ ენებში გრამატიკული კლასის ნიშნები მეტყველების ნაწილთა მიხედვით არ განსხვავდება.

§ 20. ფონეტიკური ცვლილებები გრამატიკულ კლასთა ნიშნებში

ფორმანტები, რომელთა საშუალებითაც განასხვავებენ სახელის გრამატიკულ კლასს, შეიძლება ფონეტიკურ ვარიანტებს იძლეოდეს.

პირველი გრამატიკული კლასის ფორმანტ ვ-ს შეიძლება შეენაცვლოს ბაგისმიერი უ (ხუნძურში — ხძოვნის შემდეგ), არჩიბულში, ლაკურში ბ-ც!

ვ-პრეფიქსი შეიძლება დაიკარგოს (დიდოური, კაპუჭური, ხვარშიული, ჰინუხური...).

ენათა მეტ წილს ეს ვ-პრეფიქსი დაუცავს ფონეტიკური ცვლის გარეშე (ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური, ხუნძური, ანღიური, ბოთლიხური, ღოდობერიული, ტინდიური, ბაგვალალური, ახვახური, კარატაული...).

არსებითად განსხვავებულია პირველი გრამატიკული კლასის ნიშანი თ ა ბ ა ს ა რ ა ნ უ ლ შ ი (დ-, //რ-//ჲ). წახურში (რ//-ჲ). რუთულურში (რ //ჲ; ბ, ვ).

დ, რ, ჲ- პრეფიქსები ვ- ფორმანტის ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი ვარიანტი როდია; აქ პროცესი მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ხასიათისაა: პირველი გრამატიკული კლასის ნიშნად გამოყენებულია მეორე გრამატიკული კლასის ნიშანი, წარმოშობით დაკავშირებული ნიეთის კლასის დ-ნიშანთან (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

მეორე გრამატიკული კლასის ნიშანი ჲ აქა-იქ იძლევა სხვაობას: ლაკურში გვაქვს დ//რ//ლ//ნ, არჩიბულში — დ. რ, დარგუულში — რ, წახურსა და რუთულურში — რ//ჲ.

ყველა ეს ნიშანი დ, რ. ლ, ნ, ჲ ჰომდინარეობს დ-საგან და მას ენაცვლება ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ა დ:



წარმოშობით ეს დ იგივეა, რაც მეოთხე გრამატიკული კლასის ფორმანტი, ე. ი. ის, რაც მეოთხე (ნივთის) კლასის ნიშნად წარმოგვიდგება ახლაც არა ერთ ენაში (ნახურ ენებში, დაღესტნის ოთხკლასოვან ენებში).

მესამე გრამატიკული კლასის ფორმანტი ბ თითქმის არ იძლევა ფონეტიკურ ვარიანტებს: წყვილბაგისმიერი ბ-ს ფონეტიკური პოზიცია მტკიცეა. აქა-იქ ვას ენაცვლება მ, ვ, ფ: ლაკურში, არჩიბულში, წახურში, რუთულურში. ბოთლიხურში, ბაგვალალურში. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბ—მ შეპირობებულია ნაზალიზებული ხმოვნით: ხოლო ხმოვანი კარგავს ნაზალიზაციას (ტ. გუდავა).

მეოთხე გრამატიკული კლასის ნიშან დ-ს ყველაზე ხშირად ენაცვლება რ და ჲ, უფრო იშვიათად — ნ, ლ, ზოგ ენაში — თ, ტ... (—დ).

მხოლოდ დ დასტურდება ჩაჩნურს, ინგუშურსა და ბაცბერში, მხოლოდ რ — ღიდოურში. ჰინუხურში, მხოლოდ ჲ — კაპუჭურში...

დარგული	იძლევა	დ//—რ-ს
ლაკური	—	დ//რ//ნ-ს
ჭამალალური	—	დ//ლ//ნ//ჲ-ს
რუთულური	—	დ//რ//ჲ-ს
წახური	—	დ//ლ//რ//ჲ-ს, აგრეთვე თ//ტ—დ
არჩიბული	—	თ//ტ-ს—დ...

სამკლასოვან ენაში, როგორიცაა ამჟამად ხუნძური, ისტორიულად მეოთხე კლასიც უნდა გვქონოდა, რ-პრეფიქსიანი; ამას გვაფიქრებინებს არსებით სახელებში გაქვავებული რ-პრეფიქსი, ზმნის მრავლობითობის რ- თავსართი...

§ 21. გრამატიკული კლასების საკითხი მრავლობითში

მხოლობითთან შედარებით მრავლობითში განსხვავებული ვითარება გვაქვს: იგივე ნიშნები სხვაგვარად არის გამოყენებული. სახელთა კლასების რიცხვი მხოლობითთან შედარებით შეიძლება უფრო მცირე იყოს, მრავლობითში გაერთიანდეს ის ჯგუფები, რაც მხოლობითში გათიშული იყო; ანდა, პირუკუ: ის, რაც ერთ ჯგუფში შეჰქონდა მხოლობითს, მრავლობითში გაითიშოს, იგივე კლასის ნიშნები მრავლობითმა სხვაგვარად გამოიყენოს.

ამრიგად, ერთ შემთხვევაში გვექნება სხვაობის მოშლა, ნეიტრალიზაცია გრამატიკული კლასების კატეგორიისა, მეორეში კი, პირუკუ, ურთგვარი დიფერენციაცია იმ ჯგუფებისა, რაც მხოლობითში გვქონდა: მასთან გრამატიკული კლასების ნიშანთა რიცხვი არ მატულობს, მაგრამ გამოყენებულია სხვაგვარად.

სრული ნეიტრალიზაციის ნიმუშებს ვპოულობთ ხუნძურში:

მხოლობითში გარჩეულია სამი კლასი: მრავლობითში სახელთა ჯგუფები არ გაირჩევა, საერთო ნიშანი გვაქვს (რ).

მხოლ. I — ვ
II — დ—რ
III — ბ

მხოლ.: ვ-ას ვ-უგო „ვაჟიშვილია“, დ-ას დ-იგო „ქალიშვილია“, რუყ ბ-უგო „სახლია“...

მრავლ.: ვ-ას-ალ რ-უგო „ვაჟიშვილები არიან“, დ-ას-ალ რ-უგო „ქალიშვილები არიან“, რუყბაბი რ-უგო „სახლებია“...

I. კუდიდა-უ „დიდი (большой), II. კუდიდა-დ „დიდი“ (большая), III. კუდიდა-ბ „დიდი“ (большое).

მრავლ. კუდიდა-ლ „დიდები“, „დიდნი“ (большие)... კუდიდა-ლ რ-უგო „დიდებია“, „დიდები არიან“...

ლ და რ ერთი და იმავე ფორმანტის ორი ვარიანტია (ფონეტიკურად განსხვავებული, ლ- სუფიქსად ხმარებისას, რ- პრეფიქსად გამოყენებული), და არა — ორი ფორმანტი.

თაბასარანულის ორკლასოვანი მხოლობითი მრავლობითში გაერთიანებულია.

თაბასარ. მხოლ. I კლ. — დ//რ//ჲ
II კლ. — ბ//უ//ფ მრავლ. დ//რ//ჲ

მხოლობითის ოთხი კლასი შეიძლება მრავლობითში გაერთიანდეს ერთ ჯგუფში:

არჩიბული: მხოლობითში I — ვ
II — დ//რ
III — ბ//ვ//ფ
IV — თ//ტ
} მრავლობითში: ბ

რუთულური: მხოლობითში I — რ//ჲ, ბ...
II — რ//ჲ
III — ბ...
IV — დ//რ//ჲ//ბ
} მრავლობითში: დ

მხოლობითის სამ კლასს მრავლობითში ორი ეფარდება; ასეა ღოდობერიულში, კარატაულში, ახვახურში, ტინდიურში, ბაგვალალურში...

მხოლობითში: I — ვ, II — ჲ } ბ
III — ბ — რ

მრავლობითში: ბ — ეფარდება ვ, ჲ-ს (მამაკაცსა და ქალს)
რ ეფარდება ბ-ს (ნივთის კლასის სახელებს)

ბოთლიხურშიც მრავლობითი ორ ჯგუფში აერთიანებს სახელებს: მხოლ. ვ, ჲ, ბ — მრავლ. რ და ბ. ოღონდ რ „სულიერი" სახელებისათვის გამოუყენებია ენას (და არა მხოლოდ ადამიანისათვის), ბ — „უსულოთათვის" (ტ. გუდავა).

მხოლობითის ოთხი კლასიც შეიძლება მრავლობითში ორ ჯგუფში გაერთიანდეს; ამის ნიმუში გვაქვს ჰამალალურში:

ჰამალალური: მხოლობითში: I — ვ, II — ჲ } მრავლობითში ბ
III — ბ, IV — დ } რ

ჰინუხური: მხოლობითში I — Ø — ბ მრავლობითში
II — ჲ, III — ბ, IV — რ } რ

მხოლობითის ოთხისა და სამი კლასის ადგილს მრავლობითში ხან ორი კლასი იჭერს, ხან კიდევ — ერთი და კლასების მიხედვით სახელები აღარ გაირჩევა — ესაა სახელთა კლასების ევოლუციის ძირითადი ხაზი.

საპირისპირო ტენდენციაც შეიმჩნევა: მხოლობითში რომ ერთ კლასშია გაერთიანებული სახელები, მრავლობითში ეს სახელები ორ (ზოგჯერ — სამ) ჯგუფად შეიძლება გაითიშოს.

ამ პროცესის დასაწყისი ა ნ დ ი უ რ შ ი შეიმჩნევა: მხოლობითის ბ-კლასის სახელებიდან მრავლობითში ზოგი ისევ ბ-ნიშანს ინარჩუნებს, ზოგიც — ჲ-ნიშანს შეიწყობს (სხვა კლასებს კი იგივე ნიშნები ურჩება მრავლობითში, რაიც მხოლობითში გვქონდა):

ანდიური: მხოლ. I — ვ, II — ჲ, III — ბ, IV — რ.
მრავლ. I — ვ, II — ჲ, III — ბ, ჲ, IV — რ (ი. ცერცვაძე).

ასეთია ვითარება ზ ე მ ო-ა ნ დ ი უ რ თქმებში, აულებში: ანდი, ღალათლი, აშალი, ჩანჩხო, ზილო (ი. ცერცვაძე).

ანდიური ენის რიკვანის თქმაში რ-კლასის სახელებიც მრავლობითში ითიშებიან; ზოგს ჲ-ნიშანი მოუდის, ზოგიც -რ-ს ინარჩუნებს (იაკ. სულეიმანოვი). ანდიური ენის რიკვანის თქმა:

მხოლ. I — ვ, II — ჲ, III — ბ, IV — რ
მრავლ. I — ვ, II — ჲ, III — ბ, ჲ, IV — რ, ჲ

აღსანიშნავია, რომ იმავე ანდიურის ზოგ თქმაში. სახელდობრ, ქვემოანდიურ თქმებში (აულები: მუნიბ, ქვანხიდათლ) მ ხ ო ლ ო ბ ი თ შ ი ც და მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ შ ი ც სახელები სამ კლასში (ჯგუფში) იყრის თავს: I — ვ, II — ჲ, III — ბ, ე. ი. მხოლობითში ხუნძურისებრი ვითარება გვაქვს, მრავლობითში კი სრულიად განსხვავებული: ხუნძურში მრავლობითმა სახელების დაჯგუფება აღარ იცის, ანდიურს კი მხოლობითის ჯგუფები დაუცავს (მათ შორის პირველი კლასის ნიშანი ვ-ც: მრავლობითს ცალკე ნიშანი აქვს).

ყველაზე მკვეთრად დიფერენციაციაა მრავლობითში ნახური ენების მასალას მოუდის: ჩაჩნურსა და ინგუშურში ჲ და დ კლასის სახელები მრავლობითში ორ-ორ ქვეჯგუფს ქმნიან, ბაცბურში ამათ გარდა ბ-კლასის სახელებიც ითიშებიან: სახელდობრ, გვაქვს:

ჩ ა ჩ ნ უ რ ი ს მხოლობითში: I — ვ, II — ჲ, III — ბ, IV — დ
მრავლობითში: I — ბ, II — ჲ, III — {ბ, IV — დ / დ, IV — ბ}

ი ნ გ უ შ უ რ ი ს მხოლობითში: I — ვ, II — ჲ, III — ბ, IV — დ

მრავლობითში: I — ბ, II — {ჲ, III — {ბ, IV — დ / დ, IV — ბ} / ბ}

ბაცბურის მხოლოობითში: I — ვ, II — ჲ, III — ბ, IV — დ

მრავლობითში: I — ბ, II — {ჲ, დ}, III — {ბ, დ ჲ}, IV — {დ, ჲ}

ამრიგად, მხოლოობითის ოთხ ჯგუფს (კლასს) მრავლობითში შეედეგი ჯგუფები და ქვეჯგუფები ეფარდება:

ჩაჩნურში: ვ/ბ, ჲ/ჲ, ჲ/ბ, ბ/ბ, ბ/დ, დ/დ (ჩვეულებრივ ამ ნიშნებს ასე ალაგებენ: I კლ. ვ/ბ, II კლ. ჲ/ბ, III კლ. ჲ/ჲ, IV კლ. ბ/დ, V კლ. დ/დ, VI კლ. ბ/ბ (უსლარი, „ჩაჩნური ენა“, § 9).

ამასთან I და II კლ. მრავლობითი ჩაჩნურში განასხვავებს მრავლობითში პირებს: ვ/ბ და ჲ/ბ მესამე პირისთვის იხმარება, პირველსა და მეორე პირში (ჩვენ, თქვენ) მრავლობითში დ-ფორმანტი ექნება (ეს აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ უსლარს „ჩაჩნურ ენაში“).

ინგუშურში: ვ/ბ, ჲ/ჲ, ჲ/ბ, ბ/ბ, ბ/დ, დ/დ.

ბაცბურში: ვ/ბ, ჲ/ჲ, ჲ/დ, ბ/ბ, ბ/დ, ბ/ჲ, დ/დ, დ/ჲ.

ამ ფარდობის მიხედვით ასკვნიან ხოლმე: ჩაჩნურსა და ინგუშურში ექვსი გრამატიკული კლასია გარჩეული, ბაცბურში კი — რვა კლასიო. ჩაჩნური ენის შაროულ დიალექტში მრავლობითის ჩვენებაზე დაყრდნობით შესაძლებლად ცნაჩნიათ 8 კლასი გამოყონ (სახელდობრ: ვ/ბ, ჲ/ბ, ჲ/ჲ, დ/დ, ბ/ბ, ბ/დ, ჲ/დ, ბ/ჲ); ხოლო იმავე ჩაჩნური ენის შებერლოურ დიალექტში 9 კლასს გამოყოფენ (ესაა: ვ/ბ, ჲ/ბ, ჲ/ჲ, დ/დ, ბ/ბ, ბ/დ, ჲ/დ, დ/ჲ, ბ/ჲ) [1].

არსლ. მაგომედოვი იმ აზრისაა, რომ ნახური ენებიდან ყველაზე მარტივი სისტემა (ბარის ჩაჩნურისა და ინგუშურისა) გამარტივების ერთგვარ ტენდენციას ამჟღავნებს: ჲ/ჲ და დ/დ ჯგუფის სახელები ჭარბობს; არსლ. მაგომედოვის დაკვირვების თანახმად 1506 სახელიდან ჩაჩნურში: ჲ/ჲ ჯგუფს განეკუთვნება 613 სახელი (40,7%).

დ/დ ჯგუფს განეკუთვნება 304 სახელი (30,5%).

ბ/ბ ჯგუფს განეკუთვნება 90 სახელი (6%).

ბ/დ ჯგუფს განეკუთვნება 200 სახელი (13,3%) [2].

ამავე ავტორის დაკვირვებით ნახურ ენათა კილოებს შორის სხვაობა დასტურდება არა მხოლოდ იმის მიხედვით, რამდენ ჯგუფად იყოფა სახელები მრავლობითში, არამედ იმ მხრივაც, თუ რა სახელი რა

[1] არსლ. მაგომედოვი, გრამატიკული კლასები: კატეგორია და პირის კატეგორია ნახურ ენათა ზმნაში, 1966, ავტორეფერატი, გვ. 8.

[2] იქვე.

ჯგუფში შედის: პ. უსლარის ნათქვამი — „ყოველ ჩაჩანს უცდომლად შეუძლია“ ყოველი სახელი სათანადო ჯგუფს განუკუთვნოსო[1], არსლ. მაგომედოვის დაკვირვებით არ მართლდება.

პ. უსლარის მონოგრაფია „ჩაჩნური ენა“ 1862 წელს დაიწერა და ლითოგრაფიულადაც დაიბეჭდა. არსლ. მაგომედოვის დისერტაცია დამუშავდა ასი წლის შემდეგ (ავტორეფერატს 1966 წელი უზის თარიღად). ერთი საუკუნე ენის ცვლისთვის არც თუ ისე ცოტა დროა (მით უმეტეს, რომ ამჟამად ბარის კილოთქმებში სხვადასხვა აულის მეტყველება ერთმანეთში ირევა). საკითხი საგანგებოდ არის შესასწავლი.

საკითხის შესწავლისას გასათვალისწინებელი იქნებოდა როგორც ერთი ენის (ვთქვათ, ჩაჩნურის) კილო-თქმათა ჩვენება, ისე სხვა ნახური ენების (ინგუშურისა და ბაცბურის) ვითარება, შემდეგ კი იმ დაღესტნურ ენათა მონაცემებიც, სადაც მხოლოობითში ნივთის ორი კლასია გარჩეული, ესე იგი, ოთხკლასოვან ენათა მონაცემები: როგორ ნაწილდება ბ და დ-კლასებს შორის სახელები.

ჯერ კიდევ ანტ. შიფნერმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბ და დ კლასთა გარჩევა ჩაჩნურში განსხვავდება იმისაგან, რაც ბაცბურში გვაქვს (ბაცბურის — თუშურის — შესახებ ანტ. შიფნერის შრომა 1854 და 1856 წ. იყო გამოსული, ხოლო პ. უსლარის „ჩაჩნური ენა“ შიფნერმა დაალაგა და გამოსცა 1863 წ.): „IV კატეგორია [ბ/დ] თუმცა ერთნაირია ორსავე ენაში, მაგრამ გამონაკლისებიც დასტურდება: ასე, მაგ.: ჩაჩნ. ჩა „დათვი“, ბუორზ „მგელი“, გაურ „ცხენი“ ღუშურში IV კატეგორიას [ბ/დ] განეკუთვნება, ჩაჩნურში — III-ს [ბ/ბ]: ჩაჩნ. ვირ „ვირი“, ბეყი „კვიცი“, ფხაგალ „კურდღელი“, ხაჭა „ღორი“, ქუოთამ „ქათამი“, ნმენი „მამალი“ ჩაჩნურში III კატეგორიისაა [ბ/ბ]. თუშურში კი — V-ისა [დ/დ]. ჩაჩნური VI კატეგორიაში მხოლოობითსა და მრავლობითში ბ-ნიშანს ხმარობს. თუშურში კი სათანადო სახელთა მეტი წილი მრავლობითში ბ-ს გვაძლევს: ბმერიგ „თვალი“, გუოლა „მუხლი“, „იდაყვი“, ქუოგ „ფეხი“... სიტყვები: კა „ცოდვა“, ბი „ლუდი“, ჯმელი „ძაღლი“, მუოთ „ენა“ ჩაჩნურში V კატეგორიისად ითვლება [დ/დ], თუშურში — ბ კატეგორიისაა“ [2].

---

[1] П. К. У с л а р, Чеченскій языкъ, 1888, გვ. VI.

[2] A. S c h i e f n e r, Tschetschenzische Studien, S'-Petersburg, 1864, § 10 რუს. თარგმანი დართული აქვს პ. უსლარის შრომას „Чеченскій языкъ“, 1888, ცალკე პაგინაციით (გვ. 12).

§ 22. მრავლობითის ვითარება და გრამატიკული კლასების რაოდენობის საკითხი

რას უნდა დაეემყაროთ გრამატიკული კლასების რაოდენობის გარკვევისას — მხოლობითის ჩვენებას თუ მრავლობითის ვითარებას?

გრამატიკული კლასი სხვა არაფერია, თუ არ სახელთა ჯგუფი. თითოეულ ჯგუფს გარკვეული მაჩვენებელი აქვს, და სახელთა ჯგუფი სხვა ჯგუფებთან გარკვეულ ფარდობას გულისხმობს. მრავლობითის ფარდობა მხოლობითთან ანგარიშგასაწევია. მაგრამ გრამატიკული კლასების რაოდენობის საკითხს ამის მიხედვით ვერ გადავწყვეტთ.

მართლაც. თუ მრავლობითის ჩვენებას დაეემყარებოდით, მაშინ ის შემთხვევებიც უნდა გაგეთვალისწინებინა, როდესაც მრავლობითში სახელთა ჯგუფები კი არ მ რ ა ვ ლ დ ე ბ ა, არამედ მ ც ი რ დ ე ბ ა: მხოლობითში ოთხი ანდა სამი კლასია გარჩეული, მრავლობითში კი — ორი, ან არა და სულ არ არის გარჩეული. საერთო ნიშანი მოუღის.

არჩიბულში, რუთულურში (იხ. ზემოთ, გვ. 98) მხოლობითში ოთხ- კლასი გამოიყოფა, ხუნძურში — სამი, მრავლობითში კი — ოთხისა და სამის ნაცვლად — ერთი... ანდიურ ენათა წყებას (ღოდობერ., კარატ., ახვახ., ტინდ.) მხოლობითში სამი კლასი აქვს, მრავლობითში სათანადო სახელები ორ ჯგუფში ერთიანდება.

ასეთი ენები მრავლობითის მიხედვით არავის მიუჩნევია ორკლასოვან და „ერთკლასოვან" (ე. ი. უკლასო) ენებად: აქ ამოსავალია მხოლობითის ჩვენება და არა—მრავლობითობისა (მსგავსივე ვითარება გვაქვს რუსულისა და გერმანულის ზედსართავებში: მხოლ. красивый, красивая, красивое — მრავლ.: სამივე სქესისათვის ერთი ფორმაა გამოყენებული: красивые,— სქესთა ფორმები ნეიტრალიზებულია. მაინც იტყვიან: ზედსართავ სახელებს ამ ენებში სამი სქესი აქვსო — მხოლობითის მიხედვით წყდება საკითხი).

თუ ხუნძურში, ღოდობერიულში, კარატულში, ახვახურში, ტინდიურში, ბაგვალალურში, სამ გრამატიკულ კლასს გამოვყოფთ — მხოლობითის ვითარებაზე დაყრდნობით, არჩიბულში, რუთულურში კი — ო თ ხ ს, ისევ მხოლობითის მიხედვით, თანამიმდევრული იქნებოდა ნახურ ენებშიც — ჩაჩნურში, ინგუშურსა და ბაცბურში — ოთხი გრამატიკული კლასი ყოფილიყო გარჩეული — მხოლობითის ჩვენების შესაბამისად. მრავლობითის თავისებური ფარდობა მხოლო-

ებთან ქვეჯგუფებს მოგვცემდა: მრავლობითში ბიფურკაციის შედეგად ა-კლასს ექნებოდა ორი ქვეჯგუფი: ა/ა და ა/დ; ასევე ბ-კლასს— ბ/ბ და ბ/დ. ბაცბურში ბ-კლასთან სამი ქვეჯგუფი გამოიყოფოდა: ბ/ბ, ბ/დ, ბ/ა. ჩაჩნური ენის ჰებერლოურ კილოში სამ-სამი ქვეჯგუფი ჩამოყალიბდებოდა ბ და ა- შესაბამისად და — ორი დ-ს ბადლად (ბ/ბ, ბ/ა, ბ/დ; ა/ა, ა/ბ; ა/დ; დ/დ, დ/ა).

მთლიანად გრამატიკულ კლასთა სქემა, მაგ., ბაცბურში ასეთ სახეს მიიღებდა: I — ვ. II — ა (ძრავლობითში ბიფურკაციით: ა/ა, ა/დ). III — ბ (მრავლ. ბიფურკაციით: ბ/ბ, ბ/დ, ბ/ა), IV — დ (მრავლ. ბიფურკაციით: დ/დ, დ/ა).

ამით თავიდან ავიცილებდით იმ უხერხულობასაც, როდესაც ბიფურკაციის შედეგად გამოყოფილი ერთეულები სქემაში გათიშულად წარმოგვიდგება: II — ა/ბ, III — ა/ა. მაგრამ: IV კლ. — ბ/ბ. V — დ/დ VI—ბ/დ[1].

§ 22. მრავლობითში გრამატიკულ კლასთა უნიფიკაციისა და ბიფურკაციის (დიფერენციაციის) ისტორიული ახსნა

მხოლობითში განსხვავებული კლასების მრავლობითში გაერთიანება და მხოლობითის კლასების მრავლობითში დაშლა (ბიფურკაცია) ორი პროცესია, ერთმანეთის საპირისპირო.

ეს ორი პროცესი სხვადასხვა მიზეზებს უნდა გამოეწვია.

გრამატიკული კლასების რაოდენობა რომ მცირდება და ზოგჯერ სხვაობის სრულ ნეიტრალიზაციას რომ ურჩება ადგილი, ეს უნდა გამოეწვია მორფოლოგიის განვითარების ზოგად ტენდენციას, რაც ერთგვარად საერთო ჩანს სხვადასხვა წარმომავლობის ენებში: კონკრეტული ვარიანტები მცირდება, ე. ი. სხვაობის ნეიტრალიზაცია ხდება, მის ადგილს იპერს განზოგადებულ-განყენებული. განვითარების ასეთი ტენდენცია არ არის ერთადერთი, მაგრამ საგრძნობია მორფოლოგიის განვითარებაში ცერძოდ, ინდო-ევროპულ ენებში გრამატიკული სქესკატეგორიის განვითარებაში მას ყურადღება მიაქცია ანტ. მეიემ. მრავლობით რიცხვში რუსული ენის ზედსართავები ამჟამად ერთ ფორმას სწარობენ — მხოლობითის სამი ფორმის ნაცვლად: მხოლ. **новый дом, новая школа, новое здание** — მრავლ. **новые** — დამა. **школы, здания** — საერთოა სამივე სქესისათვის: გრამატიკულ

[1] ИКЯ. გვ. 213.

სქესებს რუსულ სალიტერატურო ენაში ზედსართავი სახელი მრავლობითში ამჟამად არ განასხვავებს.

მაგრამ, სანამ რუსული ორთოგრაფიის რეფორმას ჩაატარებდნენ (1918 წელს). მრავლობითში ზედსართავს სალიტერატურო ენაში ორი ფორმა მოეპოვებოდა: ერთი მამრობითი სქესისათვის (новые), მეორე — მდედრობითი და საშუალო სქესებისათვის (новыя): новые дома, მაგრამ новыя школы, новыя здания. განზოგადებულ ვარიანტად რუსულ ენაში ის ფორმა გამოიყენეს, რაც მამრობითისათვის იყო განკუთვნილი.

ხუნძურში (არჩიბულში, რუთულურში) მრავლობითი რომ კლასებს არ განასხვავებს, ეს მოგვაგონებს რუსული ზედსართავების ახლანდელ ვითარებას: სხვაობა მოშლილია, ერთი ვარიანტი იხმარება სამის ნაცვლად ჰხოლოობითში (ოღონდ განზოგადებულისათვის რუსულს ის ვარიანტი დაუმკვიდრებია, რაც წინათ მამრობითისათვის იხმარებოდა; ხუნძურში კი საამისოდ ნივთის კლასის, მეოთხე კლასის р — ვარიანტია გამოყენებული).

მხოლოობითი რიცხვის სამი კლასის ადგილს ორი რომ იჭერს მრავლობითში (ღოდობერ., კარატ., ახვახ., ტინდ., ბაგვალ.), ესაა განვითარების პროცესის ისეთივე საფეხური, როგორსაც რეფორმამდელ რუსული ორთოგრაფია მიჰყვებოდა: მხოლოობითის სამ ვარიანტს მრავლობითში ორი ენაცვლება (ანდიურ ენა-კილოებს ორსავე შემთხვევაში ნივთის კლას-კატეგორიათა ფორმანტები — в და р — აქვთ გამოყენებული).

ამრიგად, ტენდენცია გრამატიკულ კლასთა სხვაობის ნეიტრალიზაციისა მრავლობითში, რაც ვლინდება კონვერგენცია-უნიფიკაციის პროცესებში, კლასოვან ენათა შინაგანი განვითარების პრინციპებს ემყარება და მათ გამოგვივლენს.

ამას ვერ ვიტყვით მეორე ტენდენციის შესახებ, მრავლობითში რომ მხოლოობითის ერთეულთა დიფერენციაცია-ბიფურკაცია იჩენს თავს. ეს ტენდენცია ნახური ჯგუფის ენებს ახასიათებს: გვაქვს ჩაჩნურში, ინგუშურში, ბაცბურში. ბიფურკაცია ნივთის კლასის სახელებს მოუდის, ჩაჩნურსა და ინგუშურში д და в კლასის სახელებს. ბაცბურში კი д, в და д კლასის სახელებს, ე. ი. ნივთის სამივე კლასის სახელებს.

ზოგად პირობას ბიფურკაციისათვის, უნდა ვიფიქროთ, ქმნიდა ის

გარემოება. რომ ნივთის სახელთა განაწილებას ა, ბ და დ კლასებად ისეთივე რაციონალური საფუძველი არ მოეპოვებოდა, როგორიც ვ-კლასის სახელებს აერთიანებდა. ნივთის კლასის სახელების დაჯგუფებას ტრადიცია უდევს საფუძვლად. ეს ტრადიცია ოდესღაც გარკვეულ გაგებას ემყარებოდა, — ნივთის სახელთა დაჯგუფებას, ალბათ, გარკვეული მოტივაციაც მოეპოვებოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში ეს მოტივაცია დაიჩრდილა და უმოტივაციო ტრადიციული დაჯგუფება შემოგვრჩა: ჩაჩნ. სთუ „ხარი“, ჲათ „ძროხა“, ლუომ „ლომი“, ჯოკუ „მტრედი“, მოზუ „ბუზი“. ლეხ'ი „გველი“ — ბ-კლასს განეკუთვნება.

გაურ „ცხენი“, ჩა „დათვი“, ქუოთამ „ქათამი“, ბაჲდ „იხვი“... — ჲ-კლასისაა. ჯმელი „ძაღლი“, ციციგ „კატა“, ხოზუ „ბეღურა“, ჭუღარდიგ „მერცხალი“ — დ-კლასში შედის.

რა აქვს საერთო „ხარს“, „მტრედს“, „გველს“, „ბუზს“? რატომაა „ხარი“, „ძროხა“ ბ-კლასისა, „ცხენი“ კი ჲ-კლასისა? „ძაღლი“ კიდევ დ-კლასისა? ამჟამად საამისო მოტივები უცნობია ამ ენაზე (ჩაჩნურზე) მოლაპარაკისათვის.

მოტივაცია როცა ქრება, ცვლის პროცესებს გზა ეხსნება. ეს ეხება სიტყვის ბგერითს მხარეს, პირველ ყოვლისა, სიტყვის ინტერპრეტაციასაც, ზოგადად.

ნივთის კლასის სახელებს ჩაჩნური, ინგუშური და ბაცბური ყოველთვის ერთგვარად არ აჯგუფებს: დ-კლასის სახელთა ბიფურკაცია ბაცბურის მრავლობითში ამას ხელშესახებს ხდის (ეგეც ითქმის ჩაჩნური ენის ჰებერლოური კილოს შესახებ).

სხვა ფაქტებსაც მიუქცევია ყურადღება. თუმცა სპეციალური კვლევის საგანი, სამწუხაროდ, არ გამხდარა.

ყოველივე ზემოთქმული ქმნიდა წინაპირობას, რომ ნივთის კლასის სახელთა დაჯგუფებაში ცვლილება მომხდარიყო.

ეს წინაპირობა რომ ცვლილების მიზეზი გამხდარიყო, გარკვეულ ფაქტორებს უნდა ემოქმედა. საფიქრებელია, რომ ეს ყოფილიყო გარე ფაქტორი, ე. ი. ისეთი რამ, რაც შინაგან განვითარებაზე ზეგავლენას ახდენს: ვგულისხმობთ სხვა ენათა გავლენას ანდა თვით ნახურ ენათა დიალექტების ურთიერთზე მოქმედებას (ამჟამად ჩაჩნური ენის ბარის მეტყველება ქმნის ექსპერიმენტებს, რაც მეტად საინტერესოა

დიალექტთა ურთიერთმოქმედებისა თუ შერევის თვალსაზრისით, საერთოდ) [1].

აქ წარმოდგენილი გვაქვს ზოგადი მოსაზრებები. საკითხს საგანგებოდ შესწავლა ესაჭიროება.

§ 24. გრამატიკული კლას-კატეგორიის რაობისა და ისტორიის ძირითადი საკითხები იბერიულ-კავკასიურ ენებში

სახელთა დაჯგუფება კლასებად ასახავს სათანადო საგანთა დაჯგუფებას. მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს ამ მხრივ ბევრი რამ საერთო აქვს, რიგი მოვლენა კი მათ არსებითად განასხვავებს. ორიეე ეს გარემოება საშუალებას იძლევა მოვლენის რაობისა და ისტორიის ძირითადი საკითხები შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდით ვიკვლიოთ.

I. გრამატიკულ კლასებად სახელთა დაჯგუფებაში მკვეთრად ჩანს პიროვნებისა (ადამიანის) და ნივთის დაპირისპირება: ვი ნ-ჯგუფის სახელები უპირისპირდება რა-ჯგუფის სახელებს.

სახელთა კლასი მორფოლოგიურ კატეგორიას წარმოადგენს; ამჟამად ასეთი მორფოლოგიური კატეგორია მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მეტ წილს მოეპოვება.

სახელთა კლასი, როგორც თავისებური სემანტიკური კატეგორია, ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში ერთნაირად არის გაგებული: ვი ნ — მხოლოდ ადამიანზე ითქმის — არც ერთი ცხოველი ამ სემანტიკურ ჯგუფში არ შემოდის, რა — ყველაფერ სხვაზე, ცხოველი იქნება ეს თუ მცენარე, სხვა კონკრეტული თუ განყენებული შინაარსის სახელი.

ინდო-ევროპულ ენებთან შედარებით ვი ნ-ჯგუფის სახელთა წრე უფრო ვიწროა, რა-ჯგუფისა, პირუკუ, — უფრო ვრცელი.

II. გრამატიკულ კლასებად დაჯგუფებული სახელები ღირებულების მიხედვით გაირჩევა: ვი ნ-კლასის სახელი ყველაზე უფრო ფასეულად მიიჩნევია სათანადო ენობრივ კოლექტივს; რა-კლასის სახელი სხვაგვარად არის შეფასებული იმ ძველისძველ ენობრივ კოლექტივში, სადაც დაჯგუფების ეს სისტემა იქმნებოდა.

---

[1] იგულისხმება ბარის აუღებში სხვადასხვა კილო-კილოკავის წარმომადგენელთა ერთად დასახლება. ჩაჩნური ენის შტოები და მეტადრე ჰებერლოური კილოს შესახებ ზოგი ავტორისა მოსაზრება იხ. ზემოთ.

„ღმერთი", „ანგელოზი" ხუნძურმა ენამ პირველ კლასში (ვ-კლასში) ჩააქცია, „ეშმაკი", „ავი სული" — ნივთის კლასის (ბ-კლასის) სახელებთან: ვ-კლასი (პირველი კლასი) ყველაზე მაღალი რანგისაა და იმიტომ (არა-და „ღმერთს", „ანგელოზს" ადამიანად როგორღა მიიჩნევდნენ?).

ვ-კლასში (პირველ კლასში) მამაკაცი კიდევ იმიტომ აღმოჩნდა, რომ ზოდადამთავრებულ, ასაკსრულ მამაკაცს უფლება-მოვალეობის თვალსაზრისით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაზე მაღალი ადგილი ეკირა: იგულისხმება პატრიარქალური საზოგადოება (მატრიარქატის ეპოქაში ვ-კლასში, პირველ კლასში, მამაკაცები ვერ აღმოჩნდებოდნენ). გრამატიკული კლასების სისტემა, რომელიც მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში გვაქვს მოცემული, პატრიარქატის თვალსაზრისს გამოხატავს. პატრიარქატის ეპოქაში წარმოქმნილი უნდა იყოს.

ასაკსრულ მამაკაცს ზოგ პრიმიტიულ ხალხში წინასწარ ცდიან — ვაჟკაცის შესაფერი ამტანობა-გამძლეობა თუ გამოაჩნდებაო — და მხოლოდ ამის შემდეგ მიიჩნევენ სრულფასოვან წევრად, მხოლოდ ამის შემდეგ „კაცებში ჩაწერება". გრამატიკულ კლასთა რაობის შესახებ აქ. დროის სათანადო ვარაუდები არსებით მომენტებში სინამდვილეს შეეფერება[1].

III. ძველი ჩანს რა-კატეგორიის სახელთა დახარისხება ბ და დ კლასებად: ბ-კლასში შეტანილი ეფრო ფასეული უნდა ყოფილიყო, ვიდრე ის, რაც დ-კლასს განეკუთვნებოდა.

ჩაჩნური ბ-კლასს განეკუთვნებს რა-კატეგორიის ისეთ სახელებს, როგორიცაა: მალხ „მზე", ბმერიგ „თვალი", ქუოგ „ფეხი", დაცა „ცხვარი" (ზოგადად), ბაჟა „ნახირი", ფხუო „ისარი", მენგალ „ცელი", მეჩხ „ქარი"...

იქვე ჩაჩნურში დ-კლასისაა: დუოქ „ნისლი", დოლუ „წვიმა", ქერი „ქორი", კა „ჰავი", ძალთა „პურეული (მცენარე)", ჯაღნა „წიგნი", დაყა „წილი", „ნაწილი", დაუე „ლანძღვა", ბერ „ბავშვი", ნუსქულ „პატარძალი..."

ეს ორი ეკანასკნელი სახელი („ბავშვი", „პატარძალი") დ-კლასში

---

[1] Ад. Дирр. О классах (родах) в кавказских языках, СМОМПК, вып. 37. отд. III, 1907.

რომ აღმოჩნდა, საჩოთირია ამჟამად ჩვენი თვალსაზრისით, მაგრამ ეს დაჯგუფება ძველ თვალსაზრისს გამოხატავს.

ამრიგად: ვ-ჯგუფი (პირველი კლასი), ბ-ჯგუფი (მესამე კლასი — ახლანდელი კლასიფიკაციით), დ-ჯგუფი (მეოთხე კლასი ამჟამად) ევყარებოდა საგანთა შეფასებას — ძველი საზოგადოების თვალსაზრისით.

IV. თავისებურია ჲ-კლასის საკითხი: ეს კლასი ქალს აღნიშნავს და ვ ი ნ. კატეგორიას განეკუთვნება ამჟამად; ადამიანის (პიროვნების) სახელთა ქვეჯგუფს გულისხმობს და ვ-კლასის კორელატად წარმოგვიდგება. ისტორიული ვითარება სხვაგვარი ყოფილა, თუ სათანადო ფორმანტის წარსულს აღვადგენთ და ზოგი ენის ჩვენებას გავითვალისწინებთ.

დ-ფორმანტი ნივთის მეორე კლასის სახელებს აღნიშნავს. ამ ფორმანტს ორი ფონეტიკური სახესხვაობა მოეპოვება; ერთია — რ, მეორე — ჲ (ზოგს ენაში ნ-ც ამ დ-ფორმანტისაგან მიღებული ჩანს, მაგალითად, ლაკურში). ყველაზე გავრცელებულია დ-// — რ-// — ჲ-ს შეთანაცვლეობა ნივთის კლასის ფორმანტად.

მეოთხე კლასის ნიშნად მ ხ ო ლ ო დ დ-ფორმანტი აქვს ნახურ ენებს (ჩაჩნურს, ინგუშურსა და ბაცბურს).

დ-ფორმანტის ნაცვალი რ- მეოთხე კლასს აღნიშნავს დიდოურსა და ჰინუხურში.

კაპუჭურს ჲ-ფორმანტი აქვს, როგორც მეოთხე, ისე მეორე კლასის ნიშნად: მეორე კლასის სახელები (იჲო „დედა“, ჭიდ „ქალიშვილი“, ისი „და“, აჲო „ცოლი“, ყოროლაჲ „ქვრივი“...) — ერთი მხრით, — და მეოთხე კლასის სახელებ: (როგორიცაა: ჭუნთა „ტანსაცმელი“, მუხუნ „პერანგი“, ურუმი „ურემი“. აგური „აგური“, ჰინო „გზა“, სიკო „პირი“, იაკო „გული“, გენი „მსხალი“, ჰოტი „ლობიო“...), მეორე მხრით, — ერთნაირად აღინიშნება ჲ-ფორმანტით[1]. მართალია, მრავლობითში ჲ-ჯგუფი ითიშება: ქალის აღმნიშვნელ სახელებს მრავლობითში ბ მოუდის. (ჲ/ბ), ნივთის კლასის (მეოთხე კლასის) სახელებს კი — ჲ-ფორმანტი (ჲ/ჲ). მაგრამ მრავლობითში ასეთი გახლეჩა (ბიფურკაცია) იმისა, რაც მხოლობითში ერთი ფორმანტით გადმოიცემოდა, მეორეულია.

---

[1] Е. Бокарев и Г. Мадиева. Бежит. яз., ИКЯ-кп. გვ. 457.

იქნებ მეორე გრამატიკული კლასის ნიშანი (დ) და მეოთხე კლასის ნიშანი (დ—რ—დ) სხვადასხვა წარმოშობისაა, ე. ი. ახლა ფონეტიკურად კი ერთნაირია. მაგრამ იქნებ, ერთი და იგივე არ არის და. მაშასადამე. იდენტურ ოდენობად არ უნდა მივიჩნიოთ, იმდენად მოულოდნელია ქალის აღნიშვნა ნივთის ისეთი კლასის ფორმანტით. რომელსაც კლასიფიკაციაში სულ ბოლო ადგილი უკავია.

მეორე გრამატიკული კლასის დ-ფორმანტი წარმოშობით იგივეა, რაც ნივთის (მეოთხე კლასის დ—რ—დ): მხოლოდ ფონეტიკური მსგავსება კი არ გვაქვს. არამედ მორფოლოგიური იდენტურობა.

ამას ცხადყოფს რიგი გარემოება:

მეორე გრამატიკულ კლასში ამჟამადაც მხოლოდ ქალი როდის შემოდის. ზოგ ენაში ქალის გარდა ნივთის გრამატიკული კატეგორიის სახელებიც მოგვეპოვება (პირველ გრამატიკულ კლასში ნივთის სახელები არც ერთ ნახურსა და დაღესტნურ ენებში არ გვხვდება).

მეორე გრამატიკულ კლასს დარგუულში დ-პრეფიქსი და -რ-სუფიქსი მოუდის: ეგეთე ფორმანტები, როგორც შენიშნული აქვს პ. უსლარს, ქალის გარდა, რიგ უსულო და განყენებულ საგანთა სახელებთანაც არის გამოყენებული: შინ ლი-რ „წყალი არის"; ასევე -რ-სუფიქსს იგუებს: ანჯი „მიწა", ღუმ „ქვიშა", გა „ნახშირი", ძი „მარილი", ნი' „რძე", ანკი „ხორბალი", მუკი „ქერი" (მარცვალი), ძავ „წვიმა", არც „ვერცხლი": „ფული", ულივხ'ა „უნაგირი", დელ „ფაფარი", დუწრუმ „ზაფხული", ჰაევ „გაზაფხული", ივშნი „შემოდგომა". მურ'ულდიშ „კაკაცობა", ჰჰაღუავზადიშ „მამაცობა", უაღუაზადიშ „სიმხდალე", ადამცილდიშ „კაცობრიობა" [1].

მსგავსივე ვითარება გვაქვს ჩაჩნურში: მეორე გრამატიკული კლასის დ-ნიშანს ჰხოლოობითში დაირთავენ ნივთის კატეგორიის ისეთი სახელები, როგორიცაა: ბუორზ „მგელი", ჩა „დათვი", გაურ „ცხენი", ვირ „ვირი", ბად „იხვი", ქუოთამ „ქათამი", ბედირ „ტანისამოსი", ვარდან „ურემი", ღაე „ჯოხი". დუ „სადგისი", დურთ „სოფელი", „აული". ღალა „ციხე-სიმაგრე", წიე'ყა „იატაკი", ბაგა „პირი", დემნი „კისერი". მაე „წვერი", სთიგილ „ცა", ხა' „დრო", „ხანი", შუირიე „ღილა", ბმესთიე „გაზაფხული", ეხ'ჭიე „ზაფხული", გუირე „შემოდ-

[1] П. Услар. Хюркил. яз., § 9, зд. 14.

გომა"[1], შინარა „სამშაბათი", ჯარა „ოთხშაბათი", ძეარა „ხუთშაბათი"[2]...

ჲ-კლასი, ამრიგად, არ ყოფილა მხოლოდ ქალისთვის განკუთვნილი, ამავე ნიშნით ნივთებიც აღინიშნება და — პარბადაც: აქ ნივთები კი არ არის ქალთან გათანაბრებული, მეორე კლასში „შემოყუანილი". არამედ ქალის აღსანიშნავად ნივთის (მეოთხე) კლასის ფორმანტია გამოყენებული. ამჟამად ჲ-კლასი (ვ-კლასთან ერთად) ადამიანის კატეგორიისად მიგვაჩნია, გაგებული გვაქვს როგორც სქესის მიხედვით გარჩეული ჯგუფი ადამიანისა. ეს არის ახლებურად გააზრება (რეინტერპრეტაცია) ძველი ვითარებისა. ეს ძ ვ ე ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა ცხადყოფს, რომ „ქ ა ლ ი" მ ო ქ ც ე უ ლ ი ი უ ო ნ ი ვ თ ი ს კ ლ ა ს ი ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი, მეტწილად დ-კლასის სახელებში, და დ-ნიშნის ფონეტიკური ვარიანტი ჲ თან მოჰყვა ქალს, როცა მეორე გრამატიკულ კლასად იქნა გააზრებული.

ლაკურ ენაში ამჟამადაც მეორე გრამატიკული კლასის ნიშანს დ- წარმოადგენს: ნინუ დ-ური „დედა არის", „დედაა"[3], წიქური დური „პატარძალია"[4]. იმავე ლაკურში ქალის აღმნიშვნელი სახელი ბ-კლასშიც ესე იგი, კვლავ ნივთის კლასში აღმოგვაჩნდება: დუშ ბური „ქალიშვილია", ს'ე ბ-ური „დაა"[5].

პ. უსლარი შენიშნავს: ქალიშვილი თავის თავზე ამბობს: ნა ბ-ურა „მე ვარ"... მასზე რომ დ-ურ-ი („არის") თქვან, მძიმე შეურაცხყოფა იქნებოდაო... გათხოვილი ქალი დ- კლასისად ითვლება. სასაცილოდ მიიჩნევენ, ბავშვიანმა ქალმა თავის თავზე თქვას: ნა ბურა („მე ვარ"), ე. ი. ბ-კლასის სახელებში ივარაუდოს თავიო (იქვე, § 10, გვ. 10, შენიშვნა).

„ქალიშვილის" აღმნიშვნელ სიტყვას რიგ ენაში თავკიდურ ბგერად რ- მოუდის და ეს რ- ფუძეს შეხორცებულ ფორმანტ რ-დ მიიჩ-

---

[1] ჯა „ხამთარი" დ-კლასისაა. .

[2] ჯარა „კვირე", „კვირადღე", უორშუოთ „ორშაბათი", პჯრისკენ „პარასკევი", შუაღ „შაბათი" — დ კლასისაა (П. Услар, Чечен. яз., § 12, გვ. 12—13).

[3] П. У с л а р, Лак. яз., § 9.

[4] იქვე, § 10.

[5] იქვე.

ევა, მეოთხე კლასის დ-ს რომ ენაცვლება: ლეზგიური, აღულური— ი-უშ, თაბასარანელი, ხინალუღური, ბუდუხური — რ-იშ [1].

განვითარების მთლიანი სქემა ასეთ სახეს იღებს:

I. ორი გრამატიკული კლასი: 1. ვინ-კატეგორიისა (ადამიანი-მამაკაცი)
2. რა-კატეგორიისა (ნივთები)

II. სამი გრამატიკული კლასი: 1. ვინ-კატეგორიისა — ვ- კლასი
2. რა-კატეგორიისა: ბ- კლასი
3. რა-კატეგორიისა: დ- კლასი

III. ოთხი გრამატიკული კლასი: 1. ვინ-კატეგორიისა: ვ- კლასი
2. ვინ-კატეგორიისა: ჲ- კლასი
3. რა-კატეგორიისა: ბ- კლასი
4. რა-კატეგორიისა: დ- კლასი

IV. სამი გრამატიკული კლასი 1. ვინ-კატეგორიისა: ვ- კლასი
2. ვინ-კატეგორიისა: ჲ- კლასი
3. რა-კატეგორიისა: ბ- კლასი

V. ორი გრამატიკული კლასი: 1. ვინ-კატეგორიისა: მეორე კლასის ფორმანტებით
2. რა-კატეგორიისა: ნივთის კლასის ფორმანტებით

მეორე გრამატიკული კლასი იმ თავითვე არ ჰქონია მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს: ვინ-კატეგორია ერთი კლასითღა იყო წარმოდგენილი. ადამიანის ორი კლასი მეორეული მოვლენაა როგორც ოთხკლასოვან ისე სამკლასოვან სისტემაში. უფრო ძველია ოთხკლასოვანი სისტემა, ვინემ სამკლასოვანი, სადაც ნივთის კატეგორია მხოლოდ ერთი კლასითღაა წარმოდგენილი (ხუნძური, ბოთლიხური, ღოდობერიული, ახვახური...), ყველაზე ახალი კი ის ორკლასოვანი სისტემა ჩანს, სადაც ვინ-კატეგორიისა და რა-კატეგორიის სახელები თითო გრამატიკულ კლასს ქმნიან და ვინ კლასისათვის (I კლასისათვის ნივთის მეორე კლა-

[1] У. Мейланова. Об отраж. катег. граммат. классов в дагестан. языках, Уч. зап. Инст. ист., яз. и лит. имени Г. Цадаса, XIII, 1964, გვ. 13.

სის (ე. ი. მეოთხე კლასის) ფორმანტებს (დ, რ, ჲ,) ხმარობენ (თაბასარანული).

ორკლასოვანი სისტემა გულისხმობს ვინ-კლასსა და რა-კლასს (ამის მაგალითი თაბასარანულია). კლას-კატეგორიათა რაოდენობის მხრივ იგი იმეორებს ამოსავალ ვითარებას, მაგრამ ამოსავალ ორკლასოვნობასა და ამ ორკლასოვნობას შორის თვალსაჩინო სხვაობა დასტურდება: ეს ორკლასოვანი სისტემა სამკლასოვანი სისტემის გამარტივების შედეგია, ამ სამკლასოვან სიტემაში კი ადამიანის ორი და ნივთის ერთი — ბ-კლასი გვქონდა. ადამიანის პირველ კლასს ვ-ნიშანი მოუდიოდა, მეორისათვის კი ჲ (←რ←დ) გვქონდა, წარმოშობით ნივთის (მეორე) კლასის ფორმანტი.

ამ სამკლასოვანი სისტემიდან ორკლასოვანმა სისტემამ შეინარჩუნა ნივთის კლასის ბ-ფორმანტი და მისი ფონეტიკური ვარიანტი (ოღონდ ეს ბ-კლასი ნივთის მეორე კლასია). მოსალოდნელი იყო, რომ ადამიანის კლასისთვის პირველი კლასის ვ-ფორმანტს გამოიყენებდა ორკლასოვანი ენა, მაგრამ — არა: ადამიანის კატეგორიას აქ აღნიშნავს მეორე კლასის ფორმანტი დ (და მისი ფონეტიკური ვარიანტები — რ//—ჲ). ამრიგად, ორკლასოვან სისტემაში ვინ-კატეგორია მეორე გრამატიკული კატეგორიის ფორმანტებს განაზოგადებს (ისევე, როგორც რა-კატეგორიის ერთ კლასში გაერთიანებისას ბ-ფორმანტი საერთოდ ნივთის აღსანიშნავად განზოგადდა). მრავლობითში (§ 22) განზოგადებული ფუნქციით ნივთის კატეგორიის ფორმანტები (ბ, დ, რ, ჲ) იხმარებოდა, ორკლასოვან სისტემაში ნივთის კატეგორიის ფორმანტი მხოლობითშიც არის გამოყენებული განზოგადებული ფუნქციით. პირველი კლასის ნიშან ვ-ს განზოგადების ფუნქცია არ ეკისრება.

თავდაპირველი ორკლასოვნობა სამკლასოვანი და ოთხკლასოვანი სისტემის წინამორბედია, მეორეული ორკლასოვნობა გრამატიკული კლასების მოშლის წინა საფეხურია.

§ 25. გრამატიკული კლასების აღნიშვნა სუბსტანტივებში

კლასებად სუბსტანტივები (არსებითი სახელები) ჯგუფდება. რა ჯგუფს (კლასს) განეკუთვნება სახელი, ამას სინტაქსური საშუა-

ლებით ვარკვევთ (§ 17): ჩაჩნურში სად ბუ „ირემი არის, ირემია", ხრზუ დუ „ბეღურა არის, ბეღურაა", სამოვარ დუ „სამოვარი (თვითმადუღი) არის", „თვითმადუღიაა", ჩაი დუ „ჩაი არის, ჩაია" [1]. აქ მეშველი ზმნა დაირთავს სხვადასხვა გრამატიკული კლასის ნიშანს, და ამ ნიშნის მიხედვით ვასკვნით, რა გრამატიკულ კლასსაც განეკუთვნება ჩაჩნურში სახელი („ირემი", „ბეღურა", „სამოვარი", „ჩაი")...

ასევე სხვა ენებშიც: ხუნძ. ემენ ვ-უგო „მამაა", ებელ დ-იგო „დედაა", ტილ ბ-უგო „ჯოხია"... მეშველი ზმნის (და, საერთოდ, ზმნის) გარდა, ამავე მიზნით შეიძლება გამოიყენონ ყოველი სიტყვა, რომელიც კი იცვლება ამჟამად გრამატიკული კლასების მიხედვით: ჩვენებითი ნაცვალსახელები (ხუნძ. ჰა-უ, ჰა-დ, ჰა-ბ „ეს"... მესამე პირის ნაცვალსახელი, ხუნძ. დო-უ, დო-დ, დო-ბ „ის" «он», «она», «оно»), ზედსართავი სახელი (ხუნძ. ჰიტინა-უ, ჰიტინა-დ, ჰიტინა-ბ „პატარა"), მიმღეობა (ხუნძ. ვ-უგე-უ, დ-ი-გე-დ, ბ-უგე-ბ „მყოფი"), ადგილის ზმნისართი (ჰანი-უ, ჰანი-დ, ჰანი-ბ „აქ")... რაოდენობითი რიცხვითი სახელი (მაგალითად, ლაკურში: ცა-ვ-ა, ცა-რ-ა, ცა-ბ-ა „ერთი")...

კლასნიშნიან სახელებთან შეხამება გაგვირკვევს, რა კლასს განეკუთვნება სუბსტანტივი ამა თუ იმ ენაში: სინტაქსური საშუალება აუცილებლად გვჭირდება, რადგანაც სუბსტანტივებს გრამატიკული კლასის ნიშანი არ დაერთვის.

ძველად გრამატიკული კლასის ფორმანტი სუბსტანტივებსაც უნდა ჰქონოდა. ძველი ვითარების გადმონაშთები აქა-იქ შემორჩენია ენებს. ამის ცნობილი მაგალითი იქნებოდა ხუნძური სუბსტანტივები:

ვ-აც „ძმა", დ-აც „და"... ვ-ას „ვაჟიშვილი", დ-ას „ქალიშვილი"... ბ-ას „ნაშიერი (ცხოველისა)"...

როცა ხუნძი ამბობს: ჰიტინა-უ ვ-ას ჰანი-ვ ვ-უგო „პატარა ვაჟი (შვილი) აქ არისო" ამოსავალია კლასი სახელისა (ვ-ას) ვ-; ამ ნიშანს იმეორებს ატრიბუტივი (ჰიტინა-უ „პატარა"), ზმნა (ვ-უგო „არის".. ! გრამ. კლ.), ზმნისართი (ჰანი-ვ „აქ"): კლას-ნიშნიანი სუბსტანტივი განსაზღვრავდა, რა კლას-ნიშნებიც უნდა ჰქონოდა მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სიტყვებს (ზედსართავს, ზმნას, მიმღეობას, ზმნისართს)...

---

[1] П. Услар, Чечен. яз., § 12, გვ. 11.

სუბსტანტივს (არსებით სახელს) თან ახლდა კლასიფიკატორი როგორც ძვ. ბერძნულსა, გერმანულსა და ფრანგულს — ნაწევრები (ბ, ჩ, ტბ... der, die, das,... le, la), ოღონდ კლასიფიკატორი სახელის ფუძეში შედიოდა, ძვ. ბერძნულს, გერმანულსა და ფრანგულში ნაწევრები სახელს ერთვის (და არა — ფუძეს): ამ ენებში ნაწევარი წინ უძღვის სახელს. სხვა ენაში შეიძლება მოსდევდეს (ასეა ბულგარულში: наука-та... ძვ. ქართ. კაცი იგი... ბასკ. გიზონ-ა „კაცი იგი" -ა განსაზღვ. ნაწევარი).

თუ წინათ სუბსტანტივთან შეთანხმებული სიტყვები სუბსტანტივის კლას-ნიშანს იმეორებდნენ, ამჟამად უკლასიფიკატორო სუბსტანტივის გრამატიკულ კლასს მასთან შეთანხმებული სიტყვებით (ზმნით, ზედსართავით, მიმღეობით, ნაცვალსახელით...) ვარკვევთ.

კლასიფიკატორები სახელებს დროთა ვითარებაში დაჰკარგვიათ. აქა-იქ შემოგვრჩენია ფუძეს შეხორცებული კლასიფიკატორები; ესაა ნივთის კატეგორიათა კლასიფიკატორები (ადამიანისა შემოგვენახა მხოლოდ იქ, სადაც სხვადასხვა გრამატიკული კლასის შეპირისპირება გვქონდა: ვ-აც — დ-აც, ვ-ას — დ-ას...).

ფუძესშეხორცებული კლასიფიკატორების ნიმუშად შეიძლებოდა დაგვეხასიათებინა: ხუნძ. რ-აკ „გული" (რ- წინათ IV კლ. ფორმანტი იყო; ახლა ზმნის მრავლობითს აღნიშნავს: რ-უგო „არიან, ხართ, ვართ" — სამივე კლასის სახელებზე ითქმის).

ხუნძ. რ-აღი „ბრძოლა" (მასდარია) — აღიზე (ინფინიტივი).

ხუნძ. რ-ეტელ „ტანისამოსი".

ხუნძურში ისევე, როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, ძირეული მორფემა რ-თი ვერ დაიწუებოდა. ამიტომ ყველა თავკიდური რ- სუბსტანტივებში შეიძლება წარმოშობით კლასის ნიშანი რ- იყოს: რ—დ...

დარგუული: რ-ურსი „ქალიშვილი", რ-უძი „და" რ-კლასიფიკატორს შეიცავს, როგორც ამას სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ.

ჩაჩნ. დუოგ, ბაცბ. დაკ... შეიცავს კლასიფიკატორ დ-ს (IV კლ.); ეს დ- ფუნქციურად იგივეა, რაც რ- (რ-აკ, რაღ, რეტელ, რ-ურსი, რ-უძი — სახელებისა), ოღონდ ფონეტიკურად უფრო ძველი ვარიანტია, ვიდრე რ: რ—დ.

ლაკ. დ-უშ „ქალიშვილი", დარგ. რ-ურსი-ს მსგავსად წარმოგვიდგენს ფუძეს შეხორცებულ დ-კლასიფიკატორს.

ბ-კლასიფიკატორიც დასტურდება ფუძის შედგენილობაში: ხუნძ. ბაყ „მზე" და ყო „დღე" ერთი და იგივე ფუძეა: ბაყ—ბა-ყო (ხუნძ. ხვნა „ბაყო-აზე" „მზეზე გატანა", „გამზეურება"): ბ ა ყ ო ხუნძურში „მზეც" უნდა ყოფილიყო და „დღეც": კლასიფიკატორი ბა- დაკარგა „დღემ" (ყო), კლასიფიკატორი ბ- შემორჩა „მზეს" (ბაყ; შდრ. ლაკ. ბარღ. არჩ. ბა/ხ ა. ჩან. მელხ ად ჩვან. ლეზგ. რ-აღ „მზე" [1].

ენებს შეხორცებულ კლასიფიკატორებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს სახელთა დაჯგუფების ისტორიის თვალსაზრისითაც: ლაკ. დუშ „ქალიშვილი" ახლა ბ-კლასს განეკუთვნება (დუშ ბ-ურ-ი „ქალიშვილია"), გაქვავებული კლასიფიკატორი დ- კი ცხადყოფს, რომ „დუშ დ-ური" უნდა ყოფილიყო; დუშ „ქალიშვილი" დ (IV) კლასისა ყოფილა (როგორც, ვთქვათ, შ არსა „ქალი" ამჟამად).

§ 20. გრამატიკული კლასების ისტორიისთვის დაღესტნურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში

გრამატიკული კლასები, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, პროდუქტიულია ყველა ნახურ ენაში, არა გვაქვს არც ერთ ქართველურ ენაში ამჟამად (§ 18). სადაა შემონახული ძველი ვითარება — ნახურსა თუ ქართველურ ენებში? ამაში გარკვევის საშუალებას იძლევა ის ენები, სადაც გრამატიკული კლას-კატეგორია ზოგ ენას აქვს და ზოგს — არა, ე. ი. სადაც ნახურის ვითარებაც დასტურდება და ქართველური ენებისაც; ასეთია დაღესტნური ენები, ერთის მხრივ, აფხაზურ-ადიღური, მეორე მხრივ.

სადაა დაცული ძველი ვითარება: ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ, ლაკურ, დარგუულ, არჩიბულ, წახურ, რუთულურ... ენებში, სადაც სახელთა გრამატიკული კლასები გაირჩევა, თუ ლეზგიურში, აღულურსა და უდიურში, სადაც ასეთი გარჩევა არა გვაქვს. ზედმიწევნით რომ ვთქვათ, საკითხი ეხება მხოლოდ ლეზგიურ ქვეჯგუფს: მხოლოდ ამ წრის ენებშია, რომ კლას-კატეგორიის არმქონე სამი ენა გვაქვს (ლეზგიური, აღულური, უდიური), მეტ-წილს კი ლეზგიური წრის ენათა შორის (ბუდუხურს, კრიწულს, ხინალუღურს, წახურს, რუთულურსა და არჩიბულს, აგრეთვე თაბასარანულს გრამატიკული კლას-კატეგორია

[1] Ун. Мейланова, Катег. класса в им. сущ., გვ. 13—21.

მოეპოვება. დაცულია იგი ლაკურში, დარგუულში და ხუნძურ-ანდიურ-დიდოური წრის ყველა ენაში).

სადაც არა გვაქვს, იქ დაიკარგა, თუ სადაც გარჩეულია, იქ განვითარდა?

ზევით უკვე ითქვა (§ 25), რომ ლეზგიურშიც, აღულურსა და უდიურში სპეციალისტებმა (მ. ჰაჯიევი, უ. მეილანოვა, ევგ. ჯეირანიშვილი, გ. თოფურია) სახელთა ფუძის შედგენილობაში გამოავლინეს უფუნქციო კლას-ნიშნები: ისინი ფუძეს არიან შეხორცებული, ფუძესეულ მასალად წარმოგვიდგებიან (ისევე, როგორც ხუნძ. სახელთა. ბაყ „მზე", რაკ „გული", რაღი „ბრძოლა", ლაკ. დუშ „ქალიშვილი"... თავკიდური ბ, რ, დ...).

ამრიგად, დაღესტნის ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში გარჩეული ყოფილა გრამატიკული კლასების მორფოლოგიური კატეგორია; სადაც ამჟამად არა გვაქვს (ლეზგიურში, აღულურსა და უდიურში), ეს კატეგორია მოშლილია. ყველა დაღესტნურ ენას ისევე მოეპოვება ეს მორფოლოგიური კატეგორია, როგორც ნახურ ენებს ამჟამად.

ასეთსავე დასკვნამდე მივჰყავართ აფხაზურ-ადიღურ ენათა ჩვენება: ადიღურ ენებში გამოვლენილია სახელთა ფუძეს შეხორცებული კლას-ნიშნები (გ. როგავა) [1]. გრამატიკული კლას-კატეგორია უცხო არ უნდა ყოფილიყო უბიხურისთვისაც. აფხაზური ავჟამადაც განასხვავებს გრამატიკულ კლასებს.

ეს კია, რომ კლასის ნიშნები ერთი და იგივე არაა აფხაზურ ზმნაში, ნაცვალსახელებს, რიცხვით სახელებსა და არსებით სახელთა მრავლობითში (§ 19). მასთან ნაცვალსახელებსა და ზმნაში ადამიანის კატეგორიაში მამაკაცისა და ქალის გარჩევაც გვაქვს: II პ.: უარა „შენ(მამაკაცი)", ბ-არა „შენ (ქალი)", III პ.: ლარა „ის (ქალი)", ბარა „ის (ნივთი)"... ჳგ-ბა „ორი(რამ)", ჳგ-ჯა „ორი(ვინმე)"... აჭკნ-ცა „ბიჭები", ანაპა-ჭუა „ხელები"...

აფხაზური რომ სხვადასხვა მეტყველების ნაწილში გრამატიკული კლასების განსხვავებულ ფორმანტებს მოიხმარს, მეორეული მოვლენა უნდა იყოს. ეს გარემოება (აგრეთვე მამაკაცისა და ქალის გრამა-

[1] Г. Рогава. К вопросу о структуре именных основ и категориях граммат. классов в адыг. языках. 1956.

ტიკული ფორმანტებით გარჩევა) იმის მომასწავებელი ჩანს, რომ გრამატიკულ კლას-კატეგორიის ის სისტემა, რაც დაღესტნურსა და ნახურ ენებში გვაქვს, აფხაზურში ერთგვარად შერყეულია. ამ მხრივ აფხაზური ერთგვარად თაბასარანულის ვითარებას მოგვაგონებს.

აფხაზურ-ადიღურ ენათა მეტ წილს (ადიღურ ენებს, უბიხურს) გრამატიკული კლას-კატეგორია დაუკარგავს; ძველად ეს კატეგორია აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფის ყველა ენაში გარჩეული უნდა ყოფილიყო.

გრამატიკული კლას-კატეგორიის ისტორიასთან დაკავშირებით სპეციალისტების ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ლეზგიური, უდიური, ადიღური ენები გეოგრაფიული განლაგების მიხედვით პ ე რ ი ფ ე რ ი უ ლ ენებს წარმოადგენენ, იბერიულ-კავკასიურ ენათა გავრცელების კიდეზე მოიპოვებიან, შესაბამისად, სხვა წრისა და სტრუქტურის ენათა უფრო ინტენსიურ გავლენას განიცდიდნენ. ასეთი გავლენის მნიშვნელობას კი ენათა განვითარებაში ვერ უგულებელვყოფთ (ენის განვითარების შინაგანი ფაქტორებით არ ამოიწურება ენაში მომხდარი ცვლილებები) [1].

§ 27. გრამატიკული კლასების საკითხი ძართველურ ენებში

არც ახალსა და არც ძველ ქართულს, არც ზანურსა და არც სვანურს გრამატიკული კლასის გარჩევა არ ახასიათებს. ამას ემყარებოდნენ, პირველ ყოვლისა, მკვლევრები, როცა ასკვნიდნენ: ქართველური ენები მთის კავკასიური ენების მონათესავე არ უნდა იყოსო. ასეთ შემთხვევაში ავიწყდებოდათ ერთი ზოგადი დებულება, რომელიც ჯერ კიდევ ავგ. შლაიხერმა წამოაყენა: შედარებისას შესადარებელ მოვლენათა ისტორია უნდა გავითვალისწინოთო. ამაზე დებულებას იცავდა აღ. ცაგარელიც: ქართული ენის ტიპი უნდა აღვადგინოთ და მერე შევუდაროთ სხვა ენებსაო; ქართველურ ენებს კი მთის კავკასიურ ენებს უდარებდნენ და უდარებენ იმ სახით, რაც მათ ახლა აქვთ.

ახლანდელი სახით აფხაზური რომ ლეზგიურს შევუდაროთ, მათ შორის გაცილებით მეტი სხვაობა აღმოგვაჩნდება, ვინემ აფხაზურსა და

---

[1] A. Dirr, Einführung..., 1928.

ია. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 257.

ქართულს შორის, — სხვაობაა არა მხოლოდ მორფოლოგიის ფაქტებს შორის, არამედ მორფოლოგიის ტიპს შორისაც (აფხაზურს ბრუნვის კატეგორია არა აქვს, ლეზგიურს ბრუნვათა სისტემა მოეპოვება; აფხაზური ზმნა კატეგორიებით მდიდარია, კერძოდ, მას პირთა რთული სისტემა აქვს, კლასებსაც განასხვავებს; ლეზგიური ზმნა კი არც პირის კატეგორიას იცნობს, არც კლასების მიხედვით იცვლება, არც მრავლობითს რიცხვს განარჩევს; ასეა ამჟამად; წინათ ლეზგიურსაც მოეპოვებოდა გრამატიკული კლასების კატეგორია).

გრამატიკული კლასის ნიშანი ძველად არსებით სახელებს მოუდიოდა პრეფიქსების სახით (ხუნძ. რაკ „გული“, ლაკ. დუშ „ქალიშვილი“... § 25).

ამჟამად არსებითი სახელი კლასიფიკატორს არ შეიცავს: არსებით სახელებს გრამატიკული კლასის ნიშნები არსად დაერთვის (თვით ისეთ ენებში, როგორიცაა, ნახური ენები, სადაც გრამატიკული კლასი ყველა ენას აქვს): არსებით სახელებს დაეკარგათ კლასის მაჩვენებელი თავსართები — გრამატიკულ კლასებად დაყოფას სინტაქსური საშუალებით გადმოსცემს სათანადო ენა.

როცა გრამატიკული კლასების კატეგორია მოიშლება, ჩვეულებრივ სათანადო ფორმანტიც იკარგება (ასეა კლასოვან ენათა არსებითი სახელების მეტ წილში); მაგრამ შესაძლებელია გრამატიკული კლასის ნიშანი შემოგვენახოს; აქ ორი შესაძლებლობა გვაქვს: უფუნქციო ფორმანტი ფუძეს უხორცდება, ფორმანტად არ შეიცნობა, ფუძისეულ მასალას განეკუთვნება; ფუძის შედგენილობის ეტიმოლოგიურმა ანალიზმა შეიძლება გამოგვაყოფინოს „გაქვავებული ფორმანტი“ (ხუნძ. რაკ „გული“, ბაყ „მზე“, ჩაჩნ. „დუოგ „გული“, ლაკ. დუშ „ქალიშვილი“...).

შესაძლებელია გრამატიკული კლასის კატეგორია მოიშალოს, კლასის ნიშანი შემოგვრჩეს ფორმანტად, ოღონდ ფუნქციის ცვლით.

ქართველურ ენებში დასტურდება, როგორც გაქვავებული კლასნიშნები (ფუძის შედგენილობაში), ისე ფუნქციაშეცვლილი ფორმანტები გრამატიკული კლასებისა [1].

გრამატიკული კლასი ორი უნდა ყოფილიყო: ვ ი ნ-კატეგორიისა და

---

[1] დაწვრილებით: არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

რ ა-კატეგორიისა, ანუ ა დ ა მ ი ა ნ ი ს კატეგორიის მანიშნებელი და ნ ი ვ თ ი ს კატეგორიის მაჩვენებელი. ერთიცა და მეორეც გაუდიფერენცირებელი ჩანს.

ამჟამად ვ ი ნ და რ ა კატეგორიები ქართული ენის მორფოლოგიაში შეპირისპირებულია სადაურობის აღნიშვნისას:

კახ-ელ-ი მევენახე — კახ-ურ-ი ღვინო...

თბილის-ელ-ი მოქალაქე — თბილის-ურ-ი შემოდგომა...

მაგრამ ასეთი გარჩევა არც ზანურში გვაქვს და არც სვანურში; თვით ქართული ენის დიალექტებში ამ სუფიქსებს ყოველთვის არ აღმოაჩნდება ასეთი ფუნქცია (გარეჯ-ულ-ი ითქმის გარე-კახეთში გარეჯ-ე ლ-ის ნაცვლად; ქუთათ-ურებ-ი ქუთაისლებს ნიშნავს...). სალიტერატურო ქართულში არ არის გარჩეული კითხვით სიტყვაში ნივთი და ადამიანი: სადაური ხარ?.. სადაური ყველია?.. (შდრ. მოხეური: სადავ-ელ-ი ხარ?).

საფიქრებელია, რომ -ე ლ და -უ რ სუფიქსთა დანიშნულება არ უნდა ყოფილიყო ვ ი ნ და რ ა კატეგორიის სახელთა გარჩევა. ასეთი კატეგორიები ენაში იყო და მათ არსებობას ადასტურებს -ე ლ-ისა და -უ რ-ის შეპირისპირება.

მაშასადამე, სადაურობის -ე ლ და -უ რ სუფიქსთა გამოყენება ვ ი ნ და რ ა-კატეგორიის სახელებისათვის იმავე რიგის მოვლენა ჩანს, რაც აფხაზურში სახელთა მრავლობითის წარმოებისას გვაქვს: -ც ° ა ვ ი ნ- კატეგორიის სახელებს მოუდის, -ჭ ° ა -რ ა-კატეგორიისას; არც -ც°ა და არც -ჭ°ა ადამიანისა თუ ნივთის აღმნიშვნელი სუფიქსები არ ყოფილა და, თუ ენამ გამოიყენა საამისოდ, ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ენაში სათანადო კატეგორიები გაირჩეოდა.

განსხვავებული ვითარება გვაქვს ქართულ ნ აწ ა რ მ ო ე ბ სახელებში, იქნება ეს არსებითი ს ა ხ ე ლ ი ს ა გ ა ნ ნაწარმოები სახელი (ძმა — მო-ძმ-ე), თუ ზ მ ნ ი ს ა გ ა ნ ნაწარმოები სახელი (კერ-ავ-ს — მ-კერ-ავ-ი, სა-კერ-ავ-ი).

ამ ნაწარმოებ სახელებში შ ე პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ უ ლ ფორმანტთა ს ი ს ტ ე მ ა დასტურდება.

შეპირისპირებულ წყვილთა ე რ თ ი წ ე ვ რ ი ვ ი ნ-კატეგორიის სახელს გულისხმობს, მ ე ო რ ე — რ ა-კატეგორიისას სრული კორელაციის სახით:

ვ ი ნ? მე-ზუერ-ე „მე-ბაჟე,“ ძვ. ქართ. ზუერ-ი „ბაჟი“

რ ა? ს ა-ზუერ-ე — „საბაჟო".

წ უ ა ლ-: ვინ? მ ე-რწყ-ულ-ი „წყლის მომტანი" — რა? სა-რწყ-ულ-ი „წყლის მოსატანი ჭურჭელი".

გ ზ ა-: მ ო-გზა-ურ-ი „ვ ი ნ ც გზაშია" — ს ა-გზა-ურ-ი „რ ა ც გზაში თან მიაქვთ".

ხ ა რ-ი: ახ. ქართ. მ ე-ხრ-ე „ვ ი ნ ც ხარებს მწყემსავს" — ს ა-ხრ-ე „რ ი თ ა ც ხარებს ერეკებიან".

თავ-ი: მე-თა-ურ-ი „მოთავე" („საზოგადოებრივი მოძრაობის მე-თაური") — სა-თა-ურ-ი („თავში დაწერილი", „წიგნის სათაური").

მე-თავსართი ახლა ითვლება ნიშანდობლივად პროფესიის აღმნიშვნელი სახელებისათვის: მე-ნავ-ე, მე-ღორ-ე, მე-ცხვარ-ე, მე-აქლემ-ე. მე-ურმ-ე, მე-ქოთნ-ე, მე-პურ-ე, მე-წისქვილ-ე, მე-ზურნ-ე... მაგრამ მე მოუდის ისეთ ნაწარმოებ სახელებსაც, როგორიცაა: მ ე-მამულ-ე, მ ე-წვრილმან-ე, მ ე-ქრთამ-ე, მ ე-ურნ-ე, მ ე-საკუთრ-ე...

პროფესია-მოსაქმეობაზე ლაპარაკი აქ გაჭირდებოდა, თუმცა სახელისაგან ნაწარმოები სახელები გვაქვს და იგივე მ ე-პრეფიქსია გამოყენებული...

მ ე-ცხვარ-ე-სა და მ ე-ჭამულ-ე-ს საერთო ის აქვთ, რომ ერთიცა და მეორეც აღამიანს აღნიშნავს, ვ ი ნ-კატეგორიის სახელებს განეკუთვნება. პროფესია-მოსაქმეობის აღნიშვნა, რაც ამჟამად ჩვეულებრივია მ ე-პრეფიქსისათვის, მეორეულია, რეინტერპრეტაციის შედეგს წარმოადგენს.

მ ე-პრეფიქსის გარდა ამ ნაწარმოებ სახელებში -ე-სუფიქსიც მონაწილეობს, ამრიგად „პროფესია-მოსაქმეობა" პრეფიქს-სუფიქსით, ო რ ი ფ ო რ მ ა ნ ტ ი თ. აღინიშნება, ეს კი ა გ ლ უ ტ ი ნ ა ც ი ი ს პ რ ი ნ ც ი პ ს არ ეგუება (§ 15): ორ ფორმანტს ორი ფუნქცია უნდა ჰქონდეს; ერთი (პრეფიქსი მე-) ადამიანზე მიუთითებდა; მეორესაც (სუფიქსს) თავისი ფუნქცია უნდა ჰქონოდა (-ე—ე ლ ფუძის დეტერმინატივია მარტივ სახელებში: რძე—ს-ძ-ე,...).

მ- და ს-პრეფიქსები შეპირისპირებულია მიმღეობაში: მ-ჭრ-ელ-ი და სა-ჭრ-ელ-ი... მ-კერავ-ი — სა-კერ-ავ-ი...

ამჟამად მ-თავსართიანი მიმღეობა აწმყო დროის მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გვარისად მიიჩნევა, ს-თავსართიანი — მ უ ო ფ ა დ ი დროისა და ვ ნ ე ბ ი თ ი გვარისად, ნამყო დროშიც ვნებითი გვარის მიმღეობა გვაქვს,

მას პრეფიქსად ნა-მოუდის (ნა-ჭერ-ი... ნა-კერ-ი...) ანდა -ილ//-ულ — სუფიქსი: გა-ჭრ-ილ-ი, შე-კერ-ილ-ი, აგებულ-ი...

ამრიგად, აწმყო დროის მიმღეობა ვნებითს ვერ აწარმოებს, მყოფადსა და ნამყოს, პირუკუ, მოქმედებითი არ ეკარგება.

აწმ. მ-ხვნ-ელ-ი — მ ყ ო ფ. სა-ხვნ-ელ-ი (//სა-ხნავ-ი) — ნ ა მ ყ ო: ნა-ხნავ-ი — ნამყო სუფიქსიანი: ხნ-ულ-ი

აწმ. მ-თესვ-ელ-ი — მ ყ ო ფ. სა-თესავ-ი (//სა-თეს-ი) — ნ ა მ ყ ო: ნა-თეს-ი — ნამყო სუფიქსიანი: [და]-თეს-ილ-ი.

აწმ. მ-შენებ-ელ-ი — მ ყ ო ფ. სა-შენებ-ელ-ი (//სა-შენ-ი) — ნ ა მ ყ ო ნაშენ-[ებ]-ი — ნამყო სუფიქსიანი: [ა]-შენებ-ულ-ი.

აწმ. მ-კეთებ-ელ-ი — მ ყ ო ფ. სა-კეთებ-ელ-ი ნ ა მ ყ ო: ნა-კეთებ-ი ნამყო სუფიქსიანი: [გა]-კეთებ-ულ-ი

აწმ. მ-ხსნ-ელ-ი — მ ყ ო ფ. სა-ხსნ-ელ-ი ნ ა მ ყ ო: ნა-ხსნ-ი — ნამყო სუფიქსიანი: ხსნ-ილ-ი

აწმ. მ-თქმ-ელ-ი — მ ყ ო ფ. სა-თქმ-ელ-ი — ნ ა მ ყ ო: ნა-თქვამ-ი — ნამყო სუფიქსიანი: თქმ-ულ-ი

აწმ. მ-სმენ-ელ-ი — მ ყ ო ფ. სა-სმენ-ელ-ი (//სა-სმენ-ი) — ნ ა მ ყ ო: [მო]-ნა-სმენ-ი — ნამყო სუფიქსიანი: [მო]სმენ-ილ-ი.

აწმ. მ-ხსენებ-ელ-ი — მ ყ ო ფ. სა-ხსენებ-ელ-ი — ნ ა მ ყ ო: ნა-ხსენებ-ი — ნამყო სუფიქსიანი: ხსენებ-ულ-ი

აწმ. მ-კითხვ-ელ-ი (//მ-კითხავ-ი) — მ ყ ოფ. სა-კითხავ-ი (//სა-კითხი)-ნამყო: ნა-კითხ-ი — ნამყო სუფიქსიანი: კითხ-ულ-ი...

ერთი და იგივე პრეფიქსები (მ-, სა-) დროსაც აღნიშნავს თითქოს და გვარსაც. ერთი ფორმანტი ორი მორფოლოგიური ფუნქციით აგლუტინაციის პრინციპს ეუცხოება: ერთ ფორმანტს შეიძლებოდა ჰქონოდა ერთი ფუნქცია, მეორე — შემდეგ განვითარებულიღა შეიძლება იყოს.

რა უნდა ყოფილიყო ამ ფორმანტების დანიშნულება: დროის აღნიშვნა თუ გვარისა? არც ერთი და არც მეორე. გვარების გარჩევა რომ ვერ იქნებოდა ამ თავსართების დანიშნულება, იქიდანაც ჩანს, რომ უგვარო (ე. წ. საშუალი გვარის) ზმნებსაც დაერთვის ეს ფორმანტები: ვ ა ლ-ს: მა-ვალ-ი — სა-ვალ-ი — ნა-ვალ-ი (ვლ-ილ-ი)... მავალი — მოქ-

მედებითი გვარისა ვერ იქნება, ასევე — სავალი და ნავალი — ვნებითისა [1].

მ- — ს ა-(ნ ა-) [2] პრეფიქსთა კ ო რ ე ლ ა ც ი ა მ ი მ ღ ე ო ბ ა შ ი იმავე ხასიათისაა წარმოშობით, როგორიც ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი გვქონდა: მე-ხრ-ე — სახრე, მე-ზუერ-ე — სა-ზუერ-ე, მე-რწყ-ულ-ი — სა-რწყ-ულ-ი... მ-პრეფიქსიანი მიმღეობა ადამიანზე მიუთითებდა, ს[ა]-პრეფიქსიანი კი — ნივთზე, ვინ-კატეგორიის აღმნიშვნელი მ- და რა-კატეგორიის ფორმანტი ს[ა]- ერთმანეთს ეფარდებოდნენ.

ბუნებრივია, თუ გარდამავალ ზმნებში მ-პრეფიქსი მოქმედებითი გვარისად გააზრიანდა, საპირისპირო ს- ვნებითი გვარისად: ადამიანი — აქტიურია. ნივთი — პასიური.

მ-თავსართიანი მიმღეობა ვინ-კატეგორიისა რომ იყო და ს-თავსართიანი — ნივთისა, ეს ამჟამადაც საგრძნობია (მიუხედავად იმისა, რომ მ- და ს-თავსართების ფუნქცია განზოგადდა და გვაქვს: მ-გზნებარ-ე სიტყვა, ერთის მხრით, სა-ნატრ-ელ-ი ძმა, მეორე მხრით... (შდრ. მ-დიუარი ვაჟარი და მ-დიდარ-ი ქვეყანა...).

ამრიგად, მ და ს(ა)- პრეფიქსების კორელაციას სისტემური ხასიათი აქვს არსებით სახელებისაგან ნაწარმოებ სახელებშიც და ნაზმნარ სახელებშიც, როგორიცაა, მიმღეობა. კორელაციის ეს სისტემური ხასიათი ცხადყოფს, რომ ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა და ნ ი ვ თ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ა, ვინ-სახელთა და რა-სახელთა კატეგორია ქართულში გ ა რ ჩ ე უ ლ ი ყ ო ფ ი ლ ა მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ა დ ა ც: ქართული ენა განასხვავებდა გრამატიკულ კლას-კატეგორიას. ვინ-კატეგორიის სახელებს ერთი პრეფიქსი (მ-//ვ-) აღნიშნავდა, ნივთისათვის ძირითადი ნიშანი იყო ს- (დიალექტური თუ ფონეტიკური ვარიანტებით დ-, ლ-, ნ-...).

გრამატიკული კლას-კატეგორია კ ო რ ე ლ ა ც ი ი ს გ ა რ ე შ ე ც გვხვდება ძველ ქართულში. ესაა ფუძეს შეხორცებული კლას-ნიშნები: ვინ-კატეგორიის სახელებში იგივე მ-თავსართი და ს- (//ლ-//ნ-//დ-//რ-) — ნივთისაში.

მ- პრეფიქსი გვაქვს ფუძეებში: მ-ეგრ-ელ-ი („ეგრ-ის-ის მკვიდრი")

---

[1] დროთა საკითხი ცალკე განხილვას საჭიროებს (სათანადო საწარმოებელ ფუძესთან დაკავშირებით).

[2] ნ ა-თავსართის საკითხს ქვემოთ დაუბრუნდებით.

—ეგრ-ელ-ი უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც ეგვიპტის მკვიდრი „ეგვიპტელ“-ად ითქმის; ძვ. ქართულში ეგკპტ-ელ-ი-ც გვხვდება და მ-ეგკპტ-ელ-იც, რაიც მ-ეგრ-ელ-ის ტოლი წარმოებაა. მ-ეგკპტ-ელ-ში -ელ-კორელაციაში იყო მ-სთან; აქედან მოდის მისი ახლანდელი ფუნქცია.

ფუძეს შეხორცებული მ-პრეფიქსი გამოიყოფა მ-აჩაბ-ელ-შიც: აჩაბ-ეთ-ის მკვიდრი უნდა თქმულიყო *აჩაბ-ელ-ად, გვაქვს კი მაჩაბელ-ი. მ-არგუ-ელ-ი (შდრ. მარგუელ-ა-შვილ-ი) არგუ-ეთ-იდან ნაწარმოები ჩანს. მ-ეტრ-ევ-ელ-ს (სიმ. ჯანაშიას ვარაუდით) იტრია (სოფლის სახელი) უნდა ჰქონოდა ამოსავლად.

ძველ ქართულში გვაქვს საყდრის მპყრობელთა წოდებულება: მ-როვ-ელ-ი, მ-ტბევ-არ-ი, მ-აწყუერ-ელ-ი:

მ-როვ-ელ-ად (იხ. ლეონტი მროველი) რუ-ის-ის მიტროპოლიტი იწოდებოდა: რუ-ის: მ-რუ-ელ-—მ-როვ-ელ...

მ-ტბევ-არ-ი — ტბ-ეთ-ის ეპარქიის განმგებელი: ტბ-ეთ-: მ-ტბ-ევ--არ- (ვ-ს განვითარებითა და -არ სუფიქსის დართვით: -არ-//-ელ-).

მ-აწყუერ-ელ-ისათვის ამოსავალია აწყუერ-, აწყურ-ის ძველი ვარიანტი (აწყუერ—აწყურ-; შდრ. საკუერთხ-ი—საკურთხ-ი); აწყუერ-: მ-აწყუერ-ელ-ი.

მ-შუვ-ალ-ე (ძმანი მისნი... ადარნერსე უხუცჱსი და გუარამ ერწემი მშუვალესა მას ძმასა მორჩილ ექმნეს... ხან. 28 სტრ. 7 ზემ.): უხუცესი — მრწემი — მშუვალე=უფროსი, უმცროსი, შუათანა (საშუალო).

ამჟამად სა-თავსართიანი წარმოება ადამიანის მსაზღვრელადაც იხმარება („საშუალო გლეხი“) და ნივთისაც („საშუალო სკოლა“, „საშუალო ნიჟი“). „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“-ში დაცული „მ-შუალ-ე“ კი მოწმობს, რომ ადამიანზე ითქმოდა მ-შუალ-ე („-მ-შუალ-ე ძმა“), სა-შუალ-ი (სა-შუალ-ო) კი ნივთს გულისხმობდა.

მ-იანი წარმოება მოიშალა და სა-თავსართიანს (სა-შუალ-ო) განზოგადებული მნიშვნელობა მიენიჭა.

ნივთის კატეგორიის პრეფიქსი ს- გამოიყოფა სახელში „რძე“, ძვ. ქართ. ს-ძე-: შდრ. სვან. ლგ-ჯე (ქართ. ს—სვან. ლ- ფარდობა იხ. ქვემოთ); ძვ. ქართ. ს-ს ამ ფუძეში შეენაცვლა რ: რ-ძე←ს-ძე, სვ. ლგ-ჯე.

პრეფიქსი ს ასიმილაციის შედეგად შ-ს სახით წარმოგვიდგება სახელებში შეშა←სე-შა, ც-ს სახით ცე-ცხლ-ში←სე-ცხლ-, ორსავე შემ-

თხვევაში -ს- პრეფიქსი ემსგავსება ძირეულ თანხმოვნებს (შ, ც), როგორც ეს ი. ყიფშიძეს აქვს ნაჩვენები [1].

შეშა, ცეცხლი — ფუძეთა შესატყვისები ზანურში იხ. ქვემოთ.

ნიეთის კატეგორიის ვარიანტი შეპორჩენილი უნდა გექონდეს ნაზმნარ არსებით სახელთა (მასდართა) წყებაში: ესაა ს-თავსართიანი წარმოება; ს- ხან უხმოვნოდაა, ხან კიდევ ხმოვნები (ი, ა) მოსდევს: ს-, სი-, სა. სუფიქსად აქ გვექნება: -ა, -ი-ლ, -ულ (←ვ-ი-ლ). კორელაცია აქ დეფექტურია, გვაკლია მ-ვარიანტი.

ძვ. ქართ. ს-რბ-ა-: ზმნისაგან რბ-ი-ს (შდრ. რბ-ოლ-ა, სი-რბ-ილ-ი)

ს-ლვ-ა (←ს-ელ-ა) — ზმნ. ვალ-ს

ს-ა-ლმობ-ა — ზმნ. ე-ლმ-[ებ]-ი-ს

ს-ი-ელტ-ოლ-ა — ზმნ. ი-ლტვ-ი-ს

ს-ი-მღერ-ა — ზმნ. ი-მღერ-ს (ძვ. ქართ. — „თამაშობს")

ს-ი-ტყუ-ა — ზმნ. ი-ტყკ-ს

ს-ი-ც-ი-ლ — (←ს-ი-ცი-ნ-) — ზმნ. ი-ცინ-ი-ს

ს-ი-სრ-ა — ზმნ. ი-სრვ-ი-ს

ს-ი-ძვ-ა — შდრ. მ-ე-ძავ-

ს-ი-კუდ-ილ- — შდრ. -კუედ-: მო-ჰ-კუედ-

ს-ი-ძულ-ი-ლ- — ზმნ. ძვ. ქართ. ს-ძულ-ი-ს, ახ. ქართ. ს-ძულ-ს

ს-ი-ბორგ-ი-ლ — ზმნ. ბორგ-ი-ს (ახ. ქართ. ბორგავ-ს)

ს-ი-ყუარ-უ-ლ — ზმნ. უყუარ-ს

ს-ი-ქად-უ-ლ — ზმნ. ი-ქად-ი-ს

აგრეთვე ძვ. ქართ.: ს-ი-ცბ-ი-ლ-, ს-ი-ცონ-ი-ლ, სი-შდვ-ი-ლ- (←შ-ი-შდვ-ი-ლ), ს-ი-ყმ-ი-ლ- („შიმშილი")...

შიმშილ- (←სი-მშ-ი-ლ-) სი-ყმ-ი-ლ-ის სინონიმია ძვ. ქართულში: მშ-ი-ი-ს: ს-ი-მშ-ი-ლ-. მასდარს აქ -ლ- სუფიქსი აწარმოებს: ს-ი- თავსართი ამჟამად უფუნქციო ჩანს. შდრ. ს-წყურ-ი-ს — მასდ. წყურ-ი-ლ (და არა ს-ი-წყურ-ი-ლ-ი).

ლ-სუფიქსი აწარმოებს მასდარს სიტყვებში: სიკუდ-ი-ლ-ი, სიშდვ-ი-ლ-ი, სიბორგ-ი-ლ-ი, სი-ცბ-ი-ლ-, სი-ცონ-ი-ლ-, სიძულ-ი-ლ-ი, სიცი-ლ-ი... სი-ყუარუ-ლ-ი, სიქადუ-ლ-ი, სიხარუ-ლ-ი, სინანუ-ლ-ი... -ლ-ს რომ -ჲ- უძღვის, ზმნის ფუძისეულია (ასევე: უ, რომელშიც ზმნისეული ბაგისმიერი ბგერა -ი-ს უნდა შერწყმოდა).

-ლ-სუფიქსი მასდარს აწარმოებს ზემოხსენებულ ზმნებში ისევე,

[1] ი ო ს. ყ ი ფ შ ი ძ ე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფილ. უნივ. მოამბე, I, 1919, გვ. 1—8.

როგორც სიტყვებში: წყურ-ი-ლ-ი, ტირ-ი-ლ-ი, ჩივ-ი-ლ-ი, დღ-ი-ლ-ი, წუხ-ი-ლ-ი...: რაიმე პრეფიქსის დართვა მათ არ სჭირდებათ.

მასდარებს: ს-რბ-ა, ს-ლვ-ა-, ს-ი-ვლტ-ოლ-ა-, ს-ი-მღერ-ა-. ს-ი-ტყუ-ა, ს-ი-ს-რ-ა. ს-ი-ძვ-ა, ს-ა-ლმ-ობ-ა, სუფიქსი -ა აწარმოებს ისევე, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში (წოლ-ა, ჯდომ-ა. ლაგომ-ა, წერ-ა. კითხვ-ა. ხატვ-ა, თქმ-ა. სმ-ა, ჭამ-ა, თესვ-ა, მკ-ა. ტეხ-ა, შენებ-ა...).

პრეფიქსი ს- აქაც ისევე უფუნქციოა, როგორც სი-ძულ-ი-ლ- ტიპის წარმოებაში. მასში ნივთის კატეგორიის პრეფიქსი უნდა ვეძიონოდა: ს-ლვა რ ა ღ ა ც ი ს სიარულს ნიშნავდა, სიკუდილ-ი რაღაცის (ე. ი. ცხოველის) სიკვდილს გულისხმობდა და ასე შემდეგ.

ვინ-კატეგორიისათვის შესაბამისი თავსართიანი მასდარი გვექნებოდა (ისევე, როგორც კლასოვან ენებში გვაქვს: სუნძურად სრბა — სირბილი განასხვავებს მხოლოობითში სამ ვარიანტს—ვ-ექერიზე, დ-ექერიზე, ბ-ექერიზე — იმისდა მიხედვით „მორბენალი“ პირველი გრამატიკული კლასის სახელია, მეორისა თუ მესამისა; მრავლობითს საერთო ნიშანი აქვს რ-: რ-ექერიზე...).

განზოგადებულ მნიშვნელობას ნივთის კლასის ვარიანტი გადმოგვცემს: სალექსიკონო ფორმად ბ-ექერიზე გვექნება, მესამე გრამატიკული კლასის ბ-ნიშნით.

გასაგებია, თუ ქართულში ნივთის კლასის ს-პრეფიქსი დასტურდება რელიქტური სახით.

ს- პრეფიქსის კორელატი მ-პრეფიქსი იქნებოდა: სი-კუდ-ი-ლ — *მ-იკუდ-ი-ლ ანდა: ვ-იკუდ-ი-ლ-ი ...ს-რბა-ჲ — *მ-რბ-ა-ჲ (ანდა: ვ-რბ-აჲ).

მ-პრეფიქსით ნაწარმოები მასდარი ძველ ქართულში არაა გამოვლენილი, კორელაცია დეფექტურია. ერთადერთი მაგალითი აღძრავს ეჭვს: ესაა მ-ე-გლოვ-ა-ჲ (ვირი და მ ე გ ლ ო ვ ა ჲ და ცრემლნი... სვან. მრავალთავი, გვ. 14).

ახალ ქართულში გვაქვს: გლოვ-ს, ი-გლოვ-ს... ძვ. ქართულში ამ ზმნას ე-თავსართი მოუდის: ე-გლოვ-ს... მასდარში გვაქვს გლოვ-ა-ჲ... თუ მ-ე-გლოვა-ჲ შემთხვევითი არაა (ვთქვათ, კალმის შეცდომა), მასში ნაგულისხმევი იქნებოდა ობიექტი ვინ-კატეგორიისა: ვისიმე გლოვა.

სვანური მიმღეობა და მასდარი კანონზომიერად გამოგვივლენს მ- და ს პრეფიქსთა შესაბამისად მ- და ლ- თავსართებს:

მე-რდ-ე „მყოფი“ — ლა-რდ-ა „სამყოფი“,
მე-ყვრ-ე „მწოლარე“ — ლა-ყვრ-ა „საწოლი“,
მე-სგვრ-ე „მჯდომარე“ — ლა-სგვრ-ა „საჯდომი“,
მუ-ზვ-ებ „მჭამელი“ — ლა-ზობ „საჭმელი“.
მე-წედ „მნახველი“ — ლა-წად „დასანახი“,
მგ-ბნ-ე „დამწყები“ — ლა-ბნ-ა „დასაწყისი“,
მგ-კეშ-ე „გამტეხი“, „მტეხელი“ — ლა-კეშ-ა „გასატეხი“,
მგ-წედ „მნახველი“ — ლა-წად „დასანახი“...

პრეფიქსებს რომ ხმოვნები ერთვის, მათი ფუნქცია სარკვევია, მაგრამ მ — ლ-ს კორელაციას ეს არა ცვლის.

სვანურში ნ ა მ უ ო დროის მიმღეობას ქართულის მსგავსად ნა- თავსართიც შეიძლება აწარმოებდეს:

ნა-ზობ „ნაჭამი“, ნა-თორ „ნასწავლი“, ნა-დგარ-უ „ნაკლავი“, ნა-კუიშ-უ „ნატეხი“...

ქართულისაგან განსხვავებით ნა- თავსართიან მიმღეობას მ უ ო ფ ა დ ი ს გაგებაც შეიძლება ჰქონდეს: ნა-გმ-უნ „ასაშენებელი (მასალა)“, ნა-ლშგ-უნ „სახურავი (მასალა)“, ნა-ტუხ-უნ „საკმეველი“. ნა-ღფ-უნ „საღებავი“...

სვანურის ჩვენება ფასეულია ნა- და სა- პრეფიქსთა ფუნქციური ურთიერთობის თვალსაზრისით ქართულში: ნა- და სა- ერთი და იმავე ფორმანტის ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტი ყოფილა; ნა-ცა და სა-ც ნივთის კატეგორიის ფორმანტია; ნა- აწარმოებდა რა კატეგორიის მიმღეობას ნამყოშიც და მყოფადშიც; ნა-ს მიკუთვნება ნამყოსათვის, სა-პრეფიქსისა მყოფადისათვის მეორეულია.

მეგრულ ტოპონიმებშიც ნაგვაზოუ, ნაესაკოუ, ნალეფსოუ... ნა- თავსართი ს-ს ტოლი ჩანს: ნა-გვაზოუ — საგვაზაო, ე. ი. გვაზავებით დასახლებული სოფელი. ასევე ნა-ესაკოუ — ესაკიებით დასახლებული და ა. შ.

ნა- პრეფიქსის გარდა ნამყოს მიმღეობას ქართულში -ი-ლ//-უ-ლ- სუფიქსიც აწარმოებს: გრეხ-ი-ლ-ი, გა-ჭრ-ი-ლ-, შე-კერ-ი-ლ-ი, გა-ტეხ-ი-ლ-ი, დახატ-უ-ლ-ი... (იხ. ზემოთ).

სვანურში ლგ-//ლუ- ფორმანტები ნამყო დროის მიმღეობას პრეფიქსად მოუდის: ლგ-დგარ „მკვდარი“, ლგ-მარე „მომზადებული“, ლგ-თ-ე „მომკილი“, ლგ-თირ „ცნობილი“, ლგ-ტიხ „დაბრუნებული“...

ამრიგად, სვანურმა აქ არქაული წარმოება შემოგვინახა.

თავისებურია სვანურში ნამყოს მიმღეობის წარმოება მ-//მგ-//მე-//
//მუ- თავსართთა: ლშხ. ლგ-ტყაბ (ბზ. ლგ-ტყბ-ე) და მგ-ტყაბ (ბზ. მგ-ტყაბ) „შემწვარი“, ლშხ. ლუ-ტუჯარ და მუ-ტუჯარ „ანთებული“, „ცეცხლმოკიდებული“, „ლგ-ტხე და მე-ტხ-ე „დაბრუნებული“...

ა. შანიძე წერს: ლგ-ტხ-ე — „რომელიც დააბრუნეს“, მე-ტხ-ე „რომელიც დაბრუნდა“ [1].

შეუძლებელი არაა, თავდაპირველად ნამყო დროის მიმღეობის ეს ორი ვარიანტი სხვა ფუნქციისა ყოფილიყო: ლგ-ტხ-ე — „დაბრუნებული რაღაცა“ და მე-ტხ-ე „დაბრუნებული ვიღაცა“: პირველი — საობიექტო, მეორე — სასუბიექტო.

საყურადღებოა მასდარის წარმოებაც სვანურში: თუ ქართულში პრეფიქსიანი მასდარი გადმონაშთს წარმოადგენს, სვანურში პრეფიქსის დართვა მასდარის საწარმოებლად ნორმაა: ლი-რდ-ე „ყოფნა“, ლი-სგურ-ე „ჯდომა“, ლი-ბნ-ე „დაწვება“, ლი-ჯდ-ე „მოტანა“, „მოყვანა“... ლი-ზ-ი „სვლა“, ლი-სყ-ი „ქეთება“, ლი-ჯნ-ი „ხვნა“, ლი-თურ-ი „სწავლა“, ... ლი-გემ „აგება“, ლი-ი „წაღება“, „წაყვანა“...

ლ- პრეფიქსს ისტორიულად ისეთივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა, როგორიც ს პრეფიქსს ქართულში (ს-ელ-ა, ს-რბ-ა, სი-ძულ-ი-ლ-,... და მისთანანი).

ყურადღებას იქცევს ზოგ სვანურ მასდარში ლ- და მ- თავსართების შეპირისპირება: ლი-ლატ და მა-ლატ „სიყვარული“, ლი-ხალ და მა-ხალ „ცოდნა“, ლი-ყალ-ვ-ე „შინება“ და ნა-ყალ „შიში“...

საფიქრებელია, მ-პრეფიქსიანი წარმოება ისტორიულად ვინ-კატეგორიის სახელებთან ყოფილიყო დაკავშირებული: მა-ლატ იქნებოდა „სიყვარული ადამიანისა“, მა-ყალ „შიში ადამიანისა“...

მალატ- ტიპის მასდარს ისევე, როგორც მეტხე („დაბრუნებული“) ტიპის მიმღეობას არც ქართულში და არც ზანურში შესაბამისი წარმოება არ მოეპოვება.

ქართული სი-ს ფარდად სვანური ლი-პრეფიქსს იყენებს კონკრეტული მნიშვნელობის სახელისაგან განყენებულის საწარმოებლად:

მეჩი „მოხუცი“ — ბზ. ლი-მაჩ-უ „სიბერე“,

მარე „კაცი“ — ბზ. ლი-მარ-უ „კაცობა“...

ლი-ს მაგივრობა ამ ფუნქციით შეიძლება გასწიოს ნა-პრეფიქსმა

---

[1] ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“, გვ. 195—196.

(ისევე, რ.ოგორც მყოფადის მიმღეობას ლა-ს გარდა ნა- აწარმოებდა— იხ. ზემოთ, გვ. 127).

ბჭგი „მაგარი“ — ნა-ბგი „სიმაგრე“, „ძალა“,
უბადვ „უბედური“ — ბზ. ნა-უბედერ-ი „უბედურება“,
კჭლთხი „მაღალი“ — ნა-კლათხ-ი „სიმაღლე“,
წგრნი „წითელი“ — ნა-წრან-ი „სიწითლე“.

შდრ. მა-წრან-ე ტოლობის აღმნიშვნელი (მგრ. მა-ჳით-ა)...; მ-პრეფიქსი (ფუნქციის ცვლით), საფიქრებელია, ჳინ-კატეგორიას უკავშირდებოდა.

ეგევე ითქმის მ-სა და ნ-ს ფარდობის შესახებ რიცხვით სახელებში, წილადობას რომ აღნიშნავს: მე-სამ-ედ-ი და ნა-სამ-ალ-ი; ეს უკანასკნელი მესამედის სინონიმად იხმარება უკვე XII ს. („ვეფხის-ტყაოსანში“):

დიდხანს სიტყვა ვერა მითხრა, მისთა ჭირთა ნაათალი... 570, 3
რომე სძლევნა, არა ეგების თქმა არცა ნაათალისა... 1557, 3
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისითღა ჩანს ნასამალი... 708, 3
ნაათალი=მეათედი, ნასამალი=მესამედი...

ამრიგად, ჳინ-კატეგორიის სახელებს ქართულშიცა და სვანურშიც მ- მოუდის, რა-კატეგორიისათვის ქართულში ძირითადი ფორმანტია ს, სვანურისათვის ლ-; ქართულშიცა და სვანურშიც უფრო ძველი ფორმაციისა ჩანს ნ-, რომლისაგანაც უნდა მომდინარეობდეს ლ (ნ—ლ...). ნ- ქართულსაც დაუცავს და სვანურსაც (არც ზანურისთვის არის იგი უცხო).

ეს ნ-პრეფიქსი გამოიყოფა ისეთ სახელთა ფუძეებში, როგორიცაა ნე-სტკ, ნე-შტ-ი, ნე-რგ-ი, ნე-რწყ... ნიკაპ-ი; შდრ. მეგრ. ნუ-კუ, ჰან. ნუ-ნკუ, სვ. კაპ-რაჲ... [1].

ნ-პრეფიქსზე ძველი ჩანს დ: ნ—დ.

დ-ფორმანტი ცალკეულ ფუძეებს შემოუნახავს, როგორც ეს შედარების მეშვეობით ვლინდება: ძვ. ქართ. თკ-ე — თთ-კე — *დუ-თ-ე, ჩან. თუ-თა—დუ-თა, სვ. დო-შდ-ულ... სვანურში ძირეულ თ-ს შესატყვისად -შდ- გვაქვს, პრეფიქსისეული დ- კი უცვლელადაა დაცული.

[1] მსგავსი ფაქტების შესახებ: არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1939.

ქართ. და-თუ; სვ. დ̌-შდუ, ზან., ჭან. მ-თუ-თ, მეგრ. თუ-ნთ-...

აქაც ძირეული თ- კანონზომიერად ეფარდება -შდ-ს, თავკიდური დ- მეორდება: თავკიდური დ-ა- ქართულში ფორმანტია [1].

იგივე დ-პრეფიქსი ზანურში ქართული ს-პრეფიქსის ფარდად გამოიყოფა:

ზან. დი-შჭ-ა — ქართ. შე-შ-ა←სე-შ-ა: შე-შა მიღებულია თავკიდური ს-ს ასიმილაციით მომდევნო შ-სთან: რეგრესული ასიმილაცია (იოს. ყიფშიძე).

ჭან. და-ჩხური, მეგრ. და-ჩხ-ირ-ი — ქართ. ცე-ცხ-ლ-ი←სე-ცხ-ლ-ისაგან მომდევნო ც-სთან ასიმილაციით (იოს. ყიფშიძე).

ჭან. დი-მჭკ-უ, მეგრ. ჭკიჭკი-ტი-ა, ძვ. ქართ. ჯი-ნ-ჭვ-ელ — ←დი-ნ-ჭვ-ელ-ისაგან... თავკიდურ დ-ს აფრიკატიზაცია მოუდის ქართულში: ჯ←დ... მეგრულში პროცესი უფრო შორს მიდის: დ←ჯ←ჭ — სრული რეგრესული ასიმილაცია! შემდეგ ჭ-სთან განვითარებულია კ: ჭკიჭკი←ჭი-ჭკი←ჯი-ჭკი-... უფრო ადრე, ვინემ თავსართში ეს ცვლილებები მოხდებოდა, ძირეულ ჭ-სთან განვითარდა კ: ქართ. -ჭვ-, მეგრ. ჭკ-, ჭან. მ-ჭკ-...

ჭან. დი-ცხ-ირ-, მეგრ. ზი-სხ-ირ- ←*ძი-სხ-ირ-, ქართ. სი-სხლ-...

ჭან. დი- ისევე ეფარდება ქართ. სი-ს, როგორც ჭან.-მეგრ. დი-შჭ-ა და ქართ. შე-შა←სე-შა...

შდრ. მეგრ. ი-ძიც-ან-ს, ჭან. დი-ცამ-ს, ქართ. ი-ცინ, -ძი//←დი- ელემენტის გარეშე.

სვან. ზი-სხ- იმეორებს მეგრულს, ზანიზმია სვანურში...

ჭან. ჯიჯვი („ძვალი")←დი-ჯვ-ი დი-პრეფიქსს გამოავლენს.

დ-პრეფიქსი უნდა გვქონდეს ქართ. ჰიდრონიმიკურ ტერმინში მ-ტ-კუარ-←კუარ (იგივე ბერძ. Κῦρ-ος რუს. Кур-а) დ-კლასნიშნის დართვით: დ-კუარ-←ტ-კუარ (რეგრესული ასიმილაციის შედეგად); მ- ფონეტიკური დანართია.

დ-პრეფიქსის გარდა ნივთის კატეგორიის სახელებში ბ-თავსართიც გამოიყოფა: ბა-ვ-შ:←ბა-ვ-შვ- (შევ- ძირიხაგან): ბა-ეშ-←ბა-შვ—„შობილის" ამოსავალი მნიშვნელობით, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილს აქვს გარკვეული. იმავე ავტორის ვარაუდით ბატკან-←ბა-ტიკან-იდან ეტ-

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, „ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში", სმამ, II, № 1—2 (1941).

მოლოგიურად „თიკანს“ უკავშირდება: ბა-თიკან—ბა-თკან—ბა-ტკან (ბ-პრეფიქსი სხვა ფუძეებშიც უნდა გექონდეს, ფონეტიკურად სახეცვლილი).

ბ-პრეფიქსი უნდა გექონდეს ბუ-ნ-ჭველ-შიც, რაიც ჯინჭველ-ის დიალექტურ ვარიანტს წარმოადგენს: ბუ-//დი-.

ამრიგად: ვინ-კატეგორიას პრეფიქსად მოუდის ერთი ფორმანტი ი-; რა-კატეგორიისათვის გვაქვს რამდენიმე პრეფიქსი: ს-, ლ-, რ-, ნ-, დ-, ბ-.

ერთი შეხედვით, რა-კატეგორია რამდენიმე კლასად დაყოფილი ჩანს (ისევე, როგორც ეს მთის იბერიულ-კავკასიური ენებიდანაა ცნობილი).

მაგრამ ზემოხსენებული ფორმანტები ნივთის სხვადასხვა კლასებს არ უნდა უკავშირდებოდეს, მაინცადამაინც ს-, ლ-, რ-, ნ-, დ: სხვაობას იწვევს არა სხვადასხვა გრამატიკული კლასი, არამედ სხვადასხვა ენა-კილო, ერთის მხრით, სიძველე-სიახლე — მეორე მხრით:

ს-თანსმოვნიანი პრეფიქსი საკუთრივ ქართულისაა, ლ-/რ-/,ნ- უპირატესად სვანურისა, მაგრამ ქართულსა და ზანურშიც მას გამოყენების გარკვეული არეალი მოეპოვება.

დ-პრეფიქსი ლ-, (რ-), ნ-ს ამოსავალი ფონეტიკური ვარიანტი ჩანს, მაშასადამე, ყველა ამ ვარიანტზე ძველია.

ეს ძველი ფორმანტი და მისგან წარმოქმნილი ნ-, ლ-, (რ-) ქართველურ ენათა მორფოლოგიურ სისტემაში ერთი მეორის გვერდით რომ გვაქვს, ამაში განსაკუთრებული არა არის რა: ენობრივი სისტემა ერთბაშად არ იცვლება, შესაბამისად ყოველ ენობრივ სისტემაში ერთი მეორის გვერდით სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენის ფაქტები დასტურდება. ეს ეხება ლექსიკას, მორფოლოგიას, ფონეტიკას...

დ-პრეფიქსი. როგორც ნივთის კატეგორიის ფორმანტი, რომ ყველაზე ძველია, ამას ცხადყოფს მისი დადასტურება ზმნებში თქუა და დგას, როგორც ეს ვარ. თოფურიამ გაარკვია (ამ ფუძეთა შედარებით სვანურთან და ზანურთან) [1]: ამ ზმნათა თავკიდური თანხმოვნები თ(—დ) და დ ფუძეს შეხორცებული ფორმანტებია:

დგა-ს—დე-გა- (ე ხმოვანი ამოღებულია. შდრ. დე-გ: (აღ-დეგ): ძი-

---

[1] ვ. თოფურია, „დ-თავსართიანი ზმნები ქართულში“, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXV, 1942.

რეულია გ- (მეგრ. გე-რე „დგას“, სვ. ლჳ-გ „დგას“); დე- ს უ ბ ი ე ქ-ტ ი ს კლასზე მიუთითებს გარდაუვალ ზმნაში (დე-გ-).

თქუ-ა—დ-ქუ (რეგრესული ასიმილაცია!), სვ. რჳ-ქუ „თქვა“, სვ. ლი-ქუი-სგ „თქმა“: ეგევე დე-//რა- უახლოესი ო ბ ი ე ქ ტ ი ს კლას-ზე მიუთითებს გარდამავალ ზმნაში (თ-ქუ-ა).

ზოგი სხვა ზმნის საკითხიც დგას (თუ შეიძლება დადგეს), მაგრამ სრულიად უეჭვოა, რომ დეგ და თქუ ზმნა ნივთის კატეგორიის პრეფიქსებს შეიცავენ: ეს პრეფიქსები ფუძესაა შეხორცებული და პირის ნიშნები ამ ფუძეს დაერთვის (ამასთან ზმნის უღვლილების ძირითადი საკითხებია დაკავშირებული; ამაზე — ქვემოთ).

არსებითი სახელისა და ზმნის გარდა გრამატიკული კლასები, ბუნებრივია, თუ ზედსართავ სახელშიც აისახებოდა: ზედსართავი ისევე, როგორც ზმნა, ეთანხმება არსებით სახელს დაღესტნურსა და ნახურ ენებში (ეგევე ითქმის მიმღეობისა და მასდარის შესახებ. ამ ნაზმნარ სახელებში გრამატიკული კლასების არსებობა დადასტურდა — იხ. ზემოთ).

ზედსართავ სახელთაგან სვან. დგ-თხელ და მეგრ. თხი-თხუ (<თითხუ<დი-თხ-უ) „თხელი“ შეიცავს დი- პრეფიქსს იმავე რიგისას, როგორიც დი-შჭა-ში („შეშა“) გვქონდა.

სვან. მახე („ახალი“) მ- თავსართიანია: მახე ღვაჟარე „ახალგაზრდა ვაჟკაცები“ („ახალი ვაჟები“).

საფიქრებელია, ეს მ-პრეფიქსი იმავე რიგის ფორმანტი იყოს, როგორიცაა მუ-შუან „სვანი“ (შდრ. ლუ-შნუ „სვანური“) მგ-ზან „მეგრელი“ („ზანი“//შდრ. ლუ-ზნ-უ „მეგრული“)...

დ-პრეფიქსი, ნივთის კატეგორიის ყველაზე ძველი ფორმანტი, შედარებით იშვიათია და ეს სავსებით კანონზომიერიცაა.

ეს დ-პრეფიქსი (და მისი ფონეტიკური ვარიანტები) ქართველურ ენათა მორფოლოგიას მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიასთან აკავშირებს. ვინ და რა, როგორც სემანტიკური კატეგორიები, ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში ერთნაირი შინაარსისაა. ვინ და რა კატეგორიათა გარჩევა მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა შ ი (როგორც ითქვა ჯ. 18-ში) ყველა ნახურ ენას აქვს დაცული, დაღესტნურ ენათაგან — მხოლოდ სამ ენას (ლეზგიურს, აღულურსა და უდიურს) დაუკარგავს, აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებიდან მხოლოდ აფხაზურს დაუცავს (ისიც თავისებური ცვლილებებით). ქართველურ ენათაგან არც ერთს

არ შემორჩენია ეს მორფოლოგიური კატეგორია. ამ მხრივ ყველაზე მეტი ცვლილება ქართველურ ენებში დასტურდება; ისტორიულად კი ქართველური ენები გრამატიკულ კლასებს მორფოლოგიაშიც განასხვავებდნენ ისევე, როგორც ადიღური ენები (ადიღეური, ყაბარდოული), უბიხური, ლეზგიური, აღულური, უდიური.

დიდი სხვაობა, რაც ამ მხრივ ქართველურსა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის შეიმჩნევა, მეორეულია. წინანდელი ვითარება ერთგვაროვნობას გვიჩვენებს იქ, სადაც ამჟამად, ერთის შეხედვით, საერთო არაფერია.

ივანე ჯავახიშვილმა კაპიტალურ მონოგრაფიაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937 წ.) დაადასტურა „გრამატიკული სქეს-კატეგორია“ (როგორც ის უწოდებდა) ფუძეს შეხორცებული თავსართების სახით. ქართულში კვლევის შედეგებს ერთგვაროვნად ართულებდა ცნება გრამატიკული სქესისა (როცა სქესებია გარჩეული, მამრობითი სქესისა ცხოველიც შეიძლება იყოს; თუ გრამატიკული კლასები გვაქვს, ადამიანთან პირველ კლასში, ცხოველი, რა სქესისაც იყოს, არ გვექნება). მაგრამ კვლევის მიმართულება მეცნიერულად ფასეული იყო და ზოგადი დასკვნებიც მნიშვნელოვანი [1].

---

* [1] გრამატიკული კლასები რომ ჰქონდა ქართველურ ენებს, დამაჯერებლად არ მიაჩნია გერჰარდ დეეტერსს. ქართველურ ენათა ცნობილ მკვლევარს („ქართველურ ენათა ზმნის“ ავტორს). წერილში „გვქონდა თუ არა ყველა კავკასიურ ენაში გრამატიკული კლასები?“ გ. დეეტერსი უარყოფით პასუხს იძლევა, თუმცა ფორმანტების ღარდობა (შეპირისპირება) რომ გვაქვს, ამას ის არ უარყოფს.

სხვა, ფარდობა-შეპირისპირებაზე უფრო არსებითი კრიტერიუმი კი ენის სისტემის აღწერისას ცნობილი არაა.

დ-პრეფიქსი (ისეთ სიტყვებში, როგორიცაა დი-მკუ „პიანჯელა“, „პინჯელი“) მეორეულად მიიჩნია პროფ. ტ. გუდავამ: რეგრესული დისიმილაციის შედეგად (სვ. ბაბა—პაპა „მღედელი“-ს რიგისა).

ამ გზით დ-პრეფიქსიან სახელთა დიდი წილი შეუძლებელია აიხსნას (დიშქა „შეშა“, და-თვ-||და-შდვ-, „დათვი“-ს რიგის მაგალითები). ამიტომ ის შემთხვევებიც, რომელნიც რეგრესული დისიმილაციის ნიშნად არის მიჩნეული, რეალურ ვითარებას არ ასახავს.

რეგრესული დისიმილაცია დეგ-, თქუ- ზმნათა პრეფიქსებს ვერ აგვიხსნის. გრამატიკულ კლასებს მ:ს, ნ, ლ, დ... ფორმანტთა შეპირისპირება აქლუნს.

§ 28. ნივთის კატეგორიის ფორმანტთა ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში

ძირითადი ფორმანტი რა-კატეგორიის სახელებისათვის ქართულში ს-ელემენტიანი ფორმანტია: სა-ზუერ-ე, ჰა-რწყ-ულ-ი, სა-ხრ-ე, სა-ქმე (შდრ. მე-ზუერ-ე, მე-რწყ-ულ-ი, მე-ხრ-ე, მო-ქმედ-ი, იხ. ზემოთ § 27). სა-ს მორფოლოგიურ სინონიმებად ნა-, და-ც დადასტურდა (ნა-პირ-ი, და-თუ-... სახელთა წარმოებაში: ნა-წერ-ი, ნა-ჭერ-ი, ნა-გლეჯ-ი... შდრ. სა-წერ-ი, სა-კერ-ი, სა-გლეჯ-ი. იხ. ზემოთ, § 27).

ხმოვნითი ელემენტი შეიძლება იცვალოს: ნე-შტ-ი, ნე-რგ-ი, ნე-რწყუი-ი... ნა-, ნე-ს ბადლად სვანურში ლა-, ლე- გვაქვს.

სა- ეტიმოლოგიურად რა-ს უკავშირდება: უკეთ, რა—სა: თავკიდური რ- ქართულისათვის უცხოა.

ჰანურში სა-ს ეფარდება ნა-: ათინ. ნა-ქ? „სად?“ ნა-ქ-ონ-ურ-ი? „სადაური?“... ნა-კო? „რამდენი?“ (—რა-ოდენი)... შდრ. ხოფ. მუ-კო? „რამდენი?“ ათინური ნა=ხოფ. მუ „რა?“ ეგეთ ნა- გვაქვს კითხვით ნაცვალსახელში: ნა-მუ? ნა-ჲა? „რომელი“?

ამრიგად, სა-ფორმანტი ნივთის კატეგორიისა, წარმოშობით იგივე რა- არის, ოღონდ მისი ძველი ფონეტიკური ვარიანტია; ნა-ც იმავე მნიშვნელობის ნაცვალსახელოვანი ელემენტია, კარგად ცნობილი ქართველური ენებიდან (მიმღეობა...); მის ფონეტიკურ სახესხვაობას ლა- წარმოადგენს (სვანურში კითხვითი ნაცვალსახელია მა „რა?“: მაჲ ლი? რაა? ეს მა- ზანური წარმო'მობისაა: მა—მო—მუ)[1].

§ 29. სახელის მორფოლოგია: ბრუნვის კატეგორია, ბრუნვათა შედგენილობა და ბრუნების პროცესი

გრამატიკული კლასები განასხვავებდა სახელებს და მათ ეთანხმებოდა ზმნა, ზედსართავი სახელები, რიგი ნაცვალსახელი, მიმღეობა, მასდარი, რიცხვითი სახელები (რიგობითი და ხშირად — ოდენობითი), ზოგი ზმნისართი: გრამატიკული კლას-კატეგორია უნივერსალური მორფოლოგიური კატეგორია იყო ყველა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენაში; ის გამსჭვალავდა მთელ მორფოლოგიას. გრამატიკული კლას-კატეგორია არქაული მორფოლოგიური კატეგორია ჩანს.

---

[1] არნ. ჩიქობავა, გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში, სმამ, ტ. V (1944), ნაკვ. 4, გვ. 449—454.

ცალკე უნდა განვიხილოთ კერძოობითი მორფოლოგიური კატეგორიები სახელისა და ზმნისა: მორფოლოგია ჩვეულებრივ ესაა სახელისა და ზმნის მორფოლოგია.

სახელის მორფოლოგიაში, პირველ ყოვლისა, იყარაუდება ბრუნვის კატეგორია (რამდენი და რა ბრუნვები გვაქვს) და ბრუნების პროცესი.

ზოგ ენაში სახელს შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიაც (აფხაზურს, ადიღურ ენებს, ძველ ქართულს).

რიცხვის კატეგორია სახელსაც აქვს და ზმნასაც. სახელს მხოლოობითისა და მრავლობითის შეპირისპირება ახასიათებს. ზოგი ენის (სვანურის, ხუნძურის...) ნაცვალსახელს (პირველი პირისა) მრავლობითში ორი ფორმა მოეპოვება: ექსკლუზივისა (I და III პ.) და ინკლუზივისა (I და II პ.). ამაზე — ქვემოთ.

ბრუნვათა საკითხი აფხაზურსა და ადიღურ ენებში ბუნებრივია განვიხილოთ მას შემდეგ, რაც იმ იბერიულ-კავკასიურ ენათა ვითარებას გავითვალისწინებთ, სადაც ბრუნვის კატეგორია უფრო ჩამოყალიბებული ჩანს.

ნახურსა და დაღესტნურ ენებში განარჩევენ ძირითადსა და თანდებულიან ბრუნვებს. თანდებულიანი ბრუნვები ქართველურ ენებშიც გვაქვს.

ძირითადია ოთხი ბრუნვა: სახელობითი (ნომინატივი), მოთხრობითი (ერგატივი), ნათესაობითი (გენიტივი) და მიცემითი (დატივი).

ქართულში ამათ ერთვის მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი) და გარდაქცევითი (ტრანსფორმატივი).

სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი ცნობილია ძვ. ბერძნულიდან და ლათინურიდან, აგრეთვე იმ ცოცხალი ინდო-ევროპული ენებიდან, რომელთაც ბრუნება, როგორც მორფოლოგიური პროცესი, შემორჩა (ასეთია, მაგ., რუსული, გერმანული...).

ეს არ ნიშნავს, თითქოს ეს ბრუნვები ინდო-ევროპულ ენებსა და იბერიულ-კავკასიურ ენებში იდენტურ ოდენობას წარმოადგენდნენ; ასე, მაგალითად, სახელობითი ბრუნვა ამოსავალია ბრუნებისათვის როგორც ინდო-ევროპული, ისე იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, მაგრამ ინდო-ევროპული ენებისათვის სახელობითი ოდენ სუბიექტის ბრუნვაა (ე. წ. პირდაპირი ბრუნვა) და მას უპირისპირდება ოდენ

ობიექტის ბრუნვა, აკუზატივი (ბრალდებითი), ე. წ. პირდაპირი ობიექტის ბრუნვა.

იბერიულ-კავკასიურ ენათათვის უცხოა აკუზატივი, ოდენ ობიექტის ბრუნვა, და სახელობითიც არ წარმოადგენს ოდენ სუბიექტის ბრუნვას, გარდამავალ ზმნებთან სახელობითი ე. წ. პირდაპირ ობიექტს აღნიშნავს; ამრიგად, სახელობითი იბერიულ-კავკასიურ ენებში არ წარმოადგენს პირდაპირ ბრუნვას ინდო-ევროპულ ენათა გაგებით (ამაზე დაწვრილებით — სინტაქსში).

უდიურში გარდამავალ ზმნასთან უახლოესი ობიექტი (ე. წ. პირდაპირი ობიექტი) სახელობითის გარდა შეიძლება დაისვას მიცემითშიც[1].

ადამარა-ხ (ვართაშ. კ.) „კაცს“ (ნიკ. ადამარ-ა).

ამ მიცემითს აკუზატივს უტოლებენ.

ქართულში, მეგრულსა და სვანურში სახელობითის გარდა მიცემითიც იხმარება უახლოესი ობიექტის ბრუნვად: „კატამ თაგვი დაიჭირა“, მაგრამ: „კატა თაგვს იჭერს“ (შდრ. რუს. кошка мышку поймала და кошка мышку ловит). როცა უახლოესი ობიექტი მიცემით ბრუნვაშია, გარდამავალი ზმნა (ქართულში, მეგრულსა და სვანურში) ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის. ამაზე დაწვრილებით—სინტაქსში.

აკუზატივის უქონლობა, ერთის მხრით, ერგატივის ქონება, მეორე მხრით, ნიშანდობლივია ბრუნვათა შედგენილობისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში (ამას იწვევს გარდამავალი ზმნის თავისებურება).

ტერმინი ერგატივი გავრცელდა ად. დირის მეოხებით.

ერგატივს ქართულ საგრამატიკო ლიტერატურაში „მოთხრობითი“ ეწოდება (ანტონ პირველის გრამატიკიდან — 1753 წ. მოკიდებული), რუსული მისი თარგმანია повествовательный, ლათ. narrativus, გერმ. Narrativ.

ანტ. შიფნერი ერგატივის აღსანიშნავად ხმარობდა ტერმინს „ინსტრუქტივი“ (Instructiv), პ. უსლარი — „მოქმედებითს“ (творительный).

რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ იყო გავრცელებული ტერმინი „აქტიური“ („активный падеж“), ე. ი. მოქმედის აღმნიშვნელი ბრუნვა.

---

[1] ИКЯ-ки, გვ. 685.

ბრუნვათა სისტემაში ადგილის მიხედვით ერგატივი ორგვარია: თავისთავადი და საზიარო.

თავისთავადია ერგატივი, თუ მას საკუთარი, მხოლოდ მისთვის ხმარებული, ფორმა მოეპოვება, ასეთია ერგატივი ქართულში, ზანურში და სვანური ბრუნების ერთ ტიპში: კაც-მა (ძვ. ქართ. კაც-მან), ჭან. კოჩი-ქ, მეგრ. კოჩ-ქ, სვ. მა-რე-მ... ჩაჩნურსა და ინგუშურში (სახელთა უმეტესობაში).

ერგატივს საზიარო ფორმა შეიძლება აღმოაჩნდეს: მოქმედებით ბრუნვასთან („ერგატივ-ინსტრუმენტალისი"), ნათესაობითთან („ერგატივ-გენიტივი"), ადგილობით ბრუნვასთან („ერგატივ-ლოკატივი"), გარდაქცევით ბრუნვასთან („ერგატივ-ტრანსფორმატივი").

ერგატივ-ინსტრუმენტალისი გვაქვს ხუნძურსა და ანდიურ ენებში.

ერგატივ-გენიტივი მოეპოვება ლაკურს.

ერგატივ-ლოკატივი ახასიათებს სახელთა ერთ ჯგუფს ლეზგიურში (ესაა მეორე ბრუნების სახელები)[1].

ერგატივ-ტრანსფორმატივი გვხვდება სვანური ბრუნების ერთ ტიპში (ბაჩ-დ — 1. „ქვამ"; 2. „ქვად").

შეიძლება ერთსა და იმავე ენაში ერგატივის ფორმები განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, რა გრამატიკულ კლასს განეკუთვნება სახელი: ასე, მაგალითად, ბაცბურში პირველისა და მეორე გრამატიკული კლასის სახელებს მხოლობითში გარჩეული აქვს ერგატივი და მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი):

სახ. დად „მამა"	ნან „დედა"
ერგ. დად-ა-ს „მამამ"	ნან-ას „დედამ"
მოქმ. დად-ევ „მამით"	ნან-ევ „დედით"

მაგრამ ისეთ სახელებს, როგორიცაა: გაზა „თხა", ვირ „ვირი", წე „ცეცხლი"... ინსტრუმენტალისსა და ერგატივში საზიარო ფორმა აქვს.

თვით პირველისა და მეორე გრამატიკული კლასის სახელებშიც შრაველობითი არ განასხვავებს ამ ორ ბრუნვას: დად-ივ „მამებმაც" არის და „მამებით"; ასევე: ნან-ივ — „დედებმა", „დედებით".

ერგატივი (ისევე, როგორც ნათესაობითი და მიცემითი) არ მოე-

[1] У. А. Мейланова, Лезг. яз., ИКЯ-кII, გვ. 531.

პოვება აფხაზურსა და აბაზურს, — არც სალიტერატურო ენას და არც დიალექტებს. მაგრამ ზმნის უღელილება პრეფიქსების მეშვეობით სხვადასხვაგვარად აღნიშნავს სახელებს: ერთის მხრით, გვაქვს დ(D)-ს რიგის პრეფიქსები, მეორე მხრით, ლ(L)-ს რიგისანი. განსხვავება მესამე პირში ვლინდება.

დ-ს რიგის პრეფიქსები ((III პ. დ—ადამიანს აღნიშნავს, ი—ნივთს) ეფარდებიან გარდაუვალი ზმნის სუბიექტს, ე. ი. სახელობითს, ლ-ს რიგის პრეფიქსები (III პ. ი- მამაკაცი, ლ- ქალი, ა- ნივთი) ეფარდებიან გარდამავალი ზმნის სუბიექტს, ე. ი. ერგატივს: ი-ლ-ბოჲტ „რაღაცას იგი (ქალი) ხედავს“[1].

მაშასადამე, ერგატივი აფხაზურის სახელში ვერ გაირჩევა (ბრუნება არა გვაქვს), მაგრამ ზმნის მორფოლოგია მას გრძნობს და ასახავს.

ამრიგად, ერგატივი იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიური სტრუქტურისათვის ნიშანდობლივია. ცხადია, ამ ენათა სინტაქსშიც ეს მორფოლოგიური თავისებურება შესაბამის თავისებურებებს მოასწავებს.

წარმოქმნის დროის მიხედვით ერგატივი ერთსა და იმავე ფორმაციას არ მიეკუთვნება. ეს ეხება ენებსაც და ენის შიგნით — სხვადასხვა ჯგუფის სახელებს.

ასე. მაგალითად, ხუნძურ ნაცვალსახელებს (პირველი და მეორე პირისა) ამჟამად ერგატივში საკუთარი ფორმები მოეპოვება:

სახ. დუნ „მე“	მრავლ. ნიჟ „ჩვენ“ (ექსკლ.).	ნილ′ „ჩვენ“ (ინკლ.).
ერგ. დი-ცა „მე“	მრავლ. ნეჟეცა „ჩვენ“	ნელ′ეცა „ჩვენ“
სახ. მუნ „შენ“	მრავლ. ნუჟ „თქვენ“	
ერგ. დუ-ცა „შენ“	მრავლ. ნოჟო-ცა „თქვენ“	

ერგ. დი-ცა, ნეჟე-ცა, ნელ′ე-ცა, — დუ-ცა, ნოჟო-ცა. ახალი ფორმაციისა ჩანს, ხუნძურის ზოგ თქმაში (მაგ., კომორიბ-ისაში). მ რ ა ვ ლ ობ ი თი ამ ნაცვალსახელებში არ განასხვავებს ერგატივსა და სახელობითს.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა წრეში რიგ ენას ერგატივი და სახელობითი გარჩეული აქვს როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში, რიგი ენა მხოლობითში განასხვავებს, მრავლობითში—არა, რიგი—

[1] К. В. Ломтатидзе, Абх. яз., ИКЯ-ки, გვ. 113.

პირუკუ, მხოლოობითში არ განასხვავებს, მრავლობითში განასხვავებს, ზოგს ენაში კი არც მხოლოობითში და არც მრავლობითში სხვაობა არა გვაქვს...

ერთს ენაში ზოგი კილო-თქმა განასხვავებს, ზოგიც — არა.

პირის ნაცვალსახელებში ერგატივი განსხვავებულია მხოლოობითშიცა და მრავლობითშიც:

კ ა რ ა ტ ა უ ლ შ ი: სახ. დენ „მე" მენ „შენ" ილ'ი//იშაი[1] „ჩვენ" ბიშდი „თქვენ"

ერგ. დენა მენა ილ'ილ//იშაილ ბიშდილ[2]

ა ხ ვ ა ხ უ რ შ ი: სახ. დენე „მე" მენ „შენ" ილ'ი//ისაი „ჩვენ" უშდი „თქვენ"

ერგ. დედე მედე ილ'იდე//ისაიდე უშდიდე[3]

ბ ა გ ვ ა ლ ა ლ უ რ შ ი: სახ. დე „მე" მე „შენ" ილ'ი//იშაი „ჩვენ" ბიშტი „თქვენ"

ერგ. დენ მენ ილ'ირ//იშაირ, ბიშტირ...[4]

ხ ვ ა რ შ ი უ ლ შ ი: სახ. დო „მე" მო „შენ" ილო „ჩვენ" მიჟო „თქვენ" (ინხოყვარი)

ერგ. დე მე ილე მიჟე...[5]

ერგატივი ნაწილობრივადაა განსხვავებული:

მხოლოობითი განასხვავებს, მრავლობითი — არა

ტ ი ნ დ ი უ რ შ ი: სახ. დე „მე" მე „შენ" — ილ'ი//იშაი „ჩვენ" ბისაი „თქვენ"

ერგ. დი მი ილ'ი//იშაი „ჩვენ", ბისაი „თქვენ"[6]

ჭ ა მ ა ლ ა ლ უ რ შ ი: სახ. დი „მე" მი „შენ" — ილაი//ისაი „ჩვენ" ბითი „თქვენ"

ერგ. დე ←მინნ←მინდ „ჩვენ" ბითი „თქვენ"[7]

---

[1] პირველი ინკლუზივია, მეორე — ექსკლუზივი.

[2] З. Магомедбекова, Карат. яз., ИКЯ-кп, გვ 328.

[3] З. Магомедбекова, Ахвах. яз., ИКЯ-кп, გვ. 342.

[4] Т. Гудава, Багвал. яз., ИКЯ-кп, გვ. 361.

[5] Е. Бокарев, Хварш. яз., ИКЯ-кп, გვ. 427.

[6] Т. Гудава, Тинд. яз., ИКЯ-кп, გვ. 374.

[7] З. Магомедбекова, Чамал. яз., ИКЯ-кп, გვ. 392.

ბ ო თ ლ ი ხ უ რ შ ი:

სახ. დენ(ი) „მე“ მინ(ი) „შენ“ ილ′ი//იშჲი „ჩვენ“, ბითთი „თქვენ“
ერგ. იშჭურ „ მინ(ი) „ ილ′ი//იშჲი „ ბითთი „

ბოთლიხურში მხოლოობითის პირველი პირი განასხვავებს, მეორე— არა. მხოლოობითში არა გვაქვს განსხვავება, მრავლობითში განსხვავებულია: დიდოურში: სახ. დი „მე“ მი „შენ“ — ელი „ჩვენ“ მეჟი „თქვენ“

ერგ. დი მი ელა მეჟა

ერგატივი გარჩეული არაა ღოდობერიულში, ჰინუხურში (არც მხოლოობითში, არც — მრავლობითში):

ღოდობერიულში: სახ. დენ „მე“ მინ „შენ“ ილ′ე//იშჲე „ჩვენ“, ბითთე „თქვენ“

ერგ. დენ მინ ილ′ე//იშჲე ბითთე[2]

ჰინუხურში: სახ. დე „მე“ მე „შენ“ ელი „ჩვენ“ მეჟი „თქვენ“

ერგ. დე მე ელი მეჟი[3]

ანდიურის ანდიისა და რიქვანის თქმებში ერგატივი გარჩეული არაა (სხვა თქმები განარჩევენ: დენ „მე“, მენ „შენ“ — ერგ. დენნი (← დენდი), მენნი (←მენდი)[4]...

პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებს ისეთი ვითარება უნდა ჰქონოდა, როგორიც ღოდობერიულსა და ჰინუხურში გვაქვს: ვითხრობითს ეს ნაცვალსახელები არ განარჩევდნენ (ისევე, როგორც ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში არა გვაქვს გარჩეული ამჟამადაც).

ყველაზე ახალია კარატაულის, ახვახურის, ბაგვალალურისა და ხვარშიულის ვითარება (სხვაობა მხოლოობითშიც, მრავლობითშიც).

სხვა ენები (ტინდიური, ჭამალალური, ბოთლიხური...) ერგატივის ჩამოყალიბების პროცესის ნაირგვარობას, სხვადასხვა საფეხურს გვიჩვენებენ ხელშესახებად.

ასევე: ა ღ უ ლ უ რ ი ენის აულ რ ი ჩ ა ს მეტყველებაში ერგატივს საკუთარი ფორმა აქვს: „მე“ — ზუნ, ერგ. ზ ა შ; „შენ“ — ვუნ, ერგ.

---

[1] Т. Гудава, Ботлих. яз., ИКЯ-кн, გვ. 301.
[2] Т. Гудава, Годобер. яз., ИКЯ-кн, გვ. 315.
[3] Е. Бокарев, Гинух. яз., ИКЯ-кн, გვ. 445.
[4] И. Церцвадзе, Анд. яз., ИКЯ-кн, გვ. 285.

ვ ა შ... „ჩვენ“ — ხ̄ინ (ინკლ.), ერგ. ხ̄ეშ, ჩინ (ექსკლ.)—ჩეშ; „თქვენ“—ჩუნ. ერგ. ჩვეშ...

სხვა აღულური აულები (კურაღ, ფიტე, ბურკიხან, ბურშაგ, ხუდიგ) პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებში არ განასხვავებენ ერგატივს: „მე“—ზუნ (სახ. ერგ.), „შენ“ — ვუნ, „ჩვენ“ (ინკლ.)—ხ̄ინ (აღულ. სტდიგში: შინ), „ჩვენ“ (ექსკლ.) — ჩინ, „თქვენ“ — ჩუნ (აულ ფიტესა და ხუდიგში: ჭუნ)[1]...

აღულურის ახლო მონათესავე ლეზგიური კი განასხვავებს აქ ერგატივს. „მე“ — ზუნ, ერგ. ზა, „შენ“ — ვუნ, ერგ. (ვუ)ნა; „ჩვენ“ — ჩუნ, „თქვენ“ — ჭუნ[2]... წახურულში კი განსხვავება არა გვაქვს: „მე“ — ზე (სახ., ერგ.), „შენ“ — ღუ//ვუ[3] (სახ. ერგ.).

იმავე წრის არჩიბულში: „მე“ განასხვავებს: ზონ (სახ.) და ზ ა რ ი (ერგ.), ნაგრამ მეორე პირის ნაცვალსახელში დიფერენციაცია არ მოხდაობა: „შენ“ — უნ... მრავლობითში კი ერგატივს საკუთარი ფორმა არც პირველ პირში მოეპოვება. არც მეორესთან: „ჩვენ“ — ნენ (სახ., ერგ.), „თქვენ“ — ჟვენ (სახ., ერგ.)[4]. (შდრ. რუთულურის ვითარება: დიფერენციაცია გვაქვს მხოლობითშიც, მრავლობითშიც: „მე“ —ზე, ერგ. — ზა; „შენ“ — ჲა, ერგ. — ჲად... „ჩვენ“ — ეე, ერგ.—ვა, „თქვენ“—ეეი, ერგ.—ვეად..)[5].

ხახურ ენებში ერგატივი დიფერენცირებული აქვს ორსავე ნაცვალსახელს მხოლობით რიცხვში: „მე“: ჩაჩნ. სო, ერგ. ას; ინგ. სო, ერგ. აზ: ბაც. სო, ერგ. ას.

„შენ“: ჩაჩნ. ხ̄ო, ერგ. ახ̄... ინგ. ხ̄ო. ერგ. ჟა... ბაცბ. ხ̄ო, ერგ. ახ̄.

რაც შეეხება მრავლობითს, მეორე პირს ერგატივი სამსავე ენაში გარჩეული აქვს, პირველი პირი ექსკლუზივში დიფერენცირებულად წარმოგვიდგება, ინკლუზივში კი ერგატივს ცალკე ფორმა არა აქვს:

„თქვენ“: ჩაჩნ. შუ, ერგ. აშა. ინგ. შუ, ერგ. ოაშა, ბაც. შუ, ერგ. აიშ.

„ჩვენ“ (ექსკლ.): ჩაჩნ. თხო, ერგ. ოხა, ინგ. თხო, ერგ. ოახა, ბაც. თხო, ერგ. ათხო.

---

[1] А Магометов, Агульский яз., გვ. 101—102.
[2] У. Мейланова, Лезг. яз., ИКЯ-кII, გვ. 534.
[3] Б. Талибов, Цах. яз., ИКЯ-кII, გვ. 598.
[4] С. Хайдаков, Арч. яз., ИКЯ-кII, გვ. 616.
[5] Е. Джейранишвили, Рут. яз., ИКЯ-кII, გვ. 584.

„ჩვენ“ (ინკლ.): ჩაჩნ. ვაღ, ინგ. ვაღ, ბაცბ. ვაჲ (ერგატივი ცალკე ერლეულად არაა გაბოყოფილი...).

ნახური და დაღესტნური ენების ჩვენება ეჰვმიუტანლად ცხადყოფს, რომ ერგატივს ცალკე ფორმა იმ თავითვე არა ჰქონია: რომ: „სახელობითი“, უკეთ ამოსავალი ვარიანტი „მე“, „შენ“, „ჩვენ“, „თქვენ“ ნაცვალსახელებისა ერგატივის ფუნქციასაც ასრულებდა (როდესაც სახელთა ბრუნებაში ერგატივი ცალკე ბრუნვად გამოიყო); რომ პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებში ერგატივის „გამოთიშვა“ სახელობითისაგან მეორეული მოვლენაა; რომ ნახურსა და დაღესტნურ ენებში ამჟამად წარმოდგენილია ერგატივის ჩამოყალიბების პროცესის სხვადასხვა საფეხური, ნაჩვენებია სხვადასხვა საშუალება, რომელთაც ენა მიმართავდა ასეთ შემთხვევაში. მთავარი აქ ჩვენთვის ის არის, რომ ნახური და დაღესტნური ენები ადასტურებენ, რომ სახელობით-ერგატივის გაუდიფერენცირებლობა ძველია ისევე, როგორც სახელობითის, ერგატივისა და მიცემითის გაუდიფერენცირებლობა ქართულსა (და, საერთოდ, ქართველურ ენებში), ხოლო რაც აქ პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებზე ითქვა, აფხაზურში, საერთოდ, სახელებზე ვრცელდება.

ერგატივი სახელობითს დასცილდა, ე. ი. სახელობითს უკავშირდება გენეზისურად; ეს ეხება პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს, ე. ი. იმ ნაცვალსახელებს, რომლებიც პიროვნებას გულისხმობენ — იმას, ვინც საუბრობს და იმას, ვისაც ესაუბრებიან. აგრეთვე — ადამიანის სახელებს.

ერგატივი შეიძლება ნათესაობითსა და მიცემითს ედოს საფუძვლად: ხუნძ. ერგატ.: ვაც-ას „ძმამ“, ბაც ალ'ა „დამ“... ნათეს. ვაც-ას-ულ „ძმისა“, ბაც-ალ'ა-ულ „დისა“... მიც. ვაც-ას-ე „ძმას“, ბაც-ალ'ა-ე „დას“...

-ას, -ალ'ა, ერგატივს რომ აწარმოებს, ჩვენებითი ნაცვალსახელია ერგატივში: აუ, აბ, აბ „ეს“ — ერგ. ას, ალ'ა. ეს უკანასკნელი (-ალ'ა) მეორე და მესამე გრამატიკული კლასებისათვის საზიარო რომ არის. მესამე კლასისა უნდა ყოფილიყო, მეორე კლასისათვის შემდეგ იქნა გამოყენებული.

-ას, -ალ'ი-ის გარდა -დ ფორმანტიც შეიძლება საყრდენი იყოს ნათესაობითისა და მიცემითისათვის: ხუნძ. ჩუ „ცხენი" — ერგ. ჩო-დ, ნათ. ჩო-დ-ულ, მიც. ჩო-ჲ-ე... ასევე: ხუნძ. ბი „სისხლი" — ერგ. ბი-დ, ნათ. ბი-დ-ულ, მიც. ბი-დუ-ჲ-ე...

არსებითად განსხვავებულია ბრუნების სისტემაში -ცჲა ნიშნიანი ერგატივის პოზიცია: ნათესაობითსა და მიცემითს -ცჲა შეუძლებელია გადაჰყვეს: ტილ „ჯოხი", ერგ. ტილ-ა-ცჲა, ნათ. ტილ-ა-ლ, მიც. ტილ-ა-ჲ-ე...

-ცა- სუფიქსიანი ერგატივი ისეთი მოქმედებითის (ინსტრუმენტალისის) მნიშვნელობისა შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორიცაა, ვთქვათ, გერმ. mit წინდებულიანი მიცემითი mit der Bleistift „ფანქრით" (სიტყვა-სიტყვით: ფანქრითურთ, ფანქრიანად).

-ცა მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტია ჩაჩნურში: ბედარ „ტანისამოსი" — მოქმ. ბედარ-ცა „ტანისამოსით", მაჲბა „ბალიში" — მოქმ. მაჲბი-ცა „ბალიშით"[1]... ინგუშურში: ჲურთ „სოფელი" — მოქმ. ჲურთა-ცა, ლოალახო „მეზობელი" — მოქმ. ლოალახოჩუნ-ცა[2]...

ბაცბურში, როგორც ვნახეთ, მოქმედებითი -ევ-სუფიქსს ღაირთავს მხოლოობითში, -ივ-სუფიქსს მრავლობითში: დად-ევ „მამით", ნან-ევ „დედით" (მრავლ. დად-ივ „მამებით", ნან-ივ „დედებით"...): ფსტუინ „ქალი"; „ცოლი" მოქმედებითსა და ერგატივში ერთნაირადაა: ფსტუ-ნ-ჩ-ოვ, მრავლ. ფსტე-ივ[3]... ამ ივ-სუფიქსს შდრ. ქართ. ამ მხრ-ივ, სხვა-ფრ-ივ, მარჯვნ-ივ, მარცხნ-ივ. ირგულ-ივ, ძვ. ქართ. იგურდ-ივ... ქართულში ეს -ივ მოქმედებითის -ით ფორმანტის სინონიმი ჩანს: მარცხნ-ივ//მარცხნ-ით. ჩაჩნურ-ინგუშურის -ცა ფორმანტი ბაცბურში ცი-ს სახით დასტურდება და თანაობითს ბრუნვას აწარმოებს: დად-ცი „მამასთან (ერთად)", ნან-ცი „დედასთან (ერთად)", ასევე — მრავლობითში: დადი-ცი „მამებთან (ერთად)", ნანი-ცი „დედებთან" (ერთად)"[4]...

-ცა-ფორმანტიანი ბრუნვა ჩაჩნურ-ინგუშურისა (მოქმედებითის მნიშვნელობით) და -ევ//-ივ სუფიქსიანი ერგატივის გამოყენების სფერო (ნივთის კატეგორიის სახელთა ერგატივი) გვაფიქრებინებს, რომ

---

[1] Ю. Д е ш е р и е в, Чечен. яз., ИКЯ-кп, გვ. 195.

[2] Р. Д о л а к о в а, Ингуш. яз., ИКЯ-кп, გვ. 215.

[3] Ю. Д е ш е р и е в, Бац. яз., ИКЯ-кп, გვ. 232.

[4] რუს. გ ა გ უ ა, ერგატივისა და ინსტრუმენტალისის ურთიერთობისათვის ბაცბურ ენაში, იკე, II (1948), გვ. 87.

ხუნძურშიც (ანდიურ-ციდოურ ენა-კილოებშიც) ნივთის კატეგორიის სახელთა ერგატივს ამოსავლად ჰქონია ინსტრუმენტალისი, იარაღი, რითაც რაღაც კეთდება. საზოგადო სახელებში ერგატივი, როგორც სპეციფიკური ბრუნვა მოქმედისა, განსხვავებული ინსტრუმენტალისისაგან, თავდაპირველად ვინ-კატეგორიის სახელებისათვის უნდა ყოფილიყო ნიშანდობლივი. ჯერ კიდევ ალ. ტრომბეტიმ ურარტული ერგატივის -შ შეუდარა ბაცბური ერგატივის ს-ფორმანტს: მენუა-შე ალიე Menuaše alie „მენუამ (!) ამბობს“ და ბაცბ. დადა-ს ალი „მამამ (!) ამბობს“ [1]. თუ ეს ასეა (აქ შემთხვევითი მსგავსება არ უნდა გვქონდეს!), -ს-ფორმანტიანი ერგატივი ადამიანის სახელებს (ბაცბურსა და ურარტულში) ორიათას ხუთასი წლის წინათაც ჰქონიათ.

ქართულში ერგატივი (მოთხრობითი) მხოლოდ ორ ნაცვალსახელს აქვს ორგანული წარმოებისა: 1. ვი-ნ და 2. მა-ნ (მრავ. მა-თ). ყველა სხვა სახელი ერგატივს აწარმოებს მა-ნ ნაცვალსახელის დართვით, აღწერითად (კაც-მან, ძმა-მან, დედა-მან, მამა-მან).

სვანურს ორგვარი ერგატივი აქვს: -(ე)მ-ფორმანტიანი და -დ-ფორმანტიანი: პირველი (-მ) მარტოოდენ მხოლობითში იხმარება, მეორე — (-დ) მხოლობითშიც გვხვდება, მრავლობითში კი ერთადერთი ფორმანტია ერგატივისა.

-დ ქართულის -ნ-ს ეტოლება (დ//ნ), მაგრამ გამოყენების მხრივ ეს ფორმანტები განსხვავებული ჩანან: ქართ. -ნ მხოლობითშიღა გვაქვს, ისიც ორ ნაცვალსახელში, სვან. დ — მხოლობითშიც (სახელთა წყებასთან). მრავლობითში — ყველა სახელთან; მასთან დ-ს გარდაქცევითს ბრუნვაშიც (ტრანსფორმატივშიც) ეხვდებით.

ზანური ერგატივის -ქ ერთადერთი ნიშანია ამ ბრუნვისათვის — ნაცვალსახელებშიც, არსებით სახელებშიც, რიცხვით სახელებშიც: მუ-ქ „მა-ნ“, ჯუმა-ქ//ჯიმა-ქ „ძმამ“, სუმი-ქ „სამმა“... ზანური ერგატივის ქ(—გ) ნაცვალსახელოვან ძირს უნდა უკავშირდებოდეს. ყველა სახელთან ხმარება ქ-ფორმანტის სიახლეს უნდა გვანიშნებდეს.

რა ადგილი უკავია ერგატივს ქართულის ბრუნვათა წყებაში? მან-ნაცვალსახელს საკუთარი ფუძის სახელობითი არა აქვს: ერგ. მან, საბ.

---

[1] Alf. Trombetti, Elementi di glottologia, ბოლონია, 1923, გვ. 105.

ივი//ის(ი): ერგატივი სახელობითზე ძველია („პირველი სახელობითია" წარმოქმნის დროს მიხედვით).

ერგატივი სახელობითთან შინაგან კავშირშია: ვი-ნ ნაცვალსახელი ერგატივიც არის (ვინა თქვა ეს?... ვინ დაწერა „ოთარაანთ ქვრივი"?) და სახელობითიც (ვინ ამბობს ამას? ვინ წერს ლექსებს?).

ერგატივი და სახელობითი ქართულში უფრო ახალი წარმონაქმნია, ვინემ ნათესაობითი და მიცემითი; ჯერ კიდევ ძველ ქართულში შემორჩენილია ცალკეული ფაქტები, როცა ადამიანის სახელის ფუძე ერგატივის როლსაც ასრულებს და სახელობითისაც: აბრაამ შვა ისააკ (ოთხთავის პირველი ფრაზა) უდრის: აბრაამ-მან შვა ისააკ-ი... ოთხთავში ასეთი რამ უფრო გადმონაშთია, ვინემ ნორმა; პირთა სახელები ერგატივისა და სახელობითის ნიშანს დაირთავს ხოლმე, მაგრამ გადმონაშთის სახით შემორჩენილი მაგალითები ტიპისა „აბრაამ შვა ისააკ" სავსებით კანონზომიერია: -მან და -ი დაბოლოება ისევე არ სპირდებოდა პირთა სახელებს მოთხრობითსა და სახელობითში, როგორც ნათესაობითსა და მიცემითში არ საჭიროებდა ემფატიკური -ა-ს ღართვას:

სახ. ერგატ.	აბრაამ, ისააკ	ნათეს. აბრაამ-ის, ისააკ-ის მიც. აბრაამ-ს, ისააკ-ს

აბრაამ-ის-ა, ისააკ-ის-ა... აბრაამ-ს-ა, ისააკ-ს-ა ძვ. ქართულის ნორმებს ეუცხოება ისევე, როგორც სახელობითსა და ერგატივში -ი და -მან ყოფილა ძველად მეტი: სახელობითის -ი, ერგატივის -მან იმავე ფუნქციის ელემენტებია, რაიც ნათესაობითსა და მიცემითში ემფატიკურ -ა-ს მოეპოვება. თუ სახელობითის -ი, ერგატივის -მან ნაწევრისებური დეტერმინატიული ელემენტები ემფატიკურ -ა-ს ეტოლებიან, სახელობითსა და ერგატივს საკუთრივ ბრუნვის ნიშნები არა ჰქონია.

ამრიგად, ქართული ენის ისტორიაში ორი რიგის ბრუნვები გაირჩევა: ძველი ფორმაციისა, რომელთაც ბრუნვის ნიშნებიც მოეპოვებათ და ემფატიკური ნაწილაკიც (-ა) და ახალი ფორმაციისა, რომელთაც საკუთრივ ბრუნვის ნიშნები არ მოეპოვებოდათ და ისეთ განსაზღვრებითს ელემენტებსღა დაირთავდნენ, რომელთაც ემფატიკური (-ა) ნაწილაკის ფუნქცია ჰქონდა. სახელობითიცა და ერგატივიც ამ ახალი ფორმაციის ბრუნვებს წარმოადგენენ.

ადიღეურში ღრმად შემოგვრჩა ის ვითარება, რაც ძველი ქართულის ანალიზის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ: ერთი და იგივე ფორმანტები განსაზღვრულ ნაწევრებადაც გვევლინება და ბრუნვათა (სახელობითისა და ერგატივის) ნიშნებსაც წარმოადგენს; ეს ფორმანტებია: რ- და მ- (-მა). -რ სახელობითის ნიშანია, -მ — ერგატივისა[1]. „ამ ფორმანტების ფუნქციათაგან უფრო ძველი უნდა იყოს განსაზღვრულობის ფუნქცია"[2].

ადიღეურში სულ ოთხი ბრუნვა გაირჩევა: სახელობითი, ერგატივი, მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი) და გარდაქცევითი (ტრანსფორმატივი).

რაკი სახელობითი და ერგატივი განსაზღვრულობის ფუნქციასაც გადმოსცემენ, ზემოხსენებული ოთხი ბრუნვა მხოლოდ განსაზღვრულ სახელებს ექნებათ: სახ. ჭალა-რ „ყმაწვილი", ერგ. ჭალა-მ, მოქმ. ჭალა-მ-ჭა, გარდაქც. ჭალა-უ (განუსაზღვრელი: ჭალა — მოქმ. ჭალა-ჭა, გარდაქც. ჭალ-აუ)...

პირთა სახელები, აგრეთვე სხვა საკუთარი სახელები (ქალაქებისა, მდინარეებისა, ზღვებისა...) ჩვეულებრივ არ დაირთავენ განსაზღვრულობის ფორმანტებს: მურათ, როზა — სახელობითში, ერგატივში არაა მარკირებული, უნიშნოა[3]. ფუძის სახით აღებული სახელი ორივე ბრუნვის როლს ასრულებს.

გვარები, ფსევდონიმები... ადიღეურში დაირთავს სახელობითისა და ერგატივის ნიშნებს[4]. აღსანიშნავია, რომ პირთა სახელებმაც შეიძლება -რ და -მ ფორმანტები დაირთონ[5]. ცხადია, ეს მეორეული მოვლენაა. ამრიგად, გვექნება პარალელური პარადიგმები:

სახ. მურათ „მურადი"	მურათ-რ
ერგ. მურათ	მურათ-მ
მოქმ. მურათ-ჭა	მურათ-მ-ჭა
გარდაქც. მურათ-აუ	მურათ-აუ[6]

---

[1] Г. В. Рогава и З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Майкоп, 1966, §§ 48—51, გვ. 60—65.

[2] იქვე, § 48, გვ. 60.

[3] იქვე, გვ. 60.

[4] იქვე, გვ. 65.

[5] იქვე, § 51, გვ. 63.

[6] იქვე, გვ. 64.

ადიღური ენების ბრუნვათა შორის არც მიცემითი ჩანს და არც ნათესაობითი: მათ ფუნქციებს გადმოგვცემს ზმნა (ნაცვალსახელოვანი ნაწილაკებით) და საზღვრულის კუთვნილებითი პრეფიქსები.

ამრიგად, ნათესაობითი და მიცემითი არა გვაქვს, ერგატივი და სახელობითი მხოლოდ განსაზღვრულ სახელებში გვაქვს, — განუსაზღვრელებს ერგატივი და სახელობითი არა აქვთ მარკირებული. გვრჩება მოქმედებითი და გარდაქცევითი: მათ „კალათი“ — მოქმ. მათა-ჭა „კალათათი“, გარდაქც. მათ-აუ „კალათად“... დგდგ „სადგისი“ — მოქმ. დგდგ-ჭა „სადგისით“, გარდაქ. დგდ-აუ „სადგისად“ [1]...

ადიღეურში ყველაზე ადრე ჩამოყალიბებული ჩანს მოქმედებითი და გარდაქცევითი... აღსანიშნავია, რომ აფხაზურსაც თითქოს ეწარმოება მოქმედებითი და გარდაქცევითი: -ლა აწარმოებს მოქმედებითს, -გს — გარდაქცევითს. აბ-გს „მამად“, ჩ₃გ-ლა „ცხენით“[2] განუსაზღვრელი. ეს კია, რომ განსაზღვრული სახელი დაირთავს -ლა ნაწილაკს არა უშუალოდ, არამედ ნაცვალსახელოვანი ნაწილაკითურთ: ა-ჩ₃ა- ა-ლა „ცხენით“ (ნაცვლად მოსალოდნელი: „აჩ₃ გ-ლა-სი): -ლა ნაწილაკი ჯერ კიდევ არ ქცეულა ფორმანტად, იგი დამოუკიდებლად ფორმდება (-ღ₃: ა-ლა).

მაინც საყურადღებოა, რომ მოქმედებითს და გარდაქცევითს აქვს ყველაზე მყარი პოზიცია ადიღეურ ბრუნვათა სისტემაში, აფხაზურშიც მოქმედებითი და გარდაქცევითი შინაარსის აღნიშვნით იწყება ბრუნების ჩამოყალიბების პროცესი.

ქართულშიც მოქმედებითი და გარდაქცევითი ჩანს ნათესაობითისა და მიცემითის წინამორბედად, ე. ი. ყველაზე ძველი ფორმაციის ერთეულებია ბრუნებაში (მოთხრობითი და სახელობითი ყველაზე ახალი წარმონაქმნია).

ამის მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ მოქმედებითი და გარდაქცევითი ყველაზე ახლოსაა სიტყვაწარმოებასთან და ყველაზე შორსაა წმინდა სინტაქსური ფუნქციის მქონე ერთეულებისაგან, როგორიცაა მიცემითი და ნათესაობითი.

---

[1] Г. В. Рогава и З. И. Керашева, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

[2] К. В. Ломтатидзе, Абх, яз., ИКЯ-ки, გვ. 110.

ბრუნვათა ერთი ჯგუფი — მოქმედებითი, გარდაქცევითი—იმდენად სინტაქსურ ურთიერთობას არ გამოსატავს, რამდენადაც სიტყვაწარმოებითს ელემენტებს უახლოვდება; ბრუნვათა მეორე ჯგუფი — ერგატივი, სახელობითი— განსაზღვრულ ნაწევრებს ეტოლება; მესამე ჯგუფი — ნათესაობითი და მიცემითი—უველაზე მეტად გადმოგვცემენ სინტაქსურ ურთიერთობას.

ეს ბრუნვები (ნათესაობითი და მიცემითი) გვაკლია აფხაზურსა და ადიღურ ენებში (მიცემითის ფუნქციას ზმნა ასრულებს). ამ ბრუნვათა ჩაბოყალიბებაში, როგორც ჩანს, გრამატიკული კლასის ფორმანტები იღებენ მონაწილეობას.

ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტში ამჟამადაც პროდუქტიულია კლასნიშნიანი მიცემითი. რის კლასს აღნიშნავს ეს მიცემითი? იმ სახელობითი ბრუნვისას, რომელსაც ეთანხმება ზმნა: შამილი-ვ-ე ვ-ოტ•ულა ვაც „შამილს უყვარს ძმა"... მაგრამ: შამილი-დ-ე დ-ოტ•ულა დ-აც „შამილს უყვარს და". შამილი-ბ-ე ბ-ოტ•ულა ვატან „შამილს უყვარს სამშობლო"... შამილი-რ-ე რ-ოტ•ულა ლ'იმალ „შამილს უყვარს ბავშვები"...[1].

ამჟამად ხუნძური სალიტერატურო ენაცა და დიალექტთა მეტი წილი ერთ ფორმას ხმარობს მიცემითში: შამილი-დ-ე „შამილს", ვაც-ას-ე „ძმას", დაც-ალ'•-ე „დას", რუყ-ალ'•-ე „სახლს"... ვაც-აზ-ე „ძმებს", დაც-აზ-ე „დებს", რუყ-ზ-აბ-ა-ზ-ე „სახლებს". კლასოვანი, კონკრეტული ვარიანტები გოიშალა. მხოლოობითშიც და მრავლობითშიც ერთი ფორმანტი -ე- აღნიშნავს მიცემითს.

ხუნძური ნაცვალსახელი პირველისა და მეორე პირისა მიცემითში ამჟამად ერთი ფორმით არის ცნობილი: დი-დ-ე „მე", დუ-დ-ე „შენ"; „ჩვენ" (ექსკლ.) ნექე-დ-ე//(ინკლ.) ნელ'ე-დ-ე, ნოყო-დ-ე „თქვენ". უველგან ანწუხურში გვექნება კლასოვანი ვარიანტები:

მიც. „მე": დი-ვ-ე, დი-დ-ე, დი-ბ-ე, დი-რ-ე
„ჩვენ" (ექსკლ.): ნექე-ვ-ე, ნექე-დ-ე, ნექე-ბ-ე, ნექე-რ-ე
„ჩვენ" (ინკლ.): ნელ'ე-ვ-ე, ნელ'ე-დ-ე, ნელ'ე-ბ-ე, ნელ'ე-რ-ე
„შენ": დუ-ვ-ე, დუ-დ-ე, დუ-ბ-ე, დუ-რ-ე
„თქვენ": მუქ-ე-ვე, მუქე-დ-ე, მუქე-ბ-ე, მუქე-რ-ე[2]

[1] იხ. ცერცვაძე, ანწუხური დიალექტი, იკე, II (1948), გვ. 165.
[2] ა. ცერცვაძე. არნ. ჩიქობავა, ხუნძური ენა, § 13, გვ. 220—221.

გრამატიკული კლას-კატეგორიები შეიძლება ნათესაობითმა ბრუნვამაც განასხვავოს. ამის ნიმუშს ანდიური ენა იძლევა: ნათესაობითი მსაზღვრელის როლში გამოდის, მასში აღინიშნება საზღვრული სახელის გრამატიკული კლასი: იმუვ ვოცი „მამის ძმა“[1]; ვოცი „ძმა“ პირველი გრამატიკული კლასისაა (-ვ-), ნათესაობითიც -ვ-ნიშანს ურთავს (იმუ-ვ); „მამის და“ იქნება იმუ-ჲ ჲ-ოცი; მამის ცხენი „იმუბ კოტუ“... მრავლობითში დასმული საზღვრული ინარჩუნებს კლასის ნიშანს: იმუ-ვ-ულ ვოცაულ „მამის ძმები“...

ნათესაობითის კლას-ნიშნიანი ფორმები ეწარმოება არა ყველა სახელს, არამედ მხოლოდ პირველი გრამატიკული კლასის სახელებს (არსებითს, ზედსართავს, პირის ნაცვალსახელებსა და კითხვითს ნაცვალსახელებს კითხვაზე ვინ?) [2]. ნივთის კატეგორიის სახელებს ნათესაობითში (ყველა კლასისთვის) ერთი ფორმანტი აქვს (ლ′ი).

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობას თავისებურად გამოხატავს აფხაზურიც, რომელსაც ნათესაობითი არ მოეპოვება:

ახაწა ი-ხგ „მამაკაცის თავი“ (უფრო ახლოს იქნებოდა: „მამაკაცი მისი თავი“ „человек е г о-голова“)

აფჰას ლ-ხგ „ქალის თავი“ („ქალი მისი თავი“, женщина ее-голова)

ალა ა-ხგ „ძაღლის თავი“ („ძაღლი მისი თავი“)

ამრიგად, აფხაზური კუთვნილების ნაწილაკებს იშველიებს და ეს ნაწილაკები განასხვავებენ ადამიანის გრამატიკულ კატეგორიას ნივთისასაგან, ვინ-კატეგორიას რა-კატეგორიისაგან, თვით ვინ-კატეგორიაში გარჩეულია ქალი და კაცი — ი-ხგ, ლ-ხგ, ა-ხგ:

ი-ხგ ნიშნავს: თავი კაცს ეკუთვნის — ი-პრეფიქსი გვაქვს;

ლ-ხგ მიუთითებს, რომ თავი ქალისაა—ლ-პრეფიქსი ამიტომ გვაქვს:

ა-ხგ — თავი ნივთის კატეგორიის სახელს ეკუთვნის, ძაღლისაა.

გრამატიკული კლასის ფორმანტები ანდიურის სახელებსაც აქვს, როგორც ვნახეთ, ოღონდ ეს ფორმანტები მსაზღვრელს დაერთვის სუფიქსად: ამ სუფიქსს წინ ხმოვანი უძღვის -უ (იმ-უ-ვ/ჲ/ბ, იმაშ-უ-ვ/ჲ/ბ); ხუნძური ნათესაობითი ინს-უ-ლ „მამისა“ აგრეთვე გამოაელენს ნათესაობითში -ლ-ს წინ ამ უ-ს.

---

[1] შეიძლება გვქონდეს იმ-აშ-უ-ვ, ერგატივზე დამყარებული, მაგრამ კლასის ნიშანი -ვ აქაც გვექნება: ილ. ცერცვაძე, ანდიური ენა, 1965, § 58.

[2] ИКЯ-кII, გვ. 281.

ხუნძური ინსულ „მამისა“ ერთადერთი ფორმაა ნათესაობითისა, კლასიანი ვარიანტები მოშლილია, ერთ-ერთი ვარიანტი განზოგადებულა; ესაა -ლ (←რ), ნივთის მეოთხე კლასის ნიშანი ლ//რ (შდრ. ვაც-ა-ლ რუგო).

ქართულში ისევე, როგორც ხუნძურში, ნათესაობითის უნიფიცირებული ფორმანტი გვაქვს: -ის (კაც-ის, მამ-ის, ხ-ის, ორმო-ს — ←ორმო-ის-). ეს ფორმანტი (-ი-ს) შეიცავს ხმოვნითს ელემენტს (-ი-) და თანხმოვნითს ელემენტს -ს.

საფიქრებელია, ეს -ს წარმოშობით უკავშირდებოდეს ნივთის კატეგორიის გრამატიკულ ნიშანს -ს (სა-ზუერ-ე, სა-რწყულ-, სა-ხრ-ე).

ამიტომ ბუნებრივი ჩანს, როცა მიცემითში კვლავ -ს თანხმოვანი გამოჩნდება: კაც-ს, მამა-ს, ხე-ს, ორმო-ს; -ს ნივთის კატეგორიის ფორმანტია, მიცემითშიც ნახმარი განზოგადებულად. ნათესაობითში -ს-თანხმოვანს -ი- უძღვის. მიცემითს ამჟამად ხმოვნითი ელემენტი არ ახლავს, მაგრამ უნდა ჰქონოდა -ა (ხის ძირ-ა-ს; ზღვის პირ-ა-ს... შდრ. აგრეთვე გარდაქცევითის -ა-: კაც-ა-დ, მხეც-ა-დ და სხვა თანხმოვანფუძიან სახელებში; სვანურის ჩვენებაც -ა-ს უპერს მხარს; აგრეთვე მეგრულის: მანგარ-ა-ს „მაგრად“, სქვამ-ა-ს „ლამაზად“...)

მოქმედებითი ბრუნვის -ი-თ და გარდაქცევითის -ა-დ იმეორებენ ნათესაობითის -ი-სა და მიცემითის -ა-ს, თანხმოვნითი ელემენტი კი სხვაა: -დ (და -თ←დ). ეს -დ ელემენტი კვლავ სათანადო კლას-ნიშნისაკენ მიმართავს ჩვენს ყურადღებას: -დ უფრო არქაულია, ვინემ -ს, იგი ზმნებშიც შემოგვენახა (დეგ, თქუ←დ-ქუ... ვ. თოფურია, იხ. ზემოთ).

. -ს და -დ-ს გარდა -ნ- არის საეარაუდებელი ბრუნვის ნიშანში. სვანურში ეს სახეობაც უნდა გვქონდეს შემონახული გადმონაშთებში; ამის ნიმუში იქნება გამოთქმები: ამგნ ხოჩა „ამის უკეთესი“ (ზედმიწევ.: „ამის კარგი“)... სემ-ინ სემი „სამჯერ სამი“ (ზედმიწევ. „სამის სამი“)[1].

. ნივთის კატეგორიის ვარიანტის გარდა ადამიანის კატეგორიის ვარიანტიც უნდა გვქონოდა; ანდ. იმუ-ვ, იმუ-დ, იმუ-ბ-ვარიანტების ნაცვლად ქართულს აქვს ერთი ვარიანტი: მამ-ი-ს... „მამ-ი-ვ“ ვარიანტი (ანდა:

---

[1] ნათესაობითის -ინ ვარიანტს სვანურში, აგრეთვე -ა ხმოვანს სვანურში გახაზავდნენ ნ. მარი, ვ. თოფურია. -ი- ფორმანტს ნათესაობითში კუთვნილებით ნაცვალსახელოვან ელემენტად თელიდა გ. როგავა.

მამ-ი-მ) მოსალოდნელი იყო, მაგრამ არ დასტურდება (ღმრთ-ივ; იგურდ-ივ, მარცხნ-ივ ტიპის წარმოება მოქმედებითის გაგებით იხმარება ბაცბურში ნივთის კატეგორიის სახელებში... -ივ-სუფიქსიანი მოქმედებითი ქართული ბრუნების სისტემის გარეშე დგას და შეთვისებული უნდა იყოს ძველ ქართულში).

ამრიგად, კლასოვანი ფორმები ბრუნვათა ნიშნებში შემორჩენილი გვაქვს მიცემითში (ხუნძურში) და ნათესაობითში, აგრეთვე აფექტურში (ანდიური ენის ბრუნებაში) [1].

კლასოვანი ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი ს უნიფიკაციამ მოგვცა ბრუნვათა გ ა ნ ზ ო გ ა დ ე ბ უ ლ ი ვარიანტები, როგორც ეს გვაქვს ამჟამად ნახურს, დაღესტნურსა და ქართველურ ენებში.

რა კლასოვანი ვარიანტები უნდა გექონოდა ნათესაობითში, ეს დამოკიდებული იყო საზღვრულზე (ანდ. იმ-უ-ბ კოტუ „მამის ცხენი"): საზღვრულის კლასი აისახებოდა ნათესაობითში მსაზღვრელთან ს უ ფ ი ქ ს ი ს სახით (იმუ-ბ „მამისა რაღაცა").

აფხაზურში მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ს კლასი აისახება ს ა ზ ღ ვ რ უ ლ შ ი და დაერთვის საზღვრულს პრეფიქსის სახით (ახაწა ი-ხგ „კაცის თავი", „კაცი მისი თავი"). აფხაზურის ი-პრეფიქსი რომ წინა სიტყვას, მსაზღვრელს შეუერთდეს, მივიღებდით ახდიურ მოდელს: აფხ. ახაწა-ი ხგ „კაცის თავი" — შდრ. ანდ. იმ-უ-ბ კოტუ „მამის ცხენი"...

აფხაზური, ანდიური, ხუნძური (სხვა დაღესტნური ენებიც, აგრეთვე ნახური და ქართველური ენები) წარმოგვიდგენენ ერთი და იმავე პროცესის სამ საფეხურს: I. კლასნიშნიანი ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი თ (აფხ.), II. კლასნიშნიანი მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი თ (ანდ.) და III. უ კ ლ ა ს ნ ი შ ნ ო მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი თ (ნათესაობითში: ხუნძ. ინსულ ჩუ, ქართ. მამის ცხენი).

ბრუნვის ნიშანთა გენეზისი კლასოვანი ვარიანტებიდან მოდის. ამას უნდა უკავშირდებოდეს ბრუნების პროცესის მაქსიმალური ერთფეროვნება; ვთქვათ, ქართულში, ზანურში ერთი ბრუნებაღა გვაქვს; სხვადასხვა სახელები ერთნაირ ბრუნვის ნიშნებს დაირთავენ. სხვაობა თუ გვაქვს, ამას ფონეტიკური პროცესები იწვევს: ან ბრუნვის ნიშნის დართვისას სახელის ფუძეს ეკარგება ხმოვანი (კედელ — კედლ-ის-ა, კედლ-ით-ა, კედლ-ად-ა) ანდა, პირუკუ, სახელის ფუძის ბოლოკიდურ

---

[1] იხ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, § 60, გვ. 116.

ამოვანთან შეხვედრისას ბრუნვის ნიშანი კარგავს ხმოვანს: ორმო — ნათ. ორმო-ს (←ორმო-ის) პირი, ყრუ-ს (←ყრუ-ის) მეზობელი...

§ 31. ორფუძიანი ბრუნვების პრინციპი იბერიულ-კავკასიურ ენებში

ერგატიულ ბრუნვასთან რიგ იბერიულ-კავკასიურ ენაში დაკავშირებულია „ორფუძიანი ბრუნება". ორი ფუძე ჩვეულებრივია ნაცვალსახელის ბრუნებაში: სახ. ის—ერგ. მან, ლათ. სახ. ego „მე"—ნათ. mei, რუს. სახ. я „მე" — ნათ. меня, სახ. он „ის" — ნათ. его, გერმ. სახ. er „ის" — ნათ. seiner, მიც. ihm, აკუზ. ihn... ორი ფუძე ყველა ამ შემთხვევაში გულისხმობს ორ სხვადასხვა ფუძეს. მეორე ფუძე ჩვეულებრივ დანარჩენ ბრუნვებშია გამოყენებული. ორფუძიანობა აქ სუპლეტიურია: საბრუნებელი სახელების ძირი იცვლება.

ამისგან განსხვავებით ჩვენს შემთხვევაში ძირი არ იცვლება, სახელობითი ერთ ფუძეს გვაძლევს, ამოსავალს, ერგატივი — მეორეს: ნათესაობითსა და მიცემითში ბრუნვის ნიშნები დაერთვის ერგატიულ ბრუნვას, მთლიანად აღებულს.

ხუნძ. სახ. ა-უ „ეს" (I კლ.), ა-ჲ (II კლ.)... ვაც. „ძმა", ჲაც „და"

ერგ. ა-ს	ა-ლ'ი	ვაც-ა-ს	ჲაც-ა-ლ'ი
ნათ. ა-ს-ულ	ა-ლ'ი-ულ	ვაც-ა-ს-ულ	ჲაც-ა-ლ'ი-ულ
მიც. ა-ს-ი-ჲ-ე	ა-ლ'ი-ი-ჲ-ე	ვაც-ა-ს-ე	ჲაც-ა-ლ'ი-ე

ერგატივი, როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ჩვენებითი ნაცვალსახელების (ა-ს, ა-ლ'ი) დართვით არის ნაწარმოები (შდრ. ძვ. ქართ. ძმა-მან).

შდრ. სახ. ბეტერ „თავი"	ბაყ „მზე"
ერგ. ბოტრო-ცა	ბაყ-უ-ცა
ნათ. ბოტრო-ლ	ბაყ-უ-ლ
მიც. ბოტრო-ჲ-ე	ბაყ-უ-ჲ-ე

ერგატივის ფუძე — (ბოტრო-) განსხვავდება სახელობითის ფუძისაგან (ბეტერ), და ეს ბოტრო გასდევს ნათესაობითსა და მიცემითს, ამ. მხრივ ორი ფუძე გვაქვს, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ მთლიანად ერგატივი (ბოტრო-ცა) არაა გამოყენებული ნათესაობითსა და მიცემითში: ბოტრო-ცა, ბოტრო-ლ... შდრ. ვაც-ას — ვაც-ას-ულ.

ამჟამად, მრავლობითში ორფუძიანობის წესს მისდევს ყველა ხუნძური სახელი (იგულისხმება სალიტერატურო ენა).

სახ. ვაც-ალ „ძმები“	ჟაც-ალ „დები“	ბუტრულ „თავები“
ერგ. ვაც-აზ	ჟაც-აზ	ბუტრ-აზ
ნათ. ვაც-აზ-ულ	ჟაც-აზ-ულ	ბუტრ-აზ-ულ
მიც. ვაც-აზ-ე	ჟაც-აზ-ე	ბუტრ-აზ-ე

ორფუძიანობა, სადაც მეორე ფუძედ გამოყენებულია ერგატივი მ თ ლ ი ა ნ ა დ, დასტურდება რიგ დაღესტნურ ენაში: ლეზგიურში, თაბასარანულში, აღულურში, არჩიბულ'ში...

ორფუძიანი ბრუნების ნიმუშები:

ლეზგ. სახ. დიდე „დედა“
ერგ. დიდე-დი
ნათ. დიდე-დი-ნ
მიც. დიდე-დი-ზ

მრავლ. სახ. დიდე-ჟ-არ
ერგ. დიდე-ჟ-რი
ნათ. დიდე-ჟ-რი-ნ
მიც. დიდე-ჟ-რი-ზ[1]

თაბას. სახ. ულ „თვალი“
ერგ. ულ-ი
ნათ. ულ-ი-ნ
მიც. ულ-ი-ზ

მრავლ. სახ. ულ-არ
ერგ. ულ-არ-ი
ნათ. ულ-არ-ი-ნ
მიც. ულ-არ-ი-ზ[2]

აღულ. სახ. გაგა „მამა“
ერგ. გაგა-დი
ნათ. გაგა-დი-ნ
მიც. გაგა-დი-ს

სახ. კარ „ჯოხი“ მრავლ. კურ-არ „ჯოხები“
ერგ. კარ-უ
ნათ. კარ-უ-ნ
მიც. კარ-უ-ს

ერგ. კურ-არ-ი
ნათ. კურ-არ-ი-ნ
მიც. კურ-არ-ის[3]

არჩიბ. სახ. მულ „მთა“
ერგ. მულ-ლი
ნათ. მულ-ლი-ნ
მიც. მულ-ლი-ს[4]

ორფუძიანი ბრუნების საკითხი დგება ადიღეურში, როცა სახელი განსაზღვრულია: საზ. ჭალჯ-რ „ყმაწვილი“, ერგ. ჭალჯ-მ, მოქმ. ჭალჯ-

[1] У. Мейланова, Лезг. яз., ИКЯ-кII, გვ. 531.
[2] Б. Хашмагомедов, Табасар. яз., ИКЯ-кII, გვ. 549.
[3] А. Магометов, Агульский яз., ИКЯ-кII, გვ. 565.
[4] С. Хайдаков, Арч. яз., ИКЯ-кII, გვ. 612.

მ-ჯ... ასევე წ ქ გ-რ „კაცი“, ერგ. წ ქ გ-მ, მოქმ. წ ქ გ-მ-ჯ... მაგრამ გარდაქცევითი (ტრანსფორმატივი) ერგატივს არ ემყარება: ჭალ-აუ „უმაწვილად“, წ ქ ფ-აუ „კაცად“...: გარდაქცევითს მხოლოდ განუსაზღვრელი სახელის ტრანსფორმატივი შეეფერება. საფიქრებელია, რომ ტრანსფორმატივი წარმოქმნილია უფრო ადრე, ვინემ განსაზღვრულ სახელთა ბრუნების პარადიგმა ჩამოყალიბდებოდა.

ქართველურ ენათაგან ორფუძიანობა შეინიშნება სვანურში (არც ძველ ქართულსა და არც ზანურში სათანადო მოვლენები ცნობილი არაა); სვანური ენის კილოები გამოგვიელენენ ბრუნების ორ განსხვავებულ ტიპს: ორფუძიანობა შეიძლება ემყარებოდეს ერგატივსა და მიცემითს. ერგატივი მხოლოდ მაშინ არის გამოყენებული ფუძედ, თუ ის -ემ სუფიქსით არის ნაწარმოები (-დ-ნიშნიანი ერგატივი ფუძედ არ შეიძლება იყოს გამოყენებული):

სახ. მ̄არე „კაცი[1]	ეჯა „იგი“
ბ-ზმ. ერგ. მ̄არ-ემ	ეჯ-ნ-ემ
ნათეს. მ̄არ-ემ-იშ	ეჯნ-ემ-იშ

არც მიცემითში, არც გარდაქცევითში, არც მოქმედებითში ერგატივი მეორე ფუძედ სვანურში, არც ერთ მის კილოში, არ დასტურდება.

თავისებური კიდევ ისაა, რომ მეორე ფუძედ მიცემითი შეიძლება იყოს გამოყენებული და ეს მიცემითი უდევს საფუძვლად ერგატივსაც და გარდაქცევითსაც. ხშირად მოქმედებითსაც:

ზ.-სვ. სახ. ჟეღ „ძაღლი“[2]	ღ̄ერბეთ „ღმერთი“[3]	ე̄შხუ „ერთი“[3]
მიც. ჟაღ-უ̄	ღ̄ერბათ-უ̄	აშხუ̄
ერგ. ჟაღ-უ̄-ემ	ღ̄ერბათ-უ̄-შ	აშხუ̄-ემ
გარდაქც. ჟაღ-უ̄-დ	ღ̄ერბათ-უ̄-დ	აშხუ̄-დ
მოქმ. ჟაღ-უ̄-შუ		
ნათ. ჟაღ-უ̄-ემ//ბზ. ჟაღ-უ̄-მ-იშ[4]		

---

[1] В. Топурия, Сван. яз., ИКЯ-кн, გვ. 80.

[2] იქვე.

[3] თინ. შარაძენიძე, ორფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებაში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, II (1961), გვ. 225.

[4] ვ. თოფურია, იქვე, გვ. 80.

მიცემითის გამოყენება მეორე ფუძედ მოულოდნელია. ერგატივში ნაცვალსახელოვანი ელემენტი მონაწილეობდა; ასეთი ერგატივი, ნაცვალსახელოვანი ელემენტით განსაზღვრული ერგატივი, ფუძედ რომ გამოვლენილიყო, კიდევ გასაგებია. რატომ უნდა გვქონოდა მეორე ფუძედ მიცემითი? ეს მიცემითი, ერთი შეხედვით, სახელობითის მოსალოდნელ სახეს ეტოლება: ქართ. ძაღ-ლ- — სვ. ჟაღ-უ—ჯაღ-უ... ასევე: ღერბათ-უ, *ღერ-მათ, ჭან. ღორ-მოთ-ი. თვით სვანურ სახელობითში უნდა ჰქონდეს განცდილი ფუძეს ცვლილება.

ნათესაობითში ბალსქვემოურისათვის შენიშნულია უნიშნო ბრუნვა: ხჰმ „ღორი“ — ხჰმ-ემ ერგატივიც არის და ნათესაობითიც... ასევე: მჰრე „კაცი“ — მჰრ-ემ საზიარო ფორმაა ერგატივისა და ნათესაობითისათვის...-ემ ერგატივის ნიშანია, ნათესაობითი უნიშნო, არამარკირებული გამოდის...

-ემ-ფორმანტი ადიღური სუბსტრატიდან მომდინარედ ითვლება[1]. ადიღურ ენებს არც ნათესაობითი აქვთ და არც მიცემითი. ამის უკუფენა შეიძლება გვქონდეს -ემ-ფორმანტიან სვანური ერგატივის თავისებურ მიმართებაში ნათესაობითთან.

სვანური ერგატივის მ-იან ვარიანტს უკავშირებენ ადიღეურის ერგატივის მ-ნიშანს (ს. ჯანაშია, გ. როგავა). იყო ცდა, სვანურის ეს ფორმანტი ქართული ნაცვალსახელური ძირისათვის დაეკავშირებინათ (გ. მაჭავარიანი), ე. ი. ადიღეური წარმომავლობა უარეყოთ.

მ-ფორმანტიანი ერგატივი მხოლოობითშიღა იხმარება, მასთან მ-ფორმანტი გადაჰყვება ნათესაობითში (მარე-მ-იშ „კაც-ის“). ასეთი რამ ქართველურ ენებში არ ხდება: ბრუნების პრინციპია აქ ქართველური ენებისათვის უცხო (ადიღეურისათვის კი — ჩვეულებრივი).

სვანური ზედსართავის ბრუნებისას ბალსზემოურშიც და ბალსქვემოურშიც მეორე ფუძედ ხმარებული მიცემითი -მ-ფორმანტს დაირთავს:

სახ. ხოშა „უფროსი“ — მიც. ხოშა-მ—ერგ. ხოშ-ემ (←ხოშა-ემ?) გარდაქც. ხოშა-მ-დ...[2]

მსაზღვრელად ბრუნებისას წინამავალი ზედსართავი -მ-ფორმანტია-

---

[1] ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, „შრომები“, III (1959).

[2] В. Т. Топурия, Сван. яз., ИКЯ-кн, გვ. 80.

ნია ყველა ბრუნვაში: სახ. ხოჩა გეზალ „კარგი შვილი“ — მიც. ხოჩამ გეზალს, ერგ. ხოჩამ გეზალდ, ნათ. ხოჩამ გეზლიშ...

სახელობითისაგან განსხვავებული მეორე ფუძე აქვს წინამავალ მსაზღვრელს ჩაჩნურში, ბაცბურში.

ჩაჩნური: სახ. ში გოვრ „ორი ცხენი“
ერგ. შინა გოვრო
ნათ. შინა გოვრან
მიც. შინა გოვრანა[1]

ცალკე აღებული სიტყვა შიც „ორი“ ბრუნვის ნიშნებს დაირთავს: სახ. შიც, ერგ. შიმმა, ნათ. შინნან, მიც. შინნა... არც ერთი ამ ბრუნვის შეკვეცილ სახეს „შინა“ არ წარმოადგენს.

ბაცბური სახ. მარჭ-ინ ჭუდ „შავი ქუდი“—მრავლ. მარჭინ ჭადბი „შავი ქუდები“

ერგ. მარჭიჩ ჭუდევ	მარჭიჩ ჭადბინ
ნათ. მარჭიჩ ჭუდე[6]	მარჭიჩ ჭადბინ[6]
მიც. მარჭიჩ ჭუდენ	მარჭიჩ ჭადბინ[2]

ეს ერთგვარად მოგვაგონებს ქართულში ჩვენებითი ნაცვალსახელის ცვლას, როცა იგი მსაზღვრელად გვაქვს: ის კაცი, მაგრამ:

იმ კაცმა
იმ კაცს
იმ კაცის
იმ კაცით...

§ 82. თანდებულიანი ბრუნვები ქართულში

სახელობითი, ერგატივი, ნათესაობითი, მიცემითი ძირითადი ბრუნვებია ქართველურსა, ნახურსა და დაღესტნურ ენებში (ნათესაობითის საკითხი არ დგას აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებში).

ქართველურს, ნახურსა და დაღესტნურ ენებში სახელის ბრუნებისათვის (ძირითად ბრუნვათა გარდა) დამახასიათებელია თანდებუ-

[1] Ю. Д. Дешериев, Чеч. яз., ИКЯ-кII, გვ. 197.
[2] Ю. Д. Дешериев, Бацб. яз., ИКЯ-кII, გვ. 235.

ლიან ბრუნვათა წყება. ქართველურ ენათაგან თანდებულიანი ბრუნვები ქართულში გვაქვს უპირატესად, სვანურსა და მეტადრე ზანურში ეს ბრუნვები სისტემას არა ქმნიან.

თანდებულიანი ბრუნვა იბერიულ-კავკასიურ ენებში ეფარდება წინდებულიან ბრუნვას რუსულსა და სხვა ევროპულ ენებში: мегобрисатвис для друга: мегобартан у друга: с другом; мегобрисакен к другу; мегобрисган от друга; мегобрамде до друга;... софлисатвис для деревни, софелтан у деревни: софлисакен к деревне, по направлению к деревне: софлидан из деревни: софлисаган от деревни; софелзе на деревне; над деревней; софламде до деревни...

თანდებული სხვადასხვა სახელთან ერთისა და იმავე მნიშვნელობისა ვერ იქნება: мегобарши... софелши... мдинареши... ჩანთაში... თვით ერთ სიტყვასთანაც სხვაობა შეიმჩნევა: мегобарши არ გავცელი... мегобарши მოვტყუვდი — სემანტიკური სხვაობის სათავე ზმნაშია, ზმნის მნიშვნელობაში.

თანდებულის გარდა სახელის ამა თუ იმ ბრუნვას ზმნისართიც მოითხოვს: софлის უკან, წყალს გაღმა, იატაკს ქვეშ: თანდებულიან ბრუნვებში შემოაქვთ ხშირად ზმნისართიანი ბრუნვაც, ეს გასაგებია: არა ერთი თანდებული -ზე(და), -ში(ნა), -კენ (←კერძ) წარმოშობით ზმნისართია, თანდებულიან ბრუნვათა რიცხვი ასეთ შემთხვევაში იზრდება (ნებისმიერად).

წინდებული შეიძლება შეეზარდოს სახელს: завтра (←за утра), „ხვალ", вниз (←в низ) „უცებ", „თვალის დახამხამებაში", сначала (←с начала) „ჯერ", „დასაწყისში". სახელთან შეზრდილი წინდებული ქმნის ზმნისართს; შდრ. вначале (=сначала) ზმნისართის გაგებით და в начале (в начале улицы „ქუჩის დასაწყისში") — წინდებულიანი სახელი.

წინდებულის შეხორცება სახელთან არც თუ ხშირია: სახელი სხვა ბგერით დაიწყება (низ—вниз) და პირვანდელი გაგება იცვლება. თანდებულის დართვისას კი სიტყვის დასაწყისს ცვლილება არ მოუდის; არსებით სახელს თანდებული ამიტომ უფრო ადვილად შეერწყმის. თანდებულიან სახელში შეიძლება იცვალოს ან თანდებულის ანდა ბრუნვის ნიშნის ბგერითი მხარე; შეიძლება ცვლილება განიცადოს თანდებულმაც და ბრუნვის ნიშანმაც.

ახლანდელი -ზე, -ში, -კენ-ის ნაცვლად ძველ ქართულში ჰქონდა ზედა, შინა (//შიგან), კერძ... ეს სიტყვები მნიშვნელობის მქონე უფორმო სიტყვები იყო, ე. ი. ზმნისართებს წარმოადგენდნენ. თანდებულად ხმარებისას მათი ბგერითი შედგენილობა გამარტივდა: ზედა — ზე; შინა (//შიგან) -ში; კერძ — -კენ...

-კენ- თანდებულის დართვისას სათანადო ბრუნვის ნიშანი სახეს იცვარჩუნებს: სკოლისა-კენ... ნაპირ-ისა-კენ... სოფლ-ისა-კენ... თანდებულიანი ნათესაობითია: ბრუნვის ნიშანი (-ის-ა) დაცულია თანდებულის წინ. ასევე -თვის თანდებულის დართვისას: მეგობრ-ისა-თვის. სკოლ-ისა-თვის...

მაგრამ -ზე, -ში თანდებულთა დართვისას ბრუნვის ნიშანი იკარგება: მთა-ზე, მთა-ში... ხე-ზე, ხე-ში... ორმო-ზე, ორმო-ში... ყრუ-ზე, ყრუ-ში... ყველგან დაკარგულია მიცემითის ს: თანდებულიან მიცემითში სახელი თითქოს უნიშნოა, არაა მარკირებული.

-მდე-თანდებულის დართვისას გარდაქცევითი ბრუნვის -დ აგრეთვე დაკარგულია: სკოლად-მდე—სკოლა-მდე... ნახვად-მდე—ნახვა-მდე... (აქ -მდე სახელის ფუძეს რომ არ დართვია, ახალი ქართულის ჩვენებაც ცხადყოფს: მეგობრ-ამდე, კედლ-ამდე)...

-გან ნათესაობითს დაერთვის და ბრუნვა არ იჩრდილება (მეგობრისა-გან, ძმ-ისა-გან...), მაგრამ მოქმედებით ბრუნვას დართული, თვითონაც მარტივდება და ბრუნვის ნიშანსაც ცვლის: ქალაქ-ით-გან— —ქალაქ-იდ-გან—ქალაქ-იდ-ან — არც მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი -ით დასტურდება და არც გან-თანდებული.

იმავე მოქმედებითს შეიძლებოდა დართვოდა ზმნისართი — დ ა ღ მ ა (//დ ა ღ მ ე)—დ ა მ ა—დ ა მ: ქალაქ-ით-დაღმა—ქალაქ-იდ-დაღმა— —ქალაქ-იდამა...

გვაქვს თუ არა საფუძველი თანდებულიანი ბრუნვა ცალკე დაბოლოებელ ერთეულად შევიტანოთ ბრუნვათა სისტემაში? ჯერ კიდევ მარი ბროსემ თავის „ქართულ გრამატიკაში“ (1834 წ.) გამოყო „მარტივი ბრუნვები“ (როგორიცაა: წრფელობით-შემასმენლობითი, ნათესაობითი, მიცემითი, წოდებითი, მოქმედებითი, ვითარებითი...) და „რთული ბრუნვები“; ასეთია სამი: 1. დაწყებითი („ბაგისა-გან“), 2. კაუზალური („ბაგისა-თვის“), 3. ლოკალური („ბაგასა-შინა“, „ბაგასა-თანა“) [1].

[1] M. Brosset, L'art libéral ou Grammaire géorgienne, 1834, გვ. 44.

ამრიგად, თანდებულიანი ბრუნვები ანუ „რთული ბრუნვები" ქართული ენის ბრუნვათა სისტემაშია შეტანილი და ძირითად („მარტივ") შვიდ ბრუნვას სამი „რთული ბრუნვა" ერთვის.

ქართული გრამატიკის საუნივერსიტეტო კურსშიც („ქართული გრამატიკის საფუძვლებში" ა. შანიძისა, 1953) თანდებულიანი ბრუნვები (ოღონდ ყველა — არა!) შეტანილია ბრუნვათა სისტემაში.

თანდებულიან ბრუნვებს (ისევე, როგორც წინდებულიან ბრუნვებს) სინტაგმის მნიშვნელობის თვალსაზრისით თავისი ადგილი აქვს: მაგიდას — მაგიდაზე, მაგიდაში, მაგიდასთან, მაგიდიდან... სემანტიკურად იდენტური როდია; ოღონდ განსხვავება სემანტიკურ-სტილისტიკური ხასიათისაა, ბრუნვა კი მორფოლოგიურ კატეგორიას წარმოადგენს, ე. ი. სტრუქტურული ერთეულია. ბუნებრივია, სტრუქტურული ერთეულები გამოიყოს სტრუქტურული ნიშნის მიხედვით (და არა ფუნქციურ-სემანტიკური საზომით).

§ 89. თანდებულიანი ბრუნვები მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში

ამ ბრუნვათა ხვედრი წონა ხსენებულ ენათა ბრუნებაში ძალზე დიდია. ჩვეულებრივ მას ლოკალურ ბრუნვებს (ლოკატივებს, ე. ი. ადგილობითს) უწოდებენ.

ამ ბრუნვათა შესახებ ხუნძურში ილ. ცერცვაძე წერს: „აღვილობითი ბრუნვები ხუნძურში ხუთ წყებას (სერიას — ჟირკოვი) ქმნის. თითოეულ წყებაში სამ-სამი ბრუნვაა: 1. ადგილობითი — Locativus (სად?), 2. მიმართულებითი — Allativus (საითკენ?), 3. დაშორებითი — Elativus (საიდან?). თითოეულ წყებაში შემავალი ეს ბრუნვები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ერთია — მდგომარეობის (ვ. უსლარის ტერმინოლოგიით: покой — სად?) გამომხატველი ბრუნვები (ანუ სტატიკური ბრუნვები) და მეორე — მოძრაობის (საითკენ? საიდან?) გამომხატველი ბრუნვები (ანუ დინამიკური ბრუნვები). მოძრაობის გამომხატველი ბრუნვები ინარჩუნებენ იმავე კონკრეტულ მნიშვნელობებს, რაც მდგომარეობის გამომხატველ ბრუნვებს აქვთ (შდრ. მაგ.: სად? „ქვაზე", „ქვის ქვეშ" და ა. შ. საითკენ? — „ქვაზე-კენ", „ქვის-ქვეშ-კენ" და ა. შ. საიდან? — „ქვაზე-ით", „ქვის-ქვეშ-ით" და ა. შ.)[1].

---

[1] არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი, 1962, § 91, გვ. 149 და მომდ.

სახელი განჭ „ქვა“ ადგილობით ბრუნვათა ოთხ სერიას, ე. ი. თორმეტ თანდებულიან ერთეულს მოგვცემდა:

I წყება: ადგილ. განჭი-და „ქვაზე“.
მიმართ. განჭი-დე „ქვაზე-კენ“
დაშორ. განჭი-დასა „ქვაზე-იდან“

II წყება: ადგილ. განჭი-ჯ „ქვასთან“
მიმართ. განჭი-ჯ-ე „ქვასთან-კენ“
დაშორ. განჭი-ჯ-ა „ქვასთან-იდან“

III წყება: ადგილ. განჭი-ტ„ „ქვის-ქვეშ“
მიმართ. განჭი-ტ„-ე „ქვის-ქვეშის-კენ“
დაშორ. განჭი-ტ„-ა „ქვის-ქვეშიდან“

IV წყება: ადგილ. განჭი-ლ′ „ქვაში“
მიმართ. განჭი-ლ′-ე „ქვაში-სკენ“
დაშორ. განჭი-ლ′-ა „ქვაში-იდან“

V წყება განჭ-სახელს არ ეწარმოება.

V წყებას წარმოქმნიან სახელები, რომელთაც ადგილობითი აღენიშნებათ კლას-ნიშნის სუფიქსებით:

ადგილ. როყო-ე (//-ჲ//-ბ//-რ) „სახლში“
მიმართ. როყო-ვ-ე (//-ჲ-ე//-ბ-ე//-რ-ე) „სახლშიისაკენ“
დაშორ. როყო-სჲა „სახლ'იიდან“ [1]

აქ წარმოდგენილი ერთეულები მარტოოდენ თანდებულიან ბრუნვებს არ შეიცავენ, თანდებულიან ბრუნვებს ერთვის მიმართულების მაჩვენებელი ელემენტები. ილ. ცერცვაძის განმარტების თანახმად „მდგომარეობის (სივრცეში ადგილ-მდებარეობის) გამომხატველ ადგილობით ბრუნვათა საწარმოებელი ფორმანტები წარმო'მობით თანდებულებია, მოძრაობის გამომხატველი ბრუნვებიდან მიმართულებითი იყენებს მიცემითის ნიშანს (-ე), დაშორებითი — სიტყვაწარმოებით სუფიქსს (-სჲა) [2].

---

[1] ორნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი, 1962, § 91, გვ. 150—151.

[2] იქვე, § 92, გვ. 156.

ამრიგად. თანდებულებია -და, -ჯ, -ტი, ლ': დაერთვის ეს თანდებულები ნათესაობითი ბრუნვის ფუძეს — განჭი-.

თუ ხუნძურში ადგილობითი ბრუნვების ხუთი სერია გამოიყოფა, თაბასარანულში. მის სამხრულ კილოში. ალ. მაჰომეტოვი გამოყოფს შვიდ სერიას (ვ. უსლარი რვა სერიას გამოყოფდა): ეს სერიებია:

I — მიუთითებს, რომ საგანი იმყოფება რაღაცაში;
II — -ლ//-ნ (-'ილ//-'ინ) — მიუთითებს, რომ საგანი იმყოფება რაღაცაზე;
III — ჯ—მიუთითებს. რომ საგანი იმყოფება რაღაცის იქით, რაღაცის უკან;
IV — ჭი — მიუთითებს, რომ საგანი იმყოფება რაღაცის ქვეშ;
V — -ხ'//ჰ — მიუთითებს, რომ საგანი იმყოფება რაღაცასთან, რაღაცის ახლოს.
VI — ღ' — მიუთითებს, რომ საგანი იმყოფება რაღაცის შორის, რაღაცის შუაში, შიგნით;
VII — -ქ — მიუთითებს, რომ საგანი იმყოფება დაქანებულ ანდა შეეულ სიბრტყეზე (ანდა რაღაცას ეხება) [1].

ადგილობითი ბრუნვები თაბასარანულში იწარმოება ერგატივის ფუძისაგან [2].

ლაკურში ადგილობითი ბრუნვების ექვს სერიას გამოყოფენ და თითოეულ სერიაში ხუთი ერთეულია (გარდა მეხუთე სერიისა: მასში ოთხი ერთეული გამოიყოფა). ასე. მაგალითად, პირველ სერიაში სახელისაგან „სახლ-" მივიღებდით ასეთ ერთეულებს:

ჭაათლუეუ „სახლში"
ჭაათლუეუნ „სახლისაკენ" (в дом)
ჭაათლუეუნმაჲ „სახლის მიმართულებით"
ჭაათლუეუხ „სახლის გამჭოლ" (через дом)
ჭაათლუეა (თუ) „სახლიდან" [3]...

ადგილობითი ბრუნვების გარდა ლაკურში გამოყოფენ „მეტ-ნაკლებად განყენებული მნიშვნელობის მქონე" ცხრა ბრუნვას: ესაა: სახე-

[1] А. А. Магометов, Табасаранский язык, Тбилиси, 1965, § 64, გვ. 117.
[2] იქვე, გვ. 117.
[3] Г. Муркелинский, Лакский язык. ИКЯ-ки. გვ. 493.

ლობითი, ნათესაობით-ერგატიული, მიცემითი პირველი, დაშორებითი პირველი, თანხლებითი (თანაობითი), ინსტრუმენტალისი (იარალისა), შენაცვლებითი, კუთვნილებითი, მიცემითი მეორე [1]. ასე რომ, „ლაკურში „ორმოცამდე ბრუნვაა“ [2]. ეს ბრუნვები ეფარდებიან, როგორც სამართლიანად შენიშნავს ჰ. მეროუელინსკი, რუსული ენის „სახელს ამა თუ იმ წინდებულთან“[3]. რა თქმა უნდა, ცალკე ბრუნვებად რომ მივიჩნიოთ: в дом, в домс, на дому, у дома, возле дома, за домом, около дома, под домом, из под дома, над домом... ბრუნვათა შემადგენლობა რუსულში გაიზრდებოდა: ენის სპეციფიკა ასეთიაო, გვეტყოდნენ. აღწერითი თვალსაზრისი მოითხოვს უველა ასეთი ერთეული აღირიცხოს, როგორც ცალკე ბრუნვაო.

უხერხულობა აქ ის არის, რომ თუ ასე მოვიქცევით, ერთ სიბრტყეზე მოექცევა სხვადასხვა რიგის ოდენობა, სხვადასხვა რიგისა — მოქმედი გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით: საკუთრივ ბრუნვა და თანდებულიანი (resp. ზმნისართიანი) შენაერთი საკუთრივ ბრუნვასთან.

აღწერითი გრამატიკის თვალსაზრისით საფუძვლიანი ჩანს, როდესაც იმავე ლაკერში ვარ. თოფურია გამოყოფს სამ ძირითად ბრუნვას [4], ხოლო თანდებულიან-ზმნისართიან ნაერთებს, საკუთრივ ბრუნვებზე დამყარებულს, ცალკე გამოყოფს.

§ 34. ზმნის კატეგორიებისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში

ამ წრის ენები თვალსაჩინოდ განსხვავდება ზმნის კატეგორიათა მიხედვით. დროისა და კილოს კატეგორია უველა იბერიულ-კავკასიურ ენაში მოგვეპოვება. დროსთან ხშირად შეერწყმულია ასპექტის კატეგორია: იგი უფრო ძველი ჩანს დროის კატეგორიასთან შედარებით. დროთა რაოდენობაც განსხვავებულია არა მხოლოდ სხვადასხვა ჯგუფის ენებში, არამედ თვით ერთისა და იმავე ჯგუფის სხვადასხვა ენაში (მაგ., ქართულში, ზანურსა და სვანურში, აფხაზურსა და ადიღურ ენებში...).

---

[1] Г. Меркелицкий. Лакский язык. ИКЯ-кн, 492.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ვ. თოფერია, ბრუნვათა საკითხი ლაკურ ენაში. საქართ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე. ტ. X—B (1940). გვ. 311.

ი ტ ე რ ა ტ ი ვ ი და მეტადრე კ ა უ ზ ა ტ ი ვ ი ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში გვაქვს.

კილოთა შორის ყველა ენას აქვს ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი და თ ხ რ ო ბ ი თ ი. მასთან ბრძანებითის ფუძე ძველისძველი ჩანს (ძვ. ქართულში, აფხაზურში...).

სხვა კილოთაგან კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი (conjunctivus), პ ი რ ო ბ ი თ ი, ნ ა ტ ვ რ ი თ ი მ ო დ ა ლ უ რ წ ა რ მ ო ნ ა ქ მ ნ თ ა წრეში შედის.

მოდალური წარმონაქმნებით განსაკუთრებით მდიდარია მთის იბერიულ-კავკასიური ენები: ასე, მაგალითად, თ ა ნ ა ო ბ ი თ ი, ს ა უ რ თ ი ე რ თ ო, უ ნ ე ბ უ რ ო ბ ი ს მოდალური კატეგორია ადიღეურსაც აქვს და აფხაზურსაც.

ხუნძურში გამოიყოფა თავისებური მ ო დ ა ლ უ რ ი კატეგორიები: გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ი ს ა, (მოქმედების) დ ა წ უ ე ბ ი ს ა. ჯ ე რ ა რ ს ი ს ა... შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს მოდალური კატეგორია (პ ო ტ ე ნ ც ი ა ლ ი ს ი) დასტურდება ადიღურ ენებში, აფხაზურში. მკვეთრად გამოხატულია ზანურ ზმნაში, სვანური კი მას განასხვავებს ნაწილაკებში (უარყოფის გამოხატვისას); ასევეა ქართულში, სადაც ზმნის ენებით გვარსაც შეიძლება პოტენციალისის გაგება შემორჩენილი ჰქონდეს; ასეთ შემთხვევაში (უარყოფით) ნაწილაკთა გარჩევით ხმარება საჭირო არაა (არ იჭმება=„არ შეიძლება იჭამოს", „ვერ იჭმება"-ო, არ ითქმის).

ასევე, ვ ე რ ს ი ი ს (ქ ც ე ვ ი ს) კ ა ტ ე გ ო რ ი ა ზოგი ენის ზმნას ეწარმოება. ზოგისას არა. ყველაზე დიფერენცირებულია ეს კატეგორია ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში: გაირჩევა ს ა ს უ ბ ი ე ქ ტ ო, ს ა ო ბ ი ე ქ ტ ო, ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ს საპირისპიროდ. სასუბიექტო ვერსია აფხაზურისა და ადიღურ ენათა ზმნამაც იცის. მაგრამ არც ნახური და არც დაღესტნური ენები ამ კატეგორიას ზმნაში არ ასახავენ (კუთვნილება— სასუბიექტო. საობიექტო — ლექსიკური საშუალებით გადმოიცემა).

უფრო არსებითია სხვაობა გ ვ ა რ ი ს კატეგორიის მიხედვით; გვართა შეპირისპირება (ვნებითი: მოქმედებითი) ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნის ქართველურ ენებში: სხვა სამი ჯგუფის ენებში ვნებითის ჩანასახს თუ შევხვდებით.

პ რ ე ე ე რ ბ თ ა სისტემა მოეპოვება ქართველურ ენებს, მაგრამ პრეეერბები უცხოა დაღესტნურ ენათა უმეტესობისათვის (მაგალითად, ხუნძურისათვის); აფხაზურსა და მეტადრე ადიღურ ენებსა და უბიხურ-

ში ზმნის სტრუქტურისა და სემანტიკისათვის, ზმნის უღლილების სისტემისათვის პრეველებთა ხვედრი წონა დიდია.

აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენების ზმნისათვის სპეციფიკური ჩანს ფინიტობა-ინფინიტობის კატეგორია; სხვა ენათა ზმნებს ასეთი კატეგორია არ მოეპოვება (ქართულში ფინიტური და ინფინიტური ფორმების გარჩევა სახელში შეიმჩნევა: ძვ. ქართ. კაცი იგი — კაცი ეინმე... მიმართებითი ნაცვალსახელი: „რომელი“ — „რომელი იგი“; ახ. ქართ. „რომელი“ — „რომელიც“).

ნახურსა და დაღესტნურ ენათა ზმნაში ასეთი კატეგორია არა ჩანს.

აფხაზურ-ადიღური ენები ზმნის ფორმებში განასხვაებენ სტატიკურსა და დინამიკურ ზმნებს.

ქართველურ ენებში ზმნა სტატიკურობა-დინამიკურობას, როგორც მორფოლოგიურ კატეგორიას, არ იცნობს, მაგრამ ზმნის უღლილების სისტემაში სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა სხვაობა ხელშესახებია (ნაკვთეულთა წარმოება, პირიანობა, გარდამავლობა...)[1].

სტატიკური და დინამიკური ზმნების სემანტიკური სხვაობა ნახურსა და დაღესტნურ ენებშიც იგრძნობა.

ყველა იბერიულ-კავკასიური ენის სტრუქტურისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ზმნათა სხვაობას გარდაუვალობა-გარდამავლობის თვალსაზრისით. გარდამავალი ზმნა გარდაუვალისაგან გაირჩევა სინტაქსური გზით, და არა — მორფოლოგიური საშუალებით: გარდამავლობა-გარდაუვალობა სინტაქსურ კატეგორიად გეევლინება; გარდამავალია ზმნა, რომელსაც „უახლოესი ობიექტი“[2] სახელობითში მოეპოვება (ა. შანიძე): „დაწერა ლექსი“, „ააშენა სახლი“...

„დაეხმარა“, „შეებრძოლა“ გარდაუვალი ზმნებია ქართულში: მათ „უახლოესი ობიექტი“, — ობიექტი სახელობით ბრუნვაში, — არ დაერთვის („დაეხმარა“, „შეებრძოლა“ ის მას); ზმნის ფუძის მნიშვნელობა სუბიექტის აქტიურობას გულისხმობს, ბაგრამ სუბიექტისა და ობიექ-

---

[1] მურ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, 1976.

[2] ჩვეულებრივ ამ ობიექტს „პირდაპირს ობიექტს“ უწოდებენ; მაგრამ სინტაქსში „პირდაპირი ობიექტი“ გულისხმობს მორფოლოგიაში „ბრალდებითს ბრუნვას“, აკუზატივს. აკუზატივი კი ამ ენებში არა გვაქვს: აკუზატივის უქონლობაა სწორედ დამახასიათებელი იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. ამ მხრივ „უახლოესი ობიექტი“, ფრ. მიულერის ეს ტერმინი, შესაფერი ჩანს.

ტის ბრუნვა ზმნის გარდაუვალობაზე მიუთითებს. „იგრძნო“, „იცინა“, „დაიძინა“, „გაიღვიძა“, „იშიმშილა“, ფუძის მნიშვნელობას თუ დავემყარებით, გარდაუვალი ზმნები გვეგონება. მაგრამ მათ სუბიექტის ბრუნვად ერგატივი (მოთხრობითი) აქვთ (ისევე, როგორც გარდამავალ ზმნებს) და, როგორც ჩანს, ობიექტსაც სახელობითში იგუებდნენ (დაიძინა მან „ძილი“, იგრძნო მან „თავი“) ე. ი. „უახლოესი ობიექტი“ მოეპოვებოდათ. ამჟამად ეს ობიექტი არა ჩანს. მაგრამ ზმნის უღელილება, მისი პარადიგმატიკა არ ცვლილა: „იგრძნო“, „გაიცინა“, „დაიძინა“... გარდამავალი ზმნებია. თურმეობითი ეწარმოება ინვერსიულად: დაუძინია, გაუცინია, უგრძვნია მას...

უახლოესი ობიექტის ძალას გარდამავლობისათვის ცხადყოფს ის შემთხვევები, სადაც ერთი და იგივე ზმნა გარდამავალია. თუ უახლოესი ობიექტი მოეპოვება, მაგრამ გარდაუვალია, თუ ასეთი ობიექტი არ დაერთვის. ასეთი ლაბილური კონსტრუქცია დროთა ვითარებაში შეიცვალა სტაბილური კონსტრუქციით: „კერავს“ ქართულში გარდამავალია იმისდა მიუხედავად, დავასახელებთ უახლოეს ობიექტს („პერანგს კერავს“) თუ არა. მეტი კიდევ: „უახლოესი ობიექტი“ დროთა ვითარებაში შეიძლება აღარც დაერთვოდეს, ზმნამ კი შეინარჩუნოს გარდამავალი ზმნის პარადიგმათა სისტემა და სუბიექტი ერგატივში (გარდამავალი ზმნისეული კონსტრუქციის— ე. წ. ერგატიული კონსტრუქციის — სტაბილური და ლაბილური ვარიანტების შესახებ უფრო დაწვრილებით — სინტაქსში, § 65).

ძველად გარდამავალი ზმნა გარდაუვალისაგან უნდა ყოფილიყო გარჩეული მორფოლოგიური საშუალებით (ა-შენებ-ს, ა-მშვენებ-ს, ა-დიდებ-ს...):

ა-პრეფიქსი გარდამავალი ზმნისთვის ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო (მ. ბროსე, გ. დეეტერსი)[1].

§ 35. შღვლილების ტიპები იბერიულ-კავკასიურ ენებში

დრო, კილო და კილოსთან ფუნქციურად ახლო მდგომი მოდალური კატეგორიები (თანაობისა, საურთიერთო, უნებურობისა, განზრახვისა...) უპირატესად სემანტიკურ-სტილისტიკური ხასიათისა ჩანს.

---

[1] G. Deeters, Das kharthwelische Verbum, 1930, § 129; M. Brosset, Gram. géor., § 103, გვ. 172.

საკუთრივ მორფოლოგიურ კატეგორიად ზმნაში, პირველ ყოვლისა, პირს მიიჩნევენ: მოქმედება (მდგომარეობა) გულისხმობს პირს, რომელიც მოქმედებს, ანდა რომლის მდგომარეობაზე ზმნა მოგვითხრობს. პირის კატეგორია ზმნისათვის იმდენად ნიშანდობლივად მიაჩნიათ (ინდო-ევროპულ, სემიტურ, ფინურ-უნგრულ თუ თურქულ ენათა ჩვენების მიხედვით), რომ ზმნას განსაზღვრავდნენ პირის კატეგორიის მიხედვით: ზმნა ის მეტყველების ნაწილია, რომელიც პირის მიხედვით იცვლებაო (ისევე, როგორც სახელი — ის მეტყველების ნაწილია, რომელიც ბრუნვის მიხედვით იცვლებაო).

პირთა მიხედვით ცვლა ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში გვაქვს, მაგრამ ენათა დიდი წილი ზმნას ან მხოლოდ კლასების მიხედვით აუღლებს ანდა კლასებისა და პირების მიხედვით.

ამრიგად, იბერიულ-კავკასიურ ენებში ზმნის უღლილების სამი ტიპი დასტურდება: კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი[1]. ცალკე უნდა გამოიყოს ის შემთხვევა, როცა ზმნა არც პირების მიხედვით იცვლება და არც კლასებს განასხვავებს.

თუ ენა გრამატიკულ კლასებს არ განასხვავებს, მას არ შეიძლება ჰქონდეს არც კლასოვანი და არც კლასოვან-პიროვანი უღლილება. მას შესაძლებელია ჰქონდეს პიროვანი უღლილება (ან არა-და გაურჩევლობა პირთა და კლასთა მიხედვით).

კლასოვანი უღლილება გვაქვს: ჩაჩნურში, ინგუშურში, ხუნძურსა და ანდიურ-დიდოურ ენებში[2].

კლასოვანი უღლილება ორგვარია: კლასოვანი სუბიექტური და კლასოვანი ობიექტური: გარდაუვალ ზმნაში შეიძლება აღინიშნებოდეს მხოლოდ სუბიექტის კლასი და რიცხვი (სუბიექტ-კლასოვანი უღლილება). გარდამავალ ზმნაში კი — მხოლოდ ობიექტის კლასი და რიცხვი (ობიექტურ-კლასოვანი უღლილება): კლასოვანი უღლილების პირობებში გარდამავალ ზმნაში სუბიექტი არა ჩანს — სუბიექტის არც კლასი და არც რიცხვი აქ ზმნაში არ აღინიშნება.

---

[1] А. С. Чикобава. Основные типы спряжения глаголов и их истор. взаимоотношения в иber.-кавк. языках. М., 1960.

[2] პირის კატეგორიის ჩანასახის შესახებ ამ ენებში — იხ. ქვემოთ § 41.

კლასოვანი სუბიექტური უღვლილება გარდაუვალი ზმნისა:

ხუნძური (სალიტერატურო ენა):

ვ-უგო დოუ, მუნ, დუნ „არის", „ვარ", „ხარ" ვიღაცა I გრამატ. კლასის სახელი (კაცი)

დ-იგო დოდ, მუნ. დუნ „არის", „ვარ", „ხარ" ვიღაცა II გრამატ. კლასის სახელი (ქალი)

ბ-ეგო დობ მუნ. დუნ „არის", „ვარ", „ხარ", „რაღაცა" III გრამატ. კლასის სახელი (ბავშვი, სახლი)

რ-უგო ნიქ. ნუქ. დოლ „არიან", „ხართ". „ვართ", — I. II. III გრამატ. კლასის სახელები მრავლობითში (კაცები. ქალები. ბავშვები...)

ასევე:

ვ-აჰანა დოუ. მუნ. დუნ. „მოვიდა". „მოხვედი". მოვედი"... „ვიღაცა" I გრამ. კლასის სახელი

დ-აჰანა დოდ. მუნ, დუნ „მოვიდა", „მოხვედი", „მოვედი"... „ვიღაცა" II გრამ. კლასის სახელი

ბ-აჰანა დობ, მუნ, დუნ „მოვიდა", „მოხვედი", „მოვედი"... „რაღაცა" III გრამ. კლასის სახელი

რ-აჰანა ნიქ, ნუქ, დოლ „მოვიდნენ", „მოხვედით", „მოვედით" I, II თუ III გრამატ. კლასის სახელები მრავლობითში (კაცები... ქალები... ბავშვები...).

კლასოვანი ობიექტური უღვლილება გარდამავალი ზმნისა:

ვ-ეცანა დოუ. მუნ. დუნ: „აქო", „აქე". „ეაქე" ვიღაცა I გრამატ. კლასის სახელი (კაცი).

დ-ეცანა დოდ. მუნ. დუნ: „აქო", „აქე". „ეაქე" ვიღაცა II გრამატ. კლასის სახელი (ქალი)

ბ-ეცანა დო-ბ, მუნ, დუნ: „აქო", „აქე", „ეაქე" რაღაცა III გრამატ. კლასის სახელი (ბავშვი. სახლი...)

რ-ეცანა ნიქ. ნუქ. დოლ: „აქო", „აქე". „ეაქე" I. II. III გრამატ. კლასის სახელები მრავლობითში (კაცები. ქალები. ბავშვები. სახლები...)

ამრიგად, ხუნძურში გარდამავალ ზმნასაც 4 ფორმა აქვს და გარდაუვალსაც, ერთიცა და მეორეც ამ ფორმებით სახელის კლასს აღნიშ-

ნავს; გარდაუვალ ზმნაში ესაა **სუბიექტის** კლასი: „არის“, „მოვიდა“ **ვინ თუ რა** კატეგორიის სახელი, ოღონდ არ ვიცით, რა პირზეა ლაპარაკი: სამივე პირს თანაბრად იგუებს ვ-უგო, ბ-უგო, ვა-ჰანა, ბა-ჰანა. პირი ზმნაში არა ჩანს, პირს ნაცვალსახელი მიუთითებს.

რაკი მრავლობითში გრამატიკული კლასები არ გაირჩევა, მრავლობითში ერთი ფორმა გვექნება სამივე კლასის სახელებისათვის.

ვარდამავალ ზმნაში ოთხივე ფორმა **ობიექტის** კლასზე მიუთითებს: ვის აქებენ? ვინ აქეს? პირველი, მეორე თუ მესამე გრამატიკული კლასის სახელი: ვ-ეცანა, ჲ-ეცანა, ბ-ეცანა: ობიექტის კლასი ვიცით, პირი — არა, პირი ნაცვალსახელმა უნდა აღნიშნოს: დუნ ვეცანა, მუნ ვეცანა, დოუ ვეცანა — სამსავე შემთხვევაში ობიექტი I გრამატ. კლასის სახელია...

გარდამავალი ზმნა ობიექტის გარდა სუბიექტსაც გულისხმობს (ვინ აქებს?). **სუბიექტი გარდამავალ ზმნაში არა ჩანს**: არც კლასს, არც რიცხვს სუბიექტისა გარდამავალი ზმნა არ აღნიშნავს.

საერთოდ, გარდამავალი ზმნის შინაარსი გულისხმობს აქტიურ სუბიექტს, სუბიექტის აღნიშვნა აქ უფრო საჭირო უნდა ყოფილიყო, ვინემ გარდაუვალ ზმნასთან, მაგრამ ეს ლოგიკური ვარაუდი არ მართლდება: აქტიური შინაარსის ზმნა იმ სახელზე მითითებას სჯერდება, რომელსაც მოქმედება ეხება, მოქმედი სახელი, სუბიექტი კი ზმნის უღვლილებაში უგულებელყოფილია: **აქტიური მოქმედება მოქმედის, სუბიექტის გარეშე** — ასეთია გარდამავალი ზმნა კლასოვან უღვლილებაში.

კლასოვან უღვლილებაში სუბიექტი (გარდაუვალ ზმნაში) და უახლოესი ობიექტი (გარდამავალ ზმნაში) ერთი და იმავე ფორმანტებით არის წარმოდგენილი: ვ-აჰანა („ვიღაც მოვიდა“...) პირველი გრამატიკული კლასის **სუბიექტს** მიგვანიშნებს, ვ-ეცანა (ვიღაცა „აქო“... „აქეს“) პირველი გრამატიკული კლასის **ობიექტს** გულისხმობს, ორივე სახელობითშია. პიროვან უღვლილებაში სუბიექტი და ობიექტი შეიძლება გარჩეული იყოს (მაგალითად, ვ-აქე—მ-აქო: ვ—S_1, მ—O_1), მაგრამ სუბიექტისა და ობიექტის ერთი და იგივე **პირი** შეიძლება ერთმა და იმავე ფორმანტმა აღნიშნოს. ასეა ეს ადიღურ ენებში, უბიხურში, აფხაზურშიც. სუბიექტისა და ობიექტის **პირის** ნიშანთა გაურჩევლობა ძველი ჩანს, გარჩევა — უფრო ახალი მოვლენა უნდა იყოს.

ძველ ქართულში სუბიექტისა და ობიექტის მრავლობითი ერთი და იმავე (-ენ) სუფიქსით შეიძლებოდა ყოფილიყო აღნიშნული: იგინი (S) წერენ — იგინი (O) ჩვენ დავწერ-ენ-ით; სუბიექტიც, ობიექტიც აქ სახელობითშია დასმული.

§ 87. კლასოვან-პიროვანი უღვლილების ნაირსახეობანი

კლასოვან-პიროვანი უღვლილების ზმნა მოგვეპოვება:
დაღესტნურ ენათაგან — ლაკურში, დარგუულში, თაბასარანულში...
ნახურ ენათაგან — ბაცბურში,
აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებიდან — აფხაზურსა და აბაზურში.

ამ ენებში ზმნა შეიძლება აღნიშნავდეს როგორც სუბიექტის კლასსა და პირს, ისევე ობიექტის კლასსა და პირს — ზოგ ენაში უფრო სრულად, ზოგშიც — ნაკლები სისრულით. ზოგ ენაში ყველა პირი არაა გარჩეული და ორ პირს საზიარო ფორმა აღმოაჩნდება, ზოგ ენას ყველა პირში კლასები არა აქვს გარჩეული; მაგალითისათვის შევუდაროთ ზმნა „არის" ლაკურსა და აფხაზურში:

ლ ა კ უ რ ი: I პ.: ნა-ვ-ურა (I კლ.), ბ-ურა (III კლ.), დ-ურ-ა (IV კლ. და II კლ.) — „ვარ", „ხარ" I, III, IV (და II) კლ. სახ.
II პ.: ინა „ „ „
III პ.: თა (ვ)-ურ-ი. ბ-ურ-ი, დ-ურ-ი „არის" I, III, IV (და II) კლ. სახელი

ლაკურში პირველსა და მეორე პირს საზიარო ფორმა აქვს და იგი უპირისპირდება მესამეს.

ა ფ ხ ა ზ უ რ ი: I პ. სარა სგ-ყოუპ „მე ვარ (ვარსებობ)" „ადამიანი" (კაცი, ქალი), „ნივთი"
II პ. უარა უ-ყოუპ „შენ" (ვაჟი) ხარ, არსებობ"
II პ. ბარა ბგ-ყოუპ „შენ" (ქალი) ხარ, არსებობ"
III პ. დგ-ყოუპ „ის" (ადამიანი) არის, არსებობს"
III პ. ი-ყოუპ „ის" (რაღაც) არის, არსებობს"

კლასისა და პირის მიხედვით უღვლილება ზრდის უღვლილების ფორმათა რიცხვს: გარდაუვალ ზმნას („ვარ", „ხარ", „არის") ლაკურში ექვსი ფორმა აღმოაჩნდა, აფხაზურში — ხუთი (სამის ნაცვლად — ქართულში).

აფხაზურში კლასიცა და პირიც პ რ ე ფ ი ქ ს ე ბ ი თ აღინიშნება, ლაკურში კლასზე პ რ ე ფ ი ქ ს ი მიუთითებს, პირს — ს უ ფ ი ქ ს ი განარჩევს: ასეა ეს გარდაუვალ ზმნებში.

გარდამავალ ზმნებში ობიექტის კლასზე პრეფიქსი მიუთითებს, სუბიექტის პირზე — სუფიქსი.

თაბასარანულში (მის ჩრდილოურ დიალექტში, სადაც გრამატიკული კლასები შემოგვრჩა), გვექნება ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ-ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი უღვლილება (კლასის პრეფიქსითა და პირის სუფიქსით) [1]:

იზე ბ-ისნუ-ზა ჯაყა „მე დავიჭირე ჩიტი“ (სუბიექტი — ზა სუფ., ნიეთის ობიექტი — ბ- პრეფ.)
იუე ბ-ისნუ-უა ჯაყა „შენ დაიჭირე ჩიტი“
დუღუ ბ-ისნუ-უ ჯაყა „მან დაიჭირა ჩიტი“

შდრ. იზუ დ-ისნუ-ზა ბაჲ „მე დავიჭირე ბიჭი“
იუე დ-ისნუ-უა ბაჲ „შენ დაიჭირე ბიჭი“
დუღუ დ-ისნუ-უ ბაჲ „მან დაიჭირა ბიჭი“ [2]

შდრ. სუბიექტური უღვლილება (გარდაუვალი ზმნისა — პირის სუფიქსებით):
იზუ ტირხნუ-ზა „მე გავფრინდი“
იუუ ტირხნუ-უა „შენ გაფრინდი“
დუმუ ტირხნუუ „ის გაფრინდა“ [3]

გარდაუვალ ზმნაში კლასისა და პირის ნიშნები სუბიექტზე მიუთითებს: გარდაუვალი ზმნის კლასოვან-პიროვანი უღვლილება ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა.

გარდამავალ ზმნაში კლასი ობიექტისა ჩანს. პ ი რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ა ა ნაჩვენები. გარდამავალი ზმნის უღვლილება ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ-ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი იქნება.

გარდამავალ ზმნაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს სუბიექტის პირის გარდა ობიექტის პირიც: თაბასარ. უზუ ბისურა-ზა-ვუ „მე შენ გიპერ“[3]. ასეთ შემთხვევაში ობიექტის ნაცვალსახელი „შენ“ (უვუ) არ იხმარება.

---

[1] Ал. Магометов. Табасаранский язык. 1965. § 114. გვ. 198.
[2] იქვე. § 114, გვ. 197.
[3] ალ. მაგომეტოვი. დასახ. ნაშრ., გვ. 204.

თუ სუბიექტად მესამე პირია გამოყენებული, მისი ნიშანი (სუფიქსი) ზმნაში არ გვექნება; უსლარის თქმით: „აწმყო დროში მოქმედ სახელს ზმნა უთანხმდება, ესაა I და II პირი; თუ მესამე პირია მოქმედი, ზმნა უთანხმდება იმ პირს, რომელსაც ეხება მოქმედება“ [1]: პირიანობა პირველსა და მეორე პირს ახასიათებს.

პირის აღმნიშვნელი სუფიქსები თაბასარანულში სათანადო ნაცვალსახელებს უკავშირდება მასალობრივ: იზუ „მე“ — შდრ. I პ. სუფიქსი ზა, ივუ „შენ“ — II პ. სუფიქსი — უა...

ბაცბურ გარდამავალ ზმნაშიც ობიექტის კლასზე პრეფიქსი მიუთითებს, სუბიექტის პირზე — სუფიქსი:

ას მაჲკ̇ ჲ-აყო-ს	„მე პურს ვჭამ“
აჰჲ მაჲკ̇ ჲ-აყო-ჰჲ	„შენ პურს ჭამ“
კნათევ ქანიზ ჲ-აყ̇	„ბიჭი ყურძენს ჭამს“
შდრ. ას ბო ბ-აყო-ს	„მე ნიორს ვჭამ“
აჰჲ ბო ბ-აყო-ჰჲ	„შენ ნიორს ჭამ“
კნათევ ჯორ ბ-აყ̇	„ბიჭი ვაშლს ჭამს“ [2]

პირის აღმნიშვნელი სუფიქსები აქაც ნაცვალსახელებს უკავშირდება მასალობრივ: ას „მე“ — I პ. სუფიქსი ს, აჰჲ „შენ“ — II პ. სუფიქსი ჰჲ.

§ 36. პიროვანი უღვლილება: სუბიექტური და სუბიექტურ-ობიექტური

ოდენ პ ი რ ო ვ ა ნ ი უღვლილება წარმოდგენილია ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში, ადიღურ ენებში (ადიღეურსა და ყაბარდოულში), უბიხურში, აგრეთვე — უდიურში.

ამათგან ქართველურ ენებში, ადიღურსა და უბიხურში ზმნა შეიძლება იუღლებოდეს მ ხ ო ლ ო დ სუბიექტის პირთა მიხედვით (პ ი რ ო ვ ა ნ ი სუბ ი ე ქ ტ უ რ ი უღვლილება), ანდა — სუბიექტისა და ობიექტის (ობიექტების) მიხედვით (პიროვანი სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება).

ყველა გარდამავალ ზმნას პ ი რ ო ვ ა ნ ი სუბიექტურ-ობიექ-

---

[1] ალ. მაჭობელი, დასახ. ნაშრ., გვ. 205.

[2] რ. გაგუა, ზმნის ცალა გრამატიკული კლას-კატეგორიის მიხედვით ბაცბურში, იკე. IV, 1953, გვ. 131—132.

ტური უღვლილება აქვს ქართველურს, ადიღურსა და უბ
ხურ ენებში.

ვარდაუვალ ზმნათაგან ზოგი სუბიექტური უღვლილებისა
(არის, დგას, შრება, იზრდება, კვდება ის...), ზოგიც სუ
ბიექტურ-ობიექტური უღვლილებისა (უდგას, უდგებ
უშრება, ეზრდება, უკვდება... ის მას).

უდიური ზმნა — გარდამავალიცა და გარდაუვალიც — მხოლო
ერთ პირს აღნიშნავს.

გარდაუვალი ზმნა (მეშველი) „არის" — რეალური სუბიექტი საბე
ლობითში:

მხოლ.:	მრავლ.:
ბუ-ზ (—ბუ-ზუ) „ვარ"	ბუ-ძან „ვართ"
ბუ-ნ (—ბუ-ნუ) „ხარ"	ბუ-ნან „ხართ"
ბუ-ნე „არის"	ბუ-ყუნ „არიან"

გარდაუვალი ზმნა „უყვარს", „სურს", „უნდა" — რეალური სუ
ბიექტი მიცემითში:

მხოლ:	მრავლ.:
ბუ-ზა-ყსა „მიყვარს", „მინდა"	ბუ-ძა-ყსა „გვიყვარს", „გვინდა"
ბუ-ვა-ყსა „გიყვარს", „გინდა"	ბუ-ვა-ყსა//ბუ-ვა-ყსა-ნან „გიყვართ", „გინდათ"
ბუ-ტუ-ყსა „უყვარს", „უნდა"	ბუ-ყო-ყსა „უყვართ", „უნდათ"

გარდამავალი ზმნა „აკეთებს" — რეალური სუბიექტი ერგატივში:

მხოლ.:	მრავლ.:
ბე-სა-ზ (—ბესა-ზუ) „ვაკეთებ"	ბე-სა-ძან „ვაკეთებთ"
ბე-სა-ნუ (—ბესა-ნუ) „აკეთებ"	ბე-სა-ნან „აკეთებთ"
ბე-სა-ნე „აკეთებს"	ბე-სა-ყუნ „აკეთებენ" [1].

მიცემითში რეალური სუბიექტი შეიძლება ინვერსიული ზმნის
ობიექტად მივიჩნიოთ, მივიღებთ ოდენ ობიექტურ უღვლილებას.

პირის ნიშნებად უდიური ზმნა სუფიქსებს ხმარობს. -ზუ სუფიქსი
-მეორებს ზუ ნაცვალსახელს: ზუ „მე" სახელობითში; ზა იგივე ნაც-

---

[1] В. Панчвидзе, Е. Джейранишвили, Удинский язык, ПКЯ-кн, გვ. 682—683.

ვალსახელია მიცემითში... მრავლობითის -ბან სუფიქსი იმეორებს „ჩვენ“ ნაცვალსახელს სახელობითში.

მეორე პირის სუფიქსი -ნ და „შენ“ ნაცვალსახელი („უნ“) მასალობრივ დაკავშირებულია ერთმანეთთან (მრავლობითში მეორე პირის ნაცვალსახელია ვაჲნ//ეფაჲნ; ნ; -ნან სუფიქსი მას არ იმეორებს; ეგეთი ითქმის მესამე პირის სუფიქსზე).

ვა-სუფიქსი მიცემითიანი ზმნის მეორე პირში მიცემითია „შენ“ ნაცვალსახელისა: ვა ხ//ვა[1].

§ 39. კლასებისა და პირების გაურჩევლობა ლეზგიურისა და აღულურის ზმნაში

ზმნის უღლილების სამი ტიპი აღმოაჩნდა იბერიულ-კავკასიურ ენებს: კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი. პირველი ორი ისეთ ენებში გვაქვს. სადაც გრამატიკული კლასების კატეგორია გარჩეულია, პიროვანი უღლილება იმ ენებში გვაქვს. სადაც გრამატიკული კლასები მოშლილია (ადიღური, ქართული...). მაგრამ გრამატიკული კლასების უქონლობისას ზმნა შეიძლება პირის მიხედვითაც არ იცვლებოდეს.

ასეთია ლეზგიურისა და აღულურის ზმნა. იგი არც კლასების მიხედვით იცვლება და არც პირების მიხედვით: კლასების მიხედვით რომ არ იცვლება, ბუნებრივია: გრამატიკული კლასების კატეგორია მოშლილია ლეზგიურსა და აღულურში ისევე, როგორც უდიურში, მაგრამ უდიურმა პირის კატეგორია გაიჩინა ზმნაში. ლეზგიურსა და აღულურში ზმნა არც პირის მიხედვით იცვლება. ფიქრობენ, რომ პირის გარჩევა ლეზგიურ ზმნაში უნდა გვქონოდაო. ბრძანებითის მესამე და მეორე პირი აქ განსხვავებულიაო[2].

ამ შემთხვევაში პიროვანი უღლილების ჩანასახია უფრო სავარაუდებელი, ვინემ ნამთი. ნამთის სახით ლეზგიურ ზმნას კლასოვანი ფორმები აქვს შემორჩენილი[3].

თუ კლასების მოშლა ისეთ ენათა ზეგავლენას გვანიშნებს, რომელ-

---

[1] Удинский язык. ИКЯ-кп. გვ. 681.

[2] У. А. Мейланова. Лезг. яз., ИКЯ-кп. გვ. 535.

[3] გ. თოფურია, ლეზგიური ზმნის ძირთადი მორფოლოგიური კატეგორიები, 1959.

თაც გრამატიკულ კლასები გინა სქესები არ მოეპოვებოდათ (ასეთია, მაგ., აზერბაიჯანული), პირის კატეგორიის განუვითარებლობა ასეთ გაკვეთას არ მიეწერება (აზერბაიჯანულს ჩამოყალიბებული პიროვანი უღვლილება აქვს).

ლეზგიურსა და აღულურ ზმნას არც მრავლობითის ფორმები მოეპოვება: მრავლობითი ან სუბიექტისა უნდა იყოს, ან ობიექტისა, სუბიექტისა და ობიექტის მრავლობითში ან კლასი უნდა გაირჩეს ანდა პირი. რაკი მხოლობითში არც პირია გარჩეული და არც კლასი, სამრავლობო აღარაფერი დარჩა.

§ 40. უღვლილების ტიპების ისტორიული ურთიერთობა

იბერიულ-კავკასიურ ენებში ამჟამად, როგორც ითქვა (§§ 35—39), ზმნა განასხვავებს ან კლასებს, ან პირებსა და კლასებს, ანდა ოდენ პირებს. ცელის ამ სამგვარ სახეობას უპირისპირდება უცვლელობა პირებისა თუ კლასების მიხედვით ლეზგიურსა და აღულურში (შესაბამისად მრავლობითის ფორმებიც გვაქვია — § 39).

ამრიგად, უღვლილების სამი ტიპი დადებითი ნიშნების მიხედვით გამოიყოფა. მეოთხე ტიპი ამ სამს უპირისპირდება ნიშნის უქონლობით.

ზემოხსენებული ტიპები ერთი და იმავე ხნოვანობისა არ უნდა იყოს: ამ ტიპებში უღვლილების ევოლუციის სხვადასხვა საფეხურია წარმოდგენილი. ამას ცხადყოფს მათი ურთიერთობის შესწავლა შინაგანი რეკონსტრუქციის წესით: კ ლ ა ს ო ვ ა ნ-პ ი რ ო ვ ა ნ ი უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა პ ი რ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი თ გ ა რ თ უ ლ ე ბ უ ლ კ ლ ა ს ო ვ ა ნ უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს. ეს ნათლად ჩანს იმ ენებში, სადაც გრამატიკული კ ლ ა ს ი ს ნიშანი პ რ ე ფ ი ქ ს ი ა და პ ი რ ი ს ნიშნებად კი ზმნას ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი მოუდის (ლაკური. დარგუული, ბაცბური), მასთან ეს პირის ნიშნები ზმნამ შეიძლება დაირთოს, შეიძლება არ დაირთოს, კლასის ნიშნები კი ფაკულტატური როდია.

ამრიგად: ჯერ კლასის ნიშნები ჰქონდა ზმნას, შემდეგ პირის ნიშნები დაირთო (ბაცბ. სო ვა-სრ „მე ვარ“, ჰო ვა-ჰჯრ „შენა ხარ“, ო ვ-ა „ის არის“). პირველსა და მეორე პირში პირის ნიშნებად სათანადო ნაცვალსახელებია გამოყენებული. მესამე პირს პირის ნიშანი არ მოეპოვება. მესამე პირი მარკირებული არაა: უნიშნობა გვეუბნება მესამე პირის ნიშნად.

რაკი კლასოვანი და კლასოვან-პიროვანი უღვლილების ისტორიული ურთიერთობა გაირკვა, პიროვანი უღვლილების ისტორიული ადგილი ერთადერთი შეიძლება იყოს: პ ი რ ო ვ ა ნ ი უღვლილება მივიღეთ კ ლ ა ს ო ვ ა ნ-პ ი რ ო ვ ა ნ ი უღვლილებისაგან, მისი გამარტივების შედეგად ენაში.

მოიშალა გრამატიკული კლასების კატეგორია, ზმნა კლასების მიხედვით ცვლას ვერ განაგრძობდა, ენაში კ ლ ა ს-კ ა ტ ე გ ო რ ი ი ს მ ო შ ლ ა ს ზ მ ნ ა შ ი კ ლ ა ს ო ვ ა ნ ი უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ი ს მ ო შ ლ ა უ ნ დ ა გ ა მ ო ე წ ვ ი ა: უფუნქციო კლასის ნიშანი საერთო წესის თანახმად ან უნდა დაკარგულიყო ანდა ფუძეს შეხორცებოდა ანდა კიდევ სხვა ფუნქცია უნდა ეკისრა. მართლაც, ჩამოყალიბებულ პიროვან უღვლილებაში შემორჩენილია როგორც ზმნის ფუძეს შეხორცებული, ისე ფუნქციაცვლილი კლას-ნიშანი.

ფუძეს შეხორცებული დ-პრეფიქსი გამოიყოფა ქართულ ზმნებში: ღე-გ (დ-გა-ს), თ-ქუ—დ-ქუ (ვ. თოფურია)[1]. ორივე ზმნაში დ- ნივთის კლასის ნიშანია, გარდაუვალ ზმნაში („დგას“) ესაა ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს კ ლ ა ს ი ს ნიშანი (დგა-ს რაღაცა: რაღაცა — სუბიექტია), გარდამავალ ზმნაში (თ-ქუ—დ-ქუ) ეგეგე დ- უახლოესი ობიექტის („პირდაპირი ობიექტის“) კლასზე მიუთითებს (თქუა რაღაცა: რაღაცა უახლოესი ობიექტია). სვანურ ზმნაში რა-ქუ ეგეგე ნივთის ობიექტი რა-თავსართით არის წარმოდგენილი იმავე -ქუ-მარტივ ფუძესთან, მასთან -ა ხმოვნიანად: რა*-ქუ//*დ ა-ქუ „თქუა“.

ფუნქცია სცვლიათ კლასის ფორმანტებს სვანურ ზმნებში: ლ-ი „არის“, ლჳ-სუ „იყო“, ლგ-გ „დგას“, ლა-ლემ „შეჯამა“, სვანურის ლაშხურ კილოში ლა-ლ-გშ „დალია“: ყველა ამ ზმნაში ლ-//ლა- მესამე პირში გვხვდება, ფორმანტია. მაგრამ მესამე პირის ნიშანი როდია (თუმცა პირველსა და მეორე პირებთან შეპირისპირებულია: ხუ-ი „ვარ“, ხ-ი „ხარ“, ლ-ი „არის“... ხუ-გგ „ვდგავარ“, ხ-გგ „დგახარ“, ლგ-გ „დგას“), ეს ლ- თავსართი ნივთის გრამატიკული კლასის ნიშანია. ლ-პრეფიქსიან ზმნებს სვანურში არქაული ფორმები დაუცავთ, მაგრამ ეს არქაული ფორმა პირის ნიშანი კი არაა, იგი გრამატიკული კლასის, ნივთის კლასის, პრეფიქსია წარმოშობით[2].

---

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა. დ-თავსართიანი ზმნები ქართულში, 1942.

[2] ნოდ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე. კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1968. § 30. გვ. 178 და შემდგ.

ამგვარად: კლასოვანი უღლილება ა მ ო ს ა ვ ა ლ ი ა კლასოვან-პიროვანი უღლილებისათვის, კლასოვან-პიროვანი უღლილების გამართივება გვაქვს პიროვან უღლილებაში (კლასოვან-პიროვანი უღლილება მინუს გრამატიკული კლასის ნიშნები).

იბერიულ-კავკასიურ ენებში კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი უღლილება წარმოგვიდგენს სამ საფეხურს ზმნის უღლილების ევოლუციის პროცესში.

§ 41. პიროვანი უღლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში

პიროვანი უღლილება გულისხმობს პირების გარჩევას და, ცხადია, პირთა გასარჩევ საშუალებებს.

პირი სამია: პირველი — ვინც ლაპარაკობს („მე", „ჩვენ"). მეორე — ვისაც ელაპარაკებიან („შენ", „თქვენ") და მესამე — ყველა სხვა და ყველაფერი სხვა, რის შესახებაც შეიძლება პირველი და მეორე პირი საუბრობდეს (პირველი პირი მრავლობითში „ჩვენ" კონტექსტის მიხედვით შეიძლება გულისხმობდეს მოუბართან ერთად მეორე პირს — ანდა მესამე პირს: „ჩვენ" ი ნ კ ლ უ ზ ი უ რ ი — „მე და შენ//თქვენ" და „ჩვენ" ე ქ ს კ ლ უ ზ ი უ რ ი — „მე და ის//ისინი").

პირის კატეგორიის თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის პირველსა და მეორეს: იმას, ვინც ლაპარაკობს და იმას, ვისაც ელაპარაკებიან, — ერთიც და მეორეც ადამიანია, მეტადრე ეს ითქმის პირველ პირზე („ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა"...).

ბუნებრივია, პირის კატეგორია პირველი პირით იწყებოდეს: პირველი (ანდა პირველი და მეორე) უპირისპირდება მესამეს. არ შეიძლება ზმნა პირს უჩვენებდეს და პირველი პირი არ აღინიშნებოდეს: „მე" ან ყველა სხვა პირს უპირისპირდება ანდა მხოლოდ—მესამეს (ამ შემთხვევაში მეორე პირს პირველთან საზიარო ფორმა აღმოაჩნდება).

მესამე პირს საკუთარი ფორმა დიდი ხნის განმავლობაში არა ჰქონია, პიროვან უღლილებაში „მესამე პირი" პირის ფორმანტის უქონლობით (ნულ-ფორმით) გამოირჩეოდა (ზოგ ენაში ეს ვითარება დღემდე შემორჩენილია).

მესამე პირი პიროვან უღლილებაში ყველაზე ახალი ფორმაციის ფაქტია.

პირის ფორმა უწინარეს ყოვლისა სუბიექტის პირის ფორმას გულისხმობს; ამით აიხსნება ცნობილი კანონზომიერება, რომელიც ჯერ კიდევ პ. უსლარმა გამოაელინა: ზმნა ეთანხმება პირველსა და მეორე პირს (და არა მესამეს) მაშინაც კი, როცა ეს პირველი და მეორე პირი რეალურად უმოქმედოა, ობიექტია.

რა საშუალებით აღინიშნება ზმნის პირი? ძირითადია ორი საშუალება: ა) ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები და ბ) გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტები.

ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები პირველი და მეორე პირისათვის აქვს გამოყენებული თაბასარანულს, უდიურს... ბაცბურს.

ეს ნაწილაკები ზმნას სუფიქსებად მოუდის:

თაბასარ. იზუ ტირხნუ-ზა „მე გავფრინდი“, იუნუ ტირხნუ-უა „შენ გაფრინდი“... იზუ ბ-ისნუ-ზა ჯაყა „მე დავიჭირე ჩიტი“, იუნუ ბ-ისნუ-უა ჯაყა „შენ დაიჭირე ჩიტი“ [1].

ბაცბ. სო ვა-სრ „მე ვარ“, ჰაო ვა-ჰარ „შენ ხარ“ (იხ. ზემოთ, § 38).

გრამატიკული კლას-კატეგორია პრეფიქსებით აღინიშნება არსებით სახელებშიც, ზმნაშიც (§ 33).

გრამატიკული კლასის ნიშანი სუფიქსადაც გეხვდება (მაგ., მიმღეობაში, ზედსართავში).

გრამატიკული კლასის ნიშანი, სუფიქსი, გამოყენებულია პირის გასარჩევად.

ხუნძ. დუნ ვერაუ „მე მოვედი“	ნიქ რ-ერ-ა-ლ „ჩვენ მოვედით“
მუნ ვერი „შენ მოხვედი“	მუქ რ-ერ-ი „თქვენ მოხვედით“
დაუ ვერი „ის მოვიდა“	დალ რ-ერ-ი „ისინი მოვიდნენ“

ასეთი ფორმები აქვს ზმნას ხუნძური ენის ჰარულ კილოში.

პირველი პირი აქ უპირისპირდება მეორესა და მესამე პირებს (გარდაუვალ ზმნაში, როგორიცაა „მოვედი“). პირველი პირის აღსანიშნავად გამოყოფილი -ვ-სუფიქსი გრამატიკული კლასის ნიშანია, პირველი კლასის ექსპონენტი -ვ: პირველ პირში ეს ვ-პრეფიქსად იყო ნახმარი, მაგრამ კლასის ნიშანი სუფიქსადაც არის გამოყენებული მრავლობითში, მასთან კანონზომიერად -ლ (-რ) სუფიქსის სახით: რ-ერ-ა-ლ — რ-ერ-ა-რ.

გარდამავალ ზმნაში პირველი პირის სუბიექტი გამოყოფილია აგ-

[1] Ал. Магометов, Табасаранский язык, § 114.

რეთვე გრამატიკული კლასის ნიშნით, და ესაა ნ ი ვ თ ი ს კატეგორიის, მესამე კლასის, ფორმანტი ბ-სუფიქსი:

დიჰაა ჰუბუ ბიშინაბ „მე ვაკეთებ“ — შდრ. დუჰაა ჰუბუ ბიშინა „შენ აკეთებ“, დას ჰუბუ ბიშინა „ის აკეთებს“: ბიშინა — უსუფიქსოდ!

ანალოგიური ვითარება ცნობილია ანდიური ენის მუნის კილოკავში:

დენნი ჯვარდირა-ვი „მე ვწერ“
მენნი ჯვარდირა „შენ წერ“
დეშდი ჯვარდირა „ის წერს“

პირთა გასარჩევად სუფიქსების გარდა პრეფიქსებად ხმარებული კლას-ნიშნებიც შეიძლება შეგეხვედეს; ამის ნიმუში იქნებოდა მეშველი ზმნა ჩაჩნურსა და ინგუშურში.

ჩაჩნ. მხ.:	სუო ვ-უ, ჲ-უ	ბ-უ, დ-უ	მე ვარ (I, II, III, IV კლ.)
	ჰხუო „ „	„ „	შენ ხარ
	იზ „ „	„ „	ის არის
მრავლ.	თხუო (//ვაჲ) დ-უ დ-უ	ბ-უ დ-უ	ჩვენ (ინკლ., ექსკლ.) ვართ
	შუ „ „	„ „	თქვენ ხართ
	იზუშ ბ-უ, ბ-უ	ბ-უ დ-უ	ისინი არიან

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მრავლობითში გარჩეულია პირები: პირველი და მეორე („ჩვენ, თქვენ“) უპირისპირდება მესამეს; განსხვავებას კლას-ნიშანთა გამოყენება ქმნის: პირველსა და მეორე პირს დ-ნიშანი მოუდის, მესამეს — ბ. ეგეთე დ, ბ-თავსართები გეხვდება სხვა კლასის სახელთა მრავლობითშიც. მაგრამ პირთა გარჩევის გარეშე: ბ- იქნება, თუ დ- (ანდა ჲ-) სამსაე პირს გამოადგება.

ამრიგად, პირების გარჩევა დაწყებულია პირველი და მეორე გრამატიკული კლასის სახელებთან. რაც ბუნებრივიც არის; პირველი და მეორე პირი ერთად „პირიანობს“, ოღონდ პირთა გარჩევა მრავლობითშია შესაძლებელი: ნივთის კლასების ნიშანთა დიფერენციაცია მხოლოდ მრავლობითშია შესაძლებელი (მხოლოობითში სამივე პირის სახელი ერთი და იმავე კლასისა იქნება).

§ 42. პირთა გარჩევის საშუალებები ადიღურსა და ქართველურ ენებში

ადიღურ ენებსა და უბიხურს. ქართველურ ენებს პიროვანი უღვლილება აქეთ ამჟამად. პირის ნიშნად ნასური და დაღესტნური ენები ნაცვალსახელოვან ნაწილაკებს ხმარობენ ანდა გრამატიკული კლასის

ფორმანტებს იყენებენ. ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები ამ ენების ზმნას პრეფიქსად მოუდის, გრამატიკული კლასის ნიშნებს — პირთა გასარჩევად — ზმნა პრეფიქსებადაც დაირთავს და სუფიქსებადაც.

რა საშუალებები გამოუყენებია ადიღურსა და ქართველურ ენებს? ადიღურ ენათა ზმნაში პირველი და მეორე პირი ნაცვალსახელურ ნაწილაკებს ხმარობს პირის ნიშნებად: ნაცვალსახელურ ნაწილაკთა კავშირი სათანადო პირის ნაცვალსახელებთან თვალსაჩინოა (ადიღ. სჳ-კ°ჳ „მივდივარ“ — შდრ. სჳ „მე“: ჭჳ-კ°ჳ „მიდიხარ“ — შდრ. ჭჳ „შენ“; თჳ-კ°ჳ „მივდივართ“ — შდრ. თჳ „ჩვენ“, ს¹°ჳ-კ°ა „მიდიხართ“ შდრ. ს¹°ჳ „თქვენ“...).

ეს სჳ-, ჭჳ- პრეფიქსები ადიღეურში იხმარება, როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის პირის ნიშნად; ასევეა აფხაზურში, ოღონდ აქ მეორე პირის ფორმანტები განასხვაებენ ქალსა და კაცს — ბჟ-, ჭჟ (შესაბამისად ბა-რა, ჭა-რა „შენ“ ნაცვალსახელებისა).

ნაცვალსახელური წარმომავლობის პირის ნიშნები ადიღურ ენებშიცა და აფხაზურში პრეფიქსებად იხმარება.

რაც შეეხება ქართველურ ენებს, აქაც პირის ნიშნები პრეფიქსებს წარმოადგენს: ვ-, მ-; ხ-, გ- (ვ-აქებ: მ-აქებ: ხ-აქებ, გ-აქებ). ნაცვალსახელთან კავშირი კი მხოლოდ მ-პრეფიქსის შემთხვევაშია საეარაუდებელი (მე მ-აქებ... მე მ-აქვს...): ობიექტური პრეფიქსი პირველი პირისა მ-—მე.

რაც შეეხება პირველი პირის სუბიექტურ პრეფიქსს (ვ-), ის შეიძლება პირველი პირის მე-ნაცვალსახელს დაუკავშირდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ვ-ს მივიჩნევდით მ-ს ფონეტიკურ ვარიანტად (ვ—მ: მე), ანდა, თუ ვიეარაუდებდით, რომ თვითონ ნაცვალსახელი მე—ვე (შდრ. მრაველ. ჩ-უე-ნა, თქ-უე-ნა).

მეორე მხრივ, საფიქრებელია, ვ- (ძვ. ქართ. ვ-ა-რ-[ი] მე) წარმოადგენდეს ადამიანის (პიროვნების) გრამატიკული კლასის ნიშანს (ვ-ს) და ეს ნიშანი კლასისა პირისათვის გამოიყენეს. რაც შეეხება მეორე პირის პრეფიქსებს (ხ-//ჰ-; გ), არც ერთი მათგანი მეორე პირის ნაცვალსახელს („შენ“) არ შეიძლება დაუკავშირდეს იმგვარად. როგორც ეს აფხაზურსა და ადიღურ ენებში დასტურდება, თუ II პირის ნაცვალსახელი მეორეული, ცვლილი ნაცვალსახელი არ არის.

პირვანდელი ვითარება აქ შეცვლილა: არც მეორე პირის ნაცვალსახელი („შენ“) მიიჩნევა იმ რიგის მონაცემად, როგორიცაა პირველი

პირის ნაცვალსახელი („მე"): ქართველურ ენათა ფარდობა პირველი პირის ნაცვალსახელებში (ქართ. „მე", ზან. „მა", სვ. „მი") გარკვეულია. მეორე პირის ნაცვალსახელებზე (ქართ. „შენ", ზან. „სი", სვ. „სი") ამას ვერ ვიტყვით: ქართული ფუძე შიშინა თანხმოვნიანია („შენ"), ზანური (და სვანური), პირუკუ — სისინა თანხმოვანს („სი") წარმოგვიდგენს: უნდა კი ყოფილიყო პირუკუ: სისინა ქართულს შეეფერება, შიშინა — ზანურს.

ცვლილება სხვა რამეშიც ჩანს: სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნები მეორე პირშიც განსხვავებულია (ისევე, როგორც პირველ პირშიც): ხ//ჰ—S_2, გ—O_2... ვ—S_1, მ—O_1.

სუბიექტსა და ობიექტს ერთსა და იმავე პირში ძველად ერთი და იგივე ნიშანი უნდა ჰქონოდა ქართულში ისევე, როგორც ეს აფხაზურ-ადიღურ ენებში გვაქვს პირის კატეგორიის აღნიშვნისას (და ნახურსა თუ დაღესტნურ ენებში გვაქვს გრამატიკული კლასის აღნიშვნისას ზმნაში): — I პირი როგორც სუბიექტისა ისე ობიექტისა... ვ-, დ-, ბ- — როგორც სუბიექტის კლასისათვის, ისე ობიექტის კლასისათვის.

სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნები უკვე ძველი ქართულის უველაზე ძველ ძეგლებშია გარჩეული.

მაგრამ სუბიექტი და ობიექტი ქართულ ზმნაში ერთსა და იმავე ფორმანტს შეეძლო აღენიშნა; ეს ჩანს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში: -ენ- სუფიქსი, რომელიც არქაული -ედ სუფიქსის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს, ძველ ქართულში მესამე პირის სუბიექტსაც შეიძლება აღნიშნავდეს და მესამე პირის ობიექტს, ორიეს — ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი და მრავლობით რიცხვში: იგინი წერ-ენ წერილს — ჩუენ დავწერ-ენ-ი-თ წერილნი... იგინი ჰყოფ-ენ საქმესა — მათ ყვ-ნ-ეს (←ყვ-ენ-ეს) საქმენი...

ის, რაც რ ი ც ხ ვ ი ს (მრავლობითის) კატეგორიაში შემოგვრჩა ძველი ქართულის ძეგლებში, წინათ პ ი რ ი ს კატეგორიის აღნიშვნისასაც არ უნდა ყოფილიყო ქართული ზმნისთვის უცხო: სუბიექტისა და ობიექტის ერთი და იგივე პირი ერთი და იმავე ფორმანტით გადმოიცემოდა, ე. ი. ვ- და მ- პრეფიქსები; ხ-//ჰ- და გ- პრეფიქსების ნაცვლად თითო პრეფიქსი გვჭონია თავდაპირველად — ერთი პირველი პირისათვის და ერთიც — მეორე პირისათვის. გასარკვევია, სახელდობრ, რა იყო ეს პრეფიქსები, და მერე: რა ცვლილება მოხდა ნაცვალსახელთა შედგენილობაში (კერძოდ, მეორე პირში).

პირის ნიშნებთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას. აფხაზურ-ადიღურ ენებში ორპირიანი და სამპირიანი ზმნა სუბიექტის გარდა ობიექტს (თუ ობიექტებს) შესაბამისი პრეფიქსებით აღნიშნავს: ს-უ-აცლაბუეიტ „მე შენ (ვაჟს) გეჯიბრები“ — უ-ს--აცლაბუეიტ „შენ (ვაჟი) მე მეჯიბრები“...: ს- პირველი პირის ნიშანია, უ- //უ/ — მეორე პირზე (ვაჟზე) მიგვითითებს. პირველ მაგალითში (ს-უ-აცლაბუეიტ) სუბიექტი პირველი პირისაა, ობიექტად მეორე პირია (ვაჟი) ნაჩვენები; მეორე მაგალითში (უსაცლაბუეიტ) პირუკუ: სუბიექტად მეორე პირი (ვაჟი) გამოდის, ობიექტს პირველი პირი წარმოადგენს.

ქართულ ორპირიან ზმნას ანალოგიურ ვითარებაში მხოლოდ ერთი პირის ნიშანი აღმოაჩნდება: მე შენ გეჯიბრები — შენ მე მეჯიბრები... ასევე: მე შენ გაქებ — შენ მე მაქებ: როცა პირველი პირის სუბიექტი და მეორე პირის ობიექტია ზმნასთან დაკავშირებული, ანდა — პირუკუ — სუბიექტი მეორე პირისაა და ობიექტი — პირველისა, ზმნაში ვპოულობთ ობიექტის ნიშანს, გვაკლია სუბიექტის ნიშანი (ა. შანიძე).

სუბიექტის ნიშანი რომ არ ჩანს, ფონეტიკურ ნიადაგზე დაკარგულად მიაჩნიათ: ვ-გ-ეჯიბრები, ხ-მ-ეჯიბრები-ს ნაცვლად გვაქვს გ-ეჯიბრები, მ-ეჯიბრები... სუბიექტური ნიშნები (ვ-, ხ-) ფონეტიკური მიზეზით დაკარგული არ უნდა იყოს (ვგ-, ხმ- კომპლექსები, მით უფრო სხვადასხვა მორფემებში ფონეტიკურად შეუძლებელი არაა ქართულში: ვგმობ, ხმობს); სუბიექტის ნიშანია, ორსავე შემთხვევაში რომ გვაკლია; ახსნა მორფოლოგიამ შეიძლება მოგვცეს, — კ ლ ა ს ო ვ ა ნ ი უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ი ს მორფოლოგიამ: გარდამავალი ზმნა მხოლოდ ობიექტს აღნიშნავს; ობიექტის კლასსა და რიცხვს. სუბიექტი ასეთ ზმნებში პიროვანი უღვლილების სისტემამ აღნიშნა, სუბიექტი აქ მეორეულია. ობიექტის უპირატესობაში (S_1O_2, S_2O_1) კლასოვანი უღვლილების გამოძახილი ჩანს.

პიროვანი უღვლილების თვალსაზრისით გაუგებარია და ახსნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე პრეფიქსი (ხ-, ჰ-) აღნიშნავს მეორე პირის სუბიექტსაც და მესამე პირის ობიექტსაც მიცემითში (თუ აქ ომონიმურ პრეფიქსებთან არ გვაქვს საქმე).

კლასოვან უღვლილებასთან მიმართების თვალსაზრისით აგრეთვე საყურადღებოა გარდამავალი ზმნის უღვლილების ერთი თავისებურება

ძველ ქართულში სახელდობრ, უახლოეს ობიექტთან ზმნის შეთანხმებაა ნაგულისხმევი.

ახლო ობიექტი მიცემითშია, მისი პირი ზმნაში აღინიშნება, მაგრამ ასეთ ობიექტს (მიცემითში) ზმნა მრავლობითში არ ეთანხმება (სულ ერთია, რეალურ ობიექტს გადმოგვცემს მიცემითი, თუ რეალურ სუბიექტს: ძვ. ქართ. მან ჰკითხა მას, მათ: გ-კითხა შენ, თქუენ... მას უწერიეს. უშენებიეს იგი — მათ უწერიეს, უშენებიეს იგი)[1].

მაგრამ თუ ობიექტი სახელობითშია („უახლოესი ობიექტი") და ნასუფიქსითაა ნაწარმოები, მას მრავლობითში ზმნა ეთანხმება: მან ყო. შენ ჰყავ. მე ვყავ საქმე... მან დაწერა, შენ დასწერე, მე დავწერე წერილი — მან ყვ-ნ-ა საქმენი, შენ ჰ-ყვ-ენ საქმენი, მე ვ-ყვ-ენ საქმენი — მან დაწერ-ნ-ა წერილნი. შენ დაწერ-ენ წერილნი, მე დავწერ-ენ წერილნი... ობიექტი სახელობითში პირს ზმნაში არ აჩენს, რიცხვში ზმნას ითანხმებს.

ამრიგად, ზმნაში მიცემითი ბრუნვის პ ი რ ი ა ღ ი ნ ი შ ნ ე ბ ა, მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ო ბ ა — ა რ ა, სახელობითში თუა ობიექტი, მისი პ ი რ ი ა რ ა ღ ი ნ ი შ ნ ე ბ ა, მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ო ბ ა კ ი ა ღ ი ნ ი შ ნ ე ბ ა.

ახალ ქართულში ერთგვარად ცვლილია როგორც მიცემითის, ისე სახელობითის სინტაქსური ვალენტობა. მიცემითს მრავლობითში ზმნა არ ეთანხმებოდა, ახლა გარკვეულ შემთხვევაში ზმნაში აღინიშნება მიცემითის მრავლობითობა (მან გკითხათ თქვენ... მათ უწერიათ, უშენებიათ იგი...), ნარიან მრავლობითს ზმნა ეთანხმებოდა, ახლა აღარ ეთანხმება (მან დაწერა წერილი, წერილები//წერილნი... აკეთა საქმე, საქმეები//საქმენი...).

ნარიან მრავლობითში დასმულ ობიექტთან სახელობითში შეთანხმება არც ზანურში, არც სვანურში არ დასტურდება, ძველი ქართულისათვის რიცხვში შეთანხმება ნორმაა, ახალი ქართულისთვის კი უცხოა.

ძველი ქართულის ეს თავისებურება კლასოვანი უღლილების ცნობილ პრინციპს წარმოგვიდგენს: გარდამავალი ზმნა კლასოვანი უღლილების ნორმების შესაბამისად მხოლოდ ობიექტს („უახლოეს ობიექტს") ეთანხმება: ამ ობიექტის კ ლ ა ს ს ა და რ ი ც ხ ვ ს აღნიშნავს

---

[1] არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I (1928), ტ. ორე გამოცემა, 1968, გვ. 164—207.

(სუბიექტის არც კლასი, არც რიცხვი გარდამავალი ზმნის ფორმებში არა ჩანს): ბ-ეცანა, დ-ეცანა, ვ-ეცანა, რ-ეცანა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, თუ ვ ი ნ, რ ა აქვს, რა კ ლ ა ს ი ს ა იყო ეს ობიექტი და რა რიცხვში იყო იგი დასმული.

უახლოესი ობიექტის რიცხვის (მრავლობითობის) აღნიშვნა ძველ ქართულს გარდამავალ ზმნაში (უვ-ნ-ა საქმენი, ვუვ-ენ-ი-თ, ჰუვ-ენ-ი-თ, უვ-ნ-ეს საქმენი...) კლასოვანი უღელილების ნაშთია ძველ ქართულში. ერთადერთი სხვაობა ისაა, რომ კლასისა და რიცხვის ნიშანი კლასოვან უღელილებაში პ რ ე ფ ი ქ ს ე ბ ი თ აღინიშნება, ძველ ქართულში კი უახლოესი ობიექტის მრავლობითობას ს უ ფ ი ქ ს ი გადმოგვცემს: პირთა ნიშნებად პრეფიქსები გვაქვს.

და მაინც უახლოესი ობიექტის სუფიქსს ერთი თავისებურება შეიმორჩენია: ობიექტის მრავლობითობის ეს სუფიქსი დაისმის ზმნაში სუბიექტის მრავლობითობის წინ, ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს პ ი რ ი ს წ ი ნ, როცა ეს სუბიექტი სუფიქსითაა აღნიშნული: ჩვენ ვუვ-ენ-ი-თ საქმენი, მათ უვ-ნ-ეს საქმენი... მან უვ-ნ-ა საქმენი. -ენ//—ნ-სუფიქსი ო ბ ი ე ქ ტ ი ს მრავლობითისაა, -თ, -ეს — ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს მრავლობითს აღნიშნავს, -ა (უვ-ნ-ა) — სუბიექტის მესამე პირის ნიშანია...

ეს ნიშნავს: უ ა ხ ლ ო ე ს ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ო ბ ა აღინიშნებოდა ზმნაში ჯერ კიდევ მაშინ, რ ო ც ა ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ს ზმნა არ უ თ ა ნ ხ მ დ ე ბ ო დ ა, როცა სუბიექტის მესამე პირი ჯერ კიდევ არ გვქონდა ზმნაში: ს უ ბ ი ე ქ ტ ი გარდამავალ ზმნაში ა რ ჩ ა ნ დ ა, ო ბ ი ე ქ ტ ი აღინიშნებოდა.

პიროვანი უღელილება ქართული ზმნისა უფრო დაშორებულია კლასოვან უღელილებას, ვინემ ადიღურ ენათა პიროვანი უღელილება (ერთი და იმავე პირის სუბიექტისა და ობიექტის აღნიშვნა სხვადასხვა პრეფიქსით!). და მაინც ცხადია, რომ ადიღურ ენებშიცა და ქართველურ ენებში პიროვანი უღელილება მომდინარეობს კლასოვანი უღელილებიდან, ოღონდ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში პროცესი უფრო შორს არის წასული: კლასოვან-პიროვანი უღელილება დღემდე შემორჩენია ადიღური ენების ახლო მონათესავე აფხაზურს, ქართველურ ენათა წრეში კი — არც ერთს, მათ შორის არც ძველ ქართულს:

ზოგადი დასკვნა: კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი უღელილება იბერიულ-კავკასიური ენებისა წარმოგვიდგენს უღელილების სამ ტიპს.

ეს სამი ტიპი უღლილების პროცესის ევოლუციის სამ საფეხურს ქმნის: პიროვანი უღლილება მიღებულია კლასოვან-პიროვანი უღლილების გ ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ ი თ (კლასების გრამატიკული კატეგორიის მოშლის შედეგად სათანადო ენებში), ხოლო კლასოვან-პიროვანი უღლილება ჩამოყალიბდა კლასოვანი უღლილების გ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ (ზმნის კლასოვან ფორმებს დაერთო პირის ფორმები).

ზმნის კლასოვანი ფორმების გართულება პიროვანი ფორმებით ახლაც მიმდინარეობს (ნახურ ენებში, ხუნძურში...), პიროვან-კლასოვანი უღლილების გამარტივების პროცესს კი შეიძლება თვალი მივადევნოთ ადიღეურის შეპირისპირებით აფხაზურთან, კლასოვანი უღლილების ნაშთების მიხედვით ქართველურ ენებში (დ-, ლ-, რ- კლას-ნიშნები სვანურსა და ქართულში. უახლოესი ობიექტის მრავლობითთან ზმნის შეთანხმება ძველ ქართულში, სუბიექტ-ობიექტის ნიშანთა შეუთავსებლობა პირველსა და მეორე პირში...).

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა თაბასარანული ენის ჩრდილო (კლასის მქონე) დიალექტის შედარება სამხრულ დიალექტთან (კლას-კატეგორია რომ მოშლაზეა), აგრეთვე ლეზგიური და აღულური ენების ვითარება.

IV. იბერიულ-კავკასიურ ენათა სინტაქსური სისტემისა და ისტორიის ზოგადი საკითხები

§ 48. სინტაგმა (შესიტყვება) და მისი ორი ძირითადი ტიპი: ატრიბუტული და კრედიკატული

ფონემა, სიტყვა, სინტაგმა (შესიტყვება) სამი განსხვავებული ენობრივი ერთეულია; ეს სამი ერთეული სამი განსხვავებული ენობრივი დონის ფაქტს წარმოადგენს: სინტაგმა (შესიტყვება) შედგება სიტყვებისაგან, სიტყვა თავის მხრივ — ბგერებისაგან.

სიტყვის (სახელის, ზმნის) ძირითადი სტრუქტურული კატეგორიები (გრამატიკული კლასი, ბრუნვა, პირი), მათი თავისებურება განვიხილეთ და ისტორიული შემდგომადობა გავითვალისწინეთ იბერიულ-კავკასიურ ენათა წარსულში.

სიტყვის სტრუქტურულ კატეგორიათა განხილვის შემდეგ ბუნებრივად დგება საკითხი, თუ რა სტრუქტურული თავისებურებები ახასიათებს სინტაგმას (შესიტყვებას) იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფში (ენებში) და რა ისტორიული ურთიერთობა აქვს მათ ამ მხრივ.

სინტაგმებში (შესიტყვებებში) ორი ძირითადი ტიპი გაირჩევა: ერთი შედგება მხოლოდ სახელებისაგან, მეორეს — ზმნა და სახელი (ანდა სახელები) ქმნიან.

სახელებისაგან შემდგარი სინტაგმა ატრიბუტულია: ერთი სახელი მეორის რაიმე თვისებაზე, ატრიბუტზე, მიუთითებს, ერთი სახელი მეორეს განსაზღვრავს: ნ ა თ ე ლ ი დღე, ს ა ვ ს ე მთვარე, ღ რ მ ა მდინარე, ს ა ი მ ე დ ო მეგობარი, ყ რ უ მოხუცი,... შ ვ ი დ ი ძმა, ჩ ვ ე ნ ი საქმე... ნათელი, სავსე, ღრმა, საიმედო, შვიდი, ჩვენი — ატრიბუტული სიტყვებია, მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ა, დღე, მთვარე, მდინარე, მეგობარი, მოხუცი,

ძმა, საქმე — **საზღვრული**. მსაზღვრელებად ამ მაგალითებში ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, კუთვნილებითი ნაცვალსახელი გვაქვს და ეს მსაზღვრელები სახელობით ბრუნვაშია დასმული.

მსაზღვრელის როლში შეიძლება გამოიყენონ ...რსებითი სახელიც სახელობით ბრუნვაში: პოეტი მოქალაქე, გმირი დედა, ექიმი თერაპევტი...

სუბსტანტივები (პოეტი, გმირი, ექიმი...) ატრიბუტივის ფუნქციას ასრულებს: სუბსტანტივი ნახმარია არა დამოუკიდებლად, არამედ სხვა სახელთან მიმართებაში.

მსაზღვრელის როლში სუბსტანტივის ხმარება **ნათესაობით** ბრუნვაში იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ჩვეულებრივია: შაშვის ჭახჭახი, ბავშვის ტიტინი, კედლის საათი, ვერცხლის კოვზი, ჩაის ჭიქა (რუსულში აქ ხშირად ზედსართავი გვექნებოდა: детский лепет, стенные часы, серебряная ложка, чайный стакан...).

ატრიბუტულ სინტაგმაში მსაზღვრელი **სინტაქსურად** უკავშირდება საზღვრულს. ეს კავშირი **სინტაქსური** ხასიათისაა: ესაა პირველ ყოლისა, **შეთანხმება** (ამა თუ იმ სახისა).

როცა ზმნა და სახელია სინტაქსურად დაკავშირებული, ვიღებთ **პრედიკატულ** სინტაგმას: თოვლი მოდის. მზე ანათებს, ბავშვი თამაშობს, ქარი ქრის. დღე მატულობს, ღამემ იკლო, პური მომკეს, სოფელი აშენდა, ნარგავმა გაიხარა... მოწაფე ბეჯითად სწავლობს. მგზავრმა ნაბიჯს აუჩქარა... მონადირემ ტყეში დათვი მოკლა... სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი... ზღვა კოწიტ არ დაილევა... ყველა ეს სინტაგმა რაღაცის მტკიცებას (ან უარყოფას) შეიცავს, და ეს ზმნასთან არის დაკავშირებული: **პრედიკატული სინტაგმის საყრდენი არის ზმნა.**

პრედიკატული სინტაგმა სინტაქსურად დაკავშირებულ კომპლექსს ქმნის. პრედიკატული სინტაგმის გულს (ბირთვს) ქმნის ზმნა. ზმნის მორფოლოგიურ თავისებურებაზეა დამოკიდებული, პირველ ყოლისა, პრედიკატული სინტაგმის თავისებურება.

იბერიულ-კავკასიურ ენებში ზმნის უღლილების სამი მთავარი განსხვავებული ტიპი გვაქვს (§ 35).

რა თავისებურება ახასიათებს ატრიბუტულ სინტაგმას და რა — პრედიკატულ სინტაგმას იბერიულ-კავკასიურ ენებში და რა ურთიერთობას გამოგვიელენს ამ მხრივ იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორია?

§ 44. ატრიბუტული კომპლექსის კომპონენტთა თანამიმდევრობის საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში

ატრიბუტულ კომპლექსთან დაკავშირებით ორი მთავარი საკითხი დგას: პირველი — ესაა მსაზღვრელისა და საზღვრულის თანამიმდევრობის საკითხი — რა უძღვის, რა მოსდევს, მეორეა — რაგვარი სინტაქსური კავშირი არსებობს მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის. ახალ ქართულში ჩვეულებრივ ჯერ მსაზღვრელი გვაქვს, მერე — საზღვრული: მაღალი მთა, გრძელი გზა, დამსახურებული ექიმი, საუკეთესო შედეგი... მაგრამ შებრუნებული წყობაც — ჯერ საზღვრული, მერე — მსაზღვრელი — არაა გამორიცხული (ამას სტილის საჭიროება განსაზღვრავს): მთანი მაღალნი, გზა გრძელი და მძიმე, კაცი ბრძენი და მართალი...

ძველ ქართულში ჭარბობს შებრუნებული წყობა, თუმცა პირდაპირი წყობის მაგალითებიც გვაქვს არაიშვიათად.

საზღვრულ-მსაზღვრელი: შეეშინა შიშითა დიდითა... შეკრიან ტკრთები მძიმე... ვითარცა მკეცნი ბოროტნი... პური ესე ჩუენი სამარადისოჲ... ჭუაბები დიდ-დიდები... მეოხებითა მისითა... ძმანო ჩუენნო... თავნი თქუენნი... ნაშობნი იქედნეთანი... წიგნები მეფეთაჲ... ღონენი მტრისა ბოროტისანი... და ა. შ.

ძველ ქართულ ძეგლებში, საიდანაც ზევით ნაჩვენები მაგალითებია ამოღებული, გვაქვს ისეთი სინტაგმებიც. სადაც მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს: ზემონი ჭუეყანანი... დიდი ესე საკუირველებაჲ... მწარენი ესე გუემანი... ძნელთა მათ გზათა... ყოელითა გულითა გრწმენეს... საწყალობელი იგი დედაჲ მათი... აჭუნღა მათ მონაგებთა სიმრავლე...

თუ მსაზღვრელად რიცხვითი სახელია ნახმარი, ძველს ქართულშიც იგი უსწრებს საზღვრულს: პოვნეს ორნი ადგილნი... ორნი მოწაფენი მისცნა... მას სოფელსა ცხრანი მეფენი არიან... ათნიენი თითნი ნებთა მისთა ზედა დაჰკრნა... (შდრ.: წარაელინეს ძმაჲ ერთი...: „ერთი" მოსდევს საზღვრულს, ალბათ, იმიტომ, რომ „ერთი" ჩვეულებრივ განუსაზღვრელ ნაწევრად იხმარება, ნაწევარი კი ძველს ქართულში სათანადო სახელს მოსდევდა. იხ. აქვე, ქვემოთ).

ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი მაინც ისეთი ატრიბუტული კომპლექსი ჩანს, სადაც მსაზღვრული მოსდევს საზღვრულს (ტკრთი მძიმეჲ, ძმანო ჩუენნო, ძჳ კაცისაჲ...). ამას მოწმობს:

1. ნაწევრის ადგილი: ნაწევარი მოსდევს სათანადო სახელს, რომელიც საზღვრულის როლში გვეელინება: კაცი იგი... გზაჲ იგი... ძმანი იგი (შდრ. გერმ. der Mensch, der Weg, die Brüder, სადაც ნაწევარი უძღვის სათანადო სახელს... ასევე ფრანგ.: l'homme, la route, les frères..., ძველ ბერძნულში: ὁ ἄνθρωπος ., ἡ ὁδός .., ὁ ἀδελφός..).[1]

2. ისეთი გაკომპოზიტებული ატრიბუტული კომპლექსები, როგორიცაა: მამაჩემი, დედაჩემი, პაპაჩემი.., რაც ახალ ქართულში შემოგვრჩა (შდრ. ჩემი და, ჩემი ძმა... და არა: და-ჩემი, ძმა-ჩემი...).

3. გაკომპოზიტებული კომპლექსები, რომლის მეორე წევრს ათეისობითის ფუძე წარმოადგენს: დიასახლის-ი (დია-სახლის-ი), მამასახლის-ი (მამა-სახლის-ი...)...

4. ტოპონიმიკური ტერმინები: წ ყ ა ლ წ ი თ ე ლ ა (მდინარე ქუთაისის აღმოსავლეთით, ერთვის მდ. ყვირილას), ე რ თ ა წ მ ი ნ დ ა — ქართლში (ერთაწმინდა—ესთა-წმინდა—ესთატე წმინდა...), ნ ი კ ო რ წ მ ი ნ დ ა — რაჭაში... ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ა — კახეთში (საგარეჯოს რ.), ე ლ ი ა წ მ ი ნ დ ა (ახალციხის რ.), წ ყ ა ლ ტ უ ბ ო (ტუბ-უ ჰან. თბილი — წყალტუბო — წყალთბილი), შდრ. წყალთბილა (ახალციხის რ.).

სხვა ქართველურ ენებში (ზანურში, სვანურში) ამჟამად ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორიც ახალ ქართულში (მსაზღვრელი ჩვეულებრივ უსწრებს საზღვრულს), მაგრამ ძველად ისეთივე თანამიმდევრობაა სავარაუდებელი, როგორიც ძველი ქართულისათვის იყო დამახასიათებელი.

ქართ. მამაჩემი, დედაჩემი-ს მსგავსად მეგრულში იხმარება: მუაჩქიმი (—მუმაჩქიმი), დიაჩქიმი (—დიდაჩქიმი)... ჰანურში გვაქვს ბაბაჩქიმი „მამაჩემი“, ნანაჩქიმი „დედაჩემი“, ნანდიდი „ბებია“ (ზედმიწევნით: „დედადიდი“ — შდრ. ქართ. „დიდედა“), მდადი „მამიდა“, „დეიდა“ (ზედმიწევნით: „და-დიდი“)... იხ. აგრეთვე მეგრული ბადიდი „მოხუცებული კაცი“ (ზედმიწ.: ბადიდი—ბაბა-დიდი „მამა დიდი“...)... ეს კია, რომ დღეთა ძველ ხალხურ სახელებში — „თუთაშხა“ (—თუთაშდღა) „მთვარის დღე“ (ე. ი. ორშაბათი), ცაშხა (—ცაშ-დღა) „ცისდღე“ (ე. ი. ხუთშაბათი) და ა. შ. მსაზღვრელი („მთვარის“, „ცის“...) უსწრებს საზღვრულს.

---

[1] მომდევნო ნაწევარი გვაქვს ბელგარულში: наука-та... ბასკურში: gizon „კაცი“, gizon-a „კაცი-იგი“...

§ 45. მსაზღვრელის სინტაქსური ურთიერთობა საზღვრელთან იბერიულ-კავკასიურ ენათა ანტიბეტულ სინტაგმაში

მსაზღვრელი სინტაქსურად დამოკიდებულია საზღვრულზე. ეს დამოკიდებულება იმაში გამოიხატება, რომ მსაზღვრელი იმავე ბრუნვასა და რიცხვში დგას, რაც საზღვრულს აქვს; ეგეც ითქმის სქესისა და გრამატიკული კლასის შესახებ, როცა ენა ამ კატეგორიებს განასხვავებს: ასე, მაგ.. ლათ. liber „წიგნი" მამრ. სქესის სახელია, მისი მსაზღვრელიც სათანადო სქესის ფორმაში იქნება: novus liber „ახალი წიგნი" (nov-us, -a, -um „ახალი"); რუს. **книга** მდედრობითი სქესისაა და შესაბამისად გვექნება: **новая книга** (новый, -ая, ое)...

ბრუნების პროცესში მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში: სახელ. novus liber, ნათეს. nov-i libr-i, მიც. nov-o libr-o, ბრალდ. nov-um libr-um... სახელ. нов-ая книг-а, ნათ. нов-ой книг-и, მიც. нов-ой книг-е, ბრალდ. нов-ую книгу... მრავლობ. რ.: სახელ. nov-i libr-i, нов-ые книг-и; ნათ. nov-orum libr-orum, нов-ых книг; მიც. nov-is libr-is, нов-ым книг-ам; ბრალდ. nov-os libr-os და ა. შ.

იბერიულ-კავკასიურ ენებში შეთანხმება მსაზღვრელისა საზღვრულთან შეზღუდულია, ზოგჯერ — მეტად, ზოგჯერ — ნაკლებად, ზოგჯერ კიდევ მსაზღვრელი უცვლელად რჩება, ე. ი. სინტაქსური დამოკიდებულება სულ არა ჩანს.

ხუნძური განასხვავებს სამ გრამატიკულ კლასს — ზედსართავი, მიმღეობა, ზოგი ნაცვალსახელი, ერთი სიტყვით, მსაზღვრელად რაც იხმარება, მხოლობითში სამი ფორმით გვექნება: ჰიტინაუ, ჰიტინად, ჰიტინაბ „პატარა", კუდიდ-აუ, -ად, -აბ „დიდი", წ‿იდ-აუ, წ‿იდ-ად, წ‿იდ-აბ „ახალი": **новая книга**, წ‿იდაბ ტეხ'—რიცხვში (მრავლობითში) მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს: წ‿იდ-ალ ტუხ'-ბი **новые книги**. მაგრამ ბრუნვაში მსაზღვრელი საზღვრულს არ ეთანხმება: ბრუნვაში იცვლება საზღვრული, მსაზღვრელი კი რჩება იმ სახით, რაც სახელობითში ჰქონდა: მხოლ. წ‿იდაბ, მრაელ. წ‿იდალ (რუსულად ეს გამოვიდოდა: **новая книга, новая** (!) **книги, новая** (!) **книге, новая** (!) **книгу** და ასე შემდეგ... მრაელ. **новые книги, новые** (!) **книг, новые** (!) **книгам**... და ა. შ.).

ქართულში მსაზღვრელი გრამატიკულ კლასთა (თუ სქესთა) მიხედვით არ იცვლება: ერთი ფორმა აქვს — „ახალი“, „პატარა“, „დიდი“...

ბრუნვის მიხედვით მსაზღვრელი მეტ-ნაკლებად იცვლება, სახღვრულს ასე თუ ისე ეთანხმება, მაგრამ — ხუნძურისაგან განსხვავებით — რიცხვში საზღვრულს არ ეთანხმება (თუ ნ-იანი მრავლობითი არაა): ახალი წიგნი — ახალი წიგნები, პატარა ჩიტი — პატარა ჩიტები, ღიდი მთა — დიდი მთები (შდრ. დიდნი მთანი...).

ბრუნვაში შეთანხმებაც იმაზეა დამოკიდებული, რა ადგილი უჭირავს მსაზღვრელს (უძღვის საზღვრულს თუ მოსდევს), ხმოვანზე ბოლოვდება მსაზღვრელის ფუძე თუ თანხმოვანზე, უშუალო მეზობლობაშია საზღვრულთან, თუ გათიშულია სხვა სიტყვით. ასეა ეს ახალ ქართულში.

თუ ფუძე ხმოვანზეა დაბოლოებული, მსაზღვრელი საზღვრულის წინ არ იცვლება არც მხოლობითში და არც მრავლობითში: ღრმა — მდინარე, მდინარემ, მდინარეს, მდინარის, მდინარით, მდინარედ .. მდინარეები, მდინარეებმა, მდინარეებს, მდინარეებისა. მდინარეებითა, მდინარეებად: „ღრმა“ ყველა ბრუნვაში (მხოლ.. მრავლ.) უცვლელად რჩება...

როცა მსაზღვრელის ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება, ე. წ. პირდაპირ ბრუნვებში — სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში ინარჩუნებს ბრუნვის ნიშნებს, ეთანხმება საზღვრულს (ახალი წიგნი, ახალმა წიგნმა, ახალო წიგნო!), სხვა ბრუნვებში საზღვრულის ნიშნები მსაზღვრელში არ მეორდება (ახალ წიგნს, ახალ წიგნად, ახალი წიგნის, ახალი წიგნით), ე. ი. შეთანხმება ირღვევა, სინტაქსური კავშირი (შეთანხმება) მოდუნებულია, მსაზღვრელი გარეგნულად ან სახელობითის ფორმას იმეორებს (ახალი წიგნის, ახალი წიგნით), ანდა ფუძეს ხვდება (ახალ წიგნს, ახალ წიგნად)... მიცემითის შესახებ შეიძლებოდა გვეთქვა. მსაზღვრელს მიცემითის ნიშანი აქვს მოკვეცილი (ახალ წიგნს—ახალს წიგნს), მაგრამ ვერც ნათესაობითსა და ვერც მოქმედებითს ვერ მივიჩნევთ მსაზღვრელის სრული ფორმის ფონეტიკურად გამარტივებულ სახეობად: მაშინ ნათესაობითში უნდა გვქონოდა „ახლი წიგნის“ (—ახლის წიგნის, და არა „ახალი წიგნის“, „ახალი“ შეუკუმშავი სახით!), ასევე მოქმედებითში უნდა გვქონოდა „ახლი წიგნით“ (—ახლით წიგნით, და არა „ახალი წიგნით“, შეუკუმ-

შავად! მით უფრო გაუგებარი იქნებოდა „ახალის წიგნით" — სრული სახე ნათესაობითისა!).

გარდაქცევითში „ა ხ ა ლ წიგნად" შეუძლებელია მიეიჩნიოთ „ა ხ ლ ა დ წიგნად"-ის ფონეტიკურ ვარიანტად.

სინტაქსური დამოკიდებულება ქსაზღვრელისა საზღვრულზე ს უ ს ტ დ ე ბ ა (და თანდათანობით ნულამდე დადის), როცა მსაზღვრელი უძღვის საზღვრულს, უშუალოდ საზღვრულის წინ ზის. საკმარისია ქსაზღვრელი დაისვას საზღვრულის შემდეგ, ანდა სხვა სიტყვა აღმოჩნდეს საზღვრულსა და წინამავალ მსაზღვრელს შორის, რომ მსაზღვრელის სინტაქსური კავშირი საზღვრულთან აღდგება: წიგნსა ახალსა, წიგნისა ახლისა, წიგნითა ახლითა... მოგიტან წიგნსა ახალსა, ასევე: ა ხ ა ლ სა მოგიტან წ ი გ ნ ს ა (ვიტყვით: „მოგიტან ახალ წიგნს", მაგრამ არ ითქმის: ა ხ ა ლ მოგიტან წიგნსა...).

პოეზიის ენაში მსაზღვრულ-საზღვრულის გ ა თ ი შ ვ ი ს მაგალითები არც თუ იშვიათია.

მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობა, ე. ი. სიტყვათა რ ი გ ი წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ წ ი ნ ა მ ა ვ ა ლ ი მსაზღვრელი ახალ ქართულში ან სულ არ ეთანხმება საზღვრულს, ანდა ეთანხმება ნაწილობრივ. სიტყვათა რიგიც სინტაქსური საშუალებაა და შეთანხმებაც: ბუნებრივია, თუ ერთი საშუალება მეორით იცვლება (ფორმებით მდიდარი ენა, როგორიცაა ქართული, საერთოდ, სიტყვათა რიგის გამოყენებას სინტაქსურ საშუალებად არ საჭიროებს).

მეგრულსა და მეტადრე ჰანურში წინამავალი მსაზღვრელი უცვლელად რჩება (მეგრ. „ახალი წანა" — „ახალი წელი", „ახალი — წანაქ, წანას, წანაში"... და ა. შ.). მსაზღვრელის უცვლელობამ საბაბი მისცა გერმანელ მკვლევარ გეორგ როზენს ატრიბუტული კომპლექსი, შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა, მიეჩნია კ ო მ პ ო ზ ი ტ ა დ, ე. ი. ერთ სიტყვად, რომელსაც რ თ უ ლ ი ფ უ ძ ე აქვს (ჰან. „ვორსი გზა" „კარგი გზა", მრაელ. რ.: „ვორსი გზაფე": „ვორსი" უცვლელად რჩება ყველა ბრუნვაში, ასევე მრავლობითშიო)[1].

სვანური ენის ბრუნებისათვის დამახასიათებელია ტენდენცია -ა, -ე ხმოვანზე დაბოლოებული მსაზღვრელი უცვლელად დატოვოს: მახე

[1] G. Rosen, Über die Sprache der Lazen, Berlin, 1844, გვ. 6.

ქორ „ახალი სახლი“— ერგ.. მიც., ნათეს.: მახე — ქორ-დ, ქორ-ს, ქორ-ში... ხოჩა მარე — ერგ. ხოჩა მარემ, მიც. ხოჩა მარა, ნათ. ხოჩა მარ-ენ-ში...

ასეთი ტენდენცია ახალგაზრდების მეტყველებაში შეიმჩნევა. ძირითადია სვანურისათვის მსაზღვრელის თავისებური გაფორმება მიც., ერგ., ნათეს., მოქმედ. და გარდაქცევითში: ე-ს ნაცვლად -ა, -ა-ს ნაცვლად -ამ: მახე ქორ „ახალი სახლი“ — მახა: — ქორდ, ქორს, ქორშ.. ხოჩა მარე — ხოჩამ: მარემ, მარა, მარემიშ [1].

ნახურ ენებშიც დასტურდება მსგავსიეე მოვლენა: სახელობითისაგან განსხვავებით სხვა ბრუნვებში მსაზღვრელი დაირთავს -ჩუ დაბოლოებას: კაინ ბეფიგ „თეთრი პური“ — სხვა ბრუნვებში გვექნება კაიჩუ: კაიჩუ ბაფყან „თეთრი პურისა/გან/“... ზოგ ზედსართავ-მსაზღვრელს მრავლობითში ეცვლება ფუძისეული ხმოვანი: ვოქკა სთაგ „დიდი კაცი“ — მრავ. ბაქკიიგ ნახ. „დიდი კაცები“ (ი. დეშერიევი[2]. იხ. აგრეთვე ამავე ავტორის წიგნი „Бацбийский язык“: ბაცბ. არჩი ქუდ „შავი ქუდი“ — ნათ. არჩიჩ ქუდე[3], ერგ. არჩიჩ ქუდეე)... ინგუშურში შესაბამისი ნაწილაია ჩუ: ინგ. ქერდა მაქხ „ახალი პური“ — სხვა ბრუნვებში გვექნება: ქ ე რ დ ა ჩ ა: ნათ. ქერდაჩა მაქხა, ერგ. ქერდაჩა მაქხო[3].

§ 46. პრედიკატულ სინტაგმათა ძირითადი ტიპები იბერიულ-კავკასიურ ენებში

პრედიკატული სინტაგმა გადმოგვცემს მსჯელობას. იგი ვიღაცის ან რაღაცის შესახებ რაღაცას ამტკიცებს (ან უარყოფს); შესაბამისად მსჯელობაში გამოყოფენ სუბიექტსა და პრედიკატს: „მზე ანათებს“ — „მზე“ სუბიექტია. „ანათებს“ — პრედიკატი. „კაშკაშა მზე დედამიწას ანათებს“ აგრეთვე სუბიექტისა და პრედიკატისაგან შედგება: მსჯელობაში სუბიექტია „კაშკაშა მზე“, პრედიკატი — „დედამიწას ანათებს“... სინტაგმაში: „სხვისა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო“ — სუბიექტი გადმოცემულია სახელით „ენა“, პრედიკატი კი — დანარჩენი სიტყვებით: „სხვისა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის“ — ამას ამტკიცებს

---

[1] В. Т. Топурия, Сван. яз., ИКЯ-ки, გვ. 82.

[2] Ю. Д. Дешериев, Чеч. яз., ИКЯ-ки, გვ. 196.

[3] Р. И. Долакова, Ингуш. яз., ИКЯ-ки, გვ. 216.

„ენის" შესახებ ეს სინტაგმა. „სუბიექტი" ლათინური სიტყვაა, მისი პირდაპირი თარგმანია „подлежащее", „ქვემდებარე", „პრედიკატიც" ლათინური სიტყვაა და „сказуемое"-ს, „შემასმენელს" უდრის.

„ქვემდებარე" და „შემასმენელი" წინადადების მთავარი წევრებია; წინადადებაში სხვა წევრებიც შეიძლება გვქონდეს: „განსაზღვრება", „დამატება" („პირდაპირი", „ირიბი"), „გარემოება" („ადგილისა", „დროისა", „ვითარებისა", „მიზნისა", „მიზეზისა"). „მსჯელობა" კი არც „დამატებას" გამოყოფს და არც „განსაზღვრებას" თუ „გარემოებას": ყველა ეს სიტყვა შედის სუბიექტსა და პრედიკატში. „სუბიექტი", „პრედიკატი", „მსჯელობა" ლ ო გ ი კ ი ს ცნებებია. „ქვემდებარე", „შემასმენელი", „განსაზღვრება", „დამატება", „გარემოება", „წინადადება" — გ რ ა მ ა ტ ი კ ი ს ცნებებია, სახელდობრ, გრამატიკის იმ დარგისა, რომელსაც ს ი ნ ტ ა ქ ს ი ეწოდება.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, გრამატიკა (ამ შემთხვევაში სინტაქსი) და მისი ცნებები მხოლოდ ზოგ შემთხვევაში თუ ეფარდება სრულად ლოგიკასა და მის ცნებებს („მსჯელობა", „სუბიექტი", „პრედიკატი"): ასეთია: „მზე ანათებს"; ამ მარტივ წინადადებაში მსჯელობა მოცემულია, „მზე" მსჯელობის ს უ ბ ი ე ქ ტ ს გადმოგვცემს და წინადადების ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ს: „ანათებს" — მსჯელობაში პრედიკატია და წინადადებაში — შემასმენელი. სხვა მაგალითებში—მარტივ გავრცელებულ წინადადებებში — მსჯელობები კია გადმოცემული, ?აგრამ სუბიექტ-პრედიკატს ქვემდებარე-შემასმენელი არ ეფარდება.

როგორც ითქვა, ლოგიკას (მსჯელობას) არ ესაჭიროება (და ამიტომ არ მოეპოვება) ისეთი ცნებები, რომ „დამატებას", „განსაზღვრებას", „გარემოებას" ეფარდებოდეს.

„დამატება" („ობიექტი") კი გრამატიკაში (სინტაქსში) თითქმის ისეთე საჭირო ცნებაა, როგორც „ქვემდებარე" („სუბიექტი"): მაგრამ ?ოველთვის ადვილი როდია იმის გარკვევა, რა სახელია ქვემდებარე და რა — დამატება: „წიგნი მკითხველს მოეწონა". „საწყობს ხანძარი გაუჩნდა", „მოწაფეს ამხანაგი წამოეწია"...

ასეთ მაგალითებში არც ლოგიკური სუბიექტის გამოყოფა აღმოჩნდება უდაო (ეს იმიტომ, რომ ლოგიკა ხშირად ფსიქოლოგიას იშველიებს, ხშირად — გრამატიკას...).

ამიტომ ნაკლებ გაუგებრობას გამოიწვევს, თუ „ქვემდებარის" (ანდა „ლოგიკური სუბიექტის") ნაცვლად წინასწარი ანალიზის საჭიროე-

ბისათვის გამოვიყენებთ ცნებას „რ ე ა ლ უ რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი“ (RS) და მის ანალოგიით — „რ ე ა ლ უ რ ი ო ბ ი ე ქ ტ ი“ (RO): „რეალური სუბიექტი“ (RS) ის სახელია, რომელიც მ ო ქ მ ე დ ს, ა ქ ტ ი უ რ ს აღნიშნავს წინადადების (პრედიკატული სინტაგმის) შ ი ნ ა ა რ ს ი ს თვალსაზრისით: რეალური ობიექტი (RO) კი იქნება ის სახელი, რომელიც წინადადების შ ი ნ ა ა რ ს ი ს თვალსაზრისით აღნიშნავს მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ს, უ მ ო ქ მ ე დ ო ს, პ ა ს ი უ რ ს.

„წიგნი მკითხველს მოეწონა“ — აქ „წიგნი“ იქნება „რეალური ობიექტი“ (RO), „მკითხველს“ — „რეალური სუბიექტი“ (RS).

რ ე ა ლ უ რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი (RS) იბერიულ-კავკასიურ ენებში შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ბრუნვით — ზმნის აგებულების შესაბამისად: ეს ბრუნვებია:

1. ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი: „ბავშვი ტიტინებს“... „მამა მოვიდა“... „გაკვეთილი გათავდა“... „მოწაფე შეეკითხა მასწავლებელს“... „დედა ხალათს კერავს“... „კალატოზი სახლს აშენებს“...

2. ე რ გ ა ტ ი ვ ი (მოთხრობითი): „დედამ ხალათი შეკერა“... „კალატოზმა სახლი ააშენა“... „მონადირემ დათვი მოკლა“...

3. მ ი ც ე მ ი თ ი: „დედას ხალათი შეუკერავს“... „კალატოზს სახლი აუშენებია“... „მონადირეს დათვი მოუკლავს“... „მკითხველს წიგნი მოეწონა“... „დედას შვილი უყვარს“...

4. მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი: ხუნძ. ინსუცა მოშტოცა წულ ყოტანა „მამამ (ზედმიწ. „მამით“) ნაჯახით შეშა დაჭრა“...

5. ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი: ხუნძ. ინსულ ჩუ ბუგო „მამას ცხენი ჰყავს“ (ზედმიწევნით: „მამის ცხენი არის“).. ლაკ. თანალ ჩაღარ ჩიჭჩუნნი „მან წერილი დაწერა“ (ზედმიწ. „მისი ქაღალდი დაწერა“).

6. ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი (ლოკატივი): ხუნძ. დიდა ბიხ'ულა რუყ „მე ვხედავ სახლს“... (ზედმიწ.: „ჩემდა ჩანს სახლი“)... ხუნძ. ჰალმაღასდა ლ'ალა შურუს მაწა „ამხანაგმა იცის რუსული ენა“ (ზედმიწ.: „ამხანაგისდა ცნობილია“...).

7. გ ა უ ფ ო რ მ ე ბ ე ლ ი ფუძე: მე ვდგები... მე შენ გეკითხები... შენ მე მეკითხები... მე შენ გთხოვ... შენ მე მთხოვ... მე შენ შეგხვედრიე-ვარ... შენ მე შემხვედრ-ხარ... ჩვენ თქვენ გთხოვთ... გთხოვეთ... თქვენ ჩვენ გვთხოვთ. გვთხოვეთ.. მე ვაშენებ, — ვაშენე, — მიშენებია... შენ აშენებ. — აშენე. — გიშენებია... ჩვენ ვაშენებთ, — ვაშენეთ, გვიშენებია... თქვენ აშენებთ, — აშენეთ. — გიშენებიათ... ძვ. ქართულის:

აბრაამ შეა ისააკ... გაუფორმებელ ფუძეს ხმარობს მოთხრობითისა და სახელობითის ნაცვლად (შდრ. აბრაამმა შეა ისააკი)...

„მე", „შენ", „ჩვენ", „თქვენ" გაიგება ხან როგორც სახელობითი (მე ვდგები... გთხოვ...). ხან—როგორც მოთხრობითი (მე გთხოვე. ვაშენე...). ხან — როგორც მიცემითი (მე მითხოვია, მიშენებია... მაქვს, მყავს, მახსოვს, მიყვარს...).

ეს იმის გამო, რომ მესამე პირში გარჩეულია სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი: ის აშენებს, სთხოვს — მან აშენა, სთხოვა — მას უშენებია, უთხოვია... ერთი სიტყვით, „მე", „შენ", „ჩვენ", „თქვენ" გაიაზრება, როგორც სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი მესამე პირის ნაცვალსახელთან („ის", „მან", „მას" — „ისინი", „მათ") მიმართებაში (კორელაციაში).

მესამე პირშიც რომ გარჩეული არ ყოფილიყო სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი, ქართულში ისეთივე ვითარება იქნებოდა. როგორიც ამჟამად აფხაზურიდან არის ცნობილი.

„მე", „შენ" — „ჩვენ", „თქვენ" ქართულში სახელობითის როლშიც გამოდის, მოთხრობითისა და მიცემითის მაგივრობას ეწევა, მაგრამ ეს ნაცვალსახელები (პირველისა და მეორე პირისა) არც სახელობითია, არც მოთხრობითი და არც მიცემითი: ეს ნაცვალსახელები მორფოლოგიის თვალსაზრისით ფუძეს წარმოადგენს და იმ დროის გადმონაშთია, როცა სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვები სახელს არ მოეპოვებოდა.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან რიგმა ენამ პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებშიც გაიჩინა ბრუნვის ფორმები ერგატივსა და მიცემითში (ასეა ეს, მაგალითად, ხუნძურში: სახ. დუნ „მე". მუნ „შენ" — ერგ. დიცა, დუცა... მიც. დიდე. დუდე...), მაგრამ რიგ ენაში შემოგვენახა ისეთი მდგომარეობა, როცა ერგატივი არ განსხვავდება სახელობითისაგან, მიცემითს კი საკუთარი ფორმა მოეპოვება (იხ. § 29).

ამრიგად, პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებში ქართულსა (და, საერთოდ, ქართველურ ენებს) შემორჩა ის მდგომარეობა. რაც აფხაზურში საერთოდ ყველა სახელის მორფოლოგიას ახასიათებს: ერგატივი და მიცემითი არ გაირჩევა სახელობითისაგან (დასახელების ფორმისაგან).

ადიღურ ენებში მიცემითი არა გვაქვს. ერგატივი საზოგადო სახელებში გვაქვს, მაგრამ I და II პ. ნაცვალსახელებში არ გაირჩევა სახე-

ლობითისაგან, ე. ი. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებში არც მიცემითი გვაქვს. არც — ერგატივი.

ნახურსა და დაღესტნურ ენებში პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებს მ ი ც ე მ ი თ ი ყველას აქვს, ერგატივის საკითხში ნაირკვარობა შეინიშნება: რიგი ენა ერგატივს სახელობითისაგან არ განასხვავებს. რიგში — ერგატივს თავისი ფორმანტი მოეპოვება (იხ. § 29), რიგ ენაში კიდევ — ერგატივის ჩამოყალიბების პროცესს წარმოაჩენს.

§ 47. პრედიკატული სინტაგმები და შესაბამისი ზმნები

ამრიგად, რეალურ სუბიექტს იბერიულ-კავკასიურ ენებში შეიძლება აღნიშნავდეს პრედიკატულ სინტაგმებში: სახელობითი (ნომინატივი), მოთხრობითი (ერგატივი), მიცემითი (დატივი), მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი), ნათესაობითი (გენიტივი), ადგილობითი (ლოკატივი), გაუფორმებელი ფუძე (ინდეფინიტივი).

ამის შესაბამისად. პრედიკატულ სინტაგმებში გამოიყოფა წინადადებათა კონსტრუქციები: 1. ნ ო მ ი ნ ა ტ ი უ რ ი, 2. ე რ გ ა ტ ი უ ლ ი, 3. დ ა ტ ი უ რ ი, 4. ი ნ ს ტ რ უ მ ე ნ ტ ა ლ ი ს ი ა ნ ი, 5. გ ე ნ ი ტ ი უ რ ი, 6. ლ ო კ ა ტ ი უ რ ი და 7. ი ნ დ ე ფ ი ნ ი ტ უ რ ი.

ამ კონსტრუქციებს ქმნის გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი და გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ზმნა.

სახელდობრ: ლოკატიურსა და დატიურ კონსტრუქციას მხოლოდ გარდაუვალი ზმნა ქმნის, ერგატიულს — მხოლოდ გარდამავალი, ნომინატიურსა და ინდეფინიტურს — როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი; ეგევე ითქმის ინსტრუმენტალისიან და გენიტიურ კონსტრუქციებზე, ოღონდ არა ერთისა და იმავე ენის ფარგლებში: ინსტრუმენტალისი გარდამავალი ზმნის რეალური სუბიექტია (RS) ხუნძურში; ასევე ნათესაობითი გარდამავალი ზმნის რეალურ სუბიექტს აღნიშნავს ლაკურში, გარდაუვალ ზმნასთან კი ნათესაობითმა რეალური სუბიექტი შეიძლება ქართულში აღნიშნოს („სახლი შენდება კალატოზის მიერ"), მაგრამ არა — ლაკურში.

ზემოაღნიშნულ კონსტრუქციათაგან გავრცელების ყველაზე დიდი არეალი მოეპოვება ნ ო მ ი ნ ა ტ ი უ რ ს, ე რ გ ა ტ ი უ ლ ს, დ ა ტ ი უ რ ს და ი ნ დ ე ფ ი ნ ი ტ უ რ კონსტრუქციას. ინსტრუმენტალისმიე-

რი კონსტრუქცია (ხუნძურში), გენიტიური კონსტრუქცია (ლაკურში), ერგატიული კონსტრუქციის ფუნქციას ასრულებენ: ინსტრუმენტალისისა და ნათესაობითისაგან განსხვავებული ერგატივი ხუნძურსა და ლაკურს არ მოეპოვება.

დატიური კონსტრუქცია გარკვეული შინაარსის გარდაუვალ ზმნებთან (verba sentiendi) წარმოიქმნება და იმავე რიგისაა, როგორც ანალოგიური კონსტრუქცია ინდო-ევროპულ ენებში (ლათ. mihi placet, გერმ. mir gefählt, რუს. мне нравится... мне кажется...).

სრული ერთგვაროვნება ამ მხრივ ინდო-ევროპულ ენებში არ არის; არც იბერიულ-კავკასიურ ენებშია მოსალოდნელი (მით უფრო — ინდო-ევროპულსა და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის). მაგრამ დატიური კონსტრუქცია უჩვეულოს არაფერს შეიცავს (ინდო-ევროპულ ენათა თვალსაზრისით).

ნომინატიური კონსტრუქცია საყოველთაოდ ცნობილია, ოღონდ ნომინატივის გამოყენების მხრივ არის სხვაობა ინდო-ევროპულსა და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის: ინდო-ევროპულ ენებში ნომინატივის გამოყენების სფერო უფრო დიდია (იგი რეალურ სუბიექტს აღნიშნავს, როგორც გარდაუვალს, ისე გარდამავალ ზმნებთან), იბერიულ-კავკასიურ ენებში სუბიექტის აღნიშვნის მხრივ იგი უფრო შეზღუდულია, ვიდრე ინდო-ევროპულ ენებში, და ეს შეზღუდვა ერგატივისა და ერგატიული კონსტრუქციის მიზეზითა გვაქვს; რეალური ობიექტის აღნიშვნის მხრივ ნომინატივს იბერიულ-კავკასიურ ენებში გაცილებით მეტი სარბიელი უჩნდება და ესეც — ერგატიული კონსტრუქციის წყალობით.

ერგატიული კონსტრუქცია ყველაზე თავისებურია იბერიულ-კავკასიურ ენებში. ბუნებრივია, თუ მას ყველაზე მეტი ყურადღებაც ეთმობოდა.

§ 48. ერგატიული კონსტრუქციის კომპონენტები

ერგატიული კონსტრუქცია სამწევრიან პრედიკატულ სინტაგმას წარმოადგენს; ეს წევრებია: გარდამავალი ზმნა და მასთან შეხამებული ორი სახელი — რეალური სუბიექტი (RS) ერგატივში და რეალური

ობიექტი (RO) — სახელობითში: „მხატვარმა სურათი დახატა“, „მოსადირემ დათვი მოკლა“. „მამამ ცხენი გაყიდა“... რუსულს, ლათინურს, ძველ-ბერძნულსა და სხვა ინდო-ევროპულ ენებში გარდამავალი ზმნა „დახატა“ (нарисовал, написал картину), „მოკლა“ (убил), „გაყიდა“ (продал) შესაბამის ქართულ ზმნათაგან თითქოს მნიშვნელობით არ განსხვავდება, მაგრამ სხვა ბრუნვებს მოითხოვს; რეალური სუბიექტი (RS) ერგატივში ზის ნაცვლად სახელობითისა („მხატვარმა“ — ერგ., „художник“ — სახელობითი), რეალური ობიექტი (RO) კი — სახელობითში ნაცვლად აკუზატივისა („სურათი“ — სახელობითი, „картину“— აკუზატივი).

რეალური სუბიექტის (RS) ბრუნვის მიხედვით ამ კონსტრუქციას ეწოდა ერგატიული. და ეს გასაგებიცაა: ინდო-ევროპული ენებისათვის ერგატივი უცხოა: ეს თავისებური ბრუნვა იქცეოდა, პირველ ყოვლისა, უურადღებას მორფოლოგიაში.

რაც შეეხება ობიექტის ბრუნვას (სახელობითს), ეს ბრუნვა უცნობს არაფერს შეიცავდა: თავისებური იყო არა ეს ბრუნვა, არამედ მისი გამოყენება (აკუზატივის ნაცვლად).

იბერიულ-კავკასიურ ენებში ერგატივი ერთგვარი არაა (გაირჩევა „თავისთავადი“ და „საზიარო“ — იხ. § 29), რაც შეეხება რეალური ობიექტის (RO) ბრუნვას გარდამავალ ზმნასთან, ის ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში სახელობითში დაისმის (თუკი რეალური სუბიექტი ერგატივშია): არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში აკუზატივი არ აღმოგვაჩნდება (უდიურში ზოგი ავტორი ასახელებს „აკუზატივს“, მაგრამ ეს ბრუნვა მიცემითისაგან მომდინარეობს).

ერგატიულ კონსტრუქციას ამისდა კვალად შეიძლებოდა დარქმეოდა „გარდამავალი ზმნის უაკუზატივო კონსტრუქ-

---

[1] სპეციალურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ იტყვიან: „ქვემდებარე — ერგატივში“ და „პირდაპირი დამატება — სახელობითშიო“: ასეთი ტერმინები შეუფერებელია: ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიებში სწორედ ისაა სადაო, თუ რა სახელი უნდა მივიჩნიოთ აქ ქვემდებარედ და რა — დამატებად, კერძოდ. ერგატივში დასმული სახელი ქვემდებარეა თუ ირიბი დამატება, ხოლო პირდაპირი „დამატება“ შეიძლება თუ არა არსებობდეს იმ ენებში, სადაც ბრუნვათა სისტემაში აკუზატივი არა გვაქვს.

ტერმინების „რეალური სუბიექტისა“ და „რეალური ობიექტის“ შესახებ იხ. § 46.

ცია". ეს გამართლებული იქნებოდა **აღწერითი** თვალსაზრისითაც და კიდევ უფრო — **ისტორიული** თვალსაზრისით.

ერგატიულ კონსტრუქციაში რეალური სუბიექტის ბრუნვაც თავისებურია და რეალური ობიექტის ბრუნვაც (ინდო-ევროპულ ენათა სინტაქსის თვალსაზრისით) იმიტომ, რომ თავისებურია გარდამავალი ზმნა (იბერიულ-კავკასიურ ენათა): **სახელთა თავისებურებას გარდამავალი ზმნის თავისებურება იწვევს.** ერგატიული კონსტრუქციის თავისებურება სახელებში (ბრუნვების გამოყენებაში) ჩანს, მაგრამ გარდამავალი ზმნიდან მოდის, გარდამავალი ზმნის თავისებურებით არის შეპირობებული: **ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში გარდამავალი ზმნის პრობლემაა.**

ამიტომაა, რომ ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა დაისმის აფხაზურ ენაშიც. სადაც სახელის ბრუნებაში ერგატივი (ისევე, როგორც მიცემითი, ნათესაობითი) არ მოგვეპოვება, მაგრამ გარდამავალი ზმნის უღლილების პროცესში პირის ფორმანტების თავისებური გამოყენებით გვანიშნებს. რა სახელსაც ეკუთვნის ერგატივის როლი (და რას — სახელობითისა): ზმნის მორფოლოგიაშია გადატანილი საკითხი, რამაც შემდეგ თავისებური ბრუნვისა თუ ბრუნვათა თავისებურ გამოყენებაში იჩინა თავი იმ იბერიულ-კავკასიურ ენებში. სადაც ეს ბრუნვები ჩამოყალიბდა.

თუ ერგატივი არა გვაქვს, ერგატიული კონსტრუქცია როგორღა გვექნებაო, აკი რეალური სუბიექტიცა და რეალური ობიექტიც გაუფორმებელიაო. ასეთი მსჯელობა აზრიანი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ერგატიულ კონსტრუქციას სახელთა ბრუნების წიაღში გაჩენილად მივიჩნევდით, თუ ერგატიული კონსტრუქციის სათავეს ბრუნებაში ვიეარაუდებდით. ნამდვილად კი გული (ბირთვი) ერგატიული კონსტრუქციისა იყო და არის გარდამავალი ზმნა მაშინაც, როცა ერგატივი გვაქვს და მაშინაც, როცა ბრუნვათა სისტემა არ მოგვეპოვება (არ განვითარებულა). ბრუნების თავისებურება შეიძლება გექონდეს და შეიძლება — არა. ესაა ერგატიული კონსტრუქციის **გარეგანი ატრიბუტები**, გარდამავალი ზმნის თავისებურება ქმნის ერგატიული კონსტრუქციის არსს: ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის ამოხსნაც ამ თავისებურების ჩვენებას გულისხმობს.

§ 40. გარდამავალი ზმნის თავისებურების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ზოგადად

სპეციალურ ლიტერატურაში სამი, არსებითად განსხვავებული, შეხედულება არის წამოყენებული:

ა. ერგატიულ კონსტრუქციაში გარდამავალი ზმნა პ ა ს ი უ რ ი ა. გარდამავალი ზმნა უნდა იყოს მოქმედებითი გვარისა, ე. ი. აქტიური, არის კი პასიური. ამაშია გარდამავალი ზმნის თავისებურება.

ბ. ერგატიულ კონსტრუქციაში გარდამავალი ზმნა პასიური კი არ არის, აქტიურია (ასეთი შეხედულება უპირისპირდება პირველს).

გ. გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციაში არც აქტიურია და არც პასიური: ამ გარდამავალი ზმნისთვის უცხოა გვარების (მოქმედებითის, ვნებითის) გარჩევა: გვართა თვალსაზრისით იგი ინდიფერენტულია, ნეიტრალურია.

ამ სამგვარი გაგების შესაბამისად გვექნება ერგატიული კონსტრუქციის პ ა ს ი უ რ ო ბ ი ს თეორია, ა ქ ტ ი უ რ ო ბ ი ს თეორია, ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ო ბ ი ს თეორია.

შეიძლება არსებობდეს სხვაგვარი გაგებაც, არა ასე გამოკვეთილი. მაგრამ პასუხის გარკვეულობის თვალსაზრისით ძ ი რ ი თ ა დ ი ა ეს სამი გაგება.

ერგატიული კონსტრუქციის პ ა ს ი უ რ ო ბ ა ს ასაბუთებდნენ პეტრე უ ს ლ ა რ ი, ჰუგო შ უ ხ ა რ დ ტ ი, ნიკო მ ა რ ი (ერთგვარად — ივ. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი ც: მისი შეხედულება თავისებურია), კარლ უ ლ ე ნ ბ ე კ ი.

ერგატიული კონსტრუქციის აქტიურობას იცავდნენ სოფიო ბ ი ხ ო ვ ს კ ა ი ა, ნიკოლოზ ი ა კ ო ვ ლ ე ვ ი...

ცალკე განხილვას მოითხოვს ალფ. ტ რ ო მ ბ ე ტ ი ს შეხედულება.

ერგატიული კონსტრუქციის ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ო ბ ი ს თეორიული დასაბუთება უკანასკნელი ოცდაათი წლის საქმეა, აზრი კი ნეიტრალურობის შესახებ გამოთქმული ადრეც ყოფილა (მაგალითად, ადოლფ დ ი რ ი ს მიერ).

ერგატიული კონსტრუქციის პასიურობას თუ აქტიურობას სხვადასხვა ავტორი ასაბუთებს სხვადასხვაგვარად, ამიტომ ავტორთა კონცეფციები ცალ-ცალკე განხილვას მოითხოვს.

§ 60. პეტრე უსლარი გარდამავალი ზმნის კასიუროზის შესახებ (ნახურსა და დაღესტნურ ენებში)

მთის იბერიულ-კავკასიური ენათა შესწავლა პ. უსლარმა აფხაზურით დაიწყო (1861 წ.), მაგრამ აფხაზურში ერგატიული კონსტრუქციის საკითხს პ. უსლარი არ შეხებია. აფხაზურის შემდეგ პ. უსლარმა იკვლია ჩაჩნური, ჩაჩნურის შემდეგ კი — ხუნძური („ავარიული"), ლაკური. დარგუული („ხიურკილიური"), ლეზგიური („კიურიული"), დაბოლოს — თაბასარანული (ამ უკანასკნელზე მუშაობა 1870 წ. ჰქონდა პ. უსლარს დაწყებული, მაგრამ თაბასარანულის მთლიანი მიმოხილვა მას დაუმთავრებელი დარჩა).

პ. უსლარმა შექმნა ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის თეორიაო, რომ ვამბობთ, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი: არც გამოთქმა „ერგატიული კონსტრუქცია", არც ტერმინი „ერგატივი", პ. უსლარის დროს არ არსებობდა (ეს ტერმინი მეოცე საუკუნის ოციან წლებში შემოვიდა ხმარებაში).

ზმნის თავისებურების საკითხი კი პ. უსლარმა დასვა სახელის ბრუნების თავისებურებასთან დაკავშირებით, კერძოდ. აკუზატივის უქონლობაზე დაყრდნობით.

აფხაზურსაც არა აქვს აკუზატივი, მაგრამ მას არც მიცემითი აქვს. არც ნათესაობითი, არც ერგატივი. ჩაჩნურში კი სახელს ყველა ეს ბრუნვა მოეპოვება, აკუზატივი კი არა გვაქვს, მასთან, **ზმნა მართოდენ სახელობითს უთანხმდება** — აი ეს ორი გარემოებაა ამოსავალი პ. უსლარისათვის, როცა იგი ჩაჩნური ზმნის რაობას ახასიათებს...

პ. უსლარი წერს: „სათანადო სიცხადით რომ გავიგოთ ჩაჩნური ზმნის აგებულება,... პირველ ყოვლისა, უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ჩაჩნურ ენაში სრულებით არ მოგვეპოვება **მოქმედებითი**, გარდამავალი ზმნები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ **საშუალო ენებითი**. ჩვენ, მაგალითად, ვამბობთ: я люблю брата, отец любит сына, მაგრამ შეგვიძლია სხვა კონსტრუქციაც მივსცეთ წინადადებებს: брат любим мною, сын любим отцом. ეს უკანასკნელი კონსტრუქცია არის ერთადერთი შესაძლო კონსტრუქცია ჩაჩნურს ენაში. ჩაჩნური წინადადების წყობასთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ გადავთარგმნით მას ასე: мне любится брат, отцу любится сын... ავიღოთ მოქმედებითი გვარის ზმნა делается „კეთდება", ჩაჩნურ ენაზე გვექნება: мною

делается „ჩემით (ჩემ მიერ) კეთდება“, тобою делается „შენით (შენ მიერ) კეთდება“, им делается „მის მიერ კეთდება“, нами делается „ჩვენ მიერ კეთდება“ და სხვ. делается „კეთდება“ უცვლელად რჩება მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი პირები იცვლება. მაგრამ თუ საგანი, რასაც მოქმედება ეხება, მრავლობითში დაისმის, ვიტყვით, мною делаются „ჩემ მიერ კეთდებიან“. მსგავსი ცვლილება ჩაჩნურ ენაში შეიძლება წავიდეს უფრო შორს: ზმნაში შეიძლება აღინიშნოს არა მხოლოდ რიცხვი. არამედ სქესიც ანუ, უკეთ ვთქვათ, კატეგორია, რომელსაც განეკუთვნება საგანი, რომელზედაც მიმართულია მოქმედება“ [1].

„ყოველივე იმისაგან, რაც ითქვა, გასაგები ხდება, რატომაა, რომ ჩაჩნურში, რომელსაც ასე ბევრი ბრუნვა აქვს, აკუზატივი არ მოიპოვება. აქ ვერ ვიტყვით, რომ а к у з а т и в и ყოველთვის მსგავსია с а х ე л ო б и თ и с а. აკუზატივი არ შეიძლება არსებობდეს აქ ჩაჩნური ზმნის თვისების გამო“ [2].

ამრიგად, პ. უსლარი ვარაუდობს, რომ ჩაჩნურ ენას არა აქვს იმ რიგის კონსტრუქცია, როგორიცაა „отец любит сына“, არამედ მხოლოდ „отцу любится сын“; ასევე უცხოა ჩაჩნურისათვის „он делает“, მას შეუძლია თქვას „им делается“; ასეთ ზმნას ობიექტი აკუზატივში არ დაესმის, ობიექტი სახელობითშია, და მის რიცხვს, გრამატიკულ კლასს ზმნა ეთანხმება: ესაა საშუალო და ენებითი, და არა — მოქმედებითი. ტრანზიტიული ზმნაო.

ხუნძური ზმნის დახასიათებისას პ. უსლარი საანალიზოდ იღებს ჰ а б и з е („კეთება“) ზმნას, რომელიც აღწერითს შემასმენელს აწარმოებს: დიცა რაზი ჰავულა ემენ „მე ვასიამოვნებ (ქმაყოფილს ვხდი) მამას“, დიცა რაზი ჰაჲულა ებელ „მე ვასიამოვნებ დედას“... რეალური ობიექტების (მამა, დედა) კლასი ზმნაში აღინიშნა, მაგრამ რეალური სუბიექტისა აღუნიშვნელი რჩება, — დიცა „მე“, დუცა „შენ“, დოს „იმან“ — არც ერთის კლასი (არც პირი) ზმნაში არ აისახა; რეალური ობიექტი სახელობითშია დასმული, მას ზმნა ეთანხმება კლასში, რეალური სუბიექტი ერგატივში ზის (გარდამავალ ზმნასთან), მას ზმნა არ ეთანხმება.

პ. უსლარი ხუნძური ზმნის შესახებაც იმასვე ამბობს. რაც ჩაჩნური

---

[1] П. У с л а р. Чечен. яз., 1888, § 19.

[2] იქვე, გვ. 65.

ზმნის შესახებ ჰქონდა ნათქვამი: „ხუნძურ ენაში ისევე, როგორც ჩაჩნურში, სრულებით არა გვაქვს მოქმედებითი გვარის ზმნები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ს ა შ უ ა ლ ო და ვ ნ ე ბ ი თ ე ბ ი. აკუზატივი არ ჩოეპოვება ხუნძურ ენას თვით ხუნძური ზმნის ბუნების გამო“ [1].

ამრიგად, პ. უსლარის გაგების თანახმად, არც ჩაჩნურს, არც ხუნძურს მოქმედებითი გვარის ზმნა არა აქვს: ამ ენებში ზმნა შეიძლება იყოს ან საშუალო ანდა ვნებითი. ამიტომაა, რომ აქ ბრუნებას აკუზატივი ეუცხოება: აკუზატივი გულისხმობს ტრანზიტივს, მოქმედებითი გვარის ზმნას, იგი ამგვარი ზმნის ობიექტს აღნიშნავს.

ჩვეულებრივ ამბობდნენ (ფრ. მიულერი, ალ. ცაგარელი...): ა კ უ ზ ა ტ ი ვ ი კავკასიურ ენებში. კერძოდ, ქართულში, ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ს ემსგავსებაო, ე. ი. აკუზატივი გვაქვს, ოღონდ უნიშნოა (მარკირებული არ არისო, როგორც ახლა იტყვიან).

პ. უსლარი ამის საპირისპიროდ ამბობს: აკუზატივი არა გვაქვს. და ეს შემთხვევითი როდია, ზმნის ბუნებაა ისეთი, რომ აკუზატივის არსებობას გამორიცხავს: მხოლოდ საშუალო და ვნებითი გვარის ზმნები გვაქვს, ასეთ ზმნებთან ობიექტი აკუზატივში არ დაისმის. აკუზატივს ტრანზიტივი, მოქმედებითი გვარის ზმნა საჭიროებსო.

საიდან ჩანს, რომ ჩაჩნურსა და ხუნძურში მხოლოდ საშუალო და ვნებითი ზმნები გვაქვს? იქიდან, რომ ზმნა მოქმედს, რეალურ სუბიექტს კი არ ეთანხმება. არამედ იმ სახელს, რომელიც მოქმედების ობიექტს, უმოქმედოს, აღნიშნავს: დიცა რაზი ჰაუულა ემენ „მე კმაყოფილს ვხდი მამას“ — ემენ „მამა“ რეალურად ობიექტია, დასმულია სახელობითში. მას ეთანხმება ჰა-ვ-ულა (ვ — I გრამ. კლასის ნიშანია); რეალური ობიექტის კლასი რომ იცვალოს, ზმნა შესაბამისად შეიცვლება: დიცა რაზი ჰა-ჲ-ულა ებელ „მე კმაყოფილს ვხდი დედას“ (ებელ II გრამატ. კლასის სახელია და ზმნაში აღინიშნება მისი კლასი -ჲ-ფორმანტით)... რეალური ობიექტი სახელობითში ზის (აკუზატივის ნაცვლად) და მისი კლასი ზმნაში აღინიშნება. ზ მ ნ ა მ ას ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა (ზმნაში მისი რიცხვიც იქნება აღნიშნული: დიცა რაზი ჰა-რ-ულა ჰალბალზაბი „მე კმაყოფილს ვხდი ამხანაგებს“...).

რაც შეეხება რეალურ სუბიექტს დიცა „მე“ (ერგატ.), მისი არც გრამატიკული კლასი, არც რიცხვი ზმნაში (ჰა-ვ-ულა) არა ჩანს; დიცა

---

[1] П. У с л а р. Аварский яз., 1889, § 23, გვ. 122—123.

„მე" იქნება თუ დუცა „შენ", ნეეცა „ჩვენ" თუ ნოეოცა „თქვენ", დოს „მან", ზმნაში ეს არავითარ ცვლილებას არ იწვევს.

გარდამავალი შინაარსის მქონე ზმნა რეალურ სუბიექტს ერგატივში მოითხოვს, რეალურ ობიექტს — სახელობითში. იუღელება კი მხოლოდ რეალური ობიექტის მიხედვით, იცელება რეალური ობიექტის გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით, რეალური სუბიექტი, ერგატივი, ზმნის უღვლილებაში არა ჩანს. რეალური ობიექტი სახელობითში ისეთი სინტაქსური ძალისაა, როგორც რეალური სუბიექტი სახელობითში გარდაუვალ ზმნასთან: ემენ ვაჭუნა „მამა მოდის", ებელ ჯაჭუნა „დედა მოდის", ლ'იმერ ბაჭუნა „ბავშვი მოდის"...

სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელობითი ბრუნვა. რომელსაც ზმნა ეთანხმება. ქვემდებარეს წარმოადგენს არა მხოლოდ გარდაუვალ ზმნასთან („მოდის", „მირბის"), არამედ გარდამავალ ზმნასთანაც: ვაცას ჩუ ბაჩანა „ძმამ ცხენი მოიყვანა", ვაცას ხურ ბეტანა „ძმამ მინდორი მოხნა": „ცხენი", „მინდორი" — რეალური ობიექტია შ ი ნ ა ა რ ს ი ს მიხედვით; გ რ ა მ ა ტ ი კ ულ თავისებურებებს თუ გავითვალისწინებთ. ესაა გ რ ა მ ა ტ ი კ ული ს უ ბ ი ე ქ ტ ი, ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე. ამიტომაც ეთანხმება მას ზმნა.

რეალური სუბიექტი „ძმამ" კი გრამატიკულად დამატებას წარმოადგენს, ირიბ დამატებას: ვაცას ჩუ ბაჩანა, თუ ზედმიწევნილობას დავიცავთ და ხუნძური (ჩაჩნური) ზმნის თავისებურებას ანგარიშს გავუწევთ. თურმე იქნება „ძმამ ცხენი მოიყვანა" კი არა. არამედ „ძმის მიერ ცხენი მოყვანილ იქნა".

პ. უსლარმა ამით პასუხი გასცა ყველა ძირითად საკითხს:

ა. რატომ ეთანხმება ზმნა რეალურ ობიექტს სახელობითში? იმიტომ რომ ეს რეალური ობიექტი სახელობითში წარმოადგენს გრამატიკულ სუბიექტს. ე. ი. ქვემდებარეა: ბუნებრივია, ზმნა ქვემდებარეს ეთანხმებოდეს.

ბ. რატომ არ ეთანხმება რეალურ სუბიექტს (ერგატივში)? იმიტომ რომ რეალური სუბიექტის ბრუნვა ირიბი დამატებაა (მოქმედებითი ბრუნვაა!): ირიბ დამატებას (აქ: მოქმედებითს) ზმნა არც უნდა ეთანხმებოდეს. მთელი წინადადება—ვაცას ჩუ ბაჩანა „братом лошадь приведена" ეფარდება რუსულ (და, საერთოდ, ევროპულ ენათა) წინადადებას, რომელსაც შემასმენლად ვ ნ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს ზმნა აქვს.

გ) „ვაცას". „დიცა". „დუცა" ფორმებს პ. უსლარი უწოდებს მ ო ქ-

მედებითს. творительный (და არა „ერგატივს", „აქტიურს", ანდა „ინსტრუქტივს", როგორც ან. შიფნერს ჰქონდა წოვა-თუშურის ანუ ბაცბურის გრამატიკაში): „ინსტრუქტივი" თავისებურებას გახაზავს, პ. უსლარისათვის კი ხუნძური ერგატივი ჩვეულებრივი „მოქმედებითია". ერგატივისაგან განსხვავებული „მოქმედებითი" ხუნძურს არა აქვს და ესეც პ. უსლარის გაგებას უჭერს თითქოს მხარს.

მართალია, ჩაჩნურში ერგატივი დამოუკიდებელი ერთეულია ბრუნების სისტემაში და მოქმედებითი ცალკე ბრუნვად არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს დამოუკიდებელი („თავისთავადი") ერგატივიც ზმნას არ ითანხმებს, ე. ი. ირიბი ბრუნვის სინტაქსური ძალა აქვს.

დ. დასასრულ, პ. უსლარის თვალსაზრისმა ბრუნების ის თავისებურებაც ახსნა, რატომ არა აქვს ჩაჩნურს, ხუნძურს აკუზატივი: აკუზატივი „პირდაპირი ობიექტის" ბრუნვაა „ტრანზიტივებთან" ე. ი. მოქმედებითი გვარის ზმნებთან, ამ ენებს კი ასეთი ზმნა არ აბადია: ყველა ზმნა „ვნებითია" ან „საშუალო" (უკეთ რომ ვთქვათ, „საშუალო"): საშუალო „საშუალოდ" რჩება, ხოლო, სადაც „მოქმედებითს" ველოდით, მისი ადგილი „ვნებითს" უჭირავს.

პ. უსლარმა ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალი ზმნისა გაუტოლა ინდო-ევროპულ ენათა იმ კონსტრუქციას, რომელსაც ვნებითი გვარის ზმნა ქმნის და ამ გზით შეეცადა აეხსნა, რატომ მოითხოვს გარდამავალი ზმნა რეალურ ობიექტს სახელობითში, ხოლო რეალურ სუბიექტს — ერგატივში (მოქმედებითში).

§ 61. სინტაქსური საზომი პ. უსლარის კონცეფციაში და სუბიექტურ-ობიექტური უღვლილების ზმნები

პ. უსლარის შეხედულების გადმოცემა-გაშუქებაზე დაწერილებით შევჩერდით იმიტომ, რომ პ. უსლარისეული გაგება თანამიმდევრული და გარდამავალი ზმნის შესახებ ჩაჩნურსა და ხუნძურში მთლიან კონცეფციას ქმნის.

პ. უსლარის კონცეფცია სინტაქსურ საზომს იყენებს და ემყარება დებულებას: გრამატიკული სუბიექტია (ქვემდებარეა) სახელი, თუ მას ზმნა ეთანხმება; გრამატიკული ობიექტი (დამატება) იქნება ის სახელი, რომელსაც ზმნა არ ეთანხმება.

ამ საზომით სუბიექტი და ობიექტი შეიძლება დაუპირისპირდეს ერთმანეთს იმ ენებში, სადაც ზმნა მხოლოდ სუბიექტის მიხედვით იცვ-

ლება, ე. ი. სადაც უღვლილება სუბიექტურია, მაგრამ ეს სა-ზომი ვერ გაგვარჩევინებს სუბიექტს ობიექტისაგან, თუ ზმნის უღვლილება სუბიექტურ-ობიექტურია: ზმნა ასეთ შემთხვევაში გარკვეული ფორმანტების საშუალებით აღნიშნავს, როგორც სუბიექტს, ისე ობიექტს: ასეთია, კერძოდ, ქართული ორპირიანი ზმნა — გარდამავალი (მ-ხატავ-ს მე ის), გარდაუვალი (მე-კითხებ-ა მე ის)... ობიექტის პირები აქ ისევე აღინიშნება ზმნაში, როგორც სუბიექტისა... ობიექტად ყოფნა ზმნის შეთანხმებას სათანადო სახელთან არ გამორიცხავს.

პ. უსლარს ჩაჩნურსა და ხუნძურში საქმე ჰქონდა ისეთ ზმნებთან, რომლებიც მხოლოდ ერთ სახელს უკავშირდება, ამ სახელის გრამატიკულ კლასსა (და რიცხვს) აღნიშნავს. ქართული ზმნის უღვლილებაზე კი ხელი არ მიუწვდებოდა. სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება აფხაზური ზმნიდან კი იყო ცნობილი პ. უსლარისათვის, მაგრამ აფხაზურში სუბიექტის ბრუნვაცა და ობიექტის ბრუნვაც ფუძის სახით იყო წარმოდგენილი (და ამიტომ სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირებაც ზმნის ფორმანტებში უნდა განხილულიყო და არა — სახელთა ბრუნვებში).

და მაინც სუბიექტურ-ობიექტური უღვლილების საკითხი პ. უსლარის წინაშე დადგა: ხუნძურის შემდეგ პ. უსლარმა ლაკური და დარგუული შეისწავლა: ორივე ენაში სუბიექტურ-ობიექტური უღვლილების გარკვეული ვარიანტებია წარმოდგენილი: ზმნაში შეიძლება აღინიშნოს ორი სახელი, მათი გრამატიკული კლასიცა და პირიც: გრამატიკული კლასი — პრეფიქსით, პირი — სუფიქსით. ამრიგად, მოიშალა ის ზღვარი, რაც ერგატივსა და სახელობითს განასხვავებდა ზმნასთან შეთანხმების თვალსაზრისით და რაც ზმნის პასიურობის საფუძველი ხდებოდა.

და პ. უსლარიც ლაკურისა და დარგუული გარდამავალი ზმნის შესახებ აღარ ამბობს — მხოლოდ საშუალო და ვნებითი გვარის ზმნები გვაქვსო. პ. უსლარის აზრით, ლაკურსა და დარგუულში მოქმედებითი, აქტიური ზმნებიც დადასტურდა: „...საშუალო ზმნებში... ორივე სახის ცვლილება (იგულისხმება კლასისა და პირის აღნიშვნა) ზმნის ქვემდებარეს ეთანხმება, რაიც სავსებით ბუნებრივია; მოქმედებითს ზმნებში ჩვენ ვხედებით სრულიად თავისებურ მოვლენებს, რომლებიც ლაკურ კონსტრუქციას ანიჭებენ ისეთ ხასიათს, რომელიც მკვეთრად

განსხვავდება ხუნძურ და ჩაჩნურ ენათა კონსტრუქციებისაგან“ [1]... აქ იგულისხმება ის შემთხვევები, როცა ზმნის დაბოლოებათა ცელა დამოკიდებულია სახელზე, რომელიც მოქმედს აღნიშნავს, რომელიც რეალური სუბიექტია.

სინტაქსურმა საზომმა ჩაჩნური და ხუნძური ზმნა პ. უსლარს მიაჩნევინა საშუალოდ და ვნებითად, — მოქმედებითი ზმნები ამ ენებში არ შეიძლება გვქონდესო. იმავე საზომმა ლაკურში (აგრეთვე დარგუულში) გამოავლინა სხვაგვარი ზმნები, რომლებიც მოქმედებითის თვისებისა გამოდის.

ამრიგად, უსლარისათვის გარდამავალი ზმნა და ერგატიული კონსტრუქცია ჩაჩნურსა და ხუნძურში პასიურია, ლაკურსა და დარგუულში აქტიურიც შეიძლება იყოს. ეს ნიშნავს: სინტაქსური საზომი, რასაც პ. უსლარი იყენებდა, გამოსადეგი არ აღმოჩნდა.

პ. უსლარმა ამოცანა ამოხსნა შინაგან წინააღმდეგობათა გარეშე — უ მ ა რ ტ ი ვ ე ს პირობებში, როცა ზმნის უღვლილება ერთ სახელს უკავშირდება და ზმნის ფორმა ან სუბიექტურია (გარდაუვალი ზმნა) ან ობიექტურია (გარდამავალი ზმნა მხოლოდ რეალურ ობიექტს უკავშირდება — კ ლ ა ს ო ვ ა ნ ი უღვლილების პირობებში).

კლასოვან-პიროვანი უღვლილება ლაკურსა და დარგუულ ზმნებში ორ სახელს აღნიშნავს ერთდროულად, ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ-ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა. ასეთი უღვლილების გარდამავალი ზმნა პ. უსლარმა პასიურად ვერ მიიჩნია.

ხუნძურ ენაშიც ყურადღებას იქცევს ზოგი გარემოება, რაც უსლარისეულ გაგებას არ ეთანხმება: გარდამავალ ზმნათა მიმღეობა შეიძლება მორფოლოგიურად ორ სახელს დაუკავშირდეს, ერთი მათგანი პ რ ე ფ ი ქ ს ი თ იქნება აღნიშნული, მეორე — ს უ ფ ი ქ ს ი თ: ხურ ბ-ეტ Აულე-უ ემენ „მიწა-მხვნელი მამა“... პრეფიქსი ბ აღნიშნავს ხ უ რ-სახელს (III გრამ. კლასი), სუფიქსი -უ ე მ ე ნ-სახელს (I გრამ. კლ.); ხ უ რ „მიწა“ რეალური ობიექტია, ე მ ე ნ „მამა“ რეალური სუბიექტი. პრეფიქსით რეალური ობიექტი (ხ უ რ) აღინიშნება, და რეალური ობიექტი გრამატიკულადაც ობიექტია, „უახლოესი ობიექტია“, რომელიც ზმნის გარდამავლობას განსაზღვრავს... (სუფიქსი რეალურ სუბიექტზე მიუთითებს...).

---

[1] П. У с л а р. Лакский яз., § 183.

მაშასადამე. ინსუცა ხურ ბეტაულა „მამა მიწას ხნავს" ბ- რეალური ობიექტის ნიშანი ყოფილა, უახლოეს ობიექტზე მიუთითებს, ესე იგი, სუბიექტის ნიშანიაო, ვერ ვიტყვით: ხუნძური ზმნა კლასოვანი უღვლილებ-ს ზმნაა. გარდამავალი ზმნა აქ უახლოეს ობიექტს აღნიშნავს, ობიექტის კლასებს აღნიშნავს, ობიექტის მიხედვით იცვლება (სუბიექტი, მისი კლასი, რიცხვი ზმნაში არა ჩანს); სახელობითი ობიექტია.

ჰ. უსლარმა აკუზატივის უქონლობა გარდამავალი ზმნის პასიურობას დაუკავშირა: „პირდაპირი ობიექტი" გარდამავალ ზმნასთან სახელობითში დაისმის და არა აკუზატივში იმიტომ, რომ ეს გარდამავალი ზმნა ვნებითია (და არა მოქმედებითიო). სტატიკურ ზმნებს (დგას, ზის, წევს, ჩანს, ცხოვრობს...) ობიექტი აკუზატივში არ დაესმის (საერთოდ, ობიექტი არა აქვს). მაგრამ ამის გამო არ ითქმის ვნებითიაო: ა რ ა ა ქ ტ ი უ რ ი არ უ დ რ ი ს ვ ნ ე ბ ი თ ს.

აკუზატივის უქონლობა, რა თქმა უნდა, გარდამავალი ზმნის საყურადღებო თავისებურებაზე მიუთითებს: გარდამავალი ზმნის ობიექტი სახელობითში ზის, ე. ი. იმ ბრუნვაში, რაშიც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (მან დახატა ი გ ი... შდრ. ი გ ი ცხოვრობს...).

„ვნებითი" ეფარდება „მოქმედებითს". თუ ენას მოქმედებითი არა აქვს, არც ვნებითი შეიძლება ჰქონდეს (არას ვამბობთ იმაზე, რომ გარდამავალი ზმნა „ვნებითად" თუ მივიჩნიეთ, „საშუალო" ზმნა, ე. ი. გარდაუვალი ზმნა, უფრო „აქტიური" გამოვა, ვინემ მოქმედებითი).

§ 52. ჰ. შუხარდტი გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში

გარდამავალი ზმნა პასიური ბუნებისად ესახებოდა ჰუგო შუხარდტსაც. ჰ. შუხარდტი ინდო-ევროპულ ენათა, განსაკუთრებით რომანულ ენათა გამოჩენილი მკვლევარი იყო (მისი ფუნდამენტური მონოგრაფია ხალხური ლათინურის შესახებ სამ ტომად 1866 წ. გამოიცა). ჰ. შუხარდტი ცნობილია აგრეთვე როგორც თეორეტიკოსი ენათმეცნიერი: ზოგადი ენათმეცნიერების არა ერთი პრინციპული საკითხის შესახებ (როგორიცაა ენის რაობა, ნარევი ენა, ბგერათა ცვლის კანონზომიერება...) ჰ. შუხარდტი ორიგინალურ თვალსაზრისს ადგა და იცავდა: სამწუხაროდ, თავის საინტერესო შეხედულებათა სისტემატური დასაბუთება შუხარდტს არ მოუცია.

ჰ. შუხარდტის ყურადღება მიიქცია ბასკურმა ენამ, დასავლეთ ევ-

როპაში ერთად ერთმა არაინდოევროპულმა ენამ, რომელიც შემოგვრჩა ესპანეთსა და საფრანგეთში ფრანგულისა და ესპანურის გარემოცვაში. ბასკურს თავისებური — ინდო-ევროპულ ენათაგან განსხვავებული — სტრუქტურა აქვს (ზმნას სუბიექტურ-ობიექტური უღლილება ახასიათებს, გარდამავალ ზმნას ერგატიული კონსტრუქცია ეწარმოება...).

ბასკურის შესწავლამ ჰ. შუხარდტი, როგორც თვითონ აქვს ნათქვამი, მოიყვანა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლამდე. კავკასიაში ჰ. შუხარდტი არ ყოფილა, მაგრამ საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა. კერძოდ, ხელი მიუწვდებოდა ძველი ქართულის მასალაზე. ევროპის ენათმეცნიერთა შორის XIX საუკუნეში — მ. ბროსეს გარდა — ქართულს დაუფლებული სხვა ასეთი სპეციალისტი არ ყოფილა.

1895 წ. შუხარდტმა ვენაში გამოაქვეყნა გამოკვლევა „ქართული ენის შესახებ" („Über das Georgische"); მასში ქართული ენის შესახებ რიგი საგულისხმო მოსაზრება აქვს ავტორს გამოთქმული, მეტ წილად ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხებზე.

იმავე 1895 წ. ვენაში დაიბეჭდა ჰ. შუხარდტის მონოგრაფიული გამოკვლევა „გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათის შესახებ კავკასიურ ენებში" („Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen").

გარდამავალი ზმნა პასიური ხასიათისად მიაჩნია ჰ. შუხარდტს არა რომელიმე ერთ კავკასიურ ენაში, ანდა ენათა გარკვეულ ჯგუფში თუ ქვეჯგუფებში (როგორც ეს პ. უსლარის შრომებში გვაქვს), სათაურიდანვე ჩანს, დებულება პასიურობის შესახებ ეხება ყველა კავკასიურ ენას; განხილულია აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური და ქართველური ენები — ზოგი მოკლედ, ზოგიც უფრო ვრცლად. ყველაზე მეტი ადგილი ეთმობა ქართულისა და სვანურის მორფოლოგიის ანალიზს.

გარდამავალი ზმნის ობიექტი (ერგატიულ კონსტრუქციაში) და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ერთი და იმავე ბრუნვით, სახელობითით გადმოცემა — ეს თანაბრად ეხება ბასკურ ენასაც და იბერიულ-კავკასიურ ენებსაც.

გარდამავალი ზმნის პასიურობა, ჰ. შუხარდტის თქმით, ენის შინაგანი ფორმაა, და მისი კვლევა მეტად ძნელია, მაგრამ აუცილებელია. ეს

პასიურობა დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, როცა „გარეგნულ ფორმაში“ მსგავსება არა გვაქვს: გარდამავალი ზმნის პასიურობაში ჰ. შუხარდტი ხედავს კავკასიურ ენათა ერთობის „ყველაზე ზოგადსა და ყველაზე ძლიერ დამამტკიცებელ ნიშანს“ (გვ. 1)[1].

ერგატიულ კონსტრუქციასთან დაკავშირებით ჰ. შუხარდტი სხვადასხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ერგატივის ადგილი ბრუნვათა სისტემაში და ერგატივის მიმართება სახელობითთან, ამ ბრუნვათა სინტაქსური ფუნქცია (მათი კლასის. პირის აღნიშვნა ზმნაში), ზმნათა ნაკვთეულების წარმოება და სინტაქსური კონსტრუქციები...

ჰ. შუხარდტს რიგი საყურადღებო გარემოება აქვს აღნიშნული სხვადასხვა ენის ვითარების გათვალისწინებისას; ასეთია, მაგალითად: აფხაზურშიც, ჩერქეზულშიც — პირის ნიშანთა თანამიმდევრობა ზმნაში... ი-ზ-ბეეგტ „მას მე ვხედავ“ და ბასკ. და-კუს-ტ „მას ვხედავ მე“ ერთნაირად არის აგებულიო...

თუ ადიღეურ გარდამავალ ზმნას პირდაპირი ობიექტი არ ახლავს, იგი გარდაუვალ ზმნად მიიჩნევაო... (ე. ი. გარდამავალი ზმნა ლაბილური კონსტრუქციისაა!).

მ-ნიშნიანი ბრუნვა ადიღეურში მიცემითიაო...

ბ და დ გრამატიკული კლასის ნიშნები მრავლობით რიცხვში პირთა გასარჩევად გამოიყენებაო (ბაცბურში)...

გარდაუვალ ზმნებთან პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ერგატივში რომ დაისმის ბაცბურში, ეს ანალოგიით უნდა იყოს გამოწვეულიო...

პირველი პირის ნაცვალსახელი ახვახურში მხოლოობითშიცა და მრავლობითშიც ერგატივს არ განარჩევს სახელობითისაგანო...

ლაკურში ერგატივი რომ ნათესაობითს ემთხვევა. ეს ნათესაობითი მოქმედებითის გამონაყოფია, ლაკურში ერგატივი გამოდის ნათესაობითის როლშიო (და არა — პირუკუ!)...

სახელობითი და მოთხრობითი (ერგატივი) ქართულში ისევე გაირჩევა. როგორც ბასკურშიო...

---

[1] სტრუქტურის ტიპის ერთობა, თუ ის ნიშანთა კომპლექსს ეხება, და არა ცალ-ცალ რაიმე მოვლენას. რა თქმა უნდა, საყურადღებოა: გენეზისის საკითხს ეს ვერ გადაწყვეტს. მაგრამ ასეთი საკითხის დასმას განსაზღვრავს.

მიცემითი ბრუნვა პერფექტში (ნამყო ძირითადში) პირდაპირ დამატებას ვერ აღნიშნავს: პირდაპირი და ირიბი დამატება აქ მკვეთრად გარჩეულიაო: მან იგი მისცა — მან მას მისცა... „გამოუხატავი პირდაპირი დამატება პერფექტში ყოველთვის იგულისხმებაო"...

პირველი ჯგუფის დროებში მოთხრობითის ხმარება უჩვეულოა: იცის, უწყის გამონაკლისს ქმნისო...

„დადვის"... (ე. ი. ხოლმეობითი) არ ეკუთვნის არც ერთ დროს: მას შეიძლება ვუწოდოთ „მუდმივი", „ჩვეულებითიო"...

„შენმა მზემ", „შენმა გაზრდამ", „მამაშვილობამ", „მამი-ჩემის ცხონებამ" და მსგავსი გამოთქმები გვავარაუდებინებს, რომ მოთხრობით ბრუნვას ოდესღაც მოქმედებითის ფუნქცია ჰქონდაო... (ე. ი. მოთხრობითი ირიბი ბრუნვა იყო ქართულშიო)...

იბერიულ-კავკასიურ ენათა ბრუნება-უღელილებას რომ ახასიათებს, ჰ. შუხარდტი ბასკურ პარალელებსაც იხსენიებს.

მონოგრაფიაში „ტრანზიტივის (გარდამავალი ზმნის) პასიური ბუნების შესახებ" ჰ. შუხარდტი პასიურობის გამოხატულებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ აკუზატივი არ გვაქვს და რომ გარდამავალი ზმნის ობიექტი დაისმის სახელობითში ისევე, როგორც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (ერგატივიც ირიბი ბრუნვაა).

რატომ უნდა იყოს ეს მოვლენა გარდამავალი ზმნის პასიურობის მაუწყებელი, ამაზე ჰ. შუხარდტი არას ამბობს ამ შრომაში, შენიშნავს მხოლოდ: ზოგი ზოგადი მოსაზრება „პასიურად გააზრებული ტრანზიტივის შესახებ" ვვარაუდობ ცალკე შრომაში განვიხილოო.

მონოგრაფიაში მოცემულია იმ ცნებათა განმარტება, რასაც ჰ. შუხარდტი ხმარობს. ეს ცნებებია:

1. რ ე ა ლ უ რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი; ავტორი მას აღნიშნავს ბერძნული სიგმით: Σ;

2. რ ე ა ლ უ რ ი ო ბ ი ე ქ ტ ი; აღინიშნება ბერძნული ომეგათი: Ω;

3. ი დ ე ა ლ უ რ ი ანუ ფსიქოლოგიური სუბიექტი: S;

4. ი დ ე ა ლ უ რ ი ო ბ ი ე ქ ტ ი (პირდაპ.): O;

5. მ ი ზ ე ზ ი, მოქმედების წყარო: U (გერმ. Ursache = მიზეზი);

6. მ ი ზ ა ნ ი — არაპირდაპირი ობიექტი: Z (გერმ. Ziel = მიზანი);

7. ზმნის ფუძე: P (პრედიკატი).

„რეალური ვითარება მყარია, მისი აღქმა კი ცვალებადიო":

„პაელე პეტრეს სცემს“: „პაელე“—რეალური სუბიექტიცაა და იდეალურიც (ფსიქოლოგიურიც): Σ=S;

„პეტრეს“ — რეალური ობიექტიცაა და იდეალურიც (პირდაპ.): Ω=O;

„პეტრე იგვემება (wird geschlagen) პაელეს მიერ“.

„პეტრე“ — S: იდეალ. სუბიექტი

„პაელეს მიერ“: იდეალ. ობიექტი.

განმარტებას საჭიროებს ცნება „იდეალური ანუ ფსიქოლოგიური სუბიექტი“. მსჯელობა, როგორც ცნობილია, ლოგიკის ცნებაა, შედგება სუბიექტისაგან (საგანი მსჯელობისა: ვის ანდა რის შესახებაც რასმე ამტკიცებენ ან უარყოფენ) და პრედიკატისაგან (რასაც ამტკიცებენ ანდა უარყოფენ): „მზე ანათებს დედამიწას“ — „მზე“ — სუბიექტია, „ანათებს დედამიწას“ — იქნება პრედიკატი. ჩვენ შეიძლება ვთქვათ: „დედამიწას მზე ანათებს“ ანდა: „ანათებს მზე დედამიწას“ ანდა კიდევ: „ანათებს დედამიწას მზე“ — სუბიექტი კვლავ „მზე“ იქნება, პრედიკატი „ანათებს დედამიწას“, „დედამიწას ანათებს“... ასე იქნება ტრადიციული ფორმალური ლოგიკის მიხედვით. სულ სხვაა „ფსიქოლოგიური სუბიექტი“: ესაა უწინარესი ცნობიერებაში, ე. ი. ის, რითაც იწყება მსჯელობა: ფსიქოლოგიურ სუბიექტს რიგი განსაზღვრავს:

„მზე ანათებს დედამიწას“ — ფსიქოლოგიური სუბიექტია „მზე“... „ანათებს დედამიწას“ — პრედიკატი.

„დედამიწას ანათებს მზე“ — ფსიქოლოგიური სუბიექტი იქნება „დედამიწას“...

„ანათებს მზე დედამიწას“ — ფსიქოლოგიური სუბიექტია „ანათებს“.

თავში დასმული ყოველი სიტყვა, რა მეტყველების ნაწილიც არ იყოს, ფსიქოლოგიური სუბიექტი აღმოჩნდება. ამ ცნებას ჰ. შუხარდტის თეორიულ განზოგადებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

ეს თეორიული განზოგადება ჰ. შუხარდტს მოცემული აქვს წერილში „ტრანზიტივის აქტიური და პასიური ხასიათის შესახებ“ [1].

წერილი სულ სამ გვერდს შეიცავს, მასთან ეხება არა მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენებს, არამედ სემიტურსა და ინდო-ევროპულსაც.

[1] Über den aktivischen und passivischen Charakter des Transitivs — ჟურნ. „Indogermanische Forschungen“, ტ. XVIII, 1905/6, გვ. 528 – 531.

წერილი შეიცავს დებულებებს და მცირეოდენ საილუსტრაციო მასალას. ეს დებულებები ასეთია:

1. გარდამავალი ზმნა, —უკეთ, ასეთი ზმნის ფუძე — ნეიტრალურია. იგი შეიძლება ვაქციოთ აქტიურად ანდა პასიურად სახელთან (ანდა ნაცვალსახელურ ელემენტებთან) დაკავშირებით ანალიზური გზით (წინადადებაში) ანდა სინთეზური გზით (ზმნის ფორმაში).

2. სახელის ელემენტთა ადგილმდებარეობა და ფორმა განსაზღვრავენ გარდამავალი ზმნის ხასიათს.

„მამა გეძახის შენ", der Vater ruft dich — „მამა" — რეალური სუბიექტიც არის და ლოგიკურიც; ამ სუბიექტს შეესაბამება სახელობითი.

ფრაზა: „შენ გეძახის მამა" dich ruft der Vater —იმავე შინაარსისაა, მაგრამ არა იმავე ღირებულებისა: რეალური სუბიექტი „მამა" აქ პრედიკატია — ვინც შენ გეძახის, ეს მამაა. „მამა" der Vater აქაც სახელობითია, მაგრამ ეს „გარეგანი ფორმის მიხედვით", მის უკან, როგორც ჰ. შუხარდტი ამბობს, „შინაგან ფორმაში ერგატიული ბრუნვა (Aktivus) იმალება" (სახელობითის კვალიფიკაცია შეიცვალა იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ადგილი იცვალა და ეს სახელობითი აღარ არის ფსიქოლოგიური სუბიექტი, არამედ ფსიქოლოგიური პრედიკატის შემადგენლობაში მოექცა).

3. რეალური სუბიექტის გრამატიკული გამოხატულება შედგება სამი კომპონენტისაგან: a) ბგერითი ფორმა: სახელობითი, ერგატივი
b) ადგილმდებარეობა: ზმნის წინ, ზმნის შემდეგ
c) ხმის აწევა: სუსტი, ძლიერი...

ზემოთქმულის შესაბამისად ჰ. შუხარდტი ჩამოთვლის წინადადების პასიურობისა და აქტიურობის ნიშნებს:

წინადადების პასიური ხასიათის მაჩვენებელია:

1. ზმნა+სუბიექტი (ე. ი. სუბიექტის ნიშნად სუფიქსი გვაქვს);

2. ერგატივი (Aktivus)=RS (რეალურ სუბიექტს ერგატივი გადმოგვცემს);

3. განუვრცობელი სახელი =RO (რეალური ობიექტი ფუძით ანდა სახელობითით აღინიშნება).

წინადადების აქტიური ხასიათის მაჩვენებელია:

1. სუბიექტი+ზმნა (ე. ი. სუბიექტის ნიშნად პრეფიქსის გამოყენება);

2. განუვრცობელი სახელი = RS (რეალურ სუბიექტს ფუძე ანდა სახელობითი გადმოგვცემს);

3. აკუზატივი = RO (პირდაპირი ობიექტი აკუზატივით გადმოიცემა).

ის, რაც ჰ. შუხარდტმა პასიური და აქტიური წყობის ნიშნებად გამოყო, სხვა არაფერია, თუ არა ე მ პ ი რ ი უ ლ ი სინამდვილიდან ცნობილი ნიშნები — პ ა ს ი უ რ ო ბ ი ს ნიშნები — ე რ გ ა ტ ი უ ლ ი კონსტრუქციიდან აღებული (RS — ერგატივში და RO — სახელობითში, აკუზატივის ნაცვლად): აქტიური კონსტრუქცია — ნ ო მ ი ნ ა ტ ი უ რ ი ს მიხედვით არის დახასიათებული (RS — სახელობითში, RO — აკუზატივში).

პ ა ს ი უ რ კონსტრუქციას აკუზატივი ეუცხოება, აქტიურს — ერგატივი. რას წარმოადგენს აკუზატივი, ერგატივი?

აკუზატივის რაობის შესახებ ჰ. შუხარდტი არას ამბობს: „აკუზატივის წარმოშობის განხილვაში აღარ შევდივარო".

ერგატივის (Aktivus) შესახებ ნათქვამი აქვს — წარმოშობით ზ მ ნ ი ს ა რ თ ი ა ო (ისევე, როგორც ყველა სხვა ბრუნვა, გარდა სახელობითისა და ნათესაობითისა: სახელობითი არაა ბრუნვა, ნათესაობითი კი ზედსართავიაო): „მამამან" — „დანართის" (Apposition) მეშვეობით იწარმოება.

„მამა-ადგილი" : „მამის მხრივ"... „მამა-იარაღი" : „მამის მეშვეობით", „მამით".

ერგატივი იმთავითვე ხაზგასმული იყო და საამისოდ ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ უ რ ი დ ა ნ ა რ თ ი შეიძლებოდა გამოეყენებინათო: „მამამან" — Vater-er (c'est le père qui — „ეს მამაა, რომელიც") ეს ინდო-ევროპულ ენათა s-ს — სახელობითის ნიშნის — და სეშ-ტური u-ს — არაბულში სახელობითის ნიშნის — ასახსნელად გამოგვადგებაო).

ჰ. შუხარდტის თვალსაზრისისათვის სპეციფიკური მაინც ის კი არაა, რაც ერგატივის შესახებ ითქვა, სპეციფიკურია პირველი ნიშანი, რის მიხედვითაც პასიური წყობა აქტიურისაგან გაირჩევა: ესაა სუბიექტის ფორმანტად სუფიქსის თუ პრეფიქსის გამოყენება. თუ სუბიექტის ნიშანი ზმნის ფუძეს მოსდევს, ე. ი. თუ სუბიექტის ფორმანტ-ად ს უ ფ ი ქ ს ს ხმარობს ენა, პ ა ს ი უ რ ი ხასიათის წინადადება გვექნება, თუ სუბიექტის აღსანიშნავად პ რ ე ფ ი ქ ს ი ა გამოყენებული, წინადადება

აქტიური წყობისად უნდა მივიჩნიოთ. ამაში ვლინდება შინაგანი ფორმა.

მაგრამ ჰ. შუხარდტი არც გარეგან ფორმას ტოვებს უყურადღებოდ. ამიტომ იყო, რომ RS — ერგატივში და RO — სახელობითში პასიურობის მაჩვენებლად იყო მიჩნეული, ხოლო RS — სახელობითში და RO—აკუზატივში—აქტიურობის ნიშნად... ამიტომვე ამბობს ჰ. შუხარდტი: ენებითი (ე. ი. ენებითი გვარის ფორმები) რომ წარმოიქმნება ენაში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გარდამავალი ზმნის პასიურმა ხასიათმა ადგილი დაუთმო აქტიურსაო.

§ 53. შინაგანი ფორმის კრიტერიუმი და გარეგანი ფორმის თავისებურებათა განმარტება ჰ. შუხარდტის კონცეფციაში

ჰ. შუხარდტის კონცეფცია რთულია. მასთან წინაარმდეგობათა შემცველი. სირთულეს იწვევს ის, რომ ჰ. შუხარდტმა შინაგანი ფორმა განსაზღვრა ფსიქოლოგიურ კატეგორიათა მიხედვით (ფსიქოლოგიური ანუ იდეალური სუბიექტი, ფსიქოლოგიური პრედიკატი), იმავე დროს გარეგანი ფორმის (რეალური სუბიექტისა და რეალური ობიექტის ბრუნვა) ჩვენებაც სცადა გაეთვალისწინებინა: პასიურობისა და აქტიურობის სამი ნიშნიდან (იხ. § 52) პირველი შინაგან ფორმას ახასიათებს, ორი დანარჩენი — გარეგანს (ისიც ხდება, რომ გარეგან ფორმას ჰ. შუხარდტი ახასიათებს „შინაგანი ფორმის“ თვალსაზრისით: სახელობითი ბრუნვა der Vater — წინადადებაში dich ruft der Vater „შენ გეძახის მამა“ შინაგანი ფორმის მიხედვით ერგატივიაო: მოსდევს ზმნას და ფსიქოლოგიური პრედიკატის ნაწილია).

ჰერმან პაული წერდა: გრამატიკული კატეგორია — ესაა გაქვავებული ფსიქოლოგიური კატეგორიაო. ჰ. პაული ნეოგრამატიკოსთა თეორეტიკოსი იყო. ჰ. შუხარდტი ნეოგრამატიკოსებს რიგ არსებით საკითხში უპირისპირდებოდა. მაგრამ ფსიქოლოგიზმი მათთან აერთიანებდა: ენობრივი ფაქტის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია მეცნიერული აზრის უკანასკნელ სიტყვად მიაჩნდათ ჰ. შუხარდტსაც და ნეოგრამატიკოსებსაც.

სახელი der Vater სახელობითია, როგორც ფრაზაში der Vater ruft dich „მამა გეძახის შენ“, ისე ფრაზაში dich ruft der Vater „შენ გეძახის მამა“, მაგრამ ეს „გარეგანი ფორმის“ მიხედვით. „შინაგანი ფორ-

მის- მიხედვით კი მეორე ფრაზაში der Vater უდრის vom Vater „მამით“, „მამის მიერ“: dich ruft der Vater = du wirst vom Vater gerufen.

მონოგრაფიაში „გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათის შესახებ კავკასიურ ენებში“ (1895 წ.) ჰ. შუხარდტი პასიურად მიიჩნევდა ყველა კავკასიურ ენას, სადაც ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს.

წერილში „გარდამავალი ზმნის აქტიური და პასიური ხასიათის შესახებ“ (1905/6 წწ.) ჰ. შუხარდტი ინდო-ევროპული და სემიტური ენების გარდამავალი ზმნის შესახებაც მსჯელობს.

პასიურობა-აქტიურობის საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითებია დასახელებული:

ქართველურ ენებში, — წერს ჰ. შუხარდტი, — აწმყო მხოლოდ აქტიურია. აორისტი — პასიურ-აქტიური (ე. ი. ქართველურ ენებში ნომინატიური კონსტრუქცია აქტიურია, ერგატიული კონსტრუქცია პასიურ-აქტიური).

ბასკურში აწმყო პასიურია, იმპერფექტი — პასიურ-აქტიური (აწმყოში ბასკურს ერგატიული კონსტრუქცია აქვს...).

სემიტურ ენებში ზმნის ფორმა აქტიურია იმპერფექტში, პასიურია — პერფექტში (ალბათ იმიტომ, რომ ერთ შემთხვევაში სუბიექტის ნიშნად პრეფიქსები გვაქვს, მეორეში — სუფიქსები).

სახელის ჩვენება კი სხვაგვარია: რეალური სუბიექტი გაფორმებული სახელია („დაბოლოების მქონე სახელი“, რაც ერგატიულ კონსტრუქციას შეეფერება) და ამას ეწინააღმდეგება რეალური ობიექტის აკუზატივში დასმაო...

ინდო-ევროპულ ენებში ზმნის ფორმა მხოლოდ დამხოლოდ პასიურიაო (სუბიექტს სუფიქსი აღნიშნავს! ერგატიული კონსტრუქცია კი ამ ენებს არა აქვს!). ინდო-ევროპულ ენებში (ლათინურში, რუსულში...) ერგატიული კონსტრუქცია არა გვაქვს: გარდამავალი ზმნა ქმნის ნომინატიურ კონსტრუქციას: RS — სახელობითში, RO — აკუზატივში: pater vocat filium, der Vater ruft den Sohn, отец зовет сына... ასეა „გარეგანი ფორმის მიხედვით“: შინაგანი ფორმის მიხედვით კი გაფორმებული (მარკირებული) სახელობითი ერგატივს უდრის, გარდამავალი ზმნა კიდევ პასიური ხასიათისაა: რეალურ სუბიექტს აღნიშნავს სუფიქსი...

მაგრამ ეს „პასიური ზმნა“ ენებით გვარს იწარმოებს (მოქმ. vocat—

ვნებ. vocatur, ruft — wird gerufen); ხოლო ვნებითი თუ ეწარმოება, გარდამავალი ზმნა აქტიური იქნებაო, განმარტავს ჰ. შუხარდტი: აქ წინააღმდეგობა გვაქვს. მერეა-და: თუ ერგატივი რეალურ სუბიექტს აღნიშნავს, მისი ფარდი რეალური ობიექტი სახელობითი უნდა იყოს; ერგატივი ისეთსავე კორელაციაშია სახელობითთან (ერგატიულ კონსტრუქციაში), როგორც სახელობითი აკუზატივთან ნომინატიურში (ასეა ეს ინდო-ევროპულ ენებში)... სახელობითის ინტერპრეტაცია, როგორც ერგატივისა, ამ ფარდობას არღვევს... აკუზატივის რაობაც საერთოდ გაურკვეველი რჩება...

ამრიგად, „შინაგანი ფორმის“ მიხედვით ინტერპრეტაციამ ნომინატიური კონსტრუქციის თავისებურება მოშალა, ერგატიული კონსტრუქციის რაობის გარკვევას კი არაფრით არგო.

ახლა სახელობითის ის დახასიათება, რაც ინდო-ევროპულ და სემიტურ ენათა სახელობითს მისცა ჰ. შუხარდტმა (მარკირებულიაო), ქართულზე რომ გადავიტანოთ, აქაც სახელობითი ერგატივად უნდა მივიჩნიოთ: ნაცვალსახელური დეტერმინაცია სახელობითს ისევე აქვს (-ი ნაწილაკი: კაც-ი), როგორც მოთხრობითს (კაც-მა-ნ): ქართულში ორი ერგატივი აღმოგვაჩნდება. ნამდვილად კი ერგატივსა და სახელობითს შორის ქართულში ზღვარია: ერგატივი მ ხ ო ლ ო დ სუბიექტის ბრუნვად გვევლინება (და მას ყოველთვის სუფიქსი აღნიშნავს ზმნაში), სახელობითი კი სუბიექტის ბრუნვაც შეიძლება იყოს (გარდაუვალ ზმნებთან) და ობიექტისაც („უახლოესი ობიექტი“) — გარდამავალ ზმნებთან.

სუფიქსით აღნიშვნა რეალური სუბიექტისა — პასიურობას მოწმობს, პრეფიქსით აღნიშვნა — აქტიურობასაო.

პირველი და მეორე პირი სუბიექტისა ქართულში აღინიშნება პრეფიქსით (ვ-წერ, ს-წერ... ვ-კერავ, ჰ-კერავ...—ვ-წერ-ე, ს-წერ-ე... ვ-კერ-ე, ჰ-კერ-ე) — ასეა ნომინატიურ კონსტრუქციაში (ვ-წერ წერილს... ვ-კერავ ფეხსაცმელს) და ერგატიულშიც (ვ-წერე წერილი... ვ-კერე ფეხსაცმელი)...

მესამე პირი კი აღინიშნება სუფიქსით (წერ-ს... კერავ-ს... წერ-ა... კერ-ა). პრეფიქსიანი პირველი და მეორე პირი ჰ. შუხარდტის მიხედვით აქტიური ხასიათისა იქნება, მესამე პირი კი — პასიური და ეს ერთსა და იმავე დროში (ნაკვთეულში), ერთი და იგივე წ ე რ-, კ ე რ ა ვ-... წ ე რ-ე, კ ე რ-ე... ერთი და იგივე ფუძე — პირველსა და მესამე პირში — სხვადასხვაგვარად არის დახასიათებული სხვადასხვა ფუძე აწმყოში (კერ-

ავ...). ნამყო ძირითადში (კერ-ე)—ერთნაირად... და ეს წინააღმდეგობა გამოიწვია „შინაგანი ფორმის" საზომმა.

აფხაზურ-ადიღურ ენებში, სადაც რეალური სუბიექტის პირი ანდა კლასი პრეფიქსით აღინიშნება (აფხაზური, ადიღური ენები), გარდამავალი ზმნა აქტიური გამოვა „შინაგანი ფორმის" თვალსაზრისით.

ერთი სიტყვით, „შინაგანი ფორმის" თვალსაზრისმა არაფერი შემატა ერგატიული კონსტრუქციის „გარეგანი ფორმის" (სუბიექტისა და ობიექტის თავისებურ ბრუნვათა) რაობის გაგებას.

ამ თვალსაზრისმა გამოიწვია ერგატიული კონსტრუქციის დადასტურება იმ ენებშიც, რომელთაც ნომინატიური კონსტრუქცია ახასიათებს გარდამავალ ზმნასთან, ერგატიული კონსტრუქციის თავისებურება კი აუხსნელი დარჩა.

1895 წელს ჰ. შუხარდტი იმ აზრისა იყო, რომ ტრანზიტივის პასიურობა კავკასიურ ენათა ერთობის მაუწყებელიაო.

1905/6 წწ. ჰ. შუხარდტი ერგატივზე ლაპარაკობს ინდო-ევროპულსა და სემიტურ ენებში, ოღონდ არ ამბობს. ერგატიული კონსტრუქცია ამ ენათა ერთობას მოწმობსო: სარკვევია, — წერს ჰ. შუხარდტი. — რა იწვევს ამგვარ მოვლენას: „ხალხის გონი, თავდაპირველი ნათესაობა თუ სესხებაო"...

§ 54. ნიკო მარი გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ ქართულში

პ. უსლარი გარდამავალი ზმნის პასიურობას ამტკიცებდა ჩაჩნურისა და ხუნძური ენის მასალაზე, ჰ. შუხარდტი — ჯერ იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალაზე. ერთობლივ, შემდეგ — სემიტურ და ინდო-ევროპულ ენათა გარდამავალ ზმნაზედაც გავრცელდა დებულება ტრანზიტივის პასიურობის შესახებ.

ნიკო მარიც გარდამავალი ზმნის პასიურობას იცავდა (1908—1925 წწ. — ე. ი. პ. უსლარისა და ჰ. შუხარდტის შემდეგ!). საანალიზო მასალად ნ. მარს ქართული (და, საერთოდ, ქართველური ენები) აქვს.

პ. უსლარის მსჯელობა სინტაქსურ კრიტერიუმს იყენებდა, ჰ. შუხარდტი სახელისა და ზმნის მორფოლოგიის ანალიზით იწყებს და ენობრივი კატეგორიების განმარტებას იძლევა ფსიქოლოგიურ კატეგორიებთან (შინაგან ფორმასთან) კავშირში.

ნ. მარისათვის არც პ. უსლარის კონცეფცია არსებობს და არც

ჯ. შუხარდტისა: არც ერთი და არც მეორე ნ. მარის შრომებში ამ საკითხთან დაკავშირებით ნახსენები არსად არის.

ნ. მარის პოზიციას ამ საკითხში განსაზღვრავს მისი იაფეტური თეორია (ქართულის ნათესაობისა არაბულთან). ნ. მარის შეხედულება ემყარება მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს (ერგატივის) თ ა ვ ი ს ე ბ უ რ გ ა გ ე ბ ა ს, და ამის შესაბამისად ნ. მარი განსაზღვრავს გარდამავალ ზმნას, რომელთანაც სუბიექტად მოთხრობითი იხმარება.

ნ. მარის შეხედულების არსი გარდამავალი ზმნის ბუნების შესახებ ქართულში მოკლედ ასე გადმოიცემა.

გარდამავალი ზმნა ნამყო ძირითადის (აორისტის) დროთა წყებაში სუბიექტს მოთხრობითში მოითხოვს: „ს პ ა ს ა ლ ა რ მ ა ნ კრიბა ლაშქარი". მოთხრობითს აწარმოებს ძველ ქართულში -მან (სპასალარ-მან, შეფე-მან, კაც-მან...): „მან"-ნაცვალსახელი სხვა არაფერია, თუ არ მ ი ც ე მ ი თ ი ბრუნვა.

ამრიგად: „მან კრიბა ლაშქარი" უდრის: „მას უკრებია („მისდა ნაკრება") ლაშქარი"... „სპასალარმან კრიბა ლაშქარი" = „военоначальник собрано войско"... გარდამავალი ზმნა „კრიბა" ისევე არ იქნება მოქმედებითი გვარისა. როგორც „უკრებია" („მას უკრებია" არ მიიჩნევა მოქმედებითი გვარისად)... გარდამავალი ზმნა „კრიბა" პ ა ს ი უ რ ი ა.

ერგატიული კონსტრუქცია ნ. მარმა დატიურ კონსტრუქციას გაუტოლა: ეს მოჰყვა იმას, რომ რეალური სუბიექტის ბრუნვა, მოთხრობითი (ერგატივი) მიცემითად იქნა მიჩნეული.

შემდეგ კი გარდამავალი ზმნის პასიურობის ნიშნები ნ. მარმა თვით ამ ზმნის უღელილებაში გამოყო; ეს ნიშნებია: ნამყო ძირითადის (აორისტის) ფუძის საწარმოებელი -ე (ვ-ხატ-ე). -ი- (ვ-კრიბ-ე: „ეტქ ენებითი გვარის მიმღეობის ფორმით", როგორც ნ. მარი განმარტავს) და -ა- (ვ-კალ „სვანურიდან შეთვისებული ნიშანი ვნებითი გვარის აორისტისა") [1].

ნამყო ძირითადის (აორისტის) ეს საწარმოებელი ელემენტები ნ. მარის ვარაუდით წარმოადგენენ „მეშველი ზმნის ნამყო დროის მიმღეობას ვ ნ ე ბ ი თ ი გვარისა"... ასევე — აწმყოს ფუძის საწარმოებელი ელემენტები -ავ- (ვ-ხატ-ავ), -ებ (ვ-აშენ-ებ) და მისთ. აგრეთვე „მეშველი ზმნის მიმღეობაა" ოღონდ „აწმყო დროისა" და „მოქმედებითი გვარისა"...

[1] Н. Марр. Грам. др.-лит. груз. яз., § 179.

ერთი სიტყვით, გარდამავალი ზმნა ნამყო ძირითადსაც (აორისტს) და აწმყოსაც აწარმოებს ა ღ წ ე რ ი თ ა დ — მეშველი ზმნის მიმღეობის დართვით და ეს მიმღეობა (მეშველი ზმნის მიმღეობა!) მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გვარისაა აწმყოში და — ვ ნ ე ბ ი თ ი ს ა — ნამყო ძირითადში (ანუ, ნ. მარის ტერმინით, აორისტში).

ამრიგად, სახელის მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ი ს (ერგატივის) თავისებურმა გაგებამ მოგვცა გარდამავალი ზმნისა და ერგატიული (მოთხრობითიანი) კონსტრუქციის თავისებური გაგება და გარდამავალი ზმნის მორფოლოგიის თავისებური გაგება.

„ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში", რომელიც 1925 წ. გამოვიდა, ნ. მარი ცდილობს გარდამავალი ზმნის პასიურობას სოციოლოგიური (უკეთ, იდეოლოგიური) დასაბუთება დაუძებნოს: თავდაპირველად „მოქმედი" „ვნებული" იყო, და ამან პოვა გამოხატულება გარდამავალი ზმნის სინტაქსურ კონსტრუქციაშიო[1].

§ 55. ნიკო მარის შეხედულების ანალიზი

ნ. მარის შეხედულება ემყარება დებულებას — მოთხრობითი (ქართული ერგატივი) მიცემითიაო. პირველად ასეთი გაგება მოცემულია ნ. მარის შრომაში „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები..." [2].

ძველი ქართული ენის გრამატიკის ტაბულები — ესაა ბრუნებისა და უღლილების ტაბულები, ოღონდ ეს ბრუნება და უღლილება ამ შრომაში წარმოდგენილია არა ისე, როგორც ეს ძველი ქართულის ძეგლებშია მოცემული, არამედ ისე, როგორც ეს უნდა ყოფილიყო ქართულის სემიტურ ენებთან (არაბულთან, ებრაულთან, სირიულთან) ნათე-

---

[1] «В глаголах действия производитель (субъект) являлся страдающим, работающим, а произведение (объект) — состоянием покоя, потому первоначально субъект (логический субъект) выражался падежом страдания//действия (прямой винит.//дательный), а объект (логический объект) — падежом состояния (прямой именит.). Впоследствии такое положение сбытовалось место формально в пассивной конструкции». Н. Марр. Грам. др.-литературного груз. яз., Ленинград. 1925. § 210. გვ. 174.

[2] «Основные таблицы к Грамматике древнегрузинского языка» в связи с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими». С.-Петербург. 1908.

საობის თვალთახედვით, ერთი სიტყვით, ძველი ქართულის წარმოშობის თვალსაზრისით, — კონკრეტულად, სემიტურ-ქართული ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის თვალსაზრისით: ძველი ქართული ენის გრამატიკის სისტემატური ანალიზის ადგილს ისტორიულ-გენეზისური ინტერპრეტაციები იჭერს.

ცნობილია, რომ ენის სისტემის ანალიზი ძალაუნებურად აღძრავს ამა თუ იმ მოვლენის ისტორიის საკითხს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სისტემის აღწერითი ანალიზი შეიძლება შეცვალოს სისტემის ისტორიულ-გენეზისურმა ინტერპრეტაციებმა: პირიქით, ეს ორი თვალსაზრისი უნდა შეგნებულად გაირჩეს სწორედ იმიტომ, რომ აუცილებელი ისტორიული კომენტარები არ აირიოს ძირითად ამოცანაში. ნ. მარისათვის ამ ორი განსხვავებული ამოცანის გარჩევის საკითხი არ დგას: ძველი ქართულის ფაქტების სისტემატური ანალიზის ადგილს იჭერს ძველი ქართულის ფაქტების აღწერა-კლასიფიკაცია ისტორიულ-გენეზისური თვალსაზრისით.

ორი ენის ისტორიულ-გენეზისური ერთიანობა გულისხმობს, რომ ამოსავალი ვითარება ხან ერთ ენაში შეიძლება იყოს შემორჩენილი, ხან კი — მეორეში.

ნ. მარი ეარაუდობს, რომ ამოსავალი ვითარება სემიტურ ენებში (ცერძოდ, კლასიკურ არაბულში) არის შემონახული, და ამ ენათა ჩვენება იძლევა გასაღებს ქართულისა და სხვა ქართველური ენების სტრუქტურის თავისებურებათა სწორად გაგებისათვის.

ამის პირდაპირი შედეგია: სემიტურ ენათა სტრუქტურის მიხედვით არის განმარტებული ქართული ენის სტრუქტურის საკითხები. ასე, მაგალითად, სემიტურ ენებში სიტყვის ძირეულ მასალას ქმნის მხოლოდ თანხმოვნები (სულ სამი თანხმოვანი), ხმოვანი არ შეიძლება ძირეული იყოს, ხმოვანი — ფორმანტებს გადმოგვცემს, თანხმოვნები — „იდეის-მატარებელია“ („идеоносители“ ე. ი. ძირეული მასალაა), ხმოვნები (იდეის, ლექსიკური მნიშვნელობის) განმსაზღვრელებია („пределоносители“), ე. ი. ფორმანტების როლს ასრულებენ. ეს ცოტაა. არაბულში ძირეული თანხმოვანი — სამია (თუ სამზე მეტია, მერე დართვიათო, თუ სამზე ნაკლებია, გამარტივებულიაო)...

სემიტურ ენათა გრამატიკების ეს პრინციპები ნ. მარმა მთლიანად

გადმოიღო ქართული ენის ფაქტების განმარტებისას და უყოყმანოდ ბოლომდე მიჰყვებოდა მათ.

ამიტომაა, მაგალითად, რომ „კრებს", „კრიბა"-ში ნ. მარს ძირეულ მასალად მიაჩნდა „კრბ", -ე-, -ი- მისთვის ფორმანტებია (-ი- აორისტის ფუძის საწარმოებელიაო — იხ. ზემოთ, § 54).

ამიტომვეა, რომ ქართულში ივარაუდება სამი ბრუნვა — ისევე, როგორც ეს არაბულშია, — და ბრუნვის ნიშნებად გამოყოფილია მხოლოდ ხმოვნები — ისევე, როგორც არაბულში: არაბულს სამი ბრუნვა აქვს: სახელობითი (ნიშანი -უ-), ნათესაობითი (ნიშანი -ი), მიცემით-აკუზატივი (дательно-винительный — ნიშანი -ა); ბრუნვის ნიშნებს მოსდევს განუსაზღვრელობის -ნ:

Სახელ. ბაჲთ-უ-ნ „სახლი ერთი", რაჯულუ-ნ „კაცი ვინმე" შდრ. კაც-ი: /ი—უ/.

ნათეს. ბაჲთ-ი-ნ	რაჯულ-ი-ნ	კაც-ი-ს
მიც. -აკუზატ. ბაჲთ-ა-ნ	რაჯულ-ა-ნ	კაც-ს-ა

მოქმედებითის -ი- (კაც-ი-თ) ნათესაობითის ვარიანტი გამოვიდოდა.

მიმართულებითის -ა- (კაც-ა-დ) — მიცემითს მიეკედლებოდა (კაც-ს-ა-ში ნ. მარი მიცემითის ნიშანს ეძიებს ემფატიკურ -ა-ში; შეეძლო დაესახელებინა: ხის ძირ-ა-ს, ზღვის პირ-ა-ს...).

დაგვრჩა მოთხრობითი: კაც-მან... ამ ბრუნვას „მან" ნაცვალსახელი აწარმოებს, ნაცვალსახელოვანი ბრუნვაა...

„მან"-ნაცვალსახელში ნ. მარისათვის ძირეულია მ-; -ნ იმ რიგისაა, როგორც -ს კაც-ი-სა, კაც-სა...), ბრუნვის ნიშანია ა (მა-ნ). ჩვენთვის მოთხრობითის ნიშანია -ნ (ისევე, როგორც ნაცვალსახელში ვი-ნ, მა-კი მარტივ ფუძედ (ძირად) მიგვაჩნია. ნ. მარის თვალსაზრისით ხმოვანი (ა) ძირეულ მასალას ვერ განეკუთვნება; ხმოვანი ფორმანტია; არაბული ბრუნების მიხედვით -ა ხმოვანი მიცემითის ნიშანია.

თუ „მან" მიცემითია, რაღა იქნება „მას"? ისიც მიცემითია: ასე რომ ქართულში გვაქვს ორი მიცემითი: მან და მას; კაც-მან და კაც-ს-ა... კაც-მან — „ნაცვალსახელოვანი მიცემითია", მას ნაცვალსახელი „მან" აწარმოებს („дательный местоименный"); თვით „მან"-ნაცვალსახელს კი „არქაული მიცემითი" უწოდა ნ. მარმა.

მოთხრობითისათვის ნ. მარს მერმინდელ შრომებში ნახმარი აქვს „წიგნური მიცემითი" („дательный книжный"), ხოლო -ს-იანი მი-

ცემითისათვის—„ხალხური მიცემითი“ („дательный-народный“) „მიცემითად“ მაინც რჩება „მან“ ბრუნვა.

„მან“-ის წარმომავლობა ქართულში ნ. მარს სხვადასხვაგვარად აქვს განმარტებული: ხან სვანურიდან შეთვისებულად თელის, ხან — აქემენიდთა წარწერების II კატეგორიის ენის კუთვნილებად აცხადებს, ხან კიდევ — ჩაჩნური ენიდან მომდინარედ.

მაგრამ ამჟამად ჩვენთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია: მოთხრობითი „მან“ შეიძლება თუ არა გავიგოთ, როგორც მიცემითი, და გარდამავალი ზმნის ნამყო ძირითადი (აორისტი) მივიჩნიოთ ვნებითი გვარისად.

მოთხრობით ბრუნვას ვერ მივიჩნევთ მიცემით ბრუნვად, თუკი ანგარიშს გავუწევთ ქართული ენის მორფოლოგიური სისტემის ჩვენებას და ბრუნვათა სინტაქსურ ფუნქციებს; სახელდობრ:

ა) მოთხრობითი ბრუნვა ორგანული წარმოებისა ქართულში აქვს ორ ნაცვალსახელს, ერთია „მა-ნ“, მეორე — „ვი-ნ“? პირველი მათგანი („მან“) სხვა სახელებს დაერთვის და აღწერითს მოთხრობითს ქმნის („კაც-მან“, „ძმა-მან“...). „მან“ მარტოოდენ მოთხრობითში გეხვედება „მან აქო“. „ვინ“ მოთხრობითის გარდა სახელობითში გვაქვს (ვინ აქო? „ძმამან“... ვინ აქებს? „ძმაჲ“...).

მოთხრობითს საზიარო ფორმა (ვინ?) აღმოაჩნდა სახელობითთან (და არა — მიცემითთან!): მოთხრობითი ახლოს არის სახელობითთან (და არა მიცემითთან) — მოთხრობითიც, სახელობითიც სუბიექტის ბრუნვაა; ეს კია, რომ სახელობითში ობიექტიც შეიძლება დაისვას, მოთხრობითი კი ობიექტს არ შეიძლება აღნიშნავდეს, მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ერთადერთი ბრუნვაა ქართულში, რომელიც მ ხ ო ლ ო დ ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ბ რ უ ნ ვ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს, ისევე, როგორც მიცემითი მხოლოდ ობიექტის ბრუნვაა (და არასოდეს სუბიექტისა). ასეა ეს ქართულშიც, სვანურშიც და ზანურშიც.

ბ) უღვლილების სისტემაში მ ი ც ე მ ი თ შ ი დასმული სახელის მ ე ს ა მ ე პ ი რ ი შეიძლება აღინიშნოს მ ხ ო ლ ო დ პ რ ე ფ ი ქ ს ი თ (მას ბ-ყავს... ს-ძულს... ბ-კითხავს... ს-თხოვს...), სულ ერთია, რა წყობისაა ზმნა, პირდაპირისა თუ ინვერსიულისა.

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ შ ი დასმული სახელი მესამე პირისა კი მ ხ ო ლ ო დ ს უ ფ ი ქ ს ი თ აღინიშნება: მან თქუ-ა... ჰკითხ-ა... სთხოვ-ა... აშენ-ა... ყ-ო... ბრძ. 3 პ.: მან თქუ-ნ... ჰკითხე-ნ... ადიდე-ნ... აშენე-ნ...

ყავ-ნ...: სუბიექტის მესამე პირი სუფიქსით აღინიშნება მოთხრობითში ისევე, როგორც სუბიექტი სახელობითს ბრუნვაში: იგი მოვიდ-ა... აღდგ-ა... მოკუდ-ა... განეშორ-ა... ბრძან. ვ პ.: იგი მოვედი-ნ... აღდეგი-ნ... მოკუედი-ნ... განეშორე-ნ...

გ) მოთხრობითი მრავლობითში ზმნას ითანხმებს, მიცემითს მრავლობითში ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ს ზმნა არ ეთანხმება: მათ თქუ-ეს... ჰკითხ-ეს... სთხოვ-ეს... აშენ-ეს... ჰყვ-ეს... შდრ. მას უთქუამს — მათ უთქუამს... მას უკითხავს — მათ უკითხავს... მას უშენებია — მათ უშენებია (და არა: უშენებიათ, როგორც ეს არის ახალ ქართულში), მას ჰყავს — მათ ჰყავს (და არა „ჰყავთ!"), მას უყუარს — მათ უყუარს (და არა: „მათ უყუართ!").

ქართული მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი, როგორც ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ბრუნვა, უ პ ი რ ი ს პ ი რ დ ე ბ ა მ ი ც ე მ ი თ ს, როგორც ო ბ ი ე ქ ტ ი ს ბრუნვას.

დ) ერგატიული კონსტრუქცია (მან აშენა სახლი) უპირისპირდება დატიურ (მიცემითიან) კონსტრუქციას, თურმეობითის სერიაში რომ გვაქვს: „მან აშენა სახლი" პირდაპირი წყობისაა, „მას უშენებიეს იგი" ინვერსიულისა; მას ხ-უ-შენებიეს, შენ გიშენებიეს, მე მიშენებიეს... შდრ. მან აშენა სახლი, შენ აშენე სახლი, მე ვ-აშენე სახლი...

საკმარისია ერგატიული კონსტრუქცია გავუტოლოთ დატიურ კონსტრუქციას, რომ ვ-რიგის ფორმანტები (მე ვ-აშენე) იმავე ღირებულებისა აღმოჩნდება, რაც მ-რიგის ფორმანტებს აქვს (მე მ-იშენებიეს): ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი პრეფიქსების სისტემა (ვ-რიგი!) აირევა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პრეფიქსების სისტემაში (მ-რიგი!).

ე) ერგატიული კონსტრუქცია დატიურ კონსტრუქციას იმიტომაც ვერ გაუტოლდება, რომ გარდამავალ ზმნას ერგატიულ კონსტრუქციაში შეუძლია ფარდი ვნებითი ეწარმოოს (მან ყო — იგი ი-ყო... მან თქუა — იგი ითქუა... მან ჰკითხა — იგი ე-კითხა), ხოლო დატიურ კონსტრუქციას თურმეობითში ვნებითი არ ეწარმოება (მას უყოფიეს... უთქუამს... უკითხავს... ინვერსიულ გარდაუვალ ზმნებად გვევლინება, ვნებითი მათ არ ეწარმოება).

ვ) ქართულის ნათესაობა სემიტურ ენებთან განსაზღვრავდა ნ. მარის იაფეტური თეორიის პოზიციას ქართულის გრამატიკული სისტემის გაგებაში. ასე იყო 1908—1920 წწ.

შრომაში „იაფეტური კავკასია და მესამე ეთნიკური ელემენტი

ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში“ („Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземноморской культуры“, 1920) ნ. მარი დაადგა მედიტერანისტთა აზრს: ხმელთაშუა ზღვის აუზში იაფეტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები ყველაზე ძველ ფენად უნდა ვცნოთ, უფრო ძველ ფენად, ვინემ სემიტები და ინდო-ევროპელები. „მე მიხდება საძირკველი გამოვუშალო ჩემ თეორიასაო!“ — წერდა ნ. მარი: მართლაც, თუ იაფეტური ენები სემიტურ ენებზე უფრო ძველი იყო, სემიტურ ენათა პრინციპებზე დაყრდნობით იაფეტურ ენათა თავისებურებები როგორღა აიხსნებოდა?!

„ძველი საკლასიკურო ქართული ენის გრამატიკა“, 1925 წ. გამოსული, ძირითად საკითხებში ძველ პრინციპებზეა აგებული (წიგნი 1918 წ. გადაეცა დასაბეჭდადაო!). მაინც აქ ზოგი რამ ახალია. კერძოდ „მან“ ნაცვალსახელში ა ბრუნვის ნიშნად აღარ მიაჩნია ნ. მარს: ფუძე მა- არისო, და შეს ნ. მარი უდარებს *mur (მურ) ფუძეს ბასკურ bur-u (ბურ-უ)-ზე დაყრდნობით („ძვ. ქართ. გრამატიკა“. 1925, წინასიტყვაობა, V)... წინანდელ გაგებას „შედარებითი ფორმალური მიდგომა გვიკარნახებდაო“...

მან- ნაცვალსახელის მიცემითობა ამით თითონ ავტორმა უარყო. ამ ვარაუდზე დამყარებული მსჯელობაც მოიხსნა (თუმცა „გრამატიკის“ ტექსტში „ფორმალური მიდგომა დარჩა“).

ზ) ნ. მარი გარდამავალ ზმნას ენებითად მიიჩნევდა, საამისოდ სოციოლოგიურ საბუთს იშველიებდა: მოქმედი ენებული იყოო...

ეს ეულგარული სოციოლოგიზმია; მას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ (იხ. ქვემოთ ნ. იაკოვლევის შეხედულება).

ნ. მარი გარდამავალ ზმნას ენებითად თვლის აორისტში (ნამყო ძირითადში), სადაც ეს ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის; აწმყოში კი იმავე გარდამავალ ზმნას ნ. მარი აქტიურად, მოქმედებითი გვარისად მიიჩნევს. არა ჩანს, რატომ აწმყოში მოქმედი არ აღმოჩნდა ავტორის თვალსაზრისით — „ენებული“ [1].

---

[1] უფრო დაწვრილებით ნ. მარის შეხედულების შესახებ — იხ. „ერგატ. კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“, II (1961), გვ. 14—32.

ივ. მეშჩანინოვი ნ. მარის მიმდევარი იყო: ზოგი მისი დებულება იმეორებს ნ. მარის დებულებებს, ზოგი კიდევ ნ. მარისეულ პრინციპებზე დამყარებით ახალ მოსაზრებებს ასაბუთებს.

ივ. მეშჩანინოვი არა ერთ შრომაში ეხებოდა ერგატიული კონსტრუქციის საკითხს:

„ვანის ლურსმულ წარწერათა ენა. II. მეტყველების სტრუქტურა", ლენინგრადი, 1935; „ახალი მოძღვრება ენის შესახებ. სტადიალური ტიპოლოგია", ლენინგრადი, 1936; „გარდამავალი ზმნის პასიური წყობის გენეზისის საკითხისათვის", — კრებულში: „აკად. ნ. მარის ხსოვნას", 1938; „ზოგადი ენათმეცნიერება", ლენინგრადი, 1940 (ამ შრომაშიც ისევე, როგორც ახალ მოძღვრებაში, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემას დიდი ადგილი აქვს დათმობილი)... აგრეთვე: „ერგატიული კონსტრუქცია იბერიულ-კავკასიურ ენებში და მისი დამახასიათებელი თავისებურებანი ბიაინის (ურარტულ) ენაში", ლენინგრადი, კრებულში: იკ ენების შესწ. საკითხები, გვ. 5—14, 1961; „წინადადების ერგატიული წყობის ძირითადი გრამატიკული ფორმები" — კრებულში: „წინადადების ერგატიული კონსტრუქცია სხვადასხვა ტიპის ენებში", ლენინგრადი, 1967, გვ. 7—10[1].

ივ. მეშჩანინოვი შრომაში „ვანის ლურსმულ წარწერათა ენა" ემყარება ნ. მარის დებულებებს: ქართული გარდამავალი ზმნა პასიურია (ნამყო ძირითადის დროთა ჯგუფში): მოთხრობითი „ნაცვალსახელური მიცემითია"...

ივ. მეშჩანინოვი ცდილობს ქართველურ ენათა გარდა მთის კავკასიურ ენათა მასალაც გაითვალისწინოს: ურარტული ენის გარდამავალი

---

[1] И. И. Мещанинов. Язык Ванской клинописи. II. Структура речи. Ленинград, 1935.—«Новое учение о языке. Стадиальная типология». Л-д; 1936.—«К вопросу о генезисе пассивного строя переходного глагола»—сбор. «Памяти акад. Н. Я. Марра», 1938, стр. 182—199, «Общее языкознание», Л-д; 1940, «Эргативная конструкция в иберийско-кавказских языках и ее характерные особенности в биайнском (урартском) языке» — сбор. «Вопросы изучения иберийско-кавказских языков», Москва, 1961, стр. 5—14. «Основные грамматические формы эргативного строя предложения» — сборн. «Эргативная конструкция предложения в языках различных типов». Л-д; 1967, стр. 7—10.

ზმნა პასიურად არის მიჩნეული... ხოლო ჰანური ნათესაობითის -ში დაბოლოება — ურარტული ერგატივის -შე-ს ტოლად (ლაკურში აკი ნათესაობითსა და ერგატივს საზიარო ფორმა აქვს!).

„...აორისტის პასიურ წყობაში ლოგიკური სუბიექტი (მოქმედი პირი) ფორმდება პასიურს, ე. წ. ირიბ ბრუნვაში, — კერძოდ. მიცემითს ნაცვალსახელურში -მან: ...„სპასალარმან კრიბა ლაშქარი"... ასეთსავე დასკვნას გვავალებს ზმნის ფორმის ანალიზიც. -ს (კრებ-ს) სუბიექტის ნიშანია, მრწამ-ს-ში ობიექტისა... „ქართულ ენაში სუბიექტური სუფიქსი შეიძლება გამოხატავდეს ლოგიკურ ობიექტს, ობიექტური პრეფიქსი იყოს ლოგიკური სუბიექტის გამომხატველი. გრამატიკულისა და ლოგიკურის ეს დაშორიშორება (расхождение)... პასიურობის ერთერთი გამოვლენაა ზმნის კონსტრუქციაში" [1].

„აფხაზურში პასიური კონსტრუქცია ხელშესახები ხდება, თუ გარდამავალ ზმნებს შევუდარებთ გარდაუვალებს: გარდამავალ ზმნათა ლოგიკური ობიექტი აღინიშნება იმავე მაჩვენებლით, რაც გარდაუვალ ზმნათა სუბიექტის ნიშანია: დგ-ზ-გოჲტ „მას (კაცს) [წა]ვიყვან (веду)". დგ-ცოჲტ „ის (კაცი) მოდის" [2].

ნ. მარის შეხედულებასთან შედარებით აქ ახალია არა მხოლოდ ის, რომ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა (აფხაზურის, ლაკურის, ლეზგიურის, უდიურის) მასალაც არის გამოყენებული, არამედ ყურადღება ექცევა სახელობითის გამოყენებას, როგორც გარდაუვალი ზმნის სუბიექტად, ისე გარდამავალი ზმნის ობიექტად, და მით — აკუზატივის უქონლობას („ქართველურ ენებში მიმდინარეობს პროცესი პასიური კონსტრუქციის გარდაქმნისა აქტიურ კონსტრუქციადაო..." იგულისხმება აწმყოს ვითარება — ა. ჩ.)... პასიურობის ნაშთი მაინც მოგვეპოვება: ზმნაშიც, ბრუნებაშიცაო... აქტიური წყობის ყველა დროში მთელი მეტყველების პასიური ხასიათი იმდენად საგრძნობია, რომ სრულიად არ მოგვეპოვება ბრალდებითი ბრუნვა და ლოგიკურ პირდაპირ ობიექტს გადმოგვცემს... მიცემითიო" („კაცი კლავს ძაღლს") [3].

ნ. მარისათვის კი მიცემითი გარდამავალი ზმნის აწმყოსთან („კლავს

---

[1] И. И. Мещанинов, Язык Ванской клинописи, გვ. 191—192.

[2] იქვე, გვ. 195.

[3] იქვე, გვ. 196—197.

ბაღლს") უდრიდა აკუზატივს (ბრალდებითს) და იწოდებოდა „მიცემით-ბრალდებითად".

„ზოგად ენათმეცნიერებაში" (1940 წ.) ივ. მეშჩანინოვი ერგატიულ კონსტრუქციას განიხილავს ენის სტადიურ განვითარებასთან დაკავშირებით, უკეთ რომ ეთქვათ, ცდილობს ენის სტადიური განვითარება დაასაბუთოს ერგატიული კონსტრუქციის შეპირისპირებით ნომინატიურ, დატიურ, პოსესიურ... კონსტრუქციებთან.

ამრიგად, ერგატიული და სხვა სინტაქსური კონსტრუქციების ანალიზი გარკვეული ზოგად-ლინგვისტიკური ამოცანის გადასაწყვეტად არის გამოყენებული.

ენა ვითარდება სტადიების მიხედვით. ენის განვითარების სტადია ეფარდება აზროვნების (და საზოგადოების) განვითარების სტადიას (ე. ი. საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას) — ასეთი იყო ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" თეორიული დებულება. ამ დებულების დამტკიცებას ნ. მარი ცდილობდა ლექსიკური მასალის ანალიზის საშუალებით. ნ. მარი ემყარებოდა „ოთხელემენტოვან პალეონტოლოგიურ ანალიზს" („ყველა ენა შემდგარია ოთხი ლინგვისტური ელემენტისაგან — უშუალოდ ან შეჯვარებული სახით — **სალ, ბერ, ჯონ, როშ**... ეს ელემენტები ახლაც შეიძლება დავადასტუროთ და აუცილებლად უნდა გამოვყოთ სიტყვაში; ამის გარეშე სიტყვების შედარება დაუშვებელია"-ო).

რატომ მაინცა და მაინც ოთხი ელემენტი იყო ამოსავალი (ყველა ენისათვის!) და როგორღაა შესაძლებელი ამჟამად რაგინდარა ენაში ეს ელემენტი გამოვყოთ, არსად არც ნ. მარს და არც მის მიმდევრებს არ გაურკვევიათ (არც უცდიათ გაერკვიათ: ფაქტიაო და დამტკიცებას არ საჭიროებსო).

ლექსიკის ოთხელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზი და მისი შედეგები სარწმუნო, ცხადია, ვერ იქნებოდა.

ივ. მეშჩანინოვი იცავდა ოთხელემენტოვან ანალიზს ნ. მარის სიცოცხლეში. ნ. მარის გარდაცვალების შემდეგ (1934 წ.) ივ. მეშჩანინოვმა სცადა ენის განვითარების სტადიები შეესწავლა სინტაქსურ კონსტრუქციათა მიხედვით: სინტაქსურ კონსტრუქციათა ტიპები მიიჩნია ენის განვითარების სხვადასხვა სტადიად; ამას ოთხელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზი არ ესაჭიროებოდა.

იბერიულ-კავკასიურ (იაფეტურ) ენათა გარდა პალეოაზიური ენების მასალაც იყო მხედველობაში მიღებული (უნანგანური ანუ ალეუტური, იუიტური ანუ ესკიმოსური, ოდულური ანუ იუკაგირული, ლუორავეტლანური ანუ ჩუკოტკური, იტელმენური ანუ კამჩადალური, ნიმილანური ანუ კორიაკული).

მთავარია მაინც იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემები. ამ ენებში ერგატიული ბრუნვა ივ. მეშჩანინოვის თქმით ორგვარია: თავისთავადი (ქართულში, მეგრულში, ჰანურში) და საზიარო ფორმის მქონე სხვა ბრუნვასთან. თავისთავადი ერგატივი ითანხმებს ზმნას, საზიარო ერგატივს ზმნა არ ეთანხმება. თავისთავადი ერგატივიცა და საზიაროც ირიბი ბრუნვაა, თუმცა ერგატივს „ირიბი ხასიათი" მრავლობითშიღა შეიმჩნევა (იგულისხმება -თ-ა სუფიქსი ქართულ მრავლობითში: „კაცთა" — მოთხრობითის, მიცემითის, ნათესაობითის გაგებით რომ იხმარება).

აქ ხუნძური ენის მასალაზე გამოიყოფა კონსტრუქციები: ნომინატიური (უობიექტო-გარდაუვალი ზმნისა), გენიტიური (პოსესიური), ლოკატიური, დატიური, ერგატიული.

ამ კონსტრუქციათაგან მხოლოდ ნომინატიური (უობიექტო) კონსტრუქცია მიაჩნია ივ. მეშჩანინოვს აქტიურად (სუბიექტი სახელობითშია!), უველა დანარჩენი, მათ შორის ერგატიულიც, პასიურია.

ეს პასიური კონსტრუქციები განვითარების სხვადასხვა საფეხურს (სტადიას) განეკუთვნება. სახელდობრ, რა და რა სტადიას წარმოგვიდგენენ?

სრული პასუხი ამ კითხვაზე ივ. მეშჩანინოვს არ მოეპოვება. ათხაზურში, მისი აზრით, პოსესიური კონსტრუქცია გვაქვს. პოსესიურ კონსტრუქციას ცელის ერგატიული. ერგატიულ კონსტრუქციას მოსდევს ნომინატიური; ამრიგად: პ ო ს ე ს ი უ რ ი — ე რ გ ა ტ ი უ ლ ი — ნ ო მ ი ნ ა ტ ი უ რ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ფ ე ხ უ რ ს წ ა რ მ ო გ ვ ი დ გ ე ნ ს. ჭართულში ერგატიული კონსტრუქცია აორისტში გვაქვს: იგი პასიურია (თუმცა ენებითი გარდამავალ ზმნას ეწარმოება).

ჰანურში გარდამავალი ზმნა უველა სერიაში ქმნის ერგატიულ კონსტრუქციას. ესაა ძველი ვითარებაო.

ლოკატიური და დატიური კონსტრუქციების ადგილი გარკვეული არაა. დატიურ კონსტრუქციაზე ნათქვამია. „ახალიაო". არა ჩანს, რა მი-

მართებაშია ეს დატიური კონსტრუქცია ერგატიულ ანდა ნომინატიურ კონსტრუქციასთან.

ივ. მეშჩანინოვი იზიარებს იმ აზრს, რომ ერგატიული კონსტრუქციის სინტაქსი „სრულიად განსხვავებულია“, აქ გვაქვს ორმხრივი შეთანხმება (ზმნისა სუბიექტთან და ობიექტთან), არც ქვემდებარე და არც პირდაპირი დამატება ჩვეულებრივი გაგებით ერგატიულ კონსტრუქციაში არ დასტურდებაო...

ივ. მეშჩანინოვის ცდა, ერგატიული კონსტრუქცია განიხილოს სხვა კონსტრუქციებთან ისტორიულ ურთიერთობაში, საინტერესოა (მიუხედავად იმ მიზნისა, რასაც ივ. მეშჩანინოვი ისახავს).

ქართული ენის ისტორიის მონაცემები, ჩვენი აზრით, მოწმობენ, რომ გარდამავალ ზმნასთან მხოლოდ ერგატიული კონსტრუქცია უნდა გვქონოდა; აწმყოს სერიაში ნომინატიური კონსტრუქცია გარდამავალმა ზმნებმა მერე გაიჩინეს [1]. ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ ნომინატიური კონსტრუქცია საერთოდ არ გვქონდა, რომ ნომინატიური კონსტრუქცია საერთოდ მეორეულია: ერგატიულ კონსტრუქციას გარდამავალი ზმნა ქმნიდა, ნომინატიურ კონსტრუქციას კი გარდაუვალი ზმნა — ე რ თ პ ი რ ი ა ნ ი (დგების, კუდების ი გ ი, დადგა, მოკუდა ი გ ი...), ო რ პ ი რ ი ა ნ ი (ესმის მას ი გ ი, სთნავს მას ი გ ი — ესმა მას ი გ ი, სთნდა მას ი გ ი)...

მაშასადამე, ე რ თ დ რ ო უ ლ ა დ არსებობდა ე რ გ ა ტ ი უ ლ ი კონსტრუქციაც (გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ზმნისა) და ნ ო მ ი ნ ა ტ ი უ რ ი კონსტრუქციაც (გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ზმნისა). გარდამავალ ზ მ ნ ა ს თ ა ნ ნომინატიური კონსტრუქციის „შემდგომადობა“, მეორეულობა (ერგატიულ კონსტრუქციასთან შედარებით) არ ნიშნავს, რომ საერთოდ ენაში ჯერ მხოლოდ ერგატიული კონსტრუქცია გვქონდა, ნომინატიური კონსტრუქცია კი სტადიურად ახალია.

არც ის შეეფერება სინამდვილეს, თითქოს ჰანურში ძველი ვითარება გვქონდეს დაცული (ერგატიული კონსტრუქციის გამოყენების მხრივ — აწმყოს, ნამყო ძირითადსა და თურმეობითში): ჰანურში ეს „განზოგადება“ მეორეულია [2].

---

[1] დაწვრილებით ამაზე იხ. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948.

[2] არნ. ჩიქობავა, ჰანური ენის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 181, 201, 203.

ერგატიული კონსტრუქციის დახასიათებისას ივ. მეშჩანინოვისათვის ამოსავალია სუბიექტის ბრუნვა: ე რ გ ა ტ ი ვ ი; ერგატივი ირიბი ბრუნვაა და შესაბამისი გარდამავალი ზმნა პასიურიაო; გარდაუვალ ზმნას კი სუბიექტი სახელობითში დაესმის და, ივ. მეშჩანინოვის აზრით, აქტიურია: გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი პ ა ს ი უ რ ი ა, გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი კ ი — ა ქ ტ ი უ რ ი.

1961 წელს ივ. მეშჩანინოვი წერდა: „ურარტული ენის კვლევისას მეტი ყურადღება ექცეოდა ერგატიულ ბრუნვას და ყველაზე ნაკლები — პირდაპირი ობიექტის დასმას სახელობითში და ამან გამოიწვია უნაყოფო ძიება აკუზატივისა ამ ენაში... ა. ს. ჩიქობავას სავსებით დასაბუთებული შენიშვნის თანახმად კი „ერგატიული კონსტრუქციისათვის იმდენად ერგატიული ბრუნვის მქონეობა კი არ არის დამახასიათებელი, რამდენად სპეციფიკურია აკუზატივის უქონლობა“[1].

რამდენიმე წლის შემდეგ ივ. მეშჩანინოვი იმ აზრს ადგას, რომ სახელობითი ბრუნვა, რაც ობიექტს აღნიშნავს ერგატიულ კონსტრუქციაში, არ უდრის სახელობით ბრუნვას ნომინატიურ კონსტრუქციაში და რომ „ერგატიული წყობის წინადადებაში არცა გვაქვს სახელობითი ბრუნვა“ (შდრ. ვანის წარწერათა ენა. აქვე ზემოთ)[2].

ივ. მეშჩანინოვის შეხედულებაში ობიექტისა და სუბიექტის საკითხი ერგატიულ კონსტრუქციაში იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ქართულში ერგატივი (მოთხრობითი) თავისთავადი ერგატივია და, მაშასადამე, ივ. მეშჩანინოვის თვალსაზრისით, აქტიური ბრუნვაა, სახელობითს უდრის, ე. ი. ქართულში ერგატიული კონსტრუქცია აქტიურია— სუბიექტის ბრუნვის მიხედვით. მაგრამ პასიურია, თუ ობიექტის ბრუნვის მიხედვით დავახასიათებთ: ერგატიული კონსტრუქციის დახასიათება სუბიექტისა და ობიექტის მიხედვით სხვადასხვაგვარი გამოდის.

თავისთავადი ერგატივი ზმნას ითანხმებს, საზიარო — არაო. ჩაჩნურსა და ინგუშურში ე რ გ ა ტ ი ვ ი ა რ ა ა ს ა ზ ი ა რ ო და ზმნას მაინც ა რ ი თ ა ნ ხ მ ე ბ ს.

მიცემითიან კონსტრუქციას სტადიურ კლასიფიკაციაში ადგილი ვერ

---

[1] И. П. Мещанинов, Эргат. конструкция в иберо.-кавк. языках, კრებულში: «Вопросы изучения иберо.-кавк. языков», მოსკოვი, 1961, გვ. 11—12.

[2] И. И. Мещанинов, «Основные грамматич. формы эргат. строя предложения», კრებულში «Эргативная конструкция предложения в языках различных типов». ლენინგრადი, 1967, გვ. 8.

დაეძებნა. ი. მეშჩანინოვი მიცემითიან (დატიურ) კონსტრუქციას ახალ კონსტრუქციად თვლის. ნამდვილად კი დატიური კონსტრუქცია ძველი კონსტრუქციაა ისევე, როგორც ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქცია: ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის გარდამავალი ზმნა, ნომინატიურ კონსტრუქციას — გარდაუვალი ზმნა, დატიური კონსტრუქციაც გარდაუვალ ზმნებს ეფარდება. სახელდობრ. იმ გარდაუვალ ზმნებს, რომელთაც „გრძნობა-აღქმის ზმნები" (verba sentiendi) ეწოდება (ვისწორნს. უყვარს. სძულს. ჰშია. სწუურია...).

ასეთი ზმნები რიგ იბერიულ-კავკასიურ ენაში (აგრეთვე სხვა წრის ენებშიც) დატიურ კონსტრუქციას ქმნიან.

§ 37. ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის ფითოლოგიური ინტერპრეტაცია

მხედველობაში გვაქვს კ. ულენბეკის თვალსაზრისი. გარდამავალი ზმნის პასიურობას ცნობილი ჰოლანდიელი ენათმეცნიერი კარლ ულენბეკი ასაბუთებს ნაშრომში „გარდამავალი ზმნის ანუ მოქმედების ზმნის პასიური ხასიათის შესახებ ჩრდილო ამერიკის ინდიელთა გარკვეულ ენებში-[1].

საანალიზო მასალად კ. ულენბეკს აღებული აქვს ჩრდილო-ამერიკის ინდიელთა ენები: ინდიელთა ზოგ ენაში გარდამავალი ზმნა აქტიური ხასიათისა არისო, შენიშნავს კ. ულენბეკი, მაგრამ ენათა მეტ წილს პასიური ხასიათის გარდამავალი ზმნა მოეპოვებაო.

როცა გარდამავალი ზმნა პასიურია, მისი უახლოესი ობიექტი („ლოგიკური ობიექტი") იმავე აფიქსით აღინიშნება. რითაც — გარდაუვალი ზმნის სუბიექტი: მა-ია-კაშა „მე შენ [შე]-მ-კრავ":

მა-ტა „მე ვკვდები"... მა-ტამტე „მე კარგი ვარ"...

მა- აღნიშნავს გარდამავალი ზმნის ობიექტს ისევე, როგორც გარდაუვალი ზმნის სუბიექტს.

---

[1] დაიბეჭდა ჰოლანდიურ ენაზე 1917 წელს; ფრაგმენტული თარგმანი — „Le caractère passif du verbe transitif ou du verbe d'action dans certains langues de l'Amerique du Nord" გამოქვეყნებულია ჟურნ. „Revue des Etudes Basques", XIII, 1922 წელს; მოპოვება რუსული თარგმანიც, შეკვეცილი, — „Пассивный характер переходного глагола или глагола действия в языках Северной Америки" — კრებულში «Эргативная конструкция предложения», Москва, 1950, გვ. 74—96.

ამ მხრივ ვითარება ისეთივეა, როგორც ბასკურშიო (ულენბეკი ბასკურის ცნობილი მკვლევარი იყო).

კ. ულენბეკი შენიშნავს: ზმნის უღვლილებაში რომ ნაცვალსახელური ელემენტებია ნახმარი, მათ ბრუნვათა ღირებულება აქვსო.

როცა ენაში გარდამავალ ზმნას პასიური გაგება აქვს, ნაცვალსახელური ნაწილაკები ორგვარი ღირებულების ბრუნვას გადმოგვცემს: ერთია ბრუნვა ენერგეტული (casus energeticus), მეორე — ბრუნვა ინერციისა, ინერტული ბრუნვა (casus inertiae)... ენერგეტული ბრუნვა შეიძლება განასხვავებდეს ტრანზიტიულ ბრუნვას (casus transitivus) და გარდაუვალ ბრუნვას (casus intransitivus), ერთის მხრივ, და აქტიურ ბრუნვასა (casus activus) და არააქტიურ ბრუნვას (casus inactivus), მეორე მხრივ.

პირველ შემთხვევაში მოქმედების ყველა ზმნაა პასიური (ასეა. მაგ.. ბასკურში), მეორეში კი — მარტოოდენ გარდამაეალი ზმნა (ამის ნიმუშს გვაწვდის ინდიელთა დაკოტა-ენა, ჩრდილო ამერიკაში).

„მოქმედების ზმნა“ კ. ულენბეკისა უფრო ფართო ცნებაა, იგი მოიცავს გარდამავალ ზმნათა გარდა ისეთ გარდაუვალ ზმნებს, რომლებიც მოქმედებას აღნიშნავს (მაგ., ქართ. „ეხმარება“, „ებრძვის“...).

ენერგეტული ბრუნვაც მოქმედს აღნიშნავს და მოქმედებითიც (ინსტრუმენტალისიც). ულენბეკი ორივე ბრუნვას „იარაღის“ ბრუნვებად მიიჩნევს: ენერგეტული ბრუნვა „პირველადი იარაღის“ ბრუნვას წარმოადგენს, მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი) „მეორეული იარაღის“ ბრუნვა იქნებოდა, ნამდვილ მოქმედად კი საიდუმლო ძალა ივარაუდება (პრიმიტიული ცნობიერების თვალსაზრისით, რომელიც ასახულია ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენებში).

წინადადებაში „მან მოკლა ჩიტი ქვით“ — ზემოთქმულის მიხედვით — „მან“ პირველადი იარაღის ბრუნვაა, „ქვით“ მეორეული იარაღისა, ნამდვილი მოქმედი კი საიდუმლო ძალაა, ის ცალკე სიტყვით არაა გადმოცემული, მაგრამ იარაღის თავისებურ ბრუნვაში (თუ მის შესაბამის ნაცვალსახელოვან ნაწილაკში) ვლინდება (კ. ულენბეკისეულ გაგებას საილუსტრაციოდ ერთგვარად გამოადგებოდა რუსული ენის „უსუბიექტო“ ფრაზა ასეთი ტიპისა: „ветром сорвало крышу“, იგულისხმება „что-то“).

ამრიგად, გარდამავალი ზმნა პასიურია. პასიურობას განსაზღვრავს

ძველი ადამიანის პრიმიტიული ცნობიერება. თუ შეიძლება ითქვას, წინარელოგიკური აზროვნება. ამიტომ შეიძლება გარდამავალი ზმნის პასიურობის ამ თეორიას მითოლოგიური ეწოდოს.

თუ ამჟამადაც, განვითარებული ლოგიკური აზროვნების ეპოქაში გარდამავალი ზმნა ინარჩუნებს პასიურ ხასიათს, ქმნის ერგატიულ კონსტრუქციას (მაგალითად, ბასკურში), ეს იქნება ულენბეკის გაგებით, გადმონაშთი ძველი შეხედულებისა.

ასეთია კ. ულენბეკის კონცეფციის ძირითად დებულებათა სქემა. სინამდვილე და მისი პროცესები ძველისძველად ადამიანს შეეძლო აღექვა სხვაგვარად. ვინემ დღესა გვაქვს წარმოდგენილი: დროთა ვითარებაში იცვლება არა მხოლოდ მეტყველება, არამედ აზროვნებაც. ლევი ბრიულისა[1] და ფრ. ბოასის[2] ნაშრომები „პრიმიტიული აზროვნების" შესახებ ამას ხელშესახებს ხდის (საკმარისია მოვიგონოთ მიზეზობრიობის გაგება ზოგი პრიმიტიული ხალხის აზროვნებაში: კაცი ავად გახადა იმან, ვინც მის ლანდს ფეხი დააბიჯა!).

ამდენად პრინციპში კ. ულენბეკის ამოსავალი დებულება შეუძლებელს არაფერს შეიცავს. მთავარია, რამდენად ამართლებს ამ დებულებას ენობრივი ფაქტი.

გარდამავალი ზმნის ობიექტი (უახლოესი ობიექტი) და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ერთი და იმავე ფორმანტით რომ აღინიშნება ზმნის უღელილებაში, ესაა ულენბეკის მთავარი საბუთი, გარდამავალი ზმნის პასიურობა ამ ფაქტს ემყარება. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობისაა (ამ ფაქტს სხვა ავტორებიც სათანადო ანგარიშს უწევდნენ, მაგ., შუხარდტი).

მაგრამ ამ ფაქტიდან ვერ დავასკვნით, თითქოს გარდამავალი ზმნა პასიური იყოს: ეს ფაქტი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ასეთი გარდამავალი ზმნა არა არის აქტიური. არააქტიურს პასიურს ვერ გავუთანაბრებთ.

გარდამავალისა და გარდაუვალის დაპირისპირება შეიძლება გვქონდეს, მაგრამ აქტიურისა და პასიურის გარჩევა, მათი შეპირისპირება ენისთვის უცხო იყოს: თუ აქტიური ზმნა ენას არ მოეპოვება, პასიურობის საკითხიც არ დაისმის.

---

[1] Л. Леви-Брюль, Первобытное мышление. М., 1930.

[2] Фр. Боас. Ум первобытного человека. М.-Л., 1926.

ასეთი ვითარება გვაქვს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში: ენებითი და მოქმედებითი გვარი ზმნას აქ გარჩეული არა აქვს (სისტემებრ), გარდამავალისა და გარდაუვალი ზმნის გარჩევა კი — არსებითია.

§ 58. ერგატიული კონსტრუქციის აქტიური ბუნება ს. ბიხოვსკაიას განმარტებით

ს. ბიხოვსკაიას შეხედულება ჩამოყალიბებულია წერილში „პასიური" კონსტრუქცია იაფეტურ ენებში" (კრებული „ენა და აზროვნება", II, 1934. გვ. 55—77). ს. ბიხოვსკაია „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" მიმდევარია. ამ მოძღვრების შემქმნელი ნ. მარი გარდამავალ ზმნას ქართულში (ე. ი. იაფეტურ ენაში) პასიური ბუნებისად თვლიდა (§§ 54—55). სწორედ იაფეტურ ენებში ს. ბიხოვსკაია უარყოფს გარდამავალი ზმნის პასიურობას („პასიური" წინწყლებშია!).

ს. ბიხოვსკაია მიმართავს ბასკურის, ქართულის, აფხაზურის, უაბარდოულის ჩვენებას. ყურადღება გამახვილებულია სახელის ფორმებზე: რას წარმოადგენს ერგატივი (ლოგიკური სუბიექტის ბრუნვა) და სახელობითი (ლოგიკური ობიექტის ბრუნვა)?

ერგატივი, რომელსაც აქვს საკუთარი ფლექსია (ე. ი. ბრუნვის ნიშანი), ს. ბიხოვსკაიას თქმით, გამოხატავს სწორედ აქტიურობას,— განსხვავებით სახელობითისაგან. რომელსაც არა აქვს საგანგებო დაბოლოება და მით გვიჩვენებს, რომ ესაა ცნების უბრალო დასახელება (და ამიტომაა, რომ გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი სახელობითში დაისმის). ობიექტი სახელობითს ბრუნვაში უდრის ინდო-ევროპულ ენათა აკუზატივს (საშუალო სქესის ო-ფუძიანი სახელები ინდო-ევროპულ ენებში აკუზატივსა და სახელობითს არ განარჩევენ).

ერგატივი (იაფეტური, ე. ი. იბერიულ-კავკასიური ენებისა) ეტოლება ინდო-ევროპულ ენათა სახელობითს: ორივეს ბრუნვას ფლექსია მოეპოვება (წინააღმდეგ უფლექსიო აკუზატივისა ინდო-ევროპულ ენებში და სახელობითისა იაფეტურ ენებში).

ამრიგად, თუ ეერწმუნებით ს. ბიხოვსკაიას, იაფეტური ენების ერგატიული კონსტრუქცია იმგვარივე სტრუქტურის მქონეა, როგორც სახელობით-აკუზატივიანი კონსტრუქცია ინდო-ევროპული ენებისა: ერთიც აქტიურია და მეორეც, გარდამავალი ზმნა აქტიური უნდა ყოფილიყო (გარდამავლობის შინაარსი ამას გულისხმობდა!) და აქტი-

ურიც აღმოჩნდა, ავტორს თავისებურება უ ნ დ ა ა ე ხ ს ნ ა, მან კი თავისებურების საკითხი მ ო ხ ს ნ ა...

ინდო-ევროპულ ენებში აქტიურ კონსტრუქციას, მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გვარის ზმნა რომ ქმნის, უპირისპირდება პასიური კონსტრუქცია ვნებითი გვარის ზმნებისა. იაფეტურ ენათაგან მხოლოდ ქართველურ ენათა ზმნას აქვს ვნებითი გვარი; სხვებისათვის ვნებითი გვარი უცხოა.

შეიძლება თუ არა ასეთ პირობებში გავაიგივოთ გარდამავალი ზმნის აქტიურობა ინდო-ევროპულსა და იაფეტურ ენებში? „როცა პასიური კონსტრუქცია არ უპირისპირდება აქტიურს, ძნელია ვილაპარაკოთ აქტიურობის შესახებაო“, შენიშნავს ს. ბიხოვსკაია სამართლიანად.

ეს ახალი საზომია: გ ა რ ჩ ე უ ლ ი ა თუ ა რ ა გ ვ ა რ ე ბ ი ზ მ ნ ა შ ი? ამ საზომის გამოყენებამ კი გამოიწვია ახალი დასკვნა: „...ერგატიული კონსტრუქცია შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც აქ ტ ი უ რ პ ა ს ი უ რ ი კონსტრუქცია, რომელიც შემდეგ გაითიშა, როგორც აქტიური და პასიური“... აქტიურობას ს. ბიხოვსკაია ასაბუთებდა ბრუნვათა (ერგატივის, სახელობითის) თავისებური გაგების საფუძველზე.

საკითხავია, რა ახასიათებს ამ მხრივ ზმნის პასიურობას? ეს კითხვა უპასუხოდ რჩება.

ავტორი ცდილობს „აქტიურობა-პასიურობას“ დაუძებნოს ახსნა ტოტემიზმში: ტოტემისტურ საზოგადოებაში პიროვნება არ გამოიყოფოდა კოლექტივისაგან. როგორც სოციალური მნიშვნელობის მქონე და დამოუკიდებელი ერთეული, ტოტემი კიდევ შერწყმული იყო კოლექტივთან... ამიტომ პიროვნება ვერ მიიჩნევდა თავის თავს დამოუკიდებელ მოქმედად, — მასში და მის მეშვეობით მოქმედებდა კოლექტივი და ტოტემი, მაგრამ პიროვნება, როგორც განუყოფელი ნაწილი კოლექტივისა და ტოტემისა, მოქმედების სუბიექტს წარმოადგენდაო. ამრიგად, მოქმედებაში შერწყმულია ერთ დიფუზურ მთლიანობად წარმოდგენა აქტიურობისა და პასიურობისაო.

მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი არა მხოლოდ ზმნის გვარებს, არამედ სახელის ბრუნვათა საკითხსაც შეეხებოდა ტოტემისტური საზოგადოების თვალსაზრისით, მაგრამ ეს არა გვაქვს: გარდამავალი ზმნის აქ ტ ი უ რ ო ბ ა ს ა ხ ე ლ ი ს მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ი თ დ ა ს ა ბ უ თ დ ა, აქ ტ ი უ რ ო ბ ა-პ ა ს ი უ რ ო ბ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა ხ ე ლ ი ს მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ი ს ჩ ვ ე ნ ე ბ ა ს ა ნ გ ა რ ი შ ს ა რ უ წ ყ ვ ს.

რაიმე მთლიან კონცეფციაზე ლაპარაკი ასეთ ვითარებაში შეუძლებელია.

რაც შეეხება ბრუნვათა დახასიათებას, — ფლექსიის მქონე ბრუნვა აქტიურის, მოქმედის მაჩვენებელია, ფლექსიის არმქონე კი პასიურს აღნიშნავსო, შესაბამისად ერგატივი მოქმედია, სახელობითი პასიურ ბრუნვად, აკუზატივად უნდა მივიჩნიოთო, აქ ფაქტობრივ ვითარებას სიზუსტე აკლია, საზომიც შემთხვევითია: ნახურსა და დაღესტნურ ენებში სახელობითი ამჟამად უნიშნოა, ქართულში — ნიშნიანი. ეს ნიშანი, ს. ბიხოვსკაიას აზრით, ფლექსიად ვერ მიიჩნევა: იგი ნაცვალსახელოვან ნაწილაკს წარმოადგენსო და ნ. მარს იმოწმებს.

ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი ბრუნვის ნიშანს არ გამორიცხავს, — პირიქით: ქართული ერგატივის (-მ, -მა), ხუნძ. ერგატივის (-ას, -ალი) ფლექსიათა ნაცვალსახელური წარმოშობა საყოველთაოდ ცნობილია. ენაში ერთი ან ნაცვალსახელური ნაწილაკი ბრუნვის ფლექსია ვერ იქნება (და, მაშასადამე, ერგატივი — ქართული, ხუნძური — საერთოდ, ბრუნვა არ ყოფილა, მით უფრო „აქტიური ბრუნვა“) ანდა თუ ერგატივს ფლექსიის მქონე ბრუნვად მივიჩნევთ, ქართული სახელობითიც — ს. ბიხოვსკაიას თვალსაზრისის შესაბამისად — ფლექსიის მქონე ბრუნვა იქნება და, მაშასადამე, აკუზატივს ვერ გაუტოლდება (აკუზატივს, ს. ბიხოვსკაიას თქმით, უფლექსიობა ახასიათებს).

ერგატივი, რა თქმა უნდა, ბრუნვაა: სახელობითს ფლექსია აქვს, აკუზატივის ადგილას იხმარება იბერიულ-კავკასიურ ენებში, მაგრამ აკუზატივს არ წარმოადგენს... ზემოხსენებული ალტერნატივა კი გააჩინა მცდარმა დებულებამ, თითქოს ფლექსიანი ბრუნვა აქტიური იყოს, ფლექსიის მქონეობა ბრუნვის აქტიურობას მოასწავებდეს (მაშინაც კი, როცა ბრუნვა ირიბია).

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ერგატიული ბრუნვა (ქართულში) აქტიურად მიაჩნდა ალფ. ტრომბეტის: ნაცვალსახელური ნაწილაკი დაერთვის, ემფატიკური ბრუნვაა (ქართული ერგატივი), და ამ ემფატიკურობით ხაზი ესმის სუბიექტის როლს (ე. ი. აქტიურობასაო).

ს. ბიხოვსკაიამ განაზოგადა ალფ. ტრომბეტის დებულება (ფლექსიის მქონე ყველა ბრუნვა აქტიურიაო!) და განაზოგადა უმართებულოდ (ს. ბიხოვსკაია ემყარება ალფ. ტრომბეტის პრინციპს და... აკრიტიკებს ალფ. ტრომბეტის...).

ნ. იაკოვლევის შეხედულება გადმოცემულია წიგნში „ჩაჩნური სალიტერატურო ენის სინტაქსი", მოსკოვი-ლენინგრადი, 1940 (საითაურში აღნიშნულია, რომ შრომა შესრულებულია ა. ხუმფაროვის, მ. საიდოვისა და ა. ბეკოვის მონაწილეობით, შემდგენელი კი ნ. იაკოვლევია).

ჩაჩნური ენის გარდამავალ ზმნას პასიურად მიიჩნევდა პ. უსლარი. მისთვის მთავარი იყო სინტაქსური მხარე: გარდამავალი ზმნა ეთანხმება ობიექტს (უახლოეს ობიექტს), რომელიც სახელობითს ბრუნვაში ზის და არ ეთანხმება რეალურ სუბიექტს, რომელიც ერგატივშია დასმული. ამ სახელობითს (ე. ი. უახლოეს ობიექტს) მიიჩნევდა პ. უსლარი ქვემდებარედ (ერგატივი კი, რომელსაც ზმნა არ ეთანხმება, ირიბი ობიექტი გამოდიოდა).

ნ. იაკოვლევი იმეორებს პ. უსლარის აზრს უახლოესი ობიექტის (პირდაპირი დამატების) შესახებ: „პირდაპირი დამატება ჩაჩნური წინადადების მთავარი წევრი იმიტომ არის, — წერს ნ. იაკოვლევი, — რომ ზმნა-შემასმენელი, როდესაც კი შესაძლებელია შეთანხმება კლასების მიხედვით მასში გამოიხატოს, ყოველთვის ეთანხმება გარდამავალ წინადადებაში პირდაპირ დამატებასაო" („სინტაქსი", გვ. 51).

გარდამავალ ზმნასთან „პირდაპირი დამატება", სახელობით ბრუნვაში რომ ზის, ჩაჩნურში წარმოადგენს წინადადების მთავარ წევრს. რაღაა ერგატიული ბრუნვა, რეალურ სუბიექტს რომ აღნიშნავს? ნ. იაკოვლევის თქმით ის სუბიექტია (ე. ი. ქვემდებარე, წინადადების მთავარი წევრი): „აქტიური ბრუნვა" (ე. ი. ერგატივი — ა. ჩ.), — წერს ნ. იაკოვლევი — ჩაჩნურ ენაში არის ქვემდებარის ბრუნვა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ბრუნვა თვით თავის ფორმით წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ პროდუქტიული ქვემდებარის ბრუნვას („პროდუქტიული" ნ. იაკოვლევის სიტყვახმარებაში უდრის მოქმედს, „არაპროდუქტიული" — უმოქმედოს — ა. ჩ.). ჩაჩნურ ენაში ამ კანონს (!) არ მოეპოვება არავითარი გამონაკლისიო. მაშასადამე, აქტიური ბრუნვა სახელობითის გვერდით წარმოადგენს ქვემდებარის მეორე ბრუნვას არა მხოლოდ მნიშვნელობით, არამედ ფორმითაც (ხაზი ჩვენია — ა.ჩ.). შემასმენელი რომ არ ეთანხმება აქტიურ ბრუნვას კლასში, ამის მაგივრობას ეწევა სწორედ ეს გარემოება — თვით ამ აქტიური ბრუნვის სპეციფიკური სუბიექტური მნიშვნელობა. ქვემდებარე აქ გა-

მოხატულია არა შემასმენლის მასთან შეთანხმებით, არამედ — ბრუნვის დაბოლოებითაო" („სინტაქსი", გვ. 5, — ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

სამწუხაროდ, ნ. იაკოვლევი არაფერს გვეუბნება იმის თაობაზე თუ როგორ ხდება ეს, რომ „ქვემდებარეს გამოხატავს ბრუნვის დაბოლოება" ანდა როგორ არის, რომ ერგატივს ზმნა არ ეთანხმება და ამის სანაცვლო ყოფილა „აქტიური ბრუნვის სუბიექტური მნიშვნელობა": აქტიური ბრუნვა (ერგატივი) რომ მოქმედს (რეალურ სუბიექტს) აღნიშნავს, ამას წინადადების აზრი გვეუბნება.

საკითხავიც სწორედ ისაა, რატომ არ ეთანხმება ამ აქტიურ ბრუნვას, მოქმედს (რეალურ სუბიექტს) რომ აღნიშნავს, გარდამავალი ზმნა — შემასმენელი, რატომ არ აღმოაჩნდა ამ მოქმედს (რეალურ სუბიექტს) ქვემდებარის სინტაქსური ფუნქცია. ამ კითხვაზე პასუხი ნ. იაკოვლევს არ მოუცია.

ამრიგად, ნ. იაკოვლევმა უახლოესი ობიექტის თავისებურება (უახლოეს ობიექტს ეთანხმება გარდამავალი ზმნა) ახსნა სინტაქსური საზომით (უკეთ, გაიზიარა ასეთი ახსნა პ. უსლარისა), რეალური სუბიექტის თავისებურება (სუბიექტს გარდამავალი ზმნა არ ეთანხმება) აუხსნელი დატოვა: თვით სუბიექტის აქტიურობის ჩვენებას ცდილობს სულ სხვა საზომით, ვინემ ის, რომელიც უახლოესი ობიექტის დახასიათებისას იყო გამოყენებული.

ნ. იაკოვლევი წერს: მოქმედებითი და ვნებითი გვარი (იმ სახისა, რაც ინდო-ევროპულ ენებში გვაქვს), ჩაჩნურს არ მოეპოვებაო. ეს ცნობილი ფაქტია და დავას არ იწვევს, მაგრამ ამას არ ეთანხმება ნ. იაკოვლევის დებულება „გარდამავალი წინადადების აქტიური წყობის" შესახებ: რა აქტიურ წყობაზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც მოქმედებითი და ვნებითი გვარები ზმნაში გარჩეული არაა (ამგვარ ენებში გარდაუვალი და გარდამავალი ზმნებიღა გვექნება, — უგვარო).

ზმნის ვნებითი გვარის წარმოქმნას ნ. იაკოვლევი უკავშირებს კლასობრივი საზოგადოების წარმოშობას: „როცა ადამიანები თანაბრად აქტიურნი, ექსპლოატაციისაგან თანაბრად თავისუფალნი იყვნენ, ცხადია, ენასა და აზროვნებაში პასიური კონსტრუქცია არ შეიძლებოდა გექონოდაო (გვ. 93)... კლასობრივ საზოგადოებაში მონობისა და შრომის იარაღზე კერძო საკუთრების გაჩენის შემდეგ... ჩნდება ნამდვილი პასიური კონსტრუქცია... აზროვნებისა და მეტყველების ეს ფორმა გაჩ-

ინა ივ საზოგადოების წყობილებამ, რომელიც დამყარებულია ექსპლოატაციაზე და... იძულებით არსებობს გაბატონებული კლასების სასარგებლოდ — წინააღმდეგ პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის ეშმარიტად აქტიური აზროვნებისა"... („სინტაქსი", გვ. 48).

ენებითი გვარი რომ მეორეული წარმონაქმნია, ეჭვს არ იწვევს (ბევრ ენას იგი ახლაც არ ეწარმოება). მაგრამ კლასოვან საზოგადოების მოვლენებთან (მონობასთან, ექსპლოატაციასთან) ენებითი გვარის წარმოშობის დაკავშირება სინამდვილეს არ შეეფერება (მაგალითად, მთის იბერიულ-კავკასიური ენების ზმნას ენებითი გვარი არ გასჩენია კლასობრივი საზოგადოების პირობებში).

გარდამავალი ზმნის პასიურობის თეორიას ნ. იაკოვლევი კლასობრივ ეხსნას უძებნის: აქაო-და, ამ თეორიის ავტორები აქტიური აზროვნების მატარებლებად ევროპელებს თვლიან, კავკასიის ხალხებს, აბერიკის ინდიელებს, პასიურ აზროვნებას მიაწერენო... პასიურობის თეორია XIX ს. დამლევს იმას ნიშნავდა, რომ კავკასიელთა ენის წყობის თავისებურება მკვლევრებს ვერ გაეგოთო, მეოცე საუკუნეში კი პასიურობის თეორია „აშკარა კოლონიზატორულ თეორიად იქცაო"(!) და... ულენბეკს ასახელებს. „ეს თეორია, რომელიც კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ყაჩაღური პოლიტიკის დაფარვას ემსახურებოდა, — წერს ნ. იაკოვლევი, — აიტაცეს მავნებლებმა, ხალხის უბოროტესმა მტრებმა, რომლებიც ახლა მხილებულნი არიანო" („სინტაქსი", გვ. 47. ნ. იაკოვლევს დაავიწყდა, რომ პასიურობის ერთ-ერთი თეორია ნ. მარს ეკუთვნის).

პასიურობის თეორიის დამცველები ნ. იაკოვლევმა ჯერ კოლონიზატორებად გამოაცხადა, მერე კი მავნებლებად და ხალხის მტრებად მონათლა. სამწუხაროდ, სამეცნიერო საკითხების ამ წესით განხილვა საბჭოთა ენათმეცნიერებაში დანერგეს ნ. მარმა და ზოგმა მისმა მიმდევარმა (ნ. მარის გარდაცვალების შემდეგ — 1934 წ. — ენათმეცნიერებაში ეს სტილი დამკვიდრდა)...

ამრიგად: რასაც ნ. იაკოვლევი ამბობს გარდამავალი ზმნის აქტიურობის შესახებ, შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს და ენათმეცნიერული თვალსაზრისით საფუძველს მოკლებულია.

კლასობრივი საზოგადოებითა და მასში არსებული ექსპლოატაციით ახსნა ენებითი გვარის წარმოქმნისა ეულგარული სოციოლოგიზმის ნიშნებს წარმოადგენს.

ვეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს იმ საშუალებებს, რომელთაც მიმართავს ნ. იაკოვლევი, რომ უარყოს პასიურობის თეორია და შეაჩვენოს პასიურობის თეორიის შემქმნელები თუ დამცველები.

§ 11. ალფ. ტრომბეტი გარდამავალი ზმნის პასიურობის წინააღმდეგ

ცნობილი იტალიელი პოლიგლოტი ალფრედო ტრომბეტი არ იზიარებს დებულებას გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ: თუ ზმნაში არ არის გარჩეული მოქმედებითი და ვნებითი გვარი, — სამართლიანად შენიშნავს იგი, — გარდამავალი ზმნის პასიურობის დებულება გაუმართლებელიაო (და თუ მაინც პასიურობაზე ლაპარაკობენ, საჭიროა გაირკვეს. თუ რას გულისხმობს ასეთ შემთხვევაში „პასიურიო").

ალფ. ტრომბეტი მიუთითებს სირთულეებზე, რასაც იწვევს ჯ. შუხარდტის კრიტერიუმის გამოყენება: თუ სუბიექტი პრეფიქსით აღინიშნება, ზმნა აქტიურია, ხოლო თუ სუფიქსით, პასიურია. ამისდა კვალად ლათინ. voca-t „(მო)უწოდებს ის" პასიურად უნდა მივიჩნიოთო, ლათინური კი აწარმოებს ამავე ზმნისაგან ვნებითი გვარის ფორმას vocatur „იწოდება", „ეწოდება"... მაშასადამე, voca-t ვერ იქნება ვნებითიო.

ალფ. ტრომბეტი უარყოფს კ. ულენბეკის პასიურობის თეორიას და მის მითოლოგიურ ინტერპრეტაციას: ვთქვათ, წინადადებაში—„მონადირემ შეჰკრა ჩიტი" ნუთუ შეიძლება ვინმემ იკადრაუდოს, რომ „საიდუმლო ძალამ შეჰკრა ჩიტი მონადირის მეშვეობითაო". ასეთ განმარტებას უაზროობამდე შეუძლია მიგვიყვანოსო.

ასეა მართლაც ახლანდელი ადამიანის აზროვნების მიხედვით, მაგრამ პრიმიტიული ადამიანის წარმოდგენა ყოველთვის არ ეფარდება ლოგიკური აზროვნების ნორმებს (იხ. § 57, კ. ულენბეკის შესახებ).

ალფ. ტრომბეტი პოსესიურობის თეორიას (სუბიექტი—ნათესაობითში, ესკიმოსთა ენაში) უარყოფს სემასიოლოგიურ მომენტებზე დაყრდნობით, მთავარი კი ისაა, რომ საკითხის გადაწყვეტას პოსესიური თეორია სუბიექტის თავისებურების ახსნით ცდილობს, ნამდვილად კი ობიექტის თავისებურებაშია სიმძიმის ცენტრი.

გარდამავალი ზმნის ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ერთნაირი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით რომ აღინიშნება, ალფ. ტრომბეტის აზრით, არ ნიშნავს ამ ნაწილაკების იდენტურობას (და არც გარდამავალი ზმნის პასიურობას მოწმობსო).

გარდამავალი ზმნის პასიურობას ეს თავისებურება, მართალია, არ

ბოწმობს (მოქმედებითი და ვნებითი გვარები ზმნის უღვლილებაში ჯარჩენილი არაა!), მაგრამ უახლოესი ობიექტის იმავე ბრუნვაში დასმა, რაშიც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ზის, და შესაბამისი ფორმანტებიც რომ იდენტურია. ეს არსებით თავისებურებად ბიაჩნდა არა ერთ ავტორს სამართლიანად. ამ თავისებურებას თუ ანგარიში არ გაეწევა, გარდამავალი ზმნის თავისებურება მოხსნილი იქნება და არა — ახსნილი.

ალფ. ტრომბეტი ერგატივს ახასიათებს, როგორც ემფატიკურ სახელობითს. ქართული ერგატივი (მოთხრობითი), ხუნძური ერგატივი (I და II გრამატ. კლასის სახელებისა) ნაცვალსახელოვანი წარმოებისაა (ფუძე პლუს ნაცვალსახელი ერგატივში) და ტრომბეტისეულ გაგებას მხარს უჭერს არსებითად. მაგრამ ყველა ენის ერგატივი ასეთი შედგენილობისა როდია: თუ უახლოესი ობიექტი სახელობითში დაესმის ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას, ერგატივში სხვაობა გვაქვს, წარმოების მხრივაც და წარმოქმნის დროის მიხედვითაც.

§ 61. ად. დირი გარდამავალი ზმნის შესახებ

ად. დირს მოეპოვება გრამატიკული ნარკვევები შვიდი დაღესტნური ენისა (უდიურისა, რუთულურისა, წახურისა, თაბასარანულისა, აღულურისა, არჩიბულისა, ანდიურისა), სხვა ჯგუფის ენებიდან — უბიხურისა და ქართულისა.

შემაჯამებელ შრომაში „კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი" (1928 წ.) ად. დირი გარკვეულ მოსაზრებებს გამოთქვამს გარდამავალი ზმნის ბუნების შესახებ.

ერთიანი გაგება ად. დირის შეხედულებებს არ ახასიათებს. ზოგ ენაში გარდამავალი ზმნა პასიურად მიაჩნია, ზოგში — აქტიურად, უბიხურის შემთხვევაში თავს იკავებს („საკითხი მეტის-მეტად რთულიაო"...) ...ჯიდა პ. უსლარის გავლენა: პასიურად თვლიდა გარდამავალ ზმნას ჩაჩნურსა და ხუნძურში პ. უსლარი, ამავე აზრისაა ად. დირიც... პასიურობის ნიშნებიც უსლარისეულია: ლოგიკური (ე. ი. რეალური — ა. ჩ.) სუბიექტი არ უნდა იყოს სახელობითში, ლოგიკური (ე. ი. რეალური) ობიექტი სახელობითში უნდა დაისვას და ზმნა მას უნდა ეთანხმებოდეს (თუმცა ეს სავალდებულო არააო), ე. ი. პასიურ გარდამავალ ზმნას ახასიათებს რეალური სუბიექტი ერგატივში, რეალური ობიექტი სახელობითში. და ზმნა ობიექტს ეთანხმება.

ად. დირი ეხება ქართული ენის გარდამავალ ზმნას („მოჰკლა": „მონადირემ მოჰკლა ირემი") და შენიშნავს: აქ არაფერი მიუთითებს პასიურ კონსტრუქციაზეო (თუმცა სუბიექტიც ერგატივში დგას, ობიექტიც სახელობითში და ზმნაც ეთანხმება მას: აქ ან ს ა ზ ო ვ ი — პასიურობის ნიშნები—არაა სწორად შერჩეული, ანდა დასკვნაა უმართებულო).

ამრიგად, „კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალში", ად. დირის აქ შემაჯამებელ შრომაში, გარდამავალი ზმნის ბუნების შესახებ არაფერია ახალი და საგულისხმო.

საჭიროა აღინიშნოს, რომ არჩიბული ენის გრამატიკულ ნარკვევში, რომელიც ოცი წლით ადრე გამოვიდა, ად. დირი შენიშნავს: „ორი-სამი სიტყვა არჩიბული ზმნისა და, საერთოდ, ჩაჩნურ-დაღესტნურ ენათა ზმნის შესახებ. ამბობენ, რომ იგი ვნებითი ხასიათისაა (passiver Sinn). უმჯობესი იქნება. პირდაპირ ვთქვათ, რომ იგი ნეიტრალური ხასიათისაა" (წინასიტყვაა, გვ. IV). ად. დირს, სამწუხაროდ, არ განუმარტავს, რას გულისხმობს აქ „ნეიტრალური" და არც შემაჯამებელ მონოგრაფიაში („შესავალი...") უხსენებია ეს საყურადღებო დებულება.

ყაბარდოულისა და უბიხურის ერგატივის შესახებ მსჯელობისას ად. დირი „შესავალში" წერს: „...საკითხი მეტის მეტად რთულია და მე... არ შემიძლია მისი გადაჭრა. იმის ნაცვლად, რომ ვილაპარაკო პასიური კონსტრუქციის შესახებ, მე ყველგან ვიხმარ გამოთქმას: ერგატიული კონსტრუქცია (ლოგიკური სუბიექტი ერგატივში დგას), დატიური ანუ აფექტური კონსტრუქცია (ლოგიკური სუბიექტი მიცემითშია, ანდა აფექტურ ბრუნვაშია), ნომინატიური კონსტრუქცია (ლოგიკური სუბიექტი სახელობითში მოუდის...)".

კონსტრუქციის ს ა ხ ე ლ დ ე ბ ა, რა თქმა უნდა, ვერ გასწევს კონსტრუქციის რ ა ო ბ ი ს ახსნის მაგივრობას, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ფართო გავრცელება პოვა დირისეულმა ტერმინებმა: „ე რ გ ა ტ ი უ ლ ი კონსტრუქცია", „დ ა ტ ი უ რ ი კონსტრუქცია", „ნ ო მ ი ნ ა ტ ი უ რ ი კონსტრუქცია".

§ ცჲ. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის ორი ასპექტი

ერთი მათგანია — ა ღ წ ე რ ი თ ი (დ ე ს კ რ ი ფ ც ი უ ლ ი), მეორეა — ა ხ ს ნ ი თ ი, რაც გულისხმობს ერგატიული კონსტრუქციის წარმოქმნა-განვითარების გარკვევას, მისი ისტორიის ახსნას.

აღწერითი თვალსაზრისით თავისებურია ერგატიული კონსტრუქციის, როგორც სინტაგმის, შედგენილობა და კომპონენტთა სინტაქსური ურთიერთობა: კლასოვანი უღლილების გარდამავალი ზმნა, მართალია, ორწევრიან სინტაგმას ქმნის, მაგრამ სინტაქსურად მხოლოდ უახლოეს ობიექტს უკავშირდება, სუბიექტს არ ეთანხმება (არც კლასში, არც რიცხვში) და ამით პრინციპულად განსხვავებულ სინტაქსურ კავშირს გამოგვიელენს.

კ ლ ა ს ო ვ ა ნ-პ ი რ ო ვ ა ნ ი და პ ი რ ო ვ ა ნ ი უღლილების გარდამავალი ზმნა ორწევრიან სინტაგმებად ვერ დაიშლება: ორწევრიანი სინტაგმის ნაცვლად სამ და ოთხწევრიან სინტაგმებს ქმნის (ადიღურ ენებსა და უბიხურში უფრო რთული შედგენილობის სინტაგმებიც არა იშვიათია).

ასეთი შედგენილობის სინტაგმები თავისებურ სინტაქსურ ურთიერთობას გულისხმობს. მარტივ შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა-მ ა რ თ ვ ი ს პროცესებით სინტაქსური კავშირები არ ამოიწურება.

ამდენად ერგატიული კონსტრუქციის აღწერითი სინტაქსი თავისებურია და ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით საინტერესო სიახლეს შეიცავს[1] და მაინც, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის რაობა ისტორიული ენათმეცნიერების კომპეტენციას განეკუთვნება: კონსტრუქციის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ი ს ა ხ ს ნ ა კონსტრუქციის ი ს ტ ო რ ი ი ს გ ა რ კ ვ ე ვ ა ს გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს და ამის გარეშე შეუძლებელია.

§ 23. გარდამავალი ზმნა და გვარის კატეგორია

რუსულსა და სხვა ევროპულ ენებში (გერმანულში, ფრანგულში, ინგლისურში..., ძველ ბერძნულში, ლათინურში) გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისაა, მოქმედებითს ენებითი ეფარდება: строит — строится, уничтожает — уничтожается, сжигает — сжигается... გარდამავლობა ვარაუდობს მოქმედებით გვარს და სპეციალური განხილვის საგანს არც წარმოადგენს ამ პირობებში.

სხვა ვითარება გვაქვს იბერიულ-კავკასიურ ენებში: ქართველურ ენათა გარდა აქ გვარები გარჩეული არაა, — მოქმედებითი და ენებითი,

---

[1] დაწვრილებით: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. I. ქვემდებარე-ვამატების საკითხი ძველ ქართულში", II გამოცემა, 1968 წ.

როგორც საპირისპირო ფორმები, არ იცის არც ნახურმა, არც დაღესტ. ნურმა და არც აფხაზურ-ადიღურმა ენებმა.

თუ გარდამავალი ზმნა გვარებს არ განასხვავებს, ცხადია, მის შესახებ ვერ ვიტყვით „პასიურიაო" ანდა „აქტიურიაო" (ისევე, როგორც უქმი იქნებოდა დავა იმაზე. ქირურგია ესა თუ ის პირი თუ თერაპევტი, როცა ის საერთოდ ექიმი არაა). ამგვარად, უგვარო გარდამავალი ზმნის პასიურობა-აქტიურობის ძიებისას თვით საკითხის დასმა გაუმართლებელია. არ შეიძლება გვართა მიხედვით დავახასიათოთ ზმნები, რომელთაც გვარის კატეგორია არ მოეპოვება (ისევე, როგორც მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელები ვეძებოთ ენაში, რომელსაც სქესის გრამატიკული კატეგორია არა აქვს).

უგვარო გარდამავალი ზმნა არც პასიურია, არც აქტიური: გვართა მიმართ ასეთი ზმნა ინდიფერენტული ანუ ნეიტრალური იქნება. გაკვრით ასეთი აზრი არჩიბულ ზმნასთან დაკავშირებით გამოთქმული აქვს ად. დირს (იხ. ზემოთ § 61) რაიმე დასაბუთების გარეშე, შემდეგ ად. დირი, რამდენადაც ვიცით, ამ აზრს არ დაბრუნებია. არა ჩანს ეს დებულება არც ად. დირის შემაჯამებელ შრომაში[1].

ჰ. შუხარდტიც თვლის ზმნის ფუძეს ინდიფერენტულად (ნეიტრალურად), ოღონდ მას მხედველობაში აქვს ზმნის მარტივი ფუძე: „შიშველი ზმნა (geh, gib-) ინდიფერენტულია, ე. ი. არც აქტიურია, არც პასიური („Primitiae linguae vasconum", 1924, გვ. VIII). დებულება ეხება არა მარტო უგვარო გარდამავალ ზმნას, არამედ ყოველგვარ ზმნას, კერძოდ. ისეთებსაც, რომელთაც მოქმედებითი და ვნებითი აქვს სისტემურად გარჩეული.

გარდამავალი ზმნის ნეიტრალურობას აღნიშნავს ს. კაცნელსონიც[2], მაგრამ ეს არ უშლის ავტორს ილაპარაკოს „პასიურობის ელემენტებზე" ერგატიულ კონსტრუქციაში (არა იშვიათად ბუნდოვანი აზრი სიტყვათა ბურუსში პოულობს თავშესაფარს).

გარდამავალი ზმნა გვარებს არ განარჩევდა, ვნებითს არ აწარმოებდა

---

[1] A. Dirr, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, 1928.

[2] С. Кацнельсон. К генезису номинативного предложения, Ленинград, 1935. стр. 108.

ნოქმედებითის საპირისპიროდ). ასეთი იყო გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციაში. უგვარო გარდამავალი ზმნა, ნეიტრალური ანდა ინდიფერენტული — არა მნიშვნელობის მიხედვით, არამედ უღელილების მორფოლოგიურ თავისებურებათა მიხედვით: გარდამავლობა-გარდაუვალობა გაირჩეოდა, გვარები — არა, გვარები ახლა იწყებს ჩამოყალიბებას მთის იბერიულ-კავკასიერ ენებში.

•

§ 64. გარდამავალი ზმნის ერგატიული კონსტრუქცია გვართა დაპირისპირების პირობებში

ასეთი გარდამავალი ზმნა აქვს ქართულს (ახალსა და ძველს) დასხვა ქართველურ ენებს (სვანურს, ზანურს): „დაჭრა" — „დაიჭრა", „შეკერა" — „შეიკერა", „დათესა" — „დაითესა", „დააპო" — „დაიპო"... „აავსო" — „აივსო"...

ი-პრეფიქსიანი წარმოება („შეიკერა", „აივსო", „დაითესა"...) მხოლოდ ენებითი როდია. იგი შეიძლება გაეიგოთ, როგორც ენებითი და აგრეთვე როგორც სასუბიექტო ქცევა—თავისთვის ანდა თავისი „შეკერა", „აავსო", „დათესა": ი-პრეფიქსიანი ენებითი და გარდამავალი ზმნის სასუბიექტო ქცევა ერთ წარმოებაში შეთავსდა, ზმნაში შეიძლება არ იყოს დიფერენცირებული: „კოკა აივსო" — გარდაუვ. ენებ.; „მან კოკა აივსო" — გარდამავალი სასუბიექტო ქცევისაა... ასევე: „კაბა ლამაზად შეიკერა" — „ქალმა ახალი კაბა შეიკერა"... და ა. შ.

ასეთი დამთხვევა მეორე სერიის (ნამყო ძირითადის) ნაკეთებში დასტურდება. პირველ (აწმყოს) სერიაში საზიარო ფორმები არ გვხვდება, სასუბიექტო ქცევა ენებითი ნიადაგ გარჩეულია; შდრ. ენებ. ივსება, ითესება, იკერება... გარდამ. სასუბ. ქცევა: ივსებს, ითესავს, იკერავს... დიფერენცირებული ვარიანტი ახალია, საზიარო ფორმები — ძველია: მეორე სერია ძველი წარმოებისაა, პირველი სერიის ნაკეთები უფრო ახალია; ძველი წარმოების მეორე სერიაში გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის, ახალი წარმოების სერიაში, — პირველ სერიაში, — ნომინატიურ (სახელობითიან) კონსტრუქციას ქმნის: შდრ. მან კოკა აავსო (აივსო...) — ის კოკას ავსებს, მან კაბა შეკერა (შეიკერა...) — ის კაბას კერავს (იკერავს)... ენებითის ჩამოყალიბება იწყება მეორე სერიაში, აქ ენებითი ჯერ

კიდევ არაა სისტემურად შეპირისპირებული მოქმედებითს. ვნებითობის მეორეულობა მეორე სერიაში ჯერ კიდევ საგრძნობია.

გარდამავალი ზმნა ქართულშიც უგვარო ყოფილა: ვნებითი არ ეწარმოებოდა, მოქმედებითი და ვნებითი არ გაირჩეოდა (ისეთივე ვითარება იყო, როგორიც ახლა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში დასტურდება).

ორ გარდამავალ ზმნაში აქამდე შემოგვრჩა ეს ძველი ვითარება: ეს ზმნებია: იცის და უწყის — მან იცის იგი, მან უწყის იგი. სუბიექტი მოთხრობითში (ერგატივში) — მან, უახლოესი ობიექტი—სახელობითში — იგი, ენებითი კი ამ გარდამავალ ზმნებს არ ეწარმოება: იცის, უწყის გვარების არმქონე გარდამავალი ზმნებია[1].

ამგვარად, გვარების არმქონე გარდამავალმა ზმნამ შექმნა ერგატიული კონსტრუქცია, მოქმედებითისა და ვნებითი გვარების სისტემის გარჩევას ქართულში ეფარდება ნომინატიური კონსტრუქცია.

მაგრამ გვარები — ვნებითი, მოქმედებითი — ახლა ეწარმოება გარდამავალ ზმნას მეორე სერიაში. სადაც კონსტრუქცია ერგატიულია.

რატომ შემოგვრჩა გვარების გარჩევის შემდეგ მეორე სერიაში ერგატიული კონსტრუქცია? შემოგვრჩა ისევე, როგორც ენებში შემოგვრჩა გრამატიკული სქესების გარჩევა მას შემდეგაც, რაც საფუძველი სქესების გარჩევისა მოიშალა (ამაზე მიუთითებენ კიდეც სამართლიანად).

§ 63. ობიექტი, სუბიექტი და უგვარებო გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციაში

ერგატიული კონსტრუქციის სამივე ეს კომპონენტი თავისებურია — შედარებით ინდო-ევროპულ ენათა გარდამავალი ზმნის კონსტრუქციასთან სუბიექტი ერგატივშია (სახელობითის ნაცვლად), უახლოესი ობიექტი — სახელობითში გვაქვს (აკუზატივის ნაცვლად), გარდამავალ

---

[1] ეფრო დოკუმენტებით „იცის“, „უწყის“ ზმნათა შესახებ. აგრეთვე გარდამავალ ზმნათა კონსტრუქციების — ერგატიულისა და ნომინატიურის — ისტორიული ურთიერთობის შესახებ იხ. ჩვენს მონოგრაფიაში: „ერგატ. კონსტრუქციის პრობლემა იბერ.-კავკას. ენებში: I. ერგატ. და ნომინატ. კონსტრ. ისტორიული ურთიერთობისათვის ძვ. ქართ. სალიტ. ენის მონაცემთა მიხედვით“, თბ., 1948, §§ 4—15.

ზ(ნას გვარები (ვნებითი და მოქმედებითი) არ ეწარმოება (სისტემატურად ანდა საერთოდ).

სუბიექტის ორი ბრუნვა გვაქვს იბერიულ-კავკასიურ ენებში: სახელობითი (გარდაუვალი ზმნის სუბიექტი) და ერგატივი (გარდამავალი ზმნისათვის). ერგატიული ბრუნვის წარმოება და ადგილი ბრუნვების სისტემაში განსხვავებულია სხვადასხვა ენათა ჯგუფში (და თვით ენათა მიხედვით).

ეს ნიშნავს: ერგატივი იბერიულ-კავკასიურ ენებში სხვადასხვა დროს წარმოქმნილა, განსხვავებას არა მხოლოდ წარმოქმნის სიძველე-სიახლე იწვევდა, არამედ სახელთა კატეგორია: პირთა სახელები, კითხვითი ნაცვალსახელები, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები... ერგატივის წარმოების მხრივ თავისებურებას ამჟღავნებენ, სხვა სახელთა სტანდარტებს არ მისდევენ.

უახლოესი ობიექტის საკითხში ყველა იბერიულ-კავკასიური ენა ერთგვარობას ამჟღავნებს: უახლოესი ობიექტი გარდამავალ ზმნასთან სახელობითში დაისმის, მარკირებული იქნება იგი თუ არამარკირებული (უნიშნო).

თვით გარდამავლობა, როგორც ზევითაც (§ 48) არის აღნიშნული, თავდაპირველად იმაზე იყო დამოკიდებული, ზმნასთან ამა თუ იმ შემთხვევაში დასვამდნენ უახლოეს ობიექტს, თუ არა: ასეთი ობიექტიანი ზმნა გარდამავალი იყო, ობიექტი თუ არ იყო ნახმარი.— გარდაუვალი: დაიდგა: პოეტმა ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა-— შდრ. პოეტის ძეგლი ლამაზ ადგილას დაიდგა, პირველ შემთხვევაში დაიდგა გარდამავალია, მეორეში — გარდაუვალი, პირველ წინადადებაში „ძეგლი" (სახელობითში) უახლოეს ობიექტს წარმოადგენს, მეორე წინადადებაში კი იგივე „ძეგლი" (სახელობითში) სუბიექტია.

ასეთი გარდამავლობა. კონტექსტზე დამოკიდებული, ლაბილურად იწოდება[1]. იგი სხვა იბერიულ-კავკასიური ენებიდანაც არის

---

[1] იხ. არნ. ჩიქობავა, ერგატ. კონსტრუქციის პრობლ. კავკას. ენებში: ამ კონსტრუქცის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენიმკის მოამბე, ტ. XII, 1942, გვ. 221—247.

ცნობილი (იხ. მაგალითად, ხუნძური: დოს სთაქან ბექანა „მან ჰიქა გატეხა“ და „სთაქან ბექანა“ „ჰიქა გატყდა“...)[1]

გარდამავალი ზმნის ლაბილური კონსტრუქცია შეცვალა სტაბილურმა: ააშენა, დახატა, შეკერა, მოიტანა, წაიღო, დატოვა და მრავალი სხვა გარდამავალი იქნება იმისდა მიუხედავად, უახლოესი ობიექტი დასახელებულია მათთან თუ არა: სუბიექტი მათ მოთხრობითში (ერგატივში) ექნებათ (მან დახატა სურათი — მან დახატა. მან დატოვა წიგნი — მან დატოვა...).

შეტი კილევ: შეიძლება ფრაზის შედგენილობა გამარტივდეს, ობიექტი სახელობითში აღარ იგულოს ზმნამ, და მაინც გარდამავალი დარჩეს,— სუბიექტი მოთხრობითში (ერგატივში) შეინარჩუნოს: მან შეხედა მას, მან ღაიძინა... აღარავინ ამბობს: მან შეხედა მას თვალი, მან დაიძინა ძილი. როგორც ეს ძველად იყო, უახლოესი ობიექტი აღარა აქვს, არც შეიძლება დაერთოს ამ ზმნებს და მაინც სუბიექტი ერგატივშია (მან შეხედა, დაიძინა...), სახელობითით არ შეიცვალა. ზმნა გარდამავალი დარჩა; თურმეობითიც ინვერსიულად ეწარმოება: მას შეუხედავს... დაუძინია.

ლაბილური კონსტრუქციის ზმნა სუბიექტსაც სახელობითში იგულებდა და ობიექტსაც: პირველ შემთხვევაში გარდაუვალი იყო, მეორეში — გარდამავალი. გარდაუვალი სუბიექტური, გარდამავალი ობიექტური მხოლოდ ერთ სახელსეთანხმებოდა. ასეთი იყო კლასოვანი უღლილების ზმნა: სუბიექტურ-კლასოვანი გარდაუვალი ზმნა და ობიექტურ-კლასოვანი გარდამავალი ზმნა.

კლასოვანი უღლილება ქმნის ძველისძველ საფეხურს იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის უღლილებაში. სწორედ კლასოვანი უღლილების ზმნა ეთანხმებოდა მხოლოდ უახლოეს ობიექტს (მის კლასსა და რიცხვს): გარდამავალი უგუარო ზმნა კლასოვანი უღლილების პირობებში „უსუბიექტო“ იყო, სუბიექტი (არც მისი კლასი, არც მისი რიცხვი) გარდამავალი ზმნის უღლილებაში არ ჩანდა (§ 36).

სუბიექტი გარდამავალი ზმნის უღლილებაში ჩნდება მას

---

[1] ადიღეური მაგალითები იხ. შრომაში: Н. Т. Гишев, Глаголы лабильной конструкции в адыг. языке, Майкоп. 1968.

შეიძლება. რაც ჩანოყალიბებას იწყებს პირის კატეგორია — ე. ი. კლასოვან-პიროვან უღლილებაში, ხოლო პირ ოვან უღლილებაში სუბიექტის პირი უთანაბრდება სინტაქსურ უფლებებში ობიექტის პირს (თუმცა ობიექტის ისტორიული პირველობა ჯერ კიდევ საგრძნობია. მაგალითად, ქართული ზმნის უღლილებაში; § 38): ასეთია გარდამავალი ზმნის გასუბიექტურების პროცესი.

ამრიგად, გარდამავალი ზმნის უახლოესი ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ერთსა და იმავე ბრუნვაშიდასმა და გარდამავალი ზმნის მხოლოდ ობიექტის მიხედვით უღლილება (ოდენ-ობიექტური კლასოვანი უღლილება) ერთმანეთთან შინაგან კავშირშია და უღლილების ამოსავალ ვითარებას ახასიათებს.

რას უნდა განესაზღვრა გარდამავალი ზმნის ოდენ-ობიექტური უღლილება? საფიქრებელია იმას, რომ ზმნის ფუძე სახელის ფუძისაგან მკვეთრად გარჩეული არ იყო, ე. ი. იმ რიგისა იყო, რაც ამჟამად გარდამავალი ზმნის მასდარში შეინიშნება: შდრ. წოლა (ავადმყოფისა) სუბიექტის მდგომარეობას მიგვანიშნებს, მაგრამ შენება (სახლისა), დახატვა (სურათისა), კითხვა (წიგნისა), გაშლა (დროშისა), მოკვლა (ნადირისა) და მისთ. ობიექტზე მიმართება, საობიექტო ინტენციით ხასიათდება (საინტერესოა, რომ ინვერსიული ორპირიანი ზმნა „უყვარს“, „სძულს“... ტიპისა მასდარში საობიექტო ინტენციასაც შეიძლება აელენდეს და სასუბიექტოსაც: „სიყვარული ძმისა“ შეიძლება ნიშნავდეს ან იმას, რომ „ძმას უყვარს“, ანდა იმას, რომ „ძმა უყვართ“... შდრ. ლათ. amor fratris ანალოგიური ორგვარი გაგება: 1. genitivus subjectivus და 2. genitivus objectivus „სასუბიექტო ნათესაობითი“ და „საობიექტო ნათესაობითი“)... გარდამავალი ზმნა გვარებს — მოქმედებითს, ვნებითს ისევე არ განარჩევდა, როგორც სახელი.

ამრიგად: ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებას განსაზღვრავს გარდამავალი ზმნის, ამ კონსტრუქციის ბირთვის, თავისებურება. ამ გარდამავალი ზმნისათვის უცხო იყო გვარების გარჩევა. ეს იყო ერთი მისი მთავარი თავისებურება: არც აქტიურად ითქმოდა და არც — პასიურად.

მეორე ძირითად თავისებურებას ის შეადგენდა, რომ გარდამავალი ზმნა მხოლოდ ობიექტს ეთანხმებოდა, ობიექტის კლასსა (და რიცხვს).

აღნიშნავდა, სუბიექტთან არავითარი სინტაქსური კავშირი გარდამავალ ზმნას არა ჰქონდა: გარდამავალი ზმნის უღლილება იყო უ ს უ ბ ი ე ქ-ტ ო, ოდენ-ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი. ამას ერთვოდა სახელისა და ზმნის ფუძის სუსტი დიფერენციაცია.

თუ გარდამავალი ზმნის ეს ორი ძირითადი თავისებურება იწვევდა ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებას, ყველა ენაში შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ერგატიული კონსტრუქცია, სადაც კი ეს პირობები გვექნებოდა.

V. ზოგადი დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკვანძო საკითხები. ჩვენი მიზანი იყო ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სისტემათა ანალიზის საშუალებით მათი ისტორიის ძირითადი საკითხები გაგვერკვია შინაგანი რეკონსტრუქციის გზით.

ამ ენებს ამჟამად — პ. უსლარის სიტყვებით რომ ვთქვათ — გასაოცარი სხვაობა ახასიათებს, იმავე დროს საერთოც ბევრი რამ აქვს.

ცხადია, ასეთი ვითარება იმის შედეგია, რომ ამ ენების წარსული არა ერთ ათასწლეულს გულისხმობს.

ენათა განვითარებას შინაგანი სტიმული წარმართავს, მაგრამ გარეგანი ზემოქმედებაც ანგარიშგასაწევია (ზემოქმედებას სხვა წარმომავლობისა და სტრუქტურის ენაც შეიძლება ახდენდეს და მონათესავე ენაც). შინაგანი სტიმულისა და გარეგან ზეგავლენათა შედეგები თავს იყრის ენის სისტემაში (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ენამ შეინარჩუნა თავისი სისტემა, არ გაითქვიფა სხვა ენებში).

ისტორიული ვითარების აღდგენამ უნდა ნათელყოს, წარსულში რა გვქონდა: მეტი სიახლოვე თუ მეტი სხვაობა. ამით გაირკვევა: ახლა რაც საერთო აქვს ამ ენებს, ესაა ძველი, უწინარესი, თუ იგი მეორეულია, ახალია, ე. ი. იბერიულ-კავკასიურ ენებს წარმოშობა აკავშირებს, ეს ენები მონათესავე ენებია, თუ აქ ე. წ. „ენათა კავშირი" გვაქვს.

ესაა ამ ენათა ისტორიის ძირითადი საკითხი და ამ საკითხზე შეიძლება ვუპასუხოთ: საერთო, რასაც გამოგვივლენს ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, უწინარესია, განსხვავებული

კი — მ ე რ მ ი ნ დ ე ლ ი ა. იბერიულ-კავკასიური ენები მ ო ნ ა თ ე ს ა-
ვ ე ე ნ ე ბ ი ა, მათ წარმოშობა აერთიანებს.

ეს ძველისძველ ვითარებას გულისხმობს (საკარაუდოდ სამი ათასი წლის წინანდელს, და, ალბათ, ძველ ადგილსამყოფელს, კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს).

ამ ენათა განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა; არა ერთს სხვა ენას გადაჰყრიან; საუკუნეთა მანძილზე არა ერთი დიალექტი თუ ენა წარმოქმნილა თუ გამქრალა, გათქვეფილა სხვა ენაში, უცხო წარმომაელობის (და სტრუქტურის) ენაში ანდა მონათესავე ენაში.

ამიტომ გასაკვირი ის კი არ არის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს „გასაოცარი ნაირგვარობა" ახასიათებს, არამედ ის, რომ ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსში[1] ნ ი შ ა ნ დ ო ბ ლ ი ვ ი საერთო თვისებები შერჩენიათ.

ასე, მაგალითად, ფონემატური სისტემა, სახელდობრ, კონსონანტიზმი, ყველაზე უკეთ შენახულა ქართულში. ალბათ, იმიტომ, რომ ქართული სამწერლო ენაა (და, საფიქრებელია, არა მხოლოდ მეხუთე საუკუნიდან, რომელსაც ბევრი დოკუმენტაცია ეკუთვნის: ქართული სამწერლო ენა წარმართობის ეპოქაში შექმნილი ჩანს, როგორც ამას სამართლიანად ვარაუდობს რიგი ავტორი).

მ კ ვ ე თ რ ი ხ შ უ ლ ე ბ ი საერთო ძველი კუთვნილ ე ბ ა ა იბერიულ-კავკასიური ენებისა.

რთული კონსონანტიზმი აფხაზურ-ადიღური და დაღესტნური ენებისა მეორეულია. „ნახევრად მკვეთრები" (პრერუპტივები), ასევე მკვეთრი სპირანტები, პალატალიზებული, ინტენსიური („გემინირებული"), ლატერალური ფონემების სერიები მ ე ო რ ე უ ლ ი ა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში (ზოგ-ზოგი სერია პ ო ზ ი ც ი უ რ ა დ შეპირობებული ჩანს).

ერთგვარი გ ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ ა ლარინგალური და ფარინგალური სერიებისა და „წინა წარმოების თანხმოვანთა" შედგენილობის გ ა რ თ უ ლ ე ბ ა განვითარების მაგისტრალურ ხაზს წარმოგვიდგენს.

თუ ქართველურ ენებში კონსონანტიზმის ძველი სისტემა შემოგვენახა, მორფოლოგიაში აქ დიდი ცვლილებები დასტურდება (მოლოდინის წინააღმდეგ).

---

[1] ლექსიკაზე — ქვევით.

პირველ ყოვლისა, ეს ეხება გრამატიკულ კლასებს კატეგორიას.

პიროვნებისა (ვინ?) და ნივთის (რა?) კატეგორია, როგორც სემანტიკური კატეგორია, ღრესაც ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში ერთია (ვინ—მხოლოდ ადამიანს, პიროვნებას გულისხმობს).

გრამატიკული კლასების კატეგორიას ამჟამად არ განარჩევს აღიღურ ენათა, უბიხურის, ქართველურ ენათა და დაღესტნის სამი ენის (ლეზგიურის, აღულურისა და უდიურის) მორფოლოგია.

გრამატიკულ კლასებს განარჩევდა ძველად ყველა იბერიულ-კავკასიური ენა: ეს კატეგორია აქ ყველაზე ძველ მორფოლოგიურ კატეგორიას წარმოადგენს: ყოველ არსებით სახელს პრეფიქსად მოუდიოდა კლასის ნიშანი (ინდიკატორი) და ამ ნიშანს იმეორებდა ყველა სიტყვა. რაც სახელარსებითს ეთანხმებოდა (ზმნა, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ბოძღეობა, მასდარი, ზოგ ზმნისართიც კი); გრამატიკული კლასების კატეგორია მთელ მორფოლოგიას განმსჭვალავდა.

გრამატიკული კლასები მოიშალა რიგ ენაში, რომლებიც პერიფერიაზე იყო გავრცელებული (ქართული... ადიღური... უდიური, ლეზგიური, აღულური): უცხო ენებთან კონტაქტს ამ კატეგორიის მოშლაში უთუოდ წილი უდევს (ად. დირი, ივ. ჯავახიშვილი).

რაკი ყველა იბერიულ-კავკასიური ენა გრამატიკულ კლასებს განარჩევდა, ზმნის უღვლილებაც თავდაპირველად კლასოვანი იყო: გარდაუვალი ზმნა სუბიექტის კლასებს აღნიშნავდა (სუბიექტურ-კლასოვანი უღვლილება), გარდამავალი ზმნა კი—მხოლოდ ობიექტის კლასებს (ობიექტურ-კლასოვანი უღვლილება): პირი ზმნაში არ აღინიშნებოდა (პირებს ლექსიკური საშუალებით არჩევდნენ).

შემდგომი საფეხურია კლასოვან-პიროვანი უღვლილება: კლასის ფორმებს პირისა დაერთო (პირი ან სუფიქსით აღინიშნებოდა, ანდა ზოგ ენაში კვლავ პრეფიქსით—აფხაზურში, ქართულში). კლასის კატეგორიის მოშლის შემდეგ კლასოვან-პიროვანი უღვლილება შეიცვალა პიროვანი უღვლილებით. პირის კატეგორიას თან ახლავს სუბიექტის აღნიშვნა გარდამავალ ზმნაში — გარდამავალი ზმნის გასუბიექტურება „სუბიექტივაცია": ყალიბდება სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება გარდამავალი ზმნისა (ობიექტის ისტორიული უპირა-

ტესობა მაინც საგრძნობია: ქართულში გარდამავალ ზმნაში ესაა ობიექტურ-სუბიექტური უღვლილება).

ზმნის უღვლილებაში გვარები არ გაირჩეოდა: გარდამავლობა-გარდაუვალობა გვქონდა, გვარები — არა (მოქმედებითი და ვნებითი გვარის სისტემური შეპირისპირება დღესაც უცხოა მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის).

უგვარო გარდამავალი ზმნა განსაზღვრავს აკუზატივის უკონლობას ბრუნებაში და ერგატიულ კონსტრუქციას სინტაქსში. ეს საერთოა ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის.

გვარების ჩამოყალიბებას (მოქმედებით გვარს) შეესატყვისება გარდამავალი ზმნის ნომინატიური კონსტრუქცია (ობიექტი სახელობითის ნაცვლად მიცემითშია).

არქაიზმია ქართული ზმნის უღვლილებაში დიურატიული და მომენტობრივი ასპექტის გარჩევა გარდამავალ ზმნაში: დიურატიული ასპექტისაგან აწმყო ჩამოყალიბდა (მანიცის, უწყის იგი)... ნამყო ძირითადი მომენტობრივი ასპექტისაა.

გრამატიკული კლასები და მასთან შინაგანად დაკავშირებული მოვლენები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიურ სტრუქტურას განსაზღვრავს. ეს სტრუქტურა ისტორიულად საერთოა (გრამატიკულ კლასებს საერთო ფორმანტიც შემორჩათ).

ამრიგად, ერთობაიქ დადასტურდა, სადაც ახლა უველაზე დიდი სხვაობა ჩანს.

ამით წყდება ძირითადი საკითხი, იბერიულ-კავკასიერ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის საკითხი: რაც უფრო შორს ვიხედებით წარსულში, მით უფრო მეტია საერთო.

დღის წესრიგში დგება ლექსიკის შედარება და კანონზომიერ ფარდობათა საკითხი.

ჯერ-ჯერობით ასეთი ფარდობა არაა დადგენილი არა თუ ქართველურსა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის, არამედ თვით ამ უკანასკნელთა შორისაც: აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა საერთო ძირები (ფორმანტები, ნაწილაკები) ნიკ. ტრუბეცკოიმ შეუდარა ერთმანეთს (მას ეს ენები მონათესავედ მიაჩნდა), მაგრამ კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისობათა დადგენა, ამას, როგორც გ. დეეტერსი წერს (იხ. § 14), არ მოჰყოლია.

შესატყვისობათა დადგენა ჰირს ერთი და იმავე ჯგუფის ენათა შორისაც.

მიზეზი მარტივია: შესადარებელ სიტყვებს იღებენ იმ სახით, რაც მათ დღეს აქვს, „ისტორიული გაერთმნიშვნელიანებისˮ გარეშე (რაც იმას უდრის $\frac{7}{11}$ და $\frac{23}{51}$ შევუდაროთ ერთმანეთს და ვამტკიცოთ. მეორე წილადი პირველზე დიდიაო — მრიცხველითაც, მნიშვნელითაც).

აფხ. აგე, ქართ. გული, ჩაჩნ. დთოგ, ხუნძ. რაკ, ტინდ. რაკვა, ლაკ. დაკ, დარგ. ურკიპ. უსლარიდან მოკიდებული საერთო ძირის სიტყვებად ითვლება, თუმცა ქართულსა და ხუნძურს არც ერთი ბგერა საერთო არა აქვს. ძირეულია კ—კვ—გუ... სიტყვის ისტორია კი გვიჩვენებს: რაკ-ში რა-კლასის ნიშანია.

ქართ. თვე, მეგრ. თუთა, სვან. დოშდულ „მთვარეˮ საერთო ძირისაა (ვარ. თოფურია): თვე—თთუე—თუთე—დუ-თ-ე, თუთა—დუთა. ამის შესატყვისია სვან. დო-შდ-ულ.

ცხადია, ასეთი შედარება, როგორც წესი, ჯერ ცალკეული ჯგუფის შიგნით უნდა წარმოებდეს, შემდეგ კი — ჯგუფებს შორის.

ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონი ბუნებრივია მოსდევდეს ისტორიულ-შედარებითს გრამატიკას[1].

---

[1] ინდო-ევროპელ ენათა ნათესაობა ცხადი გახდა ფრ. ბოპის შრომაში ზმნისეელ ფორმათა შედარებით (1816 წ.) ისე, რომ არც ერთი ფონეტიკური შესატყვისობა დაღწეული არ ყოფილა.

ჩვენ არას ვამბობთ იმ „მკაცრი მეთოდის“ დაცვასა და დამცველებზე, როდესაც ქართულის ისტორიულ-გენეზისური კავშირი მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ნებისმიერ დებულებად მიაჩნიათ, მაგრამ ქართულის დრავიდულ ენებთან კავშირს უდაოდ თვლიან.

დანართი

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ორი ძირითადი საკითხის შესახებ[1]

კავკასიის მიწა-წყალზე წარმოდგენილია სხვადასხვა წრის ენები: 1. ინდო-ევროპული (რუსული, უკრაინული, სომხური, ოსური, ქურთული); 2. ალათაური (აზერბაიჯანული, ყუმიკური, ბალყარული, ყარაჩაული, ნოღაიური); 3. ე. წ. „კავკასიური" ენები: ქართველური (ანუ იბერიული), აფხაზურ-ადიღური, ნახური (ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური) და დაღესტნური. მათ შორის 12 ენა სამწერლოა; ძველი სამწერლო ენაა ქართული; ახალი დამწერლობიანია—აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული, ჩაჩნური, ინგუშური, ხუნძური, ლაკური, დარგუული, ლეზგიური და თაბასარანული.

უმწერლობოა: ზანური, სვანური; უბიხური; ბაცბური, ანდიური, ბოთლიხური, ღოდობერიული, კარატაული, ტინდიურ-ბაგვალალური, ჭამალალური, ხვარშიული, ახვახური, დიდოური, კაპუჭურ-ჰუნზიბური, აღულური, რუთულური, წახური, უდიური, ხინალუღური, ბუდუხური, კრიწული, არჩიბული.

ინდო-ევროპულ და ალათაურ ენებზე მოლაპარაკეთა საერთო რიცხვი კავკასიაში 4 მილიონ კაცზე მეტია (მათ შორის სომხურ ენაზე მხოლოდ სომხეთის სსრ ტერიტორიაზე ლაპარაკობს დაახლოებით 1 მილიონ 200 ათასი კაცი, ოსურ ენაზე — დაახლ. 300 ათასი კაცი, აზერბაიჯანულ ენაზე აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე — დაახლ. 2 მილიონ 200 ათასი კაცი).

---

[1] დაიბეჭდა ჟურნალში „Вопросы языкознания", 1955 წ., № 6. გვ. 66—92.

1954 წელს ჟურნ. „Вопросы языкознания"-ს ფურცლებზე ევგ. ბოკარევის წერილით დაიწყო დისკუსია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ.

ჩვენს ამ საპასუხო წერილში განხილულია იმ ავტორთა შეხედულებანი, რომლებიც უარყოფდნენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობას, ხოლო იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხს წინა აზიისა და მცირე აზიის ძველ ენებთან მავნე საკითხად თვლიდნენ.

„კავკასიურ ენებზე" კავკასიაში დაახლ. 3 მილიონ 800 ათასი კაცი ლაპარაკობს (მათ შორის ქართველურ ენებზე — 2 მილიონ 200 ათას კაცზე მეტი)[1].

ამრიგად, კავკასიაში წარმოდგენილი ყველა ენა „კავკასიური" როდია: ე. წ. „კავკასიურ ენებზე" კავკასიის მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები ლაპარაკობს. ტერმინი „კავკასიური ენები" არა მარტო გეოგრაფიულად არის გაუმართლებელი, არამედ ენათმეცნიერულადაც არაა ზუსტი. ჩვენ ვხმარობთ ტერმინს „ი ბ ე რ ი უ ლ-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ენები" კავკასიის არაინდოევროპული და არაალთაური (და არასემიტური) ენების აღსანიშნავად (ტერმინის დასაბუთება იხ. ქვემოთ).

ორი საკითხია აქ ძირითადი, რამდენადაც საქმე ეხება იბერიულ-კავკასიურ ენათა ენათმეცნიერულ შესწავლას. პ ი რ ვ ე ლ ი საკითხია ამ ენათა ისტორიული ურთიერთობის საკითხი: კერძოდ, წარმოადგენენ თუ არა ისინი მონათესავე ენებს, ე. ი. საერთო წარმომავლობისანი არიან, თუ — ის საერთო, რაც მათ შორის დასტურდება, წარმოადგენს სრულიად განსხვავებული წარმომავლობისა და აგებულების ენათა დაახლოების შედეგს? სხვაგვარად რომ ვთქვათ: „ი ბ ე რ ი უ ლ-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ენები" — ეს გ ე ნ ე ა ლ ო გ ი უ რ ი კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ი ს ც ნ ე ბ ა ა თ უ გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ც ნ ე ბ ა?

მ ე ო რ ე საკითხია ამ ენათა სხვა ენობრივ ოჯახებთან მიმართების საკითხი: იბერიულ-კავკასიური ენები იზოლირებულ ჯგუფად უნდა ჩაითვალოს, თუ შესაძლებელია დაისვას საკითხი მათი სხვა ენობრივ ჯგუფებთან ნათესაობის შესახებ (კერძოდ, წინა აზიის ძველი ენების ჯგუფთან ნათესაობის შესახებ).

სწორედ ამ საკითხებზე (განსაკუთრებით — მეორე საკითხზე) მსჯელობდნენ დისკუსიის მონაწილენი. ეგვ. ბოკარევის წერილში „კავკასიური ენების შედარებით-ისტორიული შესწავლის ამოცანები", რომლითაც ჟურნალში „Вопросы языкознания" (1954, № 3) დაიწყო დისკუსია, იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხის — თუ შეიძლება ასე ითქვას — „პირობით დადებითი" გადაწყვეტაა მოცემული. რაც შეეხება იბერიულ-კავკასიური ენების სხვა ენეტურ ჯგუფებთან (განსაკუთრებით წინა აზიის ძველ ენებთან) ნათესაობის საკითხს, ეგვ. ბოკარევი მას მკვეთრად უარყოფითად წყვეტს:

---

[1] ეს ცნობები 1939 წლის აღწერილობის მონაცემებს ემყარება.

იგი გამორიცხავს თვით საკითხის დასმის შესაძლებლობას იბერიულ-კავკასიურ ენათა ძველ მკვდარ ენებთან სავარაუდო კავშირის შესახებაც კი. ამგვარი კავშირის შესწავლას იგი თვლის „კავკასიურ ენათა სპეციალისტების დეზორიენტაციის გამომწვევად“.

ევგ. ბოკარევს სავსებით ეთანხმება საურმაგ სარგისის ძე კაკაბაძეც. რაც შეეხება დისკუსიის სხვა მონაწილეებს (აკად. ვ. გეორგიევი, პროფ. ი. დიაკონოვი, ი. დუნაევსკაია), მათი შეხედულებები მეტად თუ ნაკლებად განსხვავდება ევგ. ბოკარევის შეხედულებისაგან (განსაკუთრებით ეს ითქმის ვ. გეორგიევზე).

ამრიგად, ბუნებრივია, თუ ორივე ამ საკითხზე მსჯელობისას პირველ რიგში ევგ. ბოკარევის წერილის დებულებათა გაანალიზება მოგვიწევს.

• • •

გეოგრაფიული ცნებაა თუ არა „იბერიულ-კავკასიური ენები“? ევგ. ბოკარევისათვის ამკარაა შემდეგი ენობრივი ჯგუფების შ ი გ ნ ი ნ ა თ ე ს ა ო ბ ა. ეს ჯგუფებია: ქართველური, აფხაზურ-ადიღური და ნახური. რაც შეეხება დაღესტნურ ენათა შიგნინათესაობის საკითხს, ევგ. ბოკარევი მას საეჭვოდ მიიჩნევს.

იგი წერს: „განმაზოგადებელი დასახელება „დაღესტნური ენები“ ემყარება წმინდა გ ე ო გ რ ა ფ ი ულ ცნებას, ე. ი. განპირობებულია მეტ ნაწილად ამ ენათა ტ ე რ ი ტ ო რ ი ე ლ ი მეზობლობით და არა მ ა თ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი სიახლოვით და წ ა რ მ ო შ ო ბ ი თ ი ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ. დაღესტნური ენები მეტად მრავალრიცხოვანია. მათი მეტი წილი ნაკლებ შესწავლილია ანდა ზოგჯერ—სრულიად შეუსწავლელიც; საგრძნობი განსხვავებაა მათ შორის როგორც ლექსიკაში, ასევე გრამატიკულ წყობაშიც, რაც ამ ენათა გენეტური ერთიანობის მტკიცების საფუძველს არ გვაძლევდა, თუმცა ამ ენების ცალკეულ სიტყვათა და გრამატიკულ მაჩვენებელთა შედარება მიგვითითებს იმაზე, რომ დ ი დ ი ა ლ ბ ა თ ო ბ ა იმისა, რომ დაღესტნური ენებიც მონათესავე ენების ჯგუფს წარმოადგენენ“[2].

ევგ. ბოკარევი აღნიშნავს „დაღესტნურ ენათა ფაქტების შედარებით-ისტორიული განხილვის“ ცალკეულ ცდებს და განაგრძობს: „და-

---

[1] ВЯ, 1954, № 3, გვ. 42.

[2] იქვე, გვ. 43 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ღესტნურ ენათა შესწავლისათვის ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი — ამ ენათა და დიალექტთა აღწერისა და ცალკეული ქვეჯგუფების შედარებით-ისტორიული გრამატიკების შექმნისათვის; მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი შევუდგეთ ერთობლივ დაღესტნურ ენათა გენეტური ერთიანობის განმაზოგადებელ კვლევას და ამ ენათა სხვა კავკასიურ ენებთან მიმართების საკითხის გადაწყვეტასაო"[1].

აშრიგად, სანამ დაღესტნურ ენათა ცალკეული ქვეჯგუფების შედარებით-ისტორიული გრამატიკები არ იქნება შედგენილი, არც კი შეიძლება დავიწყოთ ერთობლივ „დაღესტნურ ენათა გენეტური ერთიანობის განმაზოგადებელი კვლევა" და მით უმეტეს გადავწყვიტოთ ამ ენათა სხვა კავკასიურ ენებთან, ვთქვათ, ნახურ ან აფხაზურ-ადიღურ ენებთან ურთიერთობის პრობლემა.

თუ დაღესტნური ენები „წმინდა გეოგრაფიულ ცნებას" წარმოადგენს, როგორღა შეიძლება ვილაპარაკოთ მათი შედარებით-ისტორიული გრამატიკის შექმნაზე? თუკი შედარებით-ისტორიული გრამატიკების შექმნის გარეშე შეუძლებელია „შევუდგეთ დაღესტნური ჯგუფის ენათა გენეტური ერთიანობის საკითხის განმაზოგადებელ კვლევას", მაშინ რაზეა დაფუძნებული დებულება ისეთი ჯგუფის ენების „აშკარა ნათესაობისა". როგორიცაა ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური ენები? ჯერ ხომ არ არის დამუშავებული არც ქართველური, არც ნახური და, მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, არც აფხაზურ-ადიღური ჯგუფების შედარებით-ისტორიული გრამატიკები.

როცა ევგ. ბოკარევი ამ ენათა „აშკარა ნათესაობაზე" ლაპარაკობს, იგი ეყრდნობა სხვა ავტორთა შეხედულებებს (და არა შედარებით-ისტორიული გრამატიკის დამამტკიცებელ ძალას)[2]. მაგრამ იმ ავტორებს, რომლებიც აღიარებდნენ ნათესაური ჯგუფების (ქართველურის, აფხაზურ-ადიღურის, ნახურის) არსებობას, არასოდეს — ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში — არ ეეჭვებოდათ, რომ, მიუხედავად ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული

---

[1] ВЯ. 1954. № 3, გვ. 43 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

[2] ევგ. ბოკარევი თვითონვე აღნიშნავს, რომ „არც ერთი ამ ჯგუფისათვის ჯერჯერობით არა გვაქვს შედარებით-ისტორიული გრამატიკა, რომელშიაც სისტემატურად და თანმიმდევრულად იყოს ნაჩვენები ამ ჯგუფებში შემავალ ენათა ნათესაური კავშირის არსებობაო" (იქვე, გვ. 42).

აგებულების არსებითი სხვაობისა, დაღესტნური ენები მონათესავე ენებს წარმოადგენს. კავკასიოლოგებს არასდროს შეჰპარვიათ ეჭვი იმაში, რომ „მონათესავე ენათა დაღესტნური ჯგუფი" ისეთსავე რეალურ ოდენობას წარმოადგენს, როგორსაც აფხაზურ-ადიღური, ნახური ანდა ქართველური ენები[1].

ევგ. ბოკარევი ეჭვის ქვეშ აყენებს დაღესტნურ ენათა ნათესაობას (შედარებით-ისტორიული გრამატიკის ავტორიტეტზე მითითებით), ვითომდა მეთოდის სიმკაცრეზე მითითებით და ამით უკან დგამს ნაბიჯს; ამასთან იგი ეწინააღმდეგება საკუთარ დებულებას სამი მონათესავე ჯგუფის (ქართველურის, აფხაზურ-ადიღურის, ნახურის) არსებობის შესახებ.

რამდენადაც დაღესტნურ ენათა ნათესაობა ევგ. ბოკარევმა საეჭვოდ მიიჩნია, მისი თვალსაზრისით წარმოუდგენელი იქნება მსჯელობა იბერიულ-კავკასიურ ენათა ცალკეული ჯგუფების ერთმანეთთან ნათესაობის შესახებ. მართლაცდა, მეტად უცნაური იქნებოდა საეჭვოდ მიგვეჩნია ხუნძურისა და ლაკურის, დარგუულის, ლეზგიურის ერთმანეთთან ნათესაობა, მაგრამ ამავე დროს ხუნძური ბაცბურის ან, განსაკუთრებით, ადიღური ენების ან აფხაზურის მონათესავედ მიგვეჩნია, ქართველურ ენებზე რომ არაფერი ვთქვათ (ეს იგივე იქნება, რომ პრობლემატურად მიგვაჩნდეს ბულგარულის სერბულთან ნათესაობა, მაგრამ ვიზიარებდეთ ბულგარულისა და პოლონურის ნათესაობას).

ამრიგად, ევგ. ბოკარევის მიხედვით, „კავკასიური ენები" მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებას წარმოადგენს: თუ დაღესტნური ენები არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გენეალოგიური კლასიფიკაციის ცნება, მაშინ „კავკასიური ენები" მით უმეტეს ვერ ჩაითვლება მონათესავედ. ამას მოითხოვს თანმიმდევრობის დაცვა. მაგრამ ევგ. ბოკარევის მსჯელობაში თანმიმდევრობის საკითხზე ლაპარაკი ძნელია. იგი წერს: „უფრო დიდ სიძნელეს წარმოადგენს მთლიანად კავკასიურ ენათა

---

[1] აღსანიშნავია, რომ ადრე თვით ევგ. ბოკარევიც ასეთ თვალსაზრისზე იდგა. 1949 წელს იგი წერდა: „დაღესტნის იაფეტური ენები ყველა ერთმანეთის მონათესავეა და მათ ბევრი რამ აქვთ საერთო ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული წყობის თვალსაზრისით" (Е. А. Бокарев, Краткие сведения о языках Дагестана, Махачкала, 1949, გვ. 4; ხაზი ჩვენია — ა. ჩ).

თუკი ეს ენები 1949 წ. მონათესავე იყო, როდისღა შეიცვალა ეს ვითარება? სად გაქრა ის საერთო („ბევრი რამ საერთო"), რაც მაშინ დასტურდებოდა ამ ენებში?

ნათესაობის საკითხის გარკვევა. ეს ენები იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული წყობის მიხედვით, რომ მათი უშუალო შეპირისპირება, წინასწარი შედარებით-ისტორიული რეკონსტრუქციების გარეშე, თითქმის შეუძლებელია. სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთგზის გამოთქმულა ეჭვი ჩრდილო-კავკასიური ენების ქართველურთან ნათესაობის შესაძლებლობის შესახებ (ნ. ტრუბეცკოი, ა. მეიე, ჰ. ფოგტი, ვ. პოლაკი და სხვ.). „მაგრამ, — განაგრძობს ევგ. ბოკარევი, — კავკასიოლოგთა უმეტესობა იცავს კავკასიურ ენათა გენეტური ერთიანობის თვალსაზრისს, რამდენადაც ლიტერატურაში დასახელებული ცალკეული ფარდობანი ამ ენებს შორის ამგვარ თვალსაზრისს საგრძნობლად სარწმუნოს ხდის“[1].

„საგრძნობლად სარწმუნო“, რაზედაც აქ არის საუბარი, რასაკვირველია, ვერ გაგვიწევს სამეცნიერო დასაბუთების მაგივრობას, რამდენადაც ეს უკანასკნელი შესასწავლი ენების ცოცხალი სინამდვილის საფუძველიან ცოდნას ემყარება. თუ „კავკასიოლოგთა უმრავლესობა კავკასიური ენების გენეტური ერთიანობის თვალსაზრისს იზიარებს“, ეს განპირობებულია არა „ამ ენათა შორის ცალკეულ ფარდობათა არსებობით“, როგორც ევგ. ბოკარევი აღნიშნავს, არამედ იმ გარემოებით, რომ „რაც უფრო სიღრმეში ჩადიან მკვლევრები კავკასიური ენების შესწავლისას, მით უფრო მეტია ამგვარ ფარდობათა რიცხვი, რაც აძლიერებს რწმენას კავკასიურ ენათა ამოსავალი ნათესაობის შესახებ“[2].

არც ერთი იმ კავკასიოლოგთაგანი, რომელიც „კავკასიურ ენათა გენეტური ერთიანობის თვალსაზრისს იზიარებს“, არ თვლიდა და არც თვლის სადავოდ იმას, რომ „ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი ცალკეული ენობრივი ჯგუფების შედარებით-ისტორიული გრამატიკების შესაქმნელად, რათა კავკასიურ ენათა შედარებით-ისტორიული გამოკვლევა დასრულდეს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს შევუდგეთ ერთობლივ კავკასიურ ენათა ოჯახის ერთიანი ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის დამუშავებას. მხოლოდ ამგვარი მიდგომა თუ

---

[1] ВЯ, 1954, № 3, გვ. 43—44 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

[2] ВЯ, 1954, № 3, გვ. 44. არნ. ჩიქობავა, „მთის კავკასიურ ენათა შესწავლა და ჩვენი ამოცანები“, ენიმკის მოამბე (საქ. სსრ მეცნ. აკადემია), ტ. XII, თბილისი, 1942, გვ. 287.

შესძენს კავკასიურ ენათა ერთიანობის შესახებ დებულებას სრულ დამაჯერებლობას და არსებულ ვარაუდებს მეცნიერულად დასაბუთებულ მტკიცებად აქცევს"[1].

მაგრამ ძნელად თუ ვინმე გაიზიარებს იმ დასკვნას, როგორსაც ევგ. ბოკარევი აკეთებს: სანამ შედარებით-ისტორიული გრამატიკა არ არსებობს, ნაადრევი იქნება არა მარტო ყველა კავკასიური ენის ნათესაობაზე მსჯელობა, არამედ დაღესტნის ენათა ნათესაობაზეც კიო, რადგანაც არა გვაქვს დაღესტნური ენების შედარებითი გრამატიკა, ე. ი. მათი ნათესაობის საკითხიც პრობლემატურია (მით უმეტეს ეს შეეხება ერთობლივ კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხს).

თუ ენათმეცნიერი უშუალოდ იბერიულ-კავკასიურ ენებზე არ მუშაობს (ვთქვათ, ინდო-ევროპული, სემიტური ან უნგრულ-ფინური ენების სპეციალისტი), მის თვალსაზრისს იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ, რასაკვირველია, შესაძლებელია ამ ენების შედარებითი გრამატიკისა და შედარებითი ლექსიკონის არსებობა განსაზღვრავდეს. მაგრამ თუკი სპეციალისტი საკვლევი ენის მასალას ფლობს (ამ შემთხვევაში, იბერიულ-კავკასიური ენების მასალას), მას გარკვეული რწმენა შეიძლება გაუჩნდეს (და უნდა გაუჩნდეს!) ამ ენათა კვლევის პროცესში — ჯერ კიდევ შედარებით-ისტორიული გრამატიკის შექმნამდე: ენათა გენეტური კავშირების (ენათა ნათესაობის) შესწავლა შედარებით-ისტორიული გრამატიკების შედგენით კი არიწყება, არამედ თვით ამგვარი გრამატიკა წარმოადგენს შემაჯამებელ შედეგს ამგვარი კვლევისათვის (და ენათა ნათესაობა აღით ამ ენათა არმცოდნე სპეციალისტისთვისაც აშკარა ხდება).

მართლაც, ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობა დამტკიცებულად ითვლება 1816 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა ფ. ბოპის ნაშრომი: „სანსკრიტის უღლილების სისტემის შესახებ ბერძნული, ლათინური, სპარსული და გერმანული ენების უღლილების სისტემებთან შედარებით", თუმცა ინდო-ევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა (1816 წელს) არ არსებობდა. „ინდო-ევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა" (სამ ტომად, ავტორი — ფ. ბოპი) 1833 — 1852 წლებში გამოიცა, ხოლო „სლავური ენების შედარებითი გრამატიკა" (ოთხ ტომად, აეტორი — ფ. მიკ-

---

[1] ВЯ, 1954, № 3, გვ. 44.

ლოშიჩი) ქვეყნდება 1854—1874 წწ. (პირველი ტომი — 1854 წ., უკანასკნელი, მეოთხე ტომი კი 1874 წელს).

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობის საკითხი გადაწყდა 1852 წელს ანდა, რომ სლავური ენების ნათესაობის საკითხი მეცნიერულ ფაქტად იქცა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც „სლავური ენების შედარებითი გრამატიკა" გამოქვეყნდა (ე. ი. 1874 წელს).

ევგ. ბოკარევის მიხედვით სწორედ ასე გამოდის: მანამდე ხომ ზემოაღნიშნულ ენათა „შედარებითი გრამატიკა" არ არსებობდა. თუმცა არც ერთი ინდო-ევროპული (ან სლავური) ენის სპეციალისტი არ დაეთანხმება ამგვარ დათარიღებას და ენათა ნათესაობის დამტკიცების აუცილებელ წინაპირობად „შედარებითი გრამატიკის" არსებობის ფორმალურ მოთხოვნას.

ენათა ნათესაობა მეცნიერულად სარწმუნო ფაქტად შეიძლება იქცეს კვლევის პროცესში, შედარებითი გრამატიკის შექმნამდე. და, პირიქით, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შედარებითი გრამატიკა შეადგინონ, მაგრამ ნათესაობა მეცნიერულ ფაქტად არ იქცეს (შდრ., მაგალითად, მელერის ცდა დაემტკიცებინა ინდო-ევროპული და სემიტური ენების ნათესაობა[1]).

ნ. მარსაც სემიტურ-იაფეტურის (ქართულის) შედარებითი გრამატიკა ჰქონდა დამუშავებული, ათასამდე საერთო ძირიც გამოვლენილი, მაგრამ ამ ენათა ნათესაობა არ დადასტურდა.

ამაზე შეჩერება არ იქნებოდა საჭირო, ერთი გარემოება რომ არა: „შედარებითი გრამატიკის არსებობის, როგორც ენათა ნათესაობის საზომის ფორმალურ-მექანიკური ინტერპრეტაცია ენათმეცნიერული დისკუსიის შემდეგ ფართოდ გავრცელდა ენათმეცნიერთა იმ ჯგუფებში, რომლებიც დისკუსიამდე, რბილად რომ ვთქვათ, ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის თავგამოდებული დამცველები არ ყოფილან და დისკუსიის შემდეგაც ძალზე თავისებურად იყენებენ შედარებით-ისტორიულ მეთოდს, ყოველ შემთხვევაში, ისე არა, რომ მისი გამოყენება დაგვეხმაროს ენაში მომხდარ ცვლილებათა ჭეშმარიტი ისტორიის აღდგენაში ანდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მეცნიერული ავტორიტეტის განმტკიცებაში.

---

[1] იხ. H. Müller, Semitisch und indogermanisch, Kopenhagen, 1906 წ. (გარეკანზე—1907 წ.).

ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლისა და შედარებით-ისტორიული გრამატიკის როლისადმი ამგვარი ფორმალურ-მექანიკური მიდგომა, და მხოლოდ დეკლარაციული ბრძოლა მეთოდის სიმკაცრისათვის, არა თუ არ გამორიცხავს მსჯელობის ნებისმიერ ხასიათს, არამედ თავისუფლად ეგუება მას. ასე მაგალითად, როგორც ვნახეთ, დაღესტნურ ენათა ნათესაობა ევგ. ბოკარევთან კითხვის ქვეშ არის დასმული, „დაღესტნური ენები" გეოგრაფიულ ცნებად რჩება, მაგრამ ქართველურ ენათა, აფხაზურ-ადიღურ ენათა, ნახურ ენათა ჯგუფის შიგნითა ნათესაობას იგივე ავტორი აშკარა ფაქტად თვლის, თუმცა ევგ. ბოკარევი იქვე შენიშნავს: „თუმცა არც ერთი ამ ჯგუფისათვის ჯერ კიდევ არა გვაქვს შედარებით-ისტორიული გრამატიკა, რომელშიაც სისტემატურად და თანმიმდევრულად ყოფილიყოს ნაჩვენები ამ ჯგუფში შემავალ ენათა ნათესაობაო"[1].

აფხაზური ენის ადიღურთან ნათესაობას რომ აშკარად თვლის ევგ. ბოკარევი, ამის საბუთს მასთან ვერ ვპოებთ: საკითხი ხუნძურის, ლაკურისა და დარგუულის ნათესაობის შესახებ ევგ. ბოკარევთან ღიად დარჩა, თუმცა ეს ენები ერთმანეთთან ბევრად უფრო ახლოს დგას როგორც გრამატიკული აგებულების, ასევე ლექსიკური შემადგენლობის მიხედვით, ვიდრე აფხაზური და ადიღური ენებია ერთმანეთთან.

ნამდვილად კი ხუნძურის, ლაკურისა და დარგუულის და, საერთოდ, დაღესტნური ენების ნათესაობა ისევე უდავოა, როგორც აფხაზური და ადიღური ენების ნათესაობა. ევგ. ბოკარევისათვის რომ ლაკური და დარგუული ენების რეალიები ყოფილიყო ხელმისაწვდომი, თუნდაც იმდენად, რამდენადაც მისთვის დიდოური ენების ფაქტებია ცნობილი, მათი ნათესაობაც აშკარა გახდებოდა.

არ შეიძლება ერთდროულად ვამტკიცოთ ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ, ნახურ ენათა ნათესაობა და, ამავე დროს, დაღესტნურ ენათა ნათესაობა პრობლემატურად გამოვაცხადოთ, არ შეიძლება ამის მიზეზად არც ამ ენათა შორის არსებულ განსხვავებათა და არც შედარებით-ისტორიული გრამატიკის უჭონლობა გამოვაცხადოთ. არსებითი განსხვავებები გვაქვს როგორც აფხაზურ-ადიღური ჯგუფის, ასევე დაღესტნური ჯგუფის ენებს შორისაც: შედარებით-ისტორიული გრამატი-

---

[1] ВЯ. 1954, № 3, გვ 42.

ი არა გვაქვს არც აფხაზურ-ადიღური ენებისათვის[1] და არც დაღესტნური ენებისათვის.

მაშასადამე, იმის მომიზეზება, რომ აუცილებელია ჯერ შეიქმნას შედარებით-ისტორიული გრამატიკა, ვერ დაიცავს ვერც იმ უთავბოლობას იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის საკითხის გაგებაში, ვერც ნებისმიერობას სხვადასხვა ჯგუფების ენათა ნათესაური ურთიერთობის შეფასებაში, ვერც ფორმალურ-მექანიკურ მიდგომას შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერებისადმი, რაც ეევ. ბოკარევის სტატიაში ვლინდება.

• • •

ეჰვს ვერ შევიტანთ იმაში, რომ ნათესაობა აკავშირებს ყოველი ჩვენთვის ნაცნობი ჯგუფის ენებს, როგორიცაა: ქართველური (ანუ იბერიული), აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური ენები. არც ის არის სადავო, რომ სამი უკანასკნელი ჯგუფი (აფხაზურ-ადიღური ანუ დასავლური, ნახური და დაღესტნური, ანუ აღმოსავლური) ერთმანეთის მონათესავეა, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურ-ადიღური ჯგუფი მნიშვნელოვნად განსხვავდება — ერთმანეთთან ახლოს მდგომი ორი ჯგუფის — ნახური და დაღესტნური ჯგუფის ენებისაგან; ჩრდილო-კავკასიურ ენათა ნათესაობა სპეციალურ ლიტერატურაში დავას არ იწვევს.

ეჰვს გამოთქვამენ ხოლმე ჩრდილო-კავკასიური ენების სამხრეთ-კავკასიურ ენებთან ნათესაობის შესახებ. ხშირად იმეორებენ ამა თუ იმ სახით ნ. ტრუბეცკოის მიერ ჯერ კიდევ 1924 წელს გამოთქმულ მოსაზრებას. ნ. ტრუბეცკოი წერდა, რომ კავკასიური ენები „ორ ტიპ ოჯახს ქმნიან: ჩრდილო-კავკასიურ ენებს და სამხრეთ-კავკასიურ ენებს. ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ ამ ენათა ნათესაობას, მაგრამ რამდენადაც ეს ნათესაობა სრულებითაც არაა ცხადი და არც ვისმე დაუმტკიცებია ჯერჯერობით ჰეშმარიტად მეცნიერული წესით, ამიტომ უკეთესი იქნებოდა ტერმინი „კავკასიური ენები" გვეხმარა მხოლოდ როგორც გეოგრაფიული ცნება და არ გაგვეერთიანებია ეს ორი ოჯახი ერთ გენეალოგიურ ჯგუფში"[2].

[1] ამ ენათა შედარებითი მორფოლოგიის დამუშავების ცდა ეკუთვნის ე. დიმეზელს.

[2] N. Troubetzkoy, Langues caucasiques septentrionales — კრებ. „Les langues du monde, Paris, 1924 (კრებ. რედაქტორები—A. Meillet et M. Cohen). სტატია სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) ენების შესახებ ამ გამოცემაში დაწერილია ა. მეილეს მიერ.

ნ. ტრუბეცკოის ეკუთვნის ჩრდილო-კავკასიური ენების შესახებ რიგი გამოკვლევა. მაგრამ ქართველური ენები მას არ უკვლევია და, როგორც ჩანს, არც შეეძლო საკუთარი აზრი ჰქონოდა მისი ისტორიის საკითხებზე (თუნდაც იმდენად, რამდენადაც მისთვის ხელმისაწვდომი იყო ჩრდილო-კავკასიური ენების ვითარება). სამწუხაროდ, ნ. ტრუბეცკოისთან არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რას მიიჩნევს იგი „ენათა ნათესაობის დამტკიცების მეცნიერულ წესად", არაფერია ნათქვამი აგრეთვე იმის შესახებაც, თუ რა გზით არის დამტკიცებული ჩრდილო-კავკასიურ ენათა ნათესაობა. ყოველ შემთხვევაში, როცა გვთავაზობს თავის წერილში ჩრდილო-კავკასიურ ენათა ნათესაობის ზოგად დახასიათებას, იგი ჯერდება მხოლოდ შემდეგ თავისებურებათა აღნიშვნას:

1. სიმრავლე თანხმოვნებისა, განსაკუთრებით ლაბიალიზებული თანხმოვნებისა და ასევე სპირანტებისა და აფრიკატიზებული ლატერალებისა. რომლებიც სხვა დასავლეთ-კავკასიური ენებისთვის უცნობია;

2. მორფოლოგიაში — გარჩევა აქტიური ბრუნვისა ((casus agens— გარდამავალი ზმნების სუბიექტის ბრუნვა) და პასიური ბრუნვისა (casus patiens — გარდაუვალი ზმნების სუბიექტისა და გარდამავალი ზმნების პირდაპირი დამატების ბრუნვა);

3. ხმოვანი ძირი ერთი თანხმოვნისაგან შედგება: იქ კი, სადაც ეს წესი დარღვეულია, გაქვავებული პრეფიქსის ძირეულ ელემენტთან შეხორცების შედეგთან გვაქვს საქმე;

4. ბევრია საერთო ელემენტები ამ ენათა ლექსიკურ შემადგენლობაშიც[1].

ეს არის და ეს! მაგრამ ნათესაობა—ზემოჩამოთვლილი ზოგადი თვისებების საფუძველზე — უდავოდაა მიჩნეული, თუმცა ნ. ტრუბეცკოი საგანგებოდ აღნიშნავს, არა გვაქვს ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკაო[2]. რაც შეეხება ჩრდილო-კავკასიურ ენათათვის საერთო ზემოჩამოთვლილ თავისებურებებს, ისინი სამხრეთ-კავკასიური ენებისთვისაცაა დამახასიათებელი: და თუ ეს ნიშნები საკმარისია ნათესაობის ცხადსაყოფად, მაშინ, ნ. ტრუბეცკოის მიხედვით, სამხრეთ-კავკასი-

---

[1] იხ. N. Troubetzkoy, დასახ. ნაშრ., გვ. 328 და შემდ.

[2] იქვე, გვ. 339.

ური ენებიც ჩრდილო-კავკასიური ენების მონათესავედ უნდა ჩაეთვალა, ნათესაობას კი ნ. ტრუბეცკოი არა ცნობს.

„მსოფლიოს ენების" ახალ, მეორე გამოცემაში (1952 წ.) როგორც ჩრდილო-კავკასიური, ასევე სამხრეთ-კავკასიური ენები ერთ სტატიაშია განხილული. მისი ავტორია ჟ. დიუმეზილი, კავკასიურ ენათა ცნობილი სპეციალისტი; ის იმეორებს ტრუბეცკოის ფორმულას ერთგვარად შეცვლილი რედაქციით, კერძოდ „თუ ყველა ჩრდილო-კავკასიური ენის ნათესაობა სავსებით აშკარაა, ამ ენების ნათესაობა სამხრეთ-კავკასიურ ენებთან მხოლოდ სავარაუდოაო"[1].

* * *

როცა იბერიულ-კავკასიურ ენებს პირველად ვეცნობით, გაოცებას იწვევს სხვაობა მათ შორის. თუ აფხაზურის, ადიღეურ-ჩერქეზულის, ქართულის, ხუნძურის, ლაკურის, დარგუულის, ლეზგიურის, უდიურის აღწერითს გრამატიკებს თვალს გადავავლებთ, შეუძლებელია განცვიფრება არ გამოიწვიოს იმ სხვაობამ, რაც დასტურდება ამ ენათა ფონეტიკურ სისტემაში, მორფოლოგიურ აგებულებასა და ლექსიკაში: ამ ენებს თითქოსდა არაფერი აქვს საერთო.

ასე, მაგალითად, თუ ქართული ენის ფონემათა საერთო რიცხვი 33-ს არ აღემატება, ბაცბურში მარტო თანხმოვანი გვაქვს 32, ხუნძურში — 42, აფხაზურში — 50 (აფხაზური ენის ტაპანთურ დიალექტში თანხმოვანთა რიცხვი 80-ს აღწევს).

ნახურ, დაღესტნურ და ქართველურ ენებში წარმოდგენილია ბრუნების განვითარებული სისტემა, აფხაზურში კი ბრუნება არა გვაქვს: არა გვაქვს ისეთი ბრუნვის ფორმები, როგორიცაა ნათესაობითი და მიცემითი (ნათესაობითის მნიშვნელობის გამოსახატავად ამ ენაში ნაცვალსახელური პრეფიქსები მიერთვის ძირითად სიტყვას: ინალის შვილი — „ინალ-მისი-შვილი"). სამაგიეროდ აფხაზურ ზმნაში გამოიხატება როგორც სუბიექტის, ასევე ობიექტის პირი და გრამატიკული კლასი, აგრეთვე რიცხვი: ბრუნვით გამოხატული მიმართებები; ადგილის, დროისა და ვითარების ზმნიზედებით გამოხატული მნიშვნელობები. თუ შესადარებლად ავიღებთ ლეზგიური

---

[1] G. Dumézil. Langues caucasiennes,—კრებულში Les langues du monde. ახალი (მეორე) გამოცემა, პარიზი, 1952, გვ. 228.

ენის ზმნას, მასში მორფოლოგიურად სუბიექტის (ობიექტზე რომ არაფერი ვთქვათ) არც პირი, არც გრამატიკული კლასი და არც რიცხვი არ არის აღნიშნული.

ადიღეურ ან ქართულ პოლიპერსონალურ ზმნაში გამოიხატება სუბიექტისა და ობიექტის პირი. ხუნძურმა ზმნამ პირის კატეგორია არ იცის: ზმნა შეიძლება იცვალოს კლასების[1] მიხედვით, ამასთანავე გარდაუვალი ზმნა იუღელება სუბიექტის კლასის შესაბამისად („სუბიექტურ-კლასოვანი უღლება"), გარდამავალი ზმნა კი — ობიექტის კლასის მიხედვით („ობიექტურ-კლასოვანი უღლება"). საერთოდ, გრამატიკული კლასების კატეგორია მკვეთრად არის გამოხატული ნახურ და დაღესტნურ ენებში და, აგრეთვე, აფხაზურ ენაშიც; არა გვაქვს იგი ადიღურ და ქართველურ ენათა სისტემაში, დაღესტნური ენებიდან — არ მოეპოვება ლეზგიურს, აღულურსა და უდიურს.

ერგატიული კონსტრუქცია წარმოდგენილია გარდამავალ ზმნასთან ყველა დროის ფორმაში დაღესტნურ, ნახურ, ადიღურ ენებში, აგრეთვე. ზანური ენის ჭანურ დიალექტში: რაც შეეხება ქართულსა და სვანურ ენებს, აქ ეს კონსტრუქცია გარდამავალი ზმნის მხოლოდ ნამყო ძირითადის (მეორე სერიის) ფორმებში გვაქვს.

იბერიულ-კავკასიური ენების ლექსიკურ შედგენილობაზე თითქოს ლაპარაკიც ზედმეტია. ისინი აღნაგობითაც კი სრულიად განსხვავებული ჩანან: ხუნძურის სიტყვებში იშვიათია ორი თანხმოვნის თავმოყრა, ქართველურ ენებში (ქართულში და უფრო მეტად — სვანურში), აფხაზურში, ადიღურ ენებში თანხმოვანთა თავმოყრა, ხშირად „შეუძლებელი კომპლექსების" გაჩენა, სავსებით ბუნებრივია.

ცალკეული საერთო მოვლენები შეიმჩნევა ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, მაგრამ ისინი არ ცვლიან საერთო შთაბეჭდილებას, რომ ამ ენათა გრამატიკული სისტემები მეტისმეტად განსხვავებულია. ამიტომ ბუნებრივია, თუ იბერიულ-კავკასიური ენების გაცნობისას ცალკეული აღწერითი გრამატიკების მიხედვით — ჩვეულებრივ ამოსავლად მიიჩნევენ ხოლმე მათ შორის არსებულ განსხვავებებს, ხოლო, რაც

---

[1] შეიძლებოდა გვეთქვა „სქესების" მიხედვით, მაგრამ „სქესისა" და „კლასის" გრამატიკული კატეგორიები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან: ცხოველთა (ან ნივთების) სახელები არასოდეს არ შედის პირველ კლასში („მამრობით სქესში").

შეეხება საერთო მოვლენებს, მათ მიიჩნევენ წარმოშობის (და აგებულების) მიხედვით განსხვავებულ ენათა კონტაქტის (დაახლოების) შედეგად[1].

რა არის ისტორიულად ამოსავალი იბერიულ-კავკასიური ენებისათვის: ის, რაც მათ ს ე რ თ ო აქვს, თუ ის, რითაც ისინი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ი ა ნ ერთმანეთისაგან? ისტორიულად საერთო მასალის ღიფერენცირებამ შეგვიძლია სრულ განსხვავებამდე, თუ, პირიქით, ამოსავალში განსხვავებულმა მასალამ — მრავალსაუკუნოვანი კონტაქტის შედეგად — ცალკეული მსგავსი თვისებები შეიძინა?

ამ საკითხის მეცნიერული გადაწყვეტისათვის ერთადერთი გზა არსებობს: რეტროსპექტულად განვიხილოთ ამ ენათა განვითარება და დოკუმენტურად შევამოწმოთ, როგორ გამოიყურება ამ ფონზე მოცემულ ენათა ურთიერთობა, კლებულობს თუ მატულობს განსხვავება? თუ იბერიულ-კავკასიური ენები საერთო წარმომავლობის ენებია, მაშინ, რაც უფრო ღრმად ჩავწვდებით ისტორიას, მით უფრო მეტი სიახლოვე აღმოჩნდება ამ ენებს შორის, და—პირუკუ.

ამ მუშაობის შედეგად, რომელიც ჩატარდა ქართველური (განსაკუთრებით, ძველი ქართულის, ზანურისა და სვანურის), აფხაზურის, ადიღეურისა და ყაბარდოულის, ყველა ნახური ენის და დაღესტნური ჯგუფის ძირითადი ენების[2] მასალაზე, შესაძლებელი გახდა უფრო ღრმად შეეჭრილიყავით იბერიულ-კავკასიურ ენათა გრამატიკული სისტემის ისტორიაში, გაგვერკვია პრინციპები, რაც მათ საფუძვლად უდევს, ზუსტად დაგვედგინა მათი არა მხოლოდ ფონემატური შედგენილობა, არამედ ფონეტიკური პროცესებიც და, რაც უფრო არსებითია, ამ პროცესთა მიმართულება, დაგვედგინა გარკვეული ბგერათშესატყვისობანი

---

[1] როგორც ჩანს, ისტორიული ურთიერთობის ამგვარი გაგებისაკენ იხრებოდა ნ. ტრუბეცკოი ბოლო წლებში. ჰ. შუხარდტისათვის დამახასიათებელმა ენობრივი ანალიზის გასაოცარმა უნარმა მისცა მას საშუალება მხოლოდ და მხოლოდ წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე გამოეკვლია იბერიულ-კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენები იქ, სადაც თითქოს ცოტა რამ თუ იყო ამის დამამტკიცებელი გარეგანი ნიშნები.

[2] ჩვენთან თბილისში შესწავლის საგანი იყო 4 სამწერლო და 11 უმწერლობო დაღესტნური ენა. შედეგები, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოქვეყნებული. ახლა ხერხდება ძირითადი ნაშრომების გამოქვეყნება (ცნობა ეხება 1955 წელს. ამჟამად ჩვენს სპეციალისტებს ხელი მიუწვდება ყველა მთის იბერიულ-კავკასიურ ენაზე — ა. ჩ.).

როგორც ჯგუფებს შიგნით, ასევე ჯგუფებს შორის. ახლებურად წარმოჩდა სიტყვის აგებულების განმსაზღვრელი პრინციპი. ახლებურად იქნა გაგებული ერგატიული კონსტრუქცია, რომელშიაც აისახება ზმნაში უღელილებისა და სახელთა ბრუნების თავისებურებანი.

ჯერ კიდევ არა გვაქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა[1], თუმცა ფონეტიკისა და გრამატიკული წყობის საკვანძო საკითხები და ძირის ისტორიული განვითარების პრობლემა არსებითად გარკვეულია. პრინციპული მნიშვნელობის მქონედ მიგვაჩნია მუშაობის პროცესში მოპოვებული შემდეგი დებულებები:

ფონეტიკაში — თანხმოვანთა სისტემის უძველესი ვითარება უკეთ შემოგვინახა ნახურმა და ქართველურმა ენებმა: ლარინგალური და ფარინგალური ჯგუფები გამარტივდა: პალატალურთა, დენტალურთა და ლაბიალურთა სისტემები კი ისტორიულად რთულდება (შესაბამისი პროცესების შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ გავითვალისწინებთ აღიღური და აგრეთვე ანდიურ-ღიდოური და დარგუული ენების დიალექტურ მონაცემებს)[2]. თანხმოვანთა კომპლექსები, როგორც წესი, მიღებულია ხმოვნის ამოვარდნის შედეგად (მახვილის გავლენით, სიტყვის ბოლო ხმოვანი, თანხმოვანი იკვეცება აფხაზურში, ქართველურსა და ნახურ ენებში) ფონეტიკური პროცესების გავლენით.

სახელური და ზმნური ფუძეები ამოსავალში გ ა უ დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ ე ლ ი იყო (ზმნური ფუძე სახელური ბუნებისა იყო). ფუძის უმარტივესი სახე ისტორიულად ერთმარცვლიანი ჩანს: იგი შედგებოდა თანხმოვნისა და დეტერმინატიული სუფიქსისაგან. დეტერმინატიული სუფიქსები გამოვლენილია ქართველურ ენებში, აღიღურ ენებში, რიგ დაღესტნურ ენაში (ამ სუფიქსებს ქართველურ ენებში ნ. მარი გამოჰყოფდა როგორც მდედრობითი სქესის სუფიქსებს სემიტურ ენათა მდედრობითი სქესის სუფიქსების შესაბამისად).

სქესის კატეგორია უცხოა ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის; იქაც კი, სადაც ენაში მორფოლოგიურად გარჩეულია სახელთა სამი ჯგუფი (მამაკაცისა, ქალისა და ყველაფერი დანარჩენისა), მაგალითად,

---

[1] მუშაედება „იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შესავალი".

[2] ამ საკითხის შესახებ ლიტერატურა აღნიშნულია ჭ. ლომთათიძის სტატიაში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ზოგი საკითხი" (ВЯ, 1955, № 4).

ხუნძურში, ჩვენ წინ არის გრამატიკულ კლასთა (I, II, III) კატეგორია მისთვის დამახასიათებელი შეფასების კრიტერიუმით, მაგრამ არაა გარჩეული მამრობითი და მდედრობითი სქესი (არც ერთი ცხოველი ანდა ნივთი არ შეიძლება განეკუთვნებოდეს I კლასს, ე. ი. არ შეიძლება წარმოადგენდეს „მამრობით სქესს“).

ყველა ენაში ერთი და იგივე სემასიოლოგიური კლასებია გარჩეული: პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს (ადამიანის) კატეგორია და ნ ი ვ თ ი ს (კითხვა ვინ? იხმარება მხოლოდ ადამიანის მიმართ: ცხოველების მიმართ კი იხმარება კითხვა რა?). ეს ორი ძირითადი კატეგორია ისტორიულად ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის იყო დამახასიათებელი (მხოლოობით რიცხვში), ზოგჯერ დიფერენციაციის შედეგად ოთხ კლასს ვიღებდით (ორს — ადამიანისათვის, ორს — ყველაფერი დანარჩენისათვის).

გრამატიკული კლასის კატეგორიები პრეფიქსებს წარმოადგენდნენ არსებით სახელებთან, ზმნებთან, ნაზმნარ სახელებთან (რიცხვით სახელებში კლასის ექსპონენტები სუფიქსებითაც იყო ხოლმე წარმოდგენილი). ისეთ ენებში, როგორიცაა ქართველური, ადიღური, სადაც მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ა დ ახლა აღარ გაირჩევა ერთმანეთისაგან ადამიანისა და ნივთის კლასები[1], ძველად ეს დაყოფა თანმიმდევრულად იყო გატარებული, თანაც საერთო იყო არა მხოლოდ მორფოლოგიური კატეგორიები, არამედ შესაბამისი ფ ო რ მ ა ნ ტ ე ბ ი ც.

ს ა ე რ თ ო მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი ს — გრამატიკული კლასის ექსპონენტების (v- b- d- n- r-...) არსებობა დაღესტნურ, ქართველურ და, აგრეთვე, ადიღურ ენებში მხოლოდ მათი გ ე ნ ე ტ უ რ ი ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს დ ა შ ვ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა ი ხ ს ნ ა ს: წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, რატომ აქვს საერთო როგორც ზმნაში, ისე სახელში ამ ძირითადი გრამატიკული კატეგორიის ფორმანტთა სისტემა ისეთ ენებს, როგორიცაა ანდიური და ძველი ქართული.

იბერიულ-კავკასიური ენების ზმნურ და სახელურ ფუძეთა ისტორიული შედგენილობის ახლებური გაგება (კლასის ნიშანი+ძირეული თანხმოვანი+დეტერმინატიული სუფიქსი) შესაძლებლობას გვაძლევს

---

[1] როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სემასიოლოგიურად პიროვნებისა (ადამიანის) და ნივთის კატეგორიები ამ ენებში დღესაც გარჩეულია.

გამოვაელინოთ ისტორიულად საერთო ელემენტები ლექსიკაში, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია საერთო; ფართო პერსპექტივები, რომლებიც ისახება ჩვენს წინაშე ფუძის აგებულების ამგვარი გაგებით, უნდა იქნეს გათვალისწინებული ზემოაღნიშნულ ენათა მონაცემების ისტორიულ-შედარებითი ანალიზის დროს.

პრეფიქსაცია, რომელიც ამჟამად წამყვან მორფოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს, სუფიქსაციის არსებობასაც არ გამორიცხავს. მაგრამ ყველგან, სადაც ხერხდება შესაბამისი ფორმების ისტორიის აღდგენა, დასტურდება, რომ პრეფიქსაცია პირველადია, სუფიქსაცია კი — მეორეული; ენობრივი მასალის საფუძველზე შემოწმებული ეს ფორმულა ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს მორფოლოგიის კონკრეტული ფაქტების შედარებითი ქრონოლოგიის დადგენისას.

კერძოდ, სუფიქსაცია ბრუნებაში მაშინ, როდესაც უღლილებაში ძირითადად პრეფიქსაციაა წარმოდგენილი, იმით აიხსნება, რომ ისტორიულად იბერიულ-კავკასიურ ენებში ზმნა სახელზე აღრე გაფორმდა. გვიანდელი პერიოდის წარმოებებში სუფიქსაციის ხვედრითი წონის გაზრდა კი სხვაგვარი სისტემის ენათა გაელენის შედეგად უნდა მომხდარიყო.

ქართული ზმნის ისტორიული მორფოლოგიის მონაცემები ადასტურებენ კლასოვანი უღლილების გადმონაშთებს და მით ნათელს ჰფენენ იბერიულ-კავკასიურ ენებში დადასტურებული სამი განსხვავებული ტიპის უღლილებათა ისტორიულ თანამიმდევრობას. კლასოვანი უღლილება (ხუნძურ ენაში), კლასოვან-პიროვანი (ლაკურში, დარგუულში, ბაცბურში,.. აფხაზურში) და პიროვანი (ადილურში, ქართველურ ენებში) წარმოადგენენ ამოსავალი კლასოვანი უღლილების განვითარების სამ ერთმანეთის მომდევნო საფეხურს. კლასოვანი უღლილება (ობიექტური — გარდამავალ ზმნებთან, სუბიექტური—გარდაუვალთან) თანდათან რთულდება პირის ფორმების აღნიშვნის შედეგად და გრამატიკული კლასების კატეგორიის მოშლის შემდეგ წარმოიქმნება პოლიპერსონალური უღლილება.

წინადადების ერგატიული კონსტრუქცია, როგორც გვაქვს დადგენილი, გარდამავალი ზმნის ერთადერთ კონსტრუქციას წარმოადგენდა იმ პერიოდში, როდესაც ქართული ზმნის უღლილებაში გაირჩეოდა

ასპექტები და არა დროები: ნომინატიური კონსტრუქცია გარდამავალ ზმნასთან აქ უფრო გვიანდელი წარმონაქმნია.

აფხაზურ ენაში ერგატიული კონსტრუქცია გამოიხატება ინკორპორაციის საშუალებით (რამდენადაც ბრუნვები აფხაზურში არ გაირჩევა), ზმნური პრეფიქსების თავისებური განლაგებით: ზმნის უღვლილების ფორმებში სუბიექტისა და ობიექტის ფორმანტებს განსხვავებული ადგილები მიეკუთვნება. ერგატიული კონსტრუქცია ერთნაირადაა დამახასიათებელი ყველა ცოცხალი იბერიულ-კავკასიური ენისათვის (გარდამავალი ზმნის ნომინატიური კონსტრუქციის ფორმები მეორეულ მოვლენას წარმოადგენს).

ერგატიული კონსტრუქცია შინაგან კავშირშია გვარების გაურჩევლობასთან გარდამავალ ზმნაში, რაიც ზმნის ფუძისათვის ისტორიულად იყო დამახასიათებელი (მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმების გაურჩევლობასთან). მოქმედებითი გვარი გარდამავალ ზმნებიან ფორმდება კაუზატივის მაწარმოებელთა საშუალებით. ხოლო ვნებითი გვარი უკვე შემდეგში წარმოიქმნა მოქმედებითისაგან. ამ პროცესის განსხვავებული ეტაპები წარმოდგენილია იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფებში.

ასეთია ის ძირითადი მომენტები, რომლებითაც იბერიულ-კავკასიური ენები დღეს საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ შესაბამისი პროცესების ისტორიის გათვალისწინება აქაც ამოსავალ ერთიანობაზე — როგორც სტრუქტურულზე, ასევე მატერიალურზე — მეტყველებს. ამ ენებში საერთო რაც არის, პირველადია. რაც უფრო ღრმად შევიჭრებით მათს ისტორიაში, მით უფრო მეტი საერთო აღმოჩნდება. ამ ენათა ისტორიის შესწავლა მათს გენეტურ ნათესაობას ადასტურებს.

რასაკვირველია, იბერიულ-კავკასიური ენებიდან ზოგი უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, ზოგიც შორს. მაგრამ ამ ჯგუფების გენეტური ერთიანობა იმდენად საგრძნობია, რომ ენათა არც ერთი ჯგუფის ისტორიის მეცნიერული შესწავლა არ არის შესაძლებელი სხვა ჯგუფების ენობრივ მონაცემთა გათვალისწინების გარეშე: შეუძლებელია ქართული ენის უძველესი ისტორიის ძირითადი საკითხების გადაწყვეტა უმწერლო ქართველური ენების მონაცემების, ან ნახურ, დაღესტნურ, აფხაზურ-ადიღურ ენათა მონაცემების გათვალისწინების გარეშე, და პირიქით: აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა გრამატიკული

წყობის ძირითადი პრინციპების სწორად გაგება შეუძლებელია, თუ ქართველურ ენათა ისტორიის მონაცემები არ იქნება გათვალისწინებული.

• • •

განმარტებას საჭიროებს თვით ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები". 1948 წლამდე ჩვენ ვხმარობდით ტერმინს „კავკასიური ენები"[1], ვხსნიდით საგანგებოდ აღვნიშნავდით, რომ ეს ტერმინი ს ა კ უ თ რ ი ვ კავკასიურ ენებს გულისხმობს, და კავკასიაში წარმოდგენილი ყველა ენა კავკასიური არ არის. ტერმინის—„კავკასიური ენები" პირობითობა (იგი არც გეოგრაფიულად არის გამართლებული და არც ენათმეცნიერულად — ზუსტი) მით უფრო საგრძნობი ხდებოდა, რაც უფრო მეტი ისეთი ფაქტები იჩენდა თავს, რომლებიც ამ ენათა—ჩრდილო-კავკასიურ და სამხრეთ-კავკასიურ ენათა ნათესაობას უჭერდნენ მხარს. ტერმინში შეუძლებელია ყველა ენის სახელწოდების შეტანა („ქართველურ-აფხაზურ-ადიღურ-ნახურ-დაღესტნური ენები"). ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები" ნიშნავს „ქართველურ-კავკასიურ ენებს". რატომ არის გახაზული ტერმინში ერთი ჯგუფის (იბერიულის) სახელწოდება?

1. ტერმინი „იბერიული" გახაზავს იმას, რომ „იბერიულ-კავკასიური ენები", როგორც გენეალოგიური კლასიფიკაციის ცნება, ისტორიულ ცნებას წარმოადგენს: იბერიის სახელწოდებით არის ცნობილი აღმოსავლეთ საქართველო დოკუმენტურად სტრაბონის დროიდან (ძვ. წ. I ს.). „ბერძნები იბერებს უწოდებდნენ იმ ქვეყნის მოსახლეობას, სადაც ამ ენებზე (ქართველურ ენებზე) ლაპარაკობდნენ, სომხები კი მათ „ვირ-ქ"-ებად იხსენიებდნენ, რაც იმავე სიტყვას (იბერ) წარმოადგენს; სომხური v ინტერვოკალურ b-ს ენაცვლება, ხოლო i—უძველეს ē-ს"[2].

ამრიგად, ტერმინი „იბერიული", რამდენადაც მასში ისტორიული მომენტია წინ წამოწეული, უფრო შესაფერისად მივიჩნიეთ, ვიდრე „ქართული".

2. იბერიულ (ქართველურ) ენებზე ლაპარაკობს იბერიულ-კავკასიუ-

---

[1] იხ., მაგ., ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1935; II გამოც. — 1939; III გამოც. — 1946.

[2] A. Meillet, Langues caucasiques meridionales, კრებ. „Les langues du monde", 1924, გვ. 343.

რი ენების წარმომადგენელთა ნახევარზე მეტი (3 მილიონ 800 ათასი კაციდან — 2 მილიონ 200 ათასი კაცი)[1]. ასეთ ვითარებაში გაუმართლებელი იქნებოდა, რომ ჩვენი ენების აღმნიშვნელ ტერმინში სახელწოდება „იბერიული“ არ შეგვეტანა.

3. ტერმინში „იბერიულ-კავკასიური ენები“ „იბერიულის“ შეტანის საჭიროება გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ რიგ შემთხვევაში სწორედ სამხრეთ-კავკასიურ (ანუ იბერიულ) და ჩრდილო-კავკასიურ ენათა შორის ნათესაობას აყენებენ კითხვის ქვეშ (ტრუბეცკოი, დიუმეზილი). ჩვენის აზრით, მეცნიერულად უდავოა ჩრდილო-კავკასიურ და სამხრეთ-კავკასიურ ენათა ნათესაური ერთიანობა. ამგვარ გაგებას კი უფრო შეეფერება ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები“, ვინემ ტერმინი „კავკასიური ენები“[2].

ტერმინი „იბერიული ენები“ ჩვენთვის „ქართველური ენების“ სინონიმია (და მისი ხმარება არ არის შეპირობებული იმით, თუ რას წარმოადგენდა პირენეის ნახევარკუნძულის უძველესი იბერიული ენები).

იქნებ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ ტერმინი „იბერიული ენები“ „ქართველური ენების“ სინონიმად ჯერ კიდევ ფ. ბოპს ჰქონდა ნახმარი. „ქართული ენა მეგრულ, სვანურ და ლაზურ ენებთან ერთად, — წერდა იგი, — ქმნიან ენათა მჭიდრო დაკავშირებულ ჯგუფს, ი ბ ე რ ი უ ლ ანუ ქ ა რ თ უ ლ წრეს ენათა (den iberischen oder grusischen Sprachkreis), რომელთაგან ჩვენთვის გრამატიკულად ჯერ მხოლოდ საკუთრივ ქართულია ცნობილი“[3].

ტერმინით „ივერიული (იბერიული) ენები“ აღნიშნავდა ქართვე-

---

[1] ცნობები 1939 წლის აღწერის შედეგებს ემყარება.

[2] მხარს უჭერენ რა ტერმინს „კავკასიური ენები“, ზოგჯერ ამგვარ ანალოგიას მიმართავენ: „...ტერმინი „ინდო-ევროპული ენები“ ენათა გარკვეულ ოჯახს გულისხმობს, ...არავის არ შეაქვს მასში შეცდომით უნგრული, ჩუვაშური, დაღესტნური ან ბრაჰუიული ენები, მაშინ როდესაც სპარსულსა და ხეთურს ჩვეულებრივ ამ ენებს მიაკუთვნებენ ხოლმე“ (ს. კაკაბაძე, ВЯ, 1955, № 4, გვ. 68). ეს ანალოგია უადგილოა: ევროპაში ინდო-ევროპულ ენებზე ლაპარაკობს მოსახლეობის სულ ცოტა 4,5, ინდოეთის ნახევარკუნძულზე მოსახლეობის 2/3 ლაპარაკობს ინდურ ენებზე, კავკასიაში კი „კავკასიურ ენებზე“ მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები ლაპარაკობს (დაახლ. 3 მლნ. 600 ათასი, მაშინ როდესაც სხვა, „არაკავკასიურ“ ენებზე ლაპარაკობს 4 მლნ-ზე მეტი).

[3] Fr. Bopp, Die kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstammes, Berlin. 1847, გვ. 3.

ლურ ენებს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ცაგარელი: „ფაქტია, რომ ივერიული ანუ ქართველური ენების (ქართულის, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის) სხვა ცნობილ ენობრივ ოჯახებთან გენეტური ურთიერთობის საკითხზე ერთიანი აზრი არ არსებობს“[1].

ტერმინი „იბერიული ენები“ გამოდევნა ხმარებიდან მარისეულმა ტერმინმა „იაფეტური ენები“ (თავდაპირველად ნ. მარი სწორედ ქართველურ ენებს აღნიშნავდა ამ ტერმინით). მარისტების ბატონობის წლებში ტერმინს და ცნებას „იბერიული ენები“ თავს ესხმოდნენ.

ნ. მარის ოხელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზის დამცველები „შეუსაბამოდ“ მიიჩნევდნენ შედარებით-ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა — ნეოგრამატიკოსთა შეხედულებებს ენის წარმოშობისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ; ისინი წერდნენ: „ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ჩვენთან, საბჭოთა ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ ხმარებული ფსევდო-მეცნიერული ტერმინები: პროფ. ა. ჩიქობავას „საერთო ივერიული ენა“, პროფ. კაპანციანის „სომეხთა წინარე სამშობლო“, პროფ. კუზნეცოვის „სლაეური ერთობა“, პროფ. ბუბრიხის უნგრულ-ფინური... „კონტაქტის“ თეორია“...[2].

მიმდინარე დისკუსიის ერთ-ერთმა მონაწილემ ხელაღებით მომაწერა აზრი, თითქოს მე ვამტკიცებდე, რომ კავკასიური ენები საერთო ქართველური ფუძე-ენისაგან მომდინარეობენ[3]. ტერმინ „იბერიული ენების“ გაშუქებაში ეს ავტორი შესაძლოა არა მხოლოდ ლოგიკურად, არამედ ისტორიულადაც მარისტების ტრადიციებს უკავშირდებოდეს.

---

[1] А. Цагарели, Мингрельские этюды, вып. II—Опыт фонетики мингрельского языка, СПб., 1880, გვ. I, იხ. მისივე, «Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков» (СПб., 1874, ლითოგრ. გამოც.) და «О грамматической литературе грузинского языка» (СПб., 1873).

[2] В. К. Никольский, Н. Ф. Яковлев, Основные положения материалистического учения Н. А. Марра о языке, ВФ, 1949, № 1, გვ. 278.

[3] „...დებულება, რომელიც თითქოს გამომდინარეობს ტერმინებიდან „ხეთურ-იბერიული“ და „იბერიულ-კავკასიური“ ენები“ (ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 69). ავტორი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორ „გამომდინარეობს“. ტერმინიდან „იბერიულ-კავკასიური ენები“ ისევე არ გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ეს ენები ქართველური ენებიდან მომდინარეობენ, როგორც ტერმინიდან „ინდო-ევროპული ენები“ არ გამომდინარეობს, რომ ეს უკანასკნელნი ინდური ენებიდან მომდინარეობენ.

• • •

როგორია იბერიულ-კავკასიურ ენათა მიმართება სხვა ენობრივ ოჯახებთან? იზოლირებულ ჯგუფს წარმოადგენს ეს ენები თუ გენეტურ კავშირში იმყოფება სხვა ენებთან, თუ—კი, რა ენებთან? ასეთია მეორე ძირითადი საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე დგება იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიასთან დაკავშირებით. ეს საკითხი ახალი არ არის, იგი არაერთხელ დაუსვამთ და სხვადასხვაგვარად გადაუწყვეტიათ.

იბერიულ-კავკასიური ენები ძველთაგანვე კონტაქტში იმყოფებოდნენ ინდო-ევროპულ, სემიტურ და, უფრო მოგვიანებით, ალთაურ ენებთან. სრულიად ბუნებრივია, რომ მკვლევრები პირველ რიგში სწორედ ამ ენებს მიმართავდნენ. აკად. მ. ბროსე ქართულ ენას ინდო-ევროპულ ენად მიიჩნევდა (1834 წ.). შედარებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთმა ფუძემდებელთაგანმა ფ. ბოპმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა იბერიული ენების ინდო-ევროპულთან, კერძოდ სანსკრიტთან ნათესაობის დასაბუთებას[1].

1855 წ. ინგლისელმა ფილოლოგმა მ. მიულერმა გამოთქვა ვარაუდი კავკასიური ენების ალთაურ (თურქულ-თათრულ) ენებთან შორეული ნათესაობის შესახებ.

ნ. მარი ცდილობდა დაემტკიცებინა ქართველურ (და შემდგომ ყველა კავკასიურ) ენათა ნათესაობა სემიტურ ენებთან, მაგრამ მოგვიანებით თვითონვე უარი თქვა ამგვარ ცდებზე. ყველა ეს თეორია დღეს მხოლოდ ისტორიულ ინტერესს თუ აღძრავს. ამ თეორიებს ახლა აღარავინ იცავს[2].

სხვაგვარად დგას საკითხი იბერიულ-კავკასიური ენების გენეტური კავშირის შესახებ წინა აზიის ძველ მკვდარ ენებთან. ჩვენის აზრით, ობიექტურ ვითარებას ასახავს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც იბერიულ-კავკასიური ენები ისტორიულად უკავშირდებიან ამ ძველ ენებს, რომლებიც, თავის მხრივ, არც ინდო-ევროპულნი არიან, არც სემიტურნი და არც ურალურ-ალთაური წრისა. ეს ენებია: პროტოხეთური (ანუ საკუთრივ ხეთური), ურარტული, ხურიტული, ელამური.

---

[1] იხ. Fr. B o p p, დასახ. ნაშრ.

[2] მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიებს მეცნიერები არ იზიარებდნენ, თვით საკითხის დასმა იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ სხვა ენობრივ ოჯახებთან არავის მიუჩნევია მეცნიერულად გაუმართლებელ, „დეზორიენტაციის გამომწვევ“ მოვლენად.

ბუნებრივი ჩანს თანამედროვე კავკასიის ცოცხალი არაინდოევროპული, არასემიტური ენები და წინა აზიის ძველი არაინდოევროპული, არასემიტური ენები მონათესავე ენათა ერთ წრეში იყოს მოქცეული. ამ წრეს სხვადასხვაგვარი სახელი შეიძლება ეწოდოს (მაგალითად, ალაროდიული, აზიანურ-კავკასიური ენები); ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნდა გვეხმარა ტერმინი „ხეთურ-იბერიული ენები" (უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა: „პროტოხეთურ-ურარტულ-იბერიულ-კავკასიური ენები", ამგვარი რთული ტერმინის ხმარება რომ შესაძლებელი იყოს). ამასთანავე აღვნიშნავდით იმ სიძნელეებს, რომლებიც თან ახლავს ცოცხალი ენების (კავკასიის ენების) მკვდარ ენებთან (წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ენებთან) ისტორიული ურთიერთობის კვლევას.

„ეს ენები საკმარისად შესწავლილი არ არის. დღეს ისინი აღარ იხმარება. ამ ენათა მასალა, რომელიც მკვლევრებს აქვთ ხელთ, მეტად მცირეა. ლურსმული (და მით უფრო—იეროგლიფური) დამწერლობის გაშიფრა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული: ჭირს იმის დადგენა, თუ როგორ გამოითქმოდა დაწერილი და როგორი იყო მისი ზუსტი მნიშვნელობა.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, იდეოგრამების მნიშვნელობა გასაგებია, მაგრამ არ არის ცნობილი, თუ როგორ გამოითქმოდა შესაბამისი სიტყვები; ლურსმული დამწერლობის წაკითხვა შედარებით უფრო ადვილია, მაგრამ მნიშვნელობის ზედმიწევნით დადგენა ყოველთვის ვერ ხერხდება...

ამ წრის ენათა გადმონაშთს წარმოადგენს თანამედროვე იბერიულ-კავკასიური ენები, რომლებიც ასევე არ განეკუთვნებიან არც ინდოევროპულ, არც სემიტურ, არც ალათაურ ენათა ოჯახებს. ამით აიხსნება განსაკუთრებული ინტერესი, რასაც იჩენენ ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისადმი: ამ ენებში ეძებენ სპეციალისტები გასაღებს წინა აზიის ძველი, აწ მკვდარი ენების საიდუმლოების ამოსახსნელად.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებთან აზიანური ენების დაკავშირების ცდები (ჰიუზინგი, ბორკი, ტრომბეტი, ვაიდნერი, ფორერი, კონტენო და სხვ.) ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მოკლებულია მეთოდურ დასაბუთებას, რამდენადაც შესადარებლად აღებულ ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების განხილ-

ვისას ანგარიში არ ეწევა მათს ისტორიას მონათესავე ენათა სისტემაში"[1].

ამრიგად, აქ ლაპარაკია წინა აზიის ძველი (არაინდოევროპული, არასემიტური) ენების კავკასიის ამგვარსავე (არაინდოევროპულ, არასემიტურ) ენებთან გენეტური კავშირის შესახებ, ამასთანავე, ეს თვალსაზრისი წარმოდგენილია როგორც ჰიპოთეზა, რომელსაც დასაბუთება სჭირდება, და ამავე დროს აღნიშნული გვაქვს, თუ რაში მდგომარეობს მისი დასაბუთების სიძნელე, და რა ნაკლი აქვს აქამდე წარმოდგენილ ცდებს იბერიულ-კავკასიური და აზიანური ენების დაკავშირებისა.

როგორც ვხედავთ, ჩვენ სათანადოდ გვაქვს გათვალისწინებული ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დებულებასა და ხეთურ-კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ დებულებას შორის. ჩვენს სხვა ნაშრომებშიაც უდავოდ მიგვაჩნდა ამ პრობლემის მეცნიერული აქტუალურობა (და სათანადო ჰიპოთეზის დასაბუთების აუცილებლობა).

გადაჭრით უარყოფს ევგ. ბოკარევი იბერიულ-კავკასიურ ენათა წინა აზიის ძველ ენებთან შესაძლო კავშირს. ევგ. ბოკარევის აზრით, იმის მტკიცება, რომ არსებობდა ხეთურ-იბერიული ენობრივი ოჯახი, ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებულია, მისი მეცნიერული მეთოდებით შემოწმება შეუძლებელია და ამიტომ შეუძლებელია ამჟამად წამოვაყენოთ იგი, თუნდაც როგორც სამუშაო ჰიპოთეზა. თურმე ესაა „წმინდა დეკლარაციული მტკიცება, რომელიც ფაქტებიდან არ გამომდინარეობს"; რომ „ამგვარი აპრიორული მტკიცებები ხეთურ-იბერიული ენობრივი ოჯახის არსებობის შესახებ და ისეთი ამოცანების დასმა, რომლებიც კავკასიურ ენათა შესწავლის დონეს არ შეესაბამება, დადებით როლს ვერ ითამაშებს საბჭოთა კავკასიოლოგიის შემდგომს განვითარებაში"; თურმე ნუ იტყვით, „საკითხის დასმა ხეთურ-იბერიული ენების ისტორიული ერთიანობის შესახებ კავკასიურ ენათა სპეციალისტების დეზორიენტაციას იწვევს და აშორებს მათ მორიგ არსებით ამოცანებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე კავკასიოლოგიის განვითარებისათვის"[2].

---

[1] А. С. Чикобава, Введение в языкознание, ч. I, М., 1952, გვ. 226—227.

[2] ВЯ, 1954, № 3, გვ. 53.

ამრიგად, ეგგ. ბოკარევის კატეგორიული მტკიცების თანახმად, ამ ენათა ურთიერთობის შესწავლა ფაქტობრივად შეუძლებელია და არსებითად გაუმართლებელი. ერთი სიტყვით, არა მხოლოდ მიუღებელია ხეთურ-იბერიული (ანუ პროტოხეთურ-კავკასიური) მონათესავე ოჯახის არსებობა ვიფარაუდოთ, არამედ თვით საკითხის დასმაც კი ამ ენათა ნათესაური კავშირის შესახებ არამეცნიერულია და არსებითად მავნე („კავკასიურ ენათა სპეციალისტებში დეზორიენტაციას იწვევს"[1]). ეგგ. ბოკარევის დასკვნით, საჭიროა არა კვლევა ამ პრობლემისა, არამედ მისი უკუგდება, როგორც საბჭოთა კავკასიოლოგიისათვის მიუღებელისა.

ეგგ. ბოკარევის ზემომოყვანილ შეხედულებათა გაზიარება შეუძლებელია: წინა აზიის ძველი არაინდოევროპული და არასემიტური ენების იბერიულ-კავკასიურ ენებთან ურთიერთობის პრობლემა მეცნიერულია და ამავე დროს მეტად აქტუალური. ეს პრობლემა შეიძლება ვიკვლიოთ და უნდა კიდეც ვიკვლიოთ. მასთან ყველა ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ სათანადო კვლევა იყოს მეცნიერულად დასაბუთებული, დამაჯერებელი.

თუ საბჭოთა კავკასიოლოგები თავს აარიდებენ ამ საკითხის დამუშავებას, ამით საკითხი არ მოიხსნება, მისი კვლევა გაგრძელდება, ოღონდ ჩვენი მონაწილეობის გარეშე.

ეს პრობლემა თბილისელ სპეციალისტებს არ წამოუყენებიათ. არც კავკასიოლოგებსა და თუგინდ ენათმეცნიერებს საერთოდ, პრობლემა ორიენტალისტების, ძველი წინა აზიის ისტორიის სპეციალისტებმა დასვეს.

ცოტა ხნის წინ 70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ორიენტალისტმა ფ. ჰომელმა წამოაყენა დებულება ალაროდიულ ენათა ოჯახის შესახებ; ამ ოჯახში იგი აერთიანებდა წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ენებს და აღნიშნავდა მათს გენეტურ კავშირს კავკასიურ ენებთან, რომელთაც იგი მიიჩნევდა ალაროდიული ოჯახის ცოცხალ წარმომადგენლებად. შემდგომში არა ერთ ორიენტალისტს დაუსვამს საკითხი აღნიშნული ძველი ენების კავკასიურ ენებთან ურთიერთობის შესახებ.

---

[1] რამდენადაც ტერმინს „ხეთურ-იბერიული ენები" თბილისელი კავკასიოლოგები ხმარობენ, გამოდის, რომ ეს ჰიპოთეზაც თბილისელ სპეციალისტთა ნამოყენებულია. შდრ. ს. კაკაბაძის გამონათქვამები (დასახ. ნაშრ., გვ. 66—67). მაგრამ, რასაკვირველია, ეს ასე არ არის.

კავკასიურ ენებს ორიენტალისტები მიმართავდნენ არა იმიტომ, რომ უნდოდათ მიეჩქმალათ ძველი ენების სემიტურ ან ინდო-ევროპულ ენებთან ურთიერთობის საკითხი, არამედ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ინდო-ევროპულ და სემიტურ ენებს ეს ძველი ენები ვერ უკავშირდებოდა, ინდო-ევროპული და სემიტური ენების მასალა ორიენტალისტებს მკვდარი ენების გაშიფრვაში დახმარებას ვერ უწევდა. მკვლევრებმა ცოცხალ კავკასიურ ენებს მიმართეს იმ იმედით, რომ მათში აღმოაჩენდნენ გასაღებს მკვდარ ენათა წერილობითი ძეგლების ამოსაცნობად.

„ურარტულ ენას, — წერდა 1906 წელს ოსური ენის ცნობილი სპეციალისტი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. მილერი, — ჯერ კიდევ ფრანსუა ლენორმანი და სეისი აკავშირებდნენ კავკასიურ ენებთან, ძირითადად — იბერიულ ჯგუფთან. ჰომელის აზრით, ურარტული უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ჩრდილო-კავკასიურ ენებთან, ვიდრე ამიერკავკასიის ენებთან, ამასთანავე იგი აღნიშნავს ურარტულის ნათესაობას მიტანი-ენასთან... ვანის წარწერების აღმოჩენამ და გაშიფრვამ, ამ წარწერების ენობრივი აგებულების კავკასიურ ენებთან სიახლოვემ მიმართა პირველად ევროპელ მეცნიერთა ყურადღება კავკასიური ენათმეცნიერებისაკენ და ჩააგონა მათ, რომ კავკასიაში შეიძლებოდა ეპოვათ გასაღები ძველი წინა აზიისა და განსაკუთრებით მცირე აზიის იმ ენათა გენეტური ურთიერთობის გასარკვევად, რომლებიც არ განეკუთვნებოდნენ არც სემიტურსა და არც არიულ ენათა ოჯახს“[1].

„ეჭვს გარეშეა, — ვკითხულობთ შემდეგ იმავე წერილში, — რომ ზოგი კავკასიელი ხალხი ჩამომავალია იმ ძველი .ხალხებისა, რომლებიც გადმოსახლდნენ სამხრეთიდან, მცირე აზიიდან, რათა ეპოვათ თავშესაფარი კავკასიის მთებში. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ დასტურდება მსგავსებანი უძველესი ვანის სამეფოს ენასა და ქართველური ოჯახის ენებს შორის, ეტრუსკულ ენაში კი, რომელიც გადმოცემით ლიდიურის მონათესავეა, შეიძლება აღმოჩნდეს ანალოგიები დაღესტნის ენებთან.

წინა აზიის არასემიტური მოსახლეობის მიმოხილვისას ჩვენ უნდა შევეხოთ ელამის (სუზიანის) ძველ მოსახლეობას...

---

[1] В. Ф. Миллер, Кавказское языкознание и вопросы исторической этнографии Передней Азии, «Этнограф. обозрение», 1906, № 3—4, გვ. 8.

ასირიოლოგმა ფ. ჰომელმა ჯერ კიდევ 1854 წელს გამოთქვა ვარაუდი მისი (ელამური ენის — ა. ჩ.) სამხრეთ-კავკასიურ, განსაკუთრებით — ქართულ ენასთან ნათესაობის შესახებ. ამავე თვალსაზრისისაკენ იხრებოდა 1896 წ. ჰაინრიხ ვინკლერი და, როგორც ჩანს, ამავე აზრს იზიარებდნენ ჰიუზინგი და ჰოფმან კუჩკე. ერთ-ერთ პირად წერილში — ამბობს ვ. მილერი — ეს უკანასკნელი მწერდა ელამურის ნათესაობის შესახებ დაღესტნის წახურ ენასთან. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ შემდგომი გამოკვლევები უფრო ზუსტად გაარკვევენ ამ საკითხს ისევე, როგორც ზოგადად კავკასიური ენების წინა აზიის ძველ მკვდარ ენებთან ურთიერთობის საკითხს"[1].

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, „აპრიორული", „წმინდა დეკლარაციულ-" (ევგ. ბოკარევის ტერმინოლოგიით) მტკიცება წინა აზიის ძველი ენების იბერიულ-კავკასიურ ენებთან ნათესაობის შესახებ ვ. მილერს მოცემული აქვს ნახევარი საუკუნის წინ, თბილისელ სპეციალისტებზე ბევრად ადრე, კერძოდ, 30 წლით ადრე, ვიდრე ივ. ჯავახიშვილის სტატია გამოქვეყნდებოდა (1937 წ.), სტატია, რომელზედაც მიუთითებს ს. კაკაბაძე[2].

დამახასიათებელია აგრეთვე, ვ. მილერის სტატიაში შემდეგი ადგილი: „მეფე ტიგლატ-პილესარ I-მა დაიმორჩილა კუმუხთა ქვეყანა, მაგრამ იძულებული იყო დაეცვა იგი იმ ახალი ხეთური ტომების, მუსკეპის, შემოსევათაგან, რომელთაც უშუალოდ მოჰყვებოდნენ მცირე სომხეთიდან მომავალი სხვა ტომები — კასკუ და ტაბალი. ასირიელები მათაც ხათებს განუკუთვნებენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ტომები მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყვნენ ხათის ქვეყნის მმართველებთან. ასირიელმა მეფეებმა შეძლეს ხათების ამ ხალხთა შემოსევებისაც გამკლავებოდნენ. მუსკების ტომის ნაშთები VIII საუკუნეში და უფრო გვიან ხანებშიც გვხვდება მცირე აზიაში (მცირე სომხეთში, პონტოში), მათი სახელი კი დღემდე შემოგვენახა მესხების, ქართული მოდგმის ტომის სახელწოდებაში, ტომისა, რომელიც ცხოვ-

---

[1] В. Ф. Миллер, Кавказское языкознание и вопросы исторической этнографии Передней Азии, «Этнограф. обозрение», 1906, № 3—4, გვ. 13—14.

[2] აღსანიშნავია, რომ ამგვარსავე აზრს გამოთქვამდა ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ თავის „ქართველი ერის ისტორიაში" (წიგნი I, თბილისი, 1913).

როპს თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში. რაც შეეხება ტაბალებს, მათი სახელი შემონახულია კლასიკურ მწერლობაში ტიბარენის სახით, კასკუს კი ზოგი მკვლევარი კავკასიელ კოლხებთან აიგივებს"[1].

ვ. მილერი წერს: ჰომელი „...ყველა არასემიტურ ხალხებს, რომელთაც სხვა მეცნიერები პირობითად ხათებს უწოდებდნენ, აღნიშნავს ტერმინით ალაროდიელები"... და გამოთქვამს ჰიპოთეზას, რომ მთელი ის უზარმაზარი რეგიონი, კავკასიიდან მოყოლებული, სომხეთისა და მთიანი მიდიის გავლით, ელამამდე, ერთ ენობრივ ოჯახს ეკავა. ამ ოჯახის წარმომადგენლები შემოგვენახა თანამედროვე „კავკასიური" ენების (ქართველურის, ლეზგიურის) სახით.

კავკასიოლოგიის მომავალმა წარმატებებმა წინა აზიის ძველი კულტურული ენების შესწავლაში შესაძლოა არც დაადასტურონ ეს ჰიპოთეზა მთლიანად, მაგრამ უეჭველია, რომ ისინი აზიის ძველისძველი ეთნოგრაფიის ბევრ საკითხს გაარკვევენ და ახალ პერსპექტივებს დასახავენ ჩვენი მატერიკის ენობრივი ოჯახების ურთიერთობის საკითხში"[2].

ამას წერდა ვ. მილერი 1906 წ. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა: ბოღაზ-ქიოის არქივში აღმოჩენილ იქნა ისეთი ინდო-ევროპული ენა, როგორიცაა ნესიტური, რომელსაც ჩვეულებრივ ხეთურს უწოდებენ. ძველი წინა აზიის რიგ სხვა ენებსაც (ლუვიურს, ლიდიურს, კარიულს...) ბევრი აღმოსავლეთმცოდნე ინდო-ევროპულად მიიჩნევს.

მაგრამ დღემდე არავის მიუჩნევია ინდო-ევროპულ ენად პროტოხეთური (ხათური)[3], ხურიტული. ურარტული. იბერიულ-კავკასიურ ენებთან ამ ენათა გენეტური ურთიერთობის საკითხი კვლავაც დგას მეცნიერებაში: იგი არავის მოუხსნია. ამ მკვდარ არაინდოევროპულ და არასემიტურ ენათა ტექსტების ანალიზთან დაკავშირებით ორიენტალისტები ისევ და ისევ ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენებს მიმართავენ.

ნიშანდობლივია ამ მხრივ უნგრელი მეცნიერის ი. მესაროშის მიერ კვლევა უბიხური ენისა, რომელიც ეკუთვნის აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს, დღეს მხოლოდ ანატოლიაშია შემორჩენილი და გავრცელების მი-

---

[1] В. Ф. Миллер, დასახ. ნაშრ., გვ. 9—10.

[2] იქვე, გვ. 15.

[3] იხ. მაგ., E. H. Sturtevant and E. A. Hahn, A comparative grammar of the hittite language, vol. I, rev. ed., New-York, 1951, გვ. 4.

ხედვით სრულიად უმნიშვნელოა. ამ ენას ი. მესაროშმა მიუძღვნა დიდი მონოგრაფია (402 გვ.), რომელშიაც ვრცლად არის გაშუქებული უბიხური ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის, აგრეთვე ლექსიკის საკითხები. ნაშრომი გამოქვეყნდა 1934 წ.

უბიხური ენის შესწავლასთან ი. მესაროში პროტოხეთური ენის კვლევამ მიიყვანა. მესაროში წერს: „წინა აზიის პროტოისტორიულ ენათა ანალიზისა და შედარებითი კვლევა-ძიების პროცესში ჩემი ყურადღება მიიქცია ძველი ხეთური სახელმწიფოს (Chatti-Reich) ერთ ერთმა ენამ, რომლის წარმომავლობაც აქამდე გაურკვეველი იყო, რომელიც ბოღაზ-ქოის ლურსმულ წყაროებში იწოდება „ხათურ ენად“ („chattisch“) და რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგი მკვლევარი უწოდებს „პროტო-ხათურს“. ეს გაურკვეველი ენა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მდიდარი პრეფიქსაცია, თავისი გრამატიკული აგებულების მიხედვით უპირისპირდება ხეთური სახელმწიფოს სხვა ცნობილ ენებს“[1].

„ძველისძველი ხათური ენის, კულტურისა და ისტორიის“ სიღრმეში ჩაწვდომის მიზნით მესაროშმა ცოცხალი უბიხურის შესწავლას მოჰკიდა ხელი. რა დასკვნამდე მივიდა ივი?

„თუ შევადარებთ ერთმანეთს ამჟამად გაქრობის გზაზე დამდგარ უბიხურსა და ძველი ანატოლიის ხათურ ენას (Chatti-Sprache), ვიპოვით ამ ორი ენის უმჟიდროესი გენეტური კავშირის დამამტკიცებელ საყურადღებო საბუთებს. განსაკუთრებით ახლოა ერთმანეთთან ამ ორი ენის გრამატიკული აგებულება (ამჟამად ხომ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გრამატიკული წყობა ენათა ნათესაობის საფუძველს წარმოადგენს). ამდენად ამ ენათა შორის უმჟიდროესი კავშირი არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ადგილობრივი ძველისძველი ხათური ენა გავრცელებული იყო ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში იმ სახელმწიფოს ფარგლებში, რომელსაც ფლობდნენ ხეთების დიდი მეფეები. ხათური ენა, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა ჩვენთვის ახლა ცნობილი ეთნიკური ფენებიდან ყველაზე ძველს. უბიხთა ძველისძველი სამშობლოც, მაშასადამე, ამ მხარეში უნდა ვეძიოთ“[2].

---

[1] J. von Mészáros, Die Pälchy Sprache, Chicago, 1934, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 5.

შემდგომ ი. მესაროში აღნიშნავს არა მარტო გრამატიკული წყობის სიახლოვეს, არამედ მთლიანად ორივე ენის სისტემებისა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, — ფორმანტთა („გრამატიკულ ელემენტთა") იგივეობას:

„...საქმე ეხება არა მხოლოდ ენის ცალკეული ელემენტების მსგავსებას, მსგავსებები ენის მთელ სისტემაზე ვრცელდება.

ესენია: სახელთა დეტერმინაცია პრეფიქსებითა და სუფიქსებით, ნაცვალსახელები, ბრუნების ელემენტების გამოხატვა სუფიქსების მეშვეობით, მრავლობითი რიცხვის ლატენტური ფორმები, წინადადების ელემენტების (ობიექტი, გარემოება, განსაზღვრება...) გამოხატვა პრეფიქსებით ანდა ინფიქსებით ზმნაში, გარდამავალ ზმნათა წარმოება პრეფიქსების მეშვეობით, პრედიკატული ელემენტების შეხამება სახელებთან, ზმნის (ფუძის) სახელური ბუნება. ამგვარი შესატყვისობები ვლინდება არა მხოლოდ გარკვეულ ორგანულ მსგავსებათა სახით, არამედ მორფოლოგიური იგივეობის სახითაც..."[1].

შემდეგ ჩამოთვლილია გრამატიკულ ელემენტთა შესატყვისობები იმ თანმიმდევრობით, როგორითაც ისინი ძირითადად დადგენილია შეტწილად ორენოვანი ხათური ტექსტების მიხედვით, სადაც „ცალკეული გრამატიკული ფორმების მნიშვნელობანი დადგენილია ერთდროული (სინქრონული) და სიტყვასიტყვითი ხეთური თარგმანის საფუძველზე"; ერთმანეთთან შედარებულია: დეტერმინატივები (-r. -m), სახელთა ფორმანტები (-n, on, le, la,x, -n-e), ნაცვალსახელური ელემენტები (სულ შვიდი ელემენტი), ერთი რიცხვითი სახელი (ze), ერთი კავშირი (ma „და"), ოცდაათზე მეტი ზმნური ელემენტი (ფორმანტი) და დაახლოებით ოცი ძირი (სახელური, ზმნური)[2].

„ამგვარი მოვლენები, — წერს ი. მესაროში, —... ამ ენათა პირდაპირ ნათესაობაზე მეტყველებს. მიუხედავად განვლილი ათასწლეულებისა, ორივე ენის ძირითადი გრამატიკული ელემენტები ერთმანეთთან გასაოცარ შესატყვისობას ამჟღავნებენ"[3].

როგორც ვხედავთ, ი. მესაროშმა პროტოხეთურის უბიხურ ენასთან ნათესაობის დებულება კატეგორიული ფორმით წამოაყენა, და ეს

---

[1] J. von Mészáros, დასახ. ნაშრ., გვ. 27—28.

[2] იქვე, გვ. 28—31, 32—33

[3] იქვე, გვ. 28.

დებულება დაასაბუთა შესწავლილი პროტოხეთური ტექსტებითა და თავისი ვრცელი მონოგრაფიით უბიხური ენის შესახებ: ორივე შესადარებელი ენის რეალიები მისთვის ხელმისაწვდომი იყო, ამასთანავე, უბიხური ენის მასალას იგი უკეთესად ფლობდა, ვიდრე სხვა რომელიმე მკვლევარი (ასე სრულად უბიხური ენა პირველად იქნა შესწავლილი).

სწორია თუ არა მესაროშის მიერ წამოყენებული დებულება პროტოხეთურისა და უბიხურის ნათესაობის შესახებ? ამაზე რომ ვუპასუხოთ, საჭიროა შ ე ვ ა მ ო წ მ ო თ შესადარებელი მასალა (რამდენად ზუსტია იგი ფაქტობრივად, რამდენად სწორია მისი ანალიზი) და, მაშასადამე, შევისწავლოთ ეს ენები, გავითვალისწინოთ ყველა ანალოგიური სახის ცდა, უბიხური ენის გარდა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებსაც მივმართოთ, პირველ რიგში — აფხაზურსა და ადიღურ ენებს, რომლებიც უბიხურის უახლოეს მონათესავე ენებს წარმოადგენენ.

ერთი სიტყვით, საკუთარი აზრი რომ გამოვიმუშაოთ ამ საკითხზე. უნდა შევისწავლოთ ეს ენები, შევადაროთ ისინი ერთმანეთს. მაგრამ ვინ მოჰკიდებს ამას ხელს, თუ თვით საკითხის დასმაც კი პროტოხეთურის უბიხურთან (ანდა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან) ნათესაობის შესახებ არამეცნიერულ საკითხად იქნება გამოცხადებული და კვალიფიცირებული იქნება, როგორც ისეთი საკითხი, რომელიც „კავკასიურ ენათა სპეციალისტების დეზორიენტაციას იწვევს“.

განა ასეთივე რამ არ ხდებოდა საბჭოთა ენათმეცნიერებაში, როდესაც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება ნ. მარისა და მისი მიმდევრების მიერ გამოცხადებული იყო „ბურჟუაზიულ კომპარატივისტიკად“? ამის გამო ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება არ ქცეულა არამეცნიერულად, მაგრამ ჩვენ, საბჭოთა ენათმეცნიერები ეხათა ისტორიულ-შედარებით შესწავლაში საგრძნობლად ჩამოვრჩით.

პროტოხეთურის უბიხურთან ნათესაური ერთიანობის თავისი დებულების დაცვის მიზნით ი. მესაროში არქეოლოგიის მონაცემებსაც იმოწმებს[1]. საინტერესოა მისი მოსაზრებები ზოგი ხალხის, კერძოდ, მ უ შ კ ე ბ ი ს შესახებ. „დიდი ხეთური სახელმწიფოს (Chatti Reich) დაშლის შემდეგ, დიდი ხათი მეფეების მემკვიდრე ძლევამოსილ ხალხს

[1] J. von Mészáros, დასახ. ნაშრ., გვ. 6—7.

ტიგლატ-პილესარ I-ის დროიდან სარგონ II-ემდე (ძვ. წ. 1200—700, ასირიელები უწოდებენ მ უ შ კ ე ბ ს. ბოლო დროს გაშიფრულ ხეთურ იეროგლიფებში კი ისინი იხსენიებიან მ ი ს კ ე ბ ა დ... ლიდიის ბერძნულ წარწერებში ამ ხალხის სახელი გვხვდება შემდეგი სახით: მ ო ს ხ ო ს, მ ო ს ხ რ ს, მ ო ს ხ ი ო ნ, მ ო ს ხ ი ა ნ ო ს"[1].

სპარსელების ლაშქრობათა შემდეგ, როდესაც ძველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი მოიშალა, „ბევრი სალხის გადარჩენილი ნაწილები დაიძრა სხვადასხვა მიმართულებით. ერთი საუკუნის შემდეგ (ძვ. წ. VI ს.) მოსხებს ვპოულობთ შორს თავისი ძველი სამხრეთი სამშობლოდან ჩრდილოეთით, შავი ზღვის სანაპიროზე კ ო ლ ხ ე ბ თ ა ნ ერთად, როგორც ეს აღნიშნულია ჰეკატესთან და ჰეროდოტესთან"[2]. ამრიგად, მოსხებს ი. მესაროში მიიჩნევს ერთ-ერთ კოლხურ. და არა ინდო-ევროპულ, ხალხად.

იქნებ ი. მესაროშის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ შეიცვალა ვითარება; იქნებ ახლა პროტოხეთური, ხურიტული და ურარტული ენები მიიჩნევა ინდო-ევროპულად და, მაშასადამე, უკვე აღარ შეიძლება დავსვათ საკითხი ამ ძველი ენების იბერიულ-კავკასიურ ენებთან გენეტიკური ერთიანობის შესახებ?

ასეთი კითხვა საკმაოთ გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე გაძლიერდა მედიტერანისტების შეხედულებათა კრიტიკა, სულ უფრო და უფრო დაჟინებით გამოთქვამენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არც ხმელთაშუა ზღვის სივრცეში და არც წინა აზიის ყველა რაიონში შეიძლება ვივარაუდოთ არაინდოევროპული სუბსტრატის არსებობა, რომ ინდო-ევროპულია იქ წარმოდგენილი ისეთი ენები, როგორიცაა პალაური, ლიდიური, ლიკიური, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ბერძნულისწინა პერიოდის მოსახლეობაც ინდო-ევროპულ ენაზე ლაპარაკობდა, რომ ელინდება „ბალკანურ-აზიანურ ინდო-ევროპულ ენათა" უძველესი ჯგუფი (ვ. გეორგიევი).

გამოირიცხა თუ არა ამით წინა აზიის რაგინდარა ძველი ენების იბერიულ-კავკასიურ ენებთან ნათესაობის საკითხის დასმის შესაძლებლობა? არა, არ გამორიცხულა.

---

[1] J. von M é s z á r o s, დასახ. ნაშ., გვ. 7.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 7—8 (ხაზი ჩვენია — არნ. ჩ.).

მედიტერანისტული ჰიპოთეზის პრინციპულ მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისითაც კი ეერ ხერხდება პროტოხეთურის, ხურიტულის, ურარტულის ინდო-ევროპულ ენებად მიჩნევა: კვლავ დგას დღის წესრიგში საკითხი მათი კავკასიურ ენებთან ურთიერთობის შესახებ; ეჭვს გარეშეა, რომ არაინდოევროპული სუბსტრატი არსებობდა მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში, იქ, სადაც ინდო-ევროპულ ხეთურ ენას კონტაქტი ჰქონდა რელიქტურ არაინდოევროპულ ენებთან. ასეთია ის დებულებები, რომლებიც წამოაყენა 1949 წ. სპეციალურ წერილში მედიტერანიზმის ერთ-ერთმა პრინციპულმა მოწინააღმდეგემ, ცნობილმა ბულგარელმა ენათმეცნიერმა აკად. ელ. გეორგიევმა: ის მოუწოდებდა სპეციალისტებს ეთანამშრომლათ კავკასიოლოგებთან იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც უძველეს ბალკანურ-აზიანურ ენათა შესწავლასთან არის დაკავშირებული[1].

იქნებ ეს საკითხი, რომელიც მეცნიერებაში 70 წლის წინათ იყო წამოყენებული მეცნიერულად არააქტუალური აღმოჩნდა 1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ და უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან, როგორც საკითხი, რომელმაც დღეს უკვე დაკარგა მნიშვნელობა?

1952 წ. უცხოური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოაქვეყნა თარგმანი ი. ფრიდრიხის წიგნისა — „ხეთური ენის მოკლე გრამატიკა", რომელიც 1940 წელს გამოიცა გერმანულ ენაზე (რუსული თარგმანი ა. დესნიცკაიას შესავალი წერილითა და ვ. სტრუევის რედაქტორობით).

შესავალ წერილში, სხვა საკითხთა შორის, განხილულია საკითხიც ხეთური (ინდო-ევროპული) ენის ხათურ (პროტოხეთურ) ენასთან ურთიერთობის შესახებ. ამ წერილში ვკითხულობთ: „...საკუთრივ „ხეთურ" (ან „ხათურ") ენას ისტორიულად წარმოადგენდა არა ის ენა, რომელსაც ეს სახელი დაუმკვიდრა სამეცნიერო ტრადიციამ, არამედ ხათების ქვეყნის უძველესი მოსახლეობის არაინდოევროპული ენა, რომლის მცირერიცხოვანი და ჯერჯერობით სუსტად შესწავლი-

---

[1] V. Georgiev, État actuel des recherches et coordination du travail dans le domaine des langues anciennes balkano-asianiques; — „Archiv Orientalni," vol. XVII, pars I, 1949.

ლი ძეგლებია მხოლოდ შემორჩენილი... უძველესი „ხათების" ენისათვის კი იხმარება ტერმინები „ხათური" ან „პროტოხათური" ენა. ენობრივი თვალსაზრისით „პროტოხათურ" ენას ახასიათებს თავისებური სტრუქტურა, რომელიც კავკასიის ენათა სტრუქტურას შეგვაგონებს...

„პროტოხათური" ენის შესწავლა არსებით სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ამიტომ შედარებით მცირედ თუ წაიწია წინ. ენათმეცნიერებაში უკვე არაერთგზის იყო წამოყენებული ვარაუდი ამ უძველესი ენებისა და კავკასიის ენათა შორის ნათესაობის არსებობის შესახებ. ამგვარი ვარაუდი ისტორიულად სავსებით სარწმუნოა. მაგრამ იმისათვის, რომ იგი იქცეს მტკიცედ დასაბუთებულ მეცნიერულ დებულებად, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის გრამატიკული აგებულების გარეგანი ტიპოლოგიური შეპირისპირება, არამედ აუცილებელია ზედმიწევნითი და ღრმა შედარებით-ისტორიული კვლევა-ძიება კონკრეტული ენობრივი ფაქტების საფუძველზე. ამას კი შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ პრობლემის შესწავლას უშუალოდ ხელს მოჰკიდებენ იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტები"[1].

ა. დესნიცკაია აქ არაფერს ამბობს ხურიტულ, ურარტულ და წინა აზიის სხვა ენათა შესახებ: ეს გამოიწვია წერილის თემამ. მაგრამ ის, რაც პროტოხათურის შესახებ არის მასში ნათქვამი, ამ ენებსაც ეხება. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს მისივე წერილიდან, რომელიც ჟურნალ „Вопросы языкознания"-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა იმავე წელს.

„ამჟამად, — წერდა ა. დესნიცკაია აღნიშნულ წერილში, — უძველესი სემიტური ენების (აქადურის, ასირიულის, ფინიკიურის) გვერდით რეალურად არის დადასტურებული წინა აზიის უდავოდ არაინდოევროპული და არასემიტური ძველი ენები — შუმერული, ელამური, ერთმანეთის ახლო მონათესავე ხურიტული და

---

[1] Л. В. Десницкая. О хеттском языке (вступ. статья в кн.: И. Фридрих. «Краткая грамматика хеттского языка», М., 1952), зз. 8—9 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ურარტული, და აგრეთვე მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის ენა — ხათური ანუ „პროტოხათური". ყველა ეს ენა შეიძლება გახდეს კონკრეტული ენათმეცნიერული კვლევის საგანი, რამდენადაც არსებობს ამ ენებზე წერილობითი ძეგლები. ამ უძველეს ენათა ინდო-ევროპულ და სემიტურ ენებთან ნათესაობის საკითხი უკვე გადაწყვეტილია უარყოფითად. რაც შეეხება მათი ერთმანეთთან ურთიერთობისა და აგრეთვე იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ენებთან მიმართების ისტორიულ-შედარებით კვლევას, ეს პრობლემა ჯერჯერობით ისევ დგას დღის წესრიგში. ამ მხრივ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებას შეუძლია მოგვცეს უაღრესად დადებითი შედეგები. ჩვენის აზრით, განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა პროტოხათური ენის მონაცემთა შეპირისპირება კავკასიური ენების ფაქტებთან. მეტად სავარაუდოა, რომ პროტოხათურის თავისებური გრამატიკული აგებულება, ზმნისთვის დამახასიათებელი პრეფიქსაცია, აგრეთვე საფიქრებელია, ე. წ. კლასის ნიშანთა პრეფიქსაცია უფრო ღრმად იქნეს გაგებული, თუ მათს კონკრეტულ კვლევას, პირველ რიგში, კავკასიური ენების სპეციალისტები მოჰკიდებენ ხელს"[1].

ეხება რა საკითხს იმის შესახებ, რომ ნესიტური (ანუ ინდო-ევროპული ხეთურის) ლექსიკური მარაგი „...შეიცავს ბევრ ისეთ სიტყვას, რომელიც აშკარად არაინდოევროპული ეტიმოლოგიისაა, და, როგორც ჩანს, მცირე აზიის არაინდოევროპული ენებიდან არის ნასესხები", ა. დესნიცკაია აღნიშნავს: „ხეთური ენის ლექსიკური ფონდის არაინდოევროპული ელემენტები სუსტად არის შესწავლილი. მათს შესასწავლად დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალის მოხმობას. საერთოდ ძველი მცირე აზიის ენების, როგორც ინდო-ევროპულის, ასევე არაინდოევროპულის, ნაყოფიერი შესწავლისათვის უპირველეს და აუცილებელ პირობას წარმოადგენს კავკასიოლოგთა და ინდო-ევრო-

---

[1] А. В. Десницкая, Вопросы изучения древних языков Малой Азии и сравнительная грамматика индоевропейских языков, ВЯ, 1952, № 4, გვ. 43. (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

პულ ენათა შედარებითი გრამატიკის სპეციალისტთა მუშაობის კოორდინაცია"[1] (ამგვარი კოორდინაციის აუცილებლობას აღნიშნავდა ვ. გეორგიევი ჯერ კიდევ 1949 წელს ჩვენ მიერ დამოწმებულ სტატიაში).

ასეთი იყო საქმის ვითარება ჟურნალ „Вопросы языкознания"-ს ფურცლებზე გამართულ დისკუსიამდე. ზემომოყვანილი გამონათქვამები საკმაო საბუთს წარმოადგენს იმის ცხადსაყოფად, რომ ეს საკითხი თბილისელ კავკასიოლოგთა მოგონილი როდია, ამ საკითხს დიდი ისტორია აქვს, იგი მეცნიერულად მეტად აქტუალური საკითხია.

რა აზრი გამოთქვეს ძველი ან კავკასიური ენების სპეციალისტებმა დისკუსიის დროს? თვლიან თუ არა ისინი, რომ ეს საკითხი არამეცნიერულია და რომ მისი „წამოყენებით კავკასიურ ენათა სპეციალისტებში დეზორიენტაცია შეგვაქვს"? არა, არ თვლიან; არამედ სცნობენ ამ საკითხის მეცნიერულ საფუძვლიანობას; არ უარყოფენ ამა თუ იმ ძველი ენის კავშირს იბერიულ-კავკასიურ ენებთან (ი. დიაკონოვი, ი. დუნაევსკაია), მაგრამ საცილობლად მიაჩნიათ „ხეთურ-იბერიულ ენათა ოჯახის არსებობა"[2].

ი. დუნაევსკაია გაბაზავს ხათურის (პროტოხათურის) იბერიულ-კავკასიურ ენებთან კავშირს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ხათური (პროტოხათური) ენა არ ენათესავება ხურიტულსა და ურარტულს, და, რამდენადაც „ხათური მცირე და წინა აზიის სხვა ენებს შორის განმარტოებით დგას, არა გვაქვს რაიმე საფუძველი ვილაპარაკოთ ხეთურ-იბერიულ ენათა ოჯახის შესახებაო"[3].

მაშასადამე, ავტორი ემყარება იმ დებულებას, რომ ენობრივ ოჯახზე ლაპარაკი არ შეიძლება, როდესაც ერთი მხრივ წარმოდგენილია ენათა ჯგუფი (კავკასიური ენები) და მეორე მხრივ—მარტო ერთი ენა (ხათური). ენობრივი ოჯახი რომ აუცილებლად ასეთი შემადგენ-

---

[1] А. В. Десницкая, Вопросы изучения древних языков Малой Азии и сравнительная грамматика индоевропейских языков, ВЯ, 1952, № 4, გვ. 53 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

[2] ტერმინი „ხეთურ-იბერიული ენები" დისკუსიის სხვა მონაწილეებიც სადავოდ თვლიან.

[3] И. М. Дьяконов, О характере и связях языков древней Малой Азии, ВЯ, 1954, № 6, გვ. 78.

ლობისა უნდა იყოს, არ შეიძლება არ მიეჩნიოთ ნებისმიერ გაგებად (შდრ., მაგალითად, „უნგრულ-ფინური ენები"), მაგრამ ავტორს ეს საჭიროდ დაურჩა, არა-და, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ენობრივი ოჯახის არსებობის აღიარება მოუხდებოდა, რამდენადაც ი. დუნაევსკაია ხათური ენის კავკასიურ ენებთან კავშირს არ უარყოფს.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი შემდეგი დებულებები: „ზემოთქმულიც საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ ხათური ენა არაინდოევროპულ ენას წარმოადგენს. სავსებით დასაშვებია, რომ მცირე აზიაში ხათურთან ახლო მდგომი სხვა ენებიც არსებობდა, მაგრამ წერილობით ძეგლებში ისინი დადასტურებული არ არის"[1].

„ხათურმა ენამ უთუოდ ძლიერი გავლენა მოახდინა (როგორც სუბსტრატმა ან ადსტრატმა ანდა ორივემ ერთად) ნესიტურზე. ლუვიურზე და შესაძლოა ძველი მცირე აზიის სხვა ენებზედაც. არა მხოლოდ მრავალი კულტურული ტერმინი, არამედ საერთოდ ნ ე ს ი ტ ურ სიტყვათა ნახევარზე მეტი აშკარად ხათური წარმომავლობისად უნდა მივიჩნიოთ"[2].

„ზმნური ფუძე ხათურში ორ თანხმოვანს შეიცავს. ზმნის სისტემა, როგორც ჩანს, მეტად წააგავს ქართულისას. გარჩეულია სუბიექტური და სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება... პრეფიქსთა ერთი ნაწილი... შეიძლება ქართულის ანალოგიურ პრეფიქსებს დავუკავშიროთ; სხვა პრეფიქსებს კი ქართულში ანალოგიები არ ეძებნება... არის თუ არა კავშირი ხათურ და ქართულ ლექსიკურ მასალაში, ჯერ ძნელი სათქმელია"[3].

„სადავოდ ვთელით კავკასიური და მცირე აზიის ძველ ინდო-ევროპულ (?! — ა. ჩ.) ენათა გაერთიანებას წარმოშობის მიხედვით, მაგრამ ყოველმხრივ უნდა გავხაზოთ, რომ აუცილებელია შედარებითი შესწავლა კავკასიური ენების ლექსიკისა და ძველი ანატოლიის ენების ლექსიკისა და იმ არაინდოევროპული ლექსიკისა, რომელიც ჭარბად არის წარმოდგენილი ძველი ანატოლიის ენებში". ეს არა-

---

[1] И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

[2] იქვე. გვ. 77 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

[3] იქვე.

ინდოევროპული ლექსიკური მასალა, მისი გარკვეული ნაწილი, საფიქრებელია, მომდინარეობდეს თუ ინდო-ევროპულიდან არა, ყოველ შემთხვევაში, საერთო წყაროდან (შესაძლოა ხათურიდან ანდა წინარე-ხათურიდან), რომლის დადგენა მეტად მნიშვნელოვანია ეთნოგენეზისის პრობლემებისა და კავკასიური ენათმეცნიერების პრობლემების გადასაწყვეტად"[1].

ი. დუნაევსკაიას ზემომოყვანილ გამონათქვამებში მეტად საინტერესოდ გვეჩვენება მის მიერ პროტოხეთური ენის ლექსიკის დახასიათება.

სადავოდ უნდა მივიჩნიოთ პროტოხეთურის ურარტულთან და ხურიტულთან ნათესაობის უარყოფა. ამ ენათა შორის განსხვავებები იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტს არ მოეჩვენება იმაზე მეტად. ვიდრე განსხვავებები, რაც არსებობს ისეთ ორ იბერიულ-კავკასიურ ენას შორის, როგორიცაა აფხაზური და ლეზგიური, რომელთა ერთმანეთთან ნათესაობა საყოველთაოდ აღიარებულია (აფხაზურ-ადიღური და დაღესტნური ეხები ჩრდილო-კავკასიურ ენათა ოჯახს განეკუთვნებიან). ენობრივი ოჯახის შემადგენლობაზე ავტორისეული შეხედულების შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

გარკვეულ შენიშვნებს იწვევს აგრეთვე პროტოხეთური მასალის (ხმხური ფორმანტების) ქართულთან შედარება: ამ საკითხში ი. დუნაევსკაიას მსჯელობას აკლია ისტორიული პერსპექტივა, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ქართულ ენას ეხება (ესაა ნიმუში შედარებისა, როდესაც შესადარებელი მასალის ისტორია არ არის გათვალისწინებული).

გაუგებარია, რად სჭირდება ი. დუნაევსკაიას უარყოს კავკასიური ენების „უძველესი მცირე აზიის ინდო-ევროპულ ენებთან გენეტური ნიშნით გაერთიანება": ჩვენ ხომ კავკასიურ ენებს ძველი მცირე აზიის ინდო-ევროპულ ენებთან არ ვაერთიანებთ, პირიქით, უველგან საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ გენეტური ერთიანობის საკითხი შეიძლება იქნეს დასმული მხოლოდ არაინდოევროპული ენების მიმართ.

ი. დიაკონოვი მნიშვნელოვან და საინტერესო ამოცანად მიიჩნევს ძველი ენებისა და იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთობის შეს-

[1] И. М. Дунаевская. დასახ. ნაშრ., გვ. 79.

წავლას. იგი წერს: „ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის დიდძალი მასალა მიუთითებს ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე ხალხთა, განსაკუთრებით ამიერკავკასიის ხალხთა, მეტი წილის გენეტურ კავშირზე ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან[1]. ეჭვს გარეშეა, რომ ამა თუ იმ სახის ენობრივი კავშირების გამოვლინება, ერთის მხრივ, ძველი აღმოსავლეთის არასემიტურ და არაინდოევროპულ ენებსა და, მეორე მხრივ, კავკასიურ ენებს შორის, მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ამოცანას წარმოადგენს"[2].

ეს უდავოა. ზემოხსენებული საკითხი გენეტური კავშირის შესახებ ეხება არა მარტო ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენებს. არამედ ისეთ მკვდარ ენებსაც, როგორიცაა ალბანური ენა, უფრო სწორად, — ალბანური ენები, რომლებიც ძველად თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული; ეჭება აგრეთვე იმ არაინდოევროპულ ენას, რომლის ინდო-ევროპულ ენასთან შერწყმის შედეგად მივიღეთ ძველი სომხური ენა, ინდო-ევროპული ენა.

სომხურ ენაში არაინდოევროპული (იბერიულ-კავკასიური, ურარტული, ხურიტული, პროტოხეთური და სხვ.) ელემენტების კვლევა, რომელიც პროფ. გ. კაპანციანის ხელმძღვანელობით წარმოებს, ისტორიულადაც გამართლებულია და ამ კვლევის შედეგებიც მეტად ფასეულია (როგორც ეს თავის დროზე აღვნიშნეთ), მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ენობრივი ფაქტის ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს სადავო. ანალოგიური კვლევა-ძიება თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში — ალათაური (თურქული) ჯგუფის ენაში — ალბანური სუბსტრატის გამოვლენის მიზნით ისევე გამართლებულია, როგორც ინდო-ევროპულ სომხურ ენაში არაინდოევროპული მასალის გამოვლინება. სამწუხაროდ, აზერბაიჯანულში ალბანიზმების კვლევას (რაც მეტად რთული ამოცანაა) არ აწარმოებენ არც ალათაური (თურქული) ენის სპეციალისტები და არც იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტები.

ენათა ნათესაობის არსებითსა და მნიშვნელოვან საკითხებს და აგრეთვე ამ ნათესაობის კვლევასთან დაკავშირებულ სიძნელეებს შეეხო ი. დიაკონოვი (განსხვავებული საზოგადოებრივი ფორმაციების სა-

---

[1] მატერიალური კულტურის თვალსაზრისით შეხვედრების შესახებ იხ. А. В. Арциховский, Основы археологии, М., 1954, გვ. 96.

[2] И. М. Дьяконов, О языках древней Передней Азии. ВЯ, 1954, № 5, გვ. 63—64.

კითხთან დაკავშირებით), მაგრამ მის ამ მსჯელობას გარკვეულობა აკლია[1]. კერძოდ. შეუძლებელია გავიზიაროთ მისი აზრი იმის შესახებ, რომ „თუ საკითხის ისტორიულ მხარეს გავითვალისწინებთ, აშკარა გახდება, რომ ძნელად მოსალოდნელია ძველ წინა აზიაში არსებულიყო მკვეთრად გამოხატულ გენეტურ ურთიერთობათა მქონე დიდი და ფართოდ გავრცელებული ენობრივი ოჯახები"[2].

„მკვეთრი სხვაობა გრამატიკულ წყობაში, კერძოდ, ხათურ და ხურიტულ-ურარტულ ჯგუფებს შორის", რასაც გახაზავს ი. დიაკონოვი, ანალოგიას ჰპოვებს ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენათა წარმომადგენლების ურთიერთობაშიც (აფხაზური—ლეზგიური!) და თავისთავად ვერ გადაწყვეტს იმთავითვე ნათესაობის საკითხს: საჭიროა ისტორიის გათვალისწინება (იხ. ზემოთ, გვ. 294).

ერგატიული კონსტრუქციის არსებობა ხურიტულსა და ურარტულში მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, განსაკუთრებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ შესაბამისი ფორმანტები ხურიტ. -š, ურარტ. -še — მატერიალურადაც ემთხვევა ერგატივის ფორმანტს ნახურ ენებსა და ხუნძურში[3]. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს: ერგატიულ კონსტრუქციაში აისახება (გარდამავალი) ზმნის უღვლილებისა და სახელთა ბრუნების თავისებურებანი. არა გვგონია, ინდო-ევროპულ ენათა სპეციალისტებს უყურადღებოდ დაეტოვებინათ ერგატიული კონსტრუქცია ინდო-ევროპულ ენათა სხვა რომელიმე უცნობ ენებთან ურთიერთობის კვლევისას, ასეთი კონსტრუქცია ლათინურსა და ძველ-ბერძნულში რომ გვქონოდა.

ი. დიაკონოვი წერს: „... ხეთური ენა... როგორც ჩანს, მაინც ამჟღავნებს გარკვეულ მსგავსებებს იბერიულ-ქართველურ და, შესაძლოა, აფხაზურ-ჩერქეზულ ენებთანაც"[4]. მაგრამ იქვე განაგრძობს:

---

[1] И. М. Дьяконов. О языках древней Передней Азии. გვ. 63.

[2] იქვე. გვ. 62 (ხაზი ჩვენია — არნ. ჩ.).

[3] ეს აღნიშნულია. კერძოდ. ი. ბრაუნისა და გ. კლიმოვის სპეციალურ მოხსენებაში „ერარტელისა და იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიული ურთიერთობისათვის", რომელიც წაკითხული იყო საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის V (XI) სამეცნიერო სესიაზე 1954 წლის იანვარში (იხ. „მეშვიდობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები". თბილისი. 1954, გვ. 49).

[4] ВЯ. 1954. № 5. გვ. 47.

„ამის საფუძველზე, თუ ხათურის ზემოაღნიშნულ ენებთან ნათესაობა დამტკიცდა, შესაძლებელი იქნება ხათურის კავკასიურ ენათა ოჯახში შეტანა, მაგრამ ეს არ გვაძლევს საბაბს ვიფარაუდოთ ცალკე „ხეთურ-იბერიული“ ოჯახის არსებობა“[1]. მონათესავე ენები, როგორც ცნობილია, ქმნიან ოჯახს (ანდა ოჯახის შტოს). რატომ არის ამ შემთხვევაში ეს შეუძლებელი?

აღნიშნავს რა, რომ მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ამოცანას წარმოადგენს „ამა თუ იმ სახის ენობრივი კავშირების გამოვლინება. ერთი მხრივ, ძველი აღმოსავლეთის არასემიტურსა და არაინდოევროპულ ენებს, მეორე მხრივ კი, კავკასიურ ენებს შორის“, ი. დიაკონოვი იქვე დასძენს: „მიუხედავად ამისა, ეჭვს გარეშეა, რომ მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე დებულება ყველა ამ ენის ერთიანობის შესახებ აპრიორულისა და დეკლარაციული განცხადების ხასიათს ატარებს“[2]. ამას მოჰყვება: „ყოველ შემთხვევაში ჯერ ადრეა ენათა ამ „წრესა“ თუ ოჯახს რაიმე სახელი ეწოდოს, როცა თვით მათი ერთიანობა მეტად საეჭვოა. ეს იქნებოდა კელევის შედეგების წინდაწინ დანახვა“[3].

ამრიგად: პრობლემა არა თუ დეზორიენტაციის გამომწვევი არ არის, არამედ მნიშვნელოვანია და საინტერესო. შესაძლებელია ნათესაობაც დადასტურდეს, მაგრამ მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე ყველა ამ ენის' ერთიანობაზე ლაპარაკი არ შეიძლება — ამას აპრიორულ-დეკლარაციული განცხადების ხასიათი ექნებოდაო.

ერთი ეს ვიკითხოთ: განა სამოცდაათი წლის წინ. როდესაც ფ. ჰომელი ალაროდიულ ენათა შესახებ ლაპარაკობდა. ახლანდელზე უკეთ იყო შესწავლილი ძველი ანდა კავკასიური ენები, რომელთა ერთიანობაც უნდა აღენიშნა ტერმინს „ალაროდიული ენები“? როგორღა ლაპარაკობდა ჰომელი ალაროდიულ ენათა ერთიანობაზე? რატომ არ ჰქონდა მის დებულებას ამ ენათა ერთიანობის შესახებ „აპრიორულ-დეკლარაციული ხასიათი“?

---

[1] ВЯ, 1954. № 5. გვ. 47. სქოლიო 11 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

[2] იქვე. გვ. 64.

[3] იქვე. სქოლიო. გვ. 55.

[1] რაკაკერველია, „ყველა ენა“ არ იგულისხმება.

1864 წელს პ. უსლარი კავკასიურ ენათა ერთიანობის შესახებ წერდა: „ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბევრი სამყაროს დიდ ენობრივ ოჯახებს: ინდო-ევროპულს, სემიტურს, ურალურ-ალთაურს უნდა დაემატოს აგრეთვე სრულიად დამოუკიდებელი ოჯახი კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ენებისა, რამდენადაც ეს ენები გასაოცარი სხვაობის მიუხედავად, ღრმა მსგავსებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან“[1].

აღსანიშნავია, რომ 1864 წელს, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, მის ავტორს, — პ. უსლარს, გამოკვლეული ჰქონდა მხოლოდ აფხაზური, ჩაჩნური და ხუნძური ენები. ი. დიაკონოვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დებულება კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ. წამოყენებული უსლარის მიერ მ ა შ ი ნ დ ე ლ ი ც ო დ ნ ი ს დ ო ნ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი აპრიორულ-დეკლარაციული ყოფილა. როგორც ი. დიაკონოვი აღნიშნავს, ჰ ი პ ო თ ე ტ უ რ ი ენობრივი ოჯახისათვის სახელის დარქმევა ნაადრევია: ეს იქნებოდა „კვლევის შედეგების წინდაწინ დანახვა“. მაგრამ არსებობს კი ისეთი ჰიპოთეზა, რომ კვლევის შედეგებს წინდაწინ არ ხედავდეს?

რაც შეეხება ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს მ ი ს შეფასებას, აქ ი. დიაკონოვი გარკვეით არ ეთანხმება ევგ. ბოკარევს (საკითხი „მნიშვნელოვანია“, „საინტერესოა“ — ი. დიაკონოვის მიხედვით: „დეზორიენტაციას იწვევს“ — ევგ. ბოკარევის აზრით), მაგრამ ი. დიაკონოვი ცდილობს იგივე დასკვნა გააკეთოს: თანამიმდევრობა ამით არაფერს იგებს.

როგორც ცნობილია, მოგვეპოვება ბევრი სერიოზული ცდა გამოავლინონ ნათესაობა პროტოსეთურსა და უბიხურს. ურარტულსა და ქართველურს, ნახურსა და დაღესტნურ ენებს შორის: ამ ენებს შორის კავშირი თავს იჩენს არა ცალკეულ სიტყვათა მასალაში, არამედ გრამატიკულ მოვლენებშიც. პროფ. გ. წერეთელმა სპეციალურ. დაწვრილებით არგუმენტირებულ მოხსენებაში „ურარტული ენის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახთან ურთიერთობის საკითხისათვის“[2] გვაჩვენა, რომ ურარტული ზმნის უღლილების ბევრი თავისებურება შეიძლე-

---

[1] П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. II. Тифлис. 1864. გვ. 35.

[2] მოხსენება წაკითხული იყო მოსკოვში სსრკ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე, 1953 წ. ივნისში (იხ. ВЯ, 1953, № 5. გვ. 116).

ბა გასაგები გახდეს მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა ეღელძლე-ბის პრინციპების გათვალისწინების შედეგად. მომხსენებელი ზოგად დასკვნების გამოტანაში თავს იკავებდა და ყურადღება გაამახვილა კონკრეტული მასალის ანალიზზე.

დამაჯერებელია თუ არა ეს ანალიზი? და თუ არა, რატომ? პასუხი არ ჩანს. ი. დიაკონოვი არც ამ მოხსენებაზე და არც კონკრეტული მა-სალის ანალიზის სხვა ცდებზე არაფერს ამბობს. არც ევგ. ბოკარევი იწუხებს თავს მათი გარჩევით[1]. შეფასებები „აპრიორული", „წმინ-და დეკლარაციული" რიგდება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.. განა ეს არ ცხადყოფს, რომ თვით ეს შეფასებებია აპრიორული ხასიათისა!

მიუხედავად იმისა, რომ ი. დიაკონოვმა ამგვარად შეაფასა ძველი ენების იბერიულ-კავკასიურ ენებთან ნათესაობის დებულება, თვით საკითხის დასმას იგი არ უარყოფს: პირიქით, მას იგი მიაჩნია მნიშვნე-ლოვნად. ეს არსებითად განასხვავებს ამ საკითხზე ი. დიაკონოვის და აგრეთვე ი. დუნაევსკაიას განწყობას ევგ. ბოკარევისაგან.

ყველაზე საინტერესოა ვ. გეორგიევის სადისკუსიო წერილი. ვ. გეორგიევი ავტორია ორიგინალური (ბალკანურ-აზიანური) კონცეფციისა, რომელიც დიდ საკვლევაძიებო მუშაობას ემყარება. ვ. გეორგიევი უარყოფს მედიტერანისტულ კონცეფციას და გვთავაზობს ძველი მცირე აზიისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ლინგვისტური და ეთნიკური პრობლემების ახლებურ გაგებას. ამ კონცეფციის ამოსავა-ლი დებულებები ბუნებრივად აძლიერებენ კრიტიკულ დამოკიდებუ-ლებას იმ ხვედრითი წონის შესახებ, რაიც ეკუთვნოდა არაინდოევრო-პულ ენებს ხმელთაშუა ზღვის აუზსა და წინა აზიაში. ამიტომაც განსა-კუთრებით ფასეულია ვ. გეორგიევის შეხედულებები ჩვენი სადავო საკითხის შესახებ.

ხმელთაშუაზღვისპირეთის ჩრდილო ნაწილში ვ. გეორგიევი გამო-ყოფს სამ ცალკე ენობრივ ზონას, რომლებიც ჯერ კიდევ ძველისძველ-

---

[1] ევგ. ბოკარევი წერს, რომ გ. წერეთელმა „დასვა საკითხი ერარტული ენის კავკასიურ ენებთან ნათესაობის შესახებ, მოიყვანა გარკვეული მასალა თავისი აზრის დასამტკიცებლადო..." (1954, № 3, გვ. 46; ხაზი ჩვენია — არნ. ჩ.); მაგრამ რა მასალა მოიყვანა და როგორ იყო ეს მასალა გაანალიზებული, ამაზე ევგ. ბოკარევი არაფერს ამბობს.

წარსულშიც არსებობდნენ: 1. პირენეის ენები (ბასკური, იბერიული, ტარტესიული); 2. სამხრულ-ინდოევროპული ენები (წინარე-ბერძნული ენები, ლიკიური, ლიდიური, ტროულ-ეტრუსკული, კარიული, ხეთური, ლუვიური, ფალაური და იეროგლიფური „ხეთური“ როგორც ეგეოსისა და დასავლეთ მცირე აზიის ძველი ადგილობრივი მოსახლეობის ენები); 3. კავკასიური ენები: ხათური, ხურიტული და ურარტული. „ხათური იყო აღმოსავლეთ, უფრო ზუსტად — ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის ძირითადი ძველი მოსახლეობის ენაო“ — წერს ვ. გეორგიევი[1].

ამრიგად, ხათურის (ანუ პროტოხათურის), ხურიტულისა და ურარტელის ნათესაობა ვ. გეორგიევს სადავოდ არ მიაჩნია. „ხათური ენა. — მისი აზრით, — ყოველგვარ ეჭვს გარეშე კავკასიურ ენათა მონათესავეა. ხათური ენის დამახასიათებელი ღვისება — პრეფიქსაციის გამოყენება სიტყვაცვალებაში სწორედ ამ ენებში დასტურდება; ხოლო ხათური სიტყვა wašab „ღმერთი“ აშკარად ენათესავება ადიღეურის (ჩერქეზულის) wašho-ს „ღმერთი“...

ურარტულიცა და ხურიტულიც აგრეთვე შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე კავკასიური ენების მონათესავე ენებად. კავკასიოლოგთა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ამ ენათა და აგრეთვე ზემოთ აღნიშნული ხათური ენის უფრო დაწვრილებით შესწავლა, რათა უფრო ზუსტად დადგინდეს მათი ნათესაური ურთიერთობანი“[2].

ვ. გეორგიევს კავკასიოლოგთა ამოცანად მიაჩნია აგრეთვე „ეტრუსკულ ენაში კავკასიური ელემენტების არსებობის შემოწმება“[3]. შენდეგ იგი აღნიშნავს, რომ „კავკასიოლოგთა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. გარდა ამისა, ხეთურ ენაში ხათურ-კავკასიური სუბსტრატის კვლევა“[4].

„არნ. ჩიქობავა, — წერს ე. გეორგიევი, — საესებით საფუძვლია-

---

[1] В. Георгиев. Вопросы родства средиземноморских языков, ВЯ, 1951. № 1. გვ. 71.

[2] იქვე. გვ. 70 (ბაზი ჩვენია — არნ. ჩ.).

[3] იქვე. გვ. 56.

[4] იქვე. გვ. 68.

ნად თვლის სადაეოდ იმას, რომ სახელწოდებას „ხეთური ენა“ ჩვეულებრივ ინდო-ევროპული ენის აღსანიშნავად ხმარობენ. ეჭვს გარეშეა, რომ „ხათური“ წარმოადგენს არაინდოევროპული ენის სახელწოდებას. მაშინ როდესაც „ხეთური“ ამავე სახელის გვიანდელი (ებრაული) ფორმაა. მაგრამ ტერმინი „ხეთური“ უკვე გაბატონდა როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის ინდო-ევროპული ენის სახელწოდება, ენისა, რომლის ზუსტი სახელი ჩვენთვის, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის“[1].

არსებითად ტერმინი „ხეთური“, ჩვენის აზრით, შეეფერება სწორედ არაინდოევროპულ ენას: არ არსებობს არავითარი მეცნიერული საფუძველი ვამტკიცოთ, რომ არ შეიძლება „პროტოხეთურს“ (ე. ი. ამოსავალ ხეთურს, ძველ ხეთურს) ვუწოდოთ „ხეთური“, სხვა ენას კი უნდა ვუწოდოთ ხეთური. ამიტომ ჩვენ მიეყუებოდით იმ ავტორებს, რომლებიც ინდო-ევროპულ ხეთურს აღნიშნავენ ტერმინით „ნესიტური“: აკი იხმარება ტერმინი „ლუვიური“ (და არა: ხეთური ენა) ხეთების სახელმწიფოს სხვა ინდო-ევროპული ენის აღსანიშნავად.

ამავე დროს მიზანშეწონილად ვთვლით, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად არაინდოევროპული ხეთური აღვნიშნოთ სახელწოდებით „პროტოხეთური“ და არა „ხათური“ (რამდენადაც ტერმინები „ხეთური“ და „ხათური“ ერთმანეთისაგან ძნელი გასარჩევია).

სამართლიანია ვ. გეორგიევის შენიშვნა ჩვენი დაფორმულების შესახებ: „ნესიტური და ლუვიური მორფოლოგიის მიხედვით ინდო-ევროპულს უახლოვდება..“[2] აქ დაფორმულებაა არაზუსტი: ნესიტური ენა, მიუხედავად მასში წარმოდგენილი არაინდოევროპული ელემენტებისა, სახელმძღვანელოში შეტანილი გვაქვს ინდო-ევროპულ ენებში[3].

მედიტერანიზმი არ წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას იმისათვის, რომ ვიეარაუდოთ პროტოხეთურ-კავკასიური ენების გენეტური ერთიანობა, როგორც ის ჩვენ წარმოგვიდგენია: შეიძლება ვამტკიცოთ

---

[1] В. Георгиев, Вопросы родства средиземноморских языков. ВЯ. 1954, № 4, გვ. 69—70.

[2] იქვე, გვ. 67.

[3] იხ. А. С. Чикобава, Введение в языкознание, ч. I. М., 1952, გვ. 211.

ამ ენათა ნათესაობა და იმავე დროს უარვყოთ მედიტერანისტული კონცეფცია[1] (ამის მაგალითია თვით ვ. გეორგიევის შეხედულებები ამ საკითხზე).

რაც შეეხება საკითხს ბასკური ენის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ურთიერთობის შესახებ, ჩვენის აზრით, იგი უთუოდ დადებითად წყდება (ამაზე აქ ვერ შევჩერდებით).

მისასალმებელია ვ. გეორგიევის მიერ ჯერ კიდევ 1949 წელს გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ აუცილებელია მუშაობის კოორდინაცია სადისკუსიო პრობლემის გადასაჭრელად.

რამდენიმე სიტყვა საურმაგ სარგისის ძე კაკაბაძის წერილზე, სადაც იგი ეეგ. ბოკარევის იმ უარყოფით დებულებებს იმეორებს, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.ამ უარყოფით დებულებათა დასაბუთებას არც ს. ს. კაკაბაძე იძლევა. მის წერილში არც იბერიულ-კავკასიურ ანდა ძველ ენათა კონკრეტული ენობრივი მასალაა განხილული. ახალია აქ მხოლოდ საკითხის ისტორიის თავისებური გაშუქება: ს. ს. კაკაბაძეს თუ დავუჯერებთ, ეს საკითხი თბილისის სპეციალისტებს წამოუყენებიათ 1937 წელს. ამგვარი მტკიცება ფაქტებს რომ არ შეესაბამება, ეს ნათლად ჩანს ამ საკითხის ისტორიის მიმოხილვიდან, რაც ზევით გვაქვს მოცემული.

საერ. კაკაბაძის სტატიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართველ ისტორიკოსებთან პოლემიკას (მაგალითად, ტერმინების — „იბერია" და „სპერი"-ს ურთიერთობის შესახებ). მაგრამ ამ საკითხის ასეთსა თუ ისეთ გადაწყვეტაზე არ არის დამოკიდებული იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების არც ცნებები და არც ტერმინები.

---

[1] ასე მაგალითად, სრულიად ფანტასტიკურია პროფ. ი. კარსტის ნებისმიერი შედარებები ძველ და ახალ, მათ შორის იბერიულ-კავკასიურ ენათა ფაქტებისა, რომელთაც ბუნებრივ მიხედვით შეიძლება რაღაც მსგავსება ჰქონდეს, მაგრამ ერთმანეთზე არ დაიყვანებიან.

მაგალითად, ეტრუსკული ტერმინები Suani, Sabini და Suomi (ქართველური ტომი „სვანების", ლათ. იტალიის „საბინები" და ფინელთა სახელწოდება „სუომი") დაკავშირებულია ერთმანეთთან. იხ. J. Karst. Origines mediterraneae. Heidelberg, 1931. გვ. 373.

ტერმინში „იბერიულ-კავკასიური ენები" ი. კარსტი „იბერიელში" გულისხმობს პირველ. იბერებს (და არა ქართველურ ტომს). ი. კარსტის შეხედულებათა კრიტიკული განხილვა ცალკე ვაწარმოეთ.

რაც შეეხება საკითხის საკუთრივ ისტორიულ მხარეს (და ისტორიკოსებთან დავას) — ეს არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საგანი (უკანასკნელად კი 1954 წ. იყო ფართო მსჯელობის საგანი). ისტორიის სპეციალისტები, როგორც ჩანს, არ იზიარებენ ს. ს. კაკაბაძის აზრს (წინაღმდეგ შემთხვევაში ს.კაკაბაძე მათ დაიმოწმებდა).

• • •

ამრიგად, დისკუსიამ გამოააშკარავა, რომ წინა აზიის ძველი არაინდოევროპული ენების იბერიულ-კავკასიურ ენებთან ნათესაური ურთიერთობის საკითხი მეცნიერულად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ჰიპოთეზა ამ ენათა (სულ ერთია, რა ტერმინს ვიხმართ მათ აღსანიშნავად) ნათესაობის შესახებ დასაბუთებას საჭიროებს. ეს ამოცანა შეტისმეტად რთულია. ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ იგი უნდა გადაწყდეს მეცნიერული დამაჯერებლობით.

ამ საკითხის კვლევისას ორგვარ სიძნელეთა გადალახვა გეიხდება: მათგან ზოგი ფაქტობრივი ხასიათისაა (საქმე ეხება მკვდარი ენების ფაქტების დადგენას), ზოგიც — მეთოდოლოგიური ხასიათისა: ეს ის სიძნელეებია, რომლებიც თან ახლავს ცოცხალი ენების მკვდარ ენებთან შედარებას.

დისკუსიის პროცესში ეს საკითხი მხედველობის გარეშე დარჩა. ეს საკითხი სპეციალურ განხილვას მოითხოვს. წარსულში, ძველი მკვდარი ენების კავკასიის ცოცხალ ენებთან შედარების დროს დაშვებულ შეცდომებს თუ ჯეროვან ანალიზს გაეუკეთებთ, შეიძლება მეთოდოლოგიური ხასიათის მეტად ფასეული დასკვნები მივიღოთ. მომავალში ამ საკითხს უნდა დაუბრუნდნენ დაინტერესებული სპეციალისტები, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ პრობლემას მანამდე სახელი არ გაუტეხეს და არ მოხსნეს, როგორც „დეზორიენტაციის გამომწვევი". ამიტომ, ბუნებრივია, თუ მთავარი ყურადღება ჩვენ დავუთმეთ ამ პრობლემის დაცვას, პრობლემისა, რომელსაც დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს.

• • •

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთიანობა მეცნიერულად ხელშესა-

ებია ამ ენათა ოთხივე ჯგუფის შესწავლის შედეგების საფუძველზე.

როცა კვლევა-ძიების მიღწეული შედეგები და შემაჯამებელი ისტორიულ-შედარებითი ნაშრომები გამოქვეყნდება, ამ ენათა წარმოშობითი ერთიანობის ფაქტი სხვა ენათა სპეციალისტებისთვისაც ხელშესახები გახდება.

2. ტერმინში „იბერიულ-კავკასიური ენები", ჩვენი გაგებით, „იბერიული" წარმოადგენს „ქართველურის" სინონიმს (პირენეის ძველ „იბერებს" იგი არ გულისხმობს). ტერმინში „იბერიულ-კავკასიური ენები" ხაზი ესმის იმას, რომ დადებითად წყდება ე. წ. „ჩრდილო-კავკასიური ენების" სამხრეთ-კავკასიურ ენებთან ნათესაობის საკითხი (ამას კი ხშირად სადავოდ ხდიან).

3. საკითხი ნათესაური ურთიერთობისა ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენათა და წინა აზიის ძველ არაინდოევროპულ, არასემიტურ ენებს (ურარტულს, ხურიტულს, პროტოხეთურს, ელამურს) შორის სულ ცოტა სამოცდაათი წლის წინათ წამოიჭრა.

4. ამ საკითხის მეცნიერული აქტუალურობა უდავოა: ამას მოწმობს როგორც ძველ ავტორთა გამონათქვამები, ასევე საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტების უახლესი ნაშრომებიც.

5. საბჭოთა კავკასიოლოგიის განვითარების ინტერესებთან შეუთავსებელია ევგ. ბოკარევის აზრი, თითქოსდა საკითხის დასმა წინა აზიის ძველი არაინდოევროპული და არასემიტური ენების იბერიულ-კავკასიურ ენებთან ნათესაობის შესახებ „იწვევდეს კავკასიურ ენათა სპეციალისტების დეზორიენტაციას".

კავკასიოლოგთა დეზორიენტაციას ვერ გამოიწვევს ისეთი ამოცანა, რომლის გადასაწყვეტადაც საჭიროა იბერიულ-კავკასიურ ენათა ყოველმხრივი შესწავლა, აღწერითიცა და ისტორიულ-შედარებითიც. ამ მეცნიერულად აქტუალურ საკითხზე უარის თქმამ კი შეიძლება მხოლოდ ის გამოიწვიოს, რომ საბჭოთა ენათმეცნიერებას ამ საკითხში არ აღმოაჩნდება თავისი პოზიცია და, მაშასადამე, ჩამორჩება ისევე, როგორც ჩამორჩა მარიზმის ბატონობის წლებში საბჭოთა ისტორიულ-შედარებითი მეცნიერება იმის გამო, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი მარისტებმა „ბურჟუაზიულ კომპარტივისტიკად" გამოაცხადეს.

6. იბერიულ-კავკასიურ ენებთან შეიძლება დავაკავშიროთ წინა

აზიის მხოლოდ ძველი არაინდოევროპული და არასემიტური ენები. ეს არ არის დამოკიდებული მედიტერანისტული კონცეფციის გაზიარებასა თუ უარყოფაზე: ამ ენათა ნათესაობას შეიძლება იცავდნენ როგორც მედიტერანიზმის მომხრენი, ასევე მისი მოწინააღმდეგენიც.

7. ძველი არაინდოევროპული და არასემიტური ენებიდან, პირველ ყოვლისა, აქ უნდა იქნეს განხილული პროტოხეთური, ხურიტული, ურარტული (შემდეგ — ელამური და, უახლესი მონაცემების მიხედვით — შუმერული).

რაც შეეხება ბასკურის იბერიულ-კავკასიურ ენებთან კავშირს, ივარაუდება ამ საკითხის დადებითი გადაწყვეტა.

8. მეტი გარკვეულობისათვის წინა აზიის ეს ძველი ენები მიზანშეწონილია აღვნიშნოთ ტერმინით „პროტოხეთურ-უარტული“ ანდა, შემოკლებით, „პროტოხეთური ენები“, ხოლო ენათა უფრო ფართო წრისათვის კი, შესაბამისად, ვიხმაროთ ტერმინი „პროტოხეთურ-იბერიული ენები“ (მნიშვნელობით: „პროტოხეთურ-იბერიულ-კავკასიური ენები“).

9. ინდო-ევროპული ნესიტური (ანუ ხეთური) ენა ჩვენ ამ წერილში არც შემოგვქონდა და არც შემოგვაქვს.

10. იმ საკითხთაგან, რომლებიც პირველ რიგში უნდა დაისვას, ცალკე უნდა გამოიყოს საკითხი ისტორიულ-შედარებითი ანალიზის სპეციფიკისა ცოცხალი და მკვდარი ენების ნათესაური ურთიერთობის შესწავლისას.

ბუნებრივი იქნება ეს გავაკეთოთ ჯერ ურარტელის ნახურ და დაღესტნურ ენათა მასალასთან შედარებისა და შემდეგ პროტოხეთურისა და აფხაზურ-ადიღურ ენათა მასალის შედარების საფუძველზე.

11. იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლისას წამოიჭრება ბევრი საკითხი, როგორც კონკრეტულ-ისტორიული, ასევე ზოგადენათმეცნიერული ხასიათისა, რომლებიც სპეციალისტთა (ე. ი. იმ პირთა, ვინც მასალას ფლობს) ფართო განხილვას საჭიროებს.

ამ რიგის გაცილებით მეტი საკითხი წამოიჭრება ძველი მკვდარი ენების შესწავლასთან დაკავშირებით, საჭიროა მთელი სიმწვავით დავსვათ ნამდვილი, მეცნიერულად მნიშვნელოვანი საკითხები და არ კი ღაღერიდოთ მათს წამოყენებასა და გადაწყვეტას.

12. თავი და თავია პოზიტიური კვლევა-ძიება, რომლის გარეშეც ვერავითარი დისკუსიები წინ ვერ წაგვწევენ. ნაყოფიერი მუშაობა ამ დარგში, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავენ ვ. გეორგიევი და სხვა სპეციალისტებიც, დაბეჯითებით მოითხოვს კავკასიოლოგების, ინდოევროპეისტების, ორიენტალისტების ძალთა გაერთიანებას, და აგრეთვე ისტორიკოსების, არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების ჩაბმას საქმეში, რათა სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული ამ პრობლემის საკუთრივ ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ასპექტები.

შემოკლებანი

ენიმკ-ს მოამბე — „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე", თბ., 1937.

იკე — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", საქართ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანო, თბ., I (1946)—XX (1978).

იკეწ — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული" — საკავშირო ორკანო, საქართ. მეცნ. აკადემიის გამოცემა. თბ., ტ. I (1974) — ტ. V (1978).

В. Ф. — журн. «Вопросы философии», М.

ЕИКЯ — «Ежегодник иберийско-кавказского языкознания» — общесоюзный орган лингвистов-кавказоведов, изд. Академии наук Груз. ССР, т. I (1974) — т. V (1978), Тб.

Изв. КОИРГО — «Известия Кавказского отдела Импер. Русского Географического Общества». Тифлис.

ИКЯ — «Иберийско-кавказское языкознание» — орган Института языкознания Акад. наук Груз. ССР. Тб., I (1946) — XX (1978).

ИКЯ (ЯЗЫ)-КИ — «Языки народов СССР, т. IV. Иберийско-кавказские языки». М., 1967.

СМОМПК — «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», изд. Кавказ. учебного округа. Тифлис.

დამოწმებული ლიტერატურა[1]

ა ბ ე ლ ა ძ ე ლ., ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1949.

ა ბ ე ლ ა ძ ე ნ ო დ., კლასოვანი და პირთვანი უღლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1968.

ა ბ ე ლ ე დ ი ა ნ ი გ., ქართულის ხშულთა მეექვსე სამეული, „ზოგადი და ქართული ფონეტიკის საფუძვლები", თბ., 1949.

ა ბ ე ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი და ქართული ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

გ ა გ უ ა რ ი ა., ერგატივისა და ინსტრუმენტალისის ურთიერთობისათვის ბაცბურ ენაში. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", II, 1948, გვ. 87—90.

გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ ა მ., სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხ., თბ., 1959.

ე ლ ი ზ ბ ა რ ა გ., ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, თბ., 1959.

თ ო ფ უ რ ი ა გ., ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, № 1—2, თბ., 1941.

თ ო ფ უ რ ი ა გ., დ-თავსართიანი ზმნები ქართულში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები. XXV, თბ., 1942.

თ ო ფ უ რ ი ა გ., ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე", ტ. X—B, თბ., 1940.

კ ა ხ ა ძ ე ო ტ., ზოგიერთი შენიშვნა ლატერალური თანხმოვნების შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", XI, თბ., 1959.

კ ა ხ ა ძ ე ო ტ., ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", IX—X, თბ., 1958.

ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ქ ე თ., აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბ., 1976.

ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ქ ე თ., აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, თბ., 1944.

ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ქ ე თ., აშხარული დიალექტი, თბ., 1954.

მ ა კ ა ლ ა ტ ი ა ნ ი გ., საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.

რ ო გ ა ვ ა გ., ჯარიგბალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღურს ენებში, იკე. I, თბ., 1946.

რ ო გ ა ვ ა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.

[1] ზოგი შრომის სათაური ტექსტში ქართულად არის მოხსენებული, ლიტერატურის სიაში კი ნაჩვენებია დედნის სათაური.

დამოწმებული ლიტერატურის სია და პირთა საძიებელი შეადგინა ტ ა რ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ემ

სუხიშვილი მერ., სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976.
ფანჩვიძე ვ., უდური ენის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1975.
შანიძე აკ., უმლაუტი სვანურში, „არილი", თბ., 1925.
შანიძე აკ., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
შარაძენიძე თინ., ორფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებაში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები", II, თბ., 1961.
ჩიქობავა არნ., გრძელი ხმოვნები მთიულურში. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე", ტ. IV, თბ., 1924.
ჩიქობავა არნ., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1928 (II გამ. 1968).
ჩიქობავა არნ., ჰანური ენის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936.
ჩიქობავა არნ., ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938.
ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ღაბილური ვარიანტები. ენიმკი-ს მოამბე. ტ. XII, თბ., 1942.
ჩიქობავა არნ., მთის კავკასიურ ენათა შესწავლა და ჩვენი ამოცანები, ენიმკი-ს მოამბე, ტ. II, თბ., 1942.
ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
ჩიქობავა არნ., გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, თბ., 1944.
ჩიქობავა არნ., ზოგადი ენათმეცნიერება, I. თბ., 1935; II გამოც. თბ., 1939. III გამოც. თბ., 1946.
ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები, თბ., 1961.
ჩიქობავა არნ., იც. ცერცეაძე, ხუნძური ენა, თბ., 1962.
ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბ., 1965.
ცერცეაძე იც., ანდიური ენა, თბ., 1965.
ცერცეაძე იც., ხუნძური ენა. იხ. ჩიქობავა არნ., ცერცეაძე იც...
ცერცეაძე იც., ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი (ძირითადი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი), იკე, II, თბ., 1948.
ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1913.
ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.
ჯანაშია ს., სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, III, თბ.
ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ენა. თბ., 1971.
ჯეირანიშვილი ევგ., ფარინგალური ხმოვნები წახურ-რუთულურ და უდიურ ენებში, იკე, XI, თბ., 1959.
Абдуллаев З., Даргинский язык, ИК Языки, М., 1967.

Арциховский А. В., Основы археологии, М., 1951.
Балкаров Б. Х., Фонетика адыгских языков, Нальчик, 1970.
Биховская С. Л., «Пассивная» конструкция в яфетических языках сб. «Язык и мышление», т. 11, Л., 1934.
Боас Фр., Ум первобытного человека, М.—Л., 1926.
Бокарев Е. А., Мадиева Г. И., Бежитинский язык, ИК Языки, М., 1967.
Бокарев Е. А., Гинухский язык, ИК Языки, М., 1967.
Бокарев Е. А., Задачи сравнительно-исторического изучения кавказских языков, «Вопросы языкознания», 1954, № 3.
Бокарев Е. А., Цезские (дидойские) языки Дагестана, М., 1959.
Бокарев Е. А., Введение в сравнительную фонетику дагестанских языков, Махачкала, 1960.
Бокарев Е. А., Гинухский язык, ИК Языки, М., 1967.
Бокарев Е. А., Цезский язык, ИК Языки, М., 1967.
Бокарев Е. А., Хваршинский язык, ИК Языки, М., 1967.
Бокарев Е. А., Краткие сведения о языках Дагестана, Махачкала, 1949.
Гаприндашвили Ш., Фонетика даргинского языка, Тб., 1966.
Генко А., Абазинский язык, М., 1959.
Георгиев В., Вопросы родства средиземноморских языков, «Вопросы языкознания», М., 1954, № 4.
Гигинейшвили Б., Сравнительная фонетика дагестанских языков, Тб., 1977.
Гишев Н. Т., Глаголы лабильной конструкции в адыгейском языке, Майкоп, 1968.
Гудава Т. Е., Тиндинский язык, ИК Языки, М., 1967.
Гудава Т. Е., Багвалинский язык, ИК Языки, М., 1967.
Гудава Т. Е., Ботлихский язык, ИК Языки, М., 1967.
Гудава Т. Е., Годоберинский язык, ИК Языки, М., 1967.
Гудава Т. Е., Консонантизм андийских языков, Тб., 1964.
Грамматика абхазского языка, Фонетика и морфология, Абхаз. Институт языка, литературы и истории имени Д. Гулиа, Сухуми, 1968.
Десницкая А. В., «О хеттском языке», вступ. статья в книге И. Фридриха «Краткая грамматика хеттского языка», М., 1952.
Десницкая А. В., Вопросы изучения древних языков Малой Азии и сравнительная грамматика индоевропейских языков, «Вопросы языкознания», М., 1952, № 4.
Дешериева Т. И., Сравнительно-типологическая фонетика чеченского и русского литературных языков, Грозный, 1965.
Дешериев Ю. Д., Чеченский язык, ИК Языки, М., 1967.
Дешериев Ю. Д., Бацбийский язык, ИК Языки, М., 1967.
Дешериев Ю. Д., Современный чеченский литературный язык, I. Фонетика, Грозный, 1960.

Дешериев Ю. Д., Хиналугский язык, ИК Языки, М., 1967.
Дешериев Ю. Д., Будухский язык, ИК Языки, М., 1967.
Дешериев Ю. Д., Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Грозный, 1963.
Дирр А., О классах (родах) в кавказских языках, СМОМПК, вып. 37, отд. III, Тифлис, 1907.
Дирр А., Цахурский язык, Граммат. очерк, тексты, сборн. цахур. слов с рус. к нему указат., СМОМПК, отд. III, Тифлис, 1913.
Дирр А., Рутульский язык, Граммат. очерк, тексты, сборн. рут. слов с рус. к нему указат., СМОМПК, отд. III, Тифлис, 1912.
Дирр А., Арчинский язык, Граммат. очерк, сборн. арч. слов с рус. к нему указ., СМОМПК, отд. III, Тифлис, 1908.
Джейранишвили Е. Ф., Рутульский язык, ИК Языки, М., 1967.
Джейранишвили Е. Ф., Удинский язык, см. Панчвидзе В. Н., Джейранишвили Е. Ф.
Долакова Р. И., Ингушский язык, ИК Языки, М., 1967.
Дунаевская И. М., О характере и связях языков древней Малой Азии, «Вопросы языкознания», М., 1954, № 6.
Дьяконов И. М., О языках древней Передней Азии, «Вопросы языкознания», М., 1954.
Имнайшвили Д. С., Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками, Тб., 1963.
Имнайшвили Д. С., Историко-сравнительный анализ фонетики нахских языков, Тб., 1977.
Кацнельсон С. Д., К генезису номинативного предложения, Л., 1935.
Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
Климов Г. А., Кавказские языки, М., 1965.
Кумахов М. А., Адыгейский язык, ИК Языки, М., 1967.
Кумахов М. А., Морфология адыгских языков, I, Москва—Нальчик, 1964.
Кумахов М. А., Словоизменение адыгских языков, М., 1971.
Кумахов М. А., Убыхский язык, ИК Языки, М., 1967.
Леви-Брюль Л., Первобытное мышление, М., 1930.
Ломтатидзе К. В., Об одной фонетической закономерности в абхазско-абазинских диалектах, Сообщения Академии наук ГССР, т. III, № 8, 1942.
Ломтатидзе К. В., Относительные местоимения в глагольных формах абхазского языка, Сообщения Академии наук ГССР, т. III, № 4, 1942.
Ломтатидзе К. В., Некоторые вопросы иберийско-кавказского языкознания, «Вопросы языкознания», 1955, № 4.
Ломтатидзе К. В., Абхазский язык, ИК Языки, М., 1967.
Ломтатидзе К. В., Абазинский язык, ИК Языки, М., 1967.

Магомедбекова З. М., Каратинский язык, ИК Языки, М., 1967.
Магомедбекова З. М., Чамалинский язык, ИК Языки, М., 1967.
Магомедбекова З. М., Ахвахский язык, ИК Языки, М., 1967.
Магомедов Арсл., Категория грамматических классов и категория лица в глаголе нахских языков, Автореферат канд. диссерт., 1966.
Магометов А. А., Лабиализованные звуки в даргинском языке, ИКЯ, V, 1953.
Магометов А. А., Табасаранский язык, Тб., 1965.
Магометов А. А. Агульский язык, ИК Языки, М., 1967.
Магометов А. А., Агульский язык, Тб., 1970.
Магометов А. А., Корреляция системы консонантов в диалектах даргинского языка. ЕНКЯ, III, 1976.
Магометов А. А., Кубачинский язык, Тб., 1963.
Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
Марр Н. Я., Кавказоведение и абхазский язык, 1915, Избр. раб. I (1934), Л., 59—78.
Марр Н. Я., Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземноморской культуры. 1920, Избр. раб. I (1934), Л., 79—124.
Марр Н. Я., Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка в связи с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, СПб., 1908.
Марр Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка, с хрестоматией и словарем, СПб., 1910.
Мейланова У. А., Лезгинский язык, ИК Языки, М., 1967.
Мейланова У. А., Об отражении категории грамматических классов в дагестанских языках, Ученые записки Института истории, языка и литературы им. Г. Цадасы, XIII, Махачкала, 1964.
Мещанинов И. И., Новое учение о языке, Стадиальная типология, Л., 1936.
Мещанинов И. И., Язык Ванской клинописи, II. Структура речи, Л., 1935.
Мещанинов И. И., К вопросу о генезисе пассивного строя переходного глагола, Сборник «Памяти академика Н. Я. Марра», 1938.
Мещанинов И. И., Общее языкознание, Л., 1940.
Мещанинов И. И., Эргативная конструкция в иберийско-кавказских языках и ее характерные особенности в бинайском (урартском) языке, Сборн. «Вопросы изучения иберийско-кавказских языков», М., 1961.
Мещанинов И. И., Основные грамматические формы эргативного строя предложения, Сборн. «Эргативная конструкция предложения в языках различных типов», Л., 1967.
Миклошич Ф., Сравнительная грамматика славянских языков, 4 т., Вена, 1852—1875.

Миллер В. Ф., Кавказское языкознание и вопросы исторической этнографии Передней Азии, журн. «Этнографическое обозрение», 1906.

Муркелинский Г., Лакский язык, ИК Языки, М., 1967.

Никольский В. К., Яковлев Н. Ф., Основные положения материалистического учения Н. Я. Марра о языке, журн. «Вопросы философии», 1949, № 1.

Панчвидзе В. Н., Джейранишвили Е. Ф., Удинский язык, ИК Языки, М., 1967.

Рогава Г. В., К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских языках, Тб., 1956.

Рогава Г. В., Основные фонетические процессы согласных в адыгских языках, ЕИКЯ, I, Тб., 1974.

Рогава Г. В. и Керашева З. И., Грамматика адыгейского языка, Краснодар-Майкоп, 1966.

Саадиев Ш. М., Крызский язык, ИК Языки, М., 1967.

Сравнительно-историческая лексика дагестанских языков (авторский коллектив: С. М. Гасанова, Г. Х. Ибрагимов, П. Т. Магомедова, У. А. Мейланова, Б. Б. Талибов), М., 1971.

Талибов Б. Б., К вопросу об абруптивных согласных в удинском языке, ЕИКЯ, I, Тб., 1974.

Талибов Б. Б., Цахурский язык, ИК Языки, М., 1967.

Топурия В. Т., Сванский язык, ИК Языки, М., 1967.

Услар П. К., Хюркилинский язык, Тб., 1892.

Услар П. К., Лакский язык, Тб., 1890.

Услар П. К., Чеченский язык, Тб., 1888.

Услар П. К., Аварский язык, Тб., 1889.

Хайдаков С. М., Арчинский язык, ИК Языки, М., 1967.

Хайдаков С. М., Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских кавказских языков, М., 1973.

Хаммагомедов Б., Табасаранский язык, ИК Языки, М., 1967.

Цагарели А., Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, СПб., 1872.

Цагарели А., О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873.

Цагарели А., Мингрельские этюды, вып. II—Опыт фонетики мингрельского языка, СПб., 1880.

Церетели Г. В., О взаимоотношениях урартского языка с иберийско-кавказской семьей языков, Тезисы докладов Инст. языкозн. АН СССР, 1953.

Церцвадзе И. И., Андийский язык, ИК Языки, М., 1967.

Чикобава А. С., О двух основных вопросах изучения иберийско-кавказских языков, «Вопросы языкознания», М., 1955, № 6.
Чикобава А. С., Введение в языкознание, ч. I, М., 1952. II изд., М., 1953.
Чикобава А. С., Иберийско-кавказское языкознание, его общелингвистические установки и основные достижения. Изв. АН СССР. Отд. лит. и яз., т. XVII, М., 1958.
Чикобава А. С., Основные типы спряжения глаголов и их исторические взаимоотношения в иберийско-кавказских языках, М., 1960.
Чикобава А. С., Узловые вопросы исторической фонетики иберийско-кавказских языков, ЕИКЯ, I (1974), Тб.
Шагиров А. К. Кабардинский язык, ИК Языки, М., 1967.
Яковлев Н. Я. (при участии А. Хумпарова, М. Саидова, А. Бекова), Синтаксис чеченского литературного языка, М.—Л., 1940.

Bopp Fr., Die kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstammes, Berlin, 1847.
Bopp Fr., Über das Conjugationssystem der Sanskritsprache in Vergleichung mit jenem der griechischen, lateinischen, persischen und germanischen Sprache, Frankfurt am Main, 1816.
Bopp Fr., Vergleichende Grammatik des Sanskrit, Send, Armenischen, Griechischen, Lateinischen, Altslavischen, Gotischen und Deutschen; Berlin, 1833—1849.
Brosset M., L'art libéral ou Grammaire géorgienne, Paris, 1834.
Deeters G., Das kharthwelische Vorbum, Leipzig, 1930.
Deeters G., Die kaukasischen Sprachen, Leiden-Köln, 1963.
Dirr A., Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen—mit einer Sprachkarte, Leipzig, 1928.
Dumézil G., Langues caucasiennes—„Les langues du monde", Paris, 1952.
Dumézil G., Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord, Paris, 1933.
Erckert R., Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895.
Fink F., Die Sprachen des Erdkreises, II Aufl., 1915.
Geiger B., Halàsi—Kuhn. T., Kuipers A., Mengo K., Peoples and Languages of Caucase, 'S-Gravenhage, 1959.
Georgiev V., État actuel des recherches et coordination du travail dans le domaine des langues anciennes Balkano-asianiques—„Archiv Orientalni", vol XVII, pars I, 1949.
van Ginneken I., Contribution à la Grammaire comparée des langues du Caucase, Amsterdam, 1938.
Karst Jos., Grundzüge der vergleichenden Grammatik der ibero-kaukasischen Sprachen, Lpz., 1934.

Karst Jos., Origines mediterraneae, Heidelberg, 1931.
Meillet A., Langues caucasiques meridionales.—„Les langues du monde", Paris, 1924.
von Mészàros J., Die Pükhy Sprache, Chicago, 1934.
Möller H., Semitisch und Indogermanisch, Kopenhagen, 1906.
Müller Fr., Über die sprachwissenschaftliche Stellung der kaukasischen Sprachen,—„Orient und Occident...", Göttingen. s. II, 1864.
Müller, Fr., Grundriss der Sprachwissenschaft, III Bd., II Abt., I Hälfte, Wien, 1885.
Polak V., Contribution à la grammaire historique des langues kartveliennes—„Archiv Orientalni", XXIII, 1955.
Rosen G., Über die Sprache der Lazen, Berlin, 1844.
Schiefner A., Tschetschenzische Studien, S. Petersburg, 1864.
Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.
Schuchardt H., Über das Georgische, Wien, 1895.
Schuchardt H., Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, Sitzungsberichte der Kais. Akademie der Wissenschaften in Wien, Philos.—Histor. Kl., Wien, 1895.
Schuchardt H., Über den aktivischen und passivischen Charakter des Transitivs.—„Indogermanische Forschungen", XVIII, 1905/6.
Schuchardt H., Primitiae linguae vasconum, Wien. 1924
Sturtevant E. H., Hahn, E. A., A comparative grammar of the hittite langunge, vol. I, New-Work, 1951.
Trombetti Alf., Elementi di glottologia, Bologna, 1923.
Troubetzkoy, N., Langues caucasiques septentrionales,—„Les langues du mond", Paris, 1924.
Trubetzkoy N., Die Konsonantensysteme der ost-kaukasischen Sprachen,—„Caucasica". 8, Leipzig, 1931.
Trubetzkoy N., Nordkaukasische Wortgleichungen—WZKM, B. 37, H. 1—2, 1930.
Tschikobava Arn., Die ibero-kaukasischen Gebirgssprachen und der heutige Stand ihrer Erforschung in Georgien,—„Acta Orientalia Hungarica," t. IX, Budapest, 1959.
Uhlenbeck C., Le caractére passif du verbe transitif ou du verbe d'action dans certains langues de l'Amérique du Nord—„Revus des Etudes Basques", XIII, 1922.

პირთა საძიებელი

აბდულაევი ზ. (Абдуллаев З.) 43
აბულაძე ი. 54
ანდღულაძე ნ. 175
არციხოვსკი ა. (Арциховский А.) 295
ახვლედიანი გ. 58, 71, 75

ბალყაროვი ბ. (Балкаров Б.) 19
ბასკაკოვი ა. 54
ბეკოვი ა. 238
ბიზოვსკაია ს. 200, 235—237
ბოასი ფ. (Боас Ф.) 234
ბოკარევი ე. (Бокарев Е.) 21, 36, 45, 61, 109, 139, 140, 257—266, 280, 281, 283, 298. 299, 302, 304
ბოპი ფ. (Bopp Fr.) 256, 263, 276, 278
ბორკი ფ. 279
ბრაუნი ი. 296
ბროსე მ. (Brosset M.) 158, 209, 278
ბუბრიხი დ. 277

გაგუა რ. 143,171
გაიგერი ბ. (Geiger B.) 17,24
გამყრელიძე თ. 22
გაფრინდაშვილი შ. (Гаприндашвили Ш.) 64
გენკო ა. (Генко А.) 70
გეორგიევი ვ (Георгиев В.) 259, 289, 292, 299, 300—302, 306
გიგინეიშვილი ბ. (Гигинейшвили Б.) 21
გიშევი ნ. (Гишев Н.) 249
გუდავა ტ. (Гудава Т.) 22, 43, 44, 46, 56, 99, 133, 139, 140

დეეტერსი გ. (Deeters G.) 22, 52, 62, 84, 133, 165, 255
დესნიცკაია ა. (Десницкая А.) 289—292
დეშერიევი ი. (Дешериев Ю.) 19, 45, 46, 49, 143, 156, 192
დიაკონოვი ი. (Дьяконов И.) 259, 292, 295—299
დირი ა. (Дирр А.) 26, 29, 33, 34, 108, 118, 200, 242, 243, 245, 254
დიუმეზილი ჟ. (Dumézil G.) 17, 28, 29, 266, 268
დოლაკოვა რ. (Долакова Р.) 46, 143, 192
დუნაევსკაია ი. (Дунаевская И.) 259, 292—294, 299

ერკერტი რ. (Erckert R.) 26, 29, 32
ვაიდნერი, 279
ვან-გინეკენი ი. (van Ginneken) 66, 74, 75
ვერნერი კ. 85
ვინკლერი ჰ. 283
თალიბოვი ბ. (Талибов Б.) 45, 51, 70, 71, 80, 141
თოფურია გ. 117
თოფურია ვ (Топурия В.) 130, 131, 150, 154, 155, 162, 173, 175, 192, 256

იაკოვლევი ნ. (Яковлев Н.) 200, 238—241, 277
იბრაგიმოვი ჰ. (Ибрагимов Г.) 80
იმნაიშვილი დ. (Имнайшвили Д.) 21, 45, 61

კაკაბაძე სერმაგ 259, 270, 281, 283, 302, 303
კაპანაძე 277
კაპანელიანი გ. 295
კარსტი ი. (Karst I.) 25, 302
კაცნელსონი ს. (Кацнельсон С.) 245
კახაძე ო. 66
კერაშევა ზ. (Керашева З.) 65, 79, 146, 147
კლიმოვი გ. (Климов Г.) 17, 22, 36, 296
კონტენო 279
კუზნეცოვი ს. 277
კუიპერსი ა. (Kuipers A.) 17, 24
კუმახოვი მ. (Кумахов М.) 42, 55, 72
კუნი ტ. (Kuhn T.) 17
კუჩერ ჰ. 283

ლევი-ბრიული ლ. (Леви-Брюль Л.) 234
ლენორმანი ფ. 282
ლომთათიძე ქ. (Ломтатидзе К.) 18, 42, 53, 57, 67, 70, 72, 80, 95, 138, 147, 271
ლომთაძე ე. 61

მაგომედოვი არსლ. 101, 102 (Магомедов Арс.) 101, 102
მადიევა გ. (Мадиева Г.) 109
მაშავარიანი გ. 23, 74
მაჰომედბეკოვა ზ. (Магомедбекова З.) 44, 48, 57, 139
მაჰომედოვა ფ. 80
მაჰომეტოვი ა. (Магометов А.) 43, 56, 60—62, 64, 65, 81, 141, 153, 161, 170, 171, 177
მარი ნ. (Марр Н.) 23, 24, 30, 31, 33, 75, 150, 200, 218—228, 237, 240, 264, 271, 277, 278, 287
მეიე ა. (Meillet A.) 88, 104, 262, 275, 367
მეილანოვა უნ. (Мейланова У.) 43, 56, 58, 60, 80, 112, 116, 117, 137, 141, 153, 173
მენგესი კ. (Menges K.) 17, 24
მესაროში ი. (Mészaros I.) 284—288
მეშჩანინოვი ი. (Мещанинов И.) 37, 200, 226—232
მილერი მ. 278
მილერი ფრ. (Müller Fr.) 26, 29, 31—33, 37, 42, 164, 203
მიკლოშიჩი ფ. 263, 264
მილერი ვ. (Миллер В.) 282—284
მელერი ჰ. (Möller H.) 264
მერკულინსკი ჰ. (Муркелинский Г.) 43, 56, 80, 161, 162

ნიკოლსკი ვ. (Никольский В.) 277

პაული ჰ. 215

როგავა გ. (Рогава Г.) 47, 58, 59, 65, 68, 69, 71—73, 79, 117, 146, 147, 150, 155
როზენი გ. (Rosen G.) 191

საადუევი შ. (Сааднев Ш.) 45
საიდოვი მ. (Сандов М-С.) 238
სეისი 282
სოსიური ფ. 85
სტრუვე ვ. 289
სტურტევანტი ე. (Sturtevant E.) 284
სულეიმანოვი ი. (Сулейманов Я.) 100
სუხიშვილი მ. 164

ტრომბეტი ა. (Trombetti A.) 26, 28, 29, 144, 200, 237, 241, 244, 279
ტრუბეცკოი ნ. (Troubetzkoy N.) 27—29, 34, 35, 61, 64—66, 69, 75, 76, 81, 83, 84, 255, 262, 266, 267, 268, 270

უსლარი ჰ. (Услар П.) 93, 101, 102, 110, 111, 114, 136, 159, 161, 171, 177, 200—209, 218, 238, 239, 242, 252, 256, 298
ულენბეკი კ. 24, 200, 232—234, 241

ფანჩვიძე ვ. (Панчвидз В.) 45, 51, 61
ფინკი ფ. (Fink F.) 26
ფოგტი ჰ. 75, 262
ფორერი ე. 279
ფრიდრიხი ი. 289

ყიფშიძე ი. 125, 130

შაგიროვი ა. (Шагиров А.) 42
შანიძე ა. 22, 50, 128, 159, 164
შარაძენიძე თ. 154
შიფნერი ა. 102, 136, 205
შლაიხერი ა. 40, 118
შმიდტი კ. (Schmidt K. H.) 22, 74
შუხარდტი ჰ. 200, 208—219, 234, 241, 245, 270

ჩიქობავა არნ. (Чикобава А.) 17, 22, 50, 63, 66, 76, 78, 113, 119, 129, 134, 145, 159, 160, 166, 182, 230, 231, 248, 262, 275, 277, 280, 300, 301

ცაგარელი ა. (Цагарели А.) 22, 118, 203, 277

ცერცვაძე ი. (Церцвадзе И.) 44, 48, 63, 66, 76, 100, 140, 148, 149, 151, 159, 160

წერეთელი გ. 298, 299

ხაიდაკოვი ს. (Хаидаков С.) 45, 51, 141, 153
ხანმაჰომედოვი ბ. (Ханмагомедов Б.) 51, 153
ხუმფაროვი ა. 238

ჯავახიშვილი ი. 29, 30, 118, 130, 133, 254, 283
ჯანაშია ს. 124, 155
ჯეირანიშვილი ე. (Джейранишвили Е.) 45, 51, 60, 61, 117, 141

ჰანი ე. (Hahn E.) 284
ჰასანოვა ს. 80
ჰაჯიევი მ. 117
ჰიუბნერი 279, 283
ჰომელი ფ. (Hommel F.) 24, 281—283, 287

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნასიტყვა . . . . .

I. ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

1. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიზანი და ამოცანები . .
2. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ახლანდელი ვითარება . .
3. იბერიულ-კავკასიურ ენათა აღსანიშნავად ხმარებული ტერმინები . .
4. იბერიულ-კავკასიურ ენათა დაჯგუფება და საამისო საფუძვლები . .
5. იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის ზოგადი ტიპოლოგიური დახასიათება . . . . . .
6. იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემა ამჟამად და ძველად . . .

II. ᲘᲑᲔᲠᲘᲣᲚ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲗᲐ ᲤᲝᲜᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

7. ხმოვანთა სისტემა იბერიულ-კავკასიურ ენებში . . . . .
8. იბერიულ-კავკასიურ ენათა ეოკალიზმის ისტორიისათვის . . .
9. თანხმოვანთა სისტემა იბერიულ-კავკასიურ ენებში .. . . .
10. თანხმოვანთა სხვა სპეციფიკურ სერიათა საკითხისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში . . . . . .
11. კონსონანტიზმის განვითარების ზოგადი ტენდენციები იბერიულ-კავკასიურ ენებში . . . . . .
12. კონსონანტიზმის ამოსავალი რთული სისტემის ვარაუდი . .
13. ბგერათა ცვლის კანონზომიერებათა ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში . . . . . .
14. შესატყვისობის ერთი მაგალითი დაღესტნურ ენებში . . .

III. ᲘᲑᲔᲠᲘᲣᲚ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲗᲐ ᲛᲝᲠᲤᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

15. მორფოლოგიის ძირითადი პრინციპი იბერიულ-კავკასიურ ენებში .
16. გრამატიკული კლას-კატეგორია: გრამატიკული სქესი და სახელთა სხვაგვარი დაჯგუფებანი . . . . . .

§ 17. სახელთა გრამატიკული კლასების გარჩევის საშუალება . .
§ 18. გრამატიკული კლასების მქონე და არმქონე იბერიულ-კავკასიური ენები
§ 19. გრამატიკული კლასების რაოდენობა იბერიულ-კავკასიურ ენებში .
§ 20. ფონეტიკური ცვლილებები გრამატიკულ კლასთა ნიშნებში . .
§ 21. გრამატიკული კლასების საკითხი მრავლობითში . . . .
§ 22. მრავლობითის ვითარება და გრამატიკული კლასების რაოდენობის საკითხი
§ 23. მრავლობითში გრამატიკულ კლასთა უნიფიკაციისა და ბიფურკაციის (დიფერენციაციის) ისტორიული აზრი . . . . . .
§ 24. გრამატიკული კლას-კატეგორიის რაობისა და ისტორიის ძირითადი საკითხები იბერიულ-კავკასიურ ენებში . . . . . .
§ 25. გრამატიკული კლასების აღნიშვნა სუბსტანტივებში . . . .
§ 26. გრამატიკული კლასების ისტორიისთვის დაღესტნურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში . . . . . .
§ 27. გრამატიკული კლასების საკითხი ქართველურ ენებში . . . .
§ 28. ნივთის კატეგორიის ფორმანტთა ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში .
§ 29. სახელის მორფოლოგია: ბრუნვის კატეგორია, ბრუნვათა შედგენილობა და ბრუნების პროცესი . . . . . .
§ 30. ბრუნვის ფორმები და გრამატიკული კლასები . . . .
§ 31. ორფუძიანი ბრუნების პრინციპი იბერიულ-კავკასიურ ენებში . .
§ 32. თანდებულიანი ბრუნვები ქართულში . . . . . .
§ 33. თანდებულიანი ბრუნვები მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში . . .
§ 34. ზმნის კატეგორიებისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში . . . .
§ 35. უღლილების ტიპები იბერიულ-კავკასიურ ენებში . . . . .
§ 36. კლასოვანი უღლილების ძირითადი ნიშნები . . . . .
§ 37. კლასოვან-პიროვანი უღლილების ნაირსახეობანი . . . . .
§ 38. პიროვანი უღლილება: სუბიექტური და სუბიექტურ-ობიექტური .
§ 39. კლასებისა და პირების გაერჩევლობა ღეზგიურისა და აღულურის ზმნაში
§ 40. უღლილების ტიპების ისტორიული ურთიერთობა . . . .
§ 41. პიროვანი უღლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში . . . . . .
§ 42. პირთა გარჩევის საშუალებები ადიღურსა და ქართველურ ენებში . .

IV. იბერიულ-კავკასიურ ენათა სინტაქსური სისტემისა და ისტორიის ზოგადი საკითხები

§ 43. სინტაგმა (შესიტყვება) და მისი ორი ძირითადი ტიპი: ატრიბუტული და პრედიკატული . . . . . .
§ 44. ატრიბუტული კომპლექსის კომპონენტთა თანამიმდევრობის საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში . . . . . .
§ 45. მსაზღვრელის სინტაქსური ურთიერთობა საზღვრულთან იბერიულ-კავკასიურ ენათა ატრიბეტულ სინტაგმაში . . . . . .
§ 46. პრედიკატულ სინტაგმათა ძირითადი ტიპები იბერიულ-კავკასიურ ენებში
§ 47. პრედიკატული სინტაგმები და შესაბამისი ზმნები . . . . .

§ 48. ერგატიული კონსტრუქციის კომპონენტები . . . . . .
§ 49. გარდამავალი ზმნის თავისებურების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ზოგადად . . . . . .
§ 50. პ. უსლარი გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ (ნახურსა და დაღესტნურ ენებში) . . . . . .
§ 51. სინტაქსური საზომი პ. უსლარის კონცეფციაში და სუბიექტურ-ობიექტური უღლილების ზმნები . . . . . .
§ 52. ჯ. შუხარდტი გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში . . . . . .
§ 53. შინაგანი ფორმის კრიტერიუმი და გარეგანი ფორმის თავისებურებათა განმარტება ჰ. შუხარდტის კონცეფციაში . . . . . .
§ 54. ნ. მარი გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ ქართულში . .
§ 55. ნ. მარის შეხედულების ანალიზი . . . . . .
§ 56. იე. მეშჩანინოვი ერგატიული კონსტრუქციის შესახებ . . . .
§ 57. ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის მითოლოგიური ინტერპრეტაცია
§ 58. ერგატიული კონსტრუქციის აქტიური ბუნება ს. ბიხოვსკაიას განმარტებით
§ 59. ნ. იაკოვლევი გარდამავალი ზმნის აქტიურობის შესახებ . . . .
§ 60. ალფ. ტრომბეტი გარდამავალი ზმნის პასიურობის წინააღმდეგ . .
§ 61. ად. დირი გარდამავალი ზმნის შესახებ . . . . . .
§ 62. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის ორი ასპექტი . . . . .
§ 63. გარდამავალი ზმნა და გვარის კატეგორია . . . . . .
§ 64. გარდამავალი ზმნის ერგატიული კონსტრუქცია გვართა დაპირისპირების პირობებში . . . . . .
§ 65. ობიექტი, სუბიექტი და უგვარებო გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციაში . . . . . .

V. ზოგადი დასკვნა . . . . . .

დ ა ნ ა რ თ ი. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ორი ძირითადი საკითხის შესახებ . . .

შემოკლებანი . . . . . .
დამოწმებული ლიტერატურა . . . . . .
პირთა საძიებელი . . . . . .

ОГЛАВЛЕНИЕ

Предисловие (с. 3—6).

I. Предварительные сведения (§§ 1—6; с. 7—41).
II. Общие вопросы системы фонем и ее истории в иберийско-кавказских языках (§§ 7—14; с. 42—85).
III. Общие вопросы морфологической системы и ее истории в иберийско-кавказских языках (§§ 15—42; с. 86—184).
IV. Общие вопросы синтаксической системы и ее истории в иберийско-кавказских языках (§§ 43—65; с. 185—251).
V. Общий вывод (с. 252—256).

Приложение. «О двух основных вопросах изучения иберийско-кавказских языков» (с. 257—306).

Цитированная литература (с. 308—315).
Указатель лиц (с. 316 — 318).

გამომცემლობის რედაქტორი ჯ. ქ ი რ ი ა
ტექნიკური რედაქტორი ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი ნ. ქ ა ნ თ ა რ ი ა

სბ 351

გადაეცა წარმოებას 26.08.78. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.04.79. უე 05600. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20,25. საარს.-საგამომც. თაბახი 17,11.

ტირაჟი 3000. შეკვეთის № 1292.

ფასი 1 მან. 08 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.
Типография Тбилисского университета.

Арнольд Степанович Чикобава

ВВЕДЕНИЕ В ИБЕРИЙСКО-КАВКАЗСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1979